

114 / 2
1947



მნათობი

11

თბილისი

გნათობი



საქართველოს საბჭოთა მშენებლის
კავშირის ყოველთვიური სალიბრატიო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკვლევითი
ქუანალი

წლიური ოცდამეცხე

11

4325
733869



19

ნოემბერი

საბჭოთა

47





ვლადიმერ ილიან-ჰე ლენინი



იოსებ ბესარიონის-მა სტალინი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავი

3. ა. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზიარო სხდომაზე
1947 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა კავშირის ზალხები დღეასწაულობენ მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის ღირსშესანიშნავ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეათე წლისთავს.

არა მარტო ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, განვიცდით ამ დღეებში სასიხარულო გრძობებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიად გამარჯვებათა გამო. მარტო ჩვენს მეგობრულ ქვეყნებში როდია სსრ კავშირის მილიონობით ერთგული მეგობარი. ყველგან, სადაც კაპიტალიზმი ბატონობს, სჩაგრავს შრომის ადამიანებს, იმონებს კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელებს, ადამიანები, რომელთა შეგნებაც გაღვიძებულია, საბჭოთა კავშირის წარმატებებში ხედავენ ჩაგვრისა და დამონებისაგან თავის საკუთარი განთავისუფლების მოახლოებას. არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც მუშათა კლასის წიაღში, მშრომელ გლეხებს შორის და ფართო დემოკრატიულ წრეებში საბჭოთა კავშირს არ ჰყავდეს ჩვენი საქმისადმი მხურვალე თანაგრძნობითა და რწმენით გამსჭვალული მრავალი მეგობარი.

აი რატომ არის, რომ დღეს, საბჭოთა რევოლუციის 30-ე წლისთავზე, ასე მალლა ფრიალებს ჩვენი ოქტომბრის დროშა, ლენინ-სტალინის ძლევაშისილი დროშა.

I

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მნიშვნელობა

1917 წლის ოქტომბრის ამბებიდან 30 წელმა განვლო. ჩვენი მტრები ბურჟუაზიის ბანაკში მამინ, და შემდეგაც, წინასწარმეტყველებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში ვერ გასძლებდა, რომ იგი განწირული იყო გარდუვალი და სწრაფი კრახისათვის. ბოლშევიკები არ შეუშინდნენ ამ წინასწარმეტყველებას, გაბედულად ჩაებნენ ბრძოლაში მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, დაამსხვრიეს მჩაგვრელი კაპიტალისტური წყობილება და აი უკვე 30 წელია უდიდესი წარმატებით აშენებენ სოციალისტურ სახელმწიფოს, აშენებენ ახალ საზოგადოებას კომუნისმის საფუძვლებზე.

ჩვენ მიერ განვლილი გზა სამ პერიოდად უნდა გაიყოს.

პირველი პერიოდი — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროიდან

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. მეორე პერიოდი — დიდი სამამულო ომის წლები. მესამე პერიოდი, რომელიც ეს არის დაიწყო, — ოქტომბრული მშენებლობის წლები.

პირველი პერიოდი მოიცავს ოცდასამხაზეუარ წელს. აქედან სამ წელზე მეტი ხანი დასჭირდა შეიარაღებულ ბრძოლას ინტერვენტებისა და თეთრ-გვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და მოესპოთ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო. კაპიტალისტებისა და მემამულეების ეს გეგმები სრული ჩაფუშვით დამთავრდა, მაგრამ მათ ჩვენი ქვეყანა უკიდურეს გაჩანაგებასა და დაუძლურებამდე მიიყვანეს. მთელი რიგი წლები საჭირო გახდა მხოლოდ იმისათვის, რათა აღგვედგინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე.

ამის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობა და განვითარება ხორციელდება შესანიშნავი სტალინური ხუთწლეულების საფუძველზე.

1928 წლის დამლევს ჩვენ შევძელით შევდგამოდით პირველი ხუთწლეულის განხორციელებას, რომელიც, როგორც ცნობილია, ვადამდე შესრულდა. ამის შემდეგ ჩვენ შევასრულეთ მეორე ხუთწლედი და შევუდექით მესამე ხუთწლეულის განხორციელებას, რომელიც ვერ დავამთავრეთ გერმანიის თავდასხმის გამო.

ამრიგად, სამი სტალინური ხუთწლეულის გეგმებით ჩვენ მოვახერხეთ მუშაობა სულ არასრული 13 წლის განმავლობაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მოკლე ვადაში ჩვენმა ქვეყანამ მოასწრო გარდაქმნა.

მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი რუსეთიდან ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელმაც უკვე მეორე ხუთწლეულის დამლევს ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ოდენობით. ყოველ ახალ წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, ჩვენი მრეწველობა განაგრძობდა სწრაფად განვითარებას, წარმოების სულ ახალ-ახალი დარგის შექმნას და სამრეწველო პროდუქციის გამოშვების უფრო და უფრო გადიდებას. 1940 წელს მსხვილი მრეწველობა ჩვენს ქვეყანაში იძლეოდა თითქმის 12-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს.

ჩვენი სოფლის მეურნეობა უფრო მეტად გარდაიქმნა. წერილი და მცირე-ნაყოფიერი გლეხური მეურნეობებიდან, რომლებიც მეტწილად იყენებდნენ მხოლოდ კავს, ნამგალსა და ცელს, ჩვენი სოფლის მეურნეობა კოლმეურნეობებად გაერთიანების გზით გადაიქცა მსხვილ მოწინავე მეურნეობად, რომელმაც სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დახმარებით, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, მიიღო უხვი ტექნიკური აღჭურვა ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილებისა და სხვადასხვაგვარი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის სახით. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ, მიუხედავად მეცხოველეობას ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენისა, 1940 წელს თითქმის ერთიორად გადააჭარბა იმას, რასაც სოფლის მეურნეობა 1913 წელს იძლეოდა.

ამხანაგმა სტალინმა, შეაჯამა რა საბჭოთა კავშირის მეურნეობის ომისწინა პერიოდის განვითარების შედეგები, შარშან სთქვა:

„წარმოების ასეთი უმაგალითო ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის უბრალო და ჩვეულებრივ განვითარებად ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ეს იყო ნახტომი, რომლის მეოხებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყ-

ნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა".
 ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფოქმედებებმა ამსხვრევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ტრადიციებს და სძლავს უნდასაძახა ვი მტრისა და მერყევი ელემენტების წინააღმდეგობას, ნამდვილი რევოლუცია მოახდინა როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ამის მეოხებით სახალხო მეურნეობა სსრ კავშირში მოკლე ვადაში გარდაიქმნა მოწინავე ტექნიკის საწყისებზე, რასაც ვერ იცნობდა და ვერ იცნობს ვერც ერთი სხვა ქვეყანა.

ჩვენ ამ შედეგებს მივალწიეთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური პოლიტიკის განხორციელებით და ამ პოლიტიკის ქვაკუთხედად დავსახეთ მძიმე მრეწველობის განვითარება. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ, რაკი მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებოდით, ჩვენს ხალხს მუდამ უნდა ეფიქრა იმაზე, რომ მზად ყოფილიყო გასამკლავებლად თავდასხმის შემთხვევაში.

ჩვენ სოფლის მეურნეობის ძირითად გარდაქმნას მივალწიეთ კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარებით. მთელი ათი წელი მოუნდა ამ გარდაქმნის მომზადებას, რომელიც დაკავშირებული იყო კულაკობის გაათრეხული წინააღმდეგობის დაძლევათა. მაგრამ ხუთწლიანი გეგმების განხორციელებაზე გადასვლის პირველსავე წლებში ჩვენმა პარტიამ შესძლო დაერწმუნებინა გლეხობა წასულიყო ახალი გზით — კოლმეურნეობათა საფუძველზე გლეხური მეურნეობის სრული გარდაქმნის გზით. და ამან შექმნა წინამძღვრები სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა მანამდე უმაგალითო აღმავლობისათვის, სოფლის მეურნეობისა, რომელიც შეიარაღებულია მძლავრი მოწინავე ტექნიკით და აგრარობის ყველა მიღწევით.

სოციალიზმის მშენებლობის პირველი პერიოდის შედეგად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა გარდაიქმნა სოციალისტურ საფუძველზე, ექსპლოატატორული კლასები საგებით ლიკვიდირებულ იქნა და შეიქმნა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

უნდა აღინიშნოს სოციალისტური მშენებლობის ამ პირველი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი.

ჩვენ შევქმენით მიგვეღწია ჩვენი სახალხო მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, მისი წამყვანი დარგის — სოციალისტური მრეწველობის წლითიწლითი განუწყვეტელი ზრდადი აღმავლობისათვის. რა თქმა უნდა, სტიქური უბედურებანი, ვთქვათ, გვალვა და მასთან დაკავშირებული მოუსავლიანობა, ამ პერიოდშიც იყო, მაგრამ ამასაც კი არ შეუჩერებია განუხრელი წინსვლა. ყოველგვარ პირობებში საბჭოთა მრეწველობა განუწყვეტლად მიდიოდა აღმავლობის გზით და წლითიწლითი ადიდებდა თავისი პროდუქციის გამოშვებას. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, მრეწველობის განუწყვეტელი აღმავლობა საბჭოთა კავშირში მთელი სახალხო მეურნეობის გეგმიანი ორგანიზაციის პროგრესული საფუძვლების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გახდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ მრეწველობის განუწყვეტელმა აღმავლობამ უკვე დიდი ხანია გამოიწვია უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია ჩვენს ქვეყანაში. ამან შესაძლებელი გახადა მუშათა კლასის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა, საბჭოთა სახელმწიფოს მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრების

მატერიალური და კულტურული პირობების სულ უფრო გაუმჯობესება. რძი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ქალაქები და სამრეწველო რაიონები ფუფუნებით უკეთესად უმჯობესდებოდა. უმაგალითო მიღწევებს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების საქმეში.

კოლმეურნობათა საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის შედეგად გაქრნენ სოფლის ლატაკნი, რომელნიც კაპიტალიზმის პირობებში მუდამ განწირული არიან უიმედო არსებობისათვის. ყოველი კოლმეურნის წინაშე გადაიშალა შეძლებული და კულტურული ცხოვრების ფართო შესაძლებლობა. ჩვენი სოფლის მეურნეობა წლითიწლობით მტკიცდებოდა საკოლმეურნეო შრომის ცხოველყოფელი ძალებით. რძი რომ არ ყოფილიყო, რამაც გაანადგურა სოფლის მეურნეობის ბევრი საუკეთესო რაიონი, ჩვენ უკვე დღეს სრულიად უზრუნველყოფილი ვიქნებოდით ყოველივე იმით, რაც საჭიროა, გაცილებით უკეთ, ვიდრე რომელიმე ქვეყანა ევროპაში და არა მარტო ევროპაში.

მშვიდობის ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა პოლიტიკამ საბჭოთა ხალხისათვის რცი წლის განმავლობაში უზრუნველყო მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობა სამოქალაქო რძისა და ინტერვენციის პერიოდის დამთავრების შემდეგ.


ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ შესწყვიტა ჩვენი მშენებლობის მშვიდობიანი პერიოდი.

დაიწყო რძიწლიანი პერიოდი დიდი სამამულო რძისა, რომელიც საბჭოთა ხალხისათვის უდიდესი განსაცდელი იყო, რადგან ეს რძი, ამხანაგ სტალინის სამართლიანი შენიშვნით, იყო „ყველაზე უფრო მკაცრი და მძიმე იმ რძითა შორის, რომლებიც ჩვენს სამშობლოს მისი ისტორიის განმავლობაში რძისმე გადაუტანია“. ჩვენ ყველას გვახსოვს, თუ რაოდენ წარმოუდგენელი სიმძნელენი გადაიტანა ჩვენმა ხალხმა ამ წლებში.

საკმაოა ითქვას, რომ ჰიტლერული რკუბაცია განიცადა საბჭოთა ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობაც რძამდე 88 მილიონ კაცს აღწევდა. ამ ტერიტორიაზე მზადდებოდა მთელი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 33 პროცენტი. ჰიტლერელებმა რკუბაცია უყვეს ტერიტორიის, რომლის ნათესი ფართობიც საბჭოთა კავშირის ნათესი ფართობის 47 პროცენტს შეადგენდა და სადაც პირუტყვის მთელი სულადობის დაახლოებით ნახევარი იყო. რძის დროს დასავლეთი და სამხრეთი რაიონებიდან ევაკუირებულ და აღმოსავლეთში აღდგენილ იქნა 1.300 სამრეწველო საწარმო, რომელთა მუშაობაც აუცილებელი იყო ფრონტისა და ზურგის საარსებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

მეორე პერიოდმა საბჭოთა კავშირის ისტორიაში, რომელიც მოიცავს დიდი სამამულო რძის წლებს, კიდევ უფრო ცხადყო ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებული სიმძლავრე და პროგრესული ძალა.

რძიში საბჭოთა კავშირის ჩაბმამდე ჰიტლერი პარპაშობდა ევროპაში, როგორც რძის სახლში. ზოგიერთი ქვეყანა, როგორც, მაგალითად, ფაშისტური იტალია, მის მორჩილ სატელიტად გადაიქცა, ევროპის სხვა ქვეყნები, როგორც, მაგალითად, საფრანგეთი, მისი მმართველი წრეების პროფაშისტური მოქმედების მეორებით, მის ფეხქვეშ იყო. ინგლისს, რომლის ტერიტორიაზეც



მრავალი საუკუნის განმავლობაში მტრის ფეხი არ დადგმულა, გერმანიის შეჭრის უსაშინლესი საფრთხე დაემუქრა.

მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე და როცა საბჭოთა არმია მთელი ფრონტით გადავიდა შეტევაზე ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მოკავშირე სახელმწიფოთა ანტიფაშისტური კოალიციის შექმნას, რომელშიც სსრ კავშირს წამყვანი მდგომარეობა ეკავა.

ყოველივე ამან უზრუნველყო ფაშიზმის განადგურება ევროპაში.

უკვე ოქტომბრის რევოლუციის 27-ე წლისთავის დღეს ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხის ამ დამსახურებას მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი შეფასება მისცა და სთქვა:

„ახლა, როდესაც სამამულო ომი ძღვევამოსილი დასასრულისაკენ მიდის, მთელი სიდიდით იჩენს თავს საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი. ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე“.

იმ ფაქტის აღიარებაში, რომ საბჭოთა ხალხმა ევროპის ცივილიზაცია იხსნა ფაშისტ დამრბევთაგან, მთელი მსოფლიოს ხალხები ხედავენ აგრეთვე კომუნისტების ბელადისა და საბჭოთა კავშირის დიდი მხედართმთავრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის განსაკუთრებულ დამსახურებათა აღიარებას.

ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო მტკიცე და უძლეველი აღმოჩნდა ომის ყველა განსაცდელში. დიდმა სამამულო ომმა უფრო დარაზმა საბჭოთა ხალხები ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში. უკვე შარშანდელი წლიდან ჩვენ ვმუშაობთ ახალი, ომის-შემდგომი ხუთწლიანი გეგმით. ამხანაგმა სტალინმა ასე განსაზღვრა ჩვენი ახალი ამოცანები:

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით“.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და აღმავლობის დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულმა ამოცანებმა ჩვენი ხალხი ახალი გმირული ღონისძიებებისა და შრომითი სავაჭრო საქმეებისათვის ალაფრთოვანეს. მთელი ჩვენი ქვეყანა ახლა ცოცხლობს მისწრაფებით არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს ახალი ხუთწლიანი.

სოფლის მეურნეობისათვის ახალი ხუთწლიდის დასაწყისი ძნელი იყო გვალვის გამო, რაც თავს დაატყდა შარშან უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებს. მაგრამ ცნობილია ჩვენი ქვეყნის უნარი სწრაფად გადალახოს სამეურნეო სიძნელენი. ეს აგრეთვე იქიდან სჩანს, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით პურის საერთო მოსავალი წელს 58 პროცენტით მეტია შარშანდელზე.

შარშან, რომელიც ომისშემდგომი ხუთწლიდის პირველი წელი იყო, ჩვენ


უკვე მივიღეთ სამრეწველო პროდუქციის დიდი ზრდა. მაგრამ მრეწველობამ შარშანდელი წლის გეგმა მხოლოდ 96 პროცენტით შეასრულა, გარდაქმნა მშვიდობიან პირობებში სამუშაოდ ჯერ კიდევ არ იყო.

სამაგიეროდ წელს საბჭოთა მრეწველობა გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. მიმდინარე წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში ცხრა თვის გეგმა მრეწველობამ 103 პროცენტით შეასრულა. მთელი ჩვენი ქვეყანა სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ჩვენი სახელოვანი ლენინგრადი ამჯერადაც პირველ რიგებშია, და უკვე ოქტომბერში ლენინგრადის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის მეორე წლის მთელი გეგმა. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ხუთწლედის პირველი წლის შეუსრულებელი ნაწილი ხუთწლედის მეორე წელს შესრულდება და, ამრიგად, ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა, მთლიანად აღებული, შესრულებულ იქნება მიმდინარე წლის დამლევს.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, აგრეთვე ტრანსპორტზე, ჩვენ რწმენით მივდივართ წინ, თუმცა ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ ბევრი დაუშთავრებელი სამუშაოა ომით მოყენებული ქრილობების მოშუშებისა და ზარალის აღდგენის დარგში. ჩვენ უკვე მეტი ქვანახშირი ამოგვაქვს, ვიდრე ომამდე, მაგრამ ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ წამოვწიეთ მეტალურგიის აღდგენა და ნავთის მოპოვება. სწარმოებს მრეწველობის ყველა იმ დარგის აღდგენა და განვითარება, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელსა და კვების პროდუქტებს ამზადებენ. ჩვენ არა გვაქვს მრეწველობის ისეთი დარგი, რომელიც წინ არ მიდიოდეს და რომელსაც არა ჰქონდეს თავისი პროდუქციის გადიდების გეგმა რამდენიმე წლის პერიოდისათვის. საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი ზრუნვა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის სოციალისტური მეურნეობის შემდგომი ყოველმხრივი აღმავლობის საიმედო გარანტიას წარმოადგენს.

ყოველთვიურად დიდდება სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. საკმაოა ითქვას, რომ ახლახან გასულ ოქტომბრის თვეში ჩვენი მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ უკვე მიაღწია 1940 წლის საშუალო-თვიურ გამოშვებას. ამრიგად, ახლა ჩვენი მრეწველობის პროდუქციის გამოშვებამ უკვე მიაღწია ომამდელ დონეს.

ყოველივე ეს კვლავ და კვლავ ცხადყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია პირობები მთელი ხალხის კეთილდღეობის სწრაფი აღმავლობისა და საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ჩვენ არ გვემუქრებიან მრეწველობისათვის გამანადგურებელი ეკონომიური კრიზისები, ურომლისოდაც ცხოვრება არ შეუძლია არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას. ჩვენში არ არის და არც იქნება უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული მოსახლეობის გაღატაკება. საბჭოთა წყობილება უზრუნველყოფს საწარმოო ძალთა განუწყვეტელი აღმავლობისა და ქალაქისა და სოფლის შრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობის სრულ შესაძლებლობას, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. შეადარეთ ერთმანეთს ძველი რუსეთი და რევოლუციით შექმნილი საბჭოთა კავშირი.



ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთი დაამარცხა იაპონიის იმპერიალიზმმა 1904—1905 წლებში. ცნობილია აგრეთვე, რომ გერმანიის იმპერიის უძლური აღმოჩნდა და ვერ გაუმკლავდა ვილჰელმის ურდოქმენს. მას შემდეგ მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვება ევროპაში და იაპონიის იმპერიის ჯარების განადგურება მანჯურიაში, რაც ამას მოჰყვა, ცხადყოფენ, თუ რაოდენ შორს წაივია წინ ჩვენი ქვეყანა ძველი მეფის რუსეთის დროიდან.

რუსეთის განახლებისა და აღორძინების ცდებს წარმატება არ მოჰყოლია არც 1905 წლის რევოლუციის დროს და არც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს. მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოგვითანა დიდი ხნის ნანატრი განახლება და შეჰქმნა პირობები ჩვენი სამშობლოს მძლავრი აღმავლობისათვის. მხოლოდ საბჭოთა, ნამდვილად სახალხო რევოლუციამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგან ლენინ-სტალინის პარტია, გახადა ჩვენი ქვეყანა იმ დიად და მოწინავე სახელმწიფოდ, როგორც იგი ამჟამად არის. საბჭოთა კავშირის სიდიადე შექმნილია სოციალისტური რევოლუციის მეოხებით და ამჟამად აღიარებულია მთელი მსოფლიოს ხალხების მიერ.

განა ცხადი არ არის,—30 წლის წინათ ბოლშევიკებს რომ ვერ მოეხერხებინათ გამოეგლიჯათ ჩვენი სამშობლო კერენსკის, მენშევიკების, ესერების, კადეტებისა და ბურჟუაზიის სხვა მსახურთა ხელიდან, ჩვენი ქვეყანა თავის დამოუკიდებლობას დაჰკარგავდა და მისი ხვედრი იქნებოდა უბადრუკი არსებობა.

შეადარეთ საბჭოთა კავშირი და ევროპის ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები.

აი ინგლისი, რომელიც დიდი ხანია კანონიერად ითვლებოდა უადრესად განვითარებულ სამრეწველო ქვეყნად და „მთელი მსოფლიოს სახელოსნოდაც“ კი. ორ მსოფლიო ომს შორის განვლილ პერიოდში ინგლისის მრეწველობის დონე იშვიათად თუ ასულა 1913 წლის დონეზე მაღლა, მეტწილად კი გაცილებით დაბლა იდგა. ასეთ მდგომარეობაში არ შეიძლება სერიოზული ლაპარაკი ინგლისის მრეწველობის რაიმე აღმავლობაზე ორ მსოფლიო ომს შორის განვლილ პერიოდში. ახლაც, როგორც იცით, ინგლისი სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდის და სულ უფრო და უფრო ამყარებს იმედს ამერიკელი ძიას დახმარებაზე.

საფრანგეთში მრეწველობა ამ პერიოდში უკეთესად როდი ვითარდებოდა, თუმცა იყო აღმავლობის ცალკეული წლები. საკმარისია ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ საფრანგეთის მრეწველობის პროდუქცია მხოლოდ 6 პროცენტით აღემატებოდა საფრანგეთის მრეწველობის იმ დონეს, რაც მიღწეული იყო ჯერ კიდევ პირველ ომამდე. შეიძლება ითქვას, რომ მთელ ამ პერიოდში ორ მსოფლიო ომს შორის საფრანგეთის მრეწველობა ერთ ადგილას გაიყინა. ახლა საფრანგეთიც ეკონომიურ სიძნელეთა პერიოდს განიცდის და, ინგლისის მსგავსად, თავის ვარაუდებს გარედან დახმარებაზე ამყარებს.

რით აიხსნება ასეთი მკვეთრი განსხვავება ერთის მხრივ სსრ კავშირის მრეწველობის განვითარებასა და მეორე მხრივ ინგლისისა და საფრანგეთის მრეწველობის მდგომარეობას შორის? რით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა ორ მსოფლიო ომს შორის შესვენების პერიოდში თითქმის

12-ჯერ გადიდდა, მაშინ როცა ინგლისისა და საფრანგეთის მრეწველობა ერთ ადგილზე იტყუებებოდა, ცალკეულ წლებში ერთგვარ აღმავლობაში იმყოფებოდა, მაგრამ უფრო ხშირად — უმოძრაობისა და დაცემის წლებსაც კი?

პირუთენელი ადამიანებისათვის, რომლებსაც სურთ თანამედროვე მოვლენები გაიგონ, — პასუხი ნაკარნახევია, უწინარეს ყოვლისა, ფაქტების შედარებით.

ძირეული განსხვავება ერთის მხრივ საბჭოთა კავშირისა და მეორე მხრივ ინგლისისა და საფრანგეთს შორის ცნობილია: სსრ კავშირის მრეწველობა, ისევე როგორც მთელი მისი სახალხო მეურნეობა, აგებულია სოციალიზმის საძირკველზე, ხოლო ინგლისის, ისევე როგორც საფრანგეთის მრეწველობა, აგრეთვე მთელი სახელმწიფო შენობა დამყარებულია კაპიტალიზმის ძველ საყრდენებზე, ამასთან როგორც მეცნიერება, ისე პრაქტიკული გამოცდილება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის საძირკველი საბჭოთა კავშირში დღითიდღე მტკიცდება, ხოლო კაპიტალისტური საზოგადოების საყრდენები ევროპაში უკვე დიდი ხანია მთლად დაღობა. ახლა, როგორც არასოდეს, სჩანს, თუ რამდენად მომწიფდა სოციალიზმის წინაპირობები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ 30 წლის წინათ, როცა ძლევამოსილმა სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიყვანა ჩვენი სამშობლო ახალ გზაზე, რევოლუციური განახლების გზაზე.

30 წლის წინათ, ოქტომბრის რევოლუციის წინ ლენინი მგზნებარედ ამტკიცებდა, რომ შექმნილ ისტორიულ პირობებში წინსვლა არ შეიძლებოდა სოციალიზმისაკენ ნაბიჯების გადადგმულად და რომ სოციალიზმის მატერიალური მომზადება უკვე მაშინ იყო ჩვენს ქვეყანაში. იგი ამბობდა:

„წინსვლა XX საუკუნის რუსეთში, რომელმაც რევოლუციური გზით მოიპოვა რესპუბლიკა და დემოკრატიზმი, არ შეიძლება ისე, თუ არ წავედით სოციალიზმისაკენ, თუ ნაბიჯები არ გადადგვით მისკენ...“

ისტორიის დიალექტიკა სწორედ ისეთია, რომ ომმა არაჩვეულებრივად დაამჭარა მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაქცევა სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, რითაც არაჩვეულებრივად მიაახლოვა კაცობრიობა სოციალიზმთან.

იმპერიალისტური ომი სოციალისტური რევოლუციის წინაღულა. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ომი თავისი საშინელებებით წარმოშობს პროლეტარულ აჯანყებას, — ვერაფრითარი აჯანყება ვერ შექმნის სოციალიზმს, თუ იგი ეკონომიურად არ მომწიფებულა, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული მატერიალური მომზადებაა, მისი შესავალია, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელსა (საფეხურსა) და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შორის არავითარი შუალედი საფეხური არ არსებობს“.

ცხადია, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში უკვე მაშინ — ოცდაათი წლის წინათ — მატერიალური წინაპირობები სოციალისტური გარდაქმნისათვის არანაკლებად ხელსაყრელი იყო, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, როგორც ცნობილია, მარტო მატერიალური წინაპირობები როდი კმარა იმისათვის, რომ გადაწყვეტილ იქნას ისეთი პრობლემებიც კი, რომლებიც უკვე ისტორიულ აუცილებლობად იქცნენ.

მეორე მსოფლიო ომმა ახალი ლახვარი ჩასცა კაპიტალიზმის სისტემას, კი-

დედ უფრო შეარყია მისი პოზიციები ევროპაში. ახალი დემოკრატიის ქვეყნებმა—იუგოსლავიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, ალბანეთმა—ხალხის ფართო მასების მხარდაჭერის გარეშე შეძლეს ბედული დემოკრატიული გარდაქმნანი, რომელთაც უნდა მიეკუთვნოს მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და გლეხებისათვის მიწის გადაცემა, მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია და სხვა. ეს ქვეყნები თავისი განსაკუთრებული დამოუკიდებელი გზებით სდგამენ ნაბიჯებს სოციალიზმისაკენ. მათ მშრომელთათვის შექმნეს ისეთი ცხოვრების პირობები, რომელიც თავისუფალია კაპიტალისტური მონობისაგან. ისინი იცავენ თავიანთ ნაციონალურ დამოუკიდებლობას უცხოელ იმპერიალისტთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ხელში ჩაიგდონ ეს ქვეყნები და თავს მოახვიონ მათ თავიანთი ნება.

II

საბჭოთა კავშირი და სამართაშორისო თანამშრომლობა

თავისი არსებობის პირველი დღიდანვე საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საერთაშორისო ურთიერთობაში, სათავეში ჩაუდგა მშვიდობისათვის ბრძოლას.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა პირველი მსოფლიო ომიდან, გამოაცხადა მშვიდობა და უშენიშვნოდ ხელის აღება როგორც მეფის-რუსეთის, ისე თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ცრუსოციალისტ კერენსკის მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ხალხმა მთელი რიგი წლების განმავლობაში ვერ შესძლო დაბრუნებოდა მშვიდობიან შრომას.

იმ მიზნით, რომ ოქტომბრის რევოლუცია ჩაეხრჩოთ და ჩვენი ქვეყნიდან გაქცეულ მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება დაებრუნებინათ, ანტანტის სახელმწიფოებმა მთელი რიგი სამხედრო ინტერვენციები მოაწყვეს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ამ დანაშაულობათათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ინგლისსა და საფრანგეთის იმპერიალისტებს, მათს ამერიკელ და იაპონელ მოკავშირეებს და მათს მაშინდელ სატელიტებს. ეს ავაზაკური პოლიტიკა, რომელიც გამსჭვალული იყო რევოლუციური რუსი ხალხის წინააღმდეგ ჩერჩილის, კლემანსოს და სხვა რეაქციონერების მხეცური ანტისაბჭოთა მტრობით, სამარცხვინოდ ჩაიშალა. საბჭოთა ხალხმა დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა, მოიპოვა შესვენება და დაადგა სოციალიზმის ძლევაშობილი, მშვიდობიანი მშენებლობის გზას.

თქვენ იცით, რომ ხრიკები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. რას არ სჩადიოდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიალისტები, რომ ჩაეშალათ მშვიდობიანი მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ფაშისტურ იტალიასთან გაერთიანდნენ და მიუნხენის სამარცხვინო შეთანხმება დასდეს პიტლერულ გერმანიასთან, რათა რაც შეიძლება მალე მიეცათ ბიძგი გერმანელი ფაშისტებისათვის, რომ ისინი თავს დასზმოდნენ საბჭოთა კავშირს. მაგრამ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები ანგარიშში მოტყუვდნენ. ისინი თვითონ გაებნენ თავიანთ დაგებულ მახეში, ხოლო მშვიდობის ბრძნულმა

სტალინურმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირისათვის ბრწყინვალედ უზრუნველ-
პყო ომის გადაღება.

როცა ჰიტლერული გერმანია მიანიც დაესხა თავს სსრ კავშირს, მტკუნა მტკუნა
ბის იმედები კვლავ გამოცოცხლდა.

როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ლონდონის ვაზეთებში მალევე დაი-
ბეჭდა ცნობა, რომ ინგლისის მინისტრი მურ-ბრაბაზონი, შეეხო რა საბჭოთა
კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1941 წლის ზაფხულში შექმნილ მდგომარეობას,
არ მოერიდა იმ სურვილის გამოთქმას, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის
არმიებს ერთმანეთი დაესუსტებინათ, მაშინ როცა ინგლისი თავის ძლიე-
რებას განამტკიცებს და გაბატონებულ სახელმწიფოდ გახდება. აღმოჩნდნენ
ამერიკელი მოღვაწეებიც, რომლებმაც არ ისურვეს ჩამორჩენოდნენ მურ-
ბრაბაზონს. 1941 წლის ივნისში „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ერთ-ერთი მეტად გამო-
ჩენილი ამერიკელი მოღვაწის ასეთი განცხადება გამოაქვეყნა: „თუ ჩვენ და-
ვინახავთ, რომ გერმანია იგებს, უნდა დავეხმაროთ რუსეთს, ხოლო თუ მოგება
რუსეთს დაეცემა, უნდა დავეხმაროთ გერმანიას. და, ამრიგად, დაე მათ რაც
შეიძლება უფრო მეტად ხოცონ ერთმანეთი“.

მიუხედავად ამისა, ჰიტლერულ გერმანიასთან ომში საბჭოთა კავშირი,
ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები წარმატებით თანამშრომლობ-
დნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ყველა დემოკრატიული ქვეყნის საერთო
მტრის წინააღმდეგ.


როგორც კი ომი დამთავრდა, საბჭოთა კავშირი შეუდგა ახალი სტალინური
ხუთწლიანი გეგმით მუშაობას. ამასთან ერთად, ჩვენ გვეჩივრება ახლა გა-
მოვიმუშაოთ გეგმა რამდენიმე მომავალი ხუთწლეულისათვის. როგორც ცნო-
ბილია, ამხანაგმა სტალინმა ეს ახალი ამოცანები შემდეგნაირად განსაზღვრა:

„რაც შეეხება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს, პარტიას განზრახვა
აქვს მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც
შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალი-
თად, ერთისამად ომამდე ლონესთან შედარებით. ჩვენ უნდა მივალწიოთ
იმას, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად მოგვეცეს 50 მი-
ლიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ტონა ფოლადი, 500 მილიონამდე
ტონა ქვანახშირი, 60 მილიონამდე ტონა ნავთი“.

საკმარისია ეს, რომ დავინახოთ, თუ რამდენად არის დაინტერესებული საბ-
ჭოთა კავშირი მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით. მშვიდობის ყველა გულ-
წრფელ მეგობარს — ხოლო ისინი უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ ყოვე-
ლი ქვეყნის ხალხში — შეუძლია იმედი იქონიოს, რომ საბჭოთა კავშირი
ბოლომდე დაიცავს საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

მშვიდობის ამ პოლიტიკის შესაბამისად, საბჭოთა კავშირი იცავს სწორთა-
შორის თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებას. ამხანაგმა სტალინმა
ღრმად განმარტა ჩვენი საგარეო პოლიტიკა ცნობილ ამერიკელ სტასენთან
საუბარში:

„მათ — საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატებს — რასაკვირველია,
შეუძლიათ თანამშრომლობა ერთმანეთთან. მათ შორის არსებულ განსხვა-
ებებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც საქმე ეხება მათს თა-
ნამშრომლობას. გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკ-
ური სისტემები ერთნაირია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის ომი წარ-



მოიშვა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ეკონომიური სისტემები სხვადასხვაინარია, მაგრამ ისინი ერთმანეთს კი არ ეყრდნობოდნენ, არამედ თანამშრომლობდნენ ომის დროს. თუ ორ სხვადასხვა სისტემას შორის ეთანამშრომლნა ომის დროს, რატომ არ შეუძლიათ მათ ითანამშრომლონ მშვიდობიან დროს? რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ თუ თანამშრომლობის სურვილი იქნება, თანამშრომლობა სავსებით შესაძლებელია სხვადასხვა ეკონომიური სისტემების დროს. მაგრამ თუ თანამშრომლობის სურვილი არ არის, ერთნაირი ეკონომიური სისტემების დროსაც კი სახელმწიფოებსა და ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს წაეციდონ“.

საბჭოთა კავშირი უცვლელად ატარებდა და ატარებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას. ასეთია საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, რომელიც თანამშრომლობის სურვილს იჩენს.

ამხანაგ სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ პოლიტიკას ახლა უპირისპირდება მეორე პოლიტიკა, რომელიც სრულიად სხვა პრინციპებს ემყარება. აქ, უწინარეს ყოვლისა, გვიბდება ლაპარაკი ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

შესაძლებელია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ქვეყნის ეკონომიური განვითარების პროგრამა რაღაცა ვადით. მაგრამ, არსად პრესაში ამის შესახებ ნათქვამი არაფერი არ ყოფილა, თუმცა იქ საკმაოდ ხშირად ეწყობა პრეს-კონფერენციები.

მეორე მხრივ, ბევრს ხმაურობენ ხან „ტრუმენის დოქტრინასთან“, ხან „მარშალის გეგმასთან“ დაკავშირებული სხვადასხვა ამერიკული პროექტის გარშემო. როცა კითხულობ „ვეროპის დახმარების“, „ჩინეთის დახმარების“ და ყველა ამგვარი ამერიკული გეგმის შესახებ, შეიძლება იფიქრო, რომ შინაური პრობლემები შეერთებულ შტატებში უკვე დიდი ხანია გადაჭრილია და ახლა მხოლოდ ისღა დარჩენილა, რომ ამერიკამ საქმეები მოაწესრიგოს სხვა ქვეყნებში, უკარნახოს მათ თავისი პოლიტიკა და მთავრობათა სასურველი შემადგენლობები. სინამდვილეში საქმე ასე არ არის. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში საშინაო საქმეები რომ არ იწვევდნენ დიდ შეშფოთებას, განსაკუთრებით მოახლოებულ ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით, მაშინ არ იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიის იმ ეკონომიური პროექტების ასეთი სიუხვე, რომლებიც, თავის მხრივ, ემყარებიან ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებს.

ახლა უკვე აღარ მალავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები—ხშირად, დიდ ბრიტანეთთან ერთად—აწყობენ სულ ახალ-ახალ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზებს დედამიწის ყველა ნაწილში და მთელ სახელმწიფოებსაც კი იყენებენ ამგვარი მიზნებისათვის, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მახლობლად. ვინდა არ სჩივის ამ მხრივ ამერიკული იმპერიალიზმის ზეგავლენაზე. თუ ევროპის, აზიისა და ამერიკის ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს მთავრობა ერთგვარად, დარბაისლურად სდუმს, სამაგიეროდ, როგორც სჩანს, ზოგიერთ პატარა ქვეყანას პირდაპირ მოთმინება აღარ ჰყოფნის. მაგალითად, დანია იმ ვერასგზით ვერ მიადწია აღედგინა თავისი ნაციონალური სუვერენიტეტი გრენლანდიის მიმართ, საიდანაც ამერიკელებს

არ სურთ წასვლა ომის დამთავრების შემდეგ. ეგვიპტე კანონიერად მოითხოვს ინგლისის ჯარების წასვლას თავისი ტერიტორიიდან, მაგრამ *კონკლუსივუტარს* ამბობს ამაზე, ხოლო ამერიკა მხარს უჭერს ინგლისის იმპერატორს *სამსონტ* საქმეებშიც. მაგრამ ცხადია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში სამხედრო ბაზების შექმნა თავდაცვის მიზნებისათვის კი არ არის განკუთვნილი, არამედ აგრესიისთვის მზადებას წარმოადგენს. აგრეთვე ცხადია, თუ დღემდე არსებობს გაერთიანებული ინგლის-ამერიკული სამხედრო შტაბი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა, ეს კეთდება არა მშვიდობისმოყვარეობის გრძნობით, არამედ ახალი აგრესიის შესაძლებლობით დაშინების მიზნით. კარგი იქნებოდა, რომ ყოველივე ეს იცოდეს ამერიკელმა ხალხმა, ვინაიდან პრესის ეგრეთწოდებული „დასავლეთური“ თავისუფლების პირობებში, როცა თითქმის ყველა გაზეთი და რადიოსადგური ერთი მუქა აგრესიული კაპიტალისტებისა და მათი დაქირავებული მსახურების ხელშია, ხალხისათვის ძნელია ნამდვილი სიმაართლის ცოდნა.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიონისტურ წრეებში გავრცელდა ახალი თავისებური რელიგია: თავისი შინაგანი ძალებისადმი რწმენის უქონლობის პირობებში—ატომის ბომბის საიდუმლოებისადმი რწმენა, თუმცა ეს საიდუმლოება დიდი ხანია უკვე აღარ არსებობს. როგორც სჩანს, იმპერიალისტებს სჭირდებათ ატომის ბომბის ეს რწმენა, რომელიც როგორც ცნობილია, თავდაცვის საშუალება კი არა, თავდასხმის იარაღია. ბევრნი აღშფოთებული არიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ხელს უშლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. წელს ამის წინააღმდეგ ორჯერ განაცხადეს პროტესტი ინგლისელმა მეცნიერებმა, რომლებმაც ორჯერ გამოაქვეყნეს თავიანთი შესაბამისი განცხადებები, რომლებშიც ისინი გამოსთქვამდნენ უკმაყოფილებას იმით, რომ ინგლისი მხოლოდ კვირს უკრავს შეერთებულ შტატებს ამ საქმეში. და ეს სავესებით გასაგებია, ვინაიდან ამერიკისა და ინგლისის ხალხები, არა ნაკლებ, ვიდრე სხვა ხალხები, დინტერესებული არიან, რომ განხორციელდეს ატომური იარაღის აკრძალვაც და გაბერილი შეიარაღების საერთო შემცირებაც. ამასთან საჭიროა გაიგონ, რომ ატომური იარაღის აკრძალვაზე უარის თქმა სამარცხვინო დაღს ასვამს იმპერიალისტებს, მათ წინააღმდეგ ამხედრებს ყველა პატიოსან ადამიანს, ყველა ხალხს.

ან აიღეთ ომის გამჩალებელთა საკითხი. მიუხედავად ამერიკელ და სხვა ექსპანსიონისტთა ყველა პროტესტისა, გენერალურმა ასამბლეამ, თუმცა ზეგაყენით, მიიღო გადაწყვეტილება ახალი ომის პროპაგანდის დაგმობის შესახებ. ამასთან განხილვამ ცხადჰყო, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ და მათი მფარველების წინააღმდეგ, რომლებიც ასრულებენ კაპიტალისტ-მილიარდერების აგრესიული და მოგებასდახარბებული ზედაფენის ნებას და ანგარიშს არ უწევენ თავისი ხალხის ინტერესებს. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობა ორ მსოფლიო ომს შორის განვილი პერიოდში გაიზარდა, თუმცა მისი განვითარება მეტად არათანაბრად მიმდინარეობდა და ორგზის დაეცა 1913 წლის დონეზე გაცილებით დაბლა. სამაგიეროდ, მეორე მსოფლიო ომის წლებში ამერიკის მრეწველობა სწრაფად გაიზარდა და კაპიტალისტებს

აძლევს უდიდეს მოგებას, ხოლო სახელმწიფოს — შემოსავალს, რასაც ახლა ამერიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი იყენებს ყველაფერსავე — ლენინისათვის ყველგან — ევროპასა და ჩინეთში, საბერძნეთსა და ინდოეთში, სამხრეთ-ამერიკასა და შუა აღმოსავლეთში. რასაკვირველია, ცოტანი როდი არიან ომის კონიუნქტურის მოყვარულნი. მაგრამ რა შუაშია აქ ხალხის ინტერესები? რასაკვირველია, ხალხის ინტერესები ძირითადად განსხვავდება ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა ინტერესებისაგან.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს ამერიკის იმპერიალიზმის მისწრაფებას გამოიყენოს ზოგიერთი სახელმწიფოს ომისშემდგომი სიძნელენი, თავს მოახვიოს მათ თავისი ნება არამკითხველ ამერიკული ხელმძღვანელობის აღმით და გზა გაუყაფოს ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობას. მაგრამ ეს სრულებითაც არ ამართლებს იმ ვარაუდს, რომ შესაძლებელი იქნება თავიდან აცილება მზარდი საშინაო სიძნელეებისა, თავიდან აცილება ღრმა ეკონომიური კრიზისის დადგომისა და ამერიკის შეერთებული შტატების სულ უფრო მზარდი გათიშვისა ორ მთავარ დაჯგუფებად: იმპერიალისტურ დაჯგუფებად, რომელიც ამჟამად ავანსცენაზე ხმაურობს, და დემოკრატიულ დაჯგუფებად, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. იმპერიალისტების მადას საზღვარი არა აქვს, და თავიანთი ვიწრო ანგარებითი მიზნების მისაღწევად ისინი მზად არიან რკინის ქუსლით გათელონ დემოკრატიული უფლებანი თავიანთ ქვეყანაში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოების უფლებანი და სუვერენიტეტი. ფაშისტური გერმანიის დამსხვრევის გაცეითლებმა, გერმანიისა, რომელიც დემოკრატიულ ძალებს სთელავდა და თავგასული მიისწრაფოდა მსოფლიო ბატონობისაკენ, როგორც სჩანს, კეჟა ვერ ასწავლეს იმათ, ვინც ახლა ასე ბრმად მიისწრაფვის მთელ მსოფლიოზე ბატონობისაკენ.

ამჟამად მმართველი წრეები ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე დიდ ბრიტანეთში სითავეში უდგანან ერთ საერთაშორისო დაჯგუფებას, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალიზმის განმტკიცებას და სხვა ხალხებზე ამ ქვეყნების ბატონობის მიღწევას. ეს ქვეყნები სითავეში უდგანან იმპერიალისტურ და ანტიდემოკრატიულ ძალებს საერთაშორისო საქმეებში, ცნობილი სოციალისტი ლიდერების აქტიური მონაწილეობით ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა დამყარებულია ამის საწინააღმდეგო პრინციპებზე, დიდი და მცირე სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპებზე, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე. მაგალითისათვის აიღეთ გერმანიის საკითხი.

ამერიკა და ინგლისი ომისშემდგომ დროშიც იმ პრინციპებს რომ იცაოდნენ, როგორიცაა, ვთქვათ, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების დემოკრატიული პრინციპები გერმანიის საკითხზე, რომლებიც შესაძლებელს და ნაყოფიერს ხდიდნენ დიდ მოკავშირეთა თანამშრომლობას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ და ფაშიზმის ნაშთების ლიკვიდაციის მიზნით, თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისის შორის ახლაც კარგ შედეგებს მოგვცემდა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ჩამოშორდნენ ამ დემოკრატიულ პრინციპებს და დაარღვიეს ერთად მიღებული გადაწყვეტილებანი. ეს შეიძლება ითქვას ისეთი ძირითადი საკითხების შესახებ, როგორიცაა გერმანიის დემოკრატიზაცია და

დემილიტარიზაცია და გერმანული ოკუპაციისაგან დაზარალებული ქვეყნებისათვის რეპარაციების გადახდა. ინგლის-ამერიკის ომის შემდგომ პოლიტიკის გატარების შედეგად გერმანიის ოკუპაციის ინგლისური და ამერიკული ჯარებში გაერთიანებულ იქნენ ორზონიან (ბიზონალურ) ტერიტორიად, რომელსაც ერთად მართავენ და რომელმაც პრესაში „ბიზონიის“ სახელწოდება მიიღო, გაერთიანებულ იქნენ იმისათვის, რომ იქ ცალმხრივად გაატარონ ინგლის-ამერიკის პოლიტიკა საკონტროლო საბჭოსაგან დამოუკიდებლად, რომელშიც ოთხივე მთავარი სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობენ. ჩვენს წარმომადგენლებს გერმანიაში ფაქტიურად ახლა საქმე აქვთ მხოლოდ საბჭოთა ზონასთან. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც არ შეუძლია შესწოთება არ გამოიწვიოს გერმანულ ხალხშიც, ვინაიდან ინგლის-ამერიკის პოლიტიკის შედეგად არსებობს „ბიზონია“ და სხვა ზონები, მაგრამ არ არის გერმანია, როგორც ერთიანი გერმანული სახელმწიფო. საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია, რათა განხორციელებულ იქნას იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებანი გერმანიის საკითხზე, რომლებიც ითვალისწინებდნენ გერმანიის როგორც ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას. ამასთან საბჭოთა კავშირში არის იმის სრული გავება, რომ „ბიზონია“ გერმანია არ არის და რომ გერმანულ ხალხს აქვს უფლება თავისი სახელმწიფოს არსებობისა, რომელიც, ცხადია, დემოკრატიული უნდა იყოს და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს ახალი აგრესიის საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს. ამავამდ არსებობს ინგლის-ამერიკის გეგმა — ერთგვარი ნასუფრალის მიცემის გზით დაამშვიდონ გერმანიის ინგლისურ-ამერიკული ზონის მოსახლეობა, დაეყრდნონ აქ უწინდელ გერმანულ კაპიტალისტებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჰიტლერის დასაყრდენს წარმოადგენდნენ, და მათი დახმარებით „ბიზონია“, მისი რურის სამრეწველო აუზიანად, გამოიყენონ როგორც მუქარა იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც მონურ მორჩილებას არ იჩენენ ევროპაში ზატონობის ინგლისურ-ამერიკული გეგმების მიმართ. მაგრამ ეს ავანტიურისტული გეგმები გერმანიის შესახებ კარგს არაფერს გამოიწვევენ და, რა თქმა უნდა, უარყოფილ იქნებიან დემოკრატიული ევროპის მიერ.

გერმანიის საკითხის მავალითზე ჩვენ ვხედავთ, თუ რა ძლიერ შორდებიან ინგლის-ამერიკის ახლანდელი პრინციპები საბჭოთა კავშირის პრინციპებს, ვინაიდან ინგლის-ამერიკის ახლანდელი პრინციპები გამსჭვალული არიან აშკარა იმპერიალიზმით, ხოლო საბჭოთა კავშირი მტკიცედ დგას დემოკრატიულ პრინციპებზე.

საბჭოთა კავშირი, როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნებიც, ემზრობა მშვიდობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას დემოკრატიულ საფუძვლებზე. ახლანდელ პირობებში ეს მოითხოვს ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ბანაკის მთელი ძალების გაერთიანებას ევროპაში და ევროპის ფარგლებს გარეთ, რათა შეიქმნას მიუვალი ბარიერი გააქტივებული იმპერიალიზმისა და მისი აგრესიული ახალი პოლიტიკის წინააღმდეგ.

დემოკრატიული ძალების დარაზმვა და იმპერიალიზმისა და მისი სამხედრო ავანტიურების ახალი გეგმების წინააღმდეგ გაბედული ბრძოლა ხალხებს გააერთიანებს მძლავრ არმიად, რისი ბადალიც არ შეიძლება ჰყავდეს იმპერიალიზმს, რომელიც უარყოფს ხალხთა დემოკრატიულ უფლებებს, სთე-

ლავს ერების სუვერენიტეტს და თავის გეგმებს მუქარასა და ავანტიურებზე აგებს. იმპერიალისტთა რიგებში ძლიერდება მოუსვენრობა და მუქმითობა, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ ნიადაგი იმპერიალიზმის ფესვებს იჩეუვს, ხოლო დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები დღითი დღე იზრდებიან და მტკიცდებიან.

რა შეუძლია იმპერიალიზმის პოლიტიკას მისცეს ხალხებს? მხოლოდ ჩაგვრის გაძლიერება, საქლეველი ფაშიზმის ნაშთების აღორძინება და ახალი იმპერიალისტური ავანტიურები. ხალხებს თვალი უნდა აუხილოთ ამაზე და დაერაზმონ მთელი დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ძალები იმისათვის, რათა ჩაეშალოთ ხალხთა ეკონომიური დამონების ყოველგვარი გეგმა და ყოველგვარი ახალი ავანტიურა იმპერიალიზმის მხრივ.

საბჭოთა კავშირის ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა დიდი ლენინის სიტყვების სამართლიანობა იმ ხალხის უძლეველობის შესახებ, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება:

„ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავის საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვებაც მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას ისარგებლონ კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის მთელი ნაყოფით“.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ ხალხთა მთელი ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ძალები გავეერთიანოთ სასიცოცხლო ინტერესების ერთიანობით შედუღებულ ერთ მძლავრ ბანაკად, იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ, ხალხთა დამონების პოლიტიკისა და ახალი ავანტიურების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად, საქმისადმი ფხიზელი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ჩვენს დროში ახალი იმპერიალისტური ავანტიურები კაპიტალიზმის ბედისათვის საშიში თამაშია. ზოგიერთ მინისტრსა და სენატორს შეიძლება ეს არ ესმოდეს. მაგრამ, თუ ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ბანაკი დარაზმავს თავის ძალებს და ყველა თავის შესაძლებლობას გამოიყენებს, იგი იმპერიალისტებს აიძულებს უფრო გონივრულად და მშვიდად მოიქცნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ კაპიტალიზმი დაინტერესებული როდია თავისი საკუთარი დამხობის დაჩქარებით.

III

საბჭოთა კავშირი და კომუნიზმი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წელში შესვლისას, ჩვენ კმაყოფილებით ვავლებთ თვალს განვლილ გზას და რწმენით შევყურებთ მომავალს. დიდია საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებანი. სოციალიზმი ღრმად დამკვიდრდა მთელ ჩვენს ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უკვე გაიზარდა ახალი თაობა, რომელიც შლის თავის არწივისებურ ფრთებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი რევოლუციის უმნიშვნელოვანესი მონაწილეა 2. „მნათობი“, № 11.

საქართველოს
საგარეო ურთიერთ-
ობის მინისტრის
ბიკლინიძე

9375
127860

რი არის ადამიანების, როგორც საბჭოთა პატრიოტების, ახალი სულიერი სახე და იდეური ზრდა. ეს ეხება ყველა საბჭოთა ხალხებს, როგორც ნაპოლეონის, ისე სოფლებს, როგორც ფიზიკური შრომის ადამიანებს, ვხე. კონკრეტული შრომის ადამიანებს. ეს არის, ნამდვილად, ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი წარმატება, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ახლა საბჭოთა ადამიანები ის აღარ არიან, რაც 30 წლის წინათ იყვნენ.

ახლანდელი საბჭოთა ადამიანების სულიერი სახე სიანს, უწინარეს ყოვლისა, თავისი შრომისადმი, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი და როგორც საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე წმინდა მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულებით. ამჟამად ყოველ საწარმოში არიან სტახანოველი კაცები და ქალები. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მთელი კოლმეურნეობანი მოიცვა. შეჯიბრების საქმეში ჩაბმული არიან მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობა, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწენი. შეჯიბრების ფართო გაქანება და შინაარსი განსაზღვრავენ ახლა ყველგან საბჭოთა ადამიანებს შორის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დონეს. შეჯიბრების საყოველთაო ხასიათი შრომის ნაყოფიერების აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.

ახლა ფართოდ გავრცელდა ახალი მოძრაობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ცალკე მუშები კისრულობენ პირადს ვალდებულებებს ვალდებულ შეასრულონ წლიური გეგმები და მთლიანად ხუთწლიდი, რაც ომამდელ პერიოდში არ ყოფილა. მოსკოვში, ლენინგრადში, დონბასსა და მთელ ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ვითარდება ეს მოძრაობა, რომელიც მოწმობს მუშების სოციალისტურ შეგნებულობას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ბერკეტია ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების გადიდების მთელ რიგ მნიშვნელოვან ბერკეტთა შორის.

წელს ვადამდე მთავრდება პურის დამზადების გეგმის შესრულება. სახელმწიფო დაახლოებით იმდენსავე პურს მიიღებს, რამდენსაც ომამდელ საუკეთესო წლებში იღებდა, თუმცა ნათესი ფართობების სიდიდე და ტექნიკური აღჭურვილობა ომამდელზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ნაკლებია. ეს წარმატებანი მიღწეულია რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მეოხებით და განსაკუთრებით შეჯიბრებაში კოლმეურნეთა მთელი მასის, მრავალი მილიონი კოლმეურნის აქტიური მონაწილეობის მეოხებით.

ჩვენ შიშვე დროებას განვიციდით ომის პირველ პერიოდში, სანამ მთელი მუშაობა ახალი ვითარების შესაბამისად არ გარდაქმნით. ზურგში მშრომელების თავდადება და ფრონტზე ჩვენი არმიის გმირობა, როგორც მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, იყო მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმის გამოხატულება.—და ამან უზრუნველყო ჩვენი გამარჯვება მტერზე. საბჭოთა პატრიოტიზმის ახლანდელ აღმავლობაში თავის ღირსშესანიშნავ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ადამიანების დღევანდელი იდეური დონე და სულიერი ზრდა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში მეტად გამძლეა. და ამიტომ პარტია ყოველთვის მოაგონებს საბჭოთა ადამიანებს, რომ საჭიროა წარსულის ამ მავნე ნაშთების ლიკვიდაციისაკენ მიმართული ყოველმხრივი კრიტიკა და თვითკრიტიკა. მეორე მხრივ, არ

შეიძლება იმის უარყოფა, რომ ახლა ჩვენ მოგვეპოვება უდიდესი შესაძლებლობანი ამ ნაშთების ლიკვიდაციისათვის წარმატებით ბრძოლისთვის მოვებლად.

გინგლინიანი

ჩვენი მოსახლეობის კულტურული დონე ყოველმხრივ ამაღლდა. მოსწავლეთა რიცხვმა, წიგნების გამოცემამ, მასობრივმა საგანმანათლებლო მუშაობამ უკვე დიდი ხანია მიაღწია ისეთ მასშტაბს, როგორც არცერთ სხვა ქვეყანაში არ არის. ჩვენი ინტელიგენცია, კულტურის მუშაეები, მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანები ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, გამსჭვალული არიან საბჭოთა პატრიოტიზმით. არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს, რომ ამჟამად ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები იმ მწერალთა კალამს ეკუთვნის, რომლებიც გრძნობენ თავიანთ განუყრელ იდეურ კავშირს კომუნისტთან. ჩვენს ქვეყანაში კომუნისტში აღაფრთოვანებს ადამიანებს შთაგონებული შრომისათვის, სამშობლოს დასაცავად გამირული ბრძოლისათვის, მაღალი იდეური შემოქმედებისათვის.

სახლვარგარეთელი დაქირავებული ბურჟუაზიული მეცნიერელები ომის დროს წინასწარმეტყველებდნენ, როცა საბჭოთა ადამიანები, თავიანთ საბრძოლო ლაშქრობებში დასავლეთის წესწყობილებასა და კულტურას გაეცნობიან და ევროპის ბევრ ქალაქსა და დედაქალაქს ინახულებენ, შინ იმ სურვილით დაბრუნდებიან, რომ თავიანთ სამშობლოში ასეთივე წესწყობილება დაამყარონ. ხოლო რა გამოვიდა? დემობილიზებული ჯარისკაცები და ოფიცრები, სამშობლოში რომ დაბრუნდნენ, კიდევ უფრო მგზნებარედ შეუდგნენ კოლმეურნეობათა განმტკიცებას, ფაბრიკა-ქარხნებში სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას და საბჭოთა პატრიოტების მოწინავე რიგებში ჩადგნენ.

ჩვენში ჯერ კიდევ ყველა როდი განთავისუფლებულა დასავლეთის წინაშე, კაპიტალისტური კულტურის წინაშე ქედის მოხრისა და მონური მორჩილებისაგან. ტყუილად კი არ იყო, რომ ძველი რუსეთის გაბატონებული კლასები ხშირად სულიერად დიდად იყვნენ დამოკიდებულნი ევროპის კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ სახელმწიფოთაგან. ეს შესაძლებელს ხდიდა დაენერგათ ძველი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში არასრულფასოვნობისა და ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებზე სულიერი დამოკიდებულების მონური შეგნება. თუ ამ სამარცხინო ნაშთებისაგან არ განთავისუფლებულხარ, არ შეიძლება ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე იყო. სწორედ ამიტომ საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ასეთი გადამწყვეტი მისწრაფებით რაც შეიძლება მალე მოუღონ ბოლო წარსულის ამ ნაშთებს, გააჩაღონ დასავლეთისა და მისი კაპიტალისტური კულტურის წინაშე ქედის მოხრისა და მონური მორჩილების ყველა და ყოველგვარ გამოვლინებათა უღმობელი კრიტიკა.

თქვენ იცით ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვები საბჭოთა მოქალაქინ შესახებ:

„საბჭოთა უკანასკნელი მოქალაქე, კაპიტალის ბორკილებისაგან თავისუფალი, გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი თანამდებობის ყოველ სახლვარგარეთელ მოხელეზე, რომელიც თავისი კისრით ეწყევა კაპიტალისტური მონობის უღელს“.

რაც უკეთ გაიგებენ საბჭოთა ადამიანები ამ სტალინურ მოწოდებას საბ-

ქოთა მოქალაქის შეგნებისა და ღირსებისადმი, მით უფრო ჩქარა გავწევით წინ ჩვენი დიადი მიზნისაკენ.

მთელი ამ 30 წლის განმავლობაში ჩვენ მუხსავით გვინახავდნენ მსგავს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები. ჩვენი წინსვლა დამყარებული იყო ლენინისა და სტალინის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე. ჩვენი გზა იოლი როდი იყო. მტერი მოქმედებდა გარედანაც და შიგნითაც. ბოლშევიკურ პარტიაშიც კი ჰყავდა მტერს თავისი აგენტურა ტროცკისტების, მემარჯვენე და სხვა გამცემლებისა და მოღალატეების სახით. ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტია ყველა ამ განსაცდელიდან განმტკიცებული გამოვიდა, გასწმინდა თავისი რიგები და დაირაზმა დიად ძალად. ეს ძალა ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის უმაღლესი გამოხატულებაა, ხალხისა, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნისტური საზოგადოებისაკენ. ეს ძალა, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, ამჟამად გვიჩვენებს საყოველთაო მშვიდობის გზას, სისხლისმღვრელი ომებისაგან განთავისუფლების გზას, კაპიტალისტური მონობის დამხობისა და ხალხთა და მთელი კაცობრიობის დიადი პროგრესის გზას.

როგორც გამოცდილებამ ცხადჰყო, თანამედროვე კომუნისტური მოძრაობა ბევრ ქვეყანაში იმდენად გაიზარდა და განმტკიცდა, რომ უკვე შეუძლებელია ამ მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება ერთი ცენტრიდან. ამაში ჩვენ ვხედავთ კომუნიზმის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმატებას ჩვენს დროში. ამასთან ერთად გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ კომუნისტურ პარტიებს და, უწინარეს ყოვლისა, ევროპის ყველაზე ძლიერ კომპარტიებს, უნდა ჰყავდეთ გამაერთიანებელი ორგანო, რათა განხორციელონ შეხედულებათა მუდმივი ურთიერთვაზიარება და, როცა აუცილებელია, უზრუნველყოთ კომუნისტური პარტიების მოღვაწეობის კოორდინაცია ურთიერთთანხმობის წესით. ეს ხელს შეუწყობს კომუნისტური მოძრაობის შემდგომ ზრდას და ფართო მასებში მისი გავლენის გაძლიერებას. ბოლშევიკური პარტია მიესალმება კომპარტიების ამ მომწიფებულ ღონისძიებებს და ყოველგვარ წარმატებას უსურვებს მათ.

30 წლის წინათ ბოლშევიკური პარტია თავისი ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდა. მაგრამ მაშინ ლენინ-სტალინის პარტიამ მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მომწიფებელი ისტორიული საჭიროებანი, მძლავრი დასაყრდენი ჰპოვა ხალხის მასებში და ხალხმა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა რევოლუციური გამარჯვება. ახლა ყველა ხედავს სოციალიზმის ამ გამარჯვების ნაყოფს და მის დიად საერთაშორისო მნიშვნელობას.

ამჟამად დემოკრატიისა და სოციალიზმის გაერთიანებული ძალები, ევროპაში და ევროპის ფარგლებს გარეთ, გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მათი მოწინააღმდეგე იმპერიალიზმის ანტიდემოკრატიული ბანაკი.

კაპიტალიზმი კაცობრიობის პროგრესის შემაფრთხებელი გახდა, ხოლო განგრძნობა იმპერიალიზმის ავანტიურისტული პოლიტიკისა, რომელმაც უკვე გამოიწვია ორი მსოფლიო ომი, მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის-მოყვარე ხალხებისათვის. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაანახვა ხალხებს, რომ კაპიტალიზმის ხანა აღსასრულს უახლოვდება, და რომ გახსნილია საიმედო გზები საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა დიადი პროგ-

რესისავენ. იმპერიალისტების ფეხქვეშ ნიადაგი ირყევა, და მათი სასურველი ღონისძიებანი ვერ იხსნიან კაპიტალიზმს მოახლოებულ დაღმართში. ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდის.

დიდმა ლენინმა ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა სახელმწიფოს და გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის გზაზე, რომელმაც ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის მრავალსაუკუნოვან ექსპლოატაციას. ლენინის გზას მიეყვართ ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

დიდ სტალინს მიჰყავდა და მიჰყავს ჩვენი ხალხი კომუნიზმის სახელოვანი გზით. სტალინის სახელი, ხალხთა უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით გარემოსილი, გამოხატავს ძლევაშობილი საბჭოთა კავშირის სიდიადეს და კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის საბრძოლველად მოგვიწოდებს.

ამხანაგებო!

ბოლშევიკები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან თავისი ხალხის ავანგარდი! საბჭოთა ადამიანები პროგრესული კაცობრიობის პირველ რიგებში დგანან, ოქტომბრის რევოლუციის დიადი მიზნების რწმენით გამსჭვალულნი! გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავს!

ლენინის დროით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

(ამხანაგ ვ. მ. კოლოტოვს არაერთხელ აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშით.

მოხსენების დასკვნითი სიტყვები მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას იწვევს. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები: „ვაშა დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!“, „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!“).

ხალხთა დიდ გულად ახსანაბ სვალის



ქართული მხარეების მიმართ, მიღებული საქართველოს საბჭოთა
მხარეების ქავერის გამომცემის სახელით აღწერილი 1947 წლის 5 ნოემბერს

საბჭოთა საქართველოდან დაბლობებით და ქედებით,
გულთბილ მადლობას გითვლიან გამრჯე ქართველი დედები.

შენ სურათს ვარდებს ესერიან ქვეითები და მხედრები.
მთელი ხმით შენზე მღერიან ქართული სიტყვის მთქმელები.

შენ გიგალობენ, ბელადო, შენ გესწრაფიან, მზიანო,
მღერიან: ყოველ მიღწევას შენი სახელი ჰქვია.

მღერიან, ტურფა სამშობლოს შენი ნათელი ედება,
ღრუბლები გადაიყარეს კავკასიონის ქედებმა.

რამდენ ქედზე და მწვერვალზე შენმა ხმამ სწორედ გვატარა,
ესლა გადიდებს ახლობელს ხალხში დიდი და პატარა.

ლენინთან ერთად ოქტომბრის შენ საძირკველი ჩაპყარე,
წინ მიგვიძღოდი ბრძოლაში და გამარჯვება გვახარე.

შენი ფრთის ჩრდილში ვიზრდებით, მშრომელი შენ გულს მიენდო,
ხალხის დიადო გულისთქმავ, მოამაგევ და იმედო.

სტალინი! სამშობლო გუგუნებს. სტალინი, გიმღერის ბუნება
და ეს სახელი ბრწყინვალე ხალხის გულს ესალმუნება.

რა მძიმე იყო წარსული, კისერზე გვედგა უღელი,
გმინავდა ხალხი ქართველი, ღრტვინავდა ქედმოუხრელი.

მაგრამ გულს როდი გვიტეხდა ჩვენს ცაზე შავი ღრუბლები,
ბნელს იქით სჩანდა ნათელი — რიყრაყი თავისუფლების.

ამ რიყრაყს სჭერეტდა ილია, უმღერდა მის დამკვიდრებას,
ქართული სიტყვის მდროშე, ჩვენი მწერლობის დღება.

ამ მომავლისთვის აკაკის უტკბეს ჩანგს ცრემლი სდენია,
მას უმღეროდა მთებიდან ვაჟა-ფშაველას გენია.



დრო დადგა გამოფხიზლების, უდიდეს გარდატეხათა,
მუშათა ამოძრავება ცარიზმს დაატყდა მეხადა,

ახალი კლასი უტევედა, ძლიერი, ფეხზე დამდგარი,
ლენინი იყო რუსეთში ამ ბრძოლის ბაირახტარი.

სტალინი აჰ, ჩვენში, შენ იყავ მშრომელი ხალხის ნუგეში,
მისი მედროშე, ბელადი, ჯერ კიდევ სიჭაბუკეში.

ლენინი იყო ჩაგრულთა იმედის გასხივოსნება,
„მე უნდა ვნახო ლენინი!“—ეს იყო შენი ოცნება.

მაღე ნატვრა სიჭაბუკის აგისრულდა მომხიბვლელი,
ურთერთს შეხვდით მთის არწივი და მგზნებარე კოლხბდელი.

და იმ დღიდან განამტკიცეთ მეგობრობა არნახული,
რომ ხალხისთვის მოგეტანათ საოცნებო გაზაფხული.

თქვენ ერთად სუვედეთ პარტია ბრძოლის ქარცეცხლში ნაწრთობი,
ჩვენი გზის მანათობელი, გაუჭრობელი მნათობი.

პარტია ხალხთა მასებში თქვენივე სიბრძნის მოესავეი,
პარტია ბოლშევიკების, მტკიცე, ურყევი კლდესავით.

წინ თქვენ უძლოდით პარტიას, მის განუწყვეტელ იერიშს,
უკანასკნელი დარტყმისთვის ხალხი დარაზმეთ ძლიერი.

და დადგა ცხრაასჩვიდმეტი, დღე ვადამწყვეტი ბრძოლების,
მაშინაც შენ და ლენინი იყავით წინამძღოლები.

აყვავდა თქვენი მოძღვრება ქვეყანას გადაფენილი,
რაც გულში ჰქონდა მშრომელ ხალხს შთაგონებული, სმენილი.

შემოგახედათ მთელი რუსეთი, მაშვრალთა ვაშა გულწრფელი,
გამოჩნდით ორი ბელადი, ორი მედროშე უცვლელი.

ახლად ასაგებ სახლისთვის ჩაპყარეთ სხვა საფუძველი,
ხალხს თქვენს სიმართლეს უხსნიდა მებრძოლი „პრავდის“ ფურცელი.

თქვენ შთაგონეთ მშრომელებს სამშობლოს დასაკუთრება,
თქვენ მოუწოდეთ: „შეტევა!“, „საბჭოებს ძალაუფლება!“.

მათ თქვენა ჰყავდით მნათობნი მრისხანე ქართა ქროლაში,
თავისუფლების მძებნელებს—სიმართლისაკენ სრბოლაში,

ოქტომბრის დიად დღეების თოფ-ზარბაზნების სროლაში თქვენ წაიყვანეთ მშრომელნი მედგარ, გადამწყვეტ ბრძოლაში.

როცა პიტერის მასებმა ბრძოლის ყიეინა დასძახეს,
როცა მებრძოლთა რაზმები მიეჭრა ზამთრის სასახლეს,

დროშა ასწიეს მასებმა, რაც თქვენ ოდითვე გპერიათ,
საქმედ გადიქვა — თქვენს მარჯვენს რაც სიტყვა დაუწერია.

აღსრულდა! ქვეყნად აენთო რევოლუციის ზანძარი,
ზღვას გაჰკიოდა „ავრორა“, მიწას გაჰქონდა ზანზარი.

ძველი სამყაროს მღეწველი, ახალი ქვეყნის მჭედელი,
თავისუფლების სიმბოლოდ გადიქვა სმოლნის კედელი.

ამ დროს-კი ჩვენში გამეფდა მენშევიკების მთავრობა,
გამეფდა ეამი სასტიკი, რბევა, ჩაგვრა და მძლავრობა.

მხოლოდ ომი და სისხლის ღვრა, — ეს იყო მათი მიზანი,
ერთმანეთს გადაამტერეს ხალხები მეზობლისანი.

ეამათ ჩარჩებს, მჩაგვრელებს, — წამოიშალნენ ქორები,
კვლავ ბატონობის აღდგენას ლამობდნენ მუქთახორები.

მტრის სათარეშოდ აქციეს ჩვენი მთები და ველები,
თავისუფლებას აღრჩობდნენ საშობლოს გამყიდველები.

რუსეთთან გზები ჩაჰკეტეს, მტრებს-კი გაუღეს კარები,
გერმანელების ჯარს მოჰყვინენ ინგლისელების ჯარები.

ვის არ იწვევდნენ სალაშქროდ, ვის არა სცემდნენ თავყანსა,
მოსწყვიტეს ჩვენი ქვეყანა რევოლუციის აყვანსა.

დაიკავშირეს თეთრებიც, — მტრის გარიყული ძალები,
ღონის-როსტოვის, ყუზანის შავბნელი ნაძირალები.

თან ცეცხლში ხელებს ითბობდნენ, ლეიოდა ომის ლადარი,
შავი ზღვის გველეშაპივით გადმოსულიყო თათარი.

მას ჩვენი შთანთქმა ეწადა, მსხვერპლი ეწადა ძალიან,
აღარ იკმარა ურჯულომ, რაც ჩვენი სისხლი დალია.

ამ დროს რუსეთის ქვეყანას, როგორც მძვინვარე აღქარი,
გარედან შემოსეოდა თითხმეტი ქვეყნის ლაშქარი.

სისხლი ეწადა დენიკინს, ვრანგელიც იმუქრებოდა,
რევოლუციის ხანძარი მინც აღარა ჰქრებოდა.



ლენინთან იყო სტალინი, ოქტომბრის დროშას ჰფიცავდა,
მხნედ გასძახოდა პეტროგრადს, მკერდით ცარიცინს იცავდა.

იცავდნენ,—ძმათა ნაფიცთა სიმტკიცის გამომხატველნი,—
ჩრდილოეთს — მთების არწივი, სამხრეთს—მგზნებარე ქართველი.

დამარცხდნენ დამპყრობელები, დაცხრა მძვინვარე ხანძარი,
ბოლო მოეღო დენიკინს, ვრანგელს დაეცა თავზარი.

კვლავ ქუხდა კავკასიონი, მტკვარი კვლავ ბედზე სწიოდა,
საუკუნეთა ნაღველი ნაპირზე გადმოსდიოდა.

და იყო შფოთი ხალხისა, კვლავ მოწოდება გმირული,
ჩარჩებზე, დამჩაგვრელებზე შეტევა თავგანწირული.

ჩვენ ოქტომბერმა დაგვიხსნა, მზე ამოვიდა გორიდან,
ის ჩვენი დიდი იმედი თებერვლის თვეში მოვიდა.

მისი აქ მოსვლა პირველად, ვით გამარჯვების ნაღარა,
სტალინის თანამებრძოლმა ორჯონიკიძემ გვახარა.

გათავდა ბრძოლა, სისხლის-ღვრა, განუწყვეტელი თარეში,
მშვიდობის დილა გათენდა ჩვენს გამარჯვებულ მხარეში.

და შრომის საღარაჯოზე დადგნენ, ვით რკინის კედელი,
სოფლის მშრომელი გლეხკაცი, ქარხნის მუშა და მჭედელი.

გმირულად, თავგანწირულად, ძალღონის შემოკრებითა,
შშობლიურ ქვეყნის აღდგენას ერთად შეუდგნენ მხრებითა.

მას შემდეგ ჩვენი სამშობლო მშრომელი, მხნე და მედგარი,
მალლა, სულ მალლა იზრდება დიდების გზაზე შემდგარი.

ჩვენ თებერვალი გვახარებს, ის მუდამ ოქროსფერია,
ის ჩვენი ქვეყნის დამცველი და ჩვენი ოქტომბერია.

როს მიდიოდა ლენინი — ჩვენი მამა და მშობელი,
ძაძებში გახვეულიყო ქალაქი, დაბა, სოფელი, —

ლენინთან შენაფიცარი და ლენინივით დელვილი,
შენ მტკიცედ დადემ დროშასთან, თანამებრძოლი ლენინის,

და წინ წაიღე ბრძოლებში მრავალ ბრძოლების მიმთვლელი
 ლენინის დროშა დიადი, პარტიის დროშა წითელი.

ქართული
 გიგლიჩიძე

შენ ჩაუყენე ვაეკაცებს სიმხნე, სიქველე ლენინის,
 შენ ასახელე სამშობლო, წინათ მტრისაგან დევნილი.

შენ გაიყოლე ბრძოლებში რაზმი და რაზმი რჩეული...
 და ახლა, როცა ზეიმობს ქვეყანა გამარჯვებული, —

შენ ისევ დგები კრემლის წინ, სადაც ვარსკვლავი კაშკაშებს
 და ესალმები კრემლიდან შრომის და ბრძოლის ვაეკაცებს.

კრემლის წინ დგანან დროშები, მთებზეც დროშები მიღელავს,—
 ეს ხალხი მოგესალმება, ისმის ქართული სიმღერაც.

ქართველი მღერის ქართულად, ჩონგურის სიმი წყრიალებს,
 მოჰქრის მთებიდან არწივი და კლდეებს მოაშრიალებს.

ჩვენი ოცნებაც მანდ არის, სადაც კრემლია მაღალი,
 რადგანაც კრემლში მუშაობს ჩვენი მამა და სარდალი.

და მაშინ, როცა სალუტის ზალბი-ზალბს გაეკიდება,
 დროდადრო ფიქრი წაგიღებს, დროდადრო გაგელიმება,

მოგაგონდება განელილი ქამი, ფიცი და ლენინი...
 მოგაგონდება ძაძებში დროშები ძირს დაფენილი.

თავს ფიქრი შემოგეხვევა, როგორც ნისლევი მყინვარის
 და დგებარ მავზოლეუმზე არწივი ხმა-გამყიფარი.

ხედავ: მთებს, წინად ნაოხარს და განახლებულს ამიერ,—
 ეს შენი დიადი ფიცი იზრდება მრავალქამიერ.

ახლა, როცა ცას მიარღვევს გამჰრიახი ორბის თვალნი,
 ჩვენო დიდო შუქნათელო, ჩვენო მზეო, ჩვენო სტალინი, —

კრემლის დიდი ქონგურები, ვარსკვლავების დიდი გუნდი
 იმოსება ოქტომბერის ლალითა და იაგუნდით, —

აღარ ჩივის ალაზანი და ლიახვიც აღარ ჩივის
 და ჩვენ ვმღერით, რომ ქვეყანას ვემსახუროთ ილიჩივით!

ჩვენი ტურფა ივერია, ჩვენი მთა და ჩვენი ბარი
 მუდამ იყო მაღლიერი თავის დიდი მეგობართ.



და რუსეთიც — ეს ნიადაგ უფროსი ძმა ძმათა შორის,
ხუმბუტით გულმართალი, ხუმბუტით თანასწორი, —

დგას პირველი... და კრემლიდან წამოსული შუქნათელით
იმოსება ზღვიდან ზღვამდე რესპუბლიკის მთა და ველი;

იმოსება შუქნათელით კავკასიის დიდი მთები,
სადაც მზესთან თამაშობენ ივერიის არწივები.

სხივი მტკვარზე გაფენილა, სანაპიროს გზანი ჰქრიან,
ეს ბერიას ნაშენები ახალ თბილისქალაქია.

ახლა სხვაა საქართველო! სხვაა მისი მთა და სერი
და ქართველი კოლმეურნეც თავისუფალ შრომას მღერის.

სხვაა მისი მარგანეცი, ქვანახშირი, ღვინო, ხილი,
მისი ჩაი და თამბაქო, და ყანები თავდახრილი.

მოდის უხვი საქართველო ლიმონით და ფორთოხალით,
მოდის გზებზე, და ქალაქებს ავსებს მისი მოსავალი.

ჩვენს ოცნებას და სიმღერას გაუშლია ლაღად ფრთები,
რადგან შენით შუქმოსილან საქართველოს მთა-ველები.

ასე იყო ომის წინაც, ასე რეკდა შრომის ლელო,
ხუმბუტ მოძმე რესპუბლიკას მხარში ედგა საქართველო.

საქართველოს მთებს და ველებს ჩვენც ვუღვიქით დარაჯებად,
ჩვენი წმინდა მცნება იყო: სტალინი და გამარჯვება!

ჩვენ თუ შრომას და ცხოვრებას ვუმღეროდით ყველა მაშინ,
ტრაქტორების მწკრივი იდგა სტალინგრაძის ქარხანაში, —

ზეინკალი ფოლადს სჭრიდა, კოლმეურნე ყანას მკიდა
და სიმღერა მოისმოდა სოფლიდან და ქალაქიდან.

მაგრამ უცბად ხმა გაეარდა, ხმა გაეარდა ბობოქარი,
ყანებს, ბაღებს და ვენახებს ძირიანად ჰგლეჯდა ქარი.

არა! ქარი ის არ იყო! ის არ იყო ქარიშხალი!
ღამეს ცეცხლი აელვებდა, ცას სწვდებოდა მისი ალი.

ჩვენს ხაზღვრებში შემოიჭრა ჩვენი მტერი ძველთაძველი
და შეცურდა ომის ცეცხლში რესპუბლიკის მთა და ველი.

მოგვადგა მტერი ნიაღვრით, ჯავშანასხმული ყელამდი,
შავი ზღვის სანაპიროდან თეთრი ზღვის მისასვლელამდი.



ქვეყნად ვისა აქვს სამშობლო, ჩვენსავით დასაფიცარი,
ჩვენი ნატრა და გულისთქმა, ჩვენი სიცოცხლეც ის არი!

ქვეყნად ვისა ჰყავს ბელადი, შენებრ ბრძენი და გულადი —
ხალხის გულში რომ იცოცხლებს—ამ ქვეყნის დასასრულამდი!

ასე მიტომ შემოერთყა ჩვენს სამშობლოს ხალხი კედლად,
და მტრის ტყვიას ტყვიით დახვდა, მკერდსაც მკერდი შეახვედრა.

ასე მიტომ დადგა ფეხზე მამულისთვის ერთად ყველა,
ძმა ძმას გაჰყვა ბრძოლის ველზე და შეიღს მამა მიეშველა,

საბჭოეთის ყველა კუთხივ, ყველა ქოხმა, ყველა კერამ,
როგორც ქვეყნის ერთმა გულმა—ერთიანად იწყო ძგერა.

ამოდულდა ხალხის რისხვა, აღრეც ბევრჯერ ნარისხვალი
და შენს დროშას, წმინდა დროშას, გაჰყვა როგორც ქარიშხალი.

გაჰყვა, რაც ჩვენი სიმტკიცის ძალა და ფუძე ყოფილა, —
ხალხი-ხალხს, შენმა უკვდავმა საქმემ რომ დაამოძილა.

ეს ძმობა იდგა მოსკოვთან, როგორც ურყევი კედელი,
ეს ძმობა ედგა ლენინგრადს — მისი დიდების მკვდელი.

ეს ძმობა, რასაც ომამდე ძმა-ძმას შრომაში ჰფიცავდა,
ომში ფოლადად ქცეული, მტრისგან სტალინგრადს იცავდა.

ამ ძმობამ, ისრის კონებად შენ რომ იმ თავით შეჰკარი,
თერგზეც ჩაჰკეტა მტრისათვის ყველა ხევი და კლდე-ჭარი.

ბრძოლის ველზე გასულ გმირებს შინაც გმირთა კერა დარჩათ,
შრომა გახდა სასახელო და გმირობად იქცა გარჯა.

თუმც მოაკლდა კაცის ხელი თვალუწვდენელ ხნულს და სამკალს,
ომში წასულ შეილის დედამ არ მოჰკიდა ჟანგი ნამგალს,

არ მოჰკიდა მიწას ხავსი, არ დაატყო მტვერი ფიწალს,
ქალი გახდა გუთნის დედა, რომ ჰქონოდა მადლი მიწას.

ყველგან, სადაც მოუწოდე შინდარჩენილ მშრომელს დგომა,
დადგა, როგორც ჯარისკაცი და დააწრთო რკინას შრომა.

დადნა რკინა, ხეავი დადგა, მიწის მადლი დადგა ზვინად,
გულხეავი და უფრო მეტი, რაც ჰქონია მადლი წინად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ველზე გვირის ბრძოლამ, შრომაშიაც გვირის გარჯამ
მტერს სძლია და, დიდო სტალინ, შენი დროშით გაიმარჯვა!

ამ ბრძოლას, შრომას, გვირობას, ბურჯივით ედგა ქართველი.
ბერლინის კართან იბრძოდნენ ქართლში გაზრდილნი მართეობიც.

ბერლინის თავზე ამართულ დროშას მრავალგვარ ნატყვიარს,
ქართველი კაცის გვირობის ერთი ნაქდევიც ატყვია!

ვიბრძოდით, ომი გათავდა, მოგვეყურდა შრომის ხელობა,
ხნულს დაუბრუნდა პატრონი, თესლიც ზომ მთესველს ელოდა!

დაზვასთან გაჩნდა ოსტატი, გრდემლთან, ქურასთან მკედელი,
გაჩაღდა შრომის გუგუნი მწყობრი და შეუწყვეტილი.

მაგრამ მტერმა განა ერთგან მოგვიშალა მყუდრო კერა,
განა ერთი ხეავის დენა მოგვისპო და შეგვიჩერა!

განა ერთგან გამოკვეტა ქარხნის კარი, სახლის კარი, —
განა ერთგან უნდა ჩავდგათ კედელი და ფუძე მყარი.

და ისევ შენ, ბრძნული ხელით, რა წამს ჩადგა ომის დელგმა,
დიდო სტალინ, დავისახე ბრძოლისა და შრომის გეგმა!

ამ გეგმით კედლებს ჰკირავენ ომგადახდილი მხედრები,
ამ გეგმით სთლიან ჩუქურთმებს ზუთწლედის ოქრომქედლები.

ეს გეგმა უდევს საძირკველად ყველა ბრძმედსა და მალაროს,
მან უნდა გახსნას ქვესკნელი, უდაბნო უნდა ახაროს.

საქართველოშიც ანათებს ამ გეგმის შუქი მალალი,
მტკვარზე იზრდება დევგვირი—ქალაქი ახალთახალი:

რუსთავი—დღემდე მძინარი, როგორც უდაბნო გამხმარი,
დღეიდან ჩვენი იმედი და ჩვენი ქვეყნის ფარ-ხმალი.

ქუთაისშიც იბრძვის გვირი, დღე-ცისმარე ფოლადს სჭედავს,
რომ აკმაროს ურმის დევნა მუხრესა და გუთნის ღედას;

რომ ასწიოს სოფლის ტვირთი ძრავის ერთმა გაქანებამ,
და ააესოს ქვეყნის გზები ქუთათურმა მანქანებმა.

ასე ავსებს ხალხის დოვლათს იმ უკვდავი გეგმის მადლი,
ასე, უკვნობ ბალნარივით, თვალწარმტაცი მოსჩანს ქართლი.

მოსჩანს,—სამგორს ივრის წყალი ბალ-ვენახით როგორ მოსავს,
ყოველ ბალში, ყოველ შტოზე ტახტი უდგა დილის მგოსანს.

ყოველ ბუჩქთან მღერის წყარო, ყოველ ხესთან ნაკადული,
სამგორიდან თბილისამდე სურათივით დახატული.

შუქურები მოსდგომია ღრმა დელის და დიდშის ზრამებს,
აქ რომ მტკვარი ბნელს შებშია, იქ რიონი უტევს ღამეს.

მალე ზრამის ელვაც მოვა, საზეიმოდ მორთავს თბილისს,
ლიხს გავა და ქართულ მიწას ზღვის პირამდე შემოივლის.

მოსჩანს კოლხიდის ბალნარი ტურფა და ათასფერადი,
შენე ხარ მისი მებაღე,—ჩვენი მამა და ბელადი;

პყვავის, ზეავდება დოვლათი, ნარინჯი დგება ზვინებად,
კოლხიდის ოქროს მადანი საქვეყნოდ მიედინება,

ქართული მიწის ნაყოფი კიდით-კიდემდე მოჰქვინა,—
თქმულება ოქროს ვერძისა განა ზღაპარი ყოფილა!

ასე ავსებს ქეყნის დოვლათს იმ უკვდავი გეგმის მადლი,
ასე, უკვნობ ბალნარივით, თვალწარმტაცი მოსჩანს ქართლი.

მოსჩანს მთელი საბჭოეთი,—თავისუფალ ხალხის კერა,
დიდო სტალინ, შენმა სიბრძნემ—ეს გეგმა რომ დაუწერა!

და თუ კვლავ გვიღრენს საქვეყნოდ შარაზე მწოლი ნადირი,
სურს დედამიწა შესანსლოს,—ვერ აისრულოს წადილი,

რადგან სულ უფრო იზრდება ზმელეთზე ძალა ნამდვილი,
ვისთანაც მისი ჭიდილი როდი იქნება ადვილი.

მას კარგად ახსოვს საბჭოთა ხალხის ძალღონე ზღაპრული,
ბერლინის კედლებს ატყვიათ ეხლაც იმ გმირის დაკრული.

ეს რომ ახსოვს, მიტომ ღრინავს, მიტომ იპყრობს შიში ბნელეთს,
ოკეანეს გადღმადან მიტომ იწვდის ჩვენსკენ ხელებს.

მაგრამ ჩარბი ჩვენი ქვეყნის ისევე-ისე წაღმა ბრუნავს,
ამ დიდ გზაზე ჩვენი მტერი მას რამდენჯერ დაუთრგუნავს!

ასე იელის, ასე წაშლის, რაც დახედება გზაზე — მერეც,
ჩვენი ქვეყნის დიდ წინსვლას ვერაფერი შეაჩერებს.



რადგან სინათლის წინაშე მუდამ ჩვენა ვართ მართალი,
რადგან შენ გვეყვება ბელადი, წინამძღვარი და სარდალი!

გაბედონ! სისხლის აღება სჩვევიათ სხვისი კისრიდან,
ფოლადად მოვეფარგლებით ჩვენს საზღვრებს გულის ფიცრითა!

ძარღვი არ აგვითრთოლდება, გულიც, მაჯაც გვაქვს მაგარი,
ვით ქარი ქარზე შემეჯდარი, არწივი ფრთაზე დამდგარი,

დავხედებით! კიდევ შეიტყოს მტერმა ჩვენი ხმლის ნაკრავი,
ჩვენს ქარიშხლიანს ნისლებში ვიპოვნეთ ჩვენი ვარსკვლავი!

სხვა რიგის მტრებიც მრავლად გვეყავს, ენა რომ მოუღესიათ,
ენით, სინდისით ბანრობა მათი ხელობის წესია.

და თუ აღარა სცხრებიან, ომი თუ მოენატრებათ,
მათს მოედარუნე აბჯარსაც ქარს გავაყოლებთ ნამტვრევად.

გულს კვლავ ის ცეცხლი გვიხურებს, შენ რომ ჩვენს გულში დასძარი,
კვლავ გვიხმობს დიდი სამშობლო—თავისუფლების ტაძარი.

კვლავ მხნეობისკენ გვეძახის ჩვენი სამშობლოს მინდრები,
ისევ შენს სახელს ვუმღერით, ისევ შენ დაგეწინდრებით.

ჩვენო მზევე, ჩვენო დროშაო, შენ ჩვენო დიდო იმედო,
ვინ არ განაცულოს სიცოცხლე, შენთვის არ გამოიმეტოს.

წინამძღვარო და ბელადო, ხალხთა მტრის დამადნობელო,
ნათელო ჩაუქრობელო, მსოფლიოს მანათობელო,

სამშობლოს ვარდი შენ სახელს! სამშობლოს შემამკობელო,
სალამი შენი ქართლიდან, დიდო მამავ და მშობელო!

მიმართვა ლექსად გამოსთქმვის პომტუბვა:

ზრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილ-
მა, გიორგი ლომიძე, ალიო მირცხულავამ, ილო მოსაშვილმა,
სიმონ ჩიქოვანმა.

რუსუბლიკოს სიამაყე



თენდება 23 სექტემბერი. მე მინდა დავესწრო ამ დღის დასაწყისს იქ, სადაც იგი, ჩემის ფიქრით, ყველაზე ინტენსიური შრომით ცხოვრობს, მივყვე ბოლომდე მას, ვიდრე ზგი სტალინური ხუთწლედის წინაშე ვალმოხდილი არ შეუერთდება გადასულ დღეებს. ამიტომ ჩვეულებრივზე ადრე ვტოვებ ჩემს ოთახს და ქუჩაში გავდივარ.

გარეთ ჯერ კიდევ გაუთენებელი დღის ბინდ-ბუნდია, მაგრამ ქუჩები უკვე გალვიძებულან, ამოძრავებულან; მთავარი მაგისტრალისაკენ, სადაც ჩერდებიან ტრამვაის ვაგონები, ავტომანქანები და ტროლეიბუსები, ქალაქის უბნებიდან გამალებული ნაბიჯით მოეშურებიან მოქალაქენი, და მთავარი არტერია ქალაქისა ივსება ხალხის ნაკადით, როგორც მდინარის კალაპოტი ზაღლობებიდან დაქანებული ნიაღვრებით. ერთი-მეორეზე იტვირთებიან ვაგონები, ავტომანქანები და ტროლეიბუსები. ბევრს მოთმინება არ ჰყოფნის და აუარებელი ხალხი, თითქოს კროსის მონაწილეაო, მირბის ჯერ ლენინისა და მერე ჩელუსკინელთა განიერი ქუჩით რკინიგზის სადგურისაკენ.

ვაგზლის შენობიდან მარჯვნივ ასიოდე მეტრის მანძილზე ჩამოყენებულია მატარებელი წარწერით: „რუსთავი“.

სწორედ ამ მატარებლის დაძვრის დრო — დილის შვიდი საათი — მომარბენინებდა მე სხვა თბილისელებთან ერთად, რომელნიც ყოველდღე მიემგზავრებიან რუსთავში.

ვაგონი ნელნელა ივსება. ერთხანს სიწყნარეა.

სარკმელთან ვდგევარ და გავყურებ ქალაქს. პირდაპირ — ნორჩი აქოჩრილი ტყით შემოსილი მთაწმინდა გახვეულია ოქროს ნათელში. მზე ამოსულა, ცა ლურჯია, ჰაერი — ბროლივით გამჭვრავალი; დგება მომხიბლავი შემოდგომის დღე თბილისისა, როცა უკვე გავლილია ზაფხულის მომთენთავი მცხუნვარება და ჯერ კიდევ შორსაა ზამთრის პირის ღრუბლიანი დღეების სუსხი, შემოდგომის დღე, როცა დილიდან დაღამებამდე კაცს არ სტოვებს ფხიზელი და და უდარდო განწყობილება.

მატარებელი დაიძრა. თვალი მიმოვაელე თანამგზავრთ ჩემს ვაგონში. გარეგნობით და ჩაცმულობით ძნელი გასარკვევია, ვინ რა საქმის კაცია, მაგრამ მათ შორის გამბული საუბარი მიგახვედრებთ, რომ აქ არიან სხვადასხვა სპეციალობის აღამიანები: ინჟინრები, მუშები, ექიმები, მომმარაგებელნი, სამეურნეო მუშაკები. საუბრობენ გუშინდელი დღის შთაბეჭდილებებსა და დღევანდელი დღის საქმეებზე.

ჩემს პირდაპირ ერთი საზე მეცნაურა. მივესალმე. ის ჩემი აბლობელი, ჩემი თანასოფლელი აღმოჩნდა. ჩემი სოფლის სკოლაში სწავლობდა. ოც წელიწადზე ზეტია, არ მენახა. გამოვკითხე მთელი მისი თავგადასავალი. პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს ღურგლად უმუშავნია, მერე დაუმთავრებია მუშფაკი, თბილი-

სის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი და გამხდარა რუსეთის მრავალი სამრეწველო ვიგანტის მშენებელი. ეს ჩემი თანასოფლელი—დიმიტრი პატარიძე—აღმოჩნდა ინჟინერი, შინაარსიანი და საინტერესო ბიოგრაფიით.

გავშორდით ნავთლულს, დავინახე რკინიგზის პირას მიმოფანტული, დამწვარი და გარუჯული ორთქლმავლების, ტანკების, ავტომანქანების ჩონჩხები—ნაშთი გადავრიალებული ომისა და, ალბათ, პირველი ლუკმა, პირველი საზრლო სამეტალურგო ქარხნის სამარტენე ლუმელებისა. რამდენიმე თვე კიდევ და ამ მინდორზე ამუშავდებიან დიდი ამწევი ონკანები, ააყირავენ, ბაქანზე დასდებენ და რუსთავეისკენ გაჰზავნიან ამ ჩონჩხებს.

მატარებელი სვლას უმატებს და ნელნელა თვალს ეფარება თბილისი.

— დღეს გარიერაზე თბილისმა მომაგონა საბრძოლო განგაშით წამოშლილი ბანაკი მეომრებისა, — გავუზიარე დღევანდელი დილის „შთაბეჭდილება ჩემს თანამგზავრს.

— განა მარტო დედაქალაქი! — მითხრა ინჟინერმა პატარიძემ. — მთელი ჩვენი რესპუბლიკა, ყოველი კუთხე ჩვენი სამშობლოსი ფეხზე დააყენა და სწრაფი ტემპით ამოძრავა რუსთავმა.

საუბარში ჩაებნენ ჩვენს გვერდით მსხდარი თანამგზავრები, მათ სიტყვეს ის, რაც ენახათ ან გაეგონათ, სიტყვეს ის, რასაც საქართველოს ესათვის კუთხე აკეთებს რუსთავეისათვის. მათი ნაამბობიდან ჩემს თვალწინ გადაიშალა ამოძრავებული საქართველოს სურათი.

გრავინვა-ქუხილი აყრუებს საქართველოს მთებს და ხეობებს. ხეებიდან ხეებში გადადის გუგუნი. ზათქითა და ხუილით სწყდებიან და თავქვე ეშვებიან ბაზალტის, გრანიტის, კირქვის ბუმბერაზი კლდეები. ეს გაბმული ხან-

გრძლივი გუგუნი მოგაგონებთ გრანდიოზულ საარტილერიულ სამზადისს. ნამდვილად კი მოქმედებს: ყაჩაღი, აფეთქებენ კარიერებს საშენი მასალის მოსაპოვებლად; ანგრევენ ბორცვებსა და ვორაკებს გზატკეცილების გასაყვანად. ჩვენი ინდუსტრიული ეპოქის რკინის მაშონებები—ექსკავატორები მისდგომიან ჩამონგრეულ კლდის ქანებს და რკინის ხორბუმებით ტვირთავენ „სტუდებეკერებს“, და ისინიც გათენებიდან დაბინდებამდე რკინიგზის სადგურებისკენ გამალებით ეზიდებიან ქვას, სილას, ხეს, თიხას.

დღისითა და ღამით გიზვიზებს ალი, ვარვარებს ცეცხლი, ლუმელებში იწეება აგური, იწეება კრამიტი, მზადდება კირი, მზადდება ცემენტი.

სამგურალი და აჯამეთი, ძეგვი და ძეგამი, კასპი და ქსანი, სადახლო და ბაკურიანი, შროშა და სურამი, ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხის კიდევ ბევრი საბადო უზზავნის თავის წიაღისეულს რუსთავს.

განა მარტო ისინი?

რუსთავეის მიმართ გულუხვობაში ერთმანეთს შეჯიბრებიან იმერეთი და მესხეთი, ქართლი და გურია, სამეგრელო და კახეთი, სადაც ახლა გახურებული რთველია, სადაც მწიფე ხილის სურნელებითაა გაჟღენთილი ჰაერი; შემოდგომის ფერებით მოხატულა ველები და ფერდობები; მკრეფავთა მზიარული ქრიაშული მოსდებია ზვრებს და ბაღებს; ნაირნაირი ნაყოფით: ვაშლით და მსხლით, ატმითა და ლღვით, კომშითა და ბროწეულით დაზნევილან ხეთა შტოები, გიშრისა და ქარვის მტენებით დახუნძლულან ვაზები.

ათასი ხელი ჰკრეფს ხილს, ბერტყავს წაბლია და კაკლის ხეებს. ზევებად დგება ქართული მიწის მადლიანი მოსავალი, გაივლის კიდევ ერთი თვე და

საქართველოს სუბტროპიკების მწვანე ნარინჯები, ფორთოხლები და გრეიპ-ფრუტები, ლიმონები და მანდარინები შეყვითლდებიან—ოქროს ღიმილს მოაფრქვევენ მინდვრებს და ბორცვებს. მათ დახუნძლულ შტოებს მალე მიწვდება და ნაყოფისაგან განტვირთავს უაშრავი ხელი, იქაც ველი მოიფინება ოქროს ზვინებით ისე, როგორადაც ერთ დროს ჰიაკინთის ალით აყვავდებოდნენ ხოლმე ყანები და ნაფუზვრები.

დღეს ქართული ყანებისა და ბაღების ეს ნაყოფი, ეს ბარაქა მიდის არა მარტო კოლმეურნეთა საწყობებში, არა მარტო კოლმეურნეთა ბედლების კიდობნებსა და საკუჭნაოებში,—არა მარტო იქ! იმათი დები და დედები, ვინც დღეს ქვეყნის დიდ სამუშაოებზეა გაწვეული, მხურვალე გრძობით და სათუთი ხელით არჩევენ საუკეთესო ნაყოფს, ხოლო მამები და ძმები სადგურებისკენ ურმებით ეზიდებიან და გულთმიძღვნილი მოსაკითხით ტვირთავენ ვაგონებს, რომელთაც აწერიათ: „რუსთავი“.

ასე ზრუნავს სოფელი რუსთავისათვის. ხოლო ქალაქი?

შეიხედეთ თბილისისა და ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის, გორისა და ბორჯომის ქარხნებში, დიდსა და პატარა სახელოსნოებში, — ყველგან ნახვით ჩქარი რიტმით ამოძრავებულს ჩარხსა და დაზგას პაწაწეიტვლა ფლაგითა და წარწერით: „მუშაობს რუსთავისათვის“.

შევიანოთ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში! იქაც რუსთავი ამოძრავებს და ძაბავს მეცნიერულ, ტექნიკურ აზრს. მეტალურგიის, ქიმიის, საამშენებლო მეცნიერების თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები სწავლობენ და ამუშავენ რუსთავის საჭიროებით ნაკარნახევ ისეთ საკითხებს, როგორიცაა დამკვესანის რკინის მადნის გამდიდრების,

ქართული თიხისაგან ცეცხლგამძლე აგურის მიღების, მაღალტექნოლოგიური თუჯის შენადნობის კვლევითი-მეცნიერული წესით მიღების ტექნოლოგიის საკითხები, მსუბუქი ბეტონის გამოყენების პრობლემები. რუსთავმა დააჩქარა ლითონისა და სამთო საქმის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დაარსება. რუსთავმა წარმოშვა საქართველოს მეტალურგთა საინჟინერო-ტექნიკური საზოგადოება, რომელიც დღეს ეხმარება ქარხანას გადასწყვიტოს მრავალი რთული ტექნიკური პრობლემა. ეს საზოგადოება ქართულად თარგმნის და სცემს სახელმძღვანელოებს სამეტალურგო მრეწველობის ყველა დარგისათვის. რუსთავი მოუხმობს და თავის გარშემო იკრებს დიდძალ ქართველ ინჟინერ-ტექნიკოსს, რომლებმაც მანამდე დიდი პრაქტიკა მიიღეს რუსეთსა და უკრაინაში.



საქართველომ გააკეთა ვეფხვის ნახტომი ურმიდან ავტომანქანამდე, ხარკამიჩიდან—ტრაქტორამდე.

რამდენადაც უფრო მეტად იცვლებოდა მისი ლანდშაფტები, რამდენადაც უფრო მეტად იძოსებოდნენ მისი ველები და ფერდობები ზერებიითა და ბაღებით, ჩაის მცენარისა და თამბაქოს, ლიმონ-მანდარინის და სხვადასხვა ტექნიკური კულტურის პლანტაციებით, იმდენად უფრო იზრდებოდა საქართველოს ინდუსტრიული მადა, მის ნიადაგზე აღმოცენებულმა პლანტაციებმა და იქ მოპოებულმა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულმა ზოითხოვა გადამამუშავებელი ფაბრიკები; ფაბრიკებმა—დაზგათა და მანქანათმშენებელი ქარხნები, ელექტროენერგია და ის, რაც ენერჯის იძლევა,—ჰიდრო და თბოელსადგურები, ქვანახშირის აბალი შახტები, ნავთის ქაბურღილები, კრეკინგები. ყოველივე

ამან მოითხოვა აუარებელი საამშენებლო მასალა, ავტოტრანსპორტი, რკინიგზები და გზატკეცილები ხიდებითა და აკვედუკებით.

— რკინა გვინდა, მოგვაწოდეთ თუჯი და ფოლადი!—გაკვივის დღეს ყველა საწარმო, ყველა საამშენებლო ობიექტი საქართველოში.

— მათული მომაშველეთ!—იძახის ქართული ვაზიც კი, რომელსაც დღეს საშოცი ათასი ჰექტარი უჭირავს და რომელიც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ ცალს ჭიგოს საჭიროებს.

— შესცვალეთ ხარდანი მათულით, თუ გინდათ იხსნათ თქვენი აქოჩრილი ტყეები გაიჩხისაგან!—ასე ასაბუთებს თავის მოთხოვნას ქართული ვაზი.

ლურსმანი და სხვა საამშენებლო რკინიუღი სჭირდება უმარავ ოდებს, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებს, რომლებიც შენდება დღეს საქართველოში, ყველგან—სოფლად და ქალაქად.

ასეთია დღეს მადა, ინდუსტრიული მადა ახალი საქართველოსი.

— არ მოვამშოთ ჩვენი ქვეყანა, დავაკაყოფილოთ იგი საკუთარი ღითონით!—უთხრა ბოლშევიკურმა პარტიამ ქართველ ხალხს, და ისიც, რომ მისმა ყურმა არ გაიგონოს გულისშემღონებელი ჩივილი მშობლისა „მშია“, დიდიან-პატარიანად მკლავებდაკაბიწებული აგებს ვეება თონეს, რომელიც გამოაცხოხოს ნოყიერ პურს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული მადის დასაკმაყოფილებლად.

•
•

მეგრამ სად არის ის ხორბალი, რომელიც უნდა დაიფქვას, მოიზილოს და გამოცხვეს რუსთავის თონეში?

ეგ ხორბალი ორი წიაღისეულის—ქართული ქვანახშირისა და აზერბაიჯანული რკინის მადნის შეერთება იქნება.

უკვე კარგახანია დაიბადა აზრი მათი

შეუღლებისა. ოც წელიწადზე მეტია გრძელდება—ერთი რუსი მწერლის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, უნდა რომანი ქართულ ნახშირსა და აზერბაიჯანულ მადანს შორის. რატომ გაკვიანურდა იგი ამდენხანს? ჯერ ერთი იმიტომ, რომ საკირო იყო გამორკვევა, თავიანთი ბუნებით შეეფერებიან თუ არა ისინი ერთმანეთს, ესე იგი, მათი შეჯვარება მოგვემდა თუ არა სასურველ ნაყოფს—მაღალი ლირსების ლითონს; მეორეც იმიტომ, რომ მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს, საქართველოსა და აზერბაიჯანს არ მოეპოვებოდათ საკმაო სახსარი შეექმნათ მტკიცე ნივთიერი დასაყრდენი იმისათვის, რომ ეს რომანი იღბლიანი და ბედნიერი ყოფილიყო. არა თუ მაშინ, ამას ისინი ვერ შესძლებდნენ ახლაც კი, რომ მათ დახმარებას არ უწყევდნენ უფროსი ძმები—საბჭოთა რუსეთი და უკრაინა.

როგორც კი გამოირკვა, რომ ტყიბულ-ტყვარჩელის ქვანახშირი ორმოც პროცენტ კოქსს; ხოლო დაშვესანის მადანი სამოც პროცენტ რკინას შეიცავს, რომ მათი შეერთება შობს მაღალი ხარისხის თუჯს და ფოლადს,—როგორც კი ეს გამოირკვა, გადაწყდა მათი დაქორწინება, მათი დასახლება თბილისის ახლოს.

საბჭოთა მიწაწყალზე ფაშისტური ურდოების შემოჭრამ შესწყვიტა ეს მეტაფორული რომანი ისე, როგორც ბევრი ახალგაზრდის ნამდვილი რომანი. მეგრამ 1943 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დნებრი გადალახეს და მოახლოვებულმა გამარჯვებამ სადღესასწაულო სხივები მოჰფინა ჩვენს ქუჩებს, საბჭოთა ქვეყნის დიდმა მესვეურებმა უმაღლე გაიხსენეს ეს შეჩერებული საქმე, გადასწყვიტეს მისი განახლება 1944 წლიდან უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე მანამდე იყო განზრახული. ახალი გეგმის განსაზოციე-

ლებლად, სამეტალურგო გიგანტის დასასახლებლად არჩეულ იქნა რუსთავი.

რუსთავში დაიწყო ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის ახალი, უფრო მაღალი საფეხური.

აქაინდენ პნემატური ჩაქურჩები ახალი შახტების, ახალი გვირაბების და მალარობების გასაყვანად ტყვარჩელსა და ტყიბულში, ქიათურასა და დამკესანში.

მებრძმედეთა, ფოლადის მდინებელთა და ლითონის წამომსხმელთა, ცეცხლგამძლე აგურის ოსტატთა კვალიფიკაციის მისაღებად დონბასისა და ურალი-საკენ დაიძრნენ ქართველი ახალგაზრდა კოლმეურნეები და მუშები.

ამ საშვილიშვილო საქმეში საქართველოსა და აზერბაიჯანს გვერდში ამოუდგნენ მოძმე რესპუბლიკები. როგორც უფროსი მოსიყვარულე ძმები შევლიან ხოლმე უმცროსებს დასახლებასა და ოჯახური მეურნეობის მოწყობაში, ისე რუსეთი და უკრაინა პირველ დღიდანვე თავიანთი ადამიანებით და ნივთიერი რესურსებით მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამიერკავკასიის ინდუსტრიული კერის—რუსთავის სამეტალურგო ქარხნის მშენებლობაში.

1944 წლის გამოზაფხულზე, მანამდე მიყრუებულ პაწაწინტელა სადგურს, რუსთავს, მოადგნენ შორეული ურალიდან დაძრული ეშელონები. მოვიდნენ ჩელიაბინსკისა და ტაგილის სამეტალურგო გიგანტების მშენებელნი და თან მოიტანეს საამშენებლო მოწყობილობა, მექანიზმები, მშენებელი ქარხნების მთელი საამქრო, ლითონის ფერმები და მთელი კოლონები, ასაწყობი საცხოვრებელი სახლები. რუსთავის პატარა სადგურის შოედანი მოიფინა და გაიჭედა ხე-ტყით, ზარალით, ლითონის კონსტრუქციებით. და იმ გაზაფხულიდან ეშელონების დენა რუსთავისაკენ არ შეწყვეტილა. მოდის დონბასიდან

და ურალიდან ხარისხოვანი რკინა-არმატურა, მილები, რელსები, ცეცხლგამძლე აგური; ყუბანდდან დამკესანის ოლქიდან—ხე-ტყე; სომხეთიდან ტუფი; კოპის რესპუბლიკიდან ბიტუმი; ლატვიიდან მოტორები; კახაზეთიდან დაზგები. საბჭოთა კავშირის რომელ კუთხეში და რომელ სადგურზედაც არ უნდა მოხვდეთ, ყველგან შეხვდებით ეშელონებს წარწერით: „რუსთავი“. პაწაწინტელა სადგური, რომელიც არც კი იყო აღნიშნული რუქაზე, ახლა ერთ-ერთი პოპულარული სადგურია საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე შორის. ყოველდღე ხედავს ამ წარწერას რუსი და უკრაინელი, ბელორუსი და მოლდაველი, ლიტველი და ესტონელი, ხედავს და, ალბათ, ფიქრობს: რუსთავი, — ბევრათა ნაცნობი შერწყმა! ნეტა რა კავშირი აქვს მას რუსთაველთან?

• •

აგერ რუსთავიც! როგორც ყოველ დღით, ისე ახლაც დილის რვა საათზე მატარებელი შეჩერდა საგანგებოდ აგებულ ბაქანთან. ერთბაშად აუარება ხალხი გათოდის მატარებლიდან. ვინ ქვეითად და ვინ საბარგო მანქანით მიეშურება საამშენებლო ობიექტებისა და კანტორებისაკენ.

მე ვრჩები მარტო და თვალს ვავლებ ჩემს წინ გადაშლილ პანორამას. მოცებს მყუდროება, რომელიც წუთიერი ახმაურების შემდეგ აქაურობას იპყრობს.

სამხრეთით გაწოლილა უმცენარო, მოსაწყენი გორაკების დაღარული რუხი გრებილი, ჩრდილოეთითაც ასეთივე ერთფეროვანი მცენარით შეუმოსველი ბორცვებია, ეს არის გარეჯისა და იაღლუჯის მთების კალთები. სამხრეთით, ჩალრმავებულ კანიონში ვამჩნევ სიმწვანეს—მაღალ ხეთა კენწეროებს. იქ მტკვრის ხეობაა. მტკვარი არა სჩანს. ტყეს აქეთ რამდენიმე რიგად ჩამწკრი-

ვებულო ახლანდამენი სახლებია. იქიდან მოყოლებული რკინიგზის ხაზამდე და მის გადაღმაც გაშლილია ვრცელი მინდორი, რომელიც ჩრდილო მხრიდანაც შემოუსარტყლავს მკერივად ნაგებ ქვის შენობებს.

მაგრამ პირველად მისულს თვალში ზედება არა ეს დაბალი შენობები, არა ამ მოედანზე მიმოფანტული ბანაკები და კარავები, არამედ ვებერთელა მალაღლი კორპუსები, სივრცეში ატყორცნილი რკინის კონსტრუქციების ჩონჩხები, რომლებიც გაბატონებულან ამ ფონზე და თავიანთი ბუმბერაზობით გაგრძნობინებენ სილიადეს, სიმძლავრეს და გაქანებას დაწყებული მშენებლობისა.

იქა მთავარი ადგილი, იქა ცენტრი საამშენებლო მოედნისა, სადაც მრავალი პროფესიისა და სპეციალობის ადამიანი მუშაობს, სადაც ყოველდღე დილიდანვე სამუშაოდ მიიჩქარიან უამრავი საამშენებლო ორგანიზაციის ბრიგადები. იქითკენ მიიქანებენ ორთქლმავალი ქვით, რკინით, მექანიზმებით დატვირთულ ვაგონებს. იქითკენ მიიქანებენ ავტომანქანები ბეტონის ნარევით სავსე ზვიშერებს. იქიდან ელავს ელექტროშედულების ლურჯ-მწვანე შუქი, იქ ტრიალებს ათასი მარჯვენა, იქ დულს და სჩქეფს სიცოცხლე, მაგრამ აქ ჩემამდე იმ აჩქარებული სიცოცხლის ხმაური ვერ აღწევს, თითქოს ლანდებივით უხმოდ მოძრაობენ ადამიანებიც და მანქანებიც. რუსთავის ველი, ჯერ კიდევ მთლიანად დაუსახლებელი, ჯერ კიდევ საკმაოდ ცარიელი, ნთქავეს გამალებული მოძრაობის ჩქამსა და ხმაურის ისევე, როგორც ამ წუთში ცის ლურჯი სივრცე უმალვე ნთქავეს და აღნობს ორთქლისა და კვამლის ბოლს, ბოლქვებად რომ ამოდის ენერგომატარებლის მილებიდან. ეს ზატარებელი უძრავად დგას საამშენებლო მოედნის და ახალი ქალაქის მიჯნაზე, მხოლოდ მისი მოტორების მონოტონური რიტმი-

ული ქშენა არღვევს ველზე დამკვიდრებულ მყუდროებას და გვეგონებას ნებს მთელი საამშენებლო მოედნის გულისცემას.

•
•

დაეტოვე ბაქანი და გავსწიე მკვრივად ნაგები ერთსართულიანი ლაზათიანი შენობებისაკენ. შევჩერდი ერთი პარმალისანი სახლის წინ, თვალში მომხვდა წარწერა „საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის რაიკომი“, და იქვე მარჯვნივ მეორე წარწერა: „გაზეთ „ზა მეტალურგიუს“ რედაქცია“. ვცადე კარების შეღება. დაკეტილი აღმოჩნდა. ჯერ აღრეა, დილის რეა საათია. ვათვალისწინებ გარემოს. ჩემ წინ გაზონებია წიწვოვანი ხეების — ფიჭვის, ნაძვის, კედრის ნორჩი ნარგავებით. ზოგი სიცხეს შეუწყუბებია, ზოგი კი მხნედ გამოიყურება. რამდენიმე ნაბიჯზე რაიკომის შენობიდან პატარა მოედანია „სოიუზპეჩატის“ ლამაზი კიოსკით, მის იქით ისევ მკვრივად ნაგები პარმალისანი სახლებია. ერთი ასეთი შენობის წინ სკამზე ზის უწვერულვამო, ქალარათმიანი, ჩასკვნილი ტანის, ნაყვავილევი სახის კაცი. მას ლურჯი „სპეცოვკა“ აცვია. გაზეთში გახვეულ თამბაქოს წევს. მივედი. მივესალმე.

— მშენებლობის უფროსს სად ვნახავ? — შევეკითხე.

— აი აქ ამ შენობაშია მისი კაბინეთი, — მიპასუხა ქალარამ. — ჯერ აღრეა, თბილისიდან დაიარება მანქანით, მოდის არა უადრეს ცხრა საათისა.

— თქვენ, ალბათ, აქ მსახურობთ?

— დიახ. მშენებლობის დაწყების პირველ დღიდანვე.

— რამდენი კაცი მუშაობს ამჟამად რუსთავში?

— გაოცებით შემომხვდა.

— მაგაზე ვერაფერს ვიტყვით. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე თავი უხერხულად ვიგრძენი. ვუთ-

ხარი, ვინც ვიყავი და რა მიზნით ჩამოვედი რუსთავეში.

— სასიამოვნოა, თქვენ კარგი საქმე გიკისრიათ, მაგრამ იგი ადვილი არ არის. ჩვენი ღმრთობა ოთხ-ხუთ კილომეტრზეა გაშლილი, მარტო საამშენებლო ობიექტებს და ორგანიზაციებს რომ შემოუაროთ ერთხელ მაინც, რამდენიმე დღე დაგჭირდებათ. უცხო კაცი დაიბნევა, თუ წინასწარ არ იცის, რომელი ორგანიზაცია რას აკეთებს ან რა უნდა გააკეთოს.

ჩემი ახალი ნაცნობი ჭალარა კაცი სარეისო მანქანას ელოდებოდა. ეს მანქანა ყოველ საათში უვლის მთელს რუსთავს და მიმოჰყავს ინჟინრები და მუშები ობიექტიდან ობიექტამდე. მანქანის მოლოდინში ჭალარამ ბევრი საჭირო და სასარგებლო რამ მაცნობა.

— პირველყოელისა, — მითხრა მან, — თქვენ გმართებთ გაარჩიეთ ერთმანეთისაგან ჭარხანა და ის ორგანიზაცია, რომელიც ჭარხანას აშენებს. წარმოიდგინეთ, ჭარხანა უფრო წნიერია, ვიდრე მისი მშენებელი ორგანიზაცია. ჭარხანა, უფრო სწორად, სამეტალურგო ჭარხანის მმართველობა უფრო ადრე დაარსდა, ვიდრე ის; ვინც მას აშენებს. თქვენ გეცინებათ! გამოდის, რომ შეილი უფრო წნიერია თავის მშობელზე, მაგრამ ეს ფაქტია! საამშენებლო ტრესტმა — მეტალურგმუნმა სინამდვილედ, რეალობად უნდა აქციოს ის უამრავი პროექტი, რომელთაც ჭარხანის სამმართველოს დაკვეთით ამუშავებენ საპროექტო ორგანიზაციები. მეტალურგმუნმა სამეტალურგო ჭარხანის მოიჯარადრე ორგანიზაციაა, მას აქვს თავისი საკუთარი საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რკინის კონსტრუქციებს, არმატურას, სხვადასხვა საამშენებლო მასალას მშენებლობისათვის. უცნობ კაცს ამ საწარმოებისა და ტრესტის გამგებლობის ქვეშ მყოფი საამშენებლო ობიექტე-

ბის და მათი კანტორების ზარტო ერთი ჩამოთვლაც კი გააკვირვებს, მსულხარიან ისინი! აი ინებეთ და დაჩანსოვრეთ, რამდენი „მშენი“ არსებობს — ბრძმედმშენი, მარტენმშენი, საგლინაგმშენი, თბოცენტრალმშენი, კოქსმშენი, ბინათმშენი, სანტექმშენი, ზონტაგმშენი, ბურღმფეთქმშენი, ქალაქმშენი, ტრანსმშენი, ბულაჩაურმშენი! ტრესტს ჰყავს თავისი მოიჯარადრეები, საკავშირო საამშენებლო ორგანიზაციები — სტალკონსტრუქცია, კაველექტრომონტაჟი, სპეცმშენი, ბურვოდსტროი, კაველექტრომონტაჟი და სხვა. ესენი ტრესტის შეკვეთებს ასრულებენ და „სუბმოიჯარადრეები“ ეწოდებათ. რომელი რას აკეთებს, ადვილი მისახვედრია თვით მათი სახელწოდებიდანაც კი, მაგრამ უცნობისათვის ძნელი ვასარკვევია, რა ურთიერთობაა მათ შორის და როდის მყარდება იგი. ხანდახან ერთსა და იმავე საამშენებლო ობიექტზე რამდენიმე საამშენებლო ორგანიზაციის ბრიგადა მუშაობს. როგორც კი ისინი თავიანთ მუშაობას მორჩებიან, მათს ნამუშევარს იბარებს სამეტალურგო ჭარხანის ღირეცია თავისი ინსპექტორ-ინჟინერების საშუალებით.

სარეისო მანქანა არ ჩანდა, ჩემს ახალ ნაცნობს ნერვიულობა დაეტყო. მას მეტალურგმუნის ერთ-ერთ დიდ საწარმოში — ბეტონის ცენტრალურ კომბინატში მიიქარებოდა. აგვიანდებოდა მეტალურგმუნის უფროსის ნ. ვიორგაძის მოსვლასაც ქალაქიდან. ჩემმა ახალმა ნაცნობმა მირჩია გავყოლოდი მას კომბინატში და გავცნობოდი ამ ერთ-ერთი მთავარი წარმოების მუშაობას.

— სარეისო მანქანას ნულარ დაუვცდიო. წავიდეთ დისპეტჩერთან, ვცადოთ ბედი, იქნებ ან მანქანა გვათხოვოს ან კომბინატსაკენ მიივაღო რომელიმე მანქანას ვაგვაყოლოს.

მართლაც, ჩვენ ეწვეიეთ სადისპეტ-

ჩეროს. საკმაოა რამდენიმე წუთს დაკ-
ყოთ აქ, რომ იგრძნოთ, თუ რა გამალე-
ბული რიტმით სცემს მშენებლობის
ზაჯა.

აქ ტელეფონებს უზიან ქალიშვილე-
ბი და წამდაუწუმ ლებულობენ ტელე-
ფონოგრაფებს.

ყოველ წუთში დაუსრულებლად ღე-
ბულობს სადისპეტჩერო ამა თუ იმ და-
ვალეზას.

ჩვენ გვინდა ვთხოვოთ მანქანა სა-
დისპეტჩეროს უფროსს, მაგრამ პირა-
დად მე შერიდება, მეუხერხულემა ამ
თხოვნით მივმართო მას: ჩემს იქ ყოფ-
ნაში რაღდენმა პირმა და ორგანიზაციამ
მიიღო ცივი უარი მანქანაზე.

— დიდხანს მოვეუდებით ფეხით მის-
ვლას კომბინატამდე?—ეკითხე ჩემს
მასპინძელს—ინჟინერ აბესაძეს დიპლო-
მატიურად.

— ფეხით რატომ? ამ წუთში გავდი-
ვარ ზანქანით კომბინატისაკენ, თქვენც
და ამხანაგი ვარლამიც (ეს ჭიკაბაძის სა-
ხელი ყოფილა) ჩემთან წაშოდით. ჩემი
მანქანით შეგიძლიათ ყველა უბანი და
ძთელი ქალაქიც შემოიაროთ.

მადლობის მეტი რა უნდა მეთქვა ამ
თავაზიანი წინადადებისათვის.

•
•

მანქანა მიგვაქანებს გზატკეცილზე,
გზის პირად აგებულია დამხმარე საწარ-
მოების შენობები და საამშენებლო
ორგანიზაციების კანტორები. ჩაუჭრო-
ლეთ სარემონტო-მექანიკურ ქარხანას
და რამდენიმე წუთში შევჩერდით ბე-
ტონის ცენტრალური კომბინატის წინ.

რუსთავეში, სადაც დღეს ამდენი სა-
წარმო დამკვიდრებულა, სადაც ქუჩე-
სა და მოედნებს სახელი არა აქვთ, ზო-
ლო შენობებს—ნუმერაცია, ახალი ჩასუ-
ლისათვის მწელ ამოცანას წარმოადგენს
მოაგნოს იმ საწარმოს ან კანტორას, მას
რომ სჭირდება ან აინტერესებს. ამ
მხრივ გამონაკლისს შეადგენს ბეტონის

ცენტრალური კომბინატი. მისი მდივანი
კოშკი ზედ მიდგმული უგრძესი კიბე-
ებით ადვილი დასანახი და მისევე
ეს მაღალი კოშკი დიდი კომბინატისა,
რომლის წარმოებაც სამეტალურგო ქარ-
ხნის მშენებლობის ერთ-ერთი დასაყრ-
დენია, შემდეგში ჩემთვის ასრულებდა
ორიენტირის როლს: მისი მიხედვით
ვარკვევდი ამა თუ იმ საწარმოსა და
საამშენებლო ობიექტის მდებარეობას
რუსთავეის უსახელო ქუჩებსა და მოედ-
ნებზე.

შევჩერდით ამ კომბინატის წინ, ვარ-
ლამს სწორედ ამ წარმოების დირექტ-
ორ გრიგოლ ევგენიძესთან პქონდა
საქმე. შევედით მის სამუშაო კაბინეტ-
ში, ვარლამმა გამაცნო იგი, ჩემთან ბო-
დიში მოხადა და ინჟინერ ევგენიძეს
თავის საქმეზე ვაუმართა საუბარი.
ვაკვირდებოდი წარმოების დირექტორს.
იგი მომცრო ტანისაა, ჭროლა გამჭვა-
ლავი თვალებით და ხმელი, მაგარო
ნაკეთებიანი სახით. მისი გამომეტყვე-
ლება ცხადყოფს, რომ იგი სწრაფი
მოსაზრების კაცია, რომელიც უმაღლე
ერკვევა შექმნილ ვითარებაში და დაუ-
ყოვნებლივ ლებულობს ზედგომარეობის
შესაფერ ღონისძიებებს.

როცა ინჟინერი ევგენიძე ვარლამთან
საუბარს მორჩა, მე მომიბრუნდა და
მკითხა, ალბათ ჩვენი წარმოების გაც-
ნობა გაინტერესებთო. თავაზიანად წა-
მიძღვა თავისი კომბინატის საამქრობე-
ში, ჩემთვის ბევრი რამ უცნობი და ახა-
ლი დამთავალიერებია. მე ვნახე საათი-
ვით აწყობილი მუშაობა კომბინატის
ორი ქარხნისა და ოთხი დიდი საამქრო-
სი, სადაც დღედაღამე სხვადასხვა რთუ-
ლი დაზგებისა და მექანიზმების განუწყ-
ვეტელი გუგუნია. კომბინატი ამზა-
დებს და ამრავლებს ბეტონის ნარევი-
თ, ბეტონის ნაწარმით, ბეტონისა და გა-
ჯისაგან ნაკეთები აგურებით, სხვადა-
სხვა დიამეტრის მილებით, მრავალნაი-
რი არმატურით მშენებლობის ყველა

ობიექტს. შეიძლება ყველაზე მეტად აქ, სადაც მზადდება ბეტონის ნარევი, იგრძნობა ჩქარი რიტმი, სწრაფი ტემპი მთელს საამშენებლო მოედანზე მიმდინარე სამუშაოებისა. საქმე ის არის, რომ ის ფორმები, რომლებიც სხვადასხვა ობიექტზე ნაგებობებისთვის არის მომზადებული, უნდა შეივსოს ერთბაშად, ყოველგვარი წყვეტის გარეშე, მუშაობის პროცესში. საბეტონო სამუშაოების ასეთი წესი მოითხოვს ბეტონის ნარევის უსწრაფეს და მასობრივ დამზადებას, რაც მიმდინარეობს სწორედ იმ კოშკისებურ შენობაში, თავზე რომ დაკუყრებს მთელს რუსთავს. ამ შენობის ძირში ჰყრია დამტვრეული რიყის ქვა. ბრუნების ფართო მოძრავე ლენტს ზევით, კოშკის ერთოზე აქვს იგი და ჰყრის ვერტიკალურად აყვანილ მილებში, რომლებიც შავნით აღჭურვილი არიან ღარისებურად ძირს დაბრლი თაროებით. ერთოდან, დაფშენილ ქვასთან ერთად, სცივია მჭიდა, ბეტონის ეს შემაღგენელი ნაწილები მისრიალებენ თაროდან თაროზე, ერთმანეთში ირევიან და ამ წესით დამზადებული ერთგვაროვანი ბეტონის ნარევი იყრება მილებ ქვეშ შედგმულ, ავტომატურად დაამარებულ ხვიმერებში. გაივსება თუ არა ერთი წყება ავტო-ხვიმერებისა, მას შესცვლის მეორე, მეორეს მესამე და ასე დაუსრულებლად—მიჰქრიან და მოჰქრიან ბორბლებზე შედგმული ხვიმერები, რომ სწრაფად და დაუყოვნებლივ მიაწოდონ ბეტონის ნარევი ყველა ობიექტს.

ინჟინერი ევგენიძე ფხიზლობს, რომ ერთი წუთითაც არ შენელდეს არც ბეტონის წარმოების და არც სხვა სამუშაოს მუშაობის ტემპი, რადგან მათი შეყოვნება ნიშნავს მრავალ უბანზე მიმდინარე საბეტონო სამუშაოების შენელებას.

ეს მომცრო ტანის ქერა კაცი, გამჭრიახი ჰროლა თვალებით და ოდნავ მო-

კაუჭებული ცხვირით, ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ და საქმიანი კომანდირი თბილისის ციხისა.

— ძალიან საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი ამ პატარა ტანის კაცს,—ზიოხრა ვარლამმა.—მარტო ის რად ღირს, რომ ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებელია. ეს ცერისოდენა კაცი ვებერთელა ენერჯის შენადღია, ასეთი ენერჯის კაცს შეეძლო გაეკეთებია ის, რაც მან ამ დიდი არხის გაყვანის დროს გააკეთა.

— სახელდობრ, რა ჰქნა ისეთი?— დაეინტერესდა მე.

— რა? გეტყვიტ და ნუ გაგაკვირდებათ. ეს ჩიტისოდენა კაცი შეეჭიდა, შეაჩერა და მდინარეება შეუცვალა ისეთ ბუმბერაზს, ისეთ სტიქიას, როგორიც არის ვოლგა.

მე გავეოცდი.

— ცხადია,—განაგრძო ვარლამმა,— მანამდე, ვიდრე იგი ასეთ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, მას სიძნელეებთან ბრძოლის გზა უნდა გაველო. კაცმა რომ სთქვას, ის, რაც მას ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ჩაუდენია, ვოლგასთან შეჭიდებაზე ნაკლები არ არის. კოლექტივიზაციის პერიოდში ის თავის კომკავშირელ ამხანაგებთან ერთად შეეჭიდა ისეთ ძლიერ მდინარეებას, როგორიც იყო მისი სოფლის გლეხობის საუკუნოებით განმტკიცებული წვრილმესაკუთრულ განწყობილებათა სტიქია. მე ზგონია არის რაღაც მზავსება მდინარე ვოლგის მდინარეების შეცვლასა და ცხოვრების ახალ კალაპოტში გლეხობის ჩაყენებას შორის. ამ ორი დიდი საქმის მონაწილეა ეს მომცრო ტანის კაცი, ახლა ამ კომბინატის დირექტორი ინჟინერი ევგენიძე. ყველამ როდი იცის, რომ ეს სუფსელი გლეხის შვილი, რომელსაც ყრმობა თავისი სოფლის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში გაუტარებია, რომელსაც გაუვლია კომკავ-

შირული და პარტიული წრეთობის სკოლა, რომელსაც მიუღია სპეციალური განათლება თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, დიდ სააშენებლო სარბიელზე გამოსვლის მეორე წელსვე შებრძოლებია ვოლგას და დაუმორჩილებია იგი!

როცა ეს ფაქტი ვარლამისაგან მოვისმინე, ინჟ. ევგენიძით კიდეც უფრო დავინტერესდი და ესთხოვე მასვე ეამბნა ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი თავისი ცხოვრებიდან. ადვილი როდი იყო მისი დათანხმება. ჯერ ერთი მას არ ეცალა. მეორეც, — მას ეუხერხულებოდა თავის წარსულზე ლაპარაკი. დიდ გამოცდილებასა და სიძნელეების წინაშე ქედუხრელობასთან ერთად მას კომუნისტის ის კარგი თვისებაც შეუძენია, რომელსაც თავდაბლობა ეწოდება.

— არაფერი ისეთი არაჩვეულებრივი მე არ გამოიკეთებია, — მითხრა მან. — ის, რაც თქვენთვის უამბნიათ, რა თქმა უნდა, იყო არა ჩემი პირადი საქმე, არამედ საქმე მთელი კოლექტივის და მისი ხელმძღვანელობისა. რაკი თქვენ გაინტერესებთ, მე მოკლედ მოგანსებთ. ეს იყო 1937 წელს რიბინსკში „ვოლგოსტროის“ ჰიდროტექნიკურ სამუშაოებზე. მაისის ერთ დღეს გამომიძახა მშენებლობის ზთავარმა ინჟინერმა და მითხრა — გნიშნავ ვოლგაზე მესამე საგუბრის ასაგებ სამუშაოთა უფროსს წარმოებლად. იქ მიწის სამუშაოების მოცულობა დაახლოებით მილიონ ნახევარ კუბომეტრს უდრის. შენვე უნდა შეადგინო ასაგები კანალის სქემა და დაუყოვნებლივ შეუდგე მუშაობასო. მე შესმოდა, თუ რა რთულ და მძიმე ამოცანას მაკისრებდა უფროსი ინჟინერი ჯერ კიდევ გამოუცდელ სპეციალისტს. მაგრამ ნახული მქონდა, რომ მრავალი ჩემისთანა ადამიანი უშიშრად და უდრტყვენელად აკეთებდა ამაზე უფრო დიდ საქმეს. მეც გავბედე. შევადგინე სქემა

და ჩემი კოლექტივით დაეწყო მუშაობა — განუწყვეტელი სადღეღამისო ბრძოლა სტიქიასთან. ხელმძღვანელმა რომ იყო ვოლგის შეგუბება და მისი გადაროლა ახალ კალაპოტში! მდინარე არ გვენებდებოდა და რამდენადაც იგი მეტურჩობას იჩენდა, იმდენად უფრო იზრდებოდა ჩვენი შეუპოვრობა. ბოლოს, ექვსი თვის ყოველდღიური იერიშით დავიმორჩილეთ იგი. ნოემბრისათვის დაეამთავრეთ კანაალი, რომელიც მედგრად გადაელობა წინ გაზაფხულის წყალდიდობით აღიღებულ ვოლგას. მდინარემ იცვალა მიმართულება, იწყოდენა სივრცეზე, რომელიც ახლა რიბინსკის ზღვის სახელწოდებით არის ცნობილი. რა თქმა უნდა, ეს დიდად მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში. ის დღე, როდესაც მე დავინახე აღამიანის სულიერი და ფიზიკური ენერჯიის ასეთი გამარჯვება სტიქიონზე, ვმასთან ვიგრძენი ჩემი წვლილიც ბუნების მრისხანე ძალის მოდრეკაში, — მე მიმანია ჩემი ბიოგრაფიის უბედნიერეს დღედ.

შემდეგ ინჟინერი გრიგოლ ევგენიძე გადაიყვანეს იმავე ვოლგოსტროის შეკნის ჰიდროკვანძის სამუშაოებზე და აქაც მის ბიოგრაფიაში დაუვიწყარ თარიღად შევიდა 1938 წლის 12 აგვისტო, როცა მისმა უბანმა სრულიად საკავშირო რეკორდი დაამყარა — ერთ ცელაში, რვა საათის განმავლობაში, ჰიდრომექანიზაციის წესით 18 ათასი კუბომეტრი ბეტონით აავსო მიწისქვეშა ნაგებობანი. სამამულო ომის პირველ წლებში ევგენიძე აშენებდა რთულ თავდაცვის საინჟინერო სიმაგრეებს, ხოლო 1942 წლიდან, მშენებელთა დიდ კოლექტივთან ერთად, აგებდა ნიჟნი ტაგლის სამეტალურგო ქარხანას.

როცა ინჟინერ ევგენიძეს დავემშვიდობეთ და მისი კანტორიდან გამოვედი, ჩვენ ერთხანს კიდევ განვიგრძობდით მასზე საუბარს.

— ვიდრე გრიგოლი ამ კომბინატის დირექტორად დაინიშნებოდა, — მითხრა ვარლამმა, — იგი ორ წელიწადს მუშაობდა სამარტენო საამქროს მშენებლობის ერთ-ერთი უბნის უფროსად. იქ მან შემოიღო სადღეღამისო გრაფიკი და უდიდესი წაყოფიერებით და სიზუსტით აამუშავა თავისი უბნის მშენებელი. იგი ახლაც ჩინებულად უძღვის ამ ვებერთელა კომბინატს.

ვარლამი უკან უნდა გაბრუნებულიყო. ვიდრე ჩვენ ერთმანეთს დავეცილებოდით, მან მიჩნია ამ დღეს დამეთვალაიერება სამეტალურგო ქარხნის უკვე აგებული და მომუშავე საამქროები, რომლებიც კომბინატიდან ერთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობენ.

მეც გვი იქითვე ავიღე და 15 წუთში უკვე ვიყავი იმ ადგილს, საიდანაც სამეტალურგო ქარხნის რაიონი იწყება.



საამქროების დამთავრებული შენობები შორიდანვე იქცევენ გამვლელის ყურადღებას. ამ შენობებში მოთავსებულია დამხმარე საწარმოები — სამეტალურგო ქარხნის სარემონტო ბლოკის საწარმოები. ეს ბლოკი თავის დროზე ოცზე მეტს დამხმარე წარმოებას გაერთიანებს. ამჟამად უკვე მუშაობენ მექანიკური, სამკედლო ლითონ-კონსტრუქციის საამქროები, ისინი ქარხნისათვის ამზადებენ არასტანდარტულ იარაღს, ლითონკონსტრუქციებს. უკვე აგებულია და ახლობანში მუშაობას დაიწყებს ამავე ბლოკის ლითონჩამომსხმელი და ელექტრო-სარემონტო საამქროები. საამქროთა კორპუსების გვერდით სამეტალურგო ქარხნის სამმართველოს დროებითი შენობაა, იქვეა ბლოკის მთავარი მექანიკოსის შენობაც. დამხმარე საწარმოთა კორპუსებისა და სამმართველოს შენობათა ანსამბლი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. სჩანს,

რომ სამმართველო დიდ მნიშვნელობას აძლევს სამრეწველო რაიონის მშენებლებს. ტექტურულ გაფორმებას მნიშვნელობას შენდება ისე, რომ გიგანტი ქარხანა თავისი გრანდიოზული შენობებით არ დააწვეს ადამიანის სულს, რომ მან თავისი გარეგნობითაც სიხარული მოჰგვაროს და ხალისიანი განწყობილება შეუქმნას მოქალაქეს. ასეთია ქალაქზე დახატული სამეტალურგო გიგანტის პერსპექტივა. ქალაქიდან მიწის ზედაპირზე გადმოსული პირველი ხორცსხმული ნაკეთები ამ გეგმისა ცხადყოფენ, რომ რუსთავეში შენდება ულამაზესი ინდუსტრიული ქალაქი.

ამჟამად ამუშავებული საამქროების შემოვლა და ერთი თვალის გადავლება რამდენიმე საათს მოითხოვს.

პირველად მექანიკურ საამქროს ვეწვიე. ოგი სამოცი მეტრის სიგრძეზეა გაშლილი, მასში ოთხმოცამდე დაზგა მუშაობს. ის ჯერ მთლიანად შეიარაღებული არ არის ინსტრუმენტებით და აგრეგატებით. რა იქნება იგი, როცა მასში ყველა 250 დაზგა და მექანიზმი ამუშავდება?

მექანიკურ საამქროსა და დამხმარე ბლოკის ყველა საწარმოში მუშაობენ ქართველი ახალგაზრდები, რომლებმაც კვალიფიკაცია უმთავრესად თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების ქარხნებში შეიძინეს. მაგრამ აქ შეხვდებით იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც ხელობის შესასწავლად დონბასსა და ურალში იყვნენ გაგზავნილნი. ბევრი ღათგანი იმდენად არის ვაეარჯიშებული თავის ხელობაში, რომ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. არ შეიძლება თვალში არ გეცეს ის, რომ რთულ მექანიზმებზე მომუშავე ყმაწვილებს ჯერ კიდევ თუშური ქულები ჰხურავთ, მათ სახეებს ჯერ კიდევ სოფელის იერი გადაკრავთ, ისინი ქართლის, კახეთის და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონებიდან არიან მეტწილად.

ზოგი მათგანი ორი წლის წინათ ან მეტრედ იყო ან ნახირის მწყემსად, ეხლა კი აქ რანდავს, ბურღავს ან ახარატებს რაიზე რთულ დეტალს რთული კონსტრუქციისთვის.

აგერ ხევსური, რომელიც, აღბათ, ორი ან სამი წლის წინათ თავის ტოლებთან ფარიკაობდა, ახლა მართავს და არეგულირებს ინსტრუქტის მექანიზმს, ფოლადის რომელიღაც დეტალს აცლის ფენას, რომლის სისქე მესამედი მილიმეტრით განიზომება. სიზუსტის რა მაღალი კლასია! რა დიდი ნახტომია მოფარიკავე ბიჭის ინტელექტუალური დონიდან მათემატიკური სიზუსტის ამ მაღალ კლასამდე. ხომ არ არის ეს მაგალითი მაჩვენებელი იმ ნაბიჯისა, რომელიც საქართველომ ამ 27 წლის წინააღმდეგ გადასდგა პრიმიტიული სამკედლო ქურიდან სოციალისტური ინდუსტრიის ისეთ გიგანტამდე, როგორც რუსთავის სამეტალურგო ქარხანა იქნება!

ჩემი იქ ყოფნის დროს მექანიკური საამქროს მუშა-ახალგაზრდობას ესტუმრა ვანის რაიონის კომკავშირელთა დელეგაცია. სადილის წინ მუშაობა შეწყდა, სახელდახელო მიტინგი გაიმართა, მთელი საამქროს ყოველი კუთხიდან ახალგაზრდებმა საამქროს შესასვლელის ახლო მოიყარეს თავი, ჯგუფ-ჯგუფად დაზგების გვერდით ჩამოსხდნენ და ვიდრე მიტინგი დაიწყებოდა, ერთმანეთს შორის ჩუმი, მხიარული ბაასი გააბეს. როგორც კი ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა მიტინგი გახსნა, ამ ვებერთელა საამქროს დარბაზში მყუდროება ჩამოვარდა. ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა კომკავშირის ვანის რაიკომის წარმომადგენელმა, ნინო შალამბერიძემ.

— ვანის კოლმეურნე გლებობა, — სიტყვა ახალგაზრდა დელეგატმა ქალაქა, — დიდი ინტერესით ადევნებს თვალს

ამ დიდ მშენებლობას. აქ არიან ჩვენი კუთხის შვილებიც, რომლებიც თქვენთან ერთად აკეთებენ ექვსჯანსაშობის როგორც ჩვენს მშობლებს არასოდეს არ უყეთებიათ. ჩვენი რაიონის კოლმეურნეთა უღრმესი სურვილია, რომ აქ მომუშავე ვანელმა ახალგაზრდებმა თავიანთი თავდადებული მუშაობით ასახელონ ის რაიონი და ის სოფელი, საიდანაც ისინი არიან. ჩვენის მხრით არ დაუზოგავთ ძალღონეს, რომ მათ თავიანთი მოვალეობა ისე შეასრულონ, როგორც ამას შოითხოვს ჩვენი პარტია და მთელი ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ვეცდებით, რომ ჩვენს ყურადღებასა და მზრუნველობას მუდამ გრძნობდნენ არა მარტო აქ მომუშავე ჩვენი კუთხის ახალგაზრდები, არამედ მათ გვერდით დაზგისთან მომუშავე მათი ამხანაგებიც.

სალამთან ერთად დელეგაციამ რუსთაველ ახალგაზრდებს ჩამოუტანა, როგორც ერთმა წარმომადგენელმა სიტყვა, „მცირე“ საჩუქარიც, მაგრამ ის არც ისე მცირე აღმოჩნდა — ვაგონი ხილულობა — ყურძენი, თხილი, ლეღვი, ვაშლი და სხვა ხილუული. ამ ცნობის მოსმენისას ბევრ ახალგაზრდას სახეზე ღიმილმა გადაურბინა. ორმა მათგანმა სიტყვა ითხოვა. მათ გამოსთქვეს გულწრფელი სიხარული იმ ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, მაშდამი რომ იჩენს არა მარტო ვანის რაიონი, არამედ მთელი საქართველო. ვეცდებით გულშოდგინე მუშაობით ვამართლოთ ეს დიდი სიყვარული.

როგორც ვაღმომცეს, კვირა ისე არ გავა, რუსთავს ასეთი და ზოგჯერ ამაზე უხვი საჩუქარი არ გამოუზნავნოს ამათუ იმ რაიონის ახალგაზრდობამ. ეს არის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობა.

მიტინგის დასასრულს ახალგაზრდა მუშებთან დაერჩი, გამოვიკითხე საიდან არიან, რა ხელობა ისწავლეს, როგორ მუშაობენ და როგორ ცხოვრობენ. გან-

საკუთრებით მე მაინტერესებდა უკრაინასა და ურალში ნამყოფი ახალგაზრდების ამბები. სამი წლის წინათ, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ომი დამთავრდებოდა, სტალინოსა, მაკევეკასა, ენაგვივოსა, გორლოვკასა, დნებროპეტრინსკსა, ტავანროვსა, მარიუპოლსა, მავნიტოგორსკსა, ჩელიაბინსკსა და ნიენი ტაგილში ვაიგზავენა სამი ათასზე მეტი ქართველი ახალგაზრდა, უმთავრესად კოლმეურნენი. ვაგზავენილთა შორის იყვნენ ყველა კუთხის—ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის, თუშ-ფშავეხესურეთის მკვიდრნი. მათ უნდა შეესწავლათ მებრძმედის, ფოლადის მდნობელის, მექურის, მგლინავის პროფესიები. ისინი უკვე დაბრუნდნენ საქართველოში. ჯერჯერობით მათი დიდი ნაწილი გამოყენებული არ არის თავისი ხელობის მიხედვით, რადგან ჯერ არ დამთავრებულა ძირითადი საწარმოების—საბრძმედე, სამარტენე, საგლინავი, საკოქსე-ქიმიური საამქროების აგება. როგორც ვაღმომცეს, ამ საწარმოების ამუშავებამდე ექვსი თვით ადრე მათ კვლავ მოუხდებათ დონბასსა და ურალში გამგზავრება, რომ განაახლონ იქ მიღებული ცოდნა და უფრო აამაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია. სიხარულით მოვლიან ახალგაზრდები, როცა ისინი კვლავ დაიძვრებიან სტუმართმოყვარე უკრაინასა და ურალსაკენ.

— ჩვენ იქ ძალიან კარგად შეგვხვდნენ,—მითხრა ახალგაზრდა შალვა იოსელიანმა.—ისე მივეციეს, როგორც ღვიძლი შვილები. დაგვაბინავეს ძალიან კარგად მოწყობილ საერთო საცხოვრებელში, დაგვირიგეს საგარეო და საშინაო ტანსაცმელი, თეთრეულს ყოველ კვირას გვიცვლდნენ, თითქმის ყოველდღე დავდიოდით აბანოში. მომვლელი ქალები მშობელ ღედებივით თავს გვევლებოდნენ, დავიარებოდით თეატრებსა და კინოებში. კლუბებში

ჩვენც ვაწყობდით საღამოებზე ძალიან მოსწონდათ ჩვენი ფანდურთი და მანტურთი, სიამოვნებით ისმენდნენ მასზე დამღერებულ შაირებს. გოგოები გიჟდებოდნენ ჩვენს ცეკვაზე. დიდი მოწონება გვქონდა.

— მე კერძო ბინაზე ვცხოვრობდი,— მითხრა ნიკო გზირიშვილმა, — ჩემს გარდა სხვებიც სცხოვრობდნენ კერძოდ. დიასახლისები ძალიან გვიყვოდნენ, ზოგი დედა არ მოუყვლის ისე შეილს; შინ მისვლა მიგვიხაროდა, გველოდა სუფთად დაგვილი, დასუფთავებული ჩოთახი, ფაქიზად გაშლილი ლოგინი, მოსიყვარულე დედის ალერსიანი შეხედრა.

— როცა 1945 წლის მარტში ანთებით ავად გავხდი,—მიამბო შალვა კეკელიშვილმა,— (გაცივილი, გახურებულ საამქროდან გაოფლიანებული გამოვედი), ჩემმა დიასახლისმა არაფრის გზით არ ვაატანა ჩემი თავი სანიტრებს საავადმყოფოში, დღედაღამე სასთუმალთან მიჯდა თურმე და არ მოშწორებია, სანამ ფეხზე არ დამაყენა. შინ ჩვენებს არც კი გაუგიათ ეს ამბავი, აქ რომ ჩამოვედი, მხოლოდ მაშინ უუამბებევრი ლოცა დედაჩემმა ჩემი დიასახლისი—მარია სპირიდონოვმა.

ასეთსავე გულისხმიერებას იჩენდნენ ქართველი ახალგაზრდებისადმი ოსტატები. რომლებიც მათ ხელობას ასწავლიდნენ.

— მთელი იმ ხნის განმავლობაში,—მიამბობდა ზეინკალი ვანო მქედლიშვილი,—ოსტატები გვერდში გვიდგნენ, განგვიმარტავდნენ, გვიხსნიდნენ, რომ ჩვენი საქმის დახელოვნებული ოსტატები გამოვსულიყავით. ბეჯითად იმუშავეთ, კარგად დააკვირდით საქმესო,—გვეტყოდა ზოლმე მოხუცი ოსტატი ნიკოლაი კუზმიჩი, გვარად ზაბელინი.—არ შერცხვეთ და არც ჩვენ შეგვარცხვინოთ. გიფიქრიათ რა სიშორიდანა ხართ მოსულნი, რამ-

დენი სახალხო ფული იხარჯება თქვენზე? ჰეი, ჰეი, ჩემი შეგირდობის დრო ასეთი როდი იყო. დაბლა თავდახრით და ცრემლის ღვრით ეხვეწებოდნენ ჩვენი დედები ოსტატებს ავეყვანეთ შეგირდებად. აგრე როდი ეხალისებოდათ ახალგაზრდების გაზრდა: რატომ გავიჩინოთ მოქიშპეები, ლუკმა-პურში შეგვეცილებიანო. ხანგრძლივი მუდარის შემდეგ თუ ავეყვანდნენ, დიდად თავს არ იტყვიებდნენ ჩვენს გაზრდაზე. — სხვადასხვა დავალებებზე გვარბენებდნენ, ტანჯით აკურს გვაზიდვინებდნენ ან სახლში გვიშახურებდნენ, განა ერთსა და ორს, ხშირად სამ წელიწადსაც კი! ვინ ფიქრობდა ჩვენს სწავლაზე, პასუხის მომთხოვნი ვინ იყო! თქვენი ცხოვრება კი სხვაა! ამას დაფასება უნდა! თქვენ რომ აქედან უვიცინი წახვიდეთ, ხომ იტყვიან კლუზმის არ მოუნდომებიანო! სჯობს გავარჯერებულ ლუმელს მივსცეთ თავი, ვინემ ასეთი უხეირო და სამარცხეირო საქმე დაგვემართოს!

ასე გადმოგვეცემენ მათდამი ძველი რუსი და უკრაინელი ოსტატების მზრუნველობის ამბებს დონბასის სამეტალურგო ქარხნებში განსწავლული ქართველი ახალგაზრდები. ოსტატების მამობრივ მზრუნველობას და დარიგებას ამოდ არ ჩაუვლია. უკრაინისა და ურალის ქარხნებში ქართველმა ახალგაზრდებმა არა მარტო მაღალი კვალიფიკაცია, არამედ ხალხთა სტალინური მეგობრობის დაუფიწყარი საგნობრივი გაკვეთილებიც მიიღეს.

ურალმა და დონბასმა აღზარდეს ჩვენი სამეტალურგო ქარხნის ძირითადი საამქროების კადრები. დონბასი ამასაც არ დასჯერდა, შეფობა იკისრა ჩვენი ქარხნის მშენებლობაზე.

ახლაც კი საუბარი ისე არ დაიწყება და არ დამთავრდება, რომ ქარხნის მშენებლებმა და ახალგაზრდა მუშებმა არ გაიხსენონ 1945 წლის მარტის დღე-

ბი, — დონბასის მეტალურგთა დღეებციის ყოფნის დღეები *რუსეთში*... კრ გაიხსენონ ის დახზარება, *კრესტევი* დღეუდან შეფი უწევდა და უწევს მშენებლობას. განსაკუთრებით დიდი ამაგი მაკევეცი ქარხნის ცნობილი მეზრძმედის ი. გ. კორობოვისა! იგი მეთვალყურეობდა რუსთავის ქარხნის შეკეთების შესრულებას და ქართველი ახალგაზრდა მუშების მომზადებას დონბასის ქარხნებში. რუსთავს ასეთივე დიდი ამაგი დასდო ნოვოკრემატორსკის მძიზე მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივმა. მან ომის შემდგომ დამზადებული პირველი ბლუმინგი ჯერ კიდევ შარშან გამოუგზავნა რუსთავის ქარხანას.

„მრავალმა ქართველმა ეაქცაცმა დასდო თავი უკრაინის მიწაწყალზე უკრაინის თავისუფლებისათვის. ჩვენც არ დავიშურებთ შრომას საქართველოს კეთილდღეობისათვის,“ — იწერებოდა ერთ-ერთ თავის წერილში ზემოხსენებული ქარხნის ელექტროსამქროს უფროსი ინჟინერი ნ. ს. პონოჩენკო.



დამხმარე ბლოკის საამქროების შემდეგ მე დავათვალიერე ის ზიდამოები, სადაც სამეტალურგო ქარხნის ძირითადი საწარმოები შენდება. სანამ ისინი არ ამუშავდებიან, ის, რაც დღემდე ამუნდა, ცხადია, სამეტალურგო ქარხანად არ ჩაითვლება.

იმ უბანში, სადაც საბრძმდე ღუმელები უნდა დაიდგას, ჯერჯერობით მიწის ზედაპირზე ორი კალპერი სჩანს. ამჟამად ზიმიწარეობს მათი მონტაჟი, რომელსაც აწარმოებს „სტალინსტრუქციის“ მემონტაჟეთა ბრიგადა ოსტატის ივანე ყერებცოვის ხელმძღვანელობით. მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი. იგი მთელს კავშირში ცნობილი ოსტატია. ის საშუალოზე ცოტა მაღალი ტანისაა, წითური სახის და მოწითალო

თმით. ლაპარაკის მანერით იგი ტიპური ვოლგისპირელი რუსია. ლაპარაკობს ქლერად, ამღერებულ კილოზე, დინჯი და დაკვირვებულა როგორც ლაპარაკში, ისე საქმიანობაში. საუბრით და მეტყველებს თავისებურობით ეჩრებცოვმა მომავონა თავისი დიდი თანამემამულე მაქსიმ გორკი, რომლის მოსმენის ბედნიერება მე ორჯერ ჩქონდა ჩემს სიცოცხლეში.


საბრძმედ ლუმელებისათვის საძირკველი უკვე ამოყვანილია და ახლო ხანში დაიწყება საბრძმედ საამქროს კორპუსების მშენებლობა. ორი საბრძმედ ლუმელი, რომელთაგან თითოეულის მოცულობა 650 კუბომეტრს მიაღწევს, ყოველწლიურად გამოაღონობს 430 ათას ტონა თუჯს. ყოველდღე ლუმელების შახტებში ჩაიყრება ათას ტონობით მადანი, კოქსი, ფლიუსი. ყოველი ამის მიზიდვას ყოველდღიურად დასჭირდება 400 ვაგონი. თუჯის თითქმის მთელი გამდნარი ზისა გადაეგზავნება სამარტენე ლუმელებს მისგან ფოლადის გამოსაღობად, მხოლოდ მცირე ნაწილი ცივი თუჯისა გადაეცემა ქარხნის საფასონო საჩამომსხმელო საამქროს და საქართველოს მრეწველობის სხვა ასეთ საწარმოებს.

საბრძმედ საამქროს მახლობლად შენდება სააგლომერაციო ფაბრიკა. იგი დაამუშავებს რკინის მადანს მანამდე, ვიდრე მადანი საბრძმედ ლუმელებში მოხვდებოდეს. მე ამიხსენს ამ ფაბრიკის დანიშნულება. მადანი თავისი პირვანდელი სახით, ესე იგი, ნამსხვრევების და ნაფშვენის სახით რომ საბრძმედ ლუმელში ჩაიყაროს, ლუმელის ძლიერი პაერსაბერავეები მადნის მტვერს ზევით ამოჰყრიან. ამის გამო ერთის მხრივ დიდძალი მადანი დაიკარგება, მეორეს მხრივ მტვერი შეიჭრება გაზების სადენ ზილებში, გზას გადაუღობავს გაზებს, შეაფერტებს მათ სწორ ცირკულაციას და მამასადამე თუჯის გა-

მოდნობის მთელ პროცესს. ეს რომ არ მოხდეს, სააგლომერაციო ექვემდებარება ნასწარ საგანგებოდ დაფუძნებული ქვემეტი აქცევს კენტი მადნად, ე. წ. აგლომერატად, რომელიც გადაეგზავნება საბრძმედ ლუმელებს თუჯის გამოსაღობად.

ზაგრამ ვარდა აგლომერატად გადაამუშავებული რკინის მადნისა, თუჯის მისაღობად საქიროა კოქსი. საამისოდ იქვე შენდება საკოქსე-ქიმიური ქარხანა, რომელიც ისაზრდოვებს ტყვარჩელტყვიბულის ქვანახშირით. ეს იქნება ვებერთელა წარმოება სამოც-სამოცი ლუმელაანი ორი საკოქსე ბატარეით, (რომელიც გამოსწვავს ყოველდღიურად 640 ათას ტონა კოქსს). მთელი წყება ქიმიური საამქროებით, ასზე მეტი ობიექტით და ნაგებობებით, რომლებიც საკოქსე ბატარეათა პროდუქციის ნარჩენებს გადაამუშავებენ ამიაკად, ნაფტალინად, ბენზოლად, ფისად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა პროდუქტებად. მათი შემდგომი გადაამუშავება სხვა ქარხნებში მოგვეცემს რამდენიმე ასეული სახელწოდების პროდუქტს, მათ შორის ისეთ სამედიცინო პრეპარატებს, როგორიცაა სულფიდინი, სახარინი და სხვ. საკოქსე ბატარეებისა და საბრძმედ ლუმელებისაგან დამუშავებულ განს სამეტალურგო ქარხანა გამოიყენებს საწვავად, იგი მოხმარდება აგრეთვე საცხოვრებელი შენობების გაზიფიკაციას.

არც საკოქსე-ქიმიური ქარხანა, არც სააგლომერაციო ფაბრიკა ჯერ კიდევ მიწის ზედაპირს არ ასცილებია. მათი ნაგებობანი ჯერ სივრცეში არ გამოჩენილან, თვალი მათ ჯერ კიდევ ვერ ხედავს. ჯერჯერობით ამოყვანილია მათი საძირკვლები და ნაწილობრივ მიტანილია მათი შესაიარაღებელი სამანქანო საქურველი. მთელ უარობობი, სარემონტო ბლოკის საწარ-



მთა კორპუსებს იქით, ვიდრე სამარტენო საამქროს საამშენებლო მოედნამდე, მოფენილია უამრავი მილებით, არმატურით, მანქანების მექანიზმების, აპარატურის ნაწილებით. რა თქმა უნდა, ჩემთვის არა თუ ძნელი, არამედ შეუძლებელიც იყო გამომერკვია, ამ ნაწილებიდან რომელი ეკუთვნის ბრძმედებს, რომელი მარტენს და რომელი საგლინავ საამქროს, ან საოქსე-ქიმიურ წარმოებას. მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია არ დაიბნეს რკინისა და ფოლადის ამ უამრავ ნაწილთა ქაოსში. რკინით მოფენილ ამ ველზე კაცი-სულიერი არ ქაპანობს. მხოლოდ ერთხელ ვნახე აქ ერთი ახალგაზრდა ინჟინერი ქიმიკოსი ივლიანე კაკაბაძე, მას ხელში ცარცის ხსნარში ამოვლებული ფუნჯი ეჭირა და ნომრებს აწერდა საოქსე-ქიმიურ წარმოებისათვის განკუთვნილი საქურველის ნაწილებს. როცა შენობათა აგება დამთავრდება, ამ დაშლილ მოწყობილობას დანიშნულ ადგილს მიიტანენ, ამუშავდებიან შემონტაჟენი და ამ უსახო გაურკვეველ ნაწილებს მისცემენ მანქანებისა და აპარატების ფორმას. ჯერჯერობით ამოა ინჟინერ კაკაბაძის ცდა ამიხსნას და გაშავებინოს, თუ რა ნაწილთა მონტაჟი რა მანქანასა შობს,—ყოველივე ეს ჩემთვის ამოუხსნელ რებუსად რჩება.



ყოველი მშენებლობა, დიდია თუ მცირე, მიწის ქვეშიდან იწყება, მერე ამოდის მიწის ზედაპირზე, თანდათან ჰაღლდება და მიიწევს ცის სივრცისაკენ. უწინარეს ყოვლისა, ითხრება ორმოები და ტრანშეები. იყრება საძირკვლები, თხრილებში ეწყობა მილები. ერთი სიტყვით მიწის ქვეშ კეთდება ბევრი რამ ისეთი, რაც ზედაპირზე არა სჩანს, რასაც ვერ ამჩნევს გარეშე უყურებლის თვალი. მაგრამ აი დამთავრ-

და საძირკვლების ამოყვანა ვაგანტი ქარხნის საწარმოებისათვის, ვაგანტი დრო კორპუსების ამარტურებას, კაპლანოვების და ბეტონის ჩამსხმელნი გალიან საამშენებლო მოედნიდან და მათ ნაცვლად მოლიან კორპუსთა კარკასების მშენებლები. გაივლის რამდენიმე დღე და გარეშე თვალი უკვე ხედავს, რომ შენობას უკვე ამოუწვევრავს, უკვე ამოსულა მიწის ნიადაგიდან, როგორც ზორბალი დათესილი ყანიდან. თვალს ნიამოვნებს და ახარებს სივრცეში სიმეტრიულად ატყორცნილი კონსტრუქციები. ჯერ რკინა-ბეტონითა და აგურით შეუმოსავთ მათი სილუეტები.

მე ვიწყობები იმ უბანზე, სადაც სამარტენე საამქრო შენდება, და ვხედავ იმ ვირტუოზებს, ფუნდამენტიდან რომ ამოყავთ რკინის სვეტები და შემდეგ ობობასავით ქსელავენ სივრცეს სვეტებსა და სვეტებს შუა. ესენი არიან სამონტაჟო საქმის დიდი ოსტატები—ივანე პლოტნიკოვი, ივანე ბესედინი, ივანე პლუტინკოვი, ფადეი ეერებცოვი და ქართველი ნიკოლოზ აბდალაძე. ამათი ხელობა უყვართ, მოსწონთ და შეიძლება ეხარბებოდეს კიდევ სხვა პროფესიის მშენებლებს, რადგან მათ ზიერ აღმართული კონსტრუქციის ხილვა პირველ სიხარულს ანიჭებს ადამიანს. მათ აღმართეს ყველა აგებული საამქროს კარკასები, მათ დაამონტაჟეს და ახლაც ამონტაჟებენ საბრძმედე, სამარტენე საამქროებს და თბოცენტრალის კარკასებს. ისინი აღმართავენ საგლინავო საამქროს შენობის კარკასს, მალე ისინი შეუდგებიან ახალი ხიდის ფორმების მონტაჟს მტკვარზე.

მათგან არის ნაგები თბილისის და ბაქოს ავტოსარემონტო ქარხნები, გორის შპალსაყლენთი ქარხანა, ბაქოსა და ბათუმის კრეკინგები და რეზერვუარები, არპაჩაის ჰიდროელსადგური და ბევრი სხვა საწარმო ამიერკავკასიის რესპუბლიკაში.

თუ გინახავთ ან ნახავთ კუზბასის, მაგნიტოგორსკის, ჩელიაბინსკის სამეტალურგო გიგანტებს, ლიპეცკისა და ვიაკონს, ორსკისა და ტაგლის სამეტალურგო ქარხნებს, სტალინგრადის სატრაქტოროს, ხაბაროვსკისა და სარატოვის კრეკინგებს, გორკის საავტომობილოს, სორმოვოსა და კოლომნის მანქანათმშენებელს, მაკეევსკის საკოქსე-ქიმიურ ქარხნებს, კამეროვოს აზოტ-ტუის კომბინატს, მოლოტოვსკის გემთმშენებელ გიგანტს, ზოსტოვის ანგარებს, თუ ყოველივე ეს გინახავთ ან აწ ნახავთ, გახსოვდეთ, რომ ისინი ამ ხუთეულის ხელითაც არის ნაშენები. ხოლო თუ ვაგივლიათ ან ვაივლით დნებრის, პრიბიტის, ვოლგის ხიდებზე, თუ ვაგისეირნებიათ ან აწ ვაისეირნებთ კამენსკის და კრიმსკის ულამაზეს ხიდებზე მოსკოვში, იცოდეთ, რომ მათ გამართვაში ამათ ოსტატობასაც უდევს ვანა მკირე, დიდი წვლილი!

ესენი სახელმძღვანელოში კი არ სწავლობდნენ, თვითონ თავის ხელით ჰქმნიდნენ ჩვენი საშობლოს ახალ გეოგრაფიას. და თუ მათი შვილები ან შვილთა-შვილები ჩაუჯდებიან თავიანთი სახელოვანი მამა-პაპების ცხოვრების მატთანეს, ისინი შეისწავლიან არა მარტო ამათ ბიოგრაფიას, არამედ თავისი საშობლოს გეოგრაფიასაც, რადგან მათი ცხოვრების აღწერილობა ჩვენი დიდი ქვეყნის, დიდი საბჭოთა კავშირის გეოგრაფიაა: მათი ცხოვრების ფურცლებზე აღბეჭდილი არიან ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მშენებლობანი ჩუკოტკიდან პამირამდე, კარპატებიდან—სახალინამდე.

და შენ, ჩემო მეგობარო, ამ სტრიქონების წამკითხველო, თუ ან გახეტში ამოიკითხავ ან რადიოში ვაიგონებ, რომ იმ კუთხეში, სადაც შენ ცხოვრობ, მოემგზავრება ეს დიდი ხუთეული — ბესედინის, სტეკოლნიკოვის, პლუტნიკოვის, ეერებცოვის და აბდალაძის სა-

ხით, იცოდე, რომ მათთან ერთად შენს კუთხეში ჰოდის ახალთა მშენებლების სიხარული, შენს კუთხეში მარტო მამას, რაც ფოლადის კარკასებით ამავრებს ხალხთა სტალინური მეგობრობის დიად შენობას.



მარტენის საამქროს შენობის უზარმაზარი კარკასი სჩანს ძალიან შორი მანძილიდან და, თავისი სიმაღლის გამო, თბოცენტრალის შენობის კარკასთან ერთად თვალში ხედება რუსთავისაკენ მომავალს. იმ დროს, როცა მე ამ უბანზე ვიყავი, გრძელდებოდა ფერმების მონტაჟი. ტანში ერთანტელი მივიღია, როცა ვხედავდი, თუ რა თამამად და სწრაფად დადიოდნენ 50 მეტრის სიმაღლეზე გადებულ ძალიან ვიწრო განის რკინის კოქებზე მემონტაჟენი, რომელნიც ქვემოდან მოშინარალს წვრილ ბაგირზე მოსიარულე ჯამბაზებს მოგავონებენ. თავისთავად ცხადია, თუ რა სახიფათო და საშიშია ასეთ სიმაღლეზე მუშაობა საერთოდ და განსაკუთრებით მაშინ, როცა წვიმს ან ქარი ჰქრის. ამ დღეს წვიმდა და ქარიც ჰქროდა. თვალში მხედება დიდი ასობით წარწერილი გაფრთხილება: „ავდარში არ იმუშაოთ. სიმაღლეზე მუშაობის დროს ბაწრით მიეხიოთ“. ამისდამიუხედავად მემონტაჟენი ვანაგრობდნენ თავიანთ საქმეს. პაერს კვეთდა ლითონზე დაკრული ჩაქუნის მჭახე ხმა და მწვანე-მოყვითალო შუქის უეცარი გაეღება—მიმდინარეობდა ღერძებისა და ლითონის სხვა ნაწილების შეერთება ალავ მოქლონვით, ალავ ელექტრო-შედულებით. მემონტაჟენი ჩქარობდნენ მალე დაემთავრებიათ დღევანდელი საქმე. შიშობდნენ არ მოესწრო ინსპექტორს, რომელიც კარგ დღეს არ დააყენებდა უშიშროების წესების დარღვევისათვის.

— რატომ ჩადიხართ ამას? რად იყე-

ნებთ თავს ზიფათში, როცა ასეთ რისკს თქვენგან არაფერ არ ზოიბოვს, პირიქით, სასტიკად გეკრძალებათ?—შევე-კითხე ქვემოთ მომუშავე ელექტრომ-დუღებელს.

— თვე თავდება, მუშაობას ვერ შე-ვანელებთ. ასეთ სიმაღლეს კი შეჩვე-ული ვართ, წვიმიან ამინდშიაც კი ეს რისკად არ მიგვაჩნია. ორი წელი-წაღია ამაზე ვმუშაობ, მაგრამ მე ვერ არაფერს მარცხი არ მინახავს.

— ხომ გაგიგონია ჩვენებური ანდა-ზა: კოკა მულამ წყალს არ მოიტანსო?

— მე ისიც გამიგონია, კოკა წყალზე უნდა გატყდესო,—მითხრა დიმილით ახალგაზრდამ და განაგრძო მუშაობა.

ქვემოთ ერთ ბრიგადას ძლიერი ამ-წვევი ონკანით გადაჰქონდა 30 ტონიანი კოლონა,—ანთავისუფლებდა ადგილს ახალი სამონტაჟო სამუშაოების დასაწყებად. კოლონის გადატანას ხელმძღვა-ნელობდა ცნობილი ოსტატი-მემონტა-ჟე ივანე ბესედინი. ხან სტვენით, ხან ხელების მოძრაობით, ხან კიდევ მჭახე დაძახებით აძლევდა იგი სიგნალს ონკა-ნის შემანქანეს და მუშებს, რომლებსაც ხელში ეჭირათ კოლონაზე გამოზმული თოკები და ბესედინის მიერ მოცემული ნიშნის მიხედვით არეგულირებდნენ ვებერთელა რკინის კედლის მოძრაობას ჰერში. ზე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ამ პროცესს და ზის ხელმძღვა-ნელ ბრიგადირს, რომელიც იმ წუთში ჰგავდა ღირიყორს, გატაცებით და ტემ-პერამენტით რომ უძღვის მთელს ორ-კესტრს, გუნდსა და ცალკეულ მომ-დერლებს.

მინდოდა მენახა სხვა სამონტაჟო სა-მუშაოები, მაგრამ წვიმამ უმატა და ღია ცისქვეშ გაჩერება უკვე აღარ შე-იძლებოდა. თავი შევაფარე ახლობელ ერთსართულიან პატარა სადგომს. იგი აღმოჩნდა მარტენშენის იმ უბნის კან-ტორა, სადაც სამუშაოთა უფროსად

არის ინჟინერი გრიგოლ ვაშაკიძე. თა-ნამშრომლები—ქალები ფეხსაცმელსა-გიდებს შემოსხდომოდნენ მოვლენა-ზებს ამუშაებდა, ზოგი გაანგარიშებას ეწეოდა და გრაფებს ციფრებით ავ-სებდა. თვე თავდებოდა და კანტორა სა-მუშაოებს აჯამებდა. კანტორაში დამხვ-და ჩემი ძველი ნაცნობი ინჟინერი დიმიტრი პატარიძე. იგი იბარებდა უკა-ნასკენელი დეკადის ნამუშევრებს, ათვა-ლიერებდა გრაფებს, დროდადრო კითხ-ვებს აძლევდა თანამშრომლებს, ისმენ-და განმარტებებს. საქმიანი საუბარი ხანდახან ცხარე კამათის ხასიათს ღებუ-ლობდა. „ალბათ, ნამუშევრების ხა-რისხს თუ იწუნებს, ისინი კიდევ არ ეთანხმებიან“,—გავიფიქრე გუნებაში. და ამხანაგ პატარიძეს, რომელიც ჩემ-კენ ზურგშებრუნებული იჯდა, მხარზე ხელი დავადე.

— რა გაცხარებს, დიმიტრი?

— ამ წვიმასა და ტალახში რად და-ვისჯიათ თავი?—პასუხის ნაცვლად კითხვა შემომავება დიმიტრის.

— ინჟინერ გრიგოლ ვაშაკიძის ნახვა მინდა!

— სამუშაოებზეა გასული, მალე მო-ვა,—თავაზიანად მიპასუხა ქალიშვილ-მა, რომელიც დიმიტრის ეკამათებოდა. ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია.

— აი გრიგოლიც!—წამოიძახა დი-მიტრის.

კანტორის დაბალ კარებში გამოჩნდა საშუალოზე მაღალი ტანის, განიერ მხრებზე შინელზობურული ვაჟაკი. მისი ოდნავ მშემოკიდებული, დამწვი-დებული სახე და თაფლისფერი სათნო თვალები მის თვინიერ ხასიათზე მეტყ-ველებდნენ. გავეცანით ერთმანეთს და გავაბით საუბარი. იგი აღჩქარებლად მომიბრუნდა თავის უბანზე მიმდინა-რე სამუშაოების ამბებს, სოფლელი ვა-ცის მოკრძალებით მაძლევდა პასუხს კითხვებზე, რომლებიც მის პირად

ცხოვრებას შეეხებოდნენ. მის ქართულ ლაპარაკს ქვემო იმერული კილოკავის იერი გადაჰკრავდა, ხოლო რუსულს— რუსი თუ უკრაინელი მუშის ლაპარაკის მანერისა და ინტონაციის გავლენა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მას ხანგრძლივად უცხოვრია საქართველოს გარეთ. სხვათაშორის, ეს თავისებურება რუსეთსა და უკრაინაში ნამყოფ ბევრ ქართველ ინჟინერს შეეწინააღმდეგებდა.

ზოგჯერ გარეგნობა ადამიანის ხასიათზე და ტემპერამენტზე სწორ წარმოდგენას არ იძლევა. შეცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ ერთი შეხედვით აუჩქარებელი და დინჯი გრივალ ვაშაქიძე ზანტი და მოუქნელი იყოს მუშაობაში; პირიქით, მთელი მისი საქმიანობა და უცხოშემო კაცის ენერჯითა და ტემპერამენტით არის აღბეჭდილი. თავისი სიდინჯით გრა. ვაშაქიძემ ზომიერად მისი თანასოფელი, ერთ-ერთი პირველი ქართველი მეტალურგი—გიორგი ნიკოლაძე. ვაშაქიძის სოფელიც ჯიხაიშია. გიორგი მისი მეზობელი ყოფილა და მამამისს კარვად სცოდნია მისი ოჯახი.

ჩვენ გავიხსენეთ გიორგი და მისი დიდი დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე. ის საოცრად დინჯი, მაგრამ ამავე დროს დაუცხრომელი ბუნების კაცი იყო, რომელმაც ერთი წუთითაც არ იცოდა მოსვენება. მან ბევრი დიდი საქმე გააკეთა თავის ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე. მან დააარსა ქართული სასპორტო საზოგადოება, რომელმაც საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას მრავალი სახელოვანი, მთელს კავშირში ცნობილი სპორტსმენი მისცა; გიორგიმ ჩაუყარა საფუძველი საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც დღემდე ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოსავლიანობად და შესასწავლად; გ. ნიკოლაძემ დააარსა ქარ-

თველ მთამსკელეთა საზოგადოება, რომლის ექსპედიციებმაც მოახერხა კავკასიონის მწვერვალზე დასასრულს საფუძველზედაც აღმოცენდა და განვითარდა საბჭოთა ალპინიზმი; გ. ნიკოლაძის თაოსნობით ქართველ მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფმა დაამუშავა ტექნიკურ მეცნიერებათა პირველი ქართული ტერმინოლოგია; გიორგი ნიკოლაძემ, როგორც დიდად ინჟინრმა მათემატიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, აღზარდა ქართველ ფიზიკოსთა მათემატიკოსთა მთელი პლეადა; დასასრულ მან საბჭოთა მთავრობის დავალებით აავო ფეროს პირველი საცდელი ქარხანა თბილისში.

გ. ნიკოლაძეს დამთავრებული მქონდა პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეტალურგო ფაკულტეტი. მასთან ერთად ამავე ფაკულტეტზე სწავლობდა რუსთავის სამეტალურგო ქარხნის ახლანდელი მთავარი ინჟინერი ნ. ვ. ქაშაკაშვილი. ორივენი ოცნებობდნენ, რომ თავიანთ ცოდნას მეტალურგიისას საქართველოს მოახმარდნენ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ ოცნებას განხორციელება არ ღირსებია. გ. ნიკოლაძემ სხვა სფეროში გადაიტანა მუშაობა, ხოლო ნ. ქაშაკაშვილი 40 წელზე მეტს ენერჯულ და თავდადებულ მოღვაწეობას ეწეოდა ურალისა და დონბასის სამეტალურგო ქარხნებში. საბჭოთა ქვეყანამ ორთავეს დიდი სამოქმედო სარბიელი გადაუშალა, მაგრამ გ. ნიკოლაძეს არ დასცალდა ამ დარგში განეგრძო მუშაობა, იგი ადრე გარდაიცვალა. ნ. ქაშაკაშვილს კი წილად ზედა ყოფილიყო ამიერკავკასიის სამეტალურგო ქარხნის მთავარი ინჟინერი, მისი ერთ-ერთი წამყვანი მშენებელი.

გიორგი ნიკოლაძის სამშობლო სოფლიდანაა ახალგაზრდა ინჟინერი გრიგოლ ვაშაქიძე. ამის გონებაშიაც აღბეჭ-

დღლია ამ სოფლის წარმტაცი ბეიჯაი. დიდი ჯიხაიშიდან სხანს კავკასიის მთებში, მისი ულამაზესი მწვერვალები, თეთრად მოსილი თეთრული, რომელსაც სწორი კონტის ფორმა აქვს. იგი აღვივებს და ფრთებს ასხამს კაცის ფანტაზიას. აქ, ჯიხაიში, თავისი მამის, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის—ნიკო ნიკოლაძის სახლის აივნებიდან ახალგაზრდა გიორგი ფიჭრობიერი გააყურებდა ხოლმე კავკასიონის ქედს და ოცნებობდა იმ სანეტარო დროზე, როცა მისი მეზობლების შვილები, ჯიხაიშელი გლეხისშვილები მოედებოდნენ ამ ქედის კალთებს, გამოამყლავებდნენ წიაღისეულს და ლითონად გადაადნობდნენ მის სიღრმეში მოპოვებულ მადნეულს. თავის ფიქრებს იგი უზიარებდა მეზობელ გლეხებს, რომლებიც „ნასწაველი კაცის“—გიორგის ნამბობს ზღაპრად მოუთხრობდნენ ხოლმე თავიანთ ბიჭუნებს. ერთი მაშინდელი ბიჭუნათაგანია ახლანდელი ინჟინერი გრიგოლ ვაშაყაძე, რომელიც სხეებთან ერთად ხორცს ასხამს გიორგის ოცნებას—აშენებს ათასჯერ იმაზე უფრო დიდსა და მნიშვნელოვან სამეტალურგო წარმოებას, ვიდრე იყო გიორგისაგან აგებული ფერომარგანეცის საცდელი ქარხანა. გ. ნიკოლაძე იყო იშვიათი გამონაკლისი არა თუ ჯიხაიშელებს, არამედ საერთოდ ქართველებს შორის, რომელმაც უმადლესი სამეტალურგო განათლება მიიღო და შემდეგ გააღრმავა იგი დონბასში სამეტალურგო ქარხნებში მუშაობით. ახლა ვერც კი ჩამოვთვლით, იმდენი მშენებელი და სხვა სპეციალისტის ინჟინერია გამოსული ჯიხაიშიდან. იმ დროს გ. ნიკოლაძე მხოლოდ ოცნებით თუ წარმოიდგენდა, რომ მისი მეზობლის ვიხიმ ვაშაყაძის შვილი გრიგოლი ინჟინერი გახდებოდა და ასეთ მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას შეიძენდა.

გრიგოლ ვაშაყაძემ, ყოფილმა ღურგალმა, შემდეგ მუშაყაძემა, 1938

წელს დაამთავრა თბილისის კონსტრუქციის ინსტიტუტი და იმ დღიდან მისი ცხოვრება ამამშენებლო სარბიელზე ერთთავად გაბმული მუშაობაა. სად არ ყოფილა, სად არ უმუშავია მას ამ ათი წლის მანძილზე? მას უმუშევია მაგნიტოგორსკის ბუმბერაზის—სამეტალურგო კომბინატის სამარტენო და საჩამომსხმელო საამქროები, დიდი საბინაო სახლები და სასკოლო შენობები მოსკოვში, „აზოვსტალის“ საბრძმედე ღუმელები და მარტენები მარიუპოლში, სამხედრო თავდაცვითი ნაგებობანი უკრაინის რაიონებში, მილებს ქარხანა კამენეცკ-ურალსკში. ომის შემდეგ მას უწარმოებია ამავე „აზოვსტალის“ საბრძმედე და სამარტენო ღუმელების აღდგენითი სამუშაოები მარიუპოლში. ახლა ასეთი პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი გრიგოლ ვაშაყაძე ხელმძღვანელობს ა/კ სამეტალურგო ქარხნის სამარტენო საამქროს სამუშენებლო უბანს.

რამდენიმე თვეში რკინის კონსტრუქციების ეს ვებერთელა ჩონჩხი, რომელიც მის უბანზეა აღმართული, ბეტონით, ქვით და აგურით შეიმოსება. საზრდოს იგი მიიღებს უმთავრესად საბრძმედე ღუმელებიდან თხიერი თუჯის სახით, ხოლო ნაწილს ნაბრუნე ფოლადის და შემოტანილი ლითონის ჯართის სახით. ის დამწვარი და გადარუჯული ტროფეები, რომლითაც მოფენილია მინდორი ნავთლედიდან, ვიდრე სადგურ ველამდე, განკუთვნილია სწორედ ამ სამარტენო ღუმელების პირველი მადის დასაკმაყოფილებლად.

ინჟინერი გრიგოლ ვაშაყაძე მუშაობს გატაცებით, ენერგიულად, რომ ქარხნის აღმინისტრაციას დანიშნულ ვადაზე უმაღლესად დააბაროს ია ობიექტი, რომელსაც იგი დღეს ხელმძღვანელობს.

კარგახანს გაგრძელდა ჩემი საუბარი ინჟინერ გრიგოლ ვაშაიძესთან. რა სასიამოვნოც არ უნდა ყოფილიყო ის ჩემთვის, მე მაინც ვწუხდი—ვგრძნობდი, რომ ვაცდენდი ამ კაცს, რომელიც, ჩემის ფიქრით, ეკლებზე იჯდა. მოვრჩითუ არა საუბარს, მართლაც გრიგოლი დამეშვიდობა და კანტორიდან გავიდა. დიმიტრი ისევ საქმეში იყო გართული, გაფაციცებით მუშაობდნენ კანტორის თანამშრომლებიც, რომლებიც განაგრძობდნენ ხაზასა და გრაფების შეესებას. ჩემს იქ დარჩენას უკვე აზრი არ ჰქონდა, მაგრამ გარეთ ისევ წვიმდა. ძვერე დიმიტრიმაც მთხოვა დამეცადა და ერთად წავსულიყავით. მეტი გზა არ იყო და მე ჩავვარდი იმ კაცის უხერხულ მდგომარეობაში, რომელიც მომუშავე აღაშინებდათაა გარემოცული, ხოლო თვითონ არაფერს აკეთებს. მოვიწყინე. ეს შეზამჩნია ერთმა თანამშრომელმა, შუანის, სწორნიკეთებიანი სახის და სიმპატიური იერის რუსმა, პროფესიით, მგონი, ტექნიკოსმა, რომელიც ჩემ წინ მაგიდას უჯდა და გრაფებს ავსებდა. მან მაგიდის უჯრა გამოაღო, იქიდან გახეთის შეკვრა ამოიღო, მომაწოდა და მითხრა:

— თვალი გადაავლეთ, აქ ზოგ საინტერესო რამეს ნახავთ თქვენთვის. გადაშალეთ თუნდაც 1943 წლის 25 სექტემბრის ნომერი, გადახედეთ პატარა სტატიას: „იმათ შესახებ, ვინც ქარხანას აშენებს“.

მე გამოვართვი. ეს იყო ურალის ერთ-ერთი დიდი მშენებლობის მრავალტირაჟიანი გაზეთის კომპლექტი. მითითებულ გვერდზე დასახელებულ სათაურს ქვეშ ასეთი ამბავი ამოვიკითხე:

„1942 წლის თებერვალში თოვლიან ველზე მიაბიჯებდა მალალი, პირხმელი კაცი. ნახშირით შავი თვალები, მალალი კეხიანი ცხვირი უნებურად მოგაგონებდნენ კავკასიას, საქართველოს

მცხუნვარე მზეს. ხოლო აქ კი, შორს ჰორიზონტზე, ბუნდოვანად მჩაქმნდნენ ლილისფერი ურალის მთები“ (და სსსრ-ის კინემა სუნთქვას ჰკრავდა. მაგრამ ხუციშვილი ამას არ იმჩნევდა, მისი გონების თვალს ეხატებოდა რომ აქ, სადაც მხოლოდ გახრეკილი ძირკვები გამოშვერილან, აღმოცენდება უზარმაზარი ქარხანა. იგი ზედავდა ესტაკადების ჯაშვს და მატარებლებს, რომელთაც ახალი ქარხნის პროდუქცია მიჰქონდათ წითელი არმიის მამაცი მეთორებისათვის, ვაჟაკურად რომ ებრძოდნენ საზიზღარ ფაშისტ დამპყრობლებს! რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც გაისმა ნიადაგის აფეთქებათა გუგუნო. ამუშავდნენ ექსკავატორები, დაიწყო საამქროების მშენებლობა, და მალე საშენ მოედანზე წამყვანი ადგილი დაიკავა ამხ. ხუციშვილის ნაგებობამ. სიმწლე ბევრზე ბევრი იყო. არ კმაროდა კვალიფიციური მუშახელი, უმცროსი ტექნიკური პერსონალი. აუცილებელი გახდა კვალიფიციური მუშახელის გაზრდა, სწავლება გზადაგზა მუშაობის პროცესში. შესანიშნავმა ორგანიზატორმა ხუციშვილმა შედარებით მოკლე ვადაში აღზარდა და გაწრთნა სანიღუმო ბრიგადები. ვინ არ იცნობს დღეს ჩვენს მშენებლობაზე უნარსს და ვაზემლიმერის მედურგლეთა ბრიგადებს, რეშის და გეზლის მებეტონეთა ბრიგადებს, ტისინასა და ცაერის კალატოზთა ბრიგადებს, ათისთავებს—ვარიგინს, ეიფერიბს, შტეფალს, ვაგნერს და ბევრს სხვას, რომლებიც მალალი გამომუშავების და კარგი ხარისხის ნამუშევრის ნიმუშებს იძლევიან. ხარისხის საკითხებს ამხ. ხუციშვილი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს. მას ჰყოფნის შოთმინება ხელის დაკაუნებით გასინჯოს იატაკზე დაგებული კაფელის ყოველი ფილა, დაათვალიეროს ყოველი საბეტონო ნაწყობი. როცა საკორდო განაწესის დანერგვა დაიწყო, ხუციშვილი

ამ ახალი წამოწყების თაოსნად და მოწინავედ მოგვევლინა. მის ნაგებობაზე ბრიგადების უმრავლესობას სააკორდო დავალებანი აქვთ. ამხ. ხუციშვილის პაწაწინა კანტორა არა ერთხელ დამშვენებულა პოლიტგანყოფილებისა და მშენებლობის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც ეძლევათ საუკეთესო ნაგებობებს. ის, რაზეც ვასულ წელს ოცნებობდა კომუნისტი ხუციშვილი, სინამდვილედ იქცა: ქარხანა ჩადგა მოქმედ საწარმოთა რიგში. ამხ. ხუციშვილის კოლექტივის მიერ აგებული ხუთი საამქროდან ოთხი უკვე იძლევა პროდუქციას, ხოლო მეხუთე გაშვებული იქნება ექსპლოატაციამ დიდი ოქტომბრის 26 წლისთავის საზეიმო დღეებში“.

— წაიკითხეთ?—მკითხა ტექნიკოსმა, კომპლექტის პატრონმა,—ახლა გადახედეთ შიგის წინა და შემდგომ ნომრებსაც—მან დამისახელა გაზეთის ნომრები. გაზეთი იქაც ამხ. ხუციშვილის საქმიანობას აქებდა: „საფრონტო ერთ-თვიურის ერთ-ერთ დიდ მიღწევას წარმოადგენს დამთავრება საამქროსი, რომლითაც სრულდება ქარხნის პირველი რიგის ციკლი. ამ საამქროს მშენებლობა მიმდინარეობდა ნამდვილი ჩქარი ზეითოდით, ნაგებობის უფროსის ამხ. ხუციშვილის ხელმძღვანელობით. „სტალინის კონსტრუქციამ“ შესასხმელად დაამზადა ძირითადი კონსტრუქციები, ხოლო ორი კვირის განმავლობაში საამქრო მთლიანად იქნა ბეტონით შესხმული და ახლა უკვე მზადაა ჩასაბარებლად. კომუნისტმა ხუციშვილმა გვიჩვენა თავგანწირული შრომის ნიმუშები, დიდად ვადააქარბა გეგმას. და მოგვცა მაღალი გამოძულებები.“

დაახლოებით ასეთ შეფასებას აძლევდა ეს გაზეთი კომუნისტ ხუციშვილის ნამუშევარს მთელი წლის განმავლობაში. ამ გაზეთში ყოველ კვირაში ერთხელ მაინც წააწყდებით მოკლე

ცნობას ან წერილს კომუნისტ ხუციშვილის ობიექტის შესახებ, რადგან ყოველა თვალსაჩინო და წამყვან ინჟინერს ურალის ერთ-ერთ გიგანტის მშენებლობაზე. ტექნიკოსი, რომელმაც გაზეთის კომპლექტი გადმომცა, ხუციშვილთან ნამუშევარი აღმოჩინდა.

— გიორგი ახლა აქ არის, — მითხრა მან, — „საგლინავეშენის“ საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსად მუშაობს. აუცილებლად ნახეთ.

დიმიტრიმ დაამთავრა მუშაობა და ჩვენც გავუდევით გზას ქარხნის სამმართველოსაკენ. წვიმას უკვე გადაელო, მაგრამ ჩვენი გასაველელი გზა ძალიან ატალახებული იყო, კოჭებამდე ტალახში ჩაფლული ნელნელა მივაბიჯებდით.

— იხეინერ გიორგი ხუციშვილის იცნობ?—შევეკითხე დიმიტრის.

— მე რომ ვიცნობდე, საკვირველი არ არის, მთელი ათი წელიწადი ერთად ვმუშაობდით რუსეთში. შენ თუ იცნობ, ეს კი გასაკვირველია, იმიტომ, რომ იგი არც ყოფილა აქ თითქმის 15 წლის განმავლობაში. შენ საიდან გაიცანი?

მე გადავეცი ის, რაც გაზეთში ამოვიკითხე.

— ძალიან ენერგიული მუშაკია, ღირს მისი გაცნობა. მივალთ ზის უბანზე და სურვილს შეგისრულებ—გაგაცნობ!



15 წუთში ჩვენ უკვე ვიყავით იმ ადგილას, სადაც სამეტალურგო ქარხნის ყველაზე ბუმბერაზი საწარმო—საგლინავე სამმართველო უნდა აშენდეს. საგლინავეშენის უფროსად არის ინჟინერი იასონ გუმბერიძე. იგი მუშებს შორის იდგა და მათ რაღაც მითითებას აძლევდა. როცა მათთან მორჩა ლაპარაკს, დიმიტრიმ გააცნო ზის ჩემი თავი. იასონ გუმბერიძე 40 წლისაც არ იქნება, თუმცა თმა გაჭალარავეებული აქვს. თხელი, შუა ტანის, სანდომიანი სახის იასონი სიმ-

კვირცხლით ბევრად უფრო ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე ნამდვილად არის. 16 წელიწადზე მეტია სააშშ-ში მსახურება იგი და ყველგან, სადაც მას უშუშავნია, დაუტოვებია კვალი კარგი მშენებლისა და ორგანიზატორისა. იგი ობიექტივი გლეხის ოჯახიდანაა. მას მისი თაობის ადამიანის ტიპური ბიოგრაფია აქვს. ზამპისს, რომელსაც სამი ვაჟი ჰყოლია, სახსარი არ ჰქონია პირველდაწყებითზე მეტი განათლება, მიეცა შვილისათვის და ისონი ხარაზისთვის მიუბარებია ბაღდადში. წელიწადსაც არ გაუვლია, ხარაზს გამოქვეყნა:—შინ მიმსახურებდა, ხელობას არ მისწავლიდაო.

— წადი და ახლა საქონელი მწყემსე, — უთხრა ისონს გაგულისებულმა მამამ, და პატარა მალხაზი მწყემსი თავის ტოლაშხანაგებთან ერთად ორ წელიწადს ამოვებდა ნახირს აჯამეთის მინდვრებზე.

მაგრამ ჩვენი დრო, ფართო მასებში მიმალული ნიჭის და უნარის ამოძრავების დრო, განა მწყემსად დასტოვებდა ფხიზელი გონების ახალგაზრდას, რომელიც ღირსი იყო უკეთესი ზეედრისა და უფრო ფართო სამოქმედო სარბიელისა? ბოლშევიკური პარტიისა და კომკავშირის დახმარებით ახალგაზრდა ისონი იკავაფს გზას უფრო შინაარსიანი ცხოვრებისათვის — ამთავრებს წარმატებით ჯერ შეიდწლედს, მერე ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმს და პირველად, როგორც ტექნიკოსი, მონაწილეობას ღებულობს დიდი ხიდის მშენებლობაში ზეკარის სამხედრო გზატკეცილზე. აქ მან ისეთი უნარი და თაოსნობის ნიჭი გამოამჟღავნა, რომ მშენებლობის უფროსმა მიაგლინა ის სარატოვს, რათა გასცნობოდა დიდი ხიდების მშენებლობის პრაქტიკას. ბაღდადის რაიკომმა ამ ნიჭიერი მშენებლის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეს საქ-

მოდ არ ჩასთავლა და უმაღლესი ტექნიკური ცოდნის მისაღებად გაგზავნა თბილისის კიროვის სახელმწიფო ინჟინტრიულ ინსტიტუტში. ისონმა ჩინებულად დაასრულა კურსი და 1938 წლიდან დღემდე იგი განუწყვეტლად მუშაობს.

თუ როგორია ისონ გუმბერძის საწარმოო ბიოგრაფია, ამ კითხვით დაინტერესებულ ადამიანს პასუხს გასცემს ინიჩინერ ისონ გუმბერძის ხელმძღვანელობით აშენებული ალავერდის სპილენძის სადნობი კომბინატის ნაგებობანი, სადაც ისონი პირველ ხელმძღვანელადს სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ მშენებლობის მთავარ ინჟინრად, ხოლო დასასრულს მშენებლობის უფროსად მუშაობდა. იმავე კითხვის საგნებით დამაკმაყოფილებელ პასუხს შეიცავს ძირულის ცეცხლგამძლე ავტორის ქარხნისათვის სრულყოფილი ტექნიკით აგებული მალაროები, რომელთაც ისონ გუმბერძე აშენებდა. მან ყველგან ნიჭიერი და ინიციატივიანი მშენებლის სახელი დასტოვა. 1944 წლიდან ისონ გუმბერძე ამიერკავკასიის სამეტალურგო გივანტის ერთ-ერთი მშენებელია. ამჟამად საგლინავი საამქროს მშენებლობის უფროსად მუშაობს.

თუ რა დიდი და საპასუხისმგებლო საქმე ჩააბარეს ისონ გუმბერძეს, ამას ცხადპყოფს მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ რას წარმოადგენს საერთოდ და როგორი იქნება კერძოდ რუსთავის ქარხნის საგლინავი საამქრო.

ყველა საწარმოზე მეტად ამიერკავკასიის სამეტალურგო ქარხანას გივანტის სახეს მისცემს სწორედ ეს საამქრო. ის ერთი კილომეტრის ზიგრძეზე გაიჭიმება. მის ფართობზე, რომელსაც ერთი კორპუსი დაიკავებს, შეიძლება მოთავსდეს 55 ისეთი შენობა, როგორიც არის ამჟამად უკვე აგებული და თავისთავად საკმაოდ მოზრდილი სამჭედლო საამქროს შენობა. აქ დაიდგმება ბლუმინგი

და მრავალი სპეციალური დაზგა—უნივერსალურ ნაგლისის მისაღებად. იგი ყოველწლიურად დამზადებს 150 ათას ტონა სხვადასხვა სახის ნაგლისს. თავისი მოცულობით ამაზე ნაკლები არ იქნება მიღების დამამზადებელი საამქრო, სადაც მოთავსდება ორი შტიფელი, სადაც ყოველწლიურად დამზადდება 290 ათასი ტონა ზილი, ესე იგი, იმაზე მეტი, რასაც ამზადებდა მთელი საბჭოთა კავშირი ამ 15 წლის წინათ.

აი ამ უზარმაზარი საამქროს მშენებლობას უშუალოდ ხელმძღვანელობს დღეს ინჟინერი იასონ გუმბერიძე.

რა შინაარსიანი გზაა! რა დიდი ნახტომია მწყემსიდან—გიგანტის მშენებლამდე.

როცა ინჟინერ იასონ გუმბერიძეს დაეშორდით, ზე და დიმიტრის გზაზე წამოგვეწია სადად ჩაცმული, მალალი ტანისა და გამბდარი სახის კაცი, შეკადარავებული მაგარი შავი თმით.

— აი ეს არის სწორედ გიორგი ხუციშვილი,—გამაცნო დიმიტრიმ.

სალამოდებოდა. ჩვენ შევედით შენობაში, სადაც მოთავსებულია ქარხნის სამმართველოს ინსპექცია, სადაც დიმიტრის სამუშაო მაგიდა დგას. სამივენი შემოვუსხედით მაგიდას და საუბარი გავაჩაღეთ.

მშენებელი ინჟინრები გიორგი ხუციშვილი და დიმიტრი პატარიძე თანშეზრდილი ამხანაგები არიან. მათ ერთად დამთავრეს თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი, ერთად გავიდნენ საამშენებლო სარბიელზე, ერთად გაჰდარავდნენ მუშაობაში. ორნი არიან—ტოლნი არიან,—არ შეიძლება არ გავახსენდეთ, როცა გადახედავთ მათი ცხოვრების გზას. ტოლნი არიან არა მარტო სიმაღლით და ასაკით, არამედ თავგადასავლით. ტანად ორივე ახოვანია, პატარიძე ოდნავ მოხრილი ზრებში, თმაშეთხელეული და შექადარავებულია, მო-

თეთრო სახე ნაოქებით აქვს დაჯიშული. გიორგი ხუციშვილი ტანწერილია, წელში გამართული, შეგვედრებულ გარი შევერცხლილი თმით და მალალი ცხვირით. ხასიათით გიორგი უფრო ფიცხი და ტემპერამენტიანი უნდა იყოს აუჩქარებელ დიმიტრიზე, მაგრამ ეს განსხვავება ხასიათში მათ ხელს რაღი უშლიდა, რომ ერთად გაეწიათ მშენებლობათა კაპანი, გაეყოთ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, გაეზიარებიათ ერთმანეთის სიამე და სიხარული.

— ბევრი სიმწარე გამოვიარეთ ერთად, მაგრამ მაინც სიამით მოსაგონარია ის წლები და დღეები, რომლებიც გავატარეთ განუწყვეტელ ხეტიალში მშენებლობიდან მშენებლობამდე,—სთქვა დიმიტრი პატარიძემ.—ეს იყო ცხოვრების დიდი სკოლა.

— პირველად ორივენი მაგნიტოგორსკში მოვხვდით,—დაიწყო თავისი და თავისი მეგობრის ბიოგრაფიული ამბების მოყოლა გიორგი ხუციშვილმა.—რეტი დაგვასხა მშენებლობის გრანდიოზულობამ, იქ აღებული ტემპების სისწრაფემ. მალე ჩვენ ჩავვითარია ჩქარი მუშაობის, შეჯიბრების აზარტმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მაგნიტოგორსკში ჩვენ ენახეთ სერგო ორჯონიკიძე. ეს იყო 1934 წლის მიწურულში. ეს წელი ჩვენი, ქართველი ახალგაზრდა ინჟინრების საწარმოო პრაქტიკის პირველი წელი იყო. ჩვენ ის იყო ვეგუებოდით ჩვენთვის უცნობ ახალ ვითარებას; ჩვენს ზნესა და ჩვევებს ისე. ადვილად ვერ ვივიწყებდით. სექტემბერი იყო. მაგნიტოგორსკში თოვდა, სალამოობით ყინავდა. ჩვენ მაინც კოპწიობას არ ვიშლიდით, ვკოხტაობდით, ვალენკებსა და თბილ ქურქს არ ვიკარებდით, ისე დავდიოდით საამშენებლო მოედანზე. ერთ დღეს ჩვენდა მოულოდნელად მაგნიტოგორსკში გამოჩნდა სერგო ორჯონიკიძე. ამ აზბაგმა ყველა უბანი ფეხზე დააყენა. გვიხაროდა. ჩვენ, თბი-

ლისელ ინეინრებს, პირველად გვეძლეოდა საშუალება პირადად გვენახა სახელოვანი რევოლუციონერი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე. ვიცოდით, რომ იგი ჩვენამდეც მოვიდოდა, მასთან პირდაპირ მისვლისა და გამოცნობის გვერიდებოდა. გადაწყვეტით როგორმე მიგვექცია მისი ყურადღება და აი, აგერ მშენებლობის უფროსისა და პარტიული მუშაკების თანხლებით სერგო ორჯონიძემ ჩვენს ჯგუფს მოუახლოვდა. ვანზრახ ხმამაღლა ქართულად დაგვიწყეთ ლაპარაკი. სერგომ შემოგვხელდა დიმილით მოგვამახა:

— გამარჯობათ, ბიჭებო!

შემდეგ აგვხელდა და, როცა შეგვატყუო, რომ სიცივისაგან აწურულ-აქუჭგული ვიყავით, გვეითხა:

— გცივათ, ბიჭებო, გცივათ? ვაი, ვაი, ვაი! გაუძელით, არ შერცხვეთ, ბიჭებო!

ჩვენ დაეიბნით, ვერაფერი ვუპასუხეთ. დაბნეულობიდან თვითონ მან გამოგვიყვანა. გამოგვითხა ვინ ვართ, რამდენი ხანია ვმუშაობთ, ხომ არაფერს ვემღურით. მშობლიური სიყვარულით თქმული მისი სიტყვები სამუდამოდ დაგვამახსოვრდა; სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, ყველგან ჩაგვესმოდა მისი სიტყვები: არ შერცხვეთ, ბიჭებო!

არ ვიცით, უთხრა თუ არა რაიმე ჩვენს შესახებ სერგომ ჩვენს უფროსებს (შეიძლება გაახსენა მათ, რომ ჩვენ ჩრდილოეთის ყინვებს შეუჩვეველი ვართ და გაგვფრთხილებოდნენ): აღმინისტრაციამ გააორკეცა ჩვენზე შრუნველობა. თბილი ტანსაცმელი ვკონდა, მაგრამ კიდევ მოგვცეს. მოგვიწყვეს ბინები და სამუშაო ოთახები, გვივლიდნენ ისე, რომ უხერხულადაც კი ვკრძნობდით თავს ასეთი განსაკუთრებული მშრუნველობის გამო. ჩვენ ისღა დაგვჩინოდა, რომ გაგვეპართლებია ეს ყურადღება, თავი არ დაგვე-

ზოგა, მოწინავეებს არ ჩამოგვჩინოდით, ჩვენი სისუსტით ამოგვჩინებდნენ ჩვენი დიდი და სახელოვანი თანამემამულე.

პატარიძისა და ხუციშვილის ნაამბობიდან ჩემთვის აშკარა გახდა, რომ მაგნიტოგორსკმა წარუშლელი კვალი გაავლო ახალგაზრდა ინეინრების პროფესიული მოწადების და დაოსტატების საქმეში. მათ თვალწინ დღითიდღე საოცარი სისწრაფით ითბრებოდა ვებერთელა ქვაბულები, მზადდებოდა ათასობით ფორმები ბეტონის ჩასასხმელად, კეთდებოდა ბეტონისა და რკინაბეტონის საძირკვლები, სიმაღლისაკენ მიიწვედნენ კორპუსებსა ბუძებრაზი კედლები.

— იქ, მაგნიტოგორსკის საამშენებლო მოედანზე, — სთქვა დიმიტრი პატარიძემ, — სადაც ათასობით მუშახელი ტრიალებდა, ვისწავლეთ სამუშაო მოედნის ორგანიზაცია, მუშახელის სწორი განაწილება, მექანიზმების რაციონალური გამოყენება, ყოველივე ის, რაც დიდი შენაძენია მშენებელ ინეინრისათვის. იქ ვივარძენით ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით გამსჭვალულ მშენებელთა კოლექტივის ძალა, იქ პირველად განვიცადეთ სიამაყე მშენებლისა, როცა დავინახეთ, რომ უზარმაზარი საამქროების საძირკვლებისა და კედლების მშენებლები ჩვენც ვიყავით.

თითქოს მაგნიტოგორსკს შემდეგ მათ არავითარი სიძნელის არ უნდა შეშინებოდათ, მაგრამ 1936 წლის აგვისტოში, როცა ისინი საბჭოთა რუსეთის ერთ-ერთ ცენტრალურ ოლქში ახალ სამუშაოზე გაგზავნეს, ცოტა არ იყოს, ახალგაზრდა ინეინრები შედრკნენ.

— მიგვიყვანეს ტრიალ ველზე, — მითხრა გიორგი ხუციშვილმა, — იქ რამდენიმე ორსართულიანი ხის შენობის ვარდა, არაფერი მოიძებნებოდა, და ჩვენ, გამოუცდელ ინეინრებს, გვითხრეს: აი აქ უნდა ააშენოთ მთელი ბურის ქალაქი, ესე იგი, თქვენ უნდა ააშენოთ

მთელი წყება ბუმბერაზი ელევატორებისათ. ამასთან გვიჩვენეს სამუშაო გეგმები, პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ 60 მეტრის სიმაღლის რამდენიმე თერთმეტ სართულიანი ელევატორის აგებას. გარდა ელევატორებისა, უნდა აგვეშენებია დამხმარე საწარმოთა შენობები. უნდა აშენებულყო ისეთი ელევატორები და ისეთი მექანიზმები, რომელიც მანამდე არ ყოფილა არა თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში, არამედ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიაც კი. ჩვენთვის ეს ახალი საქმე იყო და ეს სიახლე გვაშინებდა.

ზაგრამ მაგნიტოგორსკში დაძაბულ შრომას შეჩვეულმა ინჟინრებმა ქედი არ მოიხარეს ახალი ძნელი საქმის წინაშე. ხუციშვილი და პატარიძეც საამშენებლო ობიექტების უფროსებად დანიშნენ. საქმე დაყოვნებას ვერ ითმენდა, ელევატორები სწრაფად უნდა აშენებულყო და დანიშნულ ვადაზე გადაეცათ საექსპლოატაციოდ. ასწორებდნენ დღე და ღამეს, მუშაობდნენ ყოველ ამინდში, ზამთრის ყინვიან დამბებშიაც კი, რადგან შეჩერება არ შეიძლებოდა. მუშაობის შეწყვეტა ერთიორი საათითაც კი არაფრად აქცევდა მანამდე ნაპუშევარს. თავისი საკუთარი და მთელი კოლექტივის ძალღონის დაძაბვით ორივემ მოახერხა ერთიმეორის მოყოლებით დანიშნულ ვადაზე სახელმწიფო კომისიისთვის ჩაებარება და საექსპლოატაციოდ გადაეცათ გეგმით გათვალისწინებული ყველა ნაგებობა.

მათი ნამუშევრის ხარისხი რომ ცუდი არ ყოფილა, ეს სჩანს იქიდან, რომ ამ ოლქში საელევატორო მშენებლობის დამთავრებისთანავე ისინი გაუგზავნიათ მეზობელ ოლქში ახალი ელევატორების ასაგებად და, რაც მთავარია, იმ შეცდომებისა და ჩავარდნების სალიკვიდაციოდ, რომლებიც სხვა ახალგაზრდა ინჟინრებს მოსვლიათ იქ ელევატორების მშენებლობის საქმეში.

გ. ხუციშვილის, დ. პატარიძისა და ბევრი ქართველი ინჟინრის გამორჩეულობის კიდევ უფრო მაღალეფექტურობა ფიზიკური და სულიერი გამძლეობის, მათი უნარისა და ოსტატობის გამოცდის კიდევ უფრო მძიმე ეტაპი იყო გრანდიოზულზე გრანდიოზული მშენებლობა საბჭოთა ქვეყნის შორეულ ჩრდილოეთში, იქ, სადაც შენდებოდა გენთსაამშენებლო ქარხანა.

— იქ გაშლილი საამშენებლო სამუშაოების მოცულობა თქვენთვის ცხადი იქნება, — სთქვა გიორგიმ, — თუ გაითვალისწინებთ, რომ ერთდროულად იქ საამშენებლო მოედანზე მუშაობდა რამდენიმე ათეული ათასი კაცი. ქარხანა თავის სამუშაოებით უნდა გაჭიმულიყო რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. შენდებოდა საწარმო ასზე მეტი საამქროთი, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს თავისთავად დიდ ქარხანას. მთავარი სიძნელე ის იყო, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა ჭაობიან ადგილას, რომელიც ზამთრობით ორი მეტრის სიღრმეზე იყინებოდა, ხოლო ზაფხულობით წარმოადგენდა გაუვალ ჭაობს, მეტად სახიფათოს და საშიშს, რადგან საკმაო იყო კაცს გამაგრებული ადგილიდან ფეხი წაცდენოდა, რომ მაშინვე ჭაობში ჩაძირულიყო.

აი აქ მუშაობდა მთელი ორი წლის განმავლობაში რამდენიმე ქართველი ინჟინერი, მათ შორის, კირილე უკლება — ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირი, ტატიანა ჭოჩიაშვილი, კონსტანტინე ვაბლაია, ვიქტორ გაგნიძე, ვალერიან კვახაძე, ტრ. ზვიადაძე, იური კობახიძე, ვლადიმერ რუხაძე, ლეონიდ კეკელიძე და სხვები.

ექსკავატორების, რიფოლიორების, ტრანსპორტიორების და სხვა მექანიზმების ხმაური არ წყლებოდა არც დღითი და არც ღამით. მოჭონდათ მილიონ ტონობით ქვა და მიწა ნიადაგის გასამაგრებლად, საშენი მასა-

ლა, რკინა და ბეტონი ფუნდამენტების ამოსაყვანად, კარკასებისა და კედლების ასამართავად. სამამულო ომი დაიწყო. ამან კიდევ უფრო დაძაბა მშენებელთა ენერჯია. ქარხანა და მასთან ქალაქი ფანტასტიური სისწრაფით შენდებოდა. ჩამყარდნენ ერთიმეორის ზვერდით ასამდე სხედასხვა საამქრო, დოკი და ელინგი, რომლის სიგრძე 35 მეტრს უდრის, ხოლო სიმაღლე 65-ს.

— დიდი იყო ჩვენი სიხარული, — ამბობს ამხანაგი პატარიძე, — როდესაც ჩვენმა აშენებულმა საამქროებმა ფრონტს პირველად მისცეს პროდუქცია.

ომის დღეებში საშობლომ იმავე მშენებელთაგან ამაზე უფრო სწრაფი ტემპი მოითხოვა.

— 1943 წლის ზამთარია. ყინვა სუნთქვასა ჰკრავს, იყინება ყველაფერი, მუშაობა მაინც გააფთრებით მიმდინარეობს. მოსკოვიდან ჩადის პაპანიჩი და მშენებლებს გადასცემს სტალინასა და საშობლოს ბრძანებას:

— ორ თვეში აქ უნდა აშენდეს ნავსადგური, რათა შევძლოთ ზღვით მივიდეთ ის, რაც აუცილებელია მეტრზე გასამარჯვებლად.

ბრძანების მოსმენა და საქმის დაწყება ერთი შეიქნა. აქ უკვე ნაანგარიშები იყო არა თუ დღე, არა თუ საათი, — საშობლოს წინაშე დანაშაულად ითვლებოდა თითოეული წუთის უნაყოფოდ დეკარგვა. გაჩაღდა სწრაფზე უსწრაფესი ტიტანური ბრძოლა ზღვის დასამორჩილებლად. იმ ორ თვეს რომ ამბავი დატრიალდა, მიუწვდომელია გონებისათვის და გამოუთქმელია ადამიანის ენით. ის ფაქტი, რომ ორი თვის განმავლობაში ექვსი კილომეტრის მანძილზე აგებული იქნა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი დიდი გემების მისადგომი, თანამედროვე ნავსადგური, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს მშენებელთა პატრიო-

ტულ ალტყინებასა და შრომის პათოსზე.

— ჩვენამდე მოაღწია მამულისაზე, აქ საარაო გმირების მომსწრე და მონაწილე ქართველმა ინჟინრებმა, — რომ საზღვარგარეთ არ სჯეროდათ, თუ ორ თვეში ასეთი ვებერთელა ნავსადგურის მშენებლობის დამთავრება შეიძლებოდა.

დადგა ყველაზე საზეიმო მომენტი მშენებელთა ცხოვრებაში. კვლავ ჩავიდა ამხანაგი პაპანიჩი, რათა მათთვის სტალინის მადლობა გადაეცა. პაპანიჩთან ახლდა ინგლისის წარმომადგენელი.

— როცა ინგლისელმა ნახა ყველაფერი ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, — იგონებს გ. ხუციშვილი, — ერთხანს გაშეშებული იდგა, კაცი ვერ გაარკვევდა გაციებისა თუ შეშფოთებისაგან; მერე სახეზე ღიმილმა გადაურბინა, ვერც იმას გაიგებდით, სიხარულის იყო თუ სიმწრის ეს ღიმილი. ბოლოს, როგორც ექნა, ინგლისურად სთქვა რამდენიმე სიტყვა. ჩვენ გადაგვითარგმნეს: „ახლა კი ვხედავ, რა შესძლებიათ რუსებსო!“

მე დიდი ინტერესით ვუსმენდი ამ ამბავს და მშურდა მათი ბედი. ერთხანს ვეღუმიდი, ბოლოს ვკითხე:

— გიყოჩაღიათ! მართლაც, არ შეგირცხვენიათ თავი! სხვა მხრივ როგორ ცხოვრობდით ქართველები? ვიჭირდათ ჩრდილოეთში?

— ჩრდილოეთის ჰავას ადვილად შევეგუეთ, — სთქვა ღიმიტრემ. — გაქირებდა იყო, მაგრამ ვერ ვგრძნობდით, მშენებლობის აზარტმა ყველაფერი დაგვაიწყო. გამარჯვება შრომის ფრონტზე ისეთივე კარგ გუნებაზე აყენებს ადამიანს, როგორც გამარჯვება ბრძოლის ველზე. ასეთ პირობებში მუშაობა ძალიან აახლოვებს ერთმანეთთან ადამიანებს. ჩვენ ბევრ რუსს, უკრაინელს და სხვა ეროვნების მშენებლებს დავუძმობილდით. დაედიოდით ერთმანეთ-

თან ოჯახებში. ჩრდილოეთში, სადაც ვიტამინიანი საქმელი ცოტაა და ამის გამო ცინგით დაავადების საშიშროება დიდია, ნიორი, ხაზვი, წიწკაკი, ტყეშალი სამკურნალო წამლად ითვლება, მაგრამ ომის დროს ამ პროდუქტების შოვნა ძალიან ძნელი შეიქნა, ომამდე კი ეს ბოსტნეული და ხილიც ბლომად მოგვდიოდა სამშობლოდან. ზშირად ეუნაწილებდით ჩვენს მეგობრებს.

ერთხელ, როცა ხილი და ჩურჩხელები ჩამომივიდა, — გაიხსენა დიმიტრი პატარიძემ, — ერთი იაკუტი ამხანაგი მესტუმრა. მივაწოდე ფორთოხალი. ერთხანს ათვლიერა. მერე მოკბიხა. სახე დაედრიჯა. სჩანდა, ემწარა. ამას რა გაკმევთო, — მკითხა. გაჩეცინა. მის თვალწინ გაფრცქვენი მეორე ფორთოხალი და პირში ჩავიღე. იმანაც მომბაძა. ესაიპოვნა, გემრიელი ყოფილაო. შემდეგ ჩურჩხელა მივაწოდე. — ეს რაა? სანთელია? — როცა ჩურჩხელა გავსინჯე, გაცეცხისაგან თვალეები გაუფართოვდა — სანთლის ჭამა ვის გაუგონიაო, მაგრამ შემდეგ დარწმუნდა, რომ ესეც გემრიელი ხილი იყო.

— იქ მე ამაზე უფრო საინტერესო ამბავი გავიგონე, — სთქვა გიორგიმ. — ერთ ნენეცს საზამთრო ენაბა პირველად. სხვების წაბაძვით მასაც ეყიდა, ბურთი ჰგონებოდა. როცა უთხრეს, საქმელიაო, არ დაუჯერებია, ამოდენა პირი ვის ექნებაო ან რა გასაღებით უნდა ვაიხსნასო. ვიღაც მადლიანს დანით გაეჭრა და გამასპინძლებოდა ნენეცს მისივე საზამთროთი. ასეთ ეჭოტიურ ამბავს თუმცა არც ისე ზშირად, მაგრამ მაინც წავაწყდებოდით ზოლმე შორეულ ჩრდილოეთში. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებს მალე იქაური მკვიდრნიც გაიხსენებენ, როგორც კურიოზს, რადგან ახლა ისინი არიან მცხოვრებნი უზარმაზარი სამრეწველო ცენტრისა, დიდი სოციალისტური ქალაქისა, სადაც ამჟამად, ალბათ, უკვე გახსნილი იქნება

დიდი უნივერსიტეტი, სასტუმროები, რესტორნები, საეაქროები ყოველგვარი საქონლით და პროდუქტებით.

— იცით, რა მენატრება იმ ადგილებს ნახვა? — სთქვა გიორგიმ. — ის შორეული ჩრდილოეთი ხომ მართლა შორეული არ არის ჩვენთვის? იგი ხომ ჩვენი ხელითაცაა შექმნილი? მასში ხომ ჩვენი ძალღონეცაა ჩადებული, მასთან ბევრი ჩვენი მოგონებაა გადახლართული. ალბათ, ამიტომ გვენატრება ის ადგილები!

— იგივე ითქმის ყველა იმ რაიონზე, სადაც ჩვენ გვიმუშავნია, — განაგრძო დიმიტრიმ ამხანაგის მიერ გამოთქმული აზრი. — როცა ჩრდილოეთიდან მომავალი რუსეთის ცენტრალურ ოლქების იმ რაიონებს მივუახლოვდით, სადაც ჩვენ ელექტრორებს ვაშენებდით, ვაგონის სარკმელს არ მოგშორებხვიარ, მინდოდა ყველაფერი დამენახა. თვალბზე ცრემლი მომადგა, გული მეტკინა, როცა გერმანელი ოკუპანტების „ნამოღვაწარი“ დაეინახე, — ცეცხლისგან შერუჯული და ვაკეამლული და ალავ ჩაზონგრეული კედლები ელექტრორებისა. ალბათ, ასეთი იყო სიმწარე იმ ჩემი მეზობლისა, რომელსაც ჩემს ბავშვობაში მრავალი წლის ნამაგარი სახლი და შთელი კარმიდამო ცეცხლმა გადაუბუგა.

სიჩუმე ჩამოვარდა. დუმოლში ზე განვაგრძობდი ამ საუბრით აღძრულ ფიქრს: აი ქართველი ინჟინრები, საბჭოთა პატრიოტები, მრავალ წელს რუსეთში, ახლოებელ და შორეულ რესპუბლიკებში ნამუშევარი და ნახეტილები. მათი პატრიოტიზმი მართო გონების, მართო შეგნების ნაყოფი კი არ არის, იგი შეჭრილია მათ ძვალსა და ხორცში, გადასულია ემოციებში, სწორედ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი ხელებით, თავიანთი თვლით, ყურით, შეხებით, თავიანთი ნერვებით, თავიანთი გულის სისხლით აშენებდნენ იმას, რასაც სამშობლო ეწოდება. რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, კახაკსტანი, მთე-

ლი საბჭოთა კავშირის სიერცე მოფენილი და დასერილია მათი საკუთარი ხელით ნაშენები სამრეწველო გიგანტებით, ელსადგურებით, ელვატორებით, რკინიგზებით, არხებით და ავტოსტრადებით. მათ მოიპოვეს უფლება, რომ საბჭოთა კავშირს, მის ყოველ რესპუბლიკას უწოდონ თავიანთი მშობლიური მიწაწყალი.

— ჩრდილოეთი რომ დასტოვებთ და დიმიტრის რომ დაშორდით, მერე სად გაგვზავნეს, გიორგი?—განვაახლე საუბარი.

— იქიდან,—მითხრა ინჟინერმა გ. ხუციშვილმა,—მანქანებით დატვირთული ეშელონებით გაგვზავნეს ბოგოსლოვისაკენ—ახლანდელ კრასნოტურინსკისაკენ. სვერდლოვსკს იქით 500 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იქ 1942 წლის თებერვალში მივედით. გარშემო სიცალიერე და დუმილია, თოვლით გადათეთრებულია მთელი ველი, ურალის სასტიკ ყინვას შეუკრავს და გაუქვავებია ყველაფერი, თვალის მომპრელ სითეთრეს არღვევს მხოლოდ ჩვენი ეშელონი, მყუდროებას—ჩვენი ქრიაშული. დაუყოვნებლივ უნდა შევედგეთ მუშაობას. უნდა მოვძებნოთ მოედანი, მაგრამ რას მოძებნი?—თოვლი ძევს ოთხი მეტრის სიმაღლეზე. სხვა რა გზა იყო! დაეტრიალდით, მოენახეთ ზოედანი, გავასუფთავეთ. ავბარიალეთ ნაღმები, ავაქლარუნეთ ექსკავატორები, ამოვიღეთ ქვებულეები, ჩაყვარეთ საფუძვლები. მალე მოგვადგნენ ვოლხოვის, ტიხვინის, ზაპოროჟიეს დემონტირებული ქარხნების მექანიზმები და მოწყობილობანი. ერთდამიამე დროს და ისიც დაუყოვნებლივ უნდა დაიდგას დაზგები და ალიმართოს კორპუსები. ფრონტს ახლავე სჭირდება ალიუმინი და ჩვენ დღეღამეს ვასწორებთ, რომ მოვანწროთ. ახლაც მივირს, რომ ვიხსენებ, რა შენძლებია ადამიანს! რადაც ორ თვეში ამუშავდნენ პირველი აგრე-

გატები, ხოლო ორი წლის განმავლობაში უკვე მზად იყო ბუმბერაჭყსამრეწველო ქალაქი. ასეთი ტემპის მუშაობა ალბათ, არც ისტორიას ახსოვს!

— თქვენ რას აკეთებდით პირადად?

— სამრეწველო რაიონის სამუშაოთა უფროსად ვიყავი.

— თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით მომიყვებით,—ვთხოვე მე.

— ჩემზე და ჩემგან კმარა. ჩემისთანები აქ ბევრია. ყველას ეყოფა მასალა თავისი პრაქტიკიდან. ვიამბობენ უფრო უკეთ, ვიდრე მე მეხერხება.

— მართლს ამბობს,—დაუდასტურა დიმიტრი პატარიძემ.—აი მიმართეთ თუნდაც ამას,—და დიმიტრიმ მიმითითა ლურჯ „სპეცოგვაში“ ჩაცმულ, თხელი აგებულების კაცზე, რომელსაც სახეზე მზე სასიამოვნოდ მოჰკიდებოდა. იგი ის იყო შემოვიდა ოთახში.

— გაიცანით თბოტექნიკის სპეციალისტი, ინჟინერი გიორგი ტარასის-ძე შალიკაძე. ჯერჯერობით ინსპექტორად მუშაობს, სანამდე საკოქსე-ქიმიური სააშქრო აშენდებოდეს.

— თქვენ სად იყავით?—შევეკითხე ჩემს ახალ ნაცნობს.

— ხახვსა და ნიორს რომ ვერ მივირთმევედი, მიტომ მომივიდა ეს ვერ მივირთმევედი, მიტომ მომივიდა ეს საქმე,—და გ. შალიკაძემ გვიჩვენა კბილები, რომელნიც ძალზე ერყვოდა. იგი სწრაფი, მოქნილი მოძრაობისა და მხიარული გუნების კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს. მას არ ეცალა სასაუბროდ, ბოდიში მოიხადა, ობიექტზე მეჩქარებაო და სწრაფად გავიდა ოთახიდან. გ. შალიკაძე ნამუშევარია დონბასის, ურალის, შორეული აღმოსავლეთის „ამურ-სტალის“ სამეტალურგო და ქიმიურ ქარხნებში. მასაც დამთავრებული აქვს თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი.

რა დიდი ამაგი დასდო ამ უმაღლესმა სასწავლებელმა ჩვენს ქვეყანას, გავი-

დებრე, მე, როცა მოვისმინე კიდევ ერთი სახელი სპეციალისტისა, რომელსაც ეს ინსტიტუტი დაუშთავრებია.

— ჩვენ ბევრი ვართ, შენს უბეში ნაშობი და გამოზრდილი,—

პოეტის ამ სიტყვებით თქვენ თამამად შეგიძლიათ მიმართოთ ამ ინსტიტუტს,—უთხარი მე ჩემს თანამოსაუბრეებს.

— ბევრი ვართ, მაგრამ,—არ დაამთავრა წინადადება გიორგიმ. მე ვერ მივხვდი, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ამ „მაგრამს“, ერთი კი ამჟამა შეიქნა ჩემთვის: ეს თანაშენადილი მეგობრები გუნებაზე ვერ არიან. მოუწყენიათ. დიმიტრი პატარიძეს იმიტომ, რომ უშუალოდ საამშენებლო უბანზე არ უბდება მუშაობა, იგი თვითონ კი არ ამენებს, არამედ სხვების ნაშენებს უწევს კონტროლს, იწონებს ან იწუნებს მას. გიორგი კიდევ იმით არის უკმაყოფილო, რომ ის უბანი, სადაც ის სამმართველოს საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსად მუშაობს, ჯერჯერობით ნაკლებად ზოძრავი, ნაკლებ ტემპიანი უბანია. ეს კი, ცოტა არ იყოს, ხასიათს უფუქებს ისეთ კაცს, რომელიც თავბრულამხვევ ტემპებს არის შეჩვეული, ისეთ ტემპებს, როგორის მოწმენი და მონაწილენი იყვნენ მეტალურგმშენზე მომუშავე ქართველი ინჟინრები, კერძოდ პატარიძე და ხუციშვილი. ერთიც და მეორეც შურით გასცქერის თბოცენტრალის საამშენებლო უბანს, სადაც ამჟამად ყველაზე მეტად სდულს სიცოცხლე.

— თუ ჯერ არ ყოფილხართ,—მითხრა ინე. ხუციშვილმა,—გაიარეთ თბოცენტრალის საამშენებლო უბანზე, ჯერჯერობით ყველაზე უკეთესი ტემპი იქ არის აღებული, დღესდღეობით ის ყველაზე ბედნიერია,—ნაღვლიანად დასძინა მან.


იმ დღეს მე იმ უბანს ვეღარ ვნახავდი, უკვე გვიან იყო, ბნელოდა, ეს სია-

მოვნება შემდგომისათვის უნდა გადამედვა.

ეროვნული
გინზლიკოთეკა

რუსთავეში ყოფნის პირველ დღესვე მე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, თითქოს უფრო დიდი მუშაობა მიმდინარეობს და მეტი მუშახელიც მუშაობს არა მიწის ზედაპირზე, არამედ ზედაპირქვეშ ურთულესი მიწისქვეშა კომპლექსის მოსაწყობად. მთელი ველი დასერილია ვიწრო, განიერი და ღრმა ტრანშეებით, კეთდება ვებერთელა გვირაბი, სადაც ჩაიწყობა 13 სხვადასხვა მილსადენი, რომელთაგან ყველაზე დიდი მილის დიამეტრი იქნება 220 მილიმეტრი, ხოლო ყველაზე წვრილი მილისა—50 მილიმეტრი. მილსადენების საერთო სიგრძე 60 კილომეტრს მიაღწევს. ყოველ წამში თბოსადგურსა, საწარმოების მანქანებს და მექანიზმებს დასჭირდებათ 5 კუბომეტრი საწარმოო წყალი, რომელიც მტკვრიდან იდენს იმ დიდი მილსადენით. გამოყენების შემდეგ ეს წყალი მილსადენით მტკვარს დაუბრუნდება. იმავე გვირაბში გვიმართება მილსადენები ბულაჩაურის წყაროსწყალის მისაყვანად საწარმოებთან და საბინაო სახლებთან. ამ მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟინერი პ. ვ. ოთარიშვილი.

ამ უბანზე ერთ-ერთი სახელმძღვანელო მშენებელია გაბრიელ პოპოვი. განათლებით იგი ეკონომისტი ყოფილა, სამამულო ომის ფრონტებზე ნაომარი. პოპოვი რუსთავეში მოსულა 1946 წლის სექტემბერში და უთხოვია. სამსახური. ეკონომისტის ადგილი არ აღმოჩენილა და პოპოვი ერთ-ერთ სამშენებლო უბანზე გაუგზავნიათ ათისთავად. მას მაშინვე გამოუჩენია ნიჭიერი ხელმძღვანელის უნარი და მალე დაუწინაურებიათ სამუშაოთა მწარმოებლად. ამ თანამდებობაზე იგი გაუგზავნიან მაშინ, როცა მძიმე, საგანგაშო მდგომარ-



რობა შექმნილა. აღიღებული მტკვარი წალეკვას ემუქრებოდა მთელს ნაგებობას. მისულა თუ არა პოპოვი, მაშინვე დაუზყარებია წესრიგი და სიმშვიდე შესუფთავებულ მუშებში. მუშახელის სწორი განაწილებით და მათი სრული დატვირთვით ისეთი სწრაფი ტემპი განუვითარებია, რომ რამდენიმე დღეში დაუმთავრებიათ წყლის შესაკავებელი ისეთი ნაგებობა, რომლის ასაგებად კვირეები იყო საჭირო. ვაბედული ექსპერიმენტატორისა და ნოვატორის თვისებას ამჟღავნებს ყველგან ეს მაღალი ტანის, ცისფერთვალება, სახეკუმტი და სიტყვაძვირი პოპოვი. მას არ უყვარს ლაპარაკი არც სხვების, არც საკუთარ თავის მიღწევებზე, რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყვნენ ისინი. იგი ზუღამ უკმაყოფილოა თავის თავითაც და სხვებითაც. ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტს, რომელმაც პოპოვის სთხოვა გამაცანი შენი უბნის მიღწევებით, პოპოვმა მკვანედ უთხრა:

— სჯობდა სხვა აგერჩია. ჩვენ ვერ ვმუშაობთ კარგად. პირადად არაერთად დამსახურება არა მაქვს, სამუშაოთა ერთი უბრალო მწარმოებელი ვარ. თუ მაინც დამაინც გინდათ დასწეროთ რამე, მიმართეთ სამუშაოთა უფროს მწარმოებელს კუკლოვს ან ტატიანა ჭოჩიაშვილს, ისინი ჩვენზე ბევრად უფრო უკეთ მუშაობენ.

ამ ქალზე, როგორც ერთ-ერთ მოწინავე, დაკვირვებულ და გამოცდილ მშენებელზე, ბევრი ლაპარაკობს რუსთაში. მასაც კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, მასაც გავლილი აქვს სტალინური ხუთწლეულების დიდი სკოლა. 1938 წლიდან მოყოლებული 1947 წლამდე ტატიანა ყოფილა სამუშაოთა მწარმოებლად და უფროსად სვერდლოვსკის, კრასნოურალსკის, პიშმას, სვეტინსკის (შორეული აღმოსავლეთის), მოლოტოვსკის და სხვა ქალა-

ქების დიდი ქარხნების საამშენებლო სამუშაოებზე. რუსთაში ტრეკინგ ქოლჩინაშვილი მუშაობს გასულმა წელს ემბრიდან და უკვე სარგებლობს მშენებლის დიდი ავტორიტეტით. მისი გონებააზავილი რაციონალიზატორული ღონისძიებანი დიდად ზრდიან ნაყოფიერებას და აჩქარებენ მუშაობის ტემპებს იმ უბანზე, სადაც ის აქამად სამუშაოთა მწარმოებლად არის. მე მხოლოდ ერთხელ ვნახე ეს პატარა გამზდარი ქალი საზაფხულო პალტოსა და ბერეტში. მისი ბრინჯაოსფერი მუქმოკიდებული სახე, პირისა და ყვრიმალის ენერგიული კეთხური მოხაზულობა, მისი თავშეკავებული შებოტილი სიარული (ნაბიჯი ადამიანისა, რომელიც ზივუელია ტრაპებზე და პონტონებზე სიარულს), ყველაფერი ეს ცხადყოფდა, რომ ჩემს წინ იდგა ქალი, მთელი ათეული წლის განმავლობაში ვაქაცურად რომ ართმევდა თავს ინენერ-მშენებლის რთულსა და ძნელ საქმეს. სამუშაოდ, მე ვერ მოვახერხე პირადად გაცნობოდი და უფრო დაწერილებით გამეგო მისი საინტერესო თავგადასავალი. ერთი რამ ცხადია: მან დაამტკიცა, რომ ქართველი ქალი ქართველ მამაკაცზე ნაკლები მშენებელი არ არის.

„სანტექმშენი“ ეს ის საამშენებლო ორგანიზაციაა, რომელმაც საწარმოთა მშენებებში და საბინაო სახლებში უნდა მოაწესრიგოს საინტარული ტექნიკური მომსახურების ქსელი. აქამად მის უფროსად ზუშაობს საბჭოთა კავშირის გმირი კირილე უკლება. აგი დიდი ხანი არ არის გადმოიყვანეს ამ სამუშაოების ხელმძღვანელად, გადმოიყვანეს იმ მიზნით, რომ გამოასწოროს ამ უბანზე არსებული ჩამორჩენა. სამხედრო ფორმით, მკერდზე ოქროს ვარსკვლავით, დაბალი ტანის, ჯმუხი, ენერგიული სახის ეს ახალგაზრდა კაცი, რომელმაც საარაკო უშიშროება და შეუპოვრობა

გამოიჩინა მდინარე ბუგის გადაღების ღრის, რომელიც ლენინის ორდენსა და ოქროს ვარსკვლავს გარდა, დაჯილდოვებულია მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით, დაუსრუტელ ენერგიას ამჟღავნებს, როგორც ინჟინერი-მშენებელი. რამდენჯერმე ვსცადე მასთან შეხვედრა, მაგრამ ვერც კანტორაში მივუსწარი, ვერც სამუშაოებზე. დილა აღრიანად ვადის ზვი უბნებზე და მხოლოდ დაბინდებისას სტოვებს მით. კ. უკლება საჭიროდ სთვლის შემოიაროს თავისი ობიექტები ყოველდღე, ყოველდღე გაეცნოს საქმის ვითარებას და გაუწიოს მათ კონკრეტული ხელმძღვანელობა. მისი უწყების სამუშაოები კი დიდ სივრცეზეა გაფანტული და ხშირად ერთმანეთს სამი-ოთხი კილომეტრითაა დაშორებული. გზა და მანქანა ყველა უბანს როდი უდგება. კირილემ ამკობინებს ცხენზე შეჯდეს და ისე შემოიაროს თავისი ობიექტები.

— თუ სადმე თვალი მოჰკრათ ცხენზე მჯდარ მხედარს, აუცილებლად კირილემ იქნება, — მოთხრეს მშენებლობათა სამმართველოში.

აბა, მე რას მარგებდა ამოდენა მანძილზე ცხენით ზავალი მხედრის დევნა, და მე ისევ ვარჩიე როგორმე კანტორაში შენახა კირილემ. დიდხანს ვუცდიდი ხოლმე მის მოსვლას და ლოდინით მოწყენილი ძალაუნებურად შეეყურებდი კანტორის წინ დადგმულ დაფას, რომელზედაც, როგორც მიღებულია, გამოსახულია ტემპების მაჩვენებელი ემბლემები — თვითმფრინავი, ავტომობილი, მხედარი, კამეჩი და ბოლოს კირჩხიბი. ყოველთვის, როცა კი მივედი, სტრადები თვითმფრინავის და ავტომობილის ქვეშ ცარიელი დამხვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სანტექმშენის სისტემაში მომუშავე ხელოსნების სისწრაფე ცხენის სიჩქარეზე შორს ვერ მიდიოდა.

— სანამდე გავრძელდება ეს მდგო-

ნარეობა? — ეკითხე კანტორაში მომუშავე ქალიშვილს.

— აბა რა მოგახსენოდა, ალბათ, მანამდე, სანამ ჩვენი უფროსი თვითონ არ გადაჯდება ცხენიდან მანქანაზე. მუშებს, ალბათ, უხერხულად მიაჩნიათ: თავათ მანქანით გარბოდნენ ან აერობლანით მიფრინავდნენ, ხოლო მათი უფროსი კი ცხენით მიჰყვებოდეს უკან, — შიშასუხა ღიმილით ქალიშვილმა.

რა თქმა უნდა, ეს იყო ხუმრობა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საამშენებლო სამუშაოებზე ინჟინერ-მშენებლად ნამყოფი კირილემ უკლება, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე შეჩვეული იყო სწრაფ ტემპებს, ხოლო ომის დროს თვით ანვითარებდა მტრისათვის თავბრუდამხვევ შეტევის ტემპებს ფრონტზე, ახლაც არ ზოგავს თავის ძალღონეს და გამოცდილებას, რათა ცხენის სიჩქარიდან თვითმფრინავის სისწრაფეზე გადაიყვანოს ყველა თავისი უბანი და ყველა მუშა.

ძალიან მწყინს, რომ ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა და საუბარი.



რუსთავის ველზე მხოლოდ ადრე გაზაფხულზე იყო სიმწვანე. მისი ნიადაგი მარტო მწყერისდებხას, ქათანაც არას და ველურ კონიარას ასაზრდოვებდა. ეს ბალახბულახიც ხმებოდა, როგორც კი ზაფხულის მზე დააქერდა. რუსთავი ღებულობდა გადამწვარ, გადარუჯულ უდაბნოს მოსაწყენ ერთფეროვან შეხედულებას. მცენარეთა მწვანე შესამოსელისაგან გაძარცულ ველად სჩანს იგი ახლაც შორიდან, მაგრამ შეხვალთ თუ არა მშენებლობის ფარგლებში, დინახავთ, რომ აქ მოსულან მცენარეებიც მოსულან საჭარბოვლის იმ კუთხეებიდან, საიდანაც არიან სამეტალურგო ქარხნის საამქროებში მომუშავე მუშები. მშე-

ნებლობათა სამმართველოს წინ გულსა და თვალს ახარებს წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეების ნარგავეები, დეკორატიული ბუჩქები, მწვანე გაზონები. თუ შენობებს გადასცდებით და ველზე გაივლით, შეამჩნევთ ალვის და ვერხვის, ქადრის და აკაციის, თელისა და მუხის, ცაცხვისა და კაკლის ხის ნარგავეებს. ნიავე ამრიალებს მათ წვრილ ტანს, ახლახან აყრილ ნორჩ ყლორტებს, მაგრამ რუსთავის ნიადაგი და ჰაეა სათუთად და მოკრძალებით როდი ეპყრობა ნორჩ ხეებს. მათ დაუნდობლად ებრძვის ქარიცა და მზის მცხუნვარებაც. ერთ თვესაც ვერ გაძლებდნენ ისინი, რომ მათ თავს არ ევლებოდნენ ამხ. სიხარულიც (გამწვანების ხელმძღვანელი), აგრონომი ამბროსი დუმბაძე და აგროტექნიკოსი სოლომონ გურგენიშვილი. ისინი დიდ შრომას ეწევიან მათ დასამკვიდრებლად. ყოველდღე უხვად ურწყავენ ძირებს წინასწარ ნაკელითა და შავი მიწით განოყიერებულ ნიადაგში ჩარგულ ნორჩ მცენარეებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რუსთავის გასამწვანებლად მოწყობილი სანერგეები ყოველწლიურად მოაწოდებენ რუსთავს ნაირნაირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეების ნერგებს.

— თუ თქვენ ათი წლის შემდეგ ეწვევით რუსთავს, — ოცნებობს ჩემთან საუბარში აგრონომი ამბროსი დუმბაძე, — თქვენს თვალწინ მართლაც ლამაზი სურათი გადაიშლება. დაინახავთ სამრეწველო რაიონსა და სოციალისტურ ქალაქის შორის აქოჩრილ ტყის ზოლს, რომელიც მიღებიდან ამომავალი კვამლისა და გაზებისაგან დაიცავს ქალაქს, ზოლო თვით ქალაქში კი ყოველი სახლის წინ თქვენს თვალს დაატკობს ალუბლისა და ბლის, ქლიავისა და ატმის, ვაშლისა და მსხლის, ნუშისა და ბროწეულის ბაღები. წარმოგიდგენიათ გაზაფხულ-

ზე და შემოდგომაზე რა ფერებით მოხატავს მთელს მიდამოს მწვანეებისა და მწიფე ხილის რა დაშაბრბელ სურნელებით აავსებს რუსთავის კრიალა ჰაერს ეს ტყე და ეს ბაღნარი.

აგრონომი ამბროსი დუმბაძე მაღალი, გაქალაჩავებული მოხუცი, თავის საქმის გატაცებული მოტრფიალე და რუსთავის დიდი პატრიოტია. მას მიუტოვებია კეთილმოწყობილი ბინა და შემოსავლიანი სამსახური ჩაქვში, მოსულა აქ, ყოფაცხოვრების მზრიც. ჯერ კიდევ მოუწყობელ რუსთავში, რათა ბაღებითა და ხეივნებით შორთოს მისი ქუჩები და მოედნები. როგორც თავისი საქმის ყოველ ენტუზიასტს, დუმბაძეს ყველაზე სასარგებლოდ და მნიშვნელოვნად მიანჩია ის, რასაც თვითონ აკეთებს. რომ არ გახმეს და არ დაქენეს ახლად დარგული მცენარე, იგი უხვად რწყავს მას. რუსთავში კი წყლის ნაკლებობა, ყველა საწარმო და საამშენებლო უბანი როდი ღებულობს წყალს საქირო რაოდენობით. ამბროსი კი არ ზოგავს წყალს თავისი მცენარეების გასახარებლად. ამ ნიადაგზე მთელი შეხლა-შემოხლა და „კონფლიქტია“ ხოლმე მშენებლობის სამმართველოს და გამწვანების კანტორის შორის. უთაურად ხარჯავთ წყალსო, — უსაყვედურებს მას გაზეთიც კი.

— არაა მართალი, ბატონო! უსაფუძელოა მათი ბრალდება, — მიმტკიცებდა ამბროსი. — საქმაოა ერთი დღით შეუწყდეთ წყალი ჩვენს მცენარეებს, რომ ერთბაშად გახმენ და წყალში ჩავიცვიედეს ამდენი შრომა! ეს მათ არ ესმით, ან არ უყვართ ცოცხალი მცენარე! არ იციან მისი ფასი! ლაგრენტი ბერია რომ ჩამოვიდა, პირველად ის იკითხა, როგორაა გამწვანების საქმე, მოიკიდა თუ არა ფეხი მცენარემ რუს-

თავის ნიადაგშიო. ქართველმა პოეტებ-
მაც თავიანთი პირველი ლექსები რუს-
თავში დარგულ ხეებს უძღვნეს და
არა თუჯს და არა ნახშირს! მიტომ,
რომ კულტურული ხალხია! ამით კი ეს
არ ესმით! არ ესმით, რომ სწორედ
თუჯისა და ფოლადის მდნობელი
ადამიანის ცხოვრების გასალამაზებ-
ლად ვაშენებ ამ ხეებს, — ცხარობდა
ამბროსი.

ამბროსი ფიცხი, მაგრამ ამასთან ძა-
ლიან სათნო გულის კაცია. მას უყვარს
ყველა, ვინც აქ მოსულა, აქაური მოუ-
წყობლობის, ქარისა და ტალახის არ
შეშინებია და ვაჟაკურად იტანს
მოუწყობელი ცხოვრების გასაქირს! ამ-
ბროსის განზრახვა აქვს ერთი წლის
შემდეგ რუსთავში მოიპატიოეს თავი-
სი ახლობელი მეგობარი — მოქანდა-
კე მარია ივანოვნა სტოლნიკო-
ვა, — ცნობილ სკულპტურულ ნაწარ-
მოებთან — „სიკაბუჯის“, „მოცეკვავის“,
„ტენისისტი ქალის“ და „აქარელი
მშენებლის“ ავტორი.

— მარია ივანოვნას ძალიან უყვარს
აქართველო, ქართველები. იგი არა
ერთხელ ყოფილა აქ, ახლა დიდი სია-
მოვნებით ჩამოვა რუსთავში სამუ-
შაოდ! აუცილებლად სკულპტურებიც
უნდა ამშვენებდნენ რუსთავის პარკებ-
სა და მოედნებს, — გატაცებით ამბობს
ამბროსი.

მისი ღრმა რწმენით, ყველა ქართვე-
ლი პატრიოტი თავს მოვალედ უნდა
გრძნობდეს წვლილი შეიტანოს რუს-
თავის მშენებლობაში, რადგან ეს არის
ყველაზე დიდი სახალხო და საშვილი-
შვილო საქმეო. ამ თემაზე მას ლექსიც
კი ჰქონია დაწერილი. ამბროსიმ დიდის
პატიოსნით წაგვიკითხა ეს ლექსი, რო-
მელიც აღიდებს რუსთავის მშენებ-
ლებს და ასეთი სტროფით თავდება:

ჩვენს მშენებლობას, დიდს და სახალხოს,
თვალუფრს აღვწვებს ირაკლის ლანდი

და გული იღუნეს, როდესაც ხედავს
რაივც აზრდება რკინის გვიანტი!

— ლექსი კარგია, მაგრამ რა უნდა
შია აქ ირაკლის ლანდი, — ცოტა არ
იყოს ირონიულად შენიშნა მოხუც
აგრონომ-პოეტს ერთ-ერთმა მსმენელ-
მა, ლამაზი სახის ჭაბუკმა.

— შენ რომ საქართველოს ისტორია
იციოდე, — გაცხარდა ამბროსი, — ირაკ-
ლის ლანდი ჩემს ლექსში არ გაგაკვირ-
ვებდა. ახლა მაინც გაიგე, რომ ერეკ-
ლე მეორე ცდილობდა მოეწყოს სამე-
ტალურგო მრეწველობა. მას შენზე
უკეთ ესმოდა მისი მნიშვნელობა მე-
ურნეობისა და სამხედრო საქმისათვის.

— ვიხუმრე, ბატონო ამბროსი!
თქვენს გასაჯავრებლად ვსთქვი, ლექსს
არაფერი დასაწუნი არა აქვს!

ეს ახალგაზრდა, რომელმაც ამბროსს
გააჯავრა, რუსთავში მუშაობს ეკონო-
მისტად რომელიღაც კანტორაში. სა-
ხელად ლევანი ჰქვია, გვარი არ დამა-
მახსოვრდა. ლევანი უნივერსალურ
კაცია: მას არქიტექტორობაც უსწავ-
ლია, გაზეთშიაც უმუშავნია, ხატავს
და მწერლობს მგონი კიდევ, ძალიან
ცოცხალი და მოძრავია. გვარიანად
ერეკევა ხელოვნებისა და ლიტერატუ-
რის საკითხებში, მაგრამ ზედმეტად
ენაწყლიანია. მე უმაღლეს დამიახლოვ-
და და დამპირდა გამყოლოდა, როცა
სოციალისტური ქალაქის დასათვალიე-
რებლად წავიდოდი.

ესეც სოციალისტური ქალაქი მე და
ლევანი მივდი-მოვდივართ მის ორ
მთავარს, ჯერ უსახელო ქუჩაზე. ლა-
რივითაა გაქიმული ქუჩების ორსავე
მხარეზე აგებული სხვადასხვა ტიპის
სახლები. ქუჩებს ხეივნები მიუყვება,
სახლების ერთი ნაწილი უკვე დამთავ-
რებულია, უფრო დიდი ნაწილი ახლა
შენდება. ცხადია, რაც დრო გავა, სა-
ბინაო სახლების მშენებლობა უფრო
და უფრო გაფართოვდება. ამ საქმეს
ხელმძღვანელობს იმავე კიროვის სახე-

ლობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში აღზრდილი, გამოცდილი და ენერჯიული ინჟინერი ალექსანდრე ნესტოროსიძე ჯიქია.

— ჯიქია გორის თეატრს ამენებდა, — მოთხრა ლევანმა, — ვფიქრობ, რომ ცუდად არ არის ამენებული. შეიძლება ის ერთ-ერთ ულამაზეს თეატრად ჩაითვალოს საქართველოში.

გვერდზე ჩაუვარეთ და გარედან აეხედ-დაეხედეთ კოტეჯებს, ორსართულიან სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, რომლებიც შენდებიან და რომელთაგან ზოგი უკვე დათავრებულია. ყველა სახლს აქვს აივანი ქართული ჩუქურთმით. ალაგ-ალაგ არ შეიძლება კაცის ყურადღება არ მიიქციოს თეთრ-მა მოზრდილმა ორსართულიანმა შენობებმა დაქანებული სახურავებით. ესენი არიან დროებითი სახლები, რომლებიც საინტერესო და აღსანიშნავი არიან იმ მხრივ, რომ მოგზაურობენ რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში, მშენებლობიდან მშენებლობაზე, მოგზაურობენ იმ აღამიანებთან ერთად, რომლებიც აგებენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიას.

— რამდენი სათავგადასავლო ამბის თხრობა შეეძლოთ ამ სახლებს, — სთქვა ლევანმა, — მეტყველების უნარი რომ ჰქონდეთ. რუსთავეში ისინი „ჩამოვიდნენ“ ჩელიაბინსკიდან დანიენი ტავილიდან. ზოლო მანამდე, ვინ მოსთვლის, რამდენ კუთხეში სახლობდნენ, რამდენი მშენებელი შეიფარეს თავიანთ ქერქვეშ, რამდენი აღამიანური მღელვარებით სავსე დღე ახსოვთ მათ კედლებს. ახლა, როგორც ხედავთ, სტუმრად არიან რუსთავეში. მათ დაქანებულ სახურავებზე გასახმობად ჰყრია ოქროსავით მბზინავი ტაროები.

— შეიძლება ამ სახლის ბინადარმა რუსებმა პირველად მოიწიეს აქაურ ყანებში სიმინდი, — დავძინე მე.

— აი შეხედეთ, — მოთხრა ლევანმა და მოხეტიალე სახლის ფანჯარაზე მიმი-

თითა. ფანჯარასთან იდგა ახალგაზრდა დედა, ხელში თოთო ბავშვი ეჭირა და ეალერსებოდა.

— რა კარგი წასაკითხი ჩვენმა წიგნი თუნდაც ამ სახლის თავგადასავალით, — განაგრძო ლევანმა, — წიგნი, სადაც სხვა დიდ ამბებთან ერთად მოთხრობილი იქნება ისიც, რომ რუსთავეის დიდი სამეტალურგო ქარხნის დაბადების წლებში, აი ამ სახლის ქერქვეშ, დაიბადა საბჭოთა მოქალაქე, რომელიც, ალბათ, სიამაყით იტყვიას: „მე ვარ რუსთაველი, თანამემამულე და სესხია დიდი ქართველი პოეტისა“.

ლევანი შეჩერდა, მეც შემჩერა, მიმითითა ამ მოგზაური სახლის პირდაპირ ამართულ გრძელ ორსართულიან შენობაზე.

— ჩვენ კიდევ იმ ქალაქის მშენებელი ვიყავით, სადაც შენ პირველად თვალი აახილე, ეტყვიან ამ რუსთაველ ქაბუქს ამ გრძელი შენობის პირველი მკვიდრნი, — განაგრძობდა თავის ოცნებას ლევანი. — მოდი, დავათვალიეროთ იგი. ეს შენობა მარტოხელა ახალგაზრდა მუშების საერთო საცხოვრებელია, ასეთივე სახლი აგებულია სამეტალურგო ქარხნის ახალგაზრდა მუშებისათვისაც.

მივმართეთ სახლის კომენდანტს, იგი თავაზიანად შეგვიძღვა და გვაჩვენა ბინები, ვრცელი, სინათლიანი, თეთრად შეფეთილი ოთახი აივნით განკუთვნილია ბინად ერთი აღამიანისათვის, აქამოდ კი თითოეულ მათგანში რამდენიმე ახალგაზრდა ცხოვრობს: შიგა დგას სამი-ოთხი რკინის საწოლი სუფთა ლოგინებით, საერთო კარადა, ტუმბოები, შუაში თეთრ სუნანგადაფარებული ოთხკუთხი მაგიდა. ზოგ ოთახში

კედლებზე გაკრულია ფერადი პლაკატები ლოზუნგებით. შენობის ზედა სართულში არის წითელი კუთხე, სამკითხველო, მაგიდაზე აწყვიდა ეურნალ-გაზეთები, კარადის თაროებზე — ქარ-

თული და რუსული წიგნები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. როგორც კომენდანტმა გადმოგვცა, წიგნების დიდი ნაწილი გამოგზავნილია საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, რომლებიც შეფობას უწევენ რუსთავის ახალგაზრდობას. ჩვენ რომ მივედით, სამკითხველოში მწიფე ხილის სუნი იდგა, კუთხეში შევნიშნეთ ყურძნით, ვაშლით, თხილით სახვე ყუთები.

— ეს დღეს მივიღეთ, ნაწილია იმ ძღვენისა, რომელიც რუსთავს ვანის რაიონმა გამოუგზავნა. გავანაწილებთ დღესვე, როგორც კი ახალგაზრდები სამუშაოდან დაბრუნდებიან,— გვითხრა კომენდანტმა.

დავტოვეთ საერთო საცხოვრებელი და ქუჩაში გამოვედით. ქუჩები და სახლებს უკან ეზოები ჯერ კიდევ მოუწყობელია, მხოლოდ აქა-იქ ვხედავთ ახლახან დარგულ ხეებს, კადარს, ცაცხვს, აკაკიას, ალვის ხეს. ბარაკის ტიპის სახლები, მათ შორის, ეს მოგზაური სახლებიც თანდათან აღებული იქნება. შენობებსა და შენობებს შუა ცარიელი ადგილები შეივსება ახალი სახლებით. ქუჩები მფასფალტდება, მოირთვება გაზონებით და ხეივნებით, განათდება ელექტროქალებით, სახლებს უკან გაშენდება ხეხილის ბაღი, ხოლო წინ დეკორატიული მცენარეები. თანდათან მოიხსნებიან ხარაჩოები და რუსთავი მიიღებს სოციალისტური ქალაქის სახეს, ისეთ გარეგნობას, როგორადაც ამას წარმოგვისახავს რეალურ გეგმასა და უკვე ამჟამადაც გამორკვეულ კონტურებზე დამყარებული ფანტაზია ჩემი თანამგზავრის ლევანისა.

— რუსთავი კეთილმოწყობითა და არქიტექტურული სილამაზით,— მეუბნება იგი,— უთუოდ საკავშირო სახელს მოიხვეჭს. საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ჩვენში ჩამოსული კაცი უკან ისე არ გაბრუნდება, რომ რუსთავი არ

მოინახულოს. რამდენი ოდრაცებული ბარათი გაიგზავნება რუსთავში ჩამოსული მოგზაურებისაგან!

ლევანი ფრთას ასხამს თავის ფანტაზიას და მომიტხრობს მომავალი რუსთავის ამბავს.

— ამჟამად აქ მუშაობს უკრაინელი ინჟინერი ივანე ვასილის ძე კოვალენკო. მისი ოჯახი ცხოვრობს სტალინოში, კოვალენკოს ჰყავს პატარა ვაჟი, ის ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დაიარება. 196... წელს იგი უკვე მოწიფული ქალიშვილი იქნება, იგი უთუოდ ჩამოვა თბილისში სტუმრად მამამისის ძველ მეგობართან ინჟინერ გიორგი კერესელიძესთან. გიორგის ჰყავს ტატიანას ტოლი ვაჟი თინა და მასზე სამი წლით უფროსი ვაჟი რევაზი. როცა ტატიანა მათ სტუმრად ეწვევა, ცხადია, ესენიც მოწიფულნი იქნებიან. რევაზს არ შეიძლება არ მოეწონოს გრაციული ტანადობის, სწორნაკეთებიანი სახის, წაბლისფერთმიანი და ცისფერთვალეებიანი ტატიანა. შეიძლება მათ შორის სიყვარულის ქსელიც გაიბას, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. რევაზი სიამოვნებით იკისრებს დაათვალიერებინოს ტატიანას რუსთავი, სადაც ცხოვრობს და მსახურობს მისი და თინა. თბილისისა და რუსთავში მიღებული შთაბეჭდილებებით აღტაცებული ტატიანა წერილს წერილზე უგზავნის თავის მეგობარ ქალს— ვარვარას. ახლა მე თქვენ წავიკითხავთ იმ ბარათს,— მომმართა ლევანმა,— რომელიც ავეიწერს ტანიას მოგზაურობას რუსთავში.

ლევანი კი არ მიკითხავს, ზეპირად მიყვება ამ ბარათის შინაარსს:

ძვირფასო ვარია! ამაზე აღრე გამოგზავნილ წერილში თბილისის შთაბეჭდილებებსა გწერდი. ეს იქნება უფრო ვრცელი წერილი ქალაქ რუს-

თავზე. იქ სამი დღე დაეყავი სტუმრად გიორგი ნიკოლაევიჩის ქალიშვილთან თინასთან, რომელიც რუსთავის მუზეუმში მსახურობს. მისი ქმარიც იქ მუშაობს. თბილისიდან გავედი დილის რვა საათზე ელექტრომატარებლით, შეგვეძლო წავსულიყავით ტროლეიბუსითაც, მაგრამ მატარებელში უფრო თავისუფლებააო, — მითხრეს და მეც ის ვარჩიე. მთელს გზაზე სარკმელს არ მოვშორებოვარ, გავყურებდი სამგორის სერებს, რომელიც ბალებით, ვენახებით, ბოსტნეობით არის აფერადებული, წინათ კი მოტიტვლებული ყოფილა. მატარებელი ერთ ხანს მტკერის პირს მიპყვებოდა, ხოლო გარდაბანიდან იგი ტყის ამწვანებულ ზოლში შესცურდა. რუსთავის ველზე დაიწყო რკინიგზის განშტოება. ქვანახშირით, ქვიშით, მიწებით, ათასნაირი მასალით დატვირთული ვაგონები იდგნენ ხაზებზე. ცხადი იყო, რომ დიდ სამრეწველო ცენტრის სადგურში მოგხვდით, ისეთში, როგორც ჩვენი სტალინოა. გარდაბანიდანვე ჩვენს თვალწინ გადაიშალა ბალებსა და ხეივნებში ჩაძირული ქალაქი. მზეზე ბრწყინავდა გრძელი ფართო ქუჩების ასფალტი. მატარებელი შეჩერდა სამგზავრო ვაგონის წინ. ვაგონი სადგურის მარცხენა მხარეზე მდებარეობს და სადგურს გვირავთ უერთდება. ნაწილი მგზავრებისა აქ გამოდის ვაგონებიდან, კიბით ეშვება მიწისქვეშა ვესტიბულში და ექსკალატორით ადის ზევით მოედანზე, რომლისკენაც მოდის ქალაქში ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი. ჩვენ აქ არ ჩამოვმხტარვართ. განვაგრძეთ გზა საბოლოო პუნქტამდე. ჩვენმა ელმავალმა ესტაკადით გადასკრა რკინიგზის მთავარი მაგისტრალი, გაპყვა ხშირი ტყის ზოლს და მალე შეჩერდა. ამას იქით მატარებელი არ მიდის. სადგურიდან ახ-

ლოს აღმოსავლეთით დავინახეთ ქარხნის სამმართველოს მონუმენტული შენობა. მის წინ ფართო მოედანზე მდებარეობდა ვეა სასტუმრო და სხვა დიდი შენობები. დასავლეთისაკენ მოედანი ებჯინება პარკს, ეს პარკი შეჭრილია ქარსაცვ ტყიან ზოლში, მასში ბევრი პავილიონი, კიოსკი და ტალავარია. ჩვენ გავიარეთ ეს ზოლი და გავედით მთავარ ქუჩაზე. სხვადასხვა არქიტექტურული სტილის მრავალსართულიანი სახლები ამკობენ ამ განიერ მოასფალტებულ ქუჩას, რომელსაც ორივე მხარეზე მრავალფეროვანი ყვავილოვანი გაზონები მიუყვება. ამ ქუჩამ ცენტრალურ მოედანზე მიგვიყვანა, მოედანი შემორტყმულია პარტიის საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს, მეტალურგთა სახლის, სასტუმროს, უნივერსიტეტის და კინოთეატრის შენობებით. ამ ცენტრალური მოედნის მახლობლად ამართულია კულტურის სახლი. იგი მაღალ კოლონებზე შედგმული გაპყურებს წინ გაშენებულ კულტურისა და დასვენების პარკს. პარკის გვერდით სასპორტო სტადიონია წყლის საზამთრო აუზით და სასპორტო დარბაზით. შემდეგ იწყება ზედა პარკი, რომელიც არხს ებჯინება. არხსა და მტკერის შუა კუნძულია, მასზე გაშლილია ქვედა პარკი ხშირი მაღალი ტყით, შადრევნებით, სკულპტურული ფიგურებით. აქვე მტკერის პირას მოწყობილია საბანაო სადგური.

დიდ მრავალსართულიან შენობებს უპირაეთ მხოლოდ ორი მთავარი ქუჩა. სხვა ქუჩებზე სუბარბოტენ ორსართულიანი პატარა კოტეჯები, ყოველ კოტეჯს უკან გაშენებულია ხეხილის ბაღი, ხოლო ფასადის წინ — დეკორატიული მცენარეები და გაზონები. თითქმის ყველა სახლს მოჩუქურთმებული აივანი ამკობს, ბევრგან აივანი

შემოსილია მალღა ასული ვახის ფოთ-
ლებითა და მტევნებით.

მე თინასთან ვცხოვრობდი კოტეჯ-
ში. მასში ოთხი ოთახია, ორი ქვემოთ,
ორიც ზევით. თინას ბინა, როგორც
ყველა ბინა აქ, დიდებულადაა მოწყობილი. სახლში შემოყვანილი მიღებ-
ებით მოდის წყაროს წყალი სასმე-
ლად, ცხელი წყალი—აბაზანისათვის,
ორთქლი—ოთახების გასათბობად, გა-
ზი—საქმლის დასამუშავებლად.

ყოველდღე ადრე დილით ბაღში
ჩავდიოდი, ბაღში ვატარებდი საღა-
მოსაც, როცა ქალაქიდან გზარუნდებო-
დი. ატამს, მსხალს, ლელეს თვით ჩე-
მი ხელით ვკრეფდი. კომში ჯერ კი-
დეც არ დამწიფებულა, მალე დამწიფ-
დება ყურძენი. აქა-იქ ხეზე კიდევ
სჩანს ვადამწიფებული შავი ქლიავი.
კაკლის ხე ჯერ კიდევ პატარაა და
არ ასხია. თითქმის ყოველ თვეს ამ ბაღ-
ში რომელიმე ახალი ხილის სეზონი
დგას. ნეტარებაა აქ ყოფნა! ამბობენ,
რომ ვაზაფხულზე, როცა აქ ხილის
ხეები ყვავილობენ, ეს ბაღიც და მთე-
ლი ქალაქი შეხერხადის ზღაპარს
ჰგავსო. ორჯერ ვიყავი კულტურის
სახლის დარბაზში. ის დიდი არ არის,
მაგრამ ლამაზად და ფაქიზი გემოვნე-
ბით არის მორთული. ერთხელ კონ-
ცერტი მოვისმინე, მეორედ ქართულ
სპექტაკლს დავესწარი. თინა მიხსნიდა
და ყველაფერი ვაგიგე.

მთელი სამი საათი დავყავი მეტა-
ლურგთა სახლში. იქაა მოთავსებული
მუზეუმი, სადაც თინა მსახურობს.
მუზეუმის ოთხ ოთახში ექსპონატებით
ნაჩვენებია მეტალურგიის ისტორია სა-
ქართველოში. გამოფენილია ბიბლიო-
დან, ბერძენი და რომაელი ისტორიკო-
სების თხზულებებიდან მოყვანილი
ამონაწერები, გათხრების დროს ნაპოვ-
ნი ლითონის იარაღის ნაწილები, ძვე-
ლი ქართული საომარი და სამეურნეო
იარაღები. ქართველთა უძველეს ტო-
შებს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიც-

ხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე
სცოდნიათ ლითონის დამუშავება.
ბერძნებს ძველი ქართველი ტომის—
ხალიბებისაგან უსწავლიათ დამზადება
ფოლადისა, რომელსაც ელინები თურ-
მე „ხალიბს“ (ხალიბურ, ე. ი. ქართულ,
ლითონს) უწოდებდნენ. მუზეუმში
წარმოდგენილია ტო-კლარჯეთისა, სეა-
ნეთისა, აფხაზეთისა, ზემო იმერეთისა,
რაჭასა და ბორჩალოში წმინდა ლითო-
ნისაგან დამზადებული ნივთების ნი-
მუშები. ესენი ცხადყოფენ მალღა
სამეტალურგო კულტურას ძველი და
შუა საუკუნეების საქართველოში, სა-
დაც მიწის ნაყოფიერების საფუძველს
ფოლადის გუთანაი, ხოლო სამხედრო
ძლიერების დასაყრდენს ფოლადის ფარ-
ხალი შეადგენდა. უცხოელ დამპყრო-
ბელთა ხშირსა და გამანადგურებელ
შემოსევას დაუცია ქართული სამეტა-
ლურგო კულტურა. მეთვრამეტე საუ-
კუნეში ქართლ-კახეთის მეფეს—ერეკ-
ლე მეორეს და იმერეთის მეფეს —
სოლომონ პირველს უცდიათ აღდგო-
ნათ რკინის მადნის მოპოვებისა და ლი-
თონის დამუშავების მრეწველობა.

მთელი ორი ოთახი უკავია ექსპონა-
ტებს, რომლებიც მოგვითხრობენ
ამიერკავკასიის სამეტალურგო ქარხნის
მშენებლობის ისტორიას, მის სხვადა-
სხვა ეტაპს, აგრეთვე იმას, თუ რა
მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა რუსეთ-
მა, უკრაინამ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა
და სხვა რესპუბლიკებმა ქარხნის მშე-
ნებლობაში. აქვე კედლებზე ჰკიდია
პორტრეტები იმ ადამიანებისა, რომ-
ლებმაც თავიანთი თავდადებული ენერ-
გიული შრომით დაამყარეს ამიერკავ-
კასიის სამეტალურგო გიგანტის აგება.
ძალიან გამეხარდა, როცა ამ წარჩინე-
ბულ მშენებელთა შორის მამაჩემის
სურათიც ვნახე. ეს გიგანტი უშენებია
მთელს საბჭოთა ქვეყანას, საბჭოთა
კავშირის ყველა ხალხს. მაღლიერი მა-
ქართველო არ იეფიყებს არცერთი მოძ-
მე ხალხის შვილთა ამაგს.

მესამე განყოფილება მოგვიტხოვრობს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რა და რა დარგის საქმიანობას აკმაყოფილებს ამიერკავკასიის სამეტალურგო ქარხანა.

საინტერესოა თვით რუსთავის ისტორიისადმი მიძღვნილი განყოფილება. გამოფენილი მასალებიდან სჩანს, რომ ქალაქი რუსთავი არსებობდა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში. იმ დროს იგი მნიშვნელოვან სამეურნეო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. იქ იჯდა რუსთავის ეპისკოპოსი. მეშვიდე საუკუნიდან რუსთავმა განიცადა ჯერ არაბების, მერე თურქების შემოსევა. მათი ბატონობა მეთორმეტე საუკუნემდე გაგრძელდებოდა. დამპყრობელთაგან რუსთავი გაუნთავისუფლებია დავით აღმაშენებელს. მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რუსთავი დაუნგრევიანთ მონგოლებს, ხოლო შემოთხმეტე საუკუნის დამლევს იგი სულ მოუსპია თემურ ლენგს. მეჩვიდმეტე საუკუნეში რუსთავი აღუდგენიათ გამუსულმანებულ ქართველ მეფეებს—როსტომს და შაჰ-ნავაზს (ვახტანგ მეხუთეს) და უწოდებიათ მისთვის ბოსტან-ქალაქი. რუსთავის დაბურული ტყე მტკვრის პირას (ამ ტყის ნაშთი ახლაც არის) მუსულმან მეფეთა და თავადთა საყვარელი სანადირო ადგილი ყოფილა. ბოსტან-ქალაქს დიდხანს არ უარსებია. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში იგი, როგორც მუსულმანობის დასაყრდენი, დაუნგრევიან ქართლ-კახეთის მეფეს ვახტანგ მეექვსეს. ამ დროიდან მოყოლებული ქართულ მატიაზეებში და სხვა ისტორიულ წყაროებში რუსთავი—ბოსტან-ქალაქი უკვე აღარ იხსენიება.

როგორც თინამ განმიმარტა, როცა სამეტალურგო ქარხნის შენობებისთვის ქვაბულებს იღებდნენ და მიწისქვეშა კომუნიკაციისათვის გვირაბი და ტრანშეები გაჰყავდათ, აღმოჩენი-

ლი იქნა ბევრი ქვის სამარხი სამკალელებითა და საოჯახო ნივთებით. აქ აღმოჩნდნენ მატანგანის მინერალიზაცია. რუსთავის შესახებ. მუზეუმში წარმოდგენილია ერთი ასეთი სამარხი, რომელიც ოთხი სილა-ქვის ფილისაგან არის აგებული, გადახურულია ორი-სამი ასეთივე ქვით და თავის დროისათვის წარმოადგენდა საოჯახო აკლამას, სადაც დაკრძალულთა რიცხვი 10-15 კაცამდე აღიოდა. მუზეუმში გამოფენილია აგრეთვე სამარხებში ნაპოვნი ზოგიერთი ნივთი—რკინისა და ბრინჯაოს ქინძისთავეები, სარდიონის, ტიტების, ვიშერის, ჭიქისა და ბრინჯაოს თავეებით, ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეები, ბრინჯაოსა და შუშის სამაჯურები, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, აქატის და სარდიონის ბეჭდები, ვერცხლის ჯვარი და სხვ.

—ეს ნივთები,—ავიხსენა თინამ,—ძალიან გვანან სამთავროს (მცხეთასთანაა) ნეკროპოლში ნაპოვნი ნივთებს მეშვიდე-მერვე საუკუნეებით დათარიღებულს, რაც ადასტურებს რუსთავის არსებობას იმავე ეპოქაში. 1944-46 წლებში გათხრილი ქვაბულებისა და ტრანშეების შესწავლამ გამოარკვია, რომ მე-6—7 საუკუნის რუსთავში საქალაქო შენობები აგებული ყოფილა სამარხების მახლობლად, ძველი არხის ახლო; ხოლო მე-12—14 საუკუნეებში — მტკვრის მარცხენა ნაპირზე ციხის ახლოს და ციხის შიგნით.

აი ასეთ არქეოლოგიურ ძეგლებს და ისტორიულ ცნობებს გავეცანი მუზეუმში. რუსთავი რომ უახლესი ქალაქია, ეს ყველამ იცის, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მას ასეთი ძველი ისტორია აქვს. რუსთავი ერთსა და იმავე დროს უძველესიც არის და უახლესიც. მით უფრო საინტერესოა იგი.

წერილი გამოგრძელდა. ამიტომ თვით რუსთავის სამეტალურგო ქარხანა-



ნაზე ვერაფერსა გწერ. ეს შენ ისე-
დაც იცი. ასეთი ბევრია დონბასში.
იმათგან აქაური გიგანტი განსხვავდებ-
და იმით, რომ მის კორპუსებს ლამაზი
არქიტექტურული გარეგნობა აქვთ. არ
შემიძლია არ აგიწერო იმ ლამის სუ-
რათი, როცა რუსთავიდან გამოვედი.
ნატარებელი ესტაკადაზე მიდიოდა.

ვაგონში ცხელოდა. ფანჯარა გავადე-
ვაგონში შემოიჭრა გიგანტის სუნთქ-
ვა—ჰაერსაბერავეების მძიმე ქშენა,
საქარხნო ელმავლების მრავალხმოვა-
ნი გუნდის ხმაური, გრგვინვა-გრუბუნნი
ბუნქერებისა, სადაც, ალბათ, ქვანახში-
რისა და რკინის ვეება მასას ჰყრიდ-
ნენ. ინდუსტრიული ბუმბერაზის სუნ-
თქვა სჩანდა იმ ნათელ ზოლზე, პორი-
ზონტს რომ გავკროდა აღმოსავლე-
თით. ეს იყო სინათლის ფანტასტიუ-
რი როკვა-თამაში. ოქრო, მიხაკი, ყუ-
მაჩი, თხრა, ქანგი — ყველა ესენი თა-
ვიანთი ფერითა და ელფერით მონა-
წილეობდნენ ცის კიდურზე გამარ-
თულ ფერთა საზეიმო ფერხულში.
უეცრად შემამარწოლებელმა, თითქმის
შზის ძალოვნების სინათლის ბათქმა
გაანათა და მოიცივა ცის ტატნობი
(მიეხვდი — ბრძმედებიდან გამოქონ-
დათ გამდნარი თუჯი). ალი ზოგჯერ
ნარინჯისფერი, ზოგჯერ სისხლივით
წითელი, მალალი მილებიდან ხან ენე-
ბად ამოვარდნილი, ხან კიდევ მთლიან
კედლად ამართული ბატონობდა და
ბრძანებლობდა მთელს მიდამოზე. ეს
დაუფიქვარი სურათი იყო ქართული
პეიზაჟის ფონზე...

ლევანმა დაამთავრა უკრაინელი ქა-
ლიშვილის სახელით შეთხზული წე-
რილის თხრობა, და მცირეოდენი დუ-
მილის შემდეგ მკითხა:

— როგორ მოგწონთ? ნათლად არის
წარმოსახული თუ არა მომავალი სო-
ციალისტური ქალაქი?

— კარგია, განსაკუთრებით უკანასკ-
ნელი სურათი. მაგრამ ასე დინახული

და ნაგრძნობი არ არის ქალაქის გა-
რეგნობა, მისი არქიტექტურული სილამა-
ზები და ბალები ისე უნდა გვეწყალოს
უფრო უკეთ დამენახა, განმეცადა, მე-
ყნოსა ფოთოლთა და ყვავილთა სურ-
ნელებსა, მეგრძნო გემო და არომატი იმ
ვაშლისა, რომელსაც შენი გმირი ქალო
შიირთმევდა.

— ნაუცბათევედ შეთხზულ წერილს
მეტს ნუ მოსთხოვთ. პრინციპი ხომ
სწორია? — კვლავ შემეკითხა ლევანი.

— რა პრინციპზე ლაპარაკობთ?

— იმ პრინციპზე, რომელიც საბჭო-
თა ხელოვანს ავალებს ჯერ კიდევ დაუ-
მთავრებელ საგანში დაინახოს დამთავ-
რებული. აი ჩვენ აქ ვნახეთ უფანჯრო,
ჯერ კიდევ იატაკდაუტეგებელი, გადაუ-
ხურავი შენობები. ვნახეთ ფანჯარა-
ჩამტერებული უშნო კარვები და ბარა-
ცები, საშენი ქვისა და აგურის მიყრილ-
მოყრილი ნამსხვრევები, თხრილები,
ნათხარი მიწის ზეინები, ქუჩაში—ტა-
ლახი, ალაგ წუმბე, წყლით სავსე გუ-
ბეები, მასში მოყურყუმალე იხეები.
ვნახეთ ქუჩებსა და ეზოებში ქათმე-
ბი, ბატები, გოჭებიც კი, ესე იგი ბევ-
რი რამ ისეთი, რაც მალე აქ არ იქ-
ნება, რისგანაც მალე ტაიწმინდება
მთელი ეს მიდამოები. ვინმე მტრუ-
ლად განწყობილმა ამერიკელმა ქურ-
ნალისტმა რომ მშენებლობასთან ერ-
თად ყოველივე ესეც ნახოს, ყველა-
ფერს ამას აღწერს ამერიკელის „კე-
თილსინდისიერებით“, მოათავსებს თა-
ვისი ხაზეინის გაზეთში სათაურით:
„გავლით სოციალისტურ ქალაქში“. ის,
რა თქმა უნდა, ეცდება, რომ სხვა არა-
ფერი დაინახოს, არაფერი წარმოიდგი-
ნოს და არ განჭკრიტოს. სწორედ ამ
ორ პრინციპზე ვლაპარაკობდი.

— ცხადია, — ეუბასუხე მე, — შენ, საბ-
ჭოთა მოქალაქე, სხვანაირ სურათს ვერ
დახატავდი, ასე რომ შენი განჭკრეტა
სწორია! მით უფრო, რომ იგი ეწყარე-
ბა არა მარტო შენს ფანტაზიას, არამედ

კარგად დამუშავებულ გეგმას და აწუკვე გამოჩვეულ კონტურებს მომავალი ქალაქისას.

ამ საუბარში ვიყავით, როცა მანქანა წამოგვეწია, გააჩერეთ, ჩახსხედით და გავწვიეთ მშენებლობათა სამმართველოსაკენ.

იმ დღესაც წვიმდა. მარტენშენის კანტორიდან რომ გამოვედი, წვიმას გადავლო. საღამოვდებოდა. უკვე დრო იყო საშენი მოედნიდან რკინიგზის სადგურისაკენ დავძრულიყავი. თბილისისაკენ გამავალი მატარებლის მოსვლის დრო ახლოვდებოდა. ერთხანს ველოდებოდი, იქნებ რომელიმე ავტომანქანას გამოველო და წავეყვანე. არცერთში თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა—დაკავებული იყვნენ სადგურისაკენ მიმავალი ინჟინრებით და კანტორების თანამშრომლებით. ისევ საკუთარ ფეხებს მივენდე, ვჩქარობდი. ატალებული გზიდან გადახვევა მიხდებოდა, რომ აქეთ-იქით მქროლავ მანქანებს მოვრიდებოდი. უვალ ნაწვიმარ მიწოდორზე წყლით გაედენთილ მიწაში კოშკბამდი ვეფლობოდი, ფეხსაცმელზე სქელი ტალახი მეკვროდა, მამძიმებდა და ნაბიჯის გადადგმას მიშლიდა. ბედს ვსწყველიდი და ამ ვაკტირებაში ჩაეარდნილი კიდეც უფრო მწვავედ ვგრძნობდი იმ შენიშვნის სისწორეს, "მარშან რუსთავეში სტუმრობის დროს აკადემიკოს ბარდინს რომ გამოეთქვა—სანამ მშენებლობას გაშლიდით, უპირველეს ყოვლისა, კარგი გზები უნდა გაგეყვანათო.

მშენებლობის სამმართველოს რომ მივეუბლოვდი, დავინახე ბაქანთან ჩამომდგარი მატარებელი, ნაბიჯს აუღუქარე, მაგრამ ამოვლო, ათიოდე მეტრი მაკლდა მისელამდე, რომ მატარებელი დაიძრა. გამასწრო. დაღონებული გამოვბრუნდი იმ იმედით, რომ ვინმე მანქანით წამიყვანდა თბილისში. სამმართველოს წინ შევხვდი ვარლამს, ლევა-

ნიც მასთან იჯდა სკამზე, ბაასრბრუნ.

— მზე მოგვიდებიათ, ვეჩქარებოთ კიდეც. — ამ სიტყვებით მგმგმუნაქვალაში და თავის გვერდზე ადგილი შემომთავაზა.

— დიდ რეისებს ვაქეთებ ყოველდღე ფეხით. ალბათ, ამიტომ!

— როგორ? ისევ ფეხით დადიხართ? არ გასჭრა არც რაიკომის მდივნის, არც მშენებლობის უფროსის განკარგულებაში მოცუთ თქვენთვის მანქანა?

— როგორც ხედავთ! ძალიან გამაწვალა ყოველდღე 10—12 კილომეტრის მანძილზე სიარულმა.

— ვერ გამოუჩენია სტუმართმოყვარეობა ამხანაგ აბესაძეს.

— ეს არაფერია,—უბასუხე მე.—ამხანაგ აბესაძეს ვერ ვუსაყვედურებ, თუ მან გულუხვობა ვერ გამოიჩინა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნაანგარიშეგია ყოველი გრაში ბენზინი.

ჩვენს წინ გაიარა ელევანტურად ჩაცმულმა, შავგერემანი სახის და მომცრო თხელი აგებულების სათვალეებიანმა, სიმპატიურმა ახალგაზრდამ. ეს იყო ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი.

— სამაგიეროდ აი ამას კი გამოუჩენია ნამდვილი მამაბაპური სტუმართმოყვარეობა,—სთქვა ლევანმა მიმავალ რედაქტორზე.

— ნუთუ მართლა?—გაიოცა ქალაჩა ვარლამმა.

— სწორედ ასეა!—და ლევანმა ვარლამს გააცნო იმ იშვიათი თავაზიანობის ამბავი, როგორითაც მე შემხვდა რედაქტორი.

როგორც ჟურნალისტ ლიტერატორებს გეჩვევია, პირველყოვლისა, მე ვეწვიე ჩემს კოლეგებს—რედაქციის მუშაეებს. ყველაზე მეტად მე მათი იმედი მქონდა. ვფიქრობდი, რომ დამეხმარებოდნენ თავიანთი გამოცდილებით. ნამდვილად კი მოხდა ასეთი ფაქტი: ადგილობრივი გაზეთის ერთმა ახალგაზრდა თანამშრომელმა რუსთავე-

ში ჩემი ყოფნის მეორე დღეს გადასწყვეტა გამოყოლოდა საამშენებლო მოედანზე და თავისი სარედაქციო დავალებანიც შეესრულებინა. თავისი განზრახვა მან ტელეფონით აცნობა რედაქციის მდივანს (ეს იყო დილით ძალიან ადრე, ჩვენს გარდა რედაქციაში არაყენ იმყოფებოდა). მდივანისაგან თანხმობა მიიღო. მან ჩემთან ერთად შემოიარა მთელი რიგი უბნები. ნაშუადღევს უკან დავბრუნდით. რედაქტორმა მეთისმეტი მკაცრი სიტყვებით დატუქსა ეს თანამშრომელი, მოხსნას და პასუხისგებაში მიცემას დამუქრა, როგორც გამცდენს, თუმცა იმ დღეს მას არ გაუცდენია ერთი წუთიც კი—გაეცნო ძალიან საინტერესო ადამიანებს და შეკრიბა გაზეთისათვის ფრიალ საჭირო მასალა. შემდეგ იგი დაიბეჭდა კიდევ. რატომ ვაუწყურა ასე მკაცრად ახალგაზრდა ჟურნალისტს რედაქტორი, რომელსაც რაიკომის მდივანისაგან საკუთარი ყურით მოსმენილი ჰქონდა დახმარება გაეწიათ ჩემთვის.

— გაზეთს გაეცანიო? — მკითხა ლევანმა.

— გაზეთი კარგად მუშაობს, — ვუპასუხე მე. — იგი საქმიანი, ინიციატივითი და ოპერატიულია.

— ეს იმდენად მაგ ახალგაზრდა რედაქტორის დამსახურება არ არის, რამდენადაც რედაქციის მდივნის — ძალიან გამოცდილი ჟურნალისტის ლეო პერელმანის, — სიტყვა ვარლამმა. — შარშან მან რუსთავეის გაზეთის ფურცლებზე მოაწყო საკავშირო გიგანტების მშენებელთა სტატიების ბეჭდვა მათი გამოცდილების შესახებ. წერილებმა დიდი ინტერესი გამოი-

წვია. რუსთავეის მშენებლებმა ისტორიკულად კიდევ ამ წერილებში გადმოცემული პრაქტიკული გამოცდილებით. გაზეთი მშენებლობის კურსშია, ხშირად ბეჭდავს წერილებს საუკეთესო მშენებლებზე, ფართოდ აშუქებს მათ მიღწევებს და მწვავედ აკრიტიკებს ყველას, ვინც კი რითიმე აფერხებს მშენებლობას.

— გაზეთი კარგია, — დასძინა ლევანმა, — მაგრამ არც ისეთი, როგორც შენ ახასიათებ. გადახედეთ უკანასკნელი წლის ნომრებს? — მომმართა მე ლევანმა. მეც ვუთხარი, რომ დაწვრილებით გავეცანი თითქმის მთელს კომპლექტს და მეც ვიზიარებ ამხ. ვარლამის აზრს მეთქი.

— თუ შეხვდით ერთს წერილს, ერთს შენიშნას, ერთ ქრონიკას მაინც ქართულ ენაზე? — ისევ მე შემეკითხა ლევანი.

— არ შეხვედრივარ!

— მერე ეს თქვენ წესიერად მიგაჩნიათ? აქ ხომ დიდძალი ქართველი სპეციალისტი, ქართველი მუშაა თავმოყრილი ქარხნის საამქროებში ხომ თითქმის ქართველი ახალგაზრდები, გუშინდელი სოფლელი ბიჭები მუშაობენ! ქართული ენის გარდა მათ ჯერჯერობით სხვა ენა არ იციან, ისინი ყველაზე მეტად საჭიროებენ პროფესიულ და იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. პარტიის და მთავრობის მთელი გულისყური იქითყენაა მიმართული, რომ ამ დიდ წარმოებაში კომუნისტურად აღიზარდოს ახალგაზრდა ქართველი მშრომელი, აღიზარდოს ისე, რომ მან შემდეგში ტონი მისცეს დედაქალაქის ცხოვრებასაც კი. ყოველივე ამას ანგარიშს უნდა უწევდეს თუ არა გაზეთი? მას კი ერთი პუკარიც არ დაუბეჭდავს მთელი წლის განმავლობაში ქართულად ქართველი მუშებისათვის. რას იტყვით ამაზე, ნორმალურია ეს?

მე ვერ მოვახერხე მომენახა სიტყვა ამ მდგომარეობის გასამართლებლად.

— ეს რედაქტორის ბრალი არ არის!—სიტყვა ვარლამმა,—არ ჰყავს ქართველი ჟურნალისტები და რა ჰქნას?

— არც არასოდეს ეყოლება,—მიუგო ლევანმა.—ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ხუთი ახალგაზრდა მოვიდა რედაქციაში სამუშაოდ, მაგრამ ვერცერთი ვერ იგუა. ყველა დაიწუნა, გამოთვლელი არიან, არ გამომადგებიანო. ჟურნალისტად არა-ეონ არ იბადება, შეიძლება მათი გამოწვრთნა, რომ რედაქტორისაგან მონდომება და ზელმძღვანელობის სურვილი ყოფილიყო.

— კარგი იქნებოდა, — განაგრძო ვარლამმა,—რომ ჩვენი გახეთის რედაქციაში სამუშაოდ მოვიდოდნენ ახალგაზრდა მწერლები. ისინი საქმრავალ ადამიანს გაეცნობოდნენ, მრავალ შთაბეჭდილებას მიიღებდნენ, გამოცდილებას შეიძენდნენ, რაც უმკველად გამოადგებოდათ თავიანთ შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში. ამაზე უკეთესი ადგილი ადამიანებზე დაკვირვებისა და მათი შესწავლისათვის მე ვერც კი წარმომიდგენია.

— არც ახალგაზრდებს და არც ხნიერ მწერლებს მაინცდამაინც არ ეხალისებათ რუსთავეში მუშაობა,—შეინიშნა ლევანმა.—ჩემს აქ ყოფნაში სამი შემთხვევა მახსოვს, რომ რუსთავეს მხოლოდ რამდენიმე საათით ესტუმრნენ მწერლები. გამოგიტყდებით, — მითხრა ლევანმა,—მე ნაკლებად მაკმაყოფილებს ის ნარკვევები და ლექსები, რაც კი რუსთავეზე დაიწერა.

— რატომ, კაცო? კონსტანტინე გამსახურდიას ნარკვევები რუსთავეზე და კოლხიდაზე დიდი სიამოვნებით წაუკითხე,—არ დაეთანხმა ლევანს ვარლამი.

— შეიძლება წასაკითხად სასიამოვნო

ყო, მაგრამ მან ამ ნარკვევებში სო-გი რამ არასწორი და უკეთესი ნაწილი დასწერა. მაგალითად მხოლოდ ერთი, რომ რუსთავეის ქარხნის სამარტენე სამკრო ამდენ და ამდენ თუჯს გამოადნობსო. ჩვენმა ახალგაზრდა მუშებმა რომ ეს წაიკითხეს, გაეცინათ—ნუთუ აკადემიკოსს არ მოეხსენება, რომ მარტენი ამზადებს ფოლადს და არა თუჯსო. ისეთი მწერლის ნაწარმოები, როგორცაა კ. გამსახურდია, სასიამოვნო უნდა იყოს, პირველყოვლისა, ფაქტების მხატვრული, მაგრამ იმავე დროს სწორი გადმოცემით. კაცმა რომ სიტყვას, არსებითი და მნიშვნელოვანი მხატვრული რამ ჯერ არ წამიკითხავს რუსთავეზე არც რუსულად, არც ქართულად.

მე არ გავიზიარე ლევანის სკეპტიკური აზრი იმაზე, რაც რუსთავეზე დაიწერა. მე ვუთხარი მას, რომ ქართველი მწერლები უღრმესი სიყვარულით ეკიდებიან იმას, რაც რუსთავეში ზდება. ცხადია, ის რაც დღემდე დაიწერა, თვით მწერლებსაც არ აკმაყოფილებს. ის ლექსები და ნარკვევები, რომლებზედაც ლევანი ლაპარაკობდა, დაწერილია იმ დროს, როცა პირველი სამკროების საძირკვლები ჯერ კიდევ არ იყვნენ ამოყვანილი, ამიტომ რაიმე არსებითის დაწერა ძნელ ამოცანას წარმოადგენდა. ქართველი მწერლების ნარკვევები და ლექსები იყო პირველი გულწრფელი ამოძახილი მათი გული-სა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ქართველი მწერალი ჯერ კიდევ ვერ შესწვევია ინდუსტრიულ თემას; ქარხანა, დაზგა, მანქანა მასში ჯერ კიდევ ვერ აღძრავს ემოციებს, თუმცა გონებით წარმოდგენილი აქვს მათი ძალა და მნიშვნელობა. დღემდე ქართველი ბელეტრისტი და პოეტი სწერდა იმდენად არა რუსთავეის მშენებლობაზე და მშენებლებზე, რამდენად იმაზე, რაც მისთვის

ჩვეული და ნაცნობი იყო. რუსთავის სამეტალურგო ქარხნის მშენებლობის დასაწყისი ჰქავს მრავალი ასეთი მშენებლობის დასაწყისს. ისევე, როგორც, მაგალითად, კარაგანდამი, როგორც მაგნიტოგორსკში, მშენებლობა რუსთავშიაც დაიწყო ცარიელ ადგილზე, დაუსახლებელ უკაცრიელ ველზე, აქაც პირველად მოსულებს ესმოდათ ტურების კივილი, აწუნებდათ კოლოები, შიშს გვრიდნენ მორიელეები, ფილანგები, გველები და სხვა შხამიანი ქვეწარმავალნი. ჩვეულებრივ, რუსეთის სხვა მშენებლობების პირველი პერიოდის აღწერის დროს ეურნალისტები და ბელეტრისტები თავიანთ ნარკვევებს ასეთი ტრაფარეტით იწყებდნენ: იქ, სადაც ამ ერთი წლის წინათ შიშველი ველი იყო, სადაც მგლები დაძრწოდნენ, სადაც მონადირესაც კი ფეხი არ დაედგა, ახლა იქ აღმართულია უზარმაზარი ქარხნის კორპუსები და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ რუსთავი გამონაკლისს წარმოადგენს, არცერთ ქართველ მწერალს ასეთი რამ რუსთავზე არ დაუწერია.

— ეს სავსებით ბუნებრივი და გასაგებია,—მიბასუხა ლევანმა.—რუსთავი ჩვენს დროში ფიზიკურად და გეოგრაფიულად შეიძლება ძალიან უმნიშვნელო იყო, იქ მართლაც არავინ მოსახლეობდა, მაგრამ ისტორიულად იგი არ წარმოადგენდა შიშველსა და ცარიელ ადგილს. აქ ერთხანს ჰყვოდა ცხოვრება, ისხდნენ ეპისკოპოსები, რუსთავის განთავისუფლებისათვის იბრძოდა დავით აღმაშენებელი. ქართული ნარკვევების ავტორებმაც სწორედ ამ წარსულს ჩააკიდეს ხელი. მეორეს მხრით, რუსთავში დაწყებულ საქმეს დაუკავშირეს ქართული მეტალურგიის წარსულიც. მთელი სიმძიმე ამ ორ ისტორიულ მომენტზე გადაიტანეს, ხოლო მთავარი და არსებითი — ახლანდელი მშენებლობა გა-

მორჩათ. ქართველმა პოეტებმა წინ წამოსწიეს არა მთავარი, არსებითი და დამახასიათებელი რუსთავის მშენებლობისათვის, არამედ რუსთავში დარჩული პირველი ხეები, პირველი ყვავილები, ის, რაც ყველგან არის, რაზედაც ყოველთვის სწერდნენ ყველა ღროისა და ყველა ქვეყნის პოეტები.

— ძნელია წერა ახალ მშენებლობაზე, — შეეკამათა ვარლამი, — ძნელია სწორედ იმიტომ, რომ მას არა აქვს ისტორია ისე, როგორც თითო ბავშვს არა აქვს ბიოგრაფია, წარსული. საერთოდ, ადამიანს საგნებში უფრო იზიდავს და აინტერესებს ის, რასაც მეტი ხნის ისტორია აქვს. მახსოვს ამ ოცი წლის წინათ, მაშინ ზემო ავჭალაში ემსახურობდი, ზაქესის დასათვალიერებლად თბილისიდან ჩამოიყვანეს ცნობილი ნორვეგიელი გეოგრაფი და შოვზაური ნანსენი. მე მაშინ სწორედ იქ ვიყავი, როცა ნანსენმა ჩვენი საამაყო სადგური ინახულა. იგი დიდხანს როდი შეჩერდა კამხალის და საგენერატორო სადგურის დასათვალიერებლად. პირდაპირ გასწია მალღობისაკენ, სადაც ჯვარის მონასტერია. გავაოცებდათ, რა მარჯვედ, რა მარდად მიანიჯებდა 75 წლის მოხუცი. ორ საათზე მეტი დარჩა იქ, ყველაფერი დაათვალიერა, ფოტოსურათიც კი გადაიღო. მერე, იცით, დაბრუნებისას, რა უთქვამს? — თქვენი ზაქესი ძალიან კარგია, მაგრამ ჩემთვის იგი ძველია და ნაკლებ საინტერესო. ის ძველისძველი თქვენი ტაძარი, მეხუთე საუკუნის ძველი კი ჩემთვის არის ახალი, მე ბევრს უცნობს და ახალ ამბავს მომიხზობს ქართული! ხუროთმოძღვრებისა და ქართველი ხალხის წარსულის შესახებო. როგორ ახსნი ამას, ჩემო ლევან? რატომ დაინტერესდა ნანსენი ძველი ჯვარის მონასტრით და სრულიად არ დაინტერესდა უახლესი ზაქესით?

— საქმე სიძველეში როდია, პატივ-

ცემულო ვარლამ,—სთქვა ლევანმა.—
იმ რიყის ქვევზე უძველესი, ტრანსვე-
ბის გათხრის დროს რომ ამოხყარეს
მიწის ზედაპირზე რუსთავეში, არაფე-
რი არ არის, მაგრამ ვინ აქცევს მათ
ყურადღებას. მათთან შედარებით
ბევრად უფრო ახალგაზრდა ჯგერის
მონასტერი კი დიდ ინტერესს იწვევს
არა მარტო ისეთ მეცნიერში, როგო-
რიც იყო ნანსენი, არამედ ყოველ
კულტურულ ადამიანში. საქმე ის
არის, რომ ადამიანს იზიდავს ის სა-
განი, რაც ადამიანის ცხოვრებას,
მის სულსა და გულს, მის შემოქმე-
დებას, მთელს მის სულიერ სამყა-
როს უკავშირდება ან გამოხატავს,
მასზე მეტყველებს. ჯგერის მონასტ-
რის ზეისიან ქვებთან შედუღებულია
ქართველი ხალხის თუთხმეტსაუკუ-
ნოვანი ცხოვრება, მისი კედლების
არქიტექტურული ფორმები ქართვე-
ლი ადამიანის მისწრაფებას გამოხა-
ტებენ. თუ საგანში მოქცეული არ
არის ადამიანის ბიოგრაფია, ხალხის
ისტორია, ეს საგანი მწერლისა და
ხელოვანისათვის არაფრის მთქმელია.

— მე სწორედ ამას არ ვამბობდი?—
სთქვა ვარლამმა.—ჩვენი სამეტალურ-
გო ქარხნის მშენებლობა ჯერ ნორ-
ჩია, მისი ისტორია ჯერ კიდევ ხან-
მოკლეა და ამიტომ ჩვენი მწერლები
ვერ სწერენ მასზე დამაინტერესებელ
ნარკვევებს.

— მართალია, — ეკამათებოდა ვარ-
ლამს ლევანი, — ჩვენს ქარხანას აქვს
ხანმოკლე ისტორია, მაგრამ იგი მაინც
ძალიან შინაარსიანია. ქართველი
მწერლები რომ იცნობდნენ მის ში-
ნაარსს, ბევრად უფრო კარგ ნაწარ-
მოებებს დასწერდნენ. ჩვენი ქარხნის
ისტორიის სათავე იმ ადამიანის ბიო-
გრაფიაა, ვინც მას აგებს და მის მშე-
ნებლობას ხელმძღვანელობს. კონს-
ტანტინე გამსახურდიამ „დიდოსტატის
მარჯვენაში“ სვეტიცხოვლის ტაძრის


ისტორია ძალიან ემოციურად და ამა-
ღვლებლად მოგვითხროვს და ამით,
რომ ტაძრის მშენებლობის დროს
რა თავისი გმირის, ტაძრის მშენებ-
ლის არსაკიძის ცხოვრების ამბავს,
არსაკიძის ბედიღბალს. მოჰყვებით ჩვე-
ნი ქარხნის მშენებლობის ამბავი იმ
ადამიანების ცხოვრების მწვავე და
დრამატიულ მომენტებთან დაკავში-
რებით, ვინც მას აშენებს, და თქვენ
პიილებთ მოთხრობას, რომანს, რასაც
გატაცებით წაიკითხავს ყველა პრო-
ფესიის ადამიანი! თქვენ რას იტყვით
ამაზე?— მომიბრუნდა მე ლევანი.—
აღბათ, ყველაფერი, რასაც ჩვენ ლი-
ტერატურაზე ვლაპარაკობთ, თქვენ
ელემენტარულად და არა საკმაოდ
მიგაჩნიათ, მაგრამ მაინც თქვენთვის,
როგორც პროფესიონალისათვის, ინ-
ტერესს არ უნდა იყოს მოკლებული
არაპროფესიონალის აზრიც.

— რა თქმა უნდა, ძალიან საინტე-
რესოა. ვანაგრძეთ, მე სიამოვნებით
გისმენთ, — ვუპასუხე ლევანს.

— მე მინდა არა მარტო მომისმი-
ნოთ, არამედ მონაწილეობაც მიიღოთ
ჩვენს საუბარში. გვითხარით რამე სა-
კუთარი გამოცდილებიდან ან თქვენი
კოლეგების პრაქტიკიდან, ისეთი რამ,
რაც ან დაადასტურებს ან გააბათი-
ლებს ჩემს მოსაზრებებს.

— მე არც ბელეტრისტი ვარ და
არც პოეტი.

— მიუხედავად ამისა ხომ შეიძლე-
ბა ის, რასაც მე ვლაპარაკობ, დაუკავ-
შიროთ თუნდაც თქვენს დღევანდელ
პრაქტიკულ ამოცანას?— არ მეშვებო-
და ლევანი. — აი თქვენ დაათვალიე-
რეთ მთელი საამშენებლო მოედანი,
ამუშავებული საამქროები. უშუალოა,
ნახეთ საწყობებიც, მინდორზე მოფე-
ნილი საშენი მასალა, უამრავი დაშ-
ლილი იარაღები, მანქანები, მექანიზ-
მები. თქვენ ყველაფერს ამას ასწერო?



— ვერ ავსწერ. მანქანებისა და მექანიზმების არაფერი გაშვება.

— კიდევ რომ გაგვეგებოდეთ, ვის რად უნდა მათი აღწერილობა? ვისაც ეს აინტერესებს, მისთვის არსებობს სპეციალური ტექნიკური ლიტერატურა. მკითხველებისათვის კი საინტერესო იქნებოდა თქვენი შთაბეჭდილებანი.

— დადგმული და ამუშავებული მანქანა, — ვსთქვი მე ლევანის საგულისხმოდ, — მაგალითად, ექსკავატორი, ამწევი ონკანი ან რადიალური რანჯა სტრუქტურის შთაბეჭდილებას თავიანთი ადამიანისებური გონივრული მოქმედებით, დაშლილი, ერთმანეთში არეული დაზგის ნაწილები კი ჩემში არავითარ ემოციას არ იწვევენ.

— შეკლარია თქვენთვის, არა?

— დიახ, ასეა.

— მაგრამ ისინი გაცოცხლებოდნენ თქვენთვის და თქვენი ნარკვევის წამკითხველებისათვის, თქვენ რომ იცოდეთ ამ უსულო საგნებთან დაკავშირებული ადამიანური ამბები, — განაგრძო ლევანმა. — აი, მაგალითად, იმ მოედანზე იდუა ძველი ბლიუმინგი ნოწყობილობით.

— ახლა აღარ არის, მგონი წაიღეს, — შენიშნა ვარლამმა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი საუბრისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ ბლიუმინგმა ააფორიაქა და ერთხანს სულეერი სიმშვიდე დაუკარგა იმ ადამიანებს, ჩვენს მშენებლობას რომ უშუალოდ ხელმძღვანელობენ. იგი რუსთავეისათვის გამოჰყვეს. შეიძლება ზოგი ძველი სპეციალისტი გაახარა კიდევ იმ ფაქტმა, რომ ჩვენ გვარგუნეს ოდესღაც სახელმძღვანელო ბლიუმინგი, მაგრამ ის დღე, როცა ეს ამბავი თბილისში

მოვიდა, ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო, მწარე დღე იყო რუსთავეის სამეტალურგო ქარხნის მთავარი ინჟინერის დიკოლოზ ქაშაკაშვილის ცხოვრებაში. საქმე ის არის, რომ ამ ბლიუმინგის ავ-კარგი ინჟ. ქაშაკაშვილს ჩინებულად სცოდნია, მას იგი უნახავს ჯერ კიდევ 30 წლის წინათ. მაშინაც იგი კახისის ამუშავებული ყოფილა, მისი ასაკი დაახლოებით 50 წელს აღწევს. ნახევარი საუკუნის მანძილზე სამეტალურგო ტექნიკაში შეუჩერებლად პროგრესი მიმდინარეობდა, ის კი ძველდებოდა, იცვიოებოდა, და აი ახლა ეს ხანდაზმული, თითქმის აღსასრულის კარამდე მისული ბებერი უნდა დადგმულიყო რუსთავეში. ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა გუნებაზე დადგებოდნენ ისინი, ვინც ამდენი ენერჯია შეალიეს რუსთავეის სამეტალურგო წარმოების ორგანიზაციის საქმეს. „როგორ, მთელი ქვეყანა შევსძარით, დიდი და პატარა ფეხზე დაეაყენეთ, ამდენი წინასწარი სამზადისი ვაწარმოეთ, ვინ არ შეგაწყუბეთ და ყოველივე ეს რისთვის? იმისათვის, რომ რუსთავეში ესეთი მოძველებული ბლიუმინგი დაედგათ! უარი ესთქვათ მასზე? ხომ შეიძლება სახელმწიფოს ჩვენთვის ჯერჯერობით სხვა მოწყობილობა არ მოეპოვებოდეს და ამის გამო მის დადგმას მთელი წლები დაგვიანდეს. ამაზედაც რომ უარი ეთქვათ, შეიძლება, პუშკინის დედაბერივით გატეხილი ვარცლის წინაშე აღმოვჩნდეთ“. ამ ფიქრსა და საგონებელში რომ იყვნენ, ამ დროს რუსთავეს მოადგა ეს ძველი ბლიუმინგი. რას იზამ! ფაქტის წინაშე ხარ! მდგომარეობა გართულდა, გა-

ძნელდა გზის გამოძებნა ამ არასასურველი ბლიუმინგის აქედან გასასტუმრებლად. დაიწყო მთელი ოდისეიადა, დავიდარაბა ხან ავღრიანი ხან გამოდარებული პერიპეტეებით, აღსაესე ამ ოდისეიადის მონაწილეთა მწვავე განცდებით, დრამატიული მომენტებით. შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი უარზეა უკანვე წაიღოს იგი: ვის შეეაჩნიათ თქვენგან ათვალისწუნებული პატარაძალიო? ბოლოს, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამ ამბავმა მიაღწია საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ ვოზნესენსკის ყურამდე. ცხადია, მას არ ესიაზონება: რა დაამავა აზერბაიჯანმა ან საქართველომ ისეთი, რომ თავზე ახვევენ ასეთ ძველმანებსო. ხელში ტელეფონის მილი აიღო და დარეკა იქ, სადაც ჯერ არს: „როგორ? ამიერკავკასიაში, სადაც ჩვენ გვინდა სანიმუშო სამეტალურგო წრეწველობა მოვაწყოთ, თქვენ ძველამძულა გაგზავნეთ? ეს არ იქნება! რუსთავს უნდა მიეცეს საუკეთესო მოწყობილობა. საკითხი გამორაკვეულია. ნახვამდის“. ამრიგად, რუსთავისათვის გამოიდარა, გამოიდარა იმ ადამიანებისათვისაც. ვისაც ეს კაპანწყვეტა გადახდა, მაგრამ ვიდრე ეს შვიანი დარი დადგებოდა, რამდენი უძილო ღამე გაათუნეს, რამდენი უგუნებო დღე დააღამეს, რამდენი გულის ტკივილი განიცადეს ამ საქმის თავაკაცებმა. ჩაეწვდეთ ღრმად ამ ადამიანების მაშინდელ სულიერ ვითარებას და ჩვენ მივიღებთ ძვირფას ადამიანურ მასალას, საინტერესო მოთხრობას, იმ უსიცოცხლო, მკვდარი მანქანებისაგან ნაამბობს, რომელნიც მოფენილი იყვნენ რუსთავის საშენ მოედანზე.

— თუ ამ გზას გავყვებით, — განაგრ-

ძო ლევანმა, — მაშინ შეიძლება სველა საუბანი ავალაპარაკოთ. აი, მაგალითად, როცა თქვენს მკვლევარს მოდიოდით, არ შეიძლებოდა არ ძეგემჩნიათ ყაზარმისებური სახლები სადგურ ველზე. მათი ქვებიც კი ღალადებენ საინტერესო და საგულისხმო, ადამიანის განცდებით აღსაესე ამბებს. სამეტალურგო ქარხნის აგება იქ იყო გადაწყვეტილი, იქ დაიწყო კიდევ. ომმა შესწყვიტა მშენებლობა. წარმოიდგინეთ როგორ იმოქმედებდა ეს იმათზე, ვინც იგი წაიწყო — ამაოდ ჩაუარა ამდენმა სამზადისმა, ერთხელევე ნერვების დიდი დამავით მოგვარებული საკითხი სამემრისო პრობლემად იქცა! კიდევ კარგი, რომ ეს მერმისი შორეული არ აღმოჩნდა. როგორც კი ომის ბორბალი საბჭოთა ქვეყნის საბედნიეროდ შემოტრიალდა, ბელადმა ბრძანა განახლებულიყო მშენებლობა ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე. მაგრამ შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა შესცვალა ასაკები ქარხნის პროფილი, მისცა მას დანიშნულება გამოეშვა. მხოლოდ დამხოლოდ ნავთსადენი მიღები.

საქართველოს ინდუსტრიის სხვა დარგებში რაღა ჰქნან, რაღა ჰქნან იმ უამრავმა დაზგათ-და-მანქანათმშენებელმა ქარხნებმა, რომლებიც თავიანთი პროდუქციით ჰყვებოდნენ მთელს მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას? აი რა თავსამტრევეი საკითხი წამოიჭრა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელების წინაშე! ისინი უნდა დარჩნენ ან უსაკებოდ, ულითონოდ ან საკებებს მუდამ მოძმე რესპუბლიკებიდან ღებულობდნენ. მათ ჩვენთვის არაფერი შურთ, მაგრამ ეს ზომ დატვირთავს ტრანსპორტს, რომელმაც შეიძლება ყოველთვის ვერ შესძლოს ჩვენს რესპუბლიკას მოაწოდოს საკმაო ლითონი. აი ასეთ ფიქრსა და საგონებელში ჩაყარდნენ ჩვენი რესპუბლი-

კის ხელმძღვანელი. საჭირო იყო მდგომარეობა საქართველოს ინდუსტრიის სასარგებლოდ შეცვლილიყო. დაიწყო კამათი, შეხლა-შემოხლა, დაევა სხვადასხვა მგეგმავ უწყებებთან, რომელთაც, ცხადია, გააჩნდათ საფუძვლიანი მოსაზრებანი და არგუმენტები, როცა ამიერკავკასიაში ასაგებ სამეტალურგო ქარხნას მხოლოდ ნათესადენი მიწების გამოსაშვებად ითვალისწინებდნენ. ეს ამბავიც მოკლედ მოვსჯრათ: დაევა ჩვენი რესპუბლიკების—აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სასარგებლოდ დამთავრდა. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საკითხი გადაწყვიტა პარტიის ნაციონალური პოლიტიკის შესაბამისად, — გააძლია ქარხნის საწარმოო მოცულობა იმ ვარაუდით, რომ მან დაეკმაყოფილოს ნათესის მრეწველობაც და ინდუსტრიის სხვა დარგებიც.

— ჩვენი, საბჭოთა კავშირში, სხვანაირად არ შეიძლებოდა მომხდარიყო, — დაასკვნა ლევანმა. — ჩაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ აგებულიყო დიდი სამეტალურგო ქარხანა მხოლოდმხოლოდ მიწების საწარმოებლად. მივიღებდით ასეთ სურათს: გვერდით უზარმაზარი სამეტალურგო გიგანტი, საქართველოს ინდუსტრია კი შიშვითობს! ეს ხომ ერთი ბერძნული მითური გმირის მდგომარეობას ემგვანებოდა. ხომ გახსოვთ ეს გმირი, ყელამდე წყალში იდგა, სწყურდა, წყურვილს ვერ იკმაყოფილებდა, წინ ნაყოფით დახუნძლული ზე იდგა, შიოდა, ნაყოფს ვერ წვდებოდა.

— უფრო უკეთესი შედარება შეიძლება, — სთქვა ვარლამმა. — ეს ემგვანებოდა იმ მეაბრეშუმე ქალის მდგომარეობას, რომელსაც დიდძალი აბრეშუმის ჭია გამოუყვანია, მაგრამ მოკლებულია საშუალებას მიაწოდოს

მშვიერ კიებს თუთის ფოთლოვანი საკუთარი ბალიდან.

— გეთანხმები, შენი მტკიცებულებით რო სწორი გამომატველი იქნებოდა იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიძლებოდა შექმნილიყო, რომ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს არ გაეფართოვებია ამიერკავკასიის სამეტალურგო ქარხნის მოცულობა. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. ქარხნის პროგრამა იმდენად იქნა გაფართოვებული, რომ მას, მის უამრავ საამქროებს უკვე ვეღარ დაიტევდა ნაკლები მოცულობის ქარხნისათვის გამოყოფილი ტერიტორია ძველ მინდორზე. მაშასადამე უნდა გამოჩახულიყო ახალი, უფრო ვრცელი ფართობი, მაგრამ მითოვება ძველი ადგილისა, სადაც უკვე აშენდა პირველი შენობები, სადაც ჩაიყარა თანხა, არც ისე ადვილი საქმე იყო. კვლავ აუცილებელი გახდა შუამდგომლობა უმაღლესი ორგანოების წინაშე, მათი დარწმუნება ამ ნაბიჯის აუცილებლობაში, მათი თანხმობის მიღება. ყველაფერი ეს არ გაკეთებულა ფიზიკური და სულიერი ენერჯის დახარჯვის, შინაგანი მღელვარების გარეშე! ამასაც ჰქონდა თავისი პერიპეტები, ხან დაძაბული, ხან შემსუბუქებული სულიერი განწყობილებით. ამ განვლილი დროის ნაშთი არის ის უღაზათო სახლები, სადგურ ელთან რომ აღმართულან და ჩვენ ყოველი გავლა-გამოვლისას რომ მოგვაგონებენ ჩვენი ხელმძღვანელების მიერ სამეტალურგო ქარხნის ისტორიის პირველ ეტაპზე გადახდილი ბრძოლის ამბებს.

საკითხი თითქოს უკვე გამორკვეული იყო, საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ ამ დროს ავტომატურად მოტორის გუგუნი შემოგვესმა და მალე ჩვენს წინ დიდი სატვირთო

აეტომანქანა შეჩერდა. მანქანა ქვიშით იყო დატვირთული.

— აი კიდევ ერთი საბუთი შენი დებულების დასამტკიცებლად, — უთხრა დიმილთ ვარლამმა ლევანს.

— ქვიშაზე ლაპარაკობ, არა? სწორია! ეგაც გამოდგება საბუთად.

მე გამეცინა.

— ეს რაღაზე ლაღადებს?

— ახლავე ვეტყვი. ეს უბრალო ქვიშა როდია, საყალიბე ქვიშაა. იგი დიდი რაოდენობით სჭირდება მეტალურგმშენის სარემონტო მექანიკურ ქარხანას და კიდევ უფრო მეტად დასჭირდება სამეტალურგო ქარხნის საჩამომსხმელო საამქროს ყალიბებისათვის. დიდი სამიებელი ჩუშაობა მიმდინარეობდა საქართველოში და ახლაც მიმდინარეობს კარგი ზარისხის ქვიშის კარიერების აღმოსაჩენად. დიდხანია ეს ძიებანი სასურველ შედეგს ვერ იძლეოდნენ. ვინ იცის რამდენი საღამო შეეწირა იმაზე თათბირსა და მსჯელობას, თუ როგორ შემოეარათ თავი ამ თავსამტერვესაკითხისათვის. გასულ წელს მშენებლობის უფროსთან მიმდინარეობდა იმაზე თათბირი, მეორე დღის საღამომდე გაგრძელდა იგი. ამ სანატრელი ქვიშის შესახებ ლაპარაკობდა ყველა, ისიც კი, ვინც ამ თათბირს არ ესწრებოდა. გვიან, საღამოს ექვს თუ შვიდ საათზე დამთავრდა თათბირი, ყველანი — თათბირის მონაწილენი საოცრად დადლილ-დაქანცულნი გამოვიდნენ უფროსის კაბინეტიდან, მაგრამ ყველაზე მეტად დაქანცულობა ეტყობოდა თვით უფროსს ამხანაგ ნესტორ გიორგაძეს. ის გავდა კაცს, რომელიც ჯირკვზედაც კი სიამოვნებით მისდებს თავს და დაიძინებს. დაიძინებს ნეტარი, ღრმა ძილით! და აი ეს უძილობისაგან ღონემიზდილი კაცი უეცრად გამოფხიზლდა, მან ყური მოჰკრა, რომ ვიღაც ლაპარაკობდა,

საყალიბე ქვიშა სურამის მიტანაში უნდა მოიპოვებოდეს. ნესტორ გიორგაძე უმაღლეს მინისტრს აღმოჩნდა ინჟინერი ღონდლუა).

— ეინ გითხრა, საიდან იცი? — ჰკითხა ნესტორმა ინჟინერ ღონდლუას.

— შეიდი წლის წინათ სურამში ერთი გლეხისგან გავიგონე, რომ მოიძებნება ასეთი ქვიშა სურამს ახლო.

— გვარი არ გახსოვს იმ გლეხისა?

— არ მახსოვს არც სახელი, არც გვარი.

— სად შეხვდი? როგორი გარეგნობისაა? ახალგაზრდა იყო, მოხუცი?

— შეხვდები ბაზარში, ზინდისიდან ვარო. მოხუცი იყო.

— ღრმა მოხუცი?

— არც ისე. სამოცი წლისა იქნებოდა.

— ეს კარგია, სამოცი წელი არც ისე ღრმა ასაკია, ცოცხალი იქნება. აბა, ახლავე ჩავეჯდეთ მანქანაში და გავსწიოთ! შენ ჩემთან წამოხვეალ, — უთხრა ნესტორმა ინჟინერ ღონდლუას. — იმ მოხუცს თუ ვერ ვნახავთ, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება მთელ სოფელში არ მოიძებნოს კაცი, რომელმაც არ იცოდეს, სად არის ის ქვიშა.

— რა გეჩქარებათ! ხვალ წავიდეთ.

— არც ხვალ, არც ზეგ არა მცალია, სხვა გადაუღებელი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

— მაშინ სხვა ვინმე გაგზავნეთ!

— არა, კაცო, სხვას რატომ უნდა მივანდო საქმე, რომელიც მე შემიძლია დღესვე გავაკეთო.

და ნესტორ გიორგაძე იმავე საათში, ინჟინერ ღონდლუას თანხლებით, გაქანდა სურამისაკენ. მანქანა გაშორდა თბილისს, უკვე დაღამდა, დღიური ამბებით მოღლილ ნესტორს ეძინება, თანამგზავართან ლაპარაკის თავი აღარა აქვს, მხოლოდ ხანდახან წამოიძახებს: ძალიან მოტეხილი ხომ არ ყოფილა, ხომ არ მოკვდებოდა ის ოჯახ-

აშენებულო! — და ისევ ჩაყვინთავს. ერთი კარგი გამოძინება სიცოცხლეს ურჩევნია, მაგრამ უსწორო და ღრანტებიან გზაზე მიმავალი მანქანა ხან დაღმა დაეშვება და ხან ზევით არბის, წამდაუწუმ ძილს უფრთხობს თვალებმინაბულ მგზავრს. გასცდნენ გორს და ნაშუალამევის სამ საათზე მიადგნენ სოფელს, სადაც, ინიენერ დონდუას ვარაუდით, ის გლეხი უნდა ცხოვრობდეს. უკვე გაისმა მამლების ყვილი. მივიდნენ სასოფლო საბჭოში, გაიგეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მისამართი, მასთან ერთად მიაკითხეს ერთ მოსახლეს, მეორეს, მესამეს. არაფერ არც მოხუცისა და არც იმ ქვიშისა არაფერი იცის. დილამდე შესძრეს მთელი სოფელი, ბოლოს როგორც იქნა, მიავნეს, არ ვიცი, იმ მოხუცს, თუ ქვიშის კარიერის მცნობსხვა გლეხს, ჩაისვეს მანქანაში და ნახევარ საათში გაჩნდნენ ქვიშის კარიერებზე, აიღეს ნიმუში და მაშინვე უკან გამობრუნდნენ. იმავე დღეს დილის 11 საათზე ღამენათვევი, უძილობისაგან თვალბნალამებული ნესტორი თავის კაბინეტში იჯდა და მორიგ საქმეებს აწესრიგებდა.

— ქვიშა? — ვიკითხე მე.

— ქვიშის ნიმუში მაშინვე გადაეცა ლაბორატორიას, მეორე თუ მესამე დღეს სურამის მიდამოებში გაიგზავნენ გეოლოგები, ბოლოს საქმე დამთავრდა აი ამით! ხომ ხედავთ სურამის ქვიშით დატვირთულ ამ მანქანას! დროგამოშვებით ვაგონებით რუსთავის სადგურზე მოაქვთ ეს ქვიშა, ზოლო იქიდან კი მანქანებით იგზავნება მეტალურგმშენის საწარმოებში — მექანიკურ ქარხანასა და ბეტონის კომბინატში. დამეთანხმებით, რომ აი ამ ქვიშის ამბავიც უკომენტარიოდ ლაპარაკობს მშენებლობის უფროსის შოძრავ, ელასტიურ ბუნებაზე, მის 6. „მნათობი“, № 11.

მოუსვენარ, ტემპერამენტთან მუშაობაზე. განავრძობთ მაგაღრუფებულ მოყვანა? მე მგონია, ესეც კმსმსმსმსმს დასამტკიცებლად, რომ ყოველი საგანი, ძველი თუ ახალი, შეიძლება ავამტყველოთ ადამიანზე და ამით ინტერესი გამოვიწვიოთ.

— ქვიშას რიყის ქვაც მიაყოლე ბარემ და საკითხიც ამოწურული იქნება, — იხუმრა ვარლამმა.

— წელან მე ესთქვი, — განავრძობ ლევანმა, — ტრანშეების გათხრის დროს ამოყრილი რიყის ქვა აბა ვის დაინტერესებს მეთქი! არაა მართალი! წარმოიდგინეთ, დაინტერესდა იგივე ნესტორ გიორგაძე: ეს აუარებელი რიყის ქვა რომ უსარგებლოდ ჰყრია, ვავლა-გამოვლას რომ გვიშლის, თან ამდენი მანქანა რომ ცდება მისგან მოედნის გასაწმენდად, ნუთუ არ შეიძლება მისი გამოყენება? შეიძლება და უნდა გამოვიყენოთ კიდეცო, — სთქვა მან. მართლაც მისი წინადადებით ტუფთან, აგურთან და სხვა საშენ მასალასთან ერთად ეს რიყის ქვაც იხმარება საძირკვლების აღოსაყვანად და კედლების ასაგებად. ამ მაგალითითაც იმის თქმა მინდა, რომ ასეთ წვრილმანშიაც კი შეიძლება კაცმა ამოკითხოს არსებითი და საინტერესო რამ ადამიანის ზასიათზე და მის წარსულზე, მაგრამ გამკრიახი თვალის გარდა ამას დაკვირვება და გამოკითხვა უნდა, დაკვირვება კი დროს მოითხოვს, დროს არ იმეტებენ ჩვენი მწერლები. ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდიან: ახალ მშენებლობას ხელოვნურად მოახვევენ თავზე წიგნებში ამოკითხულ ძველ ისტორიულ ამბებს, ან უარესი — იგონებენ რაღაც საოცარ სენსაციებს, რომ ამით გააძლიერონ თავისი ნარკვევის თუ მოთხრობის დამაინტერესებლობა.

— ერთი ყორას ამბავი მოჰყევი! — სთქვა ვარლამმა.

— კარგია, რომ გამახსენე. ეს ყორა აქ მუშაობს „სოიუზპეჩატის“ კიოსკში, ეურნალ-გაზეთებს ჰყიდის. ნახვედით, ალბათ, არ შეიძლებოდა არ შეგემჩნიათ. შესანიშნავი ბიჭია, მოძრავი, მზიარული, დაუხარელი. ყოველდღე სამჯერ მიდი-მოდის თბილისში, მშენებლებისათვის ახალ-ახალი ეურნალ-გაზეთები და წიგნები ჩამოაქვს. ზუმარა, ენაწყლიანი ყორა ყველასთან გაშინაურებულია, დიდს და პატარას უყვარს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყორა მაინც არ არის ჩვენი მშენებლობის ცენტრალური ფიგურა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთმა რუსმა ეურნალისტმა იგი ასეთ ფიგურად გამოიყვანა. ჩვენი ყორა გვარად მანთაშევია. ეურნალისტი ჩაებდაუქა ვეარს და ქვეყანას ამცნო: ხალხო, წაიკითხეთ და გაცოდით, — ერთ დროს ცნობილი მილიონერის შვილისშვილი ახლა გაზეთებს ჰყიდის რუსთავში, განათლება და კულტურა შეაქვს მშენებლებში! გაიგეთ, რა ძვრები მოხდა! კაპიტალისტის შვილიშვილიც კი ემსახურება სოციალისტურ მშენებლობას. მეორე მხრივ რა საოცარი თავბრულამსხმელი დაქანება მატერიალურ კეთილდღეობის უმაღლესი საფეხურიდან გაზეთის გამყიდველის მდგომარეობამდე! სენსაციას! სენსაცია კი არის, მაგრამ ერთი მისხალი სიმართლე არ არის მასში. ყორა ერთი ღარიბი თბილისელი ხელოსნის შვილია და მეტი არაფერი. ყორას ცოტა არ იყოს, გახარებია ეს ტყუილი! არ უარყოფს, პირიქით, ხმას აერცელებს — ცნობა მივიღე ამერიკიდან, პაპაჩემს ჩემთვის უანდერძებია თავისი მილიონებიო, იქნება ამით მაინც ავსწიო ჩემი შანსები გასათხოვარ გოგოებშიო. აი ეს ჩვენი ყორა გახდა მთავარი პერსონაჟი რუსთავზე დაწერილი ერთ-ერთი

რუსული ნარკვევისა, — ასე დაძაბუნა თავის მოთხრობა ლევანმა.

— თქვენც ხომ გეჭვენათ მსგავსი სახალისო ამბები?

— უთუოდ, უთუოდ, თუ მოვახერხებ, — ეუბასუხე ვარლამს იმავე კილოთი, როგორითაც თვითონ მკითხა.

— თქვენ მაინც არ მიგილიათ მონაწილეობა ჩვენს საუბარში, — მითხრა ლევანმა.

— მე სავსებით გეთანხმებოდით, საკამათო არაფერი მქონდა, და მხოლოდ ამიტომ. მე შემოძლია მხოლოდ დიდი რუსი პროზაიკოსის ანტონ ჩეხოვის მაგალითით გავამაგრო თქვენი დებულება. ერთხელ სტუმრად მისულ მკითხველებისათვის ჩეხოვს უთქვამს, — შეიძლება აი ამ საფერფლეზედაც დაიწეროს საინტერესო მოთხრობაო. ცხადია, დიდი მწერალი გულისხმობდა არა საფერფლის აღწერას, არამედ იმ ამბებს, რაც თავს გადახდა იმ საფერფლის ყოფილ პატრონს ან პატრონებს.



შემოდგომის გრილი, წყაროს წყალივით ანკარა დილაა, მზიანი ლაქვარდით. ქარხნის სამმართველოში მივედი მთავარი ინჟინერის ნიკოლოზ ქაშაყაშვილის სანახავად.

— მობრძანდეს, მობრძანდეს, — შემომესმა კაბინეტიდან და მიპატიყების კილოზე ვიგრძენი, რომ ჩემი მასპინძელი გულდია, თავაზიანი და ხალისიანი ადამიანი იყო. მე არ მოგტყუებულვარ. ინჟინერი ნ. ვ. ქაშაყაშვილი მართო იყო, თავის სამუშაო მაგიდას უჯდა. გულთბილად მიმილო. ის ხანში შესული, მაგრამ სრულიად დაუბერებელი კაცია, ჭალარა თმა შესთხლეზია, მაგრამ არ დაუკარგავს აიკაბუკის ერთი მისხალიც კი. იგი დიდხანს მესაუბრა ქარხანასა და მის მომავალზე, გამაცნო თავისი წარსულიც. თითქმის ორმოცი წელიწადი მას სამშობლოში

ჩამოუსვლელად უმუშავენია მთავარ ინ-
ჟინერად ურალისა და უკრაინის სამე-
ტალურგო ქარხნებში. მე გამაყვირვა იმ
გარემოებამ, რომ კაცი, რომელიც ასე
ხანგრძლივად ყოფილა არაქართველთა
წრეში, ლაპარაკობდა ძალიან სუფთა,
რუსულ შეტყველებებაში აურეველი ქარ-
თული ენით. მე ეს ვუთხარი.

— ნუ გიკვირთ,—მიპასუხა მან,— მე
დაბადებული ვარ იმერელი გლეხის
ოჯახში, ბაღდადში, საშუალო განათ-
ლება მივიღე ისეთ ქართულ ქალაქში,
როგორც ქუთაისია. ვცდილობდი არ
დამეიწყებოდა დედაენა, ხშირად მყავ-
და ჩემთან რუსეთში ჩემი და, სოფ-
ლელი ქალი, ვკითხულობდი ქართულ
ქურნალ-გაზეთებს, თვალყურს ვადევ-
ნებდი ქართულ ლიტერატურას.

— მაშ, თქვენ ბაღდადიდან ბრძან-
დებით, მთავრობის თანამემამულე,
უფრო სწორად თანასოფელელი? ალ-
ბათ, გახსოვთ იგი!

— მახსოვს, რა თქმა უნდა. მთავ-
რობის ოჯახი ერთადერთი რუსული
ოჯახი იყო ჩვენს სოფელში, ოჯახი
ისეთი ადამიანისა, რომელიც, სოფლის
პირობებში, თავისი მღვთმარობით
თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენ-
და. მახსოვს მთავრობის მამა, დედა,
დები, ყველაზე უკეთ—თვითონ ვა-
ლოდია. ის ჩემზე უმცროსი იყო,
მაგრამ თავის ასაკზე ბევრად უფრო
მოწიფული. ჩვენი ნაცნობობის უკა-
ნასკნელ ხანებში ის იყო მაღალი, ტან-
წერილი ბავშვი ოღონდ დაღვრემილი
ქვიანი თვალებით. მე ჯერ სოფელ-
ში ვსწავლობდი, შემდეგ ქუთაის-
ში—რეალურ სასწავლებელში. ზაფხუ-
ლის თვეებს ხშირად ვალოდიასთან ერ-
თად ვატარებდი. დაუდევარი, მოუსვენ-
ნარი, შფოთის თავი იყო მაშინაც.
ვალოდია თორმეტი წლის იყო, მაშა
რომ მოუყვდა. ოჯახმა დასტოვა ბაღ-
დადი, მოსკოვს გადასახლდა. ეს კაი-
ზანს არ ვიცოდი. მას შემდეგ არც

ერთს წევრს მთავრობის ოჯახიდან
არ შევხვედრივარ, მაგრამ ვხედავო-
ბიდან ჩემს მეხსიერებაში მისი მად-
ალიბეჭდა პირველი რუსული ოჯახი
და პირველი რუსი ადამიანები, რო-
მელნიც ჩემს სოფელში ცხოვრობდ-
ნენ. გავიდა წლები, მე დაემთავ-
რე პეტერბურგის პოლიტექნიკური
ინსტიტუტის სამეტალურგო ფაკულ-
ტეტი. 1913 წელს სამსახური დაეწყო
ურალის სამეტალურგო ქარხანაში.
რაც დრო გადიოდა, უფრო ხშირად
მესმოდა მთავრობის გვარი. ვკითხუ-
ლობდი ამ გვარით მოწერილ ლექსებს,
მესმოდა კამათი და დავა მისი შემოქ-
მედების გამო. იგი თანდათან პოპუ-
ლარული პოეტი ხდებოდა. ხშირად
ვფიქრობდი, ეს პოეტი, ნეტავ, ვინ
არის! ამ ვეგებერთელა რუსეთში, ვინ
იცის, რამდენი მთავრობისა! საეჭვოა,
იგი მაინცდამაინც ჩემი სიყრმის მე-
გობარბი—ბაღდადელი მთავრობის იყო.

1929 წელი სვერდლოვსკში, არ
მახსოვს, დეკემბრის ბოლო იყო, თუ
იანვრის დამდეგი. ქალაქში ხმა გავრ-
ცელდა, მთავრობის ჩამოვიდა და ინ-
ჟინერთა საქმიან კლუბში ეწყობა მი-
სი საღამო. რა თქმა უნდა, დავესწა-
რი. პოეტის გამოსვლამ ჩემზე დიდი
შთაბეჭდილება დასტოვა. მომეწონა
მისი გონებამახვილობა და ლექსების
თავისებური წარმოთქმა. ჩემს წინ იყო
გოლიათური აგებულების ვაჟაკი,
მძლავრად გაშლილი განიერი მხრებით.
ლაპარაკობდა ძუნწი, მაგრამ მეტად
ენერგიული ექსტაჯულაციით. ძნელი
იყო ამ ვაჟაკში გამომეცნო ჩემ-
ბავშვობის ამხანაგი. დიდხანს ვეკვირ-
დებოდი მის მოყვანილობას, მის მანერ-
ებს, ინტონაციას და ბოლოს დავა-
კენი, რომ ჩემი ყრმობის მეგობ-
რისა— ბავშვის მთავრობის ბერი რა-
საერთო აქვს პოეტ მთავრობისთან.
გადავწყვიტე გამომეცნო. ნამდვი-
ლად ის იყო თუ არა. შემთხვევაც

მომეცა. ურალის მწერლებმა, საღამოს შემდეგ, პოეტს საქმიანი კლუბის რესტორანში ბანკეტი გაუმართეს. ცოტა მოგვიანებით, როცა მწერლები უკვე სუფრას უსხდნენ, რესტორანში შევედი და შეუმჩნეველად მიუჯექი პატარა მაგიდას. მესმოდა მწერლების მზიარული საუბარი. მე მალულად ვაკვირდებოდი პოეტს, მაწუხებდა მოუსვენრობა, მოუთმენელი სურვილი—გამომეცნო პოეტის ვინაობის საიდუმლოება. დაეუძახე ოფიციანტს და ვთხოვე შეუმჩნეველად პოეტის წინ თეფშზე დაედო პატარა ქალაღი ჩემი წარწერით: „თქვენ ის მიაიკოვსკი ხომ არა ხართ, რომელიც დაიბადა და ერთხანს ცხოვრობდა ბალდადში“. ველი პასუხს. გავიდა რამდენიმე წუთი. პოეტმა შეამჩნია ქალაღი, წაიკითხა და ჩვეული ინტონაციით ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ვინ გამოგზავნა ეს შეკითხვა?— ისეთი მწყრალი გამომწვევი კილოთი იყო ეს სიტყვები წარმოთქმული, რომ ვარჩიე არ გამოგხმარებოდი. როცა პოეტმა კიდევ უფრო ხმამაღლა გაიმეორა ეს კითხვა და თან დასძინა: „ღიახ, მე ბალდადელი მიაიკოვსკი ვარ“, მე უკვე თამამად მივედი მასთან და ვუთხარი, შეკითხვის ავტორი მე გახლავართ მეტეი. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, მერე მკითხა: თქვენ ვინ ბრძანდებით? საიდან ხართო! მეც გავაცანი ჩემი ვინაობა. მიაიკოვსკიმ მღელვარედ გამოხატა თავისი სიხარული, ხმამაღლა შემომძახა:

— კოლია, ნუთუ ეს შენა ხარ, როგორ გამოცელილხარ, ვერ გიცნობდი, რომ თვითონ არ გამომცნობოდი. რა თქმა უნდა, დაერჩი სუფრაზე და ბოლომდე მონაწილეობა მივიღე საერთო ღზინში. მე პოეტს გვერდით ვუჯექი, ვიგონებდით ბავშვობას, საერთო ნაცნობებს, მიაიკოვსკის ბაღდადელ მეზობლებს. მგონი, მეორე დღეს

ვე მიაიკოვსკიმ დასტოვა სვერდლოვსკი. მე ჩამომართვა მეგობრული წმკევა, რომ აუცილებლად წინასწარმეტყველებ, როცა მოსკოვში ჩავიდოდი, მაგრამ ჩემი დაბრუნება ვერ შეეასრულე. გავიდა რამდენიმე თვე. 1930 წლის 14 აპრილს გავიგე, რომ უღროოდ დაიღუპა ბრძოლისა და სიცოცხლის მგზნებარე მომღერალი, დიდი ტალანტი ვლადიმერ მიაიკოვსკი.

მცირეოდენი დუმილის შემდეგ ინიერმა ნ. ქაშაიაშვილმა მითხრა:

— მე უღრმეს კმაყოფილებასა ვგრძნობ, როცა გამახსენდება, რომ ჩემი ბავშვობა, თუმცა არც ისე ხანგრძლივად, გამიტარებია ყრმა მიაიკოვსკისთან, რომელიც საამაყო სახელი გახდა საბჭოთა ლიტერატურისა და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

— კერძოდ ქართველებისთვისაც! — დავსძინე მე. — საქართველოს არცერთ კუთხეში კაცი ისე არა გრძნობს მიაიკოვსკის პოეზიის ძალას, როგორც აქ, რუსთავის დიდ მშენებლობაზე, სადაც მრავალი ისეთი ადამიანი მუშაობს, რომელთა განცდები და განწყობილებანი ასეთი მგზნებარებით გამოხატა პოეტმა.

— გეთანხმებით, — მითხრა ინგ. ნ. ქაშაიაშვილმა, — რუსთავი ისეთი გაქანების პირველი მშენებლობაა ჩვენში, რომელიც მოითხოვს დიდი ხმის, ფართო რეზონანსის შემოქმედს, სწორედ ისეთს, როგორიც ვლადიმერ მიაიკოვსკი იყო.

საუბარი ისევ რუსთავზე გადავიდა.

— ეს ქარხანა, — მეუბნებოდა ნ. ქაშაიაშვილი, — გრანდიოზული მოვლენაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რუსთავი წარმოშობს მრეწველობის ახალ დარგებს და სწრაფად წასწევს წინ მთელს ეკონომიკას. მუშათა 85 პროცენტზე არანაკლები უნდა მომზადდეს საქართველოს მკვიდრთაგან. ხუთწლედის დამლევს მცხოვრებთა

რაოდენობა რუსთაველი მიადრეკს. 10 ათასს, ხოლო შემდეგ წლებში—50 ათასს. მთელი ეს მასა პრაქტიკულად ვაიფლის კომუნისტური აღზრდის სკოლას. თუ ამას მიიღებთ მხედველობაში, თქვენ ადვილად გაითვალისწინებთ იმ საღ ზეგავლენას, რომელსაც ამ ახლოხანში ეს ახალი ქალაქი ჩვენს ცხოვრებაზე მოახდენს. ალბათ, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ეს საქმე დიდი ატალინის თაოსნობით არის დაწყებული. ლ. პ. ბერია თვალყურს ადევნებს და დიდ დახმარებას უწევს ჩვენს მშენებლობას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მშენებლობის პრაქტიკულ ხელშეწყობაზე ვამოკყო ენერგიული, პარტიული მოღვაწეები. ამხ. კანდიდ ჩარკვიანი დიდ დროსა და ენერჯიას ხარჯავს ყველა იმ მტკიცეული საკითხის მოსაგვარებლად, რომელიც მშენებლობის პროცესში წამოიჭრება ხოლმე. თქვენ ისიც გეცოდინებათ, თუ რა დიდ დახმარებას გვიწევს საქავშირო მთავრობა. მისი განკარგულებით, აქ გამოიგზავნენ ჩელიაბინსკისა და ნიენი ტაგლის გიგანტის გამოცდილი მშენებლები. საქავშირო მთავრობის დადგენილებით, მოწყობილობა ჩვენი ქარხნისათვის მზადდება საბჭოთა კავშირის საუკეთესო მანქანათმშენებელ ქარხნებში. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გულისხმიერებით ეხმარება მოსკოვი ჩვენი მშენებლობის საჭიროებას, მოგახსენებთ ერთ ფრიად დამახასიათებელ ამბავს. ამას წინათ მოსკოვში ვიყავი მივიღებულნი. სხვათაშორის, დავალებული მქონდა აღმეძრა შეამდგომლობა, რომ დაჩქარებით მოეწოდებიათ მიღები ბულაჩაურის წყალსადენისათვის. მიემართე შავი მეტალურგიის მშენებლობათა სამინისტროს. იქ მითხრეს, რომ სამინისტროს წელს საშუალება არა აქვს ბულაჩაურს გამო-

უყოს იმაზე მეტი მიღები, რაც უკვე გაეგზავნა. შემდეგ, ჩვენი მშენებლობის საქმეების განხორციელებისათვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა ვოზნესენსკიმ. სხვათაშორის, მე მას მოვახსენე ბულაჩაურის მდგომარეობა და ვთხოვე დახმარება. მან მაშინვე დაურეკა ამხ. იუდინს. იუდინმა მას იგივე უთხრა, რაც ჩვენ: საქართველო ბულაჩაურისათვის მოითხოვს შვიდი ათას ტონა მილს, ჩვენ კი გვაქვს სულ 16 ათასი ტონა, ხოლო სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს მთელი საქავშირო მშენებლობა ვლადივოსტოკიდან კარპატებამდე. მიუხედავად ამისა ვოზნესენსკიმ მიინც დაითანხმა ამხ. იუდინი მოეცა ჩვენთვის ოთხი ათასი ტონა.

— ეს არ გვეყოფა, — მოვახსენე ამხანაგ ვოზნესენსკის, — თუ შეიძლება დანარჩენი გამოგვიყავით თქვენ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან.

— კეთილი. მაგრამ ახლა ხომ თებერვალია, წლის დასაწყისი, და ვის გაუგონია, რომ ასე ადრე დაიწყოს სარეზერვო ფონდის ხარჯვა.

მიუხედავად ამისა, ამხ. ვოზნესენსკიმ აღგვითქვა, რომ ამ ფონდიდან ბულაჩაურის საჭიროებისათვის გამოყოფილი იქნება ოთხი ათასი ტონა. აქედან ცხადია, თუ რა გულისყურით ეპყრობა მოსკოვი რუსთაველის სამეტალურგო ქარხნის მშენებლობას.

ძალიან გვეხმარებიან აგრეთვე მოძვე რესპუბლიკები. დონბასსა და ურალში აღიზარდნენ ახალგაზრდა ქართველი მუშა-მეტალურგები. მახსოვს, ამ სამი წლის წინათ, როდესაც მათ პროფესიების შესასწავლად უკრაინასა და რუსეთში ვგზავნიდით, ზოგიერთი მშობელი გვეხვეწებოდა, აქ დასტოვეთ, შორს ნუ გაგზავნით ჩემს შვილსო. იქ ყოფნით ახალგაზრდებს არაფერი წაუტიათ. შეიძი-

ნეს მაღალი კვალიფიკაცია, ჯერ იქა-
ურ ქარხნებში მუშაობის დროს მათი
გამომუშავება ორი ათას მანეთს აღ-
წევდა. ახალგაზრდები ძალიან კმაყო-
ფილი დაბრუნდნენ. ბევრი მათგანი
ახლა ჩვენი ქარხნის დამხმარე საამქ-
როებში მუშაობს. ზოგი ჩივის, რომ
მისი შრომა მიღებული პროფესიისა
და კვალიფიკაციის მიხედვით არ არის
გამოყენებული. სწორია. ვიდრე ძი-
რითადი საამქროები არ ამუშავდე-
ბიან, ზოგი დროებით იმუშავებს არა
თავის პროფესიის მიხედვით. გამომუ-
შავება ისეთი არა გვაქვს, როგორც
იქ გვექონდაო. მაგრამ ეს დროებითია,
ამასაც აქვს თავისი კარგი მხარე,
ახალგაზრდები სწავლობენ მეორე ზე-
ლობას, უფრო უნივერსალური ზღე-
ბიან. გაიგონებთ იმასაც, რომ აქ კარ-
ვად არა ვართ მოწყობილიო, ესეც
სწორია. რუსთავეში ჯერ კიდევ ბევრი
რამ არის ასაგები და მოსაწყობი.
დონბასსა და ურალში ნამყოფი ქარ-
თველი ყმაწვილები პირველად მოხვ-
დნენ დიდ სამრეწველო ცენტრებში,
რომლებსაც ათეული წლების დიდი
საყოფაცხოვრებო კულტურის ტრა-
დიციები აქვთ: ჩინებულად მოწყო-
ბილი საერთო საცხოვრებლები, აბა-
ნოები, ბიბლიოთეკები, კულტურის
სახლები და ბაღები. ყოველივე ამან
მაღალი მოთხოვნილება და გემოვნე-
ბა გაუღვიძა იქ ნამყოფ ქართველ
ახალგაზრდებს. ასეთსავე პირობებს
ზოგი ახლაც მოითხოვს რუსთავეში.
ბევრი მათგანი ჯერ კიდევ სოფლელია
თავისი ფსიქოლოგიით, ზოგს კვლავ
იზიდავს მამაპაპეული კარმიდამო,
ბაღ-ვენახი, საძოვრები, გუთნეული
თავისი ოროველათი, კალო და კვერი,
მთის იალაღები. დონბასში მათ ნა-
ხეს, თუ რამდენად უფრო კულტურუ-
ლია და სასიამოვნო მუშათა ცხოვრე-
ბა სოფლისაზე. ცხადია, ასევე იქნება
აქაც, რუსთავეში. ახალგაზრდები თვი-

თონაც ხედავენ, რომ საბამისოდ გვე-
ლაფერი კეთდება, მათთვის მუშავდება
მთელი ქალაქი საუცხოველესი სასახლე-
და კულტურული დაწესებულებებით.
რა თქმა უნდა, დროებითია ზოგიერ-
თის ასეთი ფსიქოლოგია. პარტია
და კომკავშირი მათგან გამოზრდის
სოციალისტური შეგნების ადამიანებს,
მტკიცე ნებისყოფის და სიმწიფე-
ბითან ბრძოლის უნარით აღჭურვილ
ადამიანებს. იმედი უნდა ვიქონიოთ,
რომ პარტიას ამ საქმეში მწერლებიც
დაეხმარებიან.

ინეინერმა ნ. ქაშაყაშვილმა ჩემთვის
ბევრი რამ ახალი და საინტერესო
მიამბო რუსეთისა და უკრაინის სო-
ციალისტური მშენებლობის ისტორიი-
დან. ამ ამბების მოყოლის დროს გა-
ნუწყვეტლად მესმოდა დიდი ბოლშე-
ვიკისა და მშენებლის სერგო ორჯო-
ნიკიძის სახელი. საერთოდ რუსთავეში
არ შევხვედრივარ თითქმის არც ერთს
ინეინერს, არც ერთს ოსტატს, რომ-
ლის ბიოგრაფიაში შესული არ იყოს
სერგო ორჯონიკიძის სახელი, მისი აზ-
რი და ნებისყოფა ასი ათასებშია გა-
დასული. აქაც, რუსთავეშიც მუშაობს
სპეციალისტთა ის თაობა, რომელიც
მან გამოზარდა. ეს ჩემი შთაბეჭდი-
ლება გავუზიარე ნ. ვ. ქაშაყაშვილს
და ამასთან ვთხოვე გაცენო ჩემთვის
სერგო ორჯონიკიძესთან თავისი პი-
რადი შეხვედრის ამბები.

— სწორედ გუშინ დილით მივიღე
მოსკოვიდან მომართვა, — მოთხრა ნი-
კოლოზ ვასილის-ძემ, — მატყობინე-
ბენ — ახლო მომავალში გამოსაცემად
მზადდება მთელი ტომი სერგო ორჯო-
ნიკიძეზე და თქვენც მოგვაწოდეთ მო-
გონებებით. გადავხედე ჩემს ჩანაწე-
რებს, თვალი გადავაველე განვიღი-
წლებს, ბევრი რამ კვლავ ცოცხლად
წარმომიდგა თვალწინ.

— თქვენც, ვიდრე დასწერდეთ, გა-
მიზიარეთ რამდენიმე ეპიზოდი მაინც.

— კეთილი, — დამეთანხმა თავა-
ზიანი მასპინძელი და დაიწყო:

— ეს იყო 1934 წელს. მიმდინარეობ-
და კერჩის სამეტალურგო ქარხნის
რეკონსტრუქცია, შენდებოდა სააგლო-
მერაციო ფაბრიკა ახალი ამერიკული
ლენტით. მაშინ წესად იყო შემოღე-
ბული მთავარი ინჟინერის ან სხვა გა-
მოცდილი სპეციალისტის მივლინება
ცენტრიდან იმ მიზნით, რომ მივლინე-
ბულს ადგილზე გაეწია ხელმძღვანე-
ლობა მშენებლობისათვის. კერჩში
გამგზავნეს მე. იმ დროს იქ სამეტა-
ლურგო ქარხნის დირექტორად იყო
ყოფილი მატროსი, გვარად გლინკა,
ახოვანი კაცი, ძალიან მარჯვე და ენე-
რგიული მუსიკაი. კერჩში დავრჩიე ექვს
თვეს და, როცა მშენებლობა ნორმა-
ლურ კალაბოტში ჩადგა, უკანვე დაე-
ბრუნდი. გავიდა დრო, სააგლომერა-
ციო ფაბრიკა ამუშავდა. ეს ფაბრიკაც
და, მისი ამუშავების გამო, ქარხნის
საბრძმედღე ღუმელები იძლეოდნენ
გეგმით გათვალისწინებულზე ბევრად
მეტ პროდუქციას. რა თქმა უნდა, ეს
კმაყოფილებასა და სიხარულს იწვევ-
და მოსკოვში—მეურნეობის უმაღლეს
საბჭოს სამეტალურგო მრეწველობის
სამმართველოში. მალე ჩემი თავმჯდო-
მარეობით კერჩში გაიგზავნა მიმღები
კომისია, დავათვალიერეთ, შევაპოწ-
მეთ ყველაფერი; აღმოვაჩინეთ მნიშ-
ვნელოვანი დეფექტები და გადავწყვი-
ტეთ სააგლომერაციო ფაბრიკის შე-
ჩერება, რადგან ის მთლად დამთავ-
რებული არ იყო. თუჯის გამოდნობამ
ერთბაშად იკლო, ქარხანა ჩამორჩა.
მოსკოვში, შავი მეტალურგიის სამმარ-
თელოში შეშფოთდნენ, რა მოხდაო.
გაიწვიეს ქარხნის დირექტორი გლინ-
კა. არ ვიცი, რა სიტყვა იქ გლინკამ,
რით ახსნა ფაბრიკის შეჩერება, მაგრამ
როცა მე მოსკოვში დაბრუნდი და
სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბ-
ჭოში მივედი, საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარის სერგო ~~რეკონსტრუქციის~~
მდივანმა მითხრა, ვრიგოლ კონსტან-
ტინეს-ძე გიბარებთ სასწრაფოდ, თქვე-
თან დასძინა—ის თქვენზე ძალზე
გამწყრალოაო.

არ მესიამოვნა, დავლონდი. სერგოს
კაბინეტი იქვე იყო, გვერდით მოსასვე-
ნებელი ოთახი ჰქონდა (ხშირად მთელ
ღამეებს ათევდა სამსახურში, შინ ვერ
მიდიოდა და იქვე იძინებდა). შევედი
კაბინეტში, სერგო მომესალმა. მითხ-
რა—დაჯექი, მიაბზე ყველაფერი, რაც
კერჩში ნახე და გამოარკვიეო.

ხმა ვერ ამოვიღე. რომ იტყვიან კრი-
კა შეეკარო, ისე მომივიდა. სერგომ
შემატყო, რომ აღელვებული ვიყავი.
შევიდა თავის მოსასვენებელ ოთახში,
ვაშლებით სავსე ვაზა გამოიტანა და
მომაწოდა:

— აიღე, პირი გაისველეო!

შემდეგ დამამშვიდა: ალბათ, რაღაც
საწყენი გადმოგცეს ჩემი სახელითო.
აბა, ახლა მოჰყევი, რა მოხდა, რაშია
საქმეო!

მე დაწვრილებით მოვახსენე საქმის
ვითარება, იმის მიზეზი თუ რატომ
შევაჩერე ფაბრიკა. როცა სერგომ ჩე-
მი ნაამბობი მოისმინა, საშინლად აღ-
შფოთდა და მითხრა:

— ხვალ ჩემთან მოხვალთ შენც და
ქარხნის დირექტორი გლინკაც. რაც მე
მიაბზე, ყველაფერს გაიმეორებ გლინ-
კასთან.

მეორე დღეს ორივენი სერგოს კაბი-
ნეტში ვართ.

— აბა, დაიწყე! — სიტყვა სერგომ.

მეც გაიმეორე ზუსტად იგივე, რაც
წინა დღით სერგოს მოვახსენე.

თქვენ კი მოკლედ გადმოგცემთ ჩემს
მაშინდელ ნაამბობს,—მითხრა ნ. ვ. ქა-
შაიაშვილმა და განაგრძო:

— ფაბრიკა შევაჩერე შემდეგი მი-
ზეზით. კერჩის რკინის მადანი თიხანა-
რევი-აყალოიანია, იგი ეკვრება ბუნკე-
რის კედლებს და ძირს აღარ ჩადის.

მადანი რომ ძირს ჩაეშვას, ზევიდან დგუში უნდა აწვებოდეს, სააგლომერაციო ფაბრიკა აღჭურვილი უნდა ყოფილიყო საამისო მექანიზმებით, გლინკას არ გაეკეთებია ეს მოწყობილობა, ისე აგეშეშებია ფაბრიკა. ბუნეკრებში ჩალიოდნენ მუშები და ძელაყინების დარტყმით ძირს დენიდნენ მადანს. თან რომ არ ჩაპყლოდნენ, მუშები თოკით დაკიდული მუშაობდნენ, მაგრამ ზოგჯერ თოკი წყდებოდა და მუშები მარცხდებოდნენ. მოხდა რამდენიმე უბედური შემთხვევა. სწორედ ამის გამო შეეაჩერე ფაბრიკა. როცა ამ ამბავს ვეკებოდი, სერგო გზადაგზა მაჩერებდა და გლინკას ეკითხებოდა:

— მართალია? სწორია?

გლინკაც უდასტურებდა. მე დავამთავრე. სერგო სდუმდა, ვსდუმდით ჩვენც. მერე ისევ შეეკითხა გლინკას დაბალი ჩამწვდომი ხმით:

— ნუთუ მართალია?

გლინკამ თავი ჩაჰკიდა.

შემდეგ სერგო სკამიდან წამოხტა და მრისხანე მაღალი ხმით გლინკას მიმართა:

— ეშმაკსაც წაულია შენი გეგმა, შენი თუჯი, შენი ქარხანა, თუ ადამიანები დაიღუპებიან. მე მუშა მეგონე, ბოლშევიკი მეგონე, შენ კაცი არ ყოფილხარ!

ერთხანს ოთახში მიდი-მოდიოდა და შემდეგ აღელვებისაგან მოქანცული სკამზე დაეშვა.

— გლინკა? — ეკითხე მე ნიკოლოზ ვასილის-ძეს.

— ტიროდა. ცერისოდნენა კურცხლებს ჰყრიდა თვალებიდან ეს ვეება ვაჟაკი.

— სერგო, — განაგრძო ნ. ვ. ქაშაქაშვილმა, — ფიცხი, მაგრამ იმავე დროს ძალიან გულიანობიერი ადამიანი იყო. იცოდა გაყურომა, დასჯაც, მაგრამ თუ კაცი თავის შეცდომას, თავის და-

ნაშაულს ენერგიული მუშაობით გამოსწორებდა, მალევე მომტრებდა გულს. მახსოვს ასევე მუშების პერიოდიდან. დონბასის სამეტალურგო ქარხნების რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა. ძალიან მჭიმე დრო იყო, მომარაგება არ გვივარგოდა, გვაკლდა მუშა-ხელი. მუშა-ხელის სიმცირისა და საქარხნო მოწყობილობის მოუწოდებლობის გამო რეკონსტრუქცია კიანურდებოდა. ეს კი იწვევდა ქარხნების საექსპლოატაციო გეგმების შეუსრულებლობას. რაკი ჩვენ თავივერ გავართვით რეკონსტრუქციას, იძულებული შევიქვინით შეგვემცირებია საწარმოო გეგმები. ეს ვაცნობეთ მოსკოვს. სერგოს ძალიან გული მოსელოდა ჩვენზე. მდგომარეობის შესასწავლად გამოგზავნა სამეტალურგო მრეწველობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ფელენკოვსკი, მცოდნე და დაკვირვებული სპეციალისტი. იგი ვაეცნო მდგომარეობას და ვვითხრა, რომ კიდევ კარგად გივადეკაცებიათ, ასეთ პირობებში მეტის ვაკეთება შეუძლებელიცააო და, წარმოიდგინეთ, არა თუ ვაადიდა, უფრო შეამცირა ჩვენი გეგმები. როცა მოსკოვში დაბრუნდა და საქმის ვითარება სერგოს მოახსენა, სერგო სასტიკად განრისხე; ბულა, მოხსენების მოსმენისთანავე ვაუცია ბრძანება, სამსახურიდან მოხსენით მთავარი ინჟინერი ფელენკოვსკიო. მის მავივრად სხვა მიიწვია და თავათ ივისრა მდგომარეობის გამოსწორება დონბასის სამეტალურგო ქარხნებში.

სერგო დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. მაშინვე დაუკავშირდა ლენინგრადის, მოსკოვისა და ურალის იმ საწარმოებს, რომელნიც დონბასის ქარხნების სარეკონსტრუქციოდ შეიარაღებნასა და მოწყობილობას ამზადებდნენ. მოახდინა მუშაკთა ვალაგვუფება, შეარჩია ენერგიული მუშა-

კები მუშათა მომარაგების გასაუმჯობესებლად და თავათვე იყისრა ყოველდღიური მეთვალყურეობა საქმის მიმდინარეობაზე. ამ ღონისძიებათა ნაყოფიც მალე გამოჩნდა. ქარხნებმა მიიღეს მოწყობილობა, გაუმჯობესდა მომარაგება, გაიზარდა მუშახელის რაოდენობაც და საწარმოების რეკონსტრუქცია სწრაფი ტემპით წავიდა. მალე მომუშავე საწარმოთა მწყობრში ერთიმეორეზე ჩადგნენ ქარხნები, რომლებიც ადრინდელ გეგმებზე უკვე დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ თავიანთ დავალელებს. ეს მოხდა რაღაც ორ თვეში. სერგომ გვიჩვენა, თუ როგორი უნდა იყოს ოპერატიული მუშაობა, ნამდვილი საქმიანობის ხელმძღვანელობა. მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორებამ კარგ გუნებაზე დააყენა სერგო. ერთ დღეს იკითხა, სად არის ფელენკოვსკიო. უთხრეს, არსად არ მუშაობსო. სერგოს გულისწყრომას მისდამი უკვე გაეწილო. ფელენკოვსკი საერთოდ ენერგიული და თავდადებული მუშაკი იყო. ის შეეცდომა, რისთვისაც სერგომ იგი მოხსნა, გამონაკლისი იყო მის პრაქტიკაში, სერგო მას პატივსაცემად და, როგორც კი გაიგო მისი მძიმე მდგომარეობა, იმ დღესვე დაიბარა, გაეხუმრა, ასე გეკადრებოდაო, შემდეგ დაუყვავა და გასცა განკარგულება, რომ ფელენკოვსკისა და მისი ოჯახისათვის შეეძინათ ორი თვის საგზური აგარაკზე. როგორც კი ფელენკოვსკი აგარაკიდან დაბრუნდა, სერგომ კვლავ დაიბარა იგი და ერთ-ერთი დიდი სამეტალურგო ქარხნის დირექტორად გაგზავნა.

სერგო ორჯონიკიძე საოცრად მიმზიდველი იყო, როგორც ხელმძღვანელი და როგორც ადამიანი. ერთხელ სამეტალურგო მრეწველობის სამმართველოში მგლინავთა თათბირი იყო. მოწვეულნი იყვნენ მთელი საბჭოთა

კავშირის სამეტალურგო ქარხნების საგლინი საამქროების მენეჯერები და ობერ-ოსტატები. მე პირველი იყავი ბირზე მიწვეული არ ვიყავი, მაგრამ ორ-სამ სხდომას მაინც დავესწარი. რამდენიმე დღეს თათბირის მონაწილენი საფუძვლიანად და ინტენსიურად მუშაობდნენ. სხდომები, მგონი, ერთ კვირაზე მეტს გაგრძელდა. თათბირის დახურვის წინ ზოგიერთებს დაევალით გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით ღონისძიებათა დამუშავება, რასაც რამდენიმე დღე დასჭირდებოდა. მეორე დღეს სერგო ორჯონიკიძის მდივანი იბარებს თათბირის მონაწილეებს, ახლავე სასწრაფოდ უნდა წახვიდეთ კომისართან აგარაკზე, მანქანები უკვე ჩამოყენებულიაო. ეს ისეთი ტონით იყო ნათქვამი, რომ კაცი იფიქრებდა, რომ სერგო ორჯონიკიძე მათ უხმობდა მეტად სერიოზულ საქმეზე. ბევრს ეგონა, კომისარი მათ მოსთხოვდა უკვე დამუშავებულ ღონისძიებათა წარდგენას და რაკი უმრავლესობას ეს დავალება შესრულებული არა ჰქონდა, ცოტა არ იყოს, ცუდ გუნებაზე დადგნენ. მაგრამ როგორც კი აგარაკზე მივედით და ჩვენსკენ მომავალი სერგო დავინახეთ, ასეთი ეჭვები უმაღვე გაიფანტა:

— მობრძანდით, მობრძანდით, დღეს თქვენ ჩემი სტუმრები ხართ!— ამ სიტყვებით შეგვიძღვა სერგო თავის სააგარაკო ბინაში.

— ამ დღეებში თქვენ ნაყოფიერად იმუშავეთ, დღეს ცოტა გავეროთ;— და სერგომ სტუმრები უკვე გაშლილ სუფრაზე მიიბატივა.

სერგო ორჯონიკიძე არა თუ ასეთ ვითარებაში, საქმიან თათბირებსა და სხდომებზედაც კი ჰქმნიდა გულითალობისა და ინტიმური სიახლოვის ატმოსფეროს. მით უფრო ეხლა იგი საუბრობდა მხდარულად, ამავე დროს

უბრალოდ, ტემპერამენტით: ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი თანამესაუბრე, ყველას მიმართ პოულობდა ისეთ ტონს, რომ თვით ძალზე გულჩათხრობილ და სიტყვაძვირ ადამიანსაც კი წაათამამებდა და გულწრფელად აალაპარაკებდა. საქმიან თათბირზე სერგო ყოველთვის სთხოვდა ამხანაგებს, ელაპარაკათ ნათლად. გარკვევით, მიუკიბ-მოუკიბავად, ხოლო, თუ ვისმეს შეამჩნევდა, რომ დიპლომატობს, კითხვაზე პირდაპირ და გარკვეულ პასუხს არ იძლევა, ასეთის მიმართ სერგო ხდებოდა უღმობელი, არ ზოგავდა მას თავისი შესანიშნავი სარკაზმით. იმ დღეს სუფრაზე სერგო იყო იშვიათი, პირდაპირ მომხიბლავი მასპინძელი. ყველა თავისი სტუმარის ამბავი მან ჩინებულად იცოდა, ჰყვებოდა ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან, ჰყვებოდა მეტად ხალისიანი უწყინარი იუმორით.—მიხაილ ივანიჩი კარგი ძიაა, ზოგჯერ ფუჭი დაპირებების რეკორდებს რომ არ ამყარებდეს,—იხუმრა სერგომ იქ მყოფ ერთ-ერთ სტუმარზე. ყველას გაეცინა, მე კი არ ვიცოდი, თუ რატომ გადაჰქრა მას სერგომ. ჩემს გვერდზე მჯდარმა ინჟინერმა ამიხსნა, რაში იყო საქმე. ერთხელ ამ მიხვილ ივანეს-ძეს მართლა მოუცია თავის საწარმოში მალალი მაჩვენებელი, ხოლო თათბირზე, რომელსაც სერგო ესწრებოდა, წინადადება შეუტანია მისი მაჩვენებელი მიელოთნორმად ყველა ბრძმედებისათვის.

— თქვენ თვითონ შესძლებთ შეინარჩუნოთ ეს მაჩვენებელი, ისე რომ საბრძმედე ლუმელებს ზიანი არ მოუვიდეთ? — უკითხავს სერგოს.

— რასაკვირველია, შევსძლებთ, — ყოფილა მიხვილ ივანიჩის პასუხი.

— რაკი ასეა, ჩაიფიქროთ და მივიდეთ მხედველობაში,—გახარებია სერგოს, მაგრამ არ გასულა ერთი წუთიც კი, მიხვილ ივანეს-ძე ისე გათა-

მამებულა, რომ დაუწყია ^{სერგოს} ღარწმუნება, ერთ კვირამდე ^{სერგოს} ორჯერ ამაზე მეტჯიმამეცხმეცხმე მოცემასო.

აქ სერგოს უკვე ვეღარ მოუთმენია და უთქვამს: ძვირფასო მიხვილ ივანიჩ, ჩვენ აქ შევიკრიბეთ არა ფოკუსებისთვის, არამედ სამუშაოდ!

სუფრაზე სერგო რა თქმა უნდა, თავს იკავებდა ასეთი გამანადგურებელი სარკასტული შენიშვნებისაგან, თუმცა შიგა და შიგ მინც გაურევდა მოსწრებულ ხუმრობას, რომელიც იუმორისტული სახით წარმოგვიდგენდა ნიშანში ამოღებულ პიროვნებას. სერგოს იუმორს სტუმრებიც იუმორით ეხმარებოდნენ და ასეთ საერთო მხიარულებაში მიდიოდა დრო შეუმჩნევლად. მასპინძელს ერთი რამ არ დარჩა შეუმჩნეველი: ბოთლები უკვე სულ დაცლილიყო. სერგო დაფაცურდა, გავიდა იქვე მეორე ოთახში და თავით შემოიტანა რამდენიმე ბოთლი კონიაკი. მოუწყინარი, მხიარული საუბარი გრძელდებოდა. სერგომ იმთავითვე გაგვაფრთხილა, რომ სუფრაზე დავგვეწვენება, ესე იგი, მოვრიდებოდით საქმიან მსჯელობას, მაგრამ ამას ვერც თვითონ ახერხებდა, ვერც ჩვენ. სწორად საუბარი გადადიოდა ძალიან მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ-სამეურნეო საკითხებზე. ხანდახან იგი ცხარე კამათის ხასიათსაც ღებულობდა. ამასობაში ბოთლები ისევე დაცარიელდა, გულუხვი მასპინძელის სურვილი კი იყო სუფრა კვლავ გაგრძელებულიყო:

— მართალია ჩემი რესურსები ამოიწურა, მაგრამ აგერ მაზლობლად კეთილი მეზობელი მყავს,—სთქვა სერგომ,—ამხ. ანასტასი მიქოიანი მასესხებს რამდენიმე ბოთლს კონიაკს.—ეს საქმე მან ზინაიდა ნიკოლაევენას დაავალა. რამდენიმე წუთში გაცილილი ბოთლები სავსე ბოთლებმა შესცვა-

ლეს. დიდიხანი არ გასულა, რომ ისინიც დაცალიერდნენ.

— ახლა კი ველარ დაგატანთ ძალას დარჩეთ მშრალ სუფრაზე, — იხუმრა სერგომ, — მაგრამ რა ვქნა? ამოწურულია არა მარტო ჩემი, არამედ ჩემზე მდიდარი მეზობლის, ამხანაგ მიქოიანის რესურსებიცო!

ერთხანს ჩვენ კიდევ დავრჩით სერგოსთან და ვესაუბრეთ მანამდის, სანამ თავი არ მოვაწყინეთ. საღამო ეამს დავემშვიდობეთ და მოსკოვის დაგბრუნდით ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელის დიდი აღაშინაობით აღტაცებულნი და გამხნეებულნი.

— დიდი კაცი იყო, დიდი, სერგო ორჯონიკიძე, — სთქვა მცირეოდენი პაუზის შემდეგ ნიკოლოზ ვასილისძემ. — სტალინის ღირსეული თანამებრძოლი, ჩვენი მძიმე მრეწველობის სტლის ჩამდგმელი სერგო, იმავე დროს ჩვენი აღმზრდელი და ჩვენი მეგობარი იყო.

მე მადლობა გადაუხადე ნ. ვ. ქაშაკაშვილს ამ მეტად საინტერესო საუბრისათვის და მისი კაბინეტიდან გამოვედი ისეთივე განწყობილებით, რა განწყობილებითაც, ალბათ, შინ ბრუნდებოდნენ სერგოსთან სტუმრად ნამყოფი ინჟინერები.



ის იყო კაბინეტის კარი გამოვიხუტე, დერეფანში თვალი მოვკარი სამეტალურგო ქარხნის სამმართველოს პასუხისმგებელ თანამშრომელს, ჩემს ძველ ნაცნობსა და მეგობარს — სევერიან ჭიჭინაძეს. რუსთავში ის პირველად ვნახე მუშა ახალგაზრდობის იმ მიტინგზე, ვანის კომკავშირული დეღვაკის ჩამოსვლის გამო რომ გაიმართა მექანიკურ საამქროში. სევერიანმა ძალიან ცოცხალი, აზრიანი და აღმგზნები სიტყვა წარმოსთქვა, ყველა ორატორს აჯობა. მაშინ მინდოდა

მასთან გამოლაპარაკება, მაგრამ ვერ შევიმჩინე, ისე წავიდა, ახლა ძალიან გამეხარდა მასთან შეხვედრა, ჩემთვის ჭიჭინაძე ჩემი კუთხიდანაა, ვიცნობ ყრმობიდან. მუდამ მოძრავი, ფიზიკური, ხალისიანი იყო თავიდანვე, ასეთივე დარჩა დღემდე. ახალგაზრდობაში ლექსებსა სწერდა, პატარა წიგნიც კი გამოსცა. ჩვენ — მისი ამხანაგები ვაჯავრებდით ხოლმე ამ ლექსებისათვის, განსაკუთრებით ყბად აღებული გეჰონდა ამ პატარა კრებულის უკანასკნელი ლექსი, რომელიც ასე თავდებოდა:

დავრჩები თქვენი ყოველივე კარგის
მსურველი და მდომელი
სევერიან ჭიჭინაძე — ხმშელი.

სევერიანმა აღრევე მიატოვა ლექსების წერა, სპეციალური ცოდნა შეიძინა. ყველა დაწესებულება, სადაც კი ის მსახურობდა, მას ძალიან აფასებდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ენამჭევრია, სიტყვის თქმა ემარჯება და როცა საჯარო გამოსვლაა საჭირო, ყოველთვის გაჭირვების ტალკვად ევლინება თავის დაწესებულებას. ახლა სევერიანს ძალიან არ სიამოვნებს, სიყმაწვილის ცოდვებს რომ ვავახსენებ ხოლმე, მაგრამ რას იზამ, მე სამაგიეროს ვუხდი მწერლების მიმართ იმ სამღურავისათვის, რაც ჩემთან შეხედრის დროს გამოთქვა. სევერიან ემღურის მწერლებს, ზოგს იმის გამო, რატომ ჩემსავით აღრე არ მიატოვეს წერაო, ხოლო ზოგს კიდევ იმის გამო, რომ ზშირად არ სწერენ იმას, რაც საჭიროაო.

— ხედავთ, რა ამბავი ხდება აქა, რუსთავში? ამის ბადალი რამე ახსოვს ჩვენს ისტორიას? — შემეკითხა მწყურაულ სევერიანი.

— ვხედავ, სევერიან, როგორ არ ვხედავ!

— მერე სადა ხარა?

— აქა ვარ, სევერიან, აქ, რუსთავში!

— აქ თუ ხართ, არ უნდა დაინტერესდეთ ვინ ჰქმნის, რა ხალხი აშენებს იმას, რასაც დიდმა ლენინმა თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველი, ხოლო დიდმა სტალინმა სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველი უწოდა?

— დაინტერესდი, სევერიან, დაინტერესდი! აი ახლა ვიყავი ინჟინერი ნ. ვ. ქაშაიაშვილთან, დიდხანს ვესაუბრე ქარხანასა და მის მშენებლებზე.

— ეს კარგია, — ცოტა მოკლეა სევერიანი, — მაგრამ ქაშაიაშვილი თვით არის ქარხნის ერთ-ერთი მშენებელი და ხელმძღვანელი. თავის თავზე ის არაფერს ვერცხობდა!

— მითხრა, მაგრამ ძალიან ძუნწად. დაწერილებით ავერ შენა ხარ და შენ მომიყევი იმის ამბები.

— შენ რომ ვარჯობდე, — არ მზოგავდა სევერიანი, — ჩემი დახმარება არ დაგჭირდებოდა. აი იმ მაგიდაზე, ქაშაიაშვილი რომ უზის, რამდენიმე საინტერესო წიგნი ძევს, მათ შორის არის რუსეთის მეტალურგთა პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გადაგეფურცლა ის და ამოიკითხავდი, ვინ არის ნ. ვ. ქაშაიაშვილი.

— შენ ვერ მეტყვი?

— აი ის ანგარიში რომ ზერელებ მანც გადაგეთვალაიერებია, შენს ყურადღებას მიიქცევდა ის ფაქტი, რომ ამ ყრილობის ყველა სხდომა ჩატარებულია ინჟინერ ქაშაიაშვილის თავმჯდომარეობით. ეს შენ არაფერს გეუბნება?

— აბა რა საკითხავია! — ვუთხარი მე, — ალბათ, ამ კაცმა თავისი საქმით, თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით დაიმსახურა ისეთი პატივი, როგორცაა მეტალურგთა პირველი ყრილობის თავმჯდომარეობა.

— მაგრამ ეს ფაქტი, — განაგრძო სევერიანი — ახლა საფუძვლით სერიო-

ზულად, — შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს იმაზე, *ტყვემცენარე* — ლო წაგეციოთა ამ წიგნში. საქმის სხვაობებზე. ნ. ვ. ქაშაიაშვილის მოხსენება. მას, როგორც ამ საქმის სპეციალისტს, შავი მეტალურგიის პრაქტიკოსსა და თეორეტიკოსს, ყველაზე პირველად რუს მეტალურგებს შორის, დიდი ბელადის მითითების შესაბამისად, დამუშავებული აქვს მაგნიტოგორსკისა და შუა ურალში სამეტალურგო ქარხნების აგების საკითხი, ასე რომ, ჩემის აზრით, შავი მეტალურგიის გიგანტთა გიგანტის, მაგნიტოგორსკის ქარხნის ერთ-ერთ პიონერად შეიძლება ნ. ვ. ქაშაიაშვილიც ჩაითვალოს.

შემდეგ ამხანაგმა სევერიანმა მიამბო ნ. ვ. ქაშაიაშვილის მოღვაწეობის სხვა ფაქტებიც.

ნ. ვ. ქაშაიაშვილი პროფ. ი. ა. სოკოლოვთან ერთად ყოფილა ინიციატორი და ავტორი ისეთი სიახლისა მეტალურგიაში, როგორცაა ციმბირის ნელდ ქვანახშირზე თუჯის საბრძმელო გამოდნობა, რამაც შემდეგში თუჯის საწარმოების ნაყოფიერება ურალში 25 პროცენტით გააძიდა. ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე ნ. ვ. ქაშაიაშვილის როლი სამოკალაქო ომის შემდეგ ურალის სამეტალურგო ქარხნების აღდგენასა, დონბასის სამეტალურგო ქარხნების რეკონსტრუქციასა და ახალ მშენებლობაში.

— იცოდი შენ აქამდე, რომ ასე ხანგრძლივად და ასე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ნ. ვ. ქაშაიაშვილი? — შემეკითხა სევერიანი.

— მართალი ვითხრა, არ ვიცოდი!

— ნ. ვ. ქაშაიაშვილის ნიქსა და ცოდნას თუ ასე ფართო სარბიელი მიეცა, — სთქვა სევერიანმა, — ეს მხოლოდ და მხოლოდ სამუქოთა წყობილებით აიხსნება. რა მოუვიდოდა ნიკოლოზ ვასილის-ძეს, რომ ლენინ-

სტალინის იდეებს არ გაემარჯვა, დიდი ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო?

— იგი იქნებოდა ერთი სპეციალისტი, მაგრამ ხალხის ინტერესებს დაშორებული, — ჩამოვართვი სიტყვა სევერიანს. — ქაშაკაშვილი დაკარგული იქნებოდა საქართველოსათვისაც, რომელიც სხვა ვითარებაში პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო კოლონიური კუთხის ბედს ვერ აიცილებდა. ქაშაკაშვილი დარჩებოდა უცხო კონცენსიონერების მსახურად, რომელზედაც ყოველი პატრიოტი ქართველი მხოლოდ ამას იტყვოდა:

მითხარ ვისთვის შენ კასკაობ,
ვისთვის ანენ სიმარდესა?

— სწორია, — მითხრა სევერიანმა, — ეს იქნებოდა მისი უიღბლობა. ამ უბედობას ნ. ვ. ქაშაკაშვილი, როგორც ხალხის შვილი და როგორც ქართველი, გადაარჩინა საბჭოთა წყობილებაში. ხალხისთვის საჭირო და სასარგებლო მოღვაწედ იგი აქცია ჩვენმა სინამდვილემ.

— იცი, სევერიან, ინჟინერ ქაშაკაშვილის ბედი მე კოტე მარჯანიშვილის ბედს მაგონებს. ამ დიდი ხელოვანის ტალანტიც, რომელიც უმაღლეს ხელოვნებას რუსეთში ეზიარა, რომელმაც თავათაც შეუწყო ხელი რუსული თეატრალური კულტურის ამადლებას, დაკარგული იქნებოდა საქართველოსთვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა!

— შენ გინდა სთქვა, რომ ასევე რუსეთში სამეტალურგო კულტურით და დიდი პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილ ქაშაკაშვილსაც საბჭოთა მთავრობამ შესაძლებლობა მისცა საქართველოსთვის ისეთივე დიდი საქმე გააკეთოს, რაც თავის დარგში გააკეთა კოტე მარჯანიშვილმა! ეს ანალოგია სწორია! მაგრამ არის განსხვავება! კოტე მარჯანიშვილის ცხოვრება-

სა და შემოქმედებას ყველა იცნობს, ქაშაკაშვილისა კი — არც ერთი. ეს კაცმაც კი, როგორც მარჯანიშვილს, შენა ხარ. რატომ უნდა ხდებოდეს ასე! ამაში თქვენ მიგიძღვით ბრალი — მწერლებსა და ჟურნალისტებს! ორიოდე კარგად დაწერილი ლექსის ავტორზე შენ ვებრთეღა წერილს გასქიმავე გაზეთის ფურცლებზე ხოლმე, უამრავი ქარხნების ასეთი მშენებელი კი მხედველობიდან გეპარება! სწორად და სამართლიანად მივაჩნია შენ ეს?

— ეს ჩემს დანაშაულად მიმაჩნია, ჩემო სევერიან! ვეცდები ეს შენი გულისწყრომა ჩემს ამხანაგებსაც გადაეცემა. მე თუ ვერ შეეძლება, ისინი მაინც შესძლებენ ისეთი ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა, როგორც არის ქაშაკაშვილი, გააცნონ ყველა ქართველ და არაქართველ საბჭოთა მოქალაქეს. ჯერჯერობით კი ჩემს ვალს იმით მოვიხდი, რომ მკითხველებს მოკლედ გაეუზიარებ ნ. ვ. ქაშაკაშვილის ცხოვრების ქრონიკას.



ნ. ქაშაკაშვილის მეტალურგობა ჯერ კიდევ სკოლის მერხზე განუზრახავს. ახალგაზრდა ოცნებობდა საქართველოს მადნების აღმოჩენასა და ლითონად გადაამუშავებაზე. მის ღარიბ მშობლებს სახსარი არ ჰქონდათ გაეზახენათ იგი უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. საშუალო სკოლა (ქუთაისის რეალური სასწავლებელი) მან დაამთავრა თავისი ნათესავის, ცნობილი პედაგოგის ლაზარე მიხეილის-ძე ხმალიძის ნიეთიერი ხელისშეწყობით. 1908 წელს ნ. ქაშაკაშვილი გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეტალურგო ფაკულტეტზე; ამაღედა კერძო გაკვეთილებს (თავი რომ შეენახა) და თან

სწავლობდა. ნიჭითა და ბეჯითი მეცადინეობით მალე მიიქცია ინსტიტუტის პროფესორთა — იმ დროს გამოჩენილ. მეტალურგთა — ყურადღება; მისი მასწავლებლები იყვნენ ამჟამად ცოცხალი კორიფეი რუსული მეტალურგიისა — აკადემიკოსი მიხეილ ალექსანდრეს-ძე პავლოვი, პროფ. ვ. ე. გრუმ-გრატიშვილი და ა. ა. ბაიკოვი. იშვიათ გულისხმიერებას სტუდენტ ქაშაქაშვილისადმი იჩენდა აკად. მ. ა. პავლოვი, რომელიც ეხმარებოდა მას როგორც აკადემიური მეცადინეობის დროს, ისე შემდგომ პრაქტიკულ საინჟინერო მუშაობაში. საზაფხულო არდადეგებზე ნ. ქაშაქაშვილი თავის პროფესორებთან ერთად მოგზაურობდა და ეცნობოდა ურალისა და სამხრეთ-რუსეთის სამეტალურგო ქარხნებს. 1912 წელს ის, როგორც ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტი, ინსტიტუტის ხარჯზე, სხვებთან ერთად, გაიგზავნა გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის ქარხნების დასათვალიერებლად. მან გაიარა აგრეთვე ორი საზაფხულო პრაქტიკუმი, ერთი 1909 წელს იფორის ქარხანაში და მეორე — 1911 წელს მაკეევკის ქარხანაში, რომელიც მაშინ ფრანგულ სააქციო საზოგადოებას ეკუთვნოდა. ეს უკანასკნელი პრაქტიკუმი ხანგრძლივი იყო, ოთხ თვეანხევარს გაგრძელდა. პირველად პრაქტიკუმი, გაიარა სამარტენო საამქროში, ხოლო შემდეგ — სამბრმელო საამქროში, სადაც იმ დროს ოსტატად მუშაობდა ი. გ. კორობოვი, დღევანდელი ჩვენი მსოფიანი მეტალურგი-პრაქტიკოსი, რომელიც ამჟამად შეფობას უწევს რუსთავის სამეტალურგო ქარხნის მშენებლობას.

პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა 1913 წელს იანვარში, დაიცვა სადიპლომო შრომა სამარტენო წარმოების შესახებ, ხოლო ამ წლიდან მოყოლებული მთელი 13 წლის განმავ-

ლობაში მუშაობდა ურალის ქარხნების ლაბორატორიებში (ამჟამად მსხვერპლი საამქროებში).
 ბიბლიოგრაფია

ადვილი როდი იყო მაშინ რუსი ინჟინერისათვის სამუშაოს შოვნა რუსეთის სამეტალურგო ქარხნებში, მით უფრო, იმ ინჟინერისათვის, რომელიც გამოსული იყო ახლად დაარსებული უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლიდან (პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაარსდა 1902 წელს). მაშინ სამეტალურგო ქარხნების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა საზღვარგარეთულ სააქციო საზოგადოებათ. ამ ქარხნებში ძნელი იყო სამუშაოს შოვნა განსაკუთრებით არარუსული წარმომობის რუსი ინჟინერისათვის! რომელიმე დიდი პირის პროტექციის იმედს ახალგაზრდა ინჟინერი ნ. ქაშაქაშვილი ვერ იქონიებდა. ერთადერთი, რისი იმედიც მას შეეძლო პქონოდა, — იყო მისი დაუცხრომელი მისწრაფება ესწავლა და ემუშავა. ეს კარგად იცოდა მ. ა. პავლოვმა და სწორედ იგი გამოვიდა მის ქომაგად. მან გადაქრით ურჩია ურალის გორბლაგდატის სამთო-საქარხნო ოლქს (ურალში) მიეღო ქაშაქაშვილი სამუშაოზე ერთ რომელსამე ქარხანაში (ოლქის განკარგულებაში ხუთი სამეტალურგო ქარხანა იყო). ამ რეკომენდაციამ გასჭრა — 1913 წელს ნ. ქაშაქაშვილი დანიშნეს ამ ოლქის ცენტრალური სამთო-საქარხნო ლაბორატორიის გამგედ და კუეშინსკის ქარხნის მეტალურგად. იქ დაახლოვებით ერთ წელს დაყო. მერე ოლქის ადმინისტრაციამ იგი წამოსწია მეზობლად მდებარე ბარანჩინსკის ქარხნის სამბრმელო და საჩაჩომსხმელო საამქროების გამგის თანამდებობაზე. აქ მისი მუშაობა გაგრძელდა 1920 წლამდე. განსაკუთრებით ინტენსიური შეიქნა ნ. ქაშაქაშვილის მუშაობა მას შემდეგ, რაც სამქოთა მთავრობამ ქარხნების ნაციონალიზა-

ცია მოახდინა. სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე ნ. ქაშაკაშვილი გაიგზავნა ნიკოლაევის ნაციონალიზირებული სამეტალურგო ქარხნების აღსადგენად ანგარის რაიონში, სადაც იგი 1922 წლამდე მუშაობდა. როგორც კი ეს დავალება შესრულა და ურალის სამეტალურგო ქარხნების აღდგენა დაიწყო, ნ. ქაშაკაშვილი გაიგზავნა ურალის სახალხო მეტურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში. საბჭოს პრეზიდიუმმა იგი ურალის მთავარ მეტალურგად დანიშნა. ამ თანამდებობაზე იყო 1927 წლამდე, ესე იგი, მანამდე, ვიდრე არ დამთავრდა ურალის სამეტალურგო მრეწველობის რეორგანიზაცია. ეს წლები გაცხოველებული მუშაობის პერიოდი იყო ქაშაკაშვილის მოღვაწეობაში. იმ დროს ურალის სამეტალურგო მრეწველობის მუშაეებს დაძაბული მუშაობა უხდებოდათ არა მარტო ქარხნების აღსადგენად, არამედ იმისათვისაც, რომ შეექმნათ ურალის მეტალურგიის მუშაობის ახალი საფუძვლები, ესე იგი, მოეზიდათ ურალში ციმბირის მინერალური საწვავი, აეგოთ, პირველყოფისა, მინერალურ საწვავზე მომუშავე ახალი საბრძმედე ლუმელები, ხოლო შემდეგ მალალ წარმოების კოქსზე მომუშავე ახალი სამეტალურგო ქარხნები. ამ დიდმა მიზანდასახულობამ, რომელიც პირველად წამოაყენა დიდმა სტალინმა და რომელიც ითვალისწინებდა მეორე ქვანახშირ-სამეტალურგო ბაზის შექმნას აღმოსავლეთში, მთელი არსებით გაიტაცა ნ. ქაშაკაშვილი. ჯერ კიდევ 1925 წელს მისი უახლოესი მოწაწილეობით, პირველად რუსული მეტალურგიის ისტორიაში, შეიკრიბა საბრძმედე წარმოების ურალელ მოღვაწეთა პირველი ყრილობა. მის მუშაობაში, გარდა ურალის მეტალურგთა, მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა რუსმა სწავ-

ლულმა მეტალურგებმა მ. ა. პაქლოვმა, ი. ა. სოკოლოვმა, ვ. ნ. ლიპინმა და სხვ. ყრილობამ განიხილა მინერალურ წარმოების საარსებო-საწარმოო ტო საკითხები და ურალის მეტალურგიის განვითარების პერსპექტივები. საბრძმედე წარმოების შესახებ პროფ. მ. ა. სოკოლოვის მოხსენების გარდა, ყრილობამ მოისმინა ნ. ე. ქაშაკაშვილის მოხსენება ურალის მეტალურგიის განვითარების პერსპექტივებზე. ნ. ქაშაკაშვილმა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის მიზანდასახულობის შესახამისად წამოაყენა და დაასაბუთა საკითხი ახალი სამეტალურგო ქარხნების — მაგნიტოგორსკის და შუა ურალის (ახლანდელი ნოვოტაგილის) ქარხნების აგების შესახებ.

მთელი ყრილობა, რომელიც იშვიათი ენტუზიაზმით დაიწყო და დამთავრდა, მიმდინარეობდა ნ. ე. ქაშაკაშვილის თავმჯდომარეობით.

1924 წელს ურალში ჩატარდა პირველი ცდები არსებულ ლუმელებში ჯერ ციმბირის კოქსზე, ხოლო შემდეგ ციმბირის ნედლ ქვანახშირზე ე. წ. ფენა „მოშნის“ ნედლ ქვანახშირზე საბრძმედო დნობის შემოსაღებად. ამ ახალი საბრძმედე დნობის დანერგვა ხდებოდა ნ. ქაშაკაშვილის და პროფ. ი. ა. სოკოლოვის მიერ დამუშავებული გეგმებით. ნედლ ქვანახშირზე ამ ახალმა საბრძმედე დნობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო და კიდევ დამკვიდრდა პრაქტიკაში. ამ ახალი დნობის შემოღებით ურალის მეტალურგიამ შემდეგ 25 პროცენტით გააძლია თუჯის გამოდნობა.

ურალში ახალი სამეტალურგო ქარხნის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა ძველი მოქმედი ქარხნების რეკონსტრუქცია, რაც ახალ მოწყობილობას მოითხოვდა. მაშინ საბჭოთა მანქანათმშენებლობა იმდენად ფეხმავარებული და განვითარებული არ

იყო, რომ მას თავისი პროდუქციით ახალი და რეკონსტრუირებული ქარხნების საჭიროება დაეკმაყოფილებია. საბჭოთა მთავრობა მოწყობილობას მაშინ საზღვარგარეთ იძენდა. სწორედ ამ მიზნით მთავრობამ ნ. ქაშაკაშვილი, როგორც ურალის მთავარი მეტალურგი და მთავრობის სამეტალურგო კომისიის წევრი, ხანგრძლივი დროით მიაგლინა გერმანიასა, ჩეხოსლოვაკიასა, ავსტრიასა და შვეიციაში. მას დავალებული ჰქონდა შეესწავლა ამ ქვეყნების სამეტალურგო წარმოება. საზღვარგარეთიდან იგი დაბრუნდა 1927 წელს. სწორედ ამ ხანებში ურალში ჩამოყალიბდა გაერთიანებული სამთო-სამეტალურგო ტრესტი „ურალმეტი“. ამ ტრესტის მთავარ ინჟინრად დაინიშნა ნ. ქაშაკაშვილი. იმავე ხანებში დაიწყო მაგნიტოგორსკის გიგანტის პროექტების შედგენა, აგრეთვე არსებულ ქარხნებთან ახალ წარმოებათა (ელექტროტექნიკური ლითონის, დაუქანგავი და სპეციალური ფოლადების, თუნუქის, მადნების აგლომერაციის) ორგანიზაცია.

მაგნიტოგორსკის სამეტალურგო ქარხნის დაპროექტებისას და ცენტრის მიერ ამ პროექტის დამტკიცებისას ურალელი მეტალურგები წააწყდნენ სამხრეთის მეტალურგიის მაშინდელ მოღვაწეთა დიდი ნაწილის სასტიკ ოპოზიციას, რომელსაც მეთაურობდა პროფესორი ეკონომისტი დიამანსტეინი. ოპოზიციას ეკონომიური თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნდა მაგნიტოგორსკის ახლად დაპროექტებული ქარხნის მუშაობა ციმბირიდან (1400 კილომეტრით დაშორებული ადგილიდან) მოტანილ ქვანახშირზე. ეს ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ მაგნიტოგორსკის დასაცავად, სხვებთან ერთად, გადიტანა ნ. ქაშაკაშვილმაც. მალე აშკარა გახდა მაგნიტოგორსკის წინააღმდეგ მებრძოლ მეტალურგთა

სიბეცე, — ცხოვრებამ გააცამტვერა მათი მოსაზრებანი.

1929 წელს ნ. ქაშაკაშვილი დაინიშნა ურალის სამეტალურგო გაერთიანების „ურალმეტის“ ტექნიკურ დირექტორად და გამგეობის წევრად. ამ თანამდებობაზე მისი ყოფნის დროს ჩქარი ტემპით განხორციელდა ურალის სამეტალურგო ქარხნების რეკონსტრუქცია და დაიწყო საბჭოთა მოწინავე მეტალურგიის პირშმოს — მაგნიტოგორსკის ქარხნის მშენებლობა. იმავე ხანებში, როცა მთავრობის გადაწყვეტილებით, სამხრეთში ძველი სამეტალურგო ქარხნების სარეკონსტრუქციოდ მუშაობა გაჩაღდა, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სერგო ორჯონიკიძის ბრძანებით ნ. ვ. ქაშაკაშვილი 1931 წელს დაინიშნა სამხრეთის სამეტალურგო ქარხნების გაერთიანების „სტალის“ მთავარ ინჟინრად. ამ თანამდებობაზე მისი ყოფნის დროს მოხდა დიდი ცვლილება სამხრეთის მეტალურგიაში — ძირეული გარდაქმნის შედეგად წარმოიშენენ სამეტალურგო გიგანტები — მაკეევკის და ძერჟინსკის სახელობის ქარხნები, აშენდნენ დიდი ნაყოფიერების უახლესი საბრძმედეღე მუშელები, მაკეევკის, ვოროშილოვის სახელობის და ძერჟინსკის სახელობის ქარხნები, გაჩნდნენ პირველად საბჭოთა კავშირში — კერჩის, მაკეევკის, ძერჟინსკის სახელობის ქარხნების ახალი სააგლომერაციო ფაბრიკები შეუწყვეტილი ამერიკული საცხოობი ლენტებით. მთელ ამ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მეთაურობდა ნ. ქაშაკაშვილი, როგორც ტრესტის „სტალის“ მთავარი ინჟინერი. იმავე ხანებში, მშ. სერგო ორჯონიკიძის განკარგულებით, ნ. ქაშაკაშვილი ხანგრძლივი დროით მივლინებული იყო ჯერ კერჩის და ძერჟინსკის ქარხნებში, სადაც იგი



ბელმძღვანელობდა საავტომობილო ფაბრიკების აგებას, ზოლო შემდეგ ვოროშილოვისკის ქარხანაში, სადაც მისი ბელმძღვანელობით შენდებოდა ახალი საბრძმდე ლემელი № 2 ბის. შემდეგომში ნ. ქაშაკაშვილი დაინიშნა ამ წარმოებათა მიმღები კომისიის თავმჯდომარედ.

1936 წელს მოხდა სამხრეთის მეტალურგიის სამმართველოს რეორგანიზაცია და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსდა სამეტალურგო ქარხნების ცენტრალური სამმართველო. ნ. ვ. ქაშაკაშვილმა არჩია სამხრეთის ქარხნებში სამუშაოდ დარჩენა. ის დაინიშნა დონბასში ახლადდაწყებული სამეტალურგო ქარხნის „ვოროშილოვისტროის“ მთავარ ინჟინრად (ახალი ქარხანა შენდებოდა ძველი ქარხნის გვერდით). აქ მან დაჰყო 1938 წლამდე და როცა დროებით ეს მშენებლობა შეჩერდა. ნ. ვ. ქაშაკაშვილი გაგზავნეს ნიკოპოლში სამეტალურგო ქარხნის მშენებლობის მთავარ ინჟინრად. იქ იგი დარჩა 1940 წლამდე, მანამდე, ვიდრე მშენებლობა დამთავრდა, ზოლო შემდეგ გადავიდა ხარკოვში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა. ამ დროიდან ნ. ქაშაკაშვილს სხვა სამსახური არ დაუწყია. რადგან გადაწყვეტილი იყო მისი მოწვევა ამიერკავკასიის სამეტალურგო ქარხნის მთავარ ინჟინრად; მხოლოდ მოკლე დროით, შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის წინადადებით, იგი მონაწილეობას ღებულობდა, როგორც მთავარი ინჟინერი, არასამადნო მრეწველობის რეკონსტრუქციაში.

1941 წელს დეკემბერში ნ. ვ. ქაშაკაშვილი სამუშაოდ გადმოყვანილ იქნა საქართველოში, სადაც მას დააკისრეს რუსთავის სამეტალურგო ქარხნის მთავარი ინჟინრობა.

ასეთია მოკლე ის მონაწილეობა მეტალურგისა, რომელიც მშენებლობაში მონაწილეობდა.

ჩემთვის, როგორც ქართველი საბჭოთა მოქალაქისათვის, საამაყოა, რომ ბაღდადელი გლეხის ოჯახიდან გამოსულს ჩემს თანამემამულეს ნ. ვ. ქაშაკაშვილს ესოდენ დიდი და ნაყოფიერი მონაწილეობა მიუღია ჩვენი დიდი სამშობლოს მეურნეობის საფუძველთა საფუძვლის — შავი მეტალურგიის მშენებლობაში.



იმ დღეს, როცა თბილისს უნდა გამოემგზავრებულყავი, მე კიდევ ვეწვიე თბოცენტრალის საამშენებლო უბანს. მე მახსოვდა ინჟინერ გიორგი ხუციშვილის შენიშვნა, სხვა უბნებს შორის დღეს ყველაზე ტემპიანი, ყველაზე ბედნიერი უბანი თბოცენტრალის საამშენებლო მოედანიაო.

თბოცენტრალს სამეტალურგო ქარხნის გულს უწოდებენ. როგორც გული ჰკვებავს ცოცხალ ორგანიზმს, ისე თბოცენტრალმა უნდა ჰკვებოს მთელი ეს უზარმაზარი წარმოება, მთელი მისი საამქროები და ნაგებობები. უმისოდ სულს ვერ ამოიღვამს, ვერ იმუშაებებს ვერც ერთი მათგანი. დღესდღეობით ამ გულის როლს ასრულებს ენერგომატარებელი, რომელიც ელდენს აწევის მეტალურგმშენის საწარმოებს და ქარხნის საამქროებს. ამიტომ ყველაზე ადრე თბოსადგურის მშენებლობა უნდა დამთავრდეს. წელს რუსთავში ყველა ობიექტის მშენებლობა გაქიანურდა, შეფერხდა. ვერ მიიღეს რკინისა და ხის მასალა: იგი გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობით დასჭირდა დონბასის სამეტალურგო მრეწველობის სასწრაფო აღდგენით სამუშაოებს.

მისცენ „კაველექტრომონტაჟის“ ბრიგადებს, რომლებმაც უნდა დადგან — ნუ დაღონდებით, ნუ მოიწყენთ, — გამხსნევა რუსთავის მშენებლები მოსკოვიდან ჩამოსულმა სამხრეთის სამეტალურგო ქარხნების მშენებლობათა სამმართველოს უფროსმა ამხ. ბოვატიროვმა, — სულ მალე თქვენც დონბასის ტემპებით ამოძრავდებით. არის ბრძანება ამხანაგ სტალინისა, რომ 1948 წლის იანვრიდან რუსთავი შეტანილი იქნას პირველი რიგის სასწრაფო მშენებლობათა რიცხვში. მანამდე კი დაკმაყოფილდით იმით, რასაც გიგზავნით.

ხოლო ის, რაც წელს მიიღო და რასაც კიდევ მიიღებს რუსთავი, არ კმაია იმისათვის, რომ ყველა ობიექტის მშენებლობა თანაბარი ძალითა და სისწრაფით მიდიოდეს.

ისევ სჯობია ის რესურსები, რაც მოგვეპოვება, უმთავრესად თბოცენტრალის მშენებლობას მოვახმაროთ. იმის ამუშავებამდე ხომ მაინც აზრი არა აქვს სხვა ობიექტების იმაზე ადრე დამთავრებასაო, გადაწყვიტეს მეტალურგმშენის ხელმძღვანელებმა და დაიწყეს მზადება შეტევისათვის, იმი-სათვის, რომ დარჩენილ სამ თვეში მოთავდეს და ამუშავდეს პირველი ტურბოგენერატორი, რომელიც მშენებლობასა და ქარხანას მისცემს 12 ათასზე მეტ კილოვატ ენერჯიას.

„ნუთუ შეიძლება სამ თვეში მოთავდეს და სადგურად იქცეს ეს უხარ-ვაზარი, ჯერ კიდევ კედლებით შეუ-მოსავი ჩონჩხი?“ — უმაღვე ვაფიფიქრე, როცა თბოსადგურის საშენ მოედანზე მივედი.

„რა თქმა უნდა, შეიძლება!“ — თვით მე ვავეცი ჩემს თავს პასუხი, იქ მიმდინარე ფიცხელ და მხურვალე მუშაობას რომ თვალი გადავაგლე.

გაძალებით მუშაობენ მეტეტონეები

და კალატონები იმ შენობების დასამთავრებლად, სადაც პირველი აგრეგატები უნდა დაიდგას. ასევე მუშაობენ მემონტაჟეები. ყოველი კედლიდან, ყოველი კილიდან ისმის პნევმატიური ბურღების, ფოლადზე დარტყმული ჩაქურჩის გამკვეთი ხმა, ელექტროშედულების შხივილი და ტაკატაკო, ელვარებენ, ცვივიან და უმაღვე ქრებიან ლურჯყვიითელი ნაპერწკლები. მუშაობენ მემონტაჟეები, ღვამენ და მართავენ რკინის კონსტრუქციებს. ისმის მოტორთა გუგუნე და მექანიზმების კრიალი. ბუმბერაზ ამწეე ონკანებს გადააქვთ და გადმოაქვთ რკინის ძელები, კოჭები, დიდი და მცირე კოლონები, ქვაბებიდან წყვეტწყვეტად მოისმის რეკა, — ეურბეცოვის ბრიგადა ქლონავს ამ ეურბერთელა ფოლადის ვეშაბებს. მოდიან და უმაღვე ბეტონის ნარევისაგან იცლებიან აეტონვიმერები. საწყობებისკენ მიჰქრიათ „სტუდებეკარები“, მოაქვთ ბეტონისა და რკინის არმატურა. მოდის ორთქლმავალი, მოაგრიალებს დატვირთულ ვაგონებს, კივილით აფრთხილებს ლიანდაგის პირად მომუშავეებს, გზა დამიცალეთო. ვაგონებს მისევიან მუშები, სწრაფად სცილიან ჩათ აგურისა, რკინისა, რკინეულისა და მექანიზმებისაგან. წინასწარ გროვდება და მარაგდება მასალა, იარაღი, მოწყობილობა შემდგომი მორიგი სამუშაოებისათვის. საოქტომბრო ვახტზე დგებიან სხვადასხვა სპეციალობის მუშათა ბრიგადები. გაჩაღებულ შეჯიბრებაში ყველაზე წინ მიდიან პლუენიკოვის ბრიგადის მემონტაჟეები, რომ შეკვეთილ ვადაზე ადრე დაამთავრონ კონსტრუქციებისა და მოწყობილობის მონტაჟი, რათა რაც შეიძლება ადრე გზა გაუხსნან და ფართოდ გაშლილ ფრონტზე მუშაობის შესაძლებლობა

და გამართონ თბოცენტრალის ელექტრომოწყობილობა. მოედანზე ყოველ მხრიდან დაწყებულია შეტევა, გამაბრუებელი შტურმი, რათა სამ თვეში ვაკეთდეს ის, რაც ცხრა თვეს ვერ მოეწრო, სამ თვეში იქნას გარბენილი ცხრა თვეს გასარბენი მანძილი. აქ, სადაც დრო წარმოუდგენლად შეჰქიდარობულია, სადაც ერთი საათი უდრის 240 წუთს და არა 60-ს, ერთი დღელამე 72-ს და არა 24 საათს, აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს გაქანებული ტემპების მომღერალი მიაიკოვსკი, არ შეიძლება არ გაგახსენდეს მისი მომწოდებელი ძახილი:

„Вперед беспрогульным
гигантским ходом!
Не взять нас
буржуазным гончим!
Вперед!
пятилетку
в четыре года,
выполним, вылечим, закончим!“

გინდა დაუსრულებლად უმზერდე ამ ოქროსხელიან ადამიანებს, თავისი ხელობა რომ დიდი ხელოვნების სიმალლეზე აუყვანიათ; თერებოდე მათი პათოსით, მაგრამ თითქოს თავი დამნაშავედ მიგაჩინა, რომ განზე დგახარ, ჩაბმული არა ხარ მათ ფერხულში, რომ შენი უმოქმედობით არღვევ საერთო რიტმს, მათი შთაგონებული მუშაობის რიტმს.

„უხერხულია აქ დგომა, ჯობია წავიდე“, — გამბობ გუნებაში და ვტოვებ მშენებლობის ამ აბოზოქრებულ უბანს. ნათხარი მიწის გორებზე გაყვანილი ბილიკით გავდივარ ცარიელ, ჯერ უშენველზე, სადაც მომავალი წლიდან

მშენებლობა უნდა გაიშალოს. მე ვნახე გეგმები და დაახლოებულ ვიდეო, სადა რა უნდა აშენდეს აქ, სადაც ამ წუთში მივაბიჯებ, აშენდება ქარხნის სამმართველოს მონუმენტური შენობა, წინ დიდი მოედანი, იქ კიდევ სასტუმრო, რკინიგზის სადგური, სამმართველოს მოედანი, პარკი; პარკი შეიკრება ტყეში, რომელიც ქალაქს გაზეზისა და კვამლისაგან დაიცავს. ტყის იქით გაშენდება სოციალისტური ქალაქი ფართო განიერი პროსპექტებით და ქუჩებით, ულამაზესი კოტეჯებითა და საზოგადოებრივ-კულტურული შენობებით. ყველაფერს ამას ააშენებენ ის ადამიანები თავიანთი ოქროს ხელით, რომელთაც ეს არის ახლა დაეშორდი. დიახ, ეს უთუოდ ასე იქნება და მე კვლავ ჩამესმის ყურში მიაიკოვსკის სიტყვები:

Я знаю
город
будет,
Я знаю —
саду цвeсть,
Когда такие люди
в стране
советской есть!

მიაიკოვსკი არ შორდება დღეს ჩემს გონებას. იგი ჩემს გვერდით მოაბიჯებს, მესაუბრება. ასეთს წუთებში ვანა მარტო ჩემთან არის იგი. გაქანებულმა დრომ მუდმივ თანამგზავრად გამოიყოლა მიაიკოვსკი. მიჰქრის დრო. მიგვაქროლებს ჩვენ და ჩვენთან ერთად მიაიკოვსკის. იგი ყველგან არის, სადაც მოძრაობა და სიცოცხლეა, იგი გავწოდებს ჩვენ თავის სიტყვებს, თავის სტრიქონებს; გვშველის, რომ მთე-

ლი სიღრმით და სიძლიერით გამოეხატათ ჩვენი შთაბეჭდილებები, ჩვენი აზრები, ჩვენი ემოციები. მაიაკოვსკი არ ძველდება, არ ბერდება. არც არასოდეს დაძველდება! სანამ მისი სულისკვეთების ადამიანები ქვეყანას აშენებენ, იგი დარჩება მუდამ სიცოცხლით სავსე ქაბუჯად.

— იქით კიდევ რა იქნება, რა აშენდება? — და ჩრდილო-დასავლეთისაკენ გავიხედე: უცბათ უნისლო, გამჟღავნებულ სივრცეში ჩემ თვალწინ აღიმართა ლურჯ მთებზე გადმოშვებული მყინვარი თავისი შევერცხლილი თავით, — მყინვარი დიდებული, მყუდრო და მშვიდობიანი. გაიღვიძა ქაბუჯობიდან ჩემს მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილმა სიტყვებმა: „მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ შალღევებს, მაციებს და არ მათბობს. მისი სიცივე სუსხავს და სითეთრე აბერებს. მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება! არა, არ მიყვარს მყინვარი... დალოცოს ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გივი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავი კლდის გულიდან გადმომსკდარი მოდის და მობლავის და აბლავლებს თავის გარემოსა... მიყვარს თერგის ზარიანი ხელილი, გამალებული ბრძოლა, დრტინვა და ვაივაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა. ნეტავი შენ, თერგო, იმითა ხარ კარგი, რომ მოუსუნენარი ხარ. მოძრაობაა და მარტო მოძრაობა, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

დიდი ილიას ეს სიტყვები გამოხა-

ტავენ ჩემს დღევანდელ განწყობილებასაც. ჩემს იმ შთაბეჭდილებასაც მე აქ მივიღე. შეუპოვარ და დაუმონავ ადამიანთა მოძრაობა აძლევს ღონესა და სიცოცხლეს ძველს რუსთავს. თავზე ხელაღებული, ზარითა და ხელით, დრტინვითა და ვაივაგლახით მომდინარე თერგი დღევანდელი გაღვიძებული ცხოვრების, რუსთავისა და მთელი საქართველოს გაღვიძებული ცხოვრების ამალეღვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის! ასეთ რუსთავს, ასეთ ქართლს, ასეთ საქართველოს შენატროდა „მგზავრის წერილების“ ავტორი. დღეს იგი ჩემთან არის ისევე, როგორც რევოლუციის დიდი პოეტა მაიაკოვსკი.



ორი კვირა დაეყავი რუსთავში. 7 ოქტომბერს საღამოს ვბრუნდები უკან დედაქალაქში.

კიდევ რამდენიმე წუთი და მატარებელი თბილისის სადგურს მიადგება. საკმელთან ვდგავარ. ჩემს წინ სტალინის მთაა, ცოტა ქვემოთ — კომკავშირის ხეივანი, აქედან ქალაქს გასცქერის გაჩირაღდებული სურათი დიდი ადამიანისა.

მე რუსთავის შთაბეჭდილებები მზურავს. რამდენი გამოუჩინარი გმირი ვნახე! რამდენი რუსთაველი! აქამდე მე ვერიდებოდი ამ სახელის წარმოთქმას. არც ახლა გავკადნიერდები და არცერთს ჩემს მიერ ნახულ მშენებელს, რასაკვირველია, არ გავუტოლებ ქართველი ერის სიამაყეს — რუსთაველს.

მაგრამ ვიტყვოდი, რომ ისინი რუსთა-
ველის ღირსი გმირები კი არიან.—ისი-
ნი. ჰქმნიან განახლებული ჩვენი დედა-
ქალაქის, განახლებული ჩვენი საშობ-
ლოს გაღვიძებული ცხოვრების ახალ
რიტმს. ახალი შაჯისცემა ჩვენი დედა-
ქალაქისა მთელი სიმახვილით ვიგრძე-
ნი იმ პირველ დილას, რუსთავეში რომ
მივდიოდი.

ის დღეები, რაც მე რუსთავეში გავა-
ტარე, იყო ერთ-ერთი პირველი ვასე-
ლა, პირველი გეოლოგიური დაზვერ-
ვა. მე ვნახე ძარღვი ძალიან მდიდა-
რი მადნისა— იგი მიწის სიღრმეში
როდია ჩამარხული. ჩვენი დროის
უდიდესმა ძვრამ მიწის ზედაპირზე
ამოაწიდა იგი, იგი მზის აინათლებზე
ამოიტანა ყველაზე დიდმა გეოლოგმა,

ყველაზე დიდმა მემაღაროემ, ნების-
ყოფისა და აზრის ტიტულარ-
შიაზმა, რომლის გაცისკროვნებულ
სახე კომკავშირის ზეივნიდან გადაჰყუ-
რებს ლამითაც დაუძინარსა და ბობო-
ქარს ჩვენს დედაქალაქს.

ამ ძვირფას და ზალას მადანს ჰფა-
რავს კომუნისტის, საბჭოთა ადამიანის
თავდაბლობის თხელი ფენა.

მაგრამ ყველა გამჭრიახ შემოქმედს
შეუძლია დაინახოს იგი და, თუ მის
გულში დევივის სტალინური ეპოქის
ნამდვილი შემოქმედის ცეცხლი, ამ
მადნისაგან გამოადნობს ფოლადს.
შექმნის ისეთ ნაწარმოებს, როგორც
ახალ რუსთავეს და ახალ საქართველოს
შეეფერება.

ქოლაე ნალირაძე

ჩემი სახეობლო

★

სიმღერა პირველი

1.

ორი წელია, რაც ვადაილო,
რაც საშინელი გრიგალი ჩადგა.
რამდენი მსხვერპლი საჭირო იყო,
რამდენი სისხლი ზალხმა გაიღო,
რა გაჭირვების დღეები გვადგა!
მაგრამ დასრულდა მრისხანე ომი,
ჩვენ გამარჯვების მზეს მივალწიეთ.
მტკიცე გამოდგა ჩვენგან ნაწრთობი
ფოლადი, მტრისთვის ხმლად რომ ვაჭკაეთ
გამოდგა ნების სიმტკიცე ჩვენი,
რომელმაც გმირთა თაობა სჭედა,
მთაეარსარდალის სარდლობა ბრძენი,
მისი გენია და შორს განჭვრეტა.
რაც მოგვაყენა ზარალი ომმა,—
ანაზღაურებს მას ჩვენი შრომა.
მაგრამ გვეჭირდება ისევ გმირობა,
რომ განიკურნოს ქვეყნის ჭრილობა,
რომ მომავალში მოსისხლე მტერმა
ვეღარ გაბედოს ჩვენთან ცილობა,
რომ თავისუფლად ისუნთქოს ერმა.

2.

ეს წელიწადი მოსავლიანი
ჩვენ დარდს და ჭმუნვას აღარ გვაყარება.
სიმინდის ყანა დედისრძიანი,
პურის ბიბინი ოქრომზიანი
სოფელს ამშვენებს, თვალებს ახარებს.
აქ წელიწადმა სხვაგვარად იწყო
თვისი სიუხვის გამოვლინება;



თითქოს ბუნების წიაღმაც იგრძნო
დიდი ზეთწლედის ამობრწყინება;
ცათა მშობელმა მოწყალე თვალით
მან გადახედა მშრომელთა მხარეს,
და გულმოდგინედ, ჯადოსნურ ძალით
მორთო, შემოსა, შეამკო არე.
გაზაფხულს მოსელა ეჩქარებოდა,
ეკლად და მთებზე თოვლი დნებოდა
და როცა დაცხრა თვე იანვარი,
როცა ზამთარმა მოხურა კარი,—
თავი ამოჰყო ენძელამ ტყეში;
სიამით ჰქროდა თებერელის ქარი,
ბაღებს არხედა ტყემლების რძეში.

3.

განოდარება ზოგჯერ, მკითხველო,
ასეთი ჩქარი სანდო როდია.
ო, მარტის თვეო განუკითხველო,
სიციციით დაზრულს, გალახულ მდელის
გული რამდენჯერ დაუკოდიას..
რამდენჯერ ატმის და ნუშის რტოებს
ზარტი ქარ-ბუქით შემოხვევია.
მიდის ზამთარი, ბრძოლის ველს სტოვებს,
და ვერაგობით, მას რომ სჩვევია,
დღეს გაგვიღიმებს მზითა და დარით,
წმინდა ლაევარდით სულში ჩაგვხედავს,
მერე შავ ღრუბლებს მოდენის ქარით,
გზებს და ბილიკებს თოვლით ჩაჰკეტავს.
ასე ცბიერი, ტურფა ქმნილება
ზეციურ არსად ჩვენ გვევლინება;
ასევე ზოგჯერ თვალთა იერი,
ტრფობით აღსავეს და მშვენიერი,
ჩვენ გვაჯადოებს, გვზიბლავს, გვიმონებს...
ოგება ამინდი, კვლავ ბედნიერი,
ზამთრის ქარ-ბუქი გულს არ გვიღონებს.

4:

საბედნიეროდ ყინვა და ბუქი
არ მოჰყოლია ამ თვეებს თანა.
უძირო იყო ლაევარდი მუქი,
მთებსა და ტყეებს ეფინათ შუქი,
და წყაროები გალობდნენ ნანას.
ეს გაზაფხული, ადრე მოსული,
გულს ამხნევებდა და ახარებდა



და, ყუევილნარით გარემოცული,
 თავით ზაფხული იდგა კარებთან.
 ჟუჟუნა წვიმა გაღმოივლიდა,
 გადაფრქვევდა მარგალიტს ყანებს,
 და, ეამს მწუხრისა, შორი მთებიდან
 გაღუქროლებდა ნიავი ფშანებს.
 აურდლის ყურებად დაცქვეტილ სიმინდს
 უაღერსებდა მზე სხივთა სიმით.
 თეთრად აკვამლდნენ ბაღები სოფლის;
 უკვე დაიფრქვა მშრომელთა ოფლი;
 ბავშვები ჩიტებს უგებდნენ მახეს;
 და გაზაფხულის პირველი ჭორფლი
 კვლავ უნაზებდა გოგონებს სახეს...

5.

როცა მაისმა გაშალა ფრთები
 და ოქრომკედლით მოქპარგა არე,
 როცა აყუევდნენ, გაღურჯდნენ მთები,
 და, გულში ტრფობის ცეცხლის დამნთები,
 ბაღად გადიქვა მშობელი მხარე, —
 მე მივატოვე დედაქალაქი,
 ჩემი თბილისი — საეანე მზისა —
 შემოქმედების, ბრძოლის ალაგი,
 აკვანი უკვდავ სიყვარულისა.
 მე იმერეთის ვნატრობდი ნახვას,
 ამ გაზაფხულის თელვებით შემკულის.
 ჩვენი დიადი ცხოვრების სახვას
 შთაგონებული ითხოვდა გული.
 მსურდა მენახა, როგორ დალაგდა
 ყოფა ახალი; როგორ გალაღდა
 იმერთა მხარე შრომით და გარჯით;
 და თუ ოდესმე ვაებით, ტანჯვით
 გლები ებრძოდა მტერს და ბუნებას, —
 ახლა ნარინჯთა ოქროსფერ ფარჩით
 მაღლე ნათელი ესალბუნება.

6.

ვის, რომელ ქართულს არ განუცდია
 სოფლად სიტურფე გაზაფხულისა!
 ხელები ცისკენ არ გაუწვდია,
 ლექსების წერა ვის არ უცდია,
 შექება მზის და სიყვარულისა?
 მაგრამ გაზაფხულს იმერეთისა



რაღაც სხვაგვარი მოსდევს იერი.
 სურვილი შრომის, ტრფობის ჭკრეტისა
 არსად არ არის ეგზომ ძლიერი.
 გახვალ, გახედავ — სიცოცხლეს მისცემ
 ამ სიერეს, ცამდე აყვავებულსა!
 ტკბილად ითვრები და გული გიცემს,
 როს უცქერ მხარეს გაშენებულსა.
 სადღაც მღერიან, უკრავენ დაირს...
 გრძნობ მერცხლის ფრთებით გაფერილ პა
 ლობესთან, სადაც გაშლილა ეაშლი,
 ოფოფი წითლად სავარცხელს გაშლის;
 ველია მთებით შემოგარსული;
 ღია ფერადებს საღამო წაშლის
 და გცემს მინდვრიდან ომბალოს სუნნი...

7.

შეაღებ ჰიშკარს, ნაბიჯით ნელით
 გაკრიალებულ ეზოს გაივლი.
 გხედება ალევბის ჩრდილები გრძელი,
 ზვინები თივის, თივასთან ცელი
 და მყუდროება ქართულ აივნის.
 უხმობ მასპინძელს, თავაზიანი
 შეხვედრა მისი გულს გაგიხარებს.
 გამოვა ქალი თავსაფრიანი
 შორიდებულად გაგიღებს კარებს.
 ბოსტანთან ისმის ბავშვების ხმები,
 ძაღლის ყეფა და შორით ძახილი.
 ქალაქის ამბავს გულდასმით ჰყვები;
 ზიხარ სიამით და თავდახრილი
 მასპინძლის სიტყვას გულის კარს უღებ.
 უცქერ მის ჩოხას, ჩაკეცილ წულებს...
 წაბლის ფოთლებში გამომცხვარ მჭადის
 შემოდის სუნი; დრო ტკბილად გადის;
 — „ჩვენო სტუმარო, არ მოიწყინო“...
 ჩნდება არაყი, გამხსნელი მადის,
 და მოაქვთ დოქით მარნიდან ღვინო.

8.

ეს სურათები თვალწინ დგებოდა,
 როს ეშორდებოდი საყვარელ თბილასა.
 ქართლის ბუნება ეშხით მხედებოდა,
 შორიდან გორის ციხე ჩნდებოდა,




და ნახად ჰქროდა ნიავე დილის.
გორი! რომელი მშრომელის გული
შენს დანახეზე არ აძგერდება,
და შენს წინაშე სულგანაბული
თავს ვინ არ დახრის, არ შეჩერდება?!
შენი წარსული გმირთა გმირული
თავს დაგვნათოდა, როგორც კანდელი,
მუდამ გვესმოდა თავგანწირული
შენი ბრძოლების კორიანტელი.
მაგრამ ბრწყინვალე წარსულთან ერთად
დიადი აწმყო ელვარებს მკვეთრად:
დიდი ქართველის დგას მანდ აკვანი,
აქ იშვა კაცი მზისკენ წამყვანი.
ბელადის კერა ბრწყინავს, ინთება!
მივიდეთ, ჩუმად ვცეთ მას თაყვანი,—
ეგ არის ხალხის მზე და დიდება!

9.

ქართლო, ტანჯულო და წამებულო,
დღეს შენ ამაყად წელში სწორდები!
შენგან სიმტკიცის ძალას ვღებულობთ;
შენი ბრძოლები არ წაგებულა!
წარსულზე ფიქრით ნულარ ღონდები!
სისხლი და ცრემლი რაც გინთხევია,
რაც გამსხვრევია ხმალი და ფარი,
ერთ უკვდავ მანგში დაგიტევია,—
ეგ შენი ტკბილი ურმული არი.
როცა გორაკებს დაეფინება
სხივი ფერმკრთალი ჩამავალ მზისა,
როცა ბუნებას ჩაეძინება
და შორით ისმის ბუტბუტი მტკვრისა,—
შემომესმება სიზმარში თითქოს,
ეგ ხმა შორიდან და სმენას მიტკვობს;
სულში მელერება სიმღერის ხმები,
ვგრძნობ ყოველივეს, ყველაფერს ვხედები;
წყდება ხმაური, ფოთოლო შრიალი...
ფიქრში ვართული უძრავი ვხედები
და ვიღიმები თვალცრემლიანი...

10.

უკვე ახლოა გვირაბი ღიბის;
ჩნდება ქვიშხეთი და ტაშისკარი.
ჩემო მკითხველო, წარსულზე ფიქრი.
როს მატარებლით შორს სადმე მიჰქრი,



თავდავიწყების მომგვრელი არი.
 აქ, ამ საზღვართან ამერ-იმერთა,
 სადაც იწყება უღელტეხილი,
 სად სააკაძის საყვირი სტეკდა,
 ლელავს ჯეჯილი, ჰყვავის ზეხილი,—
 დიდი მესხეთის და ჯავახეთის
 აქ იყო მიჯნა და რკინის კარი;
 მას ვერ აღწევდა მტერი თავზელი:
 მას უძლეველი იცავდა ჯარი.
 ვიყავით მუდამ მოძულე ომის
 და ავანგარდი ქრისტიანობის!
 არ წაუღეკავს დროს ჩვენი ერი,
 და დღეს ის უფრო მხნე და ძლიერი
 კაცობრიობის სდგას ავანგარდში...
 ეს დღე ნათელი და ბედნიერი
 არ ჩასვენდება არასდროს ქართლში!

11.

მთაო ლიხისა, შენ იყავ ზღუდე,
 შენ ჰყოფდი ორად ივერთა მხარეს.
 ხშირად მტრის ძალა შენ გააცუდე,
 მეღვრად იცავდი არწივთა ბუდეს,
 ვზას უკეტავდი ბარბაროს ჯარებს.
 პონტოელ მეფეს დაღვენებულნი —
 როს გადალახეს ქართლის ფონები—
 აქეთ მოჰქროდნენ გამარჯვებულნი
 მძვინვარე რომის ლეგიონები.
 კოკლი თემური შმაგი ბრბოებით
 შენ გაწყდებოდა სისხლის მდომელი,
 მაგრამ დასრულდა ამოვებით
 ეგ მისი მტრობაც დაუცხრომელი...
 დამიწდა ისიც, როგორც დამიწდა
 ყველა მოძულე ჩვენი, და მიწდა
 მათი ხმა ხალხში და სახსოვარი...
 ალა-მამადხანს შუშაშიც მიწდა
 ჩვენი ხანჯალი შეუპოვარი...

12.

სამშობლოე, ნების ეგ ფოლადობა
 დრომ გამოსტედა ჩვენდა იმედად!..
 მაგრამ გმირული გულზვიადობა,
 მოყმური გრძნობა, ჰირში დანდობა




მაგ სულის აღთქმად ვინ დაგიბედა?
როგორ აღზარდე შენი ბარტყები,
ლომების დარნი გულით და ძალით,
რომ მათი ფარი მახვილნარტყმევი
დღესაც ელვარებს მრისხანე ალით?
ჩვენ არ ვყოფილვართ არვის მონები,
გვიხილავს ზურგიც გაქცეულ მტრისა—
ძველი ეგვიპტის ფარაონების
და მბრძანებლების წინევისა.
ლურსმულ ნიშნებით სიტყვა პირველად
ჩვენ გამოვკვეთეთ გასაკვირველად:
ქვაში ჩავექედეთ წარსული ჩვენი,
წარურეცხელი მარადი ენით!
და გამოვზომეთ პირველად მაშინ
ვარსკვლავთა ბრუნვა თვალმიუწვდენი —
გარდაუვალი კანონით ცაში.

13.

ინით შეღებულ ბედაურებით
მივაქროლებდით საომარ ეტლებს;
ნილოსის წყალით ვართ ნახტურები,
პირველმა ვაგეთ ნავსადგურები
და ბაბილონსაც ვუმტერევედით კედლებს.
როცა პირველად შედგამ რკინისა
და ჩვენმა გრდემლმა შესძრა ჰაერი,—
დასრულდა ეამი ზანგრძლივ ძილისა,
დღე ამობრწყინდა სულ სხვანაირი.
აღამიანის გენიას ქვაში
დიდხანს ეძინა, ვით ხეში ნაყოფს,
და ახლა იგი, ვით დილით ბავშვი,
სჭერეტდა ბუნებას, ღვთაებრივ ნამკობს.
დაშწერლობის და ლითონის ძალით
შთაგონებული, ახალი თვალით
იგი უცქერდა სამყაროს დიადს.
ახლადგაფანტულ ბნელსა და წყევლიადს,
ვით მძიმე სიზმარს, იგერიებდა...
გონების ძალას, უძლევს და ზვიადს,
ახლა ხედებოდა, ახლა იგებდა.

14.

და როცა იქცნენ ფერფლად და ნაცრად
ასურეთი და ბაბილონიცა,
როს ეგვიპტე და სპარსეთიც დაცხრა,—
ჩვენ ავირჩიეთ ეს მხარე ტაძრად,



და იგი ახალ სამშობლოდ იქცა.
 ბრძოლით დაღლილნი, მახვილით ხელში
 კაცკასიონის ქედს მივადექით —
 სული მოვითქვით, გავსწორდით წელში,
 შრომას და გარჯას კვლავ შევუდექით.
 სადაც ქართლოსმა დროშა ასწია, —
 ნიშნად ახალი დიდების დღეთა, —
 ჩვენ ავაშენეთ ჩვენი ვარძია,
 ჩვენი თბილისი და ჩვენი მცხეთა.
 აჰ გაიჭედა დავითის ხმალი;
 თამარის სიბრძნით, თამარის ძალით
 განმტკიცდა ერი, კლდეს შესადარი;
 აჰ რუსთაველის დაირწა ქნარი;
 და აქვე იშვა მსოფლიოს მხსნელი,
 კაცი, ვინც გახსნა სინათლის კარი,
 დიდი ქართველი, დაუძლეველი.

15.

საუკუნეთა გრდემლზე ნაჭედო,
 ცეცხლში ნაწრთობო სიტყვაე ქართულო!
 შენ გემონება ფიქრი, განჭვრეტა
 ლექსის ქურუმთა და მესაქეთა,
 ო, ერის ძალაე, ხმლად შემართულო!
 სიამე, ჳმუნვა, ტანჯვა და შეება,
 დიდი გმირობა და სიბრძნე დიდი
 ისე, ვით ოქრო, შენს ცეცხლში ლღვება
 და ხალხის გულის სიღრმემდე მიდის.
 რა შემოზღუდავს შენს ძლიერებას,
 შენს მეფურ გაშლას, რა შეაჩერებს?
 რა შეედრება შენს აედერებას,
 უნაზეს ბგერას, უნაზეს ფერებს?
 ორი რამ შერჩა ჩემს გულს და სმენას:
 ჩვენი ნანინა და „დედა-ენა“!
 ო, სიტყვაე, მარად თავისუფალო,
 მინდა ჩემს ლექსებს გზა გაუვებლო!
 მიკურთხე ხმალი და ეს მარჯვენა,
 რომ დიდ ბრძოლაში არ დავიდალო,
 ვთქვა, რაც ცხოვრებამ ცხადად მაჩვენა!

პირველი სიმღერის დასასრული

მალა აფხაიძე

სამი ლექსი

★

დიდება მოსკოვს

როგორ ქათქათებს დღეის მოსკოვი,
ჭვეყნის სიმძლავრის დიდი გენია.
მასში დაძრული ხალხის ოცნება
მთელ დედამიწას გადაფენია.

რა სიმალღეზე დგას და ანათებს
კრემლი — სიმართლის დიდი შუქურა,
შრომით, გმირობით დამშვენებულსა
თავზე ფარჩის ცა გადაუხურავს.

რა შეედრება მის წმინდა ადგილთ,
ბროლში გახვეულ მოედნებს, ბაღებს,
დაუძლეველი მისი ალაში,
მისი ჰაერი გულს აჯანსაღებს.

წუთით მზეც დგება, თითქოს იქ, სადაც
სძინავს დიდ ლენინს მარადი ძილით,
ყოველ საბჭოთა ადამიანში
გადასულია მისი ნაწილი.

რეაქსია წელმა გადაუქროლა —
მის სიკაბუჯეს ახლა შეეხარით,
აქ დაიბადა ხმა გამარჯვების,
აქ დაირეკა დიდების ხარი.

თავისუფლების ურყევ საფუძველს
რწმენით შესცქერის მთელი სამყარო,
მოსკოვი არის სამყაროს გული,
ხალხთა მშვიდობის უშრეტო წყარო.

ბედნიერი ვარ, რომ კელაგ ვიხილე,
მასზე ოცნება რომ არ მწყინდებდა.
ბელადის მართალ აზრების წყაროს,
ხალხთა საყვარელ მოსკოვს — დიდება!



ქურსკის შემოგარენი

ამ გზაზე ბევრჯერ გამომივლია,
მის ბულბულეზზეც ბევრი მსმენია.
რა შეედრება მაინც ამ დღეებს,
ველს ყვავილებად რომ მოფენია.

იმ ხალხს სიცოცხლე, ღია სივრცეებს
მადლიან ხელით ასე რომ ხატავს,
მისი მშვენება დაუძლეველი,
სუნთქვა ციური მთელ ტანში მატანს.

ამ გზაზე ბევრჯერ გამომივლია
და ბულბულეზის მსმენია სტვენა,
მაინც სხვა არის ამ ლაყვარდ დღეთა
მხურვალ ოცნების შორი გაფრენა.

ო, ბულბულეზო, მე ახლაც მესმის
თქვენი სიმღერა დაუღალავი,
მახსოვს ჩემს პირველ ციურ სიყვარულს
თქვენ შეხაროდით, როგორც არავინ.

აი, აჰ, ქურსკის შემოგარენში
ჩემს სიჭაბუკეს ხვდებოდით ღზენით,
მოყოლებული იმა წლებიდან
მწვავს მე ამ ქვეყნის ცის სიამენი.

რა მიხარია, ქარიშხლის შემდეგ
რომ დაუბრუნდით მშობლიურ ტყეებს!
თქვენი ყვლები მეტი ხალისით
უგალობებენ ამ ნათელ დღეებს.

უგალობებენ იმით საფლავებს,
სამშობლოს დაცვის ბედნიერებას,
მისთვის სიკვდილი ვისაც ხვდა წილად,
ვინც აჰ დაეცა და შეუერთდა
ამ წმინდა მიწას წმინდა ნაწილად.

აქაც დაემსხვრა მტერს ხერხემალი,
ამიტომ ბრწყინავ, მკერდმოხატულო!
შენი დიდების შექთან ვარ ახლო,
და ვგრძნობ — სინათლე ჩემშიც მატულობს.



ამ გზაზე ბევრჯერ გამომივლია,
 ამ სიამაყით კი — არასოდეს.
 ბუჩქი იქნება ეს თუ ყვავილი,
 თავის სიხარულს ყველა მაწოდებს.

სად მიზეზად ისე, რომ სულ გაშლილი
 არ შეგხედეს რუსის კეთილი გული?
 ამ დიდი ხალხის მეც მეგობრობის
 სალამური ვარ ერთი ერთგული.



გამარჯვება იხედება

ცან ღაწვები შეფაკვლია,
 დილის სიო მზეში დნება,
 თავთაყების ოქროს ზღვიდან
 გამარჯვება იხედება.

სურნელსავე ტრამალთ თივა
 ამართულა ირგელივ მთებად,
 შესულა და ბაღებიდან
 სიხარული იხედება.

ისე იცვლის არე სახეს,
 სასწაული თითქოს ხდება,
 აქ ყოველი ბუჩქიდანაც
 გამარჯვება იხედება.

წინ მივდივარ, ვხედავ შრომის
 მოქცევა რომ არსად წყდება,
 მიწის ყოველ ბელტიდანაც
 გამარჯვება იხედება.

ქიშკარს ვაღებ, მასპინძელი
 ხელგაშლილი სტუმარს მხვდება,
 გაბრწყინებულ მის თვალთაგან
 სიყვარული იხედება.



- ომის შემდეგ აქ ცხოვრება
უფრო ღვივის, ცრემლი შრება.
რასაც ვხედავ, ყველაფრიდან
სიხარული იხედება.

ბრწყინავს მზეში მთელი სივრცე,
სილამაზით პირშეკრული,
მესმის, ყოველ დიდ საქმეში
რომ ბელადის ფეთქავს გული,
რომ ფეთქს მისი სიყვარული.

უ რ ნ ყ ა ვ ი

★

„ვალიდან მოგრწყე ვალანი...“

ვახტანგ VI. „ეპიტაფია“.

„და ამ რუისის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი. ხოლო სალთვისის რუ განაახლა შ მეფემან ვახტანგ, არამედ აწ უქმი იყო.“—გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი... და აქამომდე უქმად იყო სალთვისის დიდრუ, ალაგალაგ მკრთალად თუ შეიმჩნევოდა დიდრუს ნაშანკვალი (ესეც მცოდნეთათვის იყო შესამჩნევი, უცოდნელთათვის ღრმად ნალარს თუ წარმოადგენდა).

ამ ტრიალ მინდორზე თვალის შეუმჩნევლად მალდებდა სალთვისის შემოგარენი, თითქმის რუისისა და წვერის მთებს უთანასწორდება... თვალი თუ ვერა, წყალი ამჩნევდა სალთვისის ველის შემალღებას და იოლად არა ნებდებოდა ადამიანის მარჯვენას. ლიახვს ეწვეოდნენ სალთვისელები, ლიახვი აევანს არა სტოვებდა. ქართლელს განა ყოველთვის ეცალა წყალთან საბრძოლველად?! ეს ვაკე მტერთა სათარეშოდაც საიოლო იყო, ათმაგ ბრძოლას ვერ გაუძლევს სალთვისელებმა, დაშრა რუ, ამოვარდა სოფელი, მეკომურები მაზლობელ სოფლებს: დვანს, ზემონიქოზს, ზემონხეთს, ქვემოხეთისა და ყელქეუულს შეეხიზნენ. მოიშალა სალთვისის რუ,

ხოლო „თამარ მეფის ქმნული“ ორი რუ, ყელქეუულის დიდრუ და აწწოდებული ყაიბულა, დღემდის გადარჩა. ყელქეუულის დიდრუდან ზოგჯერ ლამობდნენ სალთვისის მიჯნების გადასვლას, აქამდე დაცული იყო გარსევანანთ რუ, მაგრამ ცდას არ მოჰყოლია დიდი რამ შედეგი. იღო ვრცელი მინდორი, ტრიალი მინდორი, მწყურვალ ველს კალთები ფრონისწყლამდე, ამ ყოვლად გამოუსადეგ მდინარემდე, ჩაეწვდინა, გადამლილიყო ურწყავეები, აედრიან წელიწადს ნაყოფიერი, უხვი, მოსავლიანი, გვალვებისას — საცოდავი, შესაბრალო, მონატრუსი.

ჰქროდა ქარი (ახლაც ჰქრის), სალთვისის დაუდევარი ქარი, ლიახვისა და ფრონეს ხეობებიდან დღენიდავ, შეუჩერებლად. ან რა შეაჩერებს, რა დააბრკოლებს თრიალეთამდე?! ირწყევა ჯეჯილი, სიმინდი, დაპურებისას ყანა ჩხრიალებს. შარას მტვერი ავარდება, განა ვინმე სჩანს, არა,—ქარი უცნაურად დაიგრიხება, მტვერში დაიციბრუტებს, აიბამს კუდს, გრეხილს, და ვიდრე მზის სხივი გალანდავდეს, ვიდრე მტვერი დაიფრქვევოდეს, მოშორებით კვლავ აიტაცებს მტვერის ფუნჯს. ჩრდილს თუ იკეთებს ქარი, სალთვისის მცხუნვარე მზეს თუ ეფარება!

მზე-ქარის ანაბარად არასოდეს სტოვებდნენ სალთვისის ველს შრომით გაუმამლარი ქართველი გლეხები. რა ეუყოთ, რომ ხშირად ღალატობდათ ბუნება, მაინც ჰხნავდნენ, სთესდნენ,

პირნახლებდნენ, სახელი გაუთქვეს ურწყავების პურს. როცა შინდისში სამანქანო-სატრაქტორო სადგური ჩამოყალიბდა, სრულიად დაიურვეს ველი კოლმეურნეებმა... დამითაც მოსჩანდა ტრაქტორების შექურა და ისმოდა ხმა, შორეული ხმა,—საიდან სად არ წაიღებს სალთვისის ქარი!.. მერე კომბაინი უვლიდა ველს... ხშირად, ძალიან ხშირად, უავდრო წელიწადს, ძლიეს იესებოდა კომბაინის ბაკი, მაგრამ ველს მაინც არ მოშვებიათ სალთვისელები, ყაშირად არ დაუვდიათ, უპირნახულოდ არ დაუტოვებიათ. იქ მარჯვენა ყოველთვის ტრიალებდა.

მაგრამ ისე არასოდეს დაუჯანბნიათ სალთვისის ველი, როგორც მეოთხე ხუთწლედის პირველივე წელიწადს. ამდენი მარჯვენა არასოდეს შეჰყვია. იქ მოიყარა თავი გორისა და ქარელის რაიონების თითქმის ყველა კოლმეურნეობიდან შენაცვლებით გამოგზავნილმა მუშახელმა. სტალინირიდან ნიქოზის მინდორი გადასტრეს ყვავისაყდარასთან, ელსადგურისათვის საგუმბარი გააკეთეს და შეეულად დაუშვეს არხი მთელ ველზე რუისამდე, „ხოლო რუისი არის უწყლო, თვინიერ წყაროსა ერთისა, რომელი არის ეკლესიასა თანა“,—ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი.

1947 წლის გაზაფხულზე უფრო შეფიცხდა არხის მშენებლობა. თოვლის ნადრევად აღების შემდეგ ნამი აღარ გადმოვარდნილა, გვალვები დაიჭირა, სიცხის ლული დადგა სალთვისის ველზე, ყანებმა ტანი ვერ შემართეს. ყელქცეულის დიდრუც დაწყდა. სალთვისის არხმა ჩამოართვა სათავე, სავანე ცემენტით ამოჰყავდათ... ფუსფუსებდნენ კოლმეურნენი, წელებზე ფეხს იდგამდნენ. იდგა შრომის ხმაური მთელ ველზე... მიმოჰქროდნენ მანქანები, ჩხრიალებდა ხრეში, იდგა მიწისა და ცემენტის მტვერი, ცხელო-

და, ჰქროდა სალთვისის ქარი. ბრუტ-საბძელას თოვლი ჩაქოვებოდა, ლურჯად გამოიყურებოდა მისი და, დიდხანს გასტანდა გვალვები.

წყალი მალე უნდა მიეშველებინათ პირნახულისათვის, მარტო ერთი საქმით ხომ არ შეეკერდებოდნენ, მარტო არხის გაყვანას ხომ არ იკმარებდნენ. მარცვლულის, შაქრის ქარხლისა და ხილის მაღალი მოსავლითაც უნდა გამოეჩინათ თავი.

ჯაფამ იმატა.

აქ შრომას ვინ ინატრებს, აქ დროა სანატრელი, დრო. სამუშაოს თავის გასართმევად უძილობის ამტანობაა სასურველი. ფაში არ იცდის, მიწა ფაშის კვალდაკვალ მოითხოვს დამუშავებას. მარჯვენა მტკავლობით უნდა გაედევნოს დროის ქროლვას, წამმაც არ უნდა გაუსწროს გოჯით, თორემ დოვლათი ამოიკვეთება ქართლში... აქ ყველაფერი ხარობს, ყველაფერი მოდის, „ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი“, და ყველაფრის გაწვდენას ლამობს ხარბი თვალი, ხარბი მარჯვენა, ისედაც დიდია ჯაფა და სალთვისის ველის მახლობელ სოფლებში ყოველივე ამას არხის მშენებლობის ძირითადი საქმიანობა და ხანგრძლივი სტუმარ-მასპინძლობა დაერთო.

გვალვებს ბოლო აღარ უჩანდა, მაგრამ ლახარ ბატონს როდილა ევედრებოდნენ: არხს დასტრიალებდნენ და წყლის პირველი ხმაურის ნატვრით თავს არა ჰზოგავდნენ.

შემოღამებისას ძლევისჯვარიდან, ყელქცეულიდან, ზვითებიდან და ნიქოზიდან ლხინის, დოღ-სალამურის ხმირება გაჰქონდა ქარს სალთვისის ველზე. რაც უნდა მოქანცული იყოს ქართლელი ახალგაზრდა, უღზინოდ ხომ არ მიწვევა დასაძინებლად! და ჯაფა ადგათ იქაურ ქალიშვილებს; ყველას უნდა გასთამაშებოდნენ, აბა,

რას აწყენინებდნენ სტუმრებს... ბევრი იყვნენ სტუმრები.

ჰქროდა ქარი.

კაშკაშებდა გვალიანი დღეები.

I

დილით სისხამი საგრძნობი იყო, ცას ღრუბელი მოედგა სამხრეთ-დასავლეთიდან, ალაგ ჩაქუფრულიყო ღრუბელი, ალაგ ფაფუკად გაბენტილიყო მატყლის ქულასავეით. ღრუბელი იძვროდა, იშლებოდა და იკვროდა, თითქოს ეყრებოდა ჩამუქებულ ლიხისა და თრიალეთის მთებს, მკრთალად ჩნდებოდა მათათა ხაზები ღრუბლის ფარადებში... ეგებ წვიმა მოსულიყო. სულმოთქმას აპირებდა ხეხილი, ფოთოლნი თამამად გაშლილიყვნენ, ფერი მისცემოდათ. ცეარ-ნამს ემატნა. წინა დილით თითქმის უნამოდ გაიღვიძეს ფოთლებმა, ბალახებმა, ყვავილებმა. წელს ყვავილებით თავს მაინც ვერ მოიქებდა ველი, გვირილაც კი დაგვალულიყო. ხოლო შალგი თამამობდა, მრავალტოტი აეყარა, ვადაეშალა ყვითელი ყვავილი, ჯეჯილს გაჰბატონებოდა. ჰგლეჯდნენ, მაინც ჰხარობდა შალგი, მაინც ჩაგრავდა ჯეჯილებს, ყვითელი ელფერი დასდებოდა მინდორს... რუსპირებზე ასკილი ჰყვავოდა, ბაღებში—ვარდი, ბალი მაინც არ იკლებდა სილამაზეს, მაგრამ მინდორი?... იმ დილის სისხამს მინდორიც გამოეცოცხლებინა, იდგა მოლოდინი. მკაფიო იყო მცენარეთა ნდომა..

ნიავე ჰქროდა, ირხეოდა ხეხილი. დროვამოშვებით შემხმარი წყარა ჩამოტყდებოდა, შემქნარი ნაყოფი ჩამოვარდებოდა, გაიხმაურებდა დაბალი სახლის თუნუქის სახურავზე.

— ჩადექ, ვერანო!.. — ღრძოდ ამბობდა მოხუცი თანდილა გამგებელი. ის თუნუქსახურულ აივანქვეშ იდგა.

ხმაურობდა თუნუქი. წყირის დაცემაც საკმაოდ ახმაურებდა. სარკმელზე მუბუნებდა ქარი, და უსინათლო ჰბუცს, თითქოს გრგვინიერ შეხლად ჩაესმოდა.

თანდილა თამამი ნაბიჯით გავიდა ეზოში. არა ფრთხილობდა, იქ ყველა ფეხისგადადგმა ნაცნობი იყო. მაგრამ ზოგჯერ წამოსდებია უადგილოდ მიგდებულ ვობს, ხუნდს, ფინხის კონას, გაგულისებულა, აყვირებულა მოხუცი. ამიტომ, თუმცა თამამობს ნაბიჯი, მაინც არხევს შინდის გრძელ არგანს, სინჯავს ადგილს. ჯოხი, სანთელივით სწორი და მაღალი, თითქმის თავის სიმაღლისა აქვს. ბევრნაირად შევლის ეს ჯოხი... მოხუცთათვის, უსინათლოთათვის, მგზავრთათვის, მწყემსთათვის ბევრნაირად გამოსადეგი, აუცილებელი, თითქმის სხეულის ნაწილია ჯოხი, მაგრამ თანდილას ჯოხს კიდევ ერთი ზედმეტი დანიშნულება ჰქონდა. ჯოხის ტანზე ათასნაირი ჭდე, უცნაური იეროვლიფები იყო ამოსახული. იქ ამოიკითხებოდა (რა თქმა უნდა, თანდილას მეტი ვერავენ ამოიკითხავდა): რამდენი მანეთის ობლიგაცია შეიძინა, როდის და რამდენი მოიგო, რა ხნისა იყო ძროხა, როდის აივსო, რამდენი ფრთა ქათამი ჰყავდათ, რამდენი ძირი ფუტკარი, როდის და რამდენჯერ ინახულეს გათხოვილმა შეილებმა იმ წელს, როდის შესწამლა ბალი და ვენახი, რა მთვარეზე აირია დარი... ყველაფერი იყო იმ ჯოხზე თანმიმდევრად, — საქმიანობა, სტუმარ-მასპინძლობა, სესხ-თბოვება. ისედაც არაფერი ეშლებოდა მოხუცს, მასსოვრობა კარგი ჰქონდა. მისი შვილიშვილი, უკვე მოწიფული თეონა, უამისოდაც ახერხებდა ოჯახის გაძლოლას, მაგრამ მოხუცი მაინც გულმოდგინედ აქნევდა შინდის გრძელ არგანს: ქამარზე ნამყნის დანა ეკიდა, ხშირად უქმად იჯდა, მამ, რა ეკეთებინა!?

როგორც კი ბაღში გავიდა, ჯოხი შავრად დააბჯინა, მარცხენა ხელით მოეკიდა, წაიხარა, მეორე ხელი კვლევის პირას ბაზოებზე ამოსულ ქორთვა ძურწას მოუსვა. დაუსველდა ხელი, როცა წამოიშართა, საყელოც ჩაიხსნა, ერთხანს გაინაბა, შეიგრძნო ღრუბლიანი დილის სისხამი, შუბლი გაეხსნა. მაგრამ ჯოხს დაუსვა ხელი და თითები აუთრთოლდა, ალბათ იქ, სადაც მთვარის მოქცევის ჰდე იყო. ვითომ გააედარდეს?!—უამურად გაიფიქრა და გასძახა:

— გოგო, თეონა!

— რაო, პაპაჩემო?!..—ხმა ბაკთან მოისმა. ის იყო კარს მიადგა სარძეველით ხელში საშუალო ტანის, შავგვრემანი, ძვალხორცისრული ქალიშვილი.

— ბრუტსაბძელას ღრუბელი ახვევია?!..—იკითხა თანდილამ და წინასწარ მოკმუნა შუბლი, როგორც ავად, უნიან მოხტეცებს სჩვევით სურვილის გამოთქმისას, როცა ეპვი უსწრებს, ეპვი მძლავრობს იმედზე.

— აბა რასა ვხედავ, ხეები მეფარება!..—მწყრალად სთქვა თეონამ.

— შენ მარჯვედ მიდექი, რალა ხეებს ეფარები?!

— არა მცალიან!.. ძროხა უნდა მოეწველო...

— გამიგონე-მეთქი!.. — გაცხარდა მოხუცი, ჯოხი დაახეთქა მიწაზე. მყისვე ფეხით მოსინჯა, შორს არსად გადავარდესო... რალაც ხმა მოესმა, ფეხი შეაჩერა.

— რას ჩადი, გოგო?!

— ვერნობას და ტიელობას... მივიღე-ვარ ბრუტსაბძელას დასანახავად...

— რის ხმა იყო?..

— სარძეულასი!.. სარძეულა დავაგდე...

— მიწაზე დააგდე?!

— მიწაზე...

— გატყდა?

— არა!

— რამე რო წამოედოს... რო გატყდეს!..

— ე ჩემ კირას!.. ^{გაგონებულს} ^{გინჯლიჩინებს} ^{მაცლიო!..}—თეონა წაეიდა.

— მობრუნდი-მეთქი!.. — გაჰყვირა თანდილამ.

— აპა, მოებრუნდი!..

— მარგილზე ჩამოკიდე სარძეულა!.. — ბრძანა თანდილამ და ეპვიანად წაუგლო ყური. თითქოს არაფერი სმენია—არც ტერფის, არც მარგილის შეხების ხმა და გაგულისებით ამოიძახა:

— ჩამოკიდე?!

— ჩამოვიკდე.

— გაახედე ახლა ბრუტსაბძელას!

ვიდრე თეონა მობრუნდებოდა, ჯოხი იპოვნა თანდილამ, ღობე-ღობე გაჰყვა, მარგილებს სინჯავდა, სურდა გაეგო, ხომ არ ატყუებდა თეონა. ის იყო, მიაგნო მარგილზე მართლაც ჩამოხობილ სარძეულას, თეონას ხმაც მოისმა. შერცხვებ მოხუცს ნამალევი საქციელისა.

— ბრუტსაბძელა მოწმენდილია!.. — სთქვა თეონამ.

— არ გააედარდება!..—მოწყვეტილ ჩაიქნია ხელი თანდილამ.

თანდილა კუნძზე ჩამოჯდა დიდი თეთის ქვეშ. ირხეოდა ტოტები, ცვივოდა ხართუთა. სწრაფად უვლიდნენ პატარა გოკები, ხარბად სჭამდნენ თუთას. დაბერებული მურა ძაღლიც სწვდებოდა, თითქოს უნდილად, გოკები ასწრებდნენ, იღრინებოდა, ხან გულმოსულად შეჰყუფდა ძაღლი... ზოგჯერ ჩამუხლავდა, სულს მოითქვამდა ქარი, მერე სწრაფად ავარდებოდა და წამუწყვეტად ცვივოდა, ტყავუნებდა თუთა.

გულმოსული იყო თანდილა. ისედაც ხშირად ბრაზობდა. ის ხომ იმ პასაქში იყო, როცა ყოველთვის ტუნჯახსნილნი, მოლიმარნი შეჰყურებენ ახალგაზრდები, ბევრს აღარაფერს უჯერიან და თუ გაუგონებენ რამეს, შეცოდებ-

ბის გრძობით, რომ მეტისმეტად არ გაღიზიანდეს მოხუცი. ახლა გვალვები აგულისებდა თანდილას, იცოდა რომ ჭირნახულს კაი პირი არ უჩანდა—ამბობდნენ, თითონაც სინჯავდა ხელით, მტკავლავდა, გოჯავდა, ბრახობდა, მოსდიოდა გული, მაგრამ რა ექნა, რით დაეცხრო გაგულისება?! ბრუტსაბძელა ღრუბელს არ იდგამდა, მთვარე შაქს იჯდა, ქვენა ქარი არა ცხრებოდა, ზეცა ცვარ-ნამს არ იმეტებდა. ბევრჯერ დასწყევლა ქარიც, მთვარეც და ბრუტსაბძელაც, მაგრამ ვერ გასჭრა წყევლამ, ვერსაით მისწვდა, ვერ გააგონა. არ უპასუხეს. და მოხუცს ხომ ყველაზე მეტად უპასუხობა აგულისებს. აი, მაშინ მიაგნო დაბალ ღობეს: „როდის-ღა მოათავებენ არხს?!..“ წამოიყვირა თანდილამ. თეონამ გაიცინა, არაფერი უთქვამს, ძროხის წველაც არ შეუჩერებია. რძე ჩხრიალებდა საწველელში, თითები სწურავდა ჯიქანს, ბოჩოლას საბელი დაეძაგრა, მიიწვიდა, ბორგავდა: ურძეოდ არ დამტოვოთო.

— თეონა, წამიყვანე არხზე!—სთქვა თანდილამ და წამოდგა.

— არა მცალიან, ვწველი..

— რითი ვერ მორჩი?!

— მოვრჩები და ქარხალში წავალ... აი, იძახიან ქალები.

— უსათუოდ უარი უნდა მითხრას.. გზა ხო იქით გაქვს?

— კარგი, კარგი!—მოუტკბა თეონა, მაგრამ თეონას არ დაანებეს მგჷარხლე ქალებმა, წაუძღვენენ, ციმციმ წაიყვანეს თანდილა. არხთან რომ მიაწვიეს, შემოეცალნენ, შაქრის ქარხლის ნაკვეთებისკენ დაუხვიეს. მოხუცს ისევ თეონა შერჩა ხელში. თეონამ თვალი გაადევნა ქალებს, გაასწრებენ, დრო ეკარგება. რა უნდა ამ ახირებულ მოხუცს?.. რა უნდა დინახოს, თვალნათლიანი მაინც იყოს?! კითხულობს ამჷმთის, იმბარისას, ათასი რამის შეტყობა სურს. სურდეს, მაგრამ განა ერთი არ არის მისთვის: სახლში გაიგებს თუ

გარეთ?! აი კალაპოტი ცემენტით ამოწყავთ, სთხრიან განშტოვებულ საფუძვრები დაამთავრეს... სულ ცოტა ცოტად მცირე, პირველი რიგის არხის სამუშაოებს ბოლო მოეღება და ივნისის ბოლოს („თიბათვის ბოლოსო“, გაუსწორა თანდილამ)—დაე, ეგრე იყოს, თიბათვის ბოლოს არხში წყალს გაუშვებენ...—ძალდატანებით ლაპარაკობდა თეონა.

— მაშ, ურწყავები ალარ იქნება? მთელი მინდორი მოირწყვის!

— მთელი მინდორი... სულ... სულ...

თანდილამ თავი აიღო, ხელი თავზე დაადო თეონას. მწვანე წინწყლებიანი ხილაბანდი დაუცურდა გოგონას და აკეცილი კულულები, შავი კულულები ჩამოეშალა.

— მოიცა, მოიცა... — დიმილით სთქვა თანდილამ, — შენი ხმა რაღაც ტბილი გახდა!..

— არაფერიც!..—თითქოს წყენით, მაგრამ ესეც სიამით სთქვა თეონამ, — ჩვეულებრივ ვლაპარაკობ!..

— ციც, ვერ მომატყუებს!..—თანდილამ თავი მიმოაბრუნა, თეთრი, მთლად თეთრი თვალები მიმოატრიალა, რაღაც იგრძნო, დანახვა სურდა უსინათლო მოხუცს. შესაბრალი იყო ამ დროს. ძნელი იყო მის თვალებში ჩახედვა. იქ იყო რაღაც საცოდაობა. ბევრ რამეს კითხულობენ ნათლიან თვალებში, სიძულელიც, სიყვარულს, სიბრაულს, ზიზღს, ამჩნევენ განცდის ყოველ რბევას, ჭგრძნობენ ყოველ წვრილმანს, მაგრამ აქ ვერასოდეს ჰპოვებენ, რაც თეთრ უსინათლო გუგებში ამოიკითხება... და ბოლომდის, დიდხანს არც შეიძლება ამ თვალების დაკვირვება.

— დილამშვიდობისა!.. დილამშვიდობისა, ძია თანდილა!..—მოისმა არხის მეორე მხრიდან.

თანდილამ ხმა იცნო კოლმეურნეობის ახალი აგრონომის—ბეჷან დიდებულძინასა... ტუჩები გაეზანა, თვალებში ნამი აბზინდა, იდაყვზე შეუბრა-

ლებლად უჩქმიტა თეონას და გაიცინა, გაიცინა გულიანად.

— მივხვდი თუ არა, ეშმაკის კერძო!.. ჰა, ჰა, ჰა! მშვიდობა მოგეცეს, მშვიდობა ნუ დაგელიოს, ბეჯან!

თეონამ გაუძლო ჩქმეტას, არ დაწოკებულა, ოღონდ მყისვე განშორდა პაპას, მეორე ხელს ისვამდა ნაჩქმეტზე. ტყენა არ შეტყობია სახეს, შავგვრემან სახეს, თვალები, დიდი შავი თვალები უკრიალებდა, დასცილებდა ბეჯანს.

— წადი, თეონა, წადი, საქმეს არ ჩამორჩე, — იღიმოდა უსინათლო მოხუცი, — ზოგ რამეს ბეჯანს ვკითხავ!.. — ცოტა დაახანა, კრინტი არ დასძრა თეონამ, — აკი გეჩქარებოდა?! გატყობ წასვლა არ გინდა!..

— როგორ მატყობ?! აი, მე მივდივარ! — მაგრამ თეონა არ წასულა.

თანდილამ გაიცინა. ამასობაში ბეჯანიც მიუახლოვდა. წინ ჩახსნილ ლურჯ ხალათს ქარი უფრიალებდა, ბოლოგანიერ თეთრ ნაბდის ქულსაც ურხევდა ქარი... კოჭლობდა ბეჯანი, მარჯვენა ფეხით კოჭლობდა ნაოშარი ვაჟკაცი. ხელჯოხი ჰქონდა. ოღონდ როდი ხმარობდა თანდილასავით გულმოდგინედ, არც თანდილას ჯოხივით იყო აპრელებული მისი ჯოხი.

— მოახლოვდი, ბეჯან?! — იკითხა თანდილამ.

— დიად, აი, აქ ვახლავარ!..

— ამ არხის კიდევ ერთ სიკეთედ ელსადგურს ბრძანებენ!.. სად აშენებენ? დაიწყეს შენება?

— ჯერ არა, მალე დაიწყებენ!.. ყვავისაყდარასთან არის დაგეგმული!.. ერთი ამბავი გავიგე ყვავისაყდარაზე... — ბრძანე!..

— აქ, ირგვლივ, ტყე და დიდებულნი სანადირო ადგილები ყოფილა. მეფეები ხშირად დადიოდნენ მოსანადირებლად და დროს გასატარებლად... ერთხელ უფლისწული სწევია ამ ად-

გილებს... დიდად ულალნოდა... დიდებული ნადირი დაუხოცნიათ. მერე, სწორედ ყვავისაყდარასთან შენებას დასწყობით, დასვენება და დაბურება შენებით: წვალი აუქნიათ, ქვაბიც შეუდგამთ ყაურმით... სად იყო სად არა, ყვავი გამომტყვარა, აჩხავლებულა, შემზარავად აჩხავლებულა. დაუფთხოთ, ისრები უტყორცნიათ, მანც არ მოშორებია იქობას... ქვაბს დასტრიალებდა და დასჩხავოდა... მეფის-ძეს ეპვი აუღია, ჩაკირკიტებია ქვაბს, ციცხვი ამოურეგია და, — ენ დაგვძრა, — წყეული ამოჰყოლია ციცხეს... ყვავს გადაურჩენია მეფის-ძე, ამაღა... და უბრძანებია უფლისწულს ყვავის სახელობის საყდრის აგება იმ ადგილას, — დამთავრა ბეჯანმა.

— ამა, ეგ რა დასაჯერებელია! — სთქვა თანდილამ. ბეჯანი გაკვირვებით შეაჩერდა, მოხუცი მალე არ ამეტყველებულა. წინ წაებჯინა შინდის მაღალი ჯოხი, ორივე ხელით დაპყრდნობოდა მაღალი მოხუცი. ამომავალ მზეს კუთხედი ჩრდილი არხზე დაეხარნა. სდუმდა თანდილა, აღარც ბეჯანი ამბობდა რამეს.

— უფრო მართალი მოგახსენოთ? — სთქვა ბოლოს თანდილამ.

— ბატონი ბრძანდები! — გაიცინა ბეჯანმა.

— ჰო, გაგიგე, ბეჯან! გითხრეს, უფლისწულმა ბრძანა ყვავის სახელობის საყდრის აგებაო და შენც დაიჯერე... მეფეებს და დიდებულებს მიმინოს საყდრის აგება რო ებრძანებინათ, ის უფრო სარწმუნო იქნებოდა... ჰა, რას იტყვი? — ცოტა ხანს გაჩუმდა თანდილა, ეგებ რამე სთქვასო ბეჯანმა, მერე განაგრძო: — შენა სთქვი, აქ ტყე ყოფილაო, მართალი ბრძანებაა, ყოფილა და დიდი უღრანიც ყოფილა, ოღონდ საყდარი უფრო გვიანდელი აგებულა, როცა აქ უკვე ტრიალი მინდვრები იყო და ეს მინდვრები მართლაც სამეფო ბეღელს წარმოადგენ-

და... ოპოპო, რამსიშორედ მოეუარე, შენი ბრაღია, თქმულება უფრო პატარა და უფრო ლამაზია: პაპანება იდგა. გამხმარ ყანას სიციხის ლული ასდიოდა. გლეხები მკიდნენ. უკვე ქანცმოწყვეტილი ჰოპუნა ისმოდა. მოშორებით ქვაბი თუხთუხებდა, თავსდასადგომად არაეის ეცალა. მხოლოდ ზოგ-ზოგჯერ ცეცხლს შეუსწორებდნენ ნაჩქარევად... მოსამხრდა... სვე გაიტანეს, მოქანცულიყვნენ. დასვენება და სამხარი ინებეს... უეცრად ყვავი დატრიალდა ქვაბის თავზე, აჩხავლდა, სწორედ ისე აჩხავლდა, შენ რო ბრძანებდი. არ ეამათ ყვავის ჩხავილი, დასკვივლეს, გოროხები დააყარეს. არა და არ მოშორდა ქვაბს ყვავი, უმატა ჩხავილს. მაშინ დაეკვდნენ და ქვაბი მოაპირქვევეს... წყეული აღმოჩნდა... თუმცა იმ დღეს მშვიერები დარჩნენ, მაგრამ მადლიერმა გლეხებმა ყვავის სასახლოდ საყდარი ააგეს...

— ასე უფრო სჯობიან!..—დაატანა ბეჟანმა.

— ასე უფრო სჯობიანო?!—გაწყრა თანდილა. — ეს სიმართლეა!..

— პაპა თანდილამ ყველაზე სწორედ იცის აქაური თქმულებები!—გამოეჭომაგა თონა.

— შენ ისევე აქა ხარ, გოგო?!—გაიკვირვა თანდილამ,—საქმეს ჩამორჩები, გაგასწრებენ...

— ვერ მაჯობებენ, სამი ქალის ოდენას კიდევ გავაკეთებ!—იმედიანად სთქვა თონამ, მხრები შეარხია, იცინოდა.

ეტყობოდა ამ კუნთსხვილ ქალიშვილს იოლად შეეძლო სამი ჩია ქალის ოდენის გაკეთება, შეეძლო ყოველთვის, მშვიდ განწყობილების დროსაც და ახლა მით უფრო ანთებულებით, ანთებოდა მთელი სახე, თუმცა ძნელად ეტყობოდა შავგვრემან პირისკანს, მაგრამ თვალები ამვლავნებდა ჩქროლვას, თრთოლვას. თანდილა კი ხშირად ატყობდა, რამდენჯერმე უბრძანა

წასულიყო, მაგრამ არ იძუროდა თენა. იტვრენდა... ხერხი იხმარა, თენა ლამ, ბეჟანის ხალათის ქვედაპირით და, არხის გასწვრივ გაიყოლია. ნუთუ აედევნება თონა?!

რამდენიმე ნაბიჯი გადასდგეს. მოხუცი შედგა, კისერი აიღერა, რალაც ხმა ესმა, შორეული ხმა. იყო ერთხანს ასე, ხმაც ახლოვდებოდა. მერე სულ ახლოს, იქვე მათ წინ აიბოჯკა.

— ეს ჩვენი კოლმეურნეობის ორთვალა ეტლია, — სთქვა თანდილამ, — შიგ უთუოდ ფირანი ზის, რატომღაც სალამს აგვიანებს. აბა, ბრძანე, ფირან, ბრძანე, ხმა გაგვაგონე და მივხედები, რომ ამ დღით ბედნიერი ხარ!..

— გამარჯობათ!—სიხარულით დაიძახა ფირანმა.

— აკი ვთქვი, აკი ვთქვი! — გაიხარა მოხუცმა, წინ წაიწია ხელბეგაწვდილმა, ცხენს შეეხო. ჩაჰყვა ხელნას და ცხენს ძღამდის... მერე ეტლს მისწვდა... როცა ფირანის მსხვილ მუხლს შეეხო, მკტი იმედი მიეცა. ფირანი ილიმოდა, არას ამბობდა, უცდიდა — რას იტყოდა თანდილა. მის მსხვილ მკლავებსაც მისწვდა თანდილა, მისწვდა გულს მიხუტებულს... ზმუჯუნი ესმა,—ბავშვი! აკი ვთქვი, აკი ვთქვი! — იმეორებდა თანდილა. ხელებს მუღარით იწვდენდა, სურდა ბავშვი გადაეცა ფირანს. ეტყობოდა უარს იოლად ვერ გაუბედავდა მოხუცს ფირანი, ბავშვი თანდილას მკლავებში აღმოჩნდა... ატირდა ბავშვი, ფირანი და ბეჟანი შეაკრთო ბავშვის ატირებამ, თანდილამ მუხლის კვირისტავზე მოუჭირა ხელი და უფრო აატირა.

— სალი ფილტვები აქვს,—სთქვა თანდილამ,—კაი ვაყვაცი დადგება!.. გაიზარდე, გაიზარე!.. შენ უფრო ბედნიერი იქნები!.. პაპაი!.. როცა მკლავში ძალა მოგეცემა, როცა ამ დიდი ომის ამბებს მოგიტხრობენ, ზღაპარი გეგონება და ინატრებ... რას ინატრებ?! ჩვენც ხომ ამირანობა გვინატრნია!..



გარკინსკის

დავით აღმაშენებლის ლაშქარად ყოფნა მოგვხებები...!

ბავშვი გაჩუმიდა. დიდი შავი თვალები მიმოატრიალა, უსინათლო მოხუცს მიაჩერდა დინჯად, მშვიდად, თითქოს პასუხს აპირებდა. თანდილამ კიდევ მოუჭირა ხელი მუხლის კვირისტავეზე. ისევ ატირდა ბავშვი, ფეხები გაასხმართალა.

— ჰოჰო, რა ღონიერია!.. რა ხნი-ჭაა?— იკითხა თანდილამ, მაგრამ ფირანმა აღარ დააცალა, წყრომით ჩამოართვა ბავშვი, არა, სიტყვა როდი უთქვამს, თვალებში ეტყობოდა წყრომა.

— რა შეუბრალებელი ხარ, პაპა!.. — თონა გაწყრა ფირანის მაგივრად.

— ისევ აქა ხარ?! — დაუტატანა თანდილამ. მერე ფირანს მიუბრუნდა, — სამუშაოს აცდენს, ამხანაგო თავმჯდომარევი..

— თონა არაფერს წაახდენს!.. — მიუგო ფირანმა... — ახლავ გაეშურება!.. შენ კი სოფელში არა ბრუნდები? მოდი, ჩაჯექი..

თანდილამ ნაბიჯი გადასდგა, დააპირა ეტლში ჩაჯდომა, მაგრამ შედრკა. თონა და ბეჟანი მარტოდ დარჩებიან!.. შეჩვენებული გოგო!.. ვერა, თანდილას ვერ შეაცდენთ!.. თქვენ ეგებ თვალებით ანიშნებთ ერთიმეორეს, აქაო და თანდილა ვერა ჰხედავდა. ჰმ, თვალთ რომ აკლია, განა აზრიც აკლია თანდილას!.. მაშ, რა ძალას ატანთ, რას ეხვეწებით სამივენი, რად ეწვეით ეტლისკენ?!

— არა, არ მინდა!.. ფეხით მინდა გავლა... ბეჟანი სოფლისაკენ არ წამოვა?

— დიად, დიად!..

რად დაჰყვა ასე იოლად?! ესეც გაიკვირვა, ჰმ, უსინათლო მოხუცი, ეკვიანი მოხუცი...

წავიდწამოვიდნენ.

ტოროლები ელურტულდნენ. შესთამაშებდნენ დილის მზის სხივებს, ხარობდნენ, ლალობდნენ.

მიპქროდა ეტლი, მისი გზის მტერი. აღარ დაილია გზა. თვალი შესწევოდა ტრიალა ველის მაცდურ მანძილს, როცა ყოველი მცირე მოსახვევი გზის დასასრულს ჰგავს, შორეული მთები სულ იქვე ახლო მოსჩანს, მაგრამ მოსახვევი კვლავ გაიშლება, გზა არ იკეცება, მთები ისევ ახლო სჩანს. აი, იქვე მხოლოდ ერთადერთი გადასარბენია... ახლა სოფლის ორლობეც მობეზრდა ფირანს. ყველა ეს მესერი, ალაგ ხარიხა, ყორე, თხრილი, ძეძვი, ტყრუშული, ზედგადმოფენილი ღობის ხილი, მუქმწვეანედ მომჩინარი ნაყოფი ფოთლებში, აღარა თავდება, აღარ გამოჩნდა სახურავიანი ქიშკარი. ჯერ ძალიც არ აყეფებულა, როდის უნდა მიაღწიოს?! მიპქროდა ეტლი.

ასე სულსწრაფი არასოდეს ყოფილა ფირანი. ცხოვრების მანძილზე განეცადა ბევრნაირი წუხილი, ბევრგვარი სიხარული, ბევრი ლოდინი გადაუტანია, ბევრჯერ სწვევია სანტაროს, ათანცქალუბია გული, მაგრამ მის დინჯ სახეს არაფერი გაუმძლავნებია. თითქოს არ შეეფერებოდა ჩქაროვამ მალალ, ჯანსხვილ აღამიანს. ტლანქი ანაგობა თითქო ვერ იგუებს ნახანცდას, სათუთ გრძნობიერებას. ასეთი აღამიანის თვალებს კი არა, მუშტს უკვირდებიან და წარმოიდგენენ უროს, რომლის ქვეშ რკინაც კი ისრისება.

შეიძლება ახლაც ძნელი იყოს მის სახეზე მღელვარების ამოკითხვა, მაგრამ ცხენმა იცის, ცხენი გრძნობს, ყოველწამს მის ზურგზე მათრახი ტყლაშუნობს... კარგი, ესენი, ჰა, მიპქრის, მეტი რაღა შეუძლიან!..

განიერ მკერდზე პატარა არსება მიხუტებული. ფუნჩულა ბიკიკო თვალებს ნაბავს ვაჟკაცის ილღიის ქვეშ, ხშირად ატირდება და აი, მაშინ უნდა ნახოთ, როგორი ნახია ფირანი. მისი

სიტყვა აწყნარებს ბავშვს, მისი ალერსი სიმშვიდეს ჰგენს. მაინც ისწრაფის. მეუღლე უფრო მოუალერესებს, დაამშვიდებს, გაანებიერებს, ქალმა უკეთ იცის ბავშვის ყადრი. მაინც, ვინ იცის როგორი გულისფანქვალით ელოდება... და როდის აქეთია ელოდებიან ჩქროლვით, კანკალით... ოცი წელიწადია, ოცი დიდი სამთარი (სამთარი ყველაზე შემამფოთია ქართლში გულნაკლულთათვის) ნატრობენ არსებას, პატარა ბიჭიკოს, თუნდაც გოგონას, რომ დაირღვეს მათი ერთფეროვანი ცხოვრება, გაჩნდეს ზრუნვა, გულისცახცახი მომავლისათვის. ისე მადლი ვერ დაატყვეს შრომას, ლაზათი ვერ შემატეს ოჯახს. და როცა მეზობლის ბავშვი ატირდება, ისინი ერთმანეთს შეჰყურებენ ყვედრებით... ოცი სამთარია ელიან, გვიან მიხვდნენ მოლოდინის ამოუბას და გადასწყვიტეს სხვისი ძე აეყვანათ შევილად.

მიქქრის ცხენი. მინდორი ჰო, მინდორია, მაგრამ ეს ორობეც რაღა დღეს იქცა დაუღველად. ჰაი რომ მინდორი ერჩივნა, შორიდან კუნძულივით მოსჩანდა ბაღვენახები, იქ, ყველაზე ნაღალი კაკლის მახლობლად თავისი სახლი ეგულებოდა. ახლა ის სანიშნოდ დაიფარა, მხოლოდ ტყრუშული თბრილით ყორე, ძეძვი ენაცვლება ერთიმეორეს... აქა-იქ პალოებს მობმული ღორები ღრუხუნებენ და მატიტელას წიწკნიან.

ძაღლებმა შეჰყევეს. ჰო, ეღირსა, დაიწყო სოფელი.

ორსართულიან ქვეთიკრის სახლთან, რომლის წინ წყალი მოჩხრაილებს და ქანდრები ამოლტილან, ცხენი შეაჩერა... ზეწამომიართა და ღია სარკმელში შეიძახა, მეუღლეს მოუბზო. სარკმელში არავენ ვადმოყუდებულა, არც ხმა რამ სმენია. სწრაფად ჩამოვიდა ეტლიდან, ეზოში შეირბინა, შეირბინა კი არა, შეძუნძულდა. ამ ხორცსავსე ადამიანს არ უხდებოდა აფაცი-

ცება, ნირს არც იშლიდა ხოლმე, მაგრამ დღეს? ჰო, დღეს უკეთესად ვერევა თავს... აირბინა მძვინვარეობაზე შევლო, ბოსტანს გახედა, ბალისკენ გადაიძახა: „რუსუდან!“ მაგრამ არავენს უბასუხნია, მხოლოდ თოვლივით თეთრბეწვა ძალლი მიმოსდევდა და ყოველ დაძახილზე ჰყეფდა.

ცხენი ფრუტუნებდა ალაყაფთან, ფლოქეს ურტყამდა ქანდარს.

ფირანმა ბავშვი მეუღლის საწოლზე დააწვინა, ყურბალიშები ამოუგო... ტირილდა ბავშვი, აღარ იგუებდა ფირანის ალერსს... აივნიდან ჩქამი მოისმა, კარებში მეზობლის პატარა ბიჭი— უშანგი გამოჩნდა. ხელეები თიხით ქონდა მოსერილი, რაღაც ტრაქტორის ფორმის მავგარი ეჭირა, ტრაქტორს თუ ძერწავდა.

— ძალუა ღუსუდანი ქალხლის გასათოხნად მიდიოდა...— აუწყა ფირანს. მას რაე-ს გამოთქმა უჭირდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ბევრი ეტიტიხა.— პატალა ბავშვი!.. ჰე, საიდან მოიყვანე, ძია ფილან?! სად იპოვენ?! ვინ მოგვცა?! ლოგოლ მიყვალს ძალუა ღუსუდანი, ლატო ძალუა ღუსუდანი— ველ გააჩინა ასეთი კალგი ბავშვი?!— აქ უშანგიმ ბავშვის მოალერსება ინება.

ფირანმა დაუტატანა:

— რას გიგავს ხელეები!.. ლოგინს მოსერი!..

უშანგიმ დაჰხედა ხელებს, თითქოს გაუკვირდა, ნაძერწს ხელი გაუშვა, ძირს დაეცა, იატაკს დაეტყება თოთოდახელილი თიხა. ხელეები თეძობებზე მრიფმინდა და ისევ ბავშვისაკენ წაიწია უმანკომ. არც ახლა მიუშვა ფირანმა, ხელეები დააბანინა, ყურიც აუწია და მხოლოდ მერე მოაკიდებინა ხელი... უშანგი იცინოდა, ბავშვიც იცინოდა, ხელფებს ათამამებდა. შეეტბნენ ერთი-მეორეს.

— მე წავალ ძალუა ლიუდმილას დაეუძახებ!..— მოიფიქრა უშანგიმ.

— ო, ამას ძალიან კარგს იზამ!..

— ვეტყვი, ძია ფილანმა ისეთი კალგი ბავშვი მოიყვანა, ისეთი კალგი, ლო... სუ ძია ფილანსა ჰგავს-მეთქი!.. — უშანგომ წასვლა დააპირა. შედგა. — იცი, ძია ფილან, ქალებს ლას ვეტყვი, თავმჯდომალე ისეთი გახალხებულია, ისეთი ლო, ლამდენიც უნდა იზალმაცოთ, ალ გაჯავლდება... — ვიდრე ფირანი დაუცაცხანებდა, ბიჭმა გაიციინა და კისრისტეხით გაიქცა.

ფირანი საწოლზე ჩამოჯდა. ბავშვს დააკვირდა. რატომ არ შეიძლება მართლა ჰგავდეს?! რად არ შეიძლება სიმართლე ღალატებდეს გულუბრყვილო ბიჭის პირით?! მამ, რადა სთქვა?! დიდი რომ იყოს, შეიძლება განზრახულობაში, პირფერობაში ჩამოართვა, მაგრამ ამ ბიჭიკოს პირით მიამიტობა მეტყველებს. შეუტეხობლად აშკარადება გრძნობა, ეგებ მართლა ჰპოვა რაიმე მსგავსება.. და იმ ადამიანის განსჯით, რომელსაც უნდა სასურველით დაირწმუნოს თავი, აკვირდება ბავშვს, ჩასჩერებია თვალწარბს. შუბლს, ფუნჩულა ლოყებს, ტუჩების შეხრის დროს ლოყების ოღნავ შეჩქმეტას, სახის ყდის იერს. შავი თვალწარბი აქვს ბავშვს, ძალიან შავი, ასე შავი, ყურუკით შავი ბეჭანის თვალწარბია... ვინ იცის კიდევ რამდენ შავგერემანს მიამსგავსებს ფირანი. თვითონ კი დიდრონი ჩაღისფერი თვალები აქვს, იერი — ხორბლისფერი... რას მიჰქარავს ეშმაკი ბიჭიკო?! ყურები? მომცრო, პატარა სიფრიფანა ყურები!.. ჰმ, მამ დიდი ყურები ხომ არ ექნება ბავშვს?! მაგრამ არა, სახესთან შედარებით პატარად მოუჩანს ყურები. ფირანის დიდი თავისა და პირსახისათვისაც ხომ უკვირთ მისი პატარა, სიფრიფანა ყურები! ოღონდ რაიმე მსგავსება იპოვნოს, სულ პატარა, მცირე, სულ უმნიშვნელო, დაე, თუნდაც ყურების შესამჩნევი სიპატარავე, ესეც ეყოფა გაუღვივოს, გაუძლიეროს მშობლიური

გრძნობა. ესეც უსაღბუნებს მიმსჯერ გულს.

ალაყათან ცხენი ფლოქვეებს ურტყამდა ქანდარს. ახლა გაარჩია ფირანმა, წამოიჭრა: ამდენხანს როგორ მიატოვა ცხენი უყურადღებოდ?! როგორი ზრუნვით ევლებოდა საყვარელ ცხოველს, სხვას არც კი ანდობდა!.. ახლა სრულიად უპატრონოდ მიაგდო გარეთ, გზაზე! მაგრამ როგორც კი გარეთ გასვლა დააპირა ფირანმა, ატირდა ბავშვი. შეერთა, შედრკა ვაჟკაცი. რა წყალს მიეცეს?! გარეთ ცხენი ფრუტუნებს, შინ ბავშვი ტირის. რა ჰქნას, რომელს მიჰხედოს?! ნეტავ მალე მოვიდოდეს რუსუდანი!.. ფირანი ბავშვთან დარჩა, ოღონდ გული ეწიწკნებოდა ცხენის ხმის გაგონებისას. რამდენჯერმე ფანჯრიდან გადაიხედა, გადაიძახა. არავინ სჩანდა. ბალ-ვენახებში, მინდორში, არსზე გაკრებილიყვენ სამუშაოდ...

აივანი ახმაურდა.

კარებში მალალი, ხორცსმული ქალი გამოჩნდა. აბრეშუმის თეთრი მოსახვევი დასცურებოდა. ნათელ და ცოცხალ სახეს მეტ სინათლეს აძლევდა თეთრი მოსახვევი და თეთრი თმა. ეტყობოდა სრულიად ახალგაზრდას დასწყებოდა მხეცე, ქალიშვილობისასეც თუ აჩნდა ვერცხლის ბეწვები და აი, ახლა, ჯერ შუახანს მიულწვევებს დაბფენია თეთრი, სპეტაკი...

თეთრი!..

მოხუცები თეთრით იწვევენ პატივისცემას. არც შემშქნარი სახე, არც აცხაცხებულნი, დანაოკებული ხელები, არც ღრმად ჩავარდნილი, ოდესღაც ვინ იცის, რა დამატყვევებელი თვალები, არა, სიციცხლის ჭკნობის ეს კანთიელობა არ არის ისე მოკრძალებული, როგორც თეთრი, თავსდაფენილი თეთრი. ეგებ ეს თეთრი, ეს სისპეტაკე აღაველენს საღბუნს და სხეულის ჭკნობის, სიციცხლის ჭკნობის სიმწვავეს ამკრთალებს. და ჩაოდენ სიყვარულს,

მყისიერ თანაგრძნობას იწვევს ჯერ კიდევ ახალგაზრდა სხეულს დაფენილი მბცე!..

— რუსუდან, აი!..— მიუთითა ფირანმა.

მათ აღარაფრის თქმა შეეძლოთ. აქეთ-იქიდან მოუარეს საწოლს და ჩააჩერდნენ, ბედნიერებით აღსავსენი.

ცხენი ფრუტუნებდა ჭიშკართან.

ფირანი ფეხაკრეფით ვავიდა...

მის საწოლში ფუნჩულა ბიჭიკო წევს. ნათელი მოვლებია უმწიკვლო სახეს. რა კარგად ბავშვია, შესცინის, შეჭხარის რუსუდანს, ხელებს იწვდენს, თეთრი, სპეტაკი თუ იზიდავს მასაც. დედაა რუსუდანი? დედა! სხვანაირი დედაშვილობა არც უნახავს: თვითონ უხარია, ბავშვს უხარია, ამავს დასდებს, შეეტკობიან ერთიმეორეს და ვილა იფიქრებს — ვინა შვა?! დედის ხელის მაღლი შვილისათვის, ამაგია ფასეული, მშობელი ამაგით ღირსყოფილა. მაგრამ ძუძუ, დედის ძუძუ?! რუსუდანი უფრო წაიხარა, გულისპირს მოხვდა ფუნჩულა ხელები. მიმოიხედა რუსუდანმა, ჩაიხსნა გულისპირი, ბავშვი წამოსწია და მიაწოდა ძუძუ. ტუჩი აფხუკა ბავშვმა, ხელი გაკურა ძუძუს, არ ინება, აიფშხალა. ეტყობოდა ახალი გადაჩვეული იყო. ვინ იცის, რით ააცრუებინეს გული... რუსუდანი ვერ მიხვდა. შეკრთა... ხშირად, თვალხარბად დაკვირვებია ბავშვს, რომელსაც ტუჩები, ორივე ხელები ჩაველო დედის ძუძუსათვის და სწოვდა, დედის არსებას სწოვდა, დედის სულს, დედის სიცოცხლეს ირგავდა და ხარობდა ამით დედა. უნატრია რუსუდანს, თვალეები მოუხუჭავს და უნატრია, მის არსებასაც ეხარებინა სიცოცხლე... ბავშვი მკერდს მიიკრა, მიიხედა ძალუმად. კიდევ სცადა მიეცა ძუძუ. კარადის დიდი საჩქის წინ დადგა, ჰხედავდა, ახდენოდა ოცნება. მის ძუძუებთანაც იყო სიცოცხლე... „ხიხი..“ ამოიძახა ბავშვმა და

გაიწია, მოშორება ეწადა. ვერა ვერ ინეტარა რუსუდანმა. რა გუფუფუ... რა ვუყოთ!.. დედის ხელს უნებლად იწვდებოდა, ხელის მაღლით იამაყებს ქალი. ვაი თუ მაღლმაც უმტყუნოს!.. ნუ!.. შეიტბებ დედაშვილობას მონატრული ქალი, თავს განაცვალეებს, გახარებს, გაბედნიერებს!.. ძალუმად მიიხუტა. წაიარა მომავლის ფიქრებით...

ბავშვი ტიროდა, მოღლილიყო, შიოდა.

III

თანდილა ტაატით მისდევდა ბეჟანს, არსად მიიჩქაროდა, არ აგვიანდებოდა, არც თუ სახლში სურდა მისვლა. თანდილასათვის განა სულ ერთი არ იყო, სად იქნებოდა? რომელთ არეს ვაჰხედავდა, უცხო ადგილს მოიხილავდა, ან ნაცნობს, შენაწვევს ეწვეოდა!.. მისთვის გარეთ ისევე ბნელოდა, როგორც შინ, მაგრამ მაინც ვერ ითმენდა შინ, მაინც გარეთ ეწვეოდა გული. დაე, ნურას იხილავდა, ხომ მოისმენდა, მაზვილი ყური გაარჩევდა ყოველ ჩქამს, ყოველ რხევას და გონებით იხილავდა სახილველს. დიდი ხანი არ იყო, რაც უაბრმავდა. კარგად ახსოვდა მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ლიახვის ორივე მხარეს თითქმის ყოველი კუნძული გორიდან ჯავამდე... დღიურ მზეს ჰხედავდა (ახლა უფრო მკაფიოდ ჰხედავდა, თვალხილული ხომ ვერ გაუსწორებდა მზერას!) და, როცა შემოღამებას აუწყებდნენ, მთვარეს, მოციკავე ვარსკვლავებს შესცინებდა. ლამიხარში, საქირაოზე სიარულის დროს მიეტკბო, მიემეგობრა... მაგრამ ბოლო დროს სოფლის კუთხე-კუნძული ეშლებოდა, მისი დაბრმავების შემდეგ იმდენი სახლი აშენდა, იმდენნაირად შეიცვალა სოფლის გულის შარა და შეუკები, თანდილამ თავბოლო ველარ აართვა. ვერც ის წარმოედგინა, როგორ გაანათებდა ელექტრონი მათ სოფელს...

ო, ბევრ რამეს ვერა სკვრეტდა თან-
დღილა, სხვისი აღწერით მცდარ სახეს
ქმნიდა, მაგრამ მაინც სურდა ახლო
მოსულიყო.

კარგი მოსაუბრე მთელი საუნჯე
იყო თანდღილასათვის.

გვერდით ბეჟანი მისდევდა. არა,
იოლად არ მოეშვება... ყველაფერი
აინტერესებს: განათლებულ კაცთან,
პირველ ყოვლისა, ქვეყნის ამბებზე ჩა-
მოაგდებს სიტყვას. გაზეთებს თეონა
უკითხავს, ოღონდ თეონას ახსნა
უჭირს, თანდღილა ღირსადაც არა
სთელის ესაუბროს, გაუზიაროს ნა-
გულეები, „კაცი რო იყოს, სხვაა, ქა-
ლი სტრუქონების მეტს ვერას არჩევს
გაზეთშიო!..“ აუხირდება: რად უნდა
ედავოს, რად უნდა ნაყოს წყალი?!
ბეჟანი კი! ჰო, ბეჟანზე ამბობენ, ჭკვიან-
ნაოა, თანდღილაც თავს გამოიჩენს.

— ჰო-და მე გამეცინა, ქაჯან, — ამ-
ბობდა თანდღილა, — მოსკოვიდან გამ-
გზავრებისას, ოთხი მინისტრის მოსკო-
ვის კონფერენციის შეწყვეტის შემდეგ
გადმოდგა ამერიკელი ვაჟბატონი და
ბრძანა: ჩვენ ახალგაზრდა ერი ვართ
და მოთმინება არ შეგვიძლიანო!.. კაია
მე და ჩემმა ღმერთმა!.. თუ სხვები
ძიძგილობენ და ერთმანეთს ბოლოს
უღებენ, განზე დგანან დინჯად და
ორივეს აჭეზებენ „ეცი ბიჭოო!“,
მაგრამ თუ ოდნავ ხელისშეჭრა დას-
ჭირდათ, პერი-ჰა, ახალგაზრდა ერი
ვართ და ვერ მოვითმენთო. — თანდღი-
ლა შედგა, თეთრი თვალები ბეჟანის-
კენ მიატრიალა. — ჰა, შენ რას იტყვი,
ბეჟან? მე კი მგონია ეს მოუთმენლობის
სნება კარგი არ უნდა იყოს!.. იქამც
ყოფილა! — თანდღილას ხელი დაეღალა,
ჯოხი გადაინაცვლა და ბეჟანს მეორე
მხრიდან მოჰკიდა ხელი ხალათის კალ-
თაზე. — ჩვენი სკოლის ისტორიის მას-
წავლებელმა ერთხელ მითხრა: ქართვე-
ლებზე დიდი ხნის მცირერიცხოვანი
ერი მსოფლიოში აღარ არსებობს და
თუ არსებობს, ჩვენი მეასედი წონაც

არა აქვსო. ასეა, არა, ქაჯან? და ცო-
რა დაუმატა: ეს ჩვენი პურადღობის,
გულადობისა და სიღინჯის მემკვიდრე
ჰეჰეი, მესმის, ბეჟან, გულადობა ეგებ
სხვასაც არ აკლდეს, მაგრამ სიღინჯე
და პურადობაა ჩვენი ძალა!.. — თანდღი-
ლა კიდევ შედგა და გაიცინა: — ჰა, ჰა,
ჰა... ახალგაზრდა ერი ვართო და უკვე
დაავადებულან... მოუთმენლობა იოლი
ავადმყოფობა არაა, ქაჯან, — რწმენის
ავადმყოფობაა!.. რას გაჩუმებულხარ,
ხომ არ იღიმები, ხომ არ დამცინი, ე
ბებერი რასა ჩერჩეტობსო!..

— რასა ბრძანებ, ძია თანდღილა!.. —
შეწუხდა ბეჟანი.

— არა, არ გეწყინოს, ქაჯან! ყო-
ველ წუთს ხმა თუ არ მესმის, ეჭვით
ვივსები, უსინათლობის ბრალა, ჩემო
კეთილო!..

ერთხანს ჩუმად იარეს.
თანდღილას სახე უბრწყინავდა. ნა-
თელი ადგა. ო, ნეტა ასეთი თვალები
არა ჰქონოდა, რომ მკაფიოდ ქმნილი-
ყო ქართლელის მთელი სიამაყე. თან-
დღილამაც ინატრა თვალის ნათელი,
სურდა გავეგო, რა შთაბეჭდილებას ახ-
დენდა მისი სიტყვები...

თანდღილას თვალების სიმახინჯეს
თბოქოს ვეღარ გრძნობდა ბეჟანი, შეჰ-
ყურებდა, გაკვირვებით შეჰყურებდა
ამ ნათელი აზრის ადამიანს. მაშულისა
და მოსაველის ყადრი რომ იცოდა, ეს
არც აკვირვებდა ბეჟანს. მრავალი
წლის განმავლობაში მიწა უბრუნებია,
თვითველ ყლორტს მრავალჯერ შე-
მოველებია, აკი ეკითხებოდა კიდევ...
ბეჟანი არც ისე დიდი ხნის წინათ და-
ნიშნეს იმ სოფლის აგრონომად. ჯერ
კიდევ ადგილობრივი ჰავის, ნიადაგისა
და შემგუებლობის დაკვირვებას აწარ-
მოებდა და სარგებლობდა თანდღილას
რჩევითაც. მაგრამ თანდღილა უფრო
შორს სკვრეტდა, ქვეყნის ბედობაზე,
მსჯელობდა გლეხი სადღაც პატარა
სოფელში. თუმცა რა გასაკვირია: რა-
დღიო, გაზეთი, მასწავლებელი... ნათე-

ლი გონების მეტი რაღა უნდა?! ამას ფიქრობდა ბეენი და ისე მიაწიეს თანდღილას სახლამდის, ხმა არ ამოუღია.

— შემოდო, აგერ ჩრდილში დაესხდეთ, რაღაც ლაპარაკის საღერღელი ამეშალა!..—სთხოვა თანდილამ. ეზოს კარი შეაღო.

ბეენი შესვლას აპირებდა, მაგრამ რაღაც გაახსენდა, შეყოვნდა.

— თითქმის თქვენმა მთელმა ჭურჭელმა ჩემთან მოიყარა თავი,—სთქვა ბეენმა,—ვერ მოვათავხელე გამომეტანა, ამ გახსენებაზე ბარემ გადმოვიტან.

— რა ჭურჭელმა?!.. — გაკვირდა თანდილა. კარს ხელი უშვა, მოიხურა კარი.

ბეენმა გაიცინა.

— დიდად მავალებო, ძია თანდილა, დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ რატომ სწუხდებით?!

თანდილამ ჩაახველა, ჯოხს დაეყრდნო. ფიქრმა და ეჭვმა წაიღო.

ბეენმა კიდევ გაიცინა.

— ზღაპარში გამიგონია ასეთი ამბავი: შეხვალ სახლში მოღლილ-მოქანცული, დასიცხული და დაგხვდება ღვინო, ნუგბარი საჭმელი... მომტანს კი ვერა ნახავ! ვერა და ვერა!.. სახლის პატრონმა მითხრა, თანდილა ვიგზავნის, თეონას მოაქვსო...

თანდილამ ჩაახველა, ჯოხი გულზე მიიყრდნო, წაიხარა, ჯოხმა კისერთან ამოყო თავი.

— მე უკვე საგონებელში ჩავეარდი, რით გადავიხადოთ სამაგიერო?! გმადლობო, დიდად გმადლობო და გემუდარებით ნულარ შეწუხდებით!

— მარტოხელა კაცი ხარ, სხვანიირად მოსულხარ ჩვენში... რა მოხდა თითო ჯამი კერძი მოგაწოდოთ?! ერთი ზედმეტი ჯამი ყველა კოჭობში იხარშება...—ჩაიუბნა თანდილამ.

ბეენი გაბრუნდა ჯამჭურჭლის მოსატანად.

თანდილა გაბრუნებული იდგა კარებთან.

დახე ამ შავკანკა თეონას რა უნდა უნდა.. აქამდეც ბევრ თავნებობას ამჩნევდა თანდილა, მაგრამ აპატიებდა ყველაფერს, აქოდა დრომ მოიტანა, ზნე იცვალაო... თანაც მთელი ოჯახი გოგონას აწვა. ოჯახი ოჯახია, — თანდილაც რომ მისი ხელით სატარებელია?! ადელი ხომ არაა უსინათლო მობუცის მოვლა-პატრონობა?! განა უსამართლოა თანდილა სწორედ არ განსაჯოს, გარჯა არ დაუფასოს გოგონას?! თუ ზოგჯერ გულს ვერ მოერევა და გაწიწმადდება, მერე ნანობს, ო, როგორ ნანობს! თუმცა თეონასათვის არასოდეს შეუმჩინეინებია სინანული... და თუ ცოტას ითავნებებს თეონა, მერე რაო, გარჯაც იცის, ქალიშვილობაშიც უნდა ედგას ფეხი. მაგრამ რაც თანდილას თავნებობად ეჩვენება, ეგებ სწორი და მართალია: აკი პურადობას აქებდო!.. ეს ხომ ყოველთვის ყოფილა სოფლის ზნე, სოფლის ლაზათი? ან კი შენვე რად ვერ მოიფიქრე! ყოჩაღ, თეონა, პაპაშენის გამოყრუება გამოგისყიდნია, მისი სახელით მიგირთმევია... ჰმ, ეშმაკის კანჭი... პაპას რატომ არ დაეკითხე?! განა არა, კილოკავად მოკრა ყური: „თეონა ბეენს ებრუნე ქებაო“. თეითონაც ეჭვობდა, მაგრამ არ ეგონა თუ აქამდის მივიდოდა, ისედაც ახვეულ თვალებს უარესად აუხვევდა პაპას!.. კიდევ კარგი, თანდილას სახელით მიგირთმევია. ჰმ, ქანკანჭიელი! კიდევ კარგი, თანდილაც არ დაიბნა, ბეენის ნათქვამი არ გაიკვირვა, ამკარად არ გაგულისდა, ხომ სახელს გაუტებდა გოგონას!..

ბეენზეც აეშალა გული, თუმცა გაუქირდა სააუგოს მოქებნა. სოფელი აქებდა, კარგი მუშაკია, ჭკვიანი, თავმდაბალი და თავაზიანი, თანდილასაც ხომ მეტად მიაპიტად გამოუტყდა, როგორ გაკილოს?! მაგრამ ჰა, მოკრა ყური, ბეენმა ცოლი მიატოვაო!.. ეგებ



ჭორია? ეგებ ცოლია მტყუანი? თან-
დილამ თავი გააქნია, არ სურდა ბეჯა-
ნის განსჯა, თუ რამეს გაიხსენებს, რა-
მეს დაასვენის, მხოლოდ იმიტომ, —
უფრო საფრთხილოდ დასახოს ბეჯანის
საქციელი.

როცა ბეჯანი დიდ სინზე შეწყობი-
ლი ჯამჭურჭელით მობრუნდა, თანდი-
ლა თუთაზე იყო, ჯოხს ურტყამდა ტო-
ტებს, არხევედა, ძირს გოჭები დასუნ-
სულუბდნენ.

— როგორ ახვედი, ძია თანდი-
ლა?!—გაიკვირვა ბეჯანმა. ჭურჭელი
ჯერ არ დაეწყო...

— ერთხელ, მაშინ თვალხილული
ვიყავი, სამრეკლოზე ავედი, — მიუგო
თანდილამ, — განა ხეირიანი კიბე ჰქონ-
და, —თალიდან თალამდის საფეხურებ-
ამოჭრილი თითო ხე იყო მიყუდებული.
როგორ ავედი, მეც არ ვიცი!.. თვალ-
ხილული ვიყავი, მაგრამ თვალხუჭუ-
ლად, ბრმად ავედი, გულმოსული ვი-
ყავი და იმიტომ, გულის ცეცხლი რას
არ ჩააღენინებს ადამიანს!.. — თანდი-
ლამ ჯოხი მწარედ შემოსცხო ტოტს.

— არაფერი გამეგება! — გაიკვირვა
ბეჯანმა. — კარგ ხასიათზე იყავი, ლა-
პარაკის საღერღელი ამეშალაო...

— როგორც ამეშალა, ისე დამეშა-
ლა!..

ბეჯანმა უხრუნველად გაიცინა.

— შე მაინც საქმე მქონდა, ბაღში
შიმინქარება!.. ჭურჭელი სად დაეა-
წყო?

— სადაც გინდოდეს!..

თანდილას მოესმა ჭურჭელის
ფრთხილი დაწყობის ჩხაკუნი, მერე
ეზოს კარის ჭრიალი. ორღობეში მიმა-
ვალ ბეჯანსაც ესმოდა თანდილას ჯო-
ხისცემის ხმა თუთის ტოტებზე, შემხ-
მარი კანი შემოეჭერქა შინდის ჯოხს,
რამდენიმე ჭდე მოეშალა, მაგრამ ეს
ზომ ყველაზე დიდი ნიშანი იყო, ყვე-
ლაზე დიდი ჭდე — შეურაცხყოფის ჭდე!

ოდნავ შრიალეზდა ^{განსჯის} ~~განსჯის~~ ^{ჭრეულ} ~~ჭრეულ~~
ბი კოლმეურნეობის ზეარში. არხეულ
ფოთლებზე შაბიანის ფორაჯები ჩა-
მავალ მზის სხივებს აიბამდა, უფრო
შუქდებოდა ლურჯ-მწვანედ მოხახხა-
სე ვენახი. მზე დაშვებულებო, თითქოს
ვენახს იქით უნდა დაცურებულებო,
თითქოს იქ იყო საზღვარი და მცირე
ხნით სარებს შეეფერხებინაო, თით-
ქოს სარის წვერზე იდგა მზე. ეშვებო-
და ნელნელა, ეშვებოდა მზე, სარის
წვერი ზევზევით იწვედა, პა, ასკრა
მზისგული... აათავა, ვაზის ფოთლები
შომოველნენ, შემოეხვიენენ და მერე
სულ დაიფარა. ვენახში მოსჩანდა მზის
დაბნეული სხივები, ხან აქ, ხან იქ გა-
მოიქიპატებდა, თითქოს იმალებოდა,
თამაშობდა, თამაშობდა, თავს იწონებ-
და. ზეცა კრიალებდა, დაბლა იწვედა
ულაქო ზეცა, ხოლო მკრთალად, ძა-
ლიან მკრთალად, ნამგალა მთვარე მო-
სჩანდა... ბაკოს მოიდგამდა, გაიბადრე-
ბოდა, როგორც კი მზე ვენახიდანაც
წამოჭრებდა სხივებს.

მწკრივებიდან ქალები გამოდიო-
დნენ, ღლია-ღლია ვაზის ნამსხვრევები
გამოჰქონდათ. კორდებზედაც ეწყო
აკონილი ნამსხვრევები. დღეს ვაზს ახ-
ვედნენ. ბეჯანი გაპყურებდა ვენახს.
შესუფთავებული იყო ყოველი ვაზი,
მზის სხივი თვითეთულს ევლებოდა,
ყოველ მწკრივიდან, ყოველ განიდან
თვალს სჭრიდა სხივი.

გზაზე მტვერი იდგა. ნახირს მიერე-
კებოდნენ. ბაღებიდან ხბორების ბლა-
ვილი ისმოდა. ძუძუ დაუგვიანდათ?..
პატარა ბოჩოლები! წყნარად არიან ღი-
ლიდან სალამომდე, საბელს როდი ეწე-
ვიან, ბალახს წიწყნიან, მერე წამოწვე-
ბიან და იცოხნიან ისე კარგად, ისე საა-
მოღ. პატარას ხომ ყველაფერი უხდე-
ბა!.. დილიდან სალამომდე ხმა არ ამოს-
ცდებათ, მაგრამ პე, მზე როგორც კი
დაეშვება, ვეღარ ისვენებენ, ბღავიან,

იწვევენ, არხევენ საბელს, აწყვეტას თუ ლამობენ, აკი ზოგჯერ აიწყვეტენ კიდეც...

— თეონა, გოგო თეონა!...— შორიდან მოისმა თანდილას ხმა.

თეონა ჩამორჩა ქალებს, ორიოდ ზედმეტი მწკრივის ახევეა კიდეც განეზრახა, ჰა... ჩაათავა კიდეც. ბეჯანმა თანდილას ხმის გაგონებისას შენიშნა ერთი ზედმეტი ჩრდილი ვაზებში. ადგილი ინაცვლა, წიახარა, მზემ უჭერიტა, მაგრამ ხელი იფარა და აფაციცებული დააკვირდა ჩრდილს.

— პაპაშენი გეძახის, თეონა!— გასძახა ბეჯანმა.

თეონამ ის იყო ცა აუკრა ვაზს, გაიცინა, ემა ბეჯანის ხმის გაგონება.

— პაპა გეძახის!...— კიდეც უთხრა ბეჯანმა, ახლა უკვე უახლოვდებოდა.

— ნეტა რა უნდა?!

— რამე თუ დააშევე!...— იხუმრა ბეჯანმა.— რად ჩამორჩენილხარ?..

— აი, სულ ორი მწკრივი აკლდა გათაებებს... არ მიყვარს თავმოუბმელი სამუშაო.

კიდეც გაიცინა თეონამ ოდნავ, მოწყვეტილად, სახე კი უდიმოდა... ფერხითი ვაზის ნამსხვრევები ეყარა, კანკსაც შემოხვევოდა ხვეენას ჩვეული კავი... შუბლზე, თმის ძირებთან ოფლის რამდენიმე ბურთული აჩნდა. ოფლი ორგან დაეცურებულებოდა, ოფლის ნაკვალევი ბზინავდა შუბლზე. დაღლილობისაგან ოდნავ მინახებული ელფერით, აქ, ვაზის მოშრიალე ლურჯ ფოთლებში, მზის ჩასვლისას მშვენიერი იყო შეატუტა გოგონა. უთუოდ იგრძნო ეს თავისებური სილამაზე ბეჯანმაც, თვალი რამდენიმე ხანს ვერ მოსწყვიტა, ვერც სიტყვა სთქვა, შესცინოდა ისიც. ბოლოს ისევ შან დაარღვია უხერხული მდგომარეობა, ოღონდ კვლავ გაიმეორა:

— პაპა გეძახის!..

— გავიგე!...— წყრომით სთქვა თეონამ და ტუჩები გაბუსხა. რადგან ბე-

ჯანი კვლავ ღიმილს განავრძობდა და აღარაფრის თქმას აპირებდა. მსხვრევები წამოჰკრია ბეჯანმა, კიდეც გავიდა... არა, თეონამ არ იცოდა რა სურდა? რად გაიბუსხა? ხომ ემა ბეჯანის შეხვედრა? ყოველთვის ეამებოდა, უსინათლო პაპამაც შეატუტო იმ დღეს. ახარებდა მისი სიტყვა, განა იცოდა რად? განა უფიქრნია ამაზე!.. თავისთავად მოხდა, რაღაც ჩადრი მოიხსნა გულმა, გაიხარა და განა ვინმეს შეუძლია ახსნას სიხარული?! მაგრამ ახლა მინც გაიბუსხა, ეგებ განგებ? ო, არა, ხალასი და მიამიტი გოგონაა!.. ეგებ წყრომამაც შეუცნობლად ჩაუფრთიანა!.. ჰო, აქ კი უკაცრავად!.. თეონამ იცის მიზეზი ამ მკრთალი წყრომისა: ნუთუ ბეჯანს ლაპარაკი არ შეუძლია?! „პაპა გეძახის, პაპა გეძახის!“ ჰმ!.. ამ ნეტარ წუთს ისედაც უამტრად ჩაესმა პაპის ძახილი, რაღა შენი შებანება უნდა!.. მაგრამ მინც რა გსურს ბეჯანისგან, გოგონი?! რა უნდა ვითხრას?! არა, თეონამ ეს არ იცის: სურს უხაროდეს, სურს წყრომა არ შემოეფინოს, ნუთუ ვაეკაცმა არ იცის, რად გაიხარებს წრფელი ქალიშვილის გული?! მიხვდა თეონა, თითქოს ბაგე შეხსნია ბეჯანს, ისე შეარხია, აღბათ, ისევ უნდა დაიბუბუნოს „პაპა გეძახის!“ თეონამ მხრები შეიმშრმუნა, თვალი მოარიდა:

— ერიპა, რა უმიზეზო წყრომა გცოდნია!

— ძალიანაც კარგად მიქნია!..

— ეს თქვენი გვარის თვისება თუა, ძია თანდილაც ხომ უმიზეზოდ შემომწყრა ამდღეს...

— როდის?!

— აი, იმდღეს, მინდერიდან რომ გამოვაცილე...

— ეგებ მოუწონარი სიტყვა უთხარი!..

— კრინტიც არ დამიძრავს, სულ თვითონ ლაპარაკობდა. უხაროდა ჩემთან საუბარი, სახლშიაც მიმიწვია!..—

აქ ცოტა ხანს დადუმდა ბეჟანიც, ნხარ-
დამხარ ამოუდგა თეონას...—რატომ-
ღაც სწორედ მაშინ გამახსენდა თქვენი
ჭურჭელი... აი, შენთვისაც რომ დღემ-
დის არ მიტყვამს მადლობა!..—ბეჟანმა
თეონას თვალებში გაკვირვება ამოი-
კითხა:—ნუ იუარებ, ნუ იუარებ!..
ჩემმა სახლისპატრონმა ყველაფერი
მიიხრა!.. შენ და პაპაშენს გინდათ
სიკეთე გასწიოთ ისე, რომ მოვალეობა
არ მაგრძნობინოთ?!

—ჭურჭელი მაშინ მიიტანე?! —
თეონას ხმას ოდნავი რყევა ეტყობო-
და.

—ღიად!.. მიეიტანე და ძია თან-
დილამ ჩემთან ლაპარაკი აღარ ისურ-
ვა... ვერაფერი გავიგე, დღესაც ვერაფ-
რით ამიხსნია, თუ არა უცნაური აზი-
რებით...

თეონამ თავი დადუნა. ახლა ჩრდილი
წაეფინა მის სახეს და ოფლით ნაკვალ-
მა თითქოს კმუნვის ელფერი შემატა.
ახლა-ღა მიხვდა დანაშაულს, მიხვდა,
რაოდენ უხერხული იყო პაპის დაუ-
კითხავად ამ ნაბიჯის გადადგმა. მაგ-
რამ დღემდის რომ არაფერი უთხრა
პაპამ?! თუმცა უფრო მწყრალად ელა-
პარაკებოდა, უფრო ხშირადღა ავ გუ-
ნებაზე, უფრო ეკვიანი გახდა, ახლაც,
ვინ იცის, ექვს აუფლოფინებია მოხუცი,
ხმა ჩახლეჩია ამდენი ძაბილით: „თეო-
ნა, გოგო, თეონა!“ წამოუბერავდა ქა-
რი, აიტაცებდა, ჩაიშრიალებდა და ჩაი-
ხვევდა ვაზის ფოთლებში.

—თეონა, გოგო!..—კიდევ მოისმა
ხმა... ახლა ეს ძაბილი აეტოს გუგუნმა
ჩაიხვია. მტვერი ააბორიალა და ბენ-
ზინის სუნის მოიტანა ქარაა. ეენასთან
შედგა აეტო-მანქანა. ძარიდან მაფრა-
შა ჩამოიღეს, კაბინიდან ახალგაზრდა
ქალი გადმოვიდა. აეტომ გზა განაგრ-
ძო... ქალს მოკლე-სახელოებიანი აბ-
რეშუმის კაბა ემოსა, საღამოს სიგრი-
ლე თუ იგრძნო. მკლავზე გადაკეცილი
თეთრი ლაბადა სწრაფად გაშალა და

საიცა. აერე მაფრაშას ჩაეჭიდა, გზი-
დან ეენახის პირას უნდფლუ გუდღიანა,
ემძიმებოდა. ნაზი ატმფლუჩქმჰჰჰჰჰ
ქალი... როცა გაუჭირდა, მიმოიხედა
ირგვლივ, თითქოს ბეჟანისა და თეონა-
საკენ წარსდგა ნაბიჯი, მაგრამ უც-
რად აცახცახდა, წარბი შეიყრა და შებ-
რუნდა. რაღაც დაემართა ბეჟანსაც,
თითქოს ათრთოლდა, დიდი თვალები
ნისლით აღევსო, ბავე ველარ შეკრა,
კრიკა უკანკალეზდა. თეონა დააკვირ-
და: სხვა დროს ვერ გაპბედავდა, მაგ-
რამ ახლა შეეძლო. თეონა სულაც
დაკვიწყებოდა, თითქოს, იმ ქალს შე-
ეპყრო, ან ეგებ ისიც გადამქრალიყო
და გოგნებულს უსაზღვრო სიერცე,
უსაზღვრო სიცარიელე გაშლოდა
თვალწინ.

—მე ამ ქალს უნდა მივხედო!..—
სთქვა თეონამ.—ეტყობა უცხოა ჩვენს
სოფელში!..—თეონამ გაუსწრო ბე-
ჟანს, ორიოდ ნაბიჯის შემდეგ მოიხე-
და, ვაზებს შეჰფარებოდა ბეჟანი.

—გამარჯობათ!—მიესალმა თეონა
უცხო ქალს.

ქალი მყის მოტრიალდა, ხელსახოცი
მოიშორა თვალებიდან, მოულოდნე-
ლად შემკრთალი ადამიანის ღიმით მი-
უგო:

—გაგიმარჯოთ!
სანდომიანი სახის ქალი იყო. მხრებ-
ზე დაპყროდა ხვეული წაბლისფერი
კულულები. სხეული ნაზად ნაგები
კმონდა, თანხმიერად, ლამაზად ნაგე-
ბი... თეონა ხარბად აკვირდებოდა, ეტ-
ყობოდა, მოეწონა. უცნობი ნასიამოვ-
ნები იყო თეონას ხილვით.

—ჩემი სახელი და გვარი ასმათ
გვრიტიშვილია.—ქალმა ხელი გაუწო-
და თეონას.—აქ პირველადა ვარ, პირ-
ველი აქაურიც თქვენ შემხედით, დი-
დად უკაცრავად, მაგრამ მიმაცილეთ
საექიმომდე!..

—დიდი სიამოვნებით, მაგრამ ახ-
ლა იქ...

— მე აქ ექიმის თანაშემწედ დამინშეს...

— სასიამოვნოა!.. ახლა იქ ექიმს ვერ ნახავთ... თუნდაც პნაზოთ, ახლა მხოლოდ მოსვენებისთვის თუ იზრუნებთ, ბარემ ჩემთან წამობრძანდით, აი აქვე ვცხოვრობ... ავწიოთ მათრაზა, თუ შევძლებთ, ვიდრე ვინმე მოგვეშველებოდეს.

— არა, რატომ შეგაწუხობთ!

— თუ სტუმრობას შეწუხებდად სთვლით, სულ ერთია, ამალამ ვინმე უნდა შეაწუხოთ, ამალამვე ბინას ვერ გამოგიძებნიან.

ასმათს ეამა ეს პირდაპირობა, თითქოს მეტი სიახლოვე იგრძნო თეონასადმი, თეონასთან ერთად დასწვდა მათრაზას, მაგრამ ისე მარჯვედ მერ აიტაცა.

— თეონა, გოგო!..—ახლა სულ ახლოს მოისმა. გზაზე თანდილა გამოჩნდა.

— სტუმარი მომყავს, პაპაჩემო! — შეაგება თეონამ.

თითქოს მყის დაცხრა აღვზნებული თანდილა, არა, გაცხარებაც, აყვირებაც სურდა, ოღონდ სტუმრის ხსენებამ შეაოკა.

— სტუმარი?! კარგია!.. სალამს რატომ არ მიძღვეს?!

— გამარჯობათ, გამარჯობათ!..—სიცილით სიტყვა ასმათმა.

— იცოცხლე, გაგიმარჯოს!.. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ბრძანდებით, მე ასე მგონია!.. კარგია, გამახარეთ სტუმრობით!.. აბა, სტუმარს მე გავუძღვები, რას იცინი, კულრაპავ! განა სახლის კარს ვერ მივაგნებ?! შენ ხბო მოძებნე, აუწყებენია...

— სად წაუა ხბო!..—უზრუნველად სიტყვა თეონამ. მართლაც უზრუნველობა შემოჰფენოდა, ამჯერად ხომ დაცხრა პაპა, სტუმართან ვერ გამოიჩინა გულბოროტობა, ხბოს დაკარგვით გააქარწყლა.

ხბო შინ მისულყო, ბაკში შესჭრო-

და დედას და სწოვდა. სხვა დროს ამაზეც აყვირებოდა თანდილა, ახლა იცინოდა, მხოლოდ თეონასთან, გულმოსულობას შეარავდა ამ სიცილით.

შემოსალამოვდა. იბურებოდა ხეხილით დაფარული ეზო. ფოთოლთა შორის ორიოდგან ციალი სჩანდა, ეს ავარდისფერებულ ცის დასაყლის კიატი იყო... მთვარე ბაკს იღვამდა, ვარსკვლავებიც ჩნდებოდნენ ცაზე. თანდილას ეზოს ჩრდილი მაინც არ ეტეოდა, წამოწუნენ ხეხილები, სულ ერთ ნახტომზე მოინათლიანა ეზომ.

თეონა დაფუსფუსებდა, სტუმარს ევლებოდა.

თანდილა საჩხეხეში იჯდა დაბალ სკამზე. მოესმა, როგორ შემოვიდა ეზოში ვიღაც. მერე ხმაც გაიგონა:

— დედა თეონა!

— ო, რა გენბავს, შემოგველე!

— ცოტა ხანს აქეთ მობძანდით, ცოტა ხანს, ცოტა ხანს!..

თანდილას არ ექაშნიკა ეს ხმა, თუმცა საამოდ დუღუნებდა ბიჭი. ხმადაბლა ლაპარაკი და გახმობა-გამოხმობია დაბრმავების შემდეგ კი არა, წინათაც არ უყვარდა. ალალი და პირმართალი ხმა ბანიდან-ბანზე უნდა ისმოდესო... ეს ეშმაკის კერძი რალაცას ეჭურჩულება თეონას. მერე ეზოს კარს უახლოვდება თეონას ფეხისხმა. კარი ჭრიალებს, ჩქამი ინთქმება.

— პატარა ეშმაკო!—დაიძახა თანდილამ.

გადევნებული ბიჭი კარიდან გამოტრიალდა.

— მე მიძახი, პაპა თანდილა?

— ხო!.. უშანგი არა ხარ?

— დიალ, უშანგი გახლავალ!..

— მომიახლოვდი, ეშმასკანუო!..

უშანგი თანდილასთან მივიდა.

— აი, აქ გახლავალ, პაპა თანდილა!

— რახან აქა ხარ, ახლა ეს მიბრძა-

წე, მოწყალეო ბატონო, გვიანობამდის რად არ იძინებ?...
 — თუ კი აღ მეძინება?

— უნდა დაწვე და დაგეძინება.. ნათქვამია, კიტრი წოლით იზრდებო, შენ ვაზრდას არ აპირებ?

— მეღე, მე ხომ კიტლი ალა ვალ, პაპა თანდილა!

თანდილამ გაიცინა. უშანგიმ თავი მოიწონა მოსწრებული სიტყვით. წათამამდა, ცერები ოდნავ შეახო მუხლის თავებზე.

— ეშმაკისფეხო, — სიცილით სთქვა თანდილამ და უშანგის თავზე დაუსვა ხელი, — ახლანდელ ბავშვებს ენა დედის მუცლიდანვე დაგდევთ...

თანდილას აღარ მოეწონა ბავშვის ამდენი ტიტინი. ათროლებული თითები ნელნელა დააცურა უშანგის თავიდან, კისრის ძარღვს მისწვდა, მოუქირა. აყვირდა ბიჭი. თანდილა ხითხითით ახშობდა ბავშვის ხმას. ხელიდან ვაძრომა მოახერხა უშანგიმ.

— საღ მიხვალ? — დაუტია თანდილამ.

— ალალ მინდა! — მწყრალად მიუვო უშანგიმ.

— კარგი, მო, შევრიგდეთ, მოდი არაკს გეტყვი!

— აღ მინდა, ვიცი ლასაც მეტყვი: იყო ელთი ბიჭიო, ჰქონდა გძელი ენაო... გაახულეს მახათიო, გაუყალეს ენაშიო... აღ მინდა!..

— არა, სხვას გეტყვი!.. მოდი, მოდი, მოიყევე ისევ ჩემთან!.. თავი მუხლებზე დამაყრდნე... პო, ასე!.. ახლა ყური მიგდევ: იყო ერთი საწყალი, მშისარა კურდღელი. მოსწყინდა, მობეზრდა ამდენი შიში და სოფლის სამდურავი. სთქვა, მე რალა გასაჩენი ვიყავი ქვეყნად, ყველა მე მერევა, ყველა მე მზაგრავს, ყველაზე საცოდავი მე ვარო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, რამდენი ფიქრიც კი შეეძლო იმის პატარა თავსა, გადასწყვიტა: სიკვდილი მიჯობს, ვიდრე ყველაზე უბედუ-

რი ვიყევი, და... იშვირა ფეხი. არ დაძინო!.. იშვირა ფეხი... ერთი კიდე გაჩვენდა... ტყე-ველს, დაენანა, სიცოცხლე დაენანა, მაგრამ უკან აღარ დაიხია, ის იყო ტბასთან მიაწია, მაგრამ ვიდრე გადავარდებოდა ტბაში, კიდე ერთი სამდურავის სათქმელად შეუყონდა. ამა-სობაში ბაყაყი გამოძერა ბუჩქებიდან დაფეთებული, შიშიანი ყიყინით ჩავარდა ტბაში... ხელახლა გაახვდა კურდღელმა ზეცას, ტყე-ველს, დააკვირდა წრეებს წყლის პირზე ბაყაყის ჩახტომის ადგილას და ერთი ფიქრი კიდე იფიქრა, ჰეჰეი, ჩემი მოშიშიც, ჩემზე საწყალიც ყოფილა ქვეყნადო... ეამა კურდღელს, დამშვიდდა, მერე გაიცინა და იმედიანად მოკურცხლა ტბიდან... რაც უნდა საწყალი იყო, ყოველთვის აღმოჩნდება შენი ბედის მონატრული. გათავდა. მორჩა... თავს აღარ იღებ, უშანგი?!

— ალა, კიდევ მითხარი!..

— გეტყვი, ოლონდ ერთი სიტყვა შენც მითხარი!

— ლა?

— საღ წავიდა თეონა?

— აგლონომმა დაუძახა!.. — უშანგიმ მყისვე ტუჩებზე იტაცა ხელი. გვიანდა იყო. თანდილა ზეწამოიჭრა.

— ალალ მეტყვი, პაპა თანდილა?

— ძილის დროა!.. — დაიბუბუნა თანდილამ ბუბუნა წყრომითა და შფოთით, ბებერ მუხას რომ სჩვეოდა დეკემბრის მშრალ დღეებში სალთვისის ველზე.

— მითხალი, ლა!.. — უიმედოდ შეემუდარა უშანგი.

— მომწყვი თავიდან!..

ეს უკვე აშკარა რისხვა იყო.

არა, ყველაფერი რომ დაუთმოს, ყველაფერი რომ აპატოს, ამას აღარ მიუტევენ თეონას! ვინც უნდა გაკილოს, რაც უნდა სთქვან, დე, უწოდონ გამოყრუებული ბებერი, რომელსაც დროთა ცვალებებისა ვერა გაუგია რა და

კვლავ წმიდა წერილი უღიარებია უმალღეს ზნეობად. ეს ყველაზე დიდად შეურაცხყოფდა თანდილას. თუ ქვეყნად რაიმე სიხარული დარჩენია, ამას ყოველივეს ცვალებათა ალღოს ვრძნობა ანიჭებს. თუმცა პართეა პირი, როგორ გააშჰარაფდა, როგორ გახშარდა ქალ-ვაჟიანა სოფელში, მაგრამ ო, არა, არ ძალუძს თეონასაც მისცეს ნება. აქამდე მწყარალი დუმილით ვერა შესიძინა რა?! ახლა ნახოს! ან კი, პეი, შენ, ამაყო აღამიანო, რად გეგონა, რომ იგრძნობდა თეონა წყრომის დუმილს, რად ჰფიქრობდი, რომ მუხლებზე მოგეხვეოდა და გთხოვდა პატიებას?! ის ხომ სწორედ მაშინაა კარგ ხასიათზე, როცა არაფერს ეუბნები, არ არიგებ, არ ებუზღუნები!... და თუ დადუმდები, დადუმდი, განა არჩევს წყრომის დუმილს სიხარულის დუმილს... „ჭარაფშუტა!“—ტუჩების კენჭით სთქვა თანდილამ. მაშ ახლა წუთითაც არ გაჩუმდება საღთისის ქარივით, ქვეყნის წყველას ვადმოგაფრქვევს, მეზობლებს შესჩივლებს, გზირებს მოგიჩენს... თანდილა ეზოს კარისაკენ წაფარფატდა. გააღო კარი, შიგ გაიხირა და იყო ისე გაოგნებული, ვიდრე თეონა მობრუნდებოდა.

— გამატარე!..

თეონას ხმამ გამოარკვია. იდაყვზე წელი წაელო, მოუჭირა.

— სად იყავი?!

— იმ, გამატა ერთი და!...—მკლავი გაიქნია თეონამ.

თანდილა მაგრად უჭერდა, არ უშვებდა.

— მეხსენი, რა ექნას. სად ვიქნებოდი?! ჯგუფხელების თათბირი იყო!..

— ასე ხელად, ასე კარდაკარი?! რად მატყუებ, გოგო?! განა ბრმა რო ვარ, ვერაფერს ვხედავ?! დანახვისათვის მარტო შავი კაკლები როდი კმარა, აქ, აი აქ (მუბღზე დაიკაკუნა თითი) შიგნით უჩინარი და ყოვლისმკურეტიელი თვალი თუ არა აქვს აღამიანს, ის ორი

თვალიც დაუდგება... მე აქედან ვხედავ, კარგადა ვხედავ ჩემს მერცხვენიკა (მოტყდა თანდილას ხმა) რაინ დამრჩა შენს მეტი, არც შენ ჩემმეტი... შეგრჩი უსინათლო, ხეიბარი... მაგრამ დავრჩი როგორც ოჯახის პატიოსნება!.. შემომხედე, გოგო, შემომხედე ცოცხალ საცოდაობას, გაიხსენე ღედა, მამა, და-მამები, გაიხსენე, შეიბრაღე!.. ისინი მიწას მივაბარეთ, მათი ხსოვნისათვის ჩვენ დავრჩით აქ. — ხმა აუკანკალდა,—წმიდად შეინახე მათი ხსოვნა!..—აქ მღელვარებამ შესწყვიტა სიტყვა.

— რას მეუბნები, პაპაჩემო?! რა დაგემართა?!—აჩქროლდა თეონაც.

— შენ კარგად იცი, რასაც გეუბნები!...—სიტყვა მოიბრუნა თანდილამ, — კარგად იცი, რასაც მიმალავ. ან კი რად უნდა მითხრა?! ვერ ვაივიგებ, ვერას მიგიხვდები, მაგრამ გახსოვდეს ოჯახის პატიოსნება, გახსოვდეს გვარი!...—ცოტა ხანს დადუმდა თანდილა და მერე უფრო ჩქოლოვითა სთქვა:—მეც ნუ მიყურებ, როგორც ჩერჩეტს ბებერს, მიყურე როგორც ოჯახის სინიღისს, ჰო, ასე მიყურე, ქაჯან, და გზას არ ასცდები!.. წადი ახლა, წა! სტუმარს მიჰხედ!

თეონას სურდა ეთქვა, რომ ტყუილად ჰღელვავდა პაპა თანდილა, ტყუილად აღძვროდა ეჭვი, სურდა დაემშვიდებინა, მაგრამ ენა ვერ მოიბრუნა, თვალი ვერ გაუსწორა... აქ, ჭიშკართან, მთვარე ქათქათებდა, უცნაურად ციალებდა, ამჩაუყებლად ჰკრთოდა მოხუცის სევედიანი სახე და ლიბრი თვალები.

V

ბეჟანმა რად იხმო თეონა? იკითხა: რისთვის მოსულეიყო „ის ქალი“. თეონამ მიუგო: ექიმის თანამშემუდ გამოუმწესებიათო... და დიდხანს იყო ბეჟანი დადუმებული, დიდხანს გაკყუ-

რებდა ჩაბინდულ ორღობეს. თეონაც იღვა უხერხულად. მერე გატრიალდა ბეჯანი, არც გამოშვებობებია...

მეორე დილით ბეჯანი გორში იყო, სთხოვდა რაისასოფლო განყოფილების ვამპეს, რაიალმასკომის თავმჯდომარეს, რაიონული კომიტეტის... მდივანს, ნება დაერთოთ — ახლავე დაეწყო ხეხილის დიდი ბაღის დაგეგმვა სალთვისის ველზე. დასთანხმდნენ, ოღონდ არ უნდა მოსწყვეტოდა ძირითად სამუშაოს...

VI

მზე აღვა სალთვისის ველს. ქარი ჰქროდა, პატარა ჭოხს ევლებოდა, ეჭიდებოდა, ზოგჯერ თითქოს წამოაკენსებდა და ქარიც სიამოვნებით დაიქაქანებდა. კარწინ, გაშვებულ ლატანზე პოლოგანიერი თეთრი ნაბღის ქუდი ეკიდა ზონარით. ირზეოდა ქუდი, უმოწყალოდ ირზეოდა. ზოგჯერ ქარი ჭოხს აუქვევდა, შორს თივის. ზეინებს აუჩეჩიდა ცალთას. მაშინ ქუდის რხევა შენელებოდა, ლატანი ჭოხის ჩრდილს გადასცდენოდა, გადაგვალულ ბალახზე ირზეოდა ქუდის ჩრდილი. ბეჯანი პირქვე იღაყვებს დაპყრდნობდა. მის თვალწინ ქანაობდა ქუდის ჩრდილი. მისი ფეხებზეც ასე ქანაობდა, სწრაფად, უმოწყალოდ და ასევე შესწყდებოდა. ზოგჯერ სულს მოითქვამდა, დამშვიდდებოდა.

იქვე ნიველირი, ლარტყები, სარები და რგოლები ეწყო... სარებზე თავი ეღო და გულიანად ეძინა ახალგაზრდას, რომელიც ბეჯანს ბაღის დაგეგმვას შველოდა, მეორე ცეცხლთან ტრიალებდა, სამხარს ამზადებდა. შემწვრის სუნი იღვა ირველივ. ტაფაზე მწერები შიშინებდნენ. ბეჯანს ეს შიშინი ისე არ უწყალებდა გულს, როგორც მაწვნის საწურავიდან ჩამოდენილი წვეთები. სცემს ერთ ადვილას, თანმიმდევრად, ისე ჩაიციებით, ისე გულმო-

დგინედ, თითქოს, მიწის გულამდე უნდა ჩაატანოსო. რა ძალაა, რა ძალაა, რა ძალაა სალი ქეაც ჩაუხვრეტს მწვერულსადაც კი არა, გულმოდგინებით. ბეჯანის გული სალი ხომ არ არის, განკვეთა მკერდი, ჩააწია... ქუდი ქანაობს ვაფაციცებით. ქარი ჰქრის, ჭოხი წამოიკენსებს.

შორს, შაქრის ქარხლის პლანტაციებში, თეთრი თავსაფრები მოსჩანს. თეონაც იქ იქნება!.. კარგია ეს შავტუხა გოგონა!.. წყრება, იბუსხება!.. ჰგონია, ვერა ზედება ბეჯანი მის სიზმრებს, მის ოცნებებს, თითქოს ვერა ჰგრძნობს მისი გულისძვარას... და თვლები ხშირად რისხვით აღევსება. იქ რალაც შემამუფოთი შუქი ციალებს, ეს გრძნობის სიმძაფრის შუქია; სადაც საზღვარზე ვადვივებული ნაკვერჩხლის შუქია, თითქოს ერთნაირად ანთია ქართული ქალიშვილის თვლები სიყვარულისა და სიძულვილის დროს, რადვან ერთნაირი სიძლიერით იცის სიყვარულიც და სიძულვილიც. იქვე სიყვარულთან დარაჯობს სიძულვილი, ბევრს ვერ იტანს ამაყი გული! იცის ბეჯანმა, უყვე საზღვარზეა გადაკიდული. კარგო ქალიშვილო, ნუ, ნუ შეიძლება ბეჯანს მხოლოდ იმიტომ, რომ შენი სიყვარული არ შეუძლია!.. მას თავისი ნაღველი აქვს...

სამხარი მზად იყო. მოსწონდათ ვაქციებს თავთავიანთი ნახელავი: შამფურზე და ერთბოთი შემწეარი მწვერებში, გაწურული მაწონი, გუშინდელი მწვანილი (წყლით საცხე სათლში ეწყობთ გამოსაცოცხლებლად)... პურის ყუა სათლში ჩააწყვეს დასალბობად... და როცა თითო-თითო მწყერი ახლიჩეს, მაშინ გაახსენდათ, რომ კარგი იქნებოდა ორიოდე ჭიქა ღვინოც.

— მეფეს ეკადრება ასეთი სამხარი; ღვინოც რო გვქონდეს!..—სთქვა ბეჯანმა.

— მოდი, გადავირბენ სოფელში!..—წამოიძახა ახალგაზრდამ, რომელსაც წელან ეძინა.

— დაჯე ერთი დაი.. — იუარა მეორემ,—ვიდრე იქ გადაძუნძულდებოდე, სალამო მოვაი..

გულიანად ილუკებოდნენ მამწერალნი. სასმელის ნაკლოვანებას მაინც პგრძნობდნენ და წყლის სურას იყუდებდნენ მალმალე. წვეთი ჩამოსდინდებოდათ, სამთავეს დაუსველდათ გულისპირი... ქარი უვლიდა სუფრას, ქამარშემოხსნილი ხალათის კალთებს უფრიალებდა, თმას უჩეჩდა.

ქარმა ცხენის ფლოკეების ხმაურიც მოიტანა. მხედარი მოპქროდა კორდებზე. შემოსწრებული სტუმარი ეამათ მოსამხრეებს, მწყურები მიუფიცხეს ნაკევრჩხალს, ოლონდ ღვინო ახლა უფრო მოისაკლისეს.

— შეადღემშვიდობისა!.. — წარმოსთქვა ფირან ფაელებიშვილმა და ცხენი ცეცხლთან შეაჩერა.

— იცოცხლე!..

— მშვიდობა ნუ მოგეშალოს!..

— გვეწვიე მცირე სუფრაზე!..

— მადლობა მომიხსენებია!..—მიუვო ფირანმა. სახეზე წყრომა ეტყობოდა. აკი თვალსაც არ უსწორებდა ბეჯანს, ნულის მთას გაპყურებდა და ისე ამბობდა: — მინდორში დასახლდი?!

— მინდორში დაესახლდი!..

— შენ საქმეს ვილამ ადევნოს თვალი?!..—ცხენი ტოკავდა, ბუზებს იგერიებდა.—დადექ, შე ვერანო!..—ისე შეუტია ფირანმა, ეტყობოდა თავს ვეღარ შეიკავებდა.

— ჩემი საქმე მინდორშია!—მოუტრა ბეჯანმა.

— მაშ, მე აღარაფერი ვყოფილვარ, მე აღარაფერი მეკითხება!..—ფირანმა აღვირი მოსწია სიბრაზით, ცხენი შემოტრიალდა,—დადექ, შე ოხერო! — ფერდში ჩასცხო ქუსლი.

ბეჯანი აღვირს მისწვდა, შეაჩერა ცხენი.

— ცხენს რას ერჩი?!—გაიღიმა ბეჯანმა, — გაცხარი. ბაღი უნდა დავეგემო-მე-მეტი, უთქმელად როდი წამოუ-

სულვარ! არც ჩემს საქმეს ვცდებო-კანტორაში ზომ არ არის ქრეშქრეშქრეშ ბაღებშია, მინდორშია ღმრწამის მინდორში ვარ!..

ახალგაზრდებმა შეატყვეს, უამური შელაპარაკება მოპყებოდა ამ წასიტყვებას, იქაობას გამოადნენ.

— გიბრძანებ, ახლავე სოფელში დაბრუნდე!—ალეწილიყო ფირანი.

— რა მოგივიდა, ფირან?!—გაიკვირვა ბეჯანმა.

— მე შენი ფირანი არა ვარ, ამხანაგო!..

— უკაცრავად, ამხანაგო ფირან, — ილუწა ბეჯანიც,—მაგრამ ნუ ბრძანებთ ამოდ, რის უფლებაც არა გაქვთ!..

— როგორ, მე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვარ თუ არა?!

— დიდი მაგრამ მე კოლმეურნეობის აგრონომი ვარ, პირნათლად ვასრულებ ჩემს მოვალეობას და გამგეობას უფლება არა აქვს მეტი რამ მომთხოვოს!.. — ბეჯანი თავის ადგილზე დაჯდა სუფრასთან. — მიბრძანებს!.. ქმ!.. ბრძანებებს ფრონტზე ვასრულებდი!..

ფირანი ცხენიდან ჩამოვიდა.

— ძან გაამპარტავენებელი ბრძანდები, ნაოშარო ვაჟკაცო,—ოდნავ რბილად სთქვა ფირანმა,—თითქოს ჩვენ კევსა ვლეკავდით ომის დროს, თითქოს ომი არ გვენახოს... მაგრამ ბრძანებებს ვინა თაკილობს?!.. განა მეოთხე ხუთწლელი ერთი დიდი ფრონტი არ არის?! უფროს-უმცროსობა აქ ვილამ მოშალა?!

— ამიხსენი, განმიმარტე, ვითომ არაფერი გამეგებოდეს?!—მწყრალად შეაწყვეტინა ბეჯანმა.

ფირანი ქოხის კარწინ კუნძზე ჩამოჯდა.

— ბიკო, ეგრე უმალ ნუკი შეფხუკიანდები!..—ხმას დაუწია ფირანმა...— მე თუ ვწყრები, მაქვს წყრომის საბაბი! სულ სხვა გეგმებს ვაწყობდი, სხვა

იმედებს შეეზაროდი და, აი, წინ გადამეღობე... მიწლი ყველაფერს.. ეგრე გაკვირვებით ნუ მიყურებ, ფირანმა იცის, რასაც ლაპარაკობს!.. დღეს ერთი ადამიანის ბედი და მომავალი მეორეს უკავშირდება, მეორეზეა დამოკიდებული, ორივენი კიდეც სხვას ეყრდნობიან!.. ერთი მეორეს უწყობს ხელს, ერთი მეორეს უშლის ხელს!.. აბა!.. ზეც მაზარალებ და შენცა ზარალობ!..—ფირანმა კენძი ახლოს მისწია ბეჯანთან.—აი, ყური მიგდევ ეს ურწყავები მსუქანი მამულებია, უკუღმა რო გადაავდო მარცვალი, წაღმა იხარებს, ოღონდ პატარა სინხინტე უნდა ნიადავს, ცოტა წყლის მიშველება და კირნახული აღელდება!.. ახლა ოცნება ხომ აღარ არის ამ ველის მორწყვა?! აგერ არხის ძირითადი საშუალები მთავრდება, სალთვისზე ლიახვის წყალის მადლი ცოცხლდება და ჰექტარზე ოცდაათ ცენტნერ ხორბალს და სიმოცდაათ ცენტნერ სიმინდს იოლად მოვიყვანთ!..—ფირანს სახე გაუნათდა, — ვერ გამოგე, რას გეუბნები?! რა დაგემართა?! აღარ გახსოვს ეს რიცხვები სადა სწერია?! შენ კი აქ ბალის გაშენება განგიზრახავს!.. ხილი ხუთმეტ წელიწადს მაინც არ მოგვეცემს ხეირიან მოსავალს... თხუთმეტი წელიწადი ცოტა ხომ არ არის?! რაღას უნდა მოვეწიოთ?! გესმის?!

— რაღაც არ მესმის!..—თავი გაიქნია ბეჯანმა.

— კარგი ერთი, სულკურთხეულის შვილი!.. უმადლესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებულება არ გახსოვს?!

— როგორ არა?!

— მერე-და იქაა ოცდაათი ცენტნერი ხორბალი და სიმოცდაათი ცენტნერი სიმინდი... მე სულ ეს რიცხვები მიტრიალებს თვალწინ!.. კალამს როგორც კი მოვაველებ ხელს, ამ რიცხვებსა ვწერ!.. ერთხელ ხეზეც ამოვჭერი, ჰა, ჰა, ჰა!..

ბეჯანმა გაიღიმა.

— ერთი სიტყვით განგიზრახეს სოციალისტური შრომის გმირი ვაჭარა?!

ფირანმა სიამოვნებით შეაქცია თავი.

— მაგრამ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1945—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონში სწერია: „საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდეს მეხილეობა“, ეს როგორღა შევასრულოთ?!—ბეჯანმა თვალი გაუშტერა ფირანს.

— საქართველო მარტო სალთვისის მინდორი ხომ არ არის?!

— სალთვისის მინდორი მეხილეობის მამულია საქართველოში.—თვალს არ ამორებდა ბეჯანი ფირანს.—თუნდ ესეც არ იყოს: ეგ რიცხვები მხოლოდ ურწყავი მიწებისთვის არის გათვალისწინებული, სარწყავისა მხოლოდ შაქრის ქარხალია მხედველობაში მიღებული... —

— ჰა?! — ამოიძახა ფირანმა, საველე ჩანთას გაიკრა ხელი. სასწრაფოდ გაშალა ბრძანებულება და მყისვე „ურწყავი მიწები“ მოხვდა თვალში... მერე არხს შუბლქვემოდან გაჰხვდა, თავი არ აუღია, გრძნობდა ბეჯანის თვალებს წააწყდებოდა, ალბათ, დამცინავად აციალებულ თვალებს. იყო დიდხანს ასე... ერთხელ კიდე გულმოდგინედ ჩაიკითხა ბრძანებულება, მერე აუჩქარებლად დაკეცა... ბეჯანისათვის აღარ შეუხედნია, ისე შეჯდა ცხენზე და არხის გასწვრივ გააქენა. რა შეუბრალებლად სცემდა წკეპლას!.. ცხენს რას ერჩოდა?!

ფირანი სინანულს მისცემოდა. რამ აჩქარა? რად გამოტყდა?! ეგებ სჯობდა გამოტეხილიყო!.. მაგრამ ხმა რომ დაუყაროს ბეჯანმა!.. თუნდ მხოლოდ თანდილას ყბაში მტერი ჩავარდეს!.. ჰეი, რამხელა სურვილი ჰქონია თავმჯდომარეს!.. სურვილი სურვილია, ვის არ აღემერის კარგი აურვილი, მაგრამ ალღო უნდა აერთვას თავბოლოს: სალთვისის ურწყავები, აბა, ვიდ-

რე შემოდგომურები დაიწყებოდეს, სარწყვეებად იქცევა, ასე ახლო ველარ განჭვრიტე, ფირან?!

ვაეკაცია ბეჟანი, სიტყვას არ აიგუნდავებს, ითქვა და გაათავდა, ნათქვამს როდი-ლა გამოეკიდება. მაგრამ ფირანს რალაც აწუხებს, ყელს მოაწვება, შერე სახეს ალი მოეკიდება, მიმოიხედავს, თითქოს ირგვლივ ვილაცებებს ენები გამოუყვიათ და მიაცილებენ... წიკბლას დასცხებს ცხენს, მიქენაობს ცხენი, მაგრამ ვერ ასწრებს სირცხვილს. ერთი შენც, რაც იყო, იყო! აქი წყნარად დაშორდნენ ერთმანეთს... თვალი აქი ველარ გაუსწორა ფირანმა!.. ჰოჰოი, ფირანს რატომ ასდის აღმური, განა როდის დაუღუნია თავი ვაეკაცს?!.. რად აჩქარდა?! მაგრამ ვაეკაცია ბეჟანი, კაცური კაცია, ყველაფერს კარგი მხრით გაიგებს.

უკან მიიხედა ფირანმა. ლარტყას ასწორებდა ბეჟანი... თითქოს ტოტები გაიბა ლარტყამ. ხეხილი ჩარიგდა, ფოთლებში ფერადფერადმა ნაყოფმა იჩინა თავი.

კიდევ შემოსცხო ცხენს.

ქროდა სალთვისის ქარი. ჯეჯილი ირწყვოდა. თითქოს ტალღა ტალღას მისდევდა, მუქმწვანეზე მეტად მკრთალი ოქროსფერი წაიღვივლებდა, ეს მარტო მზის მტვერი როდი იყო, დაყაბნება იწყებოდა.

VII

ის დღე ავზნიანი გამოდგა. თითქოს განგებ ერთად მოიყარა თავი ყველა საწყენმა, ერთად შემოესია და შეაშფოთა დინჯი ადამიანი.

თუმცა ანეულების დასათვალიერებლად იყო წასული, მაგრამ ბეჟანისგან განშორების შემდეგ აღარსაით გადაუხვევია ფირანს. შორიდანაც არ ვადაუღვია თვალი, გული სახლისკენ ეწყოდა. მაინც ხომ ოჯახია სალბუნი, სიმშვიდე, სიხარულისა და ნაღველის

ამოსაქარეველი ყურე. იქ ყველაზე დიდია თანავარძობა, იქაურ მამაკაცს, წრფელი ალერსი და გულგრილობა ლაზე დიდი ქომაგი იმედისა. იმედიც ოჯახშია, ყოველად ძლიერი, ყოველად თამამი... და ამ ბოლო დროს უფრო გაუტყბა ოჯახი ფირანს. თავს გამოუტყდა, რომ ნამდვილი ოჯახი აქამდის არცაა ქქონია: ოჯახი არც დიდი ოთახები ყოფილა, არც ძვირფასი ავეჯი, არც კარგი შემოსავალი, არა, ოჯახის შინაარსი მხოლოდ ზრდა, გაზარებისა და ზრდისათვის გულის ძეგრა, დაუდრეკელი ზრუნვა, სიხსლის ნათესავი, ორი და სამი თაობის ურთიერთობა ყოფილა... ახლა მისი სახლიდან ბავშვის ხმა ისმის, ო, როგორ აზარებს ეს ხმა!.. რა იმედით აღავსებს ვაეკაცს!.. აღარ უკვირს, შეილის ტირილის გაგონებისას რატომ ჰკრთიან მშობლები, რა აიძულებთ იმეშაონ მთავარიან ღამესაც და ყოველ მიმართული შრომადღით უფრო მეტი ალერსი გაუბედონ პატარებს! არა, ფირანს აქამდე ეს არ გაეგებოდა. ახლა? ჰოი.. აგერ გზისპირას ცხვირმოუხოცავი გოგო რომ ვადმომდგარა, აგერ ჩახჩიალაზე მუცელგატირული ბავშვები რომ მუცემპალობენ, აგერ მტვერში ბიჭი რომ ჩამჯდარა, ყველა უყვარს, უნდა ყველას ხელი მოუცაცუნოს, მიუაღეროს.

გამოჩნდა ფირანის სახლიც.

ქანდრები შრიალებენ. შრიალი ესმის ფირანს. ნეტა მისი ხმაც მოესმას, დაე, თუნდაც ტიროდეს, ოღონდ ხმა ისმოღეს. გააღეთ ყველა ფანჯარა, გაიგონეთ, გაიგონეთ, მეზობლებო!

ქანდრები ირწყვიან, შრიალებენ, სხვა რამ ხმა არ ისმის ფირანის კარმიდამოდან.

ფირანმა სწრაფად შიბა ცხენი მარგილზე და აივანზე ჩქარი ნაბიჯით ავიდა. „ნელა!“ მოისმა რუსუდანის ათრთოლებული ხმა. ფირანი შეკრთა, შედგა, ერთხანს გაუქირდა ნაბიჯის გა-

დადგმა, მერე ფეხაკრფით შევიდა ოთახში.

— რა მოხდა?!— იკითხა ფირანმა.

— ავად ვახდა.. — მიუგო რუსუდანმა. მოხურულმა დარაბიდან სინათლის ზოლი შემოსულიყო, ბალიშზე ბავშვის ფუნჩულა მაჯას გადავლებოდა. ლურჯი ფარდა ჩამოუშვა რუსუდანმა, ნათელი აიკრია.

ორთავენი ბავშვს ჩააჩერდნენ... ეძინა, თითქოს წამოშვდარიყო, ოდნავ გადახრილიყო, გერმის დიდ ბალიშს მისწოლოდა. ასკილის ყვავილისფერი აბრეშუმის საბანი ეფარა, მწყობრნაოქვად შემოფენილი. კარგი იყო ასკილის ყვავილისფერ ფონზე ანთებული თვალმიზნევილი სახე, ნეტარი იყო პატარას ყოვლად დაურღვეველი სიმშვიდე, რომ ზოგჯერ ტუნები ოდნავ არ გაეპო და არ ამოეცნესა მეტად სუსტი, გასაგონად სუსტი, მაგრამ გულიდან მომსკდარი იღუმალი ტკივილი.

— აქამდის ტიროდა, ჰყვიროდა, ძლივს დამშვიდდა!.. — ჩურჩულით სთქვა რუსუდანმა და ცრემლიანი თვალებით შეახედა ფირანს, — რაღა გვეშველება?!

— ექიმს შეატყობინე?— იკითხა ფირანმა. ჩურჩული ვერ მოახერხა, ხმა გამოტეხა.

რუსუდანმა თავი გაიქნია.

ფირანს აღარაფერი უთქვამს, ჩქარი ნაბიჯით გაიარა ოთახი, გაბრაგუნდა აივანზე. „ნელა!“ რამდენჯერმე წამოეწია რუსუდანის შემკრთალი ხმა, მაგრამ კიბეებიც რახრახით ჩაიარა... ცხენმა ჩაიხეჩინა, უნაგირის მოხდა თუ ნებავდა, მაგრამ ფირანი ზემოეწოლო. ასე მკვირცხლად არასოდეს შემკვდარა ფირანი. ცხენმა იგრძნო და დაიძაბა...

ცხენის თქარუნმა დაარღვია სიწყნარე საექიმოს ირგვლივ. ცაცხვების ჩრდილი ეფინა მაღალ თეთრ შენობას, რომლის ქვედა სართული აფთიაქს ეკი-

რა, ზევით კი ექიმების თერაპევტის, პედიატრისა და სტომატოლოგის კაბინეტები და საერთო მისაღებე კელაქაც რახრახით აირბინა კიბე ფირანმა, ხელი გაავლო კარებს და უეცრად დადრკა ის აღლევა: ზღურბლს გადალაჯებული გაშეშდა, გაფითრდა, გაწითლდა, თითქოს, სხვა ფერმაც გადაუარა ფართო სახეს ან ეგებ ეს გოცეხული და განარისხებული თვალების ფერი იყო. ესევე ფერები დაჰკრთოდა ფირანის მოულოდნელობით წამომდგარ და ოთახში უხერხულად გაჩერებულ ასმათ გვრიტიშვილს. ამჟამად საექიმოში მეტი არავინ იყო. არც ქვევით ხშიანობდა ვინმე. ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ეს ორი ადამიანი დიდხანს ყოფილიყო უსიტყვოდ და, თითქოს, მოჯადოებულ მდგომარეობაში. შესაძლოა ისინი იმ ორიოდ წუთს ბევრნაირმა გრძნობამ მოაჯადოვა, მაგრამ ორივეს მაინც შიში გაჰბატონებოდა. შიშიც ბევრნაირია, განცდა მრავალი, მიზეზმრავალი, მათი მიზეზი ერთი იყო, მაგრამ სხვადასხვაგვარად შექქანებოდათ გული. მაინც უნდა გატეხილიყო სიტყვა, ავი ასმათმა შეარხია ბაგე, ხმა არ ამოსცდენია, ან ეგებ ამოსცდა, მაგრამ ფირანს არაფერი გაუგონია. ვინ უფრო დაბნეულიყო? ვის უფრო უწიოდა ყური? რომელს უფრო ძლიერ უძგერდა გული?

ჯერ ფირანმა დასძლია თავი, შიგნით შევიდა, ასმათიც შეირხა, სკამი წაუდგა ფირანს, მერე პატარა მაგიდას შემოუარა და დაჯდა. ჩამოჯდა ფირანიც. სიტყვამ მაინც ვერ იჩინა თავი. სხეული კი, რაკი ერთხელ შეირხა, ველარ ისვენებდა, სკამები ოდნავ ქრიალებდა, ხელები უნებლიედ ირზეოდა. მერე სიტყვაც ფირანმა გასტეხა:

— გამარჯობათ!

— გამარჯობათ!— ოდნავ წამოიწია ასმათმა და ისე მიუგო...

ქართლში ოდნავ თავისებურად იციან მისალმება და ამ თავისებურე-

ბას მხოლოდ მაშინ იცავენ, თუ კეთილად არიან ერთიმეორისადმი განწყობილი: ვასაუბრებას იწყებენ ათიოდ ნაბიჯზე მიახლოვებისას, ან საქმიანობას უქებენ (თუ მოსაქმედ წაასწრეს), ან საამოს აუწყებენ, მოკლედ, სხარტად წაუხუმრებენ, უფრო თამამნი ქაჯანაურს ეტყვიან, ამასობაში თავს წაადგებიან და მხოლოდ მაშინ მოისმის რიხიანი, იმედია—გამარჯვება!

ფირანმა პირველყოვლისა სალამი ახსენა, ეს კი ნიშნავდა, უამურად იყო განწყობილი ასმათისადმი.

— აქ რას აკეთებთ?!—ნაძალადევი სიმშვიდით იკითხა ფირანმა.

— ექიმს ვშველი ავადმყოფთა განკურნებას!—ისეთივე სიმშვიდით მიუგო ასმათმა.

— ჰო, კეთილი საქმეა ავადმყოფთა განკურნება, კარგი ხელობაა თქვენი ხელობა!..—ოდნავ ჩაახველა ფირანმა.—აქ, სოფელში, ყველაზე დიდი მოწიწებით ამ შენობაში შედი-გადიან, ყველაზე მეტი სასოებით ექიმებს ეპყრობიან.—ფირანმა ხმას დაუწია.—მაგრამ ნუთუ სხვაგან აღარ არის ასეთი თეთრი შენობა, ნუთუ არ არიან ავადმყოფები, ნუთუ სხვაგან არა სჭირდებათ ექიმებს ავადმყოფთა განკურნების შველა?!

— თეთრი შენობები ბევრგან არის!.. სამწუხაროდ ავადმყოფიც ბევრია... მშველელიც ყველა მკურნალს სჭირდება!..—მიუგო ასმათმა. ლელავდა ისევ.

— კეთილი!—ბრაზიანად ამოიძახა ფირანმა,—მაგრამ რატომ პირდაპირ არ მიპასუხებთ?!

— თქვენ?! — ოდნავ თავი დაჰხარა და ისე გაჰხელა ასმათმა.—თქვენ კი პირდაპირ მეკითხებით?

ფირანი—პირდაპირ? კეთილი, პირდაპირ გეკითხებით, რადა ხართ აქ? ასმათი—ექიმის თანაშემწედ.

ფირანი—ჰო, ჰა, ჰა... პირდაპირ

პასუხი!.. ეს თქვენ უკვე ბრძანეთ!.. აქ, აქ რატომ ხართ? ერთი-მეორე ასმათი—თანახმაში გუჯინდა მის მინისტრის ბრძანებისა...

ფირანი—მინცდამაინც ამ სოფელში?!

ასმათი—ღიად, მაინცდამაინც!.. ფირანი წამოდგა, წინუკუ იწყო სიარული, მაგრამ ადგამდა ნაბიჯს ეს ჯანსხვილი ვაჟკაცი, თითქოს კარადა ირყევოდა. იარა დიდხანს, გაგულსებით. ახლა ასმათმა გასტეხა სიტყვა.

— უფრო პირდაპირ ვილაპარაკოთ, პატივცემულო ფირან.

— მეც ამას ვთხოვთ!.. ფირანმა სკამი მაგიდასთან მიდგა, ასმათის მახლობლად ჩამოჯდა.

ფირანი—ჩვენ ასე შევთანხმდით: ბავშვი ჩემს შვილად მოინათლებოდა. მე ვიზრუნებდი მასზე თავდადებით, აღვზრდიდი წესიერად, შევუწყობდი ხელს მიეღო განათლება, თუ უნარს ვამოიჩენდა, შესდგომოდა მეცნიერების გზას... არაფერს დავზოგავდი, თავს შემოვევლებოდი, დედა მეტს რაღას ისურვებს შვილისათვის?! თქვენ კი, თქვენ... დაივიწყებდით!..

ასმათი—არასოდეს!!

ფირანი—არა, არა!.. დაივიწყებდით კი არა, ბავშვთან ახლო არ იქნებოდით, არასოდეს გაუმკლავებდით თქვენს დედობას!.. ღიად, ჩვენ ასე შევთანხმდით!..

ასმათი—არა, საამისო პირობა არ მომიცია.

ფირანი—რასა ბრძანებთ?! როგორ გეკადრებთ?! მე ასე მოგახსენეთ მაშინ, თქვენ საწინააღმდეგო არა გიუქვამთ რა!..

ასმათი—არა მითქვამს რა, ვლუმბლი, მაგრამ დღემილი განა ყოველთვისაა თანხმობის ნიშანი!

მტკიცედ ამბობდა ასმათი, ელავდნენ მისი თვალები, დიდრონი ჩალისფერი თვალები, ელავდნენ აღსაცხენი ღელის სახამამით. ფირანმა ვერ გა-

უძლო იმ თვალთა შუქს, დალუნა თავი, ფიქრმა წაიღო, რაღამ არ გაუბრინა თვალწინ, რა აზრი არ გაელანდა, მაგრამ ყველამ მოაღბო, გული აუჩქროლა და მუდარა დასცდა ვაჟაკს, მუდარა ნაზი ქალის წინაშე:

— ახალგაზრდა ქალი ბრძანდებით, პატივცემულო ასმათ, თქვენ სხვა შეილიც მოგეცემათ... შეეღიეთ ამ ბავშვს, რაც უნდა აუტანელი იყოს, რაც უნდა ძნელი იყოს, შეეღიეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ორ ადამიანს, მე და ჩემს მეუღლეს, ბედნიერება მოგვანიჭოთ! ნუთუ ქართველი ადამიანისათვის ეს ნაკლები სიხარულია?!.. ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ოჯახს შინაარსი მისცა იმ პატარა არსებამ... ზრუნვით, იმედით, ადამიანთაღმე უფრო მეტი სიყვარულით აღგვავსო. ნუ, ნუ მოგვტაცებთ ყველაფერს... ახალგაზრდა ქალი ბრძანდებით, შეილი კიდევ გეყოლებათ, კიდევ...

კარებში შალალ-შალალი, ტანსხვილი ექიმის ქალი გამოჩნდა.

— თქ, პატივცემულო ფირანი!.. — ამოიძახა ექიმმა.— თხო, იშვითოს სტუმარო... გეწვევინებარ?! რისთვის გარჯილხარ?!!

ფირანი წამოდგა, მკუმწეარ სახეზე ოდნავ იმედის ელფერმა გაჰკრა.

— ბავშვი, თითქოს, ცოტა შეუძლოდ არის!.. — სთქვა ფირანმა და იმავ წუთის მოისმა ასმათის შეშფოთებულ ამოძახილი:

— ბავშვი?!

ფირანმა ტუჩი ჩაიკვნეტა.

— წაჰყევით, ასმათ!.. მეც ახლავე, ახლავე წამოგეწვეით, პატივცემულო ფირანი!.. — სთქვა ექიმმა და გაკვირვებით გააყოლა თვალი აფაციცებულ, შეშფოთებულ ასმათს...

ახლა ფირანი ჩვეულ სიღინჯეს იჩენდა. ნელნელა ჩავიდა, ნელნელა ახსნა ცხენი, ნელი ნაბიჯით გაჰყვა შარას. არას ამბობდა. ზოგჯერ თვალს გადაავლებდა გვერდით მიმავალ ას-

მათს, შემკრთალ თვალებს რომ გარიალებდა, გასწრება რომ სურდა, გადაავლებდა თვალს და აჩქარებულ კდენეს ალიერს ჩამოსწევდა.

VIII

ორ მეზობელ ქალს, რომლებიც რუსუდანს ეხმო, ალბათ, სანუგეშოდ, კიდრე ფირანი დაბრუნდებოდა, დღესაც უკვირს ასმათის სიმშვიდე და აუღმურველობა, როცა ავადმყოფ შეილს მიუახლოვდა. მართლა მშვიდად იყო? ვინ იცის? მეზობლის ქალები ასე ამტკიცებენ. რუსუდანსაც არ აუღია ეჭვი, ფირანიც დამშვიდდა... როცა ექიმმა განაცხადა, რომ ავადმყოფობა საფრთხილოა და სთხოვა ასმათს, რაც შეეძლო ხშირად ყოფილიყო ავადმყოფთან, ფირანს საწინააღმდეგო გულშიც არ გაუვლია.

IX

წვიმა ნატვრად გადაიქცა. მობეზრდათ კაშკაშა ღამეები. შესძულდათ მოწყენილი ცა. თითქოს ღრუბელი გამწყვარიყო, ზოგჯერ თითო-ორილა ქულა აჩნდებოდა, მკრთალი, ფაფუკი, გაიწეწებოდა, გაიშლებოდა და ზეიადობდა ულაქო ლაქვარდი. იმ დღესაც არაჟინ ელოდა წვიმას, ან როგორ უნდა დალოდებოდნენ, ფაფუკი ფრთილებიც არ შეუშინევიათ. საღამოს, როცა სოფელი მობინარების ფუსფუსში იყო, წამოწინწკლა, ხომორ-ხომორი ჩამოჰყარა. გაიკვირვეს, არ დაიჯერეს, ან რა დასაჯერებელი იყო, კრიალებდა ზეცა, მაგრამ წინწკლამ უმატა. ცამაც უეცრად მოიდგა ღრუბელი და წამოვიდა კოკისპირული. სოფელში ერთ-ხმიერი შეძახილი გაისმა, ნანატრ წვიმას შეჰხაროდა დიდი-პატარა, მაგრამ იცბიერა ამინდმა. ჩაიხიხითა ზეცამ, ღრუბელი მყის გადაიყარა, გამოიჰყარა

ტა მთვარემ, უფრო ლაღად აციმციმდნენ პირმოზანილი ვარსკვლავები.

პაერი მიწის სუნით აღვისო.

ჩამოდგა მეტად მშვიდი და ნათელი ღამე. ზოგჯერ ფოთლებს შერჩენილი წვეთები ცვივოდა ხან აქ, ხან იქ და წვეთებს ხმაური იდგა ფირან ფავლენიშვილის სახლის მახლობლად კალმეურნობის ხილნარში. ეს ხმაურიც ატყობდა, აამებდა ბილიკზე მოსეირნე ასმათს. ბავშვი ეკირა ხელში, უკვე დამშვიდებული და ხასიათზე მოსული ბავშვი, რაღაცას ქღურტულებდა, არ ისვენებდა იმღამით. ხელსაც არ აჩერებდა, ფოთლებს ეტანებოდა, მერე შენამულ თითებს ასმათს ავლებდა ნიკაპქვეშ, ლოყახე. როგორ უხაროდა, ფხიზლად, ყოჩაღად იყო სიცხეგამონელებული ბავშვი, ეტყობოდა მთელ ღამეს არ მიღულავდა თვალს. არა, არც ასმათი ინატრებდა ძილს. რა ვუყოთ, რომ ღამეები უტეხნია, ოღონდ კარგად იყოს ბიჭუქელა, ასე შეჰხაროდეს ნამიან ფოთლებს, მთვარის ჩრდილებს, ასე შესციციანებდნენ ასმათს!.. დაე, გათვარდეს ღამეები, განა დედა ღამისათვის დააყვედრებს შვილს?!

ცვივა ფოთლებს შერჩენილი წვეთები.

საღღაც ბულბული ავლობდა. პატარა ბიჭი ჯერ გაინაბა, მერე ტაში შემოჰკრა, რაღაც სასიხარულო აღმოხდა, თითქოს ხელიდან წამოფრენა განიზრახა, მაგრამ ისევ ასმათს მიუბრუნდა, კისერზე მოჰხვია ხელები, მიეხუტა... გლობდა ბულბული, ცოტა შორიდან მოდიოდა ბულბულის ხმა. მთვარის ნათელით აცილებულ ხეხილთა რტოებზე მოირჩეოდა, ფოთლებზე მოსრიალებდა, წვეთების ხმეირებასთან ერთად ეფინებოდა ბილიკზე მოსეირნე დედაშვილს. ერთ წუთს შეწყდა ბულბულის ხმა, მხოლოდ ერთ წუთს. მერე იქვე მახლობლად შესრიალდა ფოთლები, ჩამოცვივდა უფრო მეტი წვეთები და, ახლა-სულ ახლოს ჩამიღერა ვარდობი-

სა და სიხარულის მგალონელმა. ბავშვი-მა თავი წამოსწია, მიხვდა, მთვარეც ტოტი, საღაც ბულბულმა მთვარეზე იქით გასწია დედა... აი, მიუახლოვდნენ, მაგრამ ბულბულმა არ ისურვა ადამიანთან ასე ახლო ყოფნა, წამოფრინდა. ბავშვი ატირდა. მოეხვია, მოეაღერა ასმათი. ბავშვი ხელებს იწვდენდა, აღერსი არ უნდოდა, ბულბულის გალობა სურდა, ბულბული სურდა... მოშორებით ატმის ტოტი აირხა, იქვე ავლობდა ბულბული. ტირილი შესწყვიტა ბავშვი, იქითკენ გაიწია... ბულბულს დასდევდნენ დედა-შვილი, წვიმიან ტოტებს ედებოდნენ, დასველდნენ. როდემდის ივლიდა ასმათი ასე? როდემდისაც ისურვებდა პატარა! მაგრამ აი, რამდენიმე ბულბული ავლობდა, ზოგი ახლო, ზოგი შორს, თითქოს მთელ ბაღს მოეფინენ სიამისა და აყვავების მგალობელნი. ბავშვიმ აღარ იცოდა, საით გაეწია, რომლისთვის მეტი ყურადღება მიექცია. ირჩეოდა დედის მკლავებში, პატარა ხელებს აქნევდა, ხარობდა, სიამის ბგერებს გამოსცემდა. იდგნენ დედა-შვილი მთვარის ნათელით გადაპენტილ ბაღში, ბულბულები შეჰხაროდნენ... და ფოთლებიდან ზოგჯერ ცვივოდა შერჩენილი წვეთები.

უფრო მოხშირებით ჩამოცვივდა წვეთები. ასმათს არ მიუქცევია ყურადღება, არ შეუმჩნევია. ის ერთბაშე მოეჯადოებინა შვილის კარგად ყოფნას და მშვენიერ ღამეს. ან ეგებ, შვილის კარგად ყოფნა იყო მშვენიერება და ქართლის ღამეც ამიტომ ქმნილიყო მისთვის დიდებულად და მომხიბლავად.

კიდევ დაირხა ნაწვიმი ტოტი.

მერე აივანი ახმაურდა. აღეღებულ იფირანი შევიდა საწოლ ოთახში. ჩაწეული ღამეა დაეჩაგრანა მთვარეს, მთვარის ნათელით აღესილიყო ოთახი. რუსუდანს ეძინა. მოღლილ, მოქანცულ სახეზე მთვარის ნათელი ეფინა, თით-

ქოს უზრუნველად მოსჩანდა ქალი. თეთრი ნათელმოსილი თმებიც, თითქოს სხივოდა, კმაყოფილებად, სიამოვნებად მოვლებოდა ქალს. სხვა დროს გაიხარებდა ფირანი, დაჰმზერდა, ჩააჩერებოდა, სიხარულს მოიფენდა, მაგრამ ახლა უარესად გააგულისა მეუღლის სიმშვიდემ, გააბოროტა. უნდა ეყვირნა, სადაღ ჩაწყდა ხმა. ეგებ იყვირა კიდევ, თითქო კურქელმა დაიზრიალა!.. თავს ველარ მორვეოდა ფირანი, დამშვიდება არ შეეძლო... გაიღვიძე, წამოდექი, მიხვდე, ნუ გადმონათხვენიებ სიბოროტეს, დამშვიდე!.. გაუფრთხილდი მეუღლის გულს, გაუფრთხილდი, ფირანი!.. რა მშვიდად სძინავს, რა უზრუნველად!.. როგორ დაჰხარის მთვარის ნათელი!.. კიდევ ახსოვს ბავშვი? დიდალა, დაიქანცა, ღამეები ათენა, ცოტა მოისვენოს!.. ჰა, ჰა, ჰა... იმანაც ხომ ათენა ღამეები, რად არ მოისვენებს?! რად არ ჩივის დაღლას?!
— იძინე, იძინე!.. მაგიტომაც არ გელირსა დედობა!..—მწარედ ამოიძახა ფირანმა.

— ჰა!.. — აღმოხდა რუსუდანს, წამოიწია შეშინებულმა.
მთვარის ნათელზე უფრო შიშინანი ელფერით აღიქვა ქალის სახე. შეკრთა, სიბოროტემ გადაუარა ფირანს. მყისვე ინანა მკვახე სიტყვა, ახლა ტკბილად წაიუბნა:
— ნუ აღგები, ნუ აღგები! ნუ გეზინიან, ასმათთან არის!..
რუსუდანი სწრაფად წამოდა.

ფირანს ჯერ არ გაეზილა, არც ასმათს უთქვამს, მაგრამ ჰგრძნობდა ქალის გული, ეჭვი მოჰრევოდა. ეგებ ეჭვიც არ იყო, მაგრამ ჰღელავდა რუსუდანი. ღელავდა ქალი. ასმათს მეტი გამძლეობა აღმოაჩნდა, უფრო მეტად გაიმეტა თავი ავადმყოფისათვის... ჰო, ეს ეჭვი არ იყო, ეს იყო ჯიბრი, გულმოსულობა, სიძულვილიც, პატარა სიძულვილიც, რაც გამარჯვებულისადმი

აღძვრის სუსტს. როგორა სჯობნიდა ასმათი,—ეს ნაზი აგებულები ქალი? უცხო (მე უცხო!) რად გაგვიფრთხილ მეტად თავდადებული?! რუსუდანს ვერ გაეგო, უყვირდა, უყვირდა სიბრახესთან ერთად. ხან გაკვირვება სძლეოდა, ხან გულმოსულობა. როცა ბაღნი ბუღბუღების გალობით მოცული გახარებული ბავშვი და ბედნიერი ასმათი იხილა, სიძულვილმა სძლია.

— მიბოძეთ ბავშვი! — რუსუდანმა ხელეზი განიწოდა. ხმას აღელვება ეტყობოდა. — თქვენ ისედაც დიდად დაგვაველებთ, გაიტანჯეთ, გაწვალით ჩვენი გულისათვის. უღრმეს მადლობას გწირავთ!.. უსათუოდ გადავიწიეთ ამ პატივისცემას!.. მიბოძეთ ბავშვი!.. უარესად კეთილშობილი ქალი ბრძანებულხართ, მოხარული ვარ თქვენთან დაახლოების, ვისურვებდი მეგობრობას!.. მიბოძეთ ბავშვი!..

— მადლობა?! — გაიკვირვა ასმათმა,—თქვენგან მეკუთვინის მადლობა?! ო, არა! ნუ დაივალბებთ თავს!..

— ო, ეს მეტისმეტი თავმდაბლობაა!.. მიბოძეთ ბავშვი!..

— ჰა, ჰა, ჰა!..

ბუღბუღები გალობდნენ, ცვივოდა ფოთლებს შერჩენილი უქანასკნელი წვეთები და მკრთალი სიცოცხლე ჩაიწნა ამ ხშივრებაში, როგორც მთვარია—ნი ღამის საკინძი.

იდგა ხელეზგაწვილი რუსუდანი.

— მიბოძეთ ბავშვი!

— მოისვენეთ! მოისვენეთ! — ახლა მშვიდად მიუღო ასმათმა,—თავს მხნედა ვგრძნობ, შემიძლია კიდევ ვუთხოვო ღამე, თუ საჭირო იქნება, მაგრამ, ეტყობა მალე ინებებს დაძინებას!.. თქვენ ნუ, ნუ შესწუხდებით!..

შესაძლოა, ახლა, გაცივებამ დასძლია სიძულვილი, ეგებ ორივე გრძნობამ ერთად მოიყარა, ერთად შეიწნა და გააჩინდა, დაამუხჯა რუსუდანი... ბუღბუღებმა რა იცოდნენ, შეჰხარო-

დნენ მთვარეს, დაჰგალობდნენ ნაწვი-
მარ არემარეს.

ბავშვი ხალისობდა, იქნევდა პატარა
ხელებს, ხან რუსუდანისაკენ მიიწევდა,
ხან ისევ ასმათს ეხუტებოდა, მაგრამ
თითქოს არაფერს ჰგრძნობდნენ ქაღე-
ბი, იღვნენ გარინდებულნი, იღვნენ ნა-
თელმოფენილნი ხეხილთა მთვარეულ
ჩრდილის ყდაში.

— მარცხს თქვენი საქციელი! —
ამოსცდა რუსუდანს.

— ჰა, ჰა, ჰა... — ისევ გაიცინა ას-
მათმა.

ახლა კი უნდა გამოჩენილიყო ფი-
რანი, შეეხმინა ქაღებს სულთაბრძო-
ლიდან გამოსაფხიზლებლად, ბავშვს
წაუცაცუნა ხელი და, როცა ბავშვი აე-
ღურტულდა, დრო იხელთა, კრთომით
უჩურჩულა ასმათს:

— ახლა ნუ, ახლა ნუ გაუქვამპრებთ.
აეადმყოფურად მგრძნობიარეა ჩემი
შეუღლე, შეიძლება ცუდად იმოქმე-
დოს!.. თქვენ ძლიერი ქალი ხართ, პა-
ტივემულო ასმათ, დაუთმეთ, უბოძეთ
ბავშვი, — ფირანმა ხელი წაატანა
ბავშვს. — ჰო, ჰო, თქვენ უნდა გაიღოთ
ეს პატარა მსხვერპლი... აჰ, ნურაფერს
იტყვი, ახლა მაინც ნუ... ჰხედავთ?!..
რუსუდანს მხრები უცახცახებდა.

ასმათმა ხელი შეუშვა ბავშვს.

ფირანმა აკოცა რამდენჯერმე, ყელს
მიიჭლო და, როცა რუსუდანი მასთან
მივიდა, მყის გადასცა.

ბავშვი მოღლილიყო, ძილი ერეო-
და... ფირანი და ასმათი წინ წავიდნენ.
ნელი ნაბიჯით გაჰყვა რუსუდანი, უკან
რჩებოდა... როგორც კი ბავშვის მკლა-
ვი მოეხვია მის ყელს, დამშვიდდა, და-
ტკბა, ჩაუქრა სიძულელიც, თუმცა
გაოცება არ დამცხრალა მის თვალე-
ში. მივალურსა, მიესალბუნა ბავშვს და,
მერე, როცა ძილით დამძიმებული თავი
დააწვა მხარზე, ხმას უნებლიედ ამო-
ჰყვა ტბილი „ნანინა“...

იდგა ბუღბუღებისა და ნანინას ლა-

მე... და რომელიღაც ფოთოლიდან
უკანასკნელი წვეთი დეფიციტის
გინგლიციტისა

X

მეორე საღამოსაც ორიოდ ღრუბე-
ლი აჩნდა ცაზე და რამდენიმე მსხვილი
წვეთი ჩამოვარდა. მალე შეწყდა წვეთ-
თა ცვენა. ნათელი ზეცა უღურს არ
იტებდა, მოიკრიალა. მაგრამ ღრუბელ-
მა თანდათან მოიდგა პირი, შეჰკრა თა-
ლი, ჩამობნელდა. კუნაპეტი ღამე ჩა-
მოდგა საღთისის ველზე. ქარსაც
ფრთა აეკრა და გამუფუფა ურყევი
მდუმარება და სიბნელე.

ოღნაეი ბუქიალი ჰკრთოდა ბეჟანის
ქოხიდან. ქოხში მარტო იყო ბეჟანი.
სახელდახლოდ გამართულ მაგიდას
ნიდაყვებით დაყრდნობოდა, წინ ერს-
კინ კოლდუელის მოთხრობების პატა-
რეა კრებული ელო, იქვე წიგნთან—პა-
ტარა ღამფა... იყო მდუმარედ, იყო
ღუმილი, მხოლოდ ღამფაში ნავთის
წვისა და ხამუშხამუშ გადაფურცელის
ჰკრთალი ხმა ისმოდა... მერე იქეჰა, გა-
დანათდა საღთისის ველი, განკრთა
ღამფის ციალი ბეჟანის ქოხიდან, ქო-
ხი კი ერთ წუთს ზღაპრულ გოლიათი-
ვით წამოიშართა... ბეჟანმა თავი აიღო...
მეორედ იქეჰა. თითქოს მიწა შეა-
ზანზარა. ახლა კი წააღვდა ბეჟანი,
ერცელ მანძილზე მისი ქოხი ერთად-
ერთი სიმაღლე იყო, ეგებ მეხს მიე-
კვლია! კარი რომ გააღო და გარეთ გა-
ვიდა, მესამედ იქეჰა, ნულის მთა დაი-
სრა ცეცხლმა და ჩამოწვა ისევ სიბნე-
ლე, ისევ ღუმილი, ტრიალი ველის
უსაზღვრო გარინდება. მხოლოდ ბე-
ჟანის ღამფა ნათელის იმედად ცი-
ლებდა ქოხში. ერთხელ კიდევ გადაი-
გრგვინა, თითქოს, თავიდან ბოლომდე
და მოხსნა ცამ პირი. ბეჟანი ქოხში
შებრუნდა, ისევ მაგიდას დაეყრდნო,
წიგნს ჩააჩერდა... ქოხის კუნძულში
წვეთმა გაიკვლია გზა. დაიწყო დენა
ერთხმეირად, თანმიმდევრად „ტოქ...“

ტოქ... ტოქ...“ გარეთ შხაპუნობდა წვი-
მა, ხერებდა ველი, ქოხში გულმოდ-
გინებდა წვეთი: „ტოქ... ტოქ... ტოქ...“
და აღარ ისმოდა არც ნაეთის წვის,
აღარც ფურცლის გადაკეცვის ხმა.

ბეჟანი კითხულობდა.

თვალწინ ეშლებოდა ამერიკის შეერ-
თებული შტატების ერთი შტატის —
ჯორჯიას — ფერმერთა, ზანგთა და
ბოგანთა ცხოვრების პატარ-პატარა
სურათები...

„ჯორჯია!“

ინგლისურ ენაზე საქართველოსთვი-
საც ჯორჯია უწოდებიათ.

ორ ნახევარსაფრთხეზე ორი სახელ-
წოდება მიმსგავსებია ერთი-მეორეს.

... ვახშამად ზის ორლანდი, ღუმელი

გუზგუზებს, შინ თბილა. გარეთ თოვს,
ქარიშხალია, ზამთრის საშინელი ღამე,
ისეთი ღამე, როცა გარეთ ძაღლიც არ
გაიგდება... და აი, კარებს აკაქუნებს
ვიღაც, ჯერ ნელა, მერე გამეტებით,
სიჩანს გარეთ გაჩერება აღარ შეუძლიან,
რაკი არ გაეგებნენ, შედის დერეფანში,
მერე ოთახშიაც შედის გათოშილი,
აბაგაგებული მოხუცი. ორლანდი არ
ირხვევა, თავს არ იღებს, და როცა მო-
ისმის მოხუცის აკანკალებული, გაუბე-
დავი სიტყვები — „ფელსი მჭვიან, აღ-
მოსაყლეთიდან, მეინის შტატიდან მოვ-
დივარ... ჩვენი ადამიანებს ყინვიან და-
მეს შინ უშვებენ გასათბობად...“ ორ-
ლანდი ღრძობდ მიუგებს: „ჩვენში კი
ადამიანებს გონიერება ჰყოფნით, ასეთ
ღამეს გარეთ არ გამოვიდნენ...“

მერე საშინელებას ჩაიდენს ორლან-
დი, მაგრამ სტუმარ-მასპინძლის ამ
პირველ შეხვედრის სურათშიც შეაძრ-
წუნა ბეჟანი: ქართული მასპინძელი
ასე მოსისხარსაც არ შეხედება, და თუ
თვით მიიღებს სხვაგან საღმე ასეთ პა-
სუხს, გაყინვას, სიკვდილს არჩევს და
იქაობას განშორდება...

„ტოქ... ტოქ... ტოქ...“ გულმოდგი-
წედ ხმეირებდა წვეთი ქოხის ტენქულ-

ში, გარეთ შხაპუნებდა წვიმა, შხულოდ,
ქარიც აყულოდა.

იმ შხულოში, ველის გულმოდგინე
ხმეირებაში, თითქოს რაღაც მარტოეუ-
ბა გაინაკეთა, ადამიანის ხმა ჩაიწნა.
ბეჟანმა თანდათან გაარკვია, წამოდგა,
კარი გააღო და გაჰყვირა „ჰეიჰეი, ვინ
არის?!“ „სიათა ხარ, ადამიანისშვი-
ლი?!“ მოისმა იმედმოცემული ხმა. „სი-
ნათლეს მოჰყუე!“ გასძახა ბეჟანმა და
ლამფა კართან მიიტანა. მკაფიოდ
სჩანდა როგორ აწვიმდა ნათელს, რო-
გორ ჰხრიდა ქარი წვიმას. იმ კოკისპი-
რულში ნათელზე შედგა ოთხადმოკა-
კული, გაღუმებული ადამიანი. რამდენ-
ნიმე ნახტომიც, ძალმოცემული ნახტო-
მიც და ქოხში გაჩნდა ჩვილმეტ-თვრა-
მეტი წლის ახალგაზრდა.

ბეჟანი გააკვირვა ამ ანაზღაურება,
უგზო-უცელო სტუმარმა. მაგრამ არა-
ფერი უთქვამს, ვიდრე ცეცხლი არ
აანთო, ვიდრე ტანსაცმელი არ გაახ-
დევინა და არ გააწურინა...

საბანში გაეხვია სტუმარი და შეჰ-
ყურებდა, როგორ დაფუსფუსებდა მას-
პინძელი, როგორ უნაცვლებდა გვერდს
მიფიცებულ ტანსაცმელს, როგორ ამ-
ზადებდა ვახშამს... ორთქლი ეხვეოდა,
ორთქლის სუნი დადგა ქოხში. და-
მშვიდდა, დასთბა. გარეთ ქარი ისევ
შხუოდა და ასხამდა კოკისპირული.
ლამის ველი აეკლოთ. ქოხში ორ-სამგან
კიდევ გაიკვლია წვეთმა გზა, გახურე-
ბულ ნაცარს დაედინა და ჩაფუტქა...
გაიუბნენ წვეთები. მაინც მყუდრო იყო
ქოხი იმ გარეულ გრგვინეაში. ლოგინ-
ზე მოკეცილ, საბანმოხვეულ სტუმარს
შეეძლო ფიქირა, რა ღამე დაათენდებო-
და ტრიალ ველზე, იმ ქოხიდან
მომჩინარი ნათელი რომ არ შეენიშნა.
მაგრამ სხვა ჰქონია საფიქრელი: ბე-
ჟანი იცნო. რა უნდოდა ბეჟანს ტრიალ
მინდორზე?! რა უნდოდა მარტოეულ
ქოხში?! არა, არც ამ კითხვებს ასდევ-
ნებოდა... აი, აიღებს ბეჟანი თავს, და-
აკვირდება, გამოელაპარაკება, ისიც

იცნობს და უამურ გუნებაზე დადგება. ასე სჯერა, ვინ იცის, რა მშვიდად იყო, სწორედ სიმშვიდის მოსაპოვებლად მიეკედლა უპაცრიელ ველს, იქაც ნიეხეტე, მიაკვლიე, მოუტანე დარდი, სევდა, ფიქრი ჩრდილიანი. როგორ აირიღოს, საიდან დაიწყოს? საიდანაც უნდა დაიწყოს, მაინც ახსენებს სახელს, ბეჟანისთვის ამათრთოლებელ სახელს!

აი:

— აქ როგორ გაჩნდი, ყმაწვილი?!—
თავი არ აღღია, ისე იკითხა ბეჟანმა.

— გზა დამებნა!

— სად მიდიოდი?

სტუმარმა სოფლის სახელი სთქვა.

— ჰაუ, მხარი მოგქცევია, ჩემო კარგო! რამდენი დრო დაგიკარგავს!.. როდის მატარებელმა აიარა!..—ბეჟანმა ოღნავ ჩაიციანა.—ვისთან მიდიოდი?

სტუმარი ერთხანს დუმდა, არ იცოდა როგორ ეპასუხნა, უცებ თავბოლო კერ შობა ცრუსიტყვაობას, გაუბედავად ამოღერდა:

— ასმათთან... ასმათ გვრტიშვილთან!

ბეჟანი წამოდგა, ახლო მივიდა სტუმართან:

— ბიჭო, გურამი არა ხარ?!

— გურამი ვარ!..

ბეჟანი იღიმოდა. იყო ერთხანს ასე მოლიმარი, მდუმარი, მერე ჩამოჯდა, არაფერი უთქვამს, ისე ჩამოჯდა. ხოლო გვიან, თითქოს აღუვირლად ამოიძახა: „უუთიანადა წვიმს... ყანებს არგებს!.. ყველაფერს არგებს!..“

ისმოდა ერთხმეირი მშუილი და კოქისპირულის დენა ნაგოლვ ნიადაგზე. ქოხში ისევ წვეთავდა.

როცა სტუმარი დანაყრდა და მერე სტუმარ-მასპინძელი თავბოლოშექცევით დაწვნენ, როცა ჩაწეულმა ლამფამ უკანასკნელად ამოფეთქა და ჩაქრა, ძალა მოიკრიბა გურამმა და ამეტყველდა:

— ჩვენები სწუხან, ბეჟან, ძალიან

სწუხან... დღე არ იქნება არ მოგვიტონონ; დღე არ გავა სინანულშიც დასცდეთ... მამიდა ნინო (ჭყინჭყინა მამიდა დედაზე ლაპარაკობდა), კერპი და არნაუტი მამიდაჩემიც, აშკარად მოტყდა, მაგრამ წარბს მაინც არ იხრის... ვატყობთ, ყველანი ვატყობთ, სინანული მასაც მორეგია, აჰ, გულთან მოსწოლია. უნდა სთქვას, სთქვას რაღაც, მაგრამ მის ბაგეს ააღმასებულ სიტყვის გარდა ღღემლის არ დასცდენია რა... დარდობს ასმათის წამოსვლას. განა ამბობს?! ჩვენ შევატყეთ. როცა მამამ ასმათის სახაზავად ჩემს წამოსვლაზე ჩამოაგდო საუბარი, მხოლოდ მაშინ დაეინახე მის თვალბში უსაზღვრო სიყვარული, უსაზღვრო სევდა და სინანულიც. გაიგონე, ბეჟან, სინანულიც-მეთქი!.. ეჰ, ან კი რა ჰქნას საბრალო მამიდაჩემმა?! ან ვინაა ბრალეული ქვეყნად?!—გურამმა სული მოითქვა.—ხომ საერთოდ მეტად კერპი იყო მამიდაჩემი, მაგრამ ცვლა, რაღაც უცარი ვატყვხვ მაინც შევემჩნიე ერთი მაშინ, შვილის დაღუპვის დეპეშა რომ მიიღო, ერთიგ ახლა, ასმათმა ბეჟანი რომ გააშვილა.

— ჰა!—აღმოხდა ბეჟანს და წამოიწია.

გურამმა ჩარბი ჩაიკვნიტა. ვინ ეკითხებოდა, ვინ ატანდა ძალას?! დაწვა?—დაეძინა! თუ არ ეძინებოდა, მოემძინარებინა თავი. აი, სად ჩაითრია ლაპარაკის საღერღელმა, სადამდის მიიყვანა მსჯელობამ! კიდევ ჩაიკვნიტა ჩარბი. გვიანდა იყო.

— რა სთქვი?!—ხელი წაავლო, შეარჩია ბეჟანმა.

წანაცრულ ნაკვერჩხლებიდან ერთადერთი-ლა ციალებდა, წვეთმა მიაკვლია, მოისმა შიშინი და უკუნი გაშეფლა ქოხში. გარეთ ქარი ბობოქრობდა. წვიმა ასხამდა.

— გაიმეორე!.. რა სთქვი!.. ბოლომდე სთქვი!..

გურამი ხმას აღარ იღებდა. ოღნავ: აკანკალდა, თითქოს ახლა იგრძნეს მის-

მა ძელებმა წელანდელი სისველე.

ბეიანი წამოდგა, ლამბა აანთო, თავს დაადგა გურამს, ერთხელ კიდევ შეანჯღრია. აპხედა მის თვალებს გურამმა, აპხედა, მაგრამ ნეტა არ ახედა. არა, მის წარბებზემ თვალები როდი იყო, იქ იყო რაღაც ღელვა, ცეცხლისა და წყალის შეხლა.

— რა დაგემართა, ბეიანი?!—თვალები დახუჭა და ისე ამოიძახა გურამმა.—დამშვიდდი, გეტყვი, ყველაფერს გეტყვი..

— გისმენ!

ბეიანი ტახტზე ჩამოჯდა.

ერთხანს ჩუმად იყო გურამი, არც თვალებს ახელდა, მერე წამოიწია, თვალის გახელაც გახედა. ლამბა ბეიანის ზურგით იყო, ჩრდილი ადგა ბეიანის სახეს, თვალთა შუქი მინცა ჰკრთოდა, მაგრამ ისე შემამფოთად აღარა...

— ხმა ხომ არ ჩაგიწყდა?!

— რა ღმერთი ვამიწყდა?! რამ მათქმევინა?!

— ვაი, შენ ვაჟაკობას!.. რამ შეგაშინა?! რატომ არ უნდა მითხრა?! რად უნდა დამიშალო?! ჩემი აღმფოთება გაშინებს?! ჰეიჰეი, ვაჟაკი არა ხარ?!—ბეიანმა მწარედ გაიციინა. — სიტყვი ყველაფერი!

— აკი ვთქვი,—გაპხედა გურამმა.—ასმათმა ბავშვი გააშვილა, მამიდაჩემმა ააძულა!

— მერე ეგაა ყველაფერი?

— მერე და მერე... ესაა ყველაფერი!

ისევ მზუოდა, ისევ მზაბუნობდა სალთვისის ველი, ისევ ჩაქრა ლამფა, იგივე უკუნმა დაისადგურა ქოხში. გურამი ფიქრებმა ძილში წაიღო. ბეიანს ვერ მოერია ძილი.

ჰმ, ძილი..

ბევრჯერ, შეპირების დროს, როცა აღაშინან ხსნის საბელი ვერ უპოვნია, შეების მცირე ნათელი ვერ მოუხილავს და უსასოდ ქმნილა, ძილი უნატრნია,

ხანგრძლივი ძილი, ეგებ ვაჟს დაეწმინდა, თვითხსნილიყო ყოველფეხედასიგება? ბევრჯერ სიკვდილმცხროფობდა ბია აღაშინან, მაგრამ ტკბილია სული, სიკვდილიც ძილისთვის მიუმსგავსებიათ, ძილი ურჩევიათ... და იდგა ღამე, იდგა ძილისა და მოსვენების დრო, იყო განცდა შეპირებისა, უსასობისა, მაგრამ განერთა ძილი, არც ძილის ნატერა ერეოდა ბეიანს.

გააშვილა?!..

ასე რამ შეამფოთა?! დღემდის რატომ არა სწუხდა?! გაიგო, ვაჟი რომ შეეძინა, საღლაც გულის კუნჭულში სიტკბო ჩადგა და ნეტარი მოეფინა, მაგრამ არც ერთხელ რომ არ უნახავს?! სცადა. არ აჩვენეს. არ გააგებინეს, სად იყო... გაბოროტდა, გაგულისდა... გააშვილესო?! ჰო, ასე კი არ გაბოროტებულა! ეს სულ სხვა ცეცხლია, ახლა რომ შემოგზნებია, ეს სხვა აღი ავარდნია, სხვა ძალი სძგერებია საფეთქლებს. გარეთ მზუის და მზაპუნობს სალთვისის ველი, შიგნით წვეთები გაუზნებულან. მაგრამ ყველა ხმერება გულის ძგერას დაუხშვია, ჰა, ამოანგრიოს თუ არა მკერდი!.. იქროლე, ჭარო, იქროლე!.. ვაი, რომ არაფერია მოსათხრელი და ჩასალეწი ამ ველზე! მაინც იგრიალე, ე ქოხი აიტაცე, დააკოწაწე, მოფშენიტე და წაილე, წაილე შორს... იქუზე, ზეცავ!.. რას დაგიღუნდა საქუხარი!.. წელან მიწას აძაგავებდი!.. ქარი ქშუის, წვიმა კლებულობს, ალბათ ღრუბლებიც გადაიყრება... ლიდარში რომელიღაც ნაკვერჩხალი ამწყიალდა, კრთომით, გაუბედავად. მალევე ჩაქრა.

ბეიანი გაოჯნდა.

ვინ იცის რამდენ ხანს იყო ასე. როცა ქოხიდან გამოვარდა, აღარც ქარი იყო, აღარც წვიმა. უკანასკნელი ღრუბლები დინჯად მიემართებოდნენ აღმოსავლეთისაკენ. ცისკარი შეხსნი-

ლიყო, ლიბრი ნათელი ადგა სალთვი-
სის ველს.

XI

დიდხანია ისეთი მშვენიერი დილა აღარ გათენებულა. შვიდფერი მოყვინა სოფელს, შვიდფერად მოიკრია-ლა, ახასხანდა მალალი ვერხვები და კაკლები, ბალები და ვენახები, კრამიტისა და თუნუქის სახურავები, ძარები და ბედლები, ეზოები და ბაყები. შვიდფერი იდგა, შვიდფერი ლივლივებდა შუკვებში. ხარის რქებზე სიწმიდე ელავდა, სიწმიდე ელავდა ცურს მიტანებულ ბოჩოლას თვალებში... იდგა წმინდა, გაუტეხავი დილა... სადღაც ძალი აყვდა, სადღაც კვებულა აბღავლდა, სადღაც მამაკაცი აყვირდა, უფრო წმინდა, რიხიანი ხმით... ბევრჯერაა სოფელი მომხიბლავი, ლამაზი, წლის განმავლობაში ბევრჯერ იცვლის ფერს, სახეს, ეს ცვალება ხშირად შეუმჩნეველად ერწყმის ერთიმეორეს (ან შრომაში ჩაფლულთ არ ძალუძთ დააკვირდნენ ბუნების რხევას), მაგრამ ნაადრ დილაზე მშვენიერი არაფერია. მინდორში, ბალ-ვენახებში შესვლა არ შეიძლება, ფეხი იფლობა მიწაში და ქართლელს დრო აქვს ცერად აპხედოს ზეცას და ჩაიცინოს, საამოდ ჩაიცინოს გულში. არაფერს იტყვის, მაგრამ როცა მობრუნდება და ოთხკუთხეივ ააკვირდება მიდამოს, როცა მის კაფარ შებლს გაიხსნის წმინდა, შვიდფერი დილა, მკაფიოდება სულის ნეტარი აცახცახება.

კარგია ნაადრ დილა.

მაგრამ ქართლელი მაინც მიწის გამრობას ნატრობს. მალ-მალე დააწეება ნიადაგს, შა, მოიჰქნო თუ არა პირიო, შეიძლება თუ არა მუშაობის დაწყება... ასეთია შრომის წყურვილი.

წმინდაა ნაადრ დილა. ზეცა, მიწაც იცინის და ხარის რქებზეც თითქოს სანთლები ანთია.

ნაადრ დილის სიხალისემ აბრტა თვონა. შუკვები ჩაირბინა, აჩაფდნო მეტოტი დაარხია და თიხებზე დასველდა უზრუნველად, უმიზეზოდ მოცინარი, საეჭიმოს ქვემო სართულთან, აფთიქის უკან, ბატარა ოთახის კარწინ გაჩნდა. „ასმათ!“ დაიძახა და სიცილით მიაწვა კარს. კარი გაიღო. არაეინ შუხ-მარებია, არაეინ შერხეულა ოთახში. თვონას ეწყინა ასმათის შინ არყოფნა. მხრები ჩამოუშვა, ტუჩი აფხიკა. კარგ ხასიათზე იყო, ხალისი სურდა, აი, უკვე უმტყუნა აცეტებამ. გარეთ გავიდა, გასძახა ასმათს. არა, არსად იყო ასმათი, მხოლოდ ნიბლიემა ჭიკჭიკებდნენ დიდგულაზე. ისევ ოთახში შებრუნდა თვონა... იჯდა, იჯდა. მოიწყინა. მაინც სურდა დალოდებოდა... და, აი, მისი თვალი მაგიდაზე გადაშლილმა სქელმა, მუყაოს ყდიანმა რვეულმა მიიპყრო. ეს იყო ასმათის დღიური. თვონამ გაიხარა, გაიხარა იმ სიხარულით, როგორც სხვისი საიდუმლოების გაგების მონატრულ გულუბრყვილო გოგონებს სჩვევიათ. ვიდრე წაიკითხავდა, ერთი-ორჯერ შეეფაკლა სახე, შერცხვა, მაგრამ ძლიერი იყო სურვილი, და მიმკრთალდა ყველაფერი სურვილის გარდა, მიმკრთალდა ნიბლიების ჭიკჭიკიც დიდგულაზე, იქვე სარკმელთან.

ახლა ჩემს წინ დევს ეს დღიური. ახლაც დილაა, ნაადრ დილა. მაგრამ არაა ფერთა ისეთი ციგლიგი. ცაზე ღრუბლები ირევა. ქარი ჰქრის, ხილნარი ქშუსი. ნაყოფი ცვივა. ისმის, როგორ ასელება, როგორ ეფლობა ნაყოფი ნაადრ მიწაში. ჩადგება ქარი, ისევ გაავდარდება...—ფეურცლავ დღიურს. ასმათმა დიდი თავაზით გადმომცა ეს დღიური და ნება დამართო ვისარგებლო. აფსუს, რომ აქამდე ვერ შევბედე დღიურის თხვენა, უფრო მკაფიოდ, უფრო ნათლად დავხატავდი ასმათს. ახლა აღარ ძალმიძს ხელმეორედ დავუბრუნდე გადაკეცილ ფურცლებს,

მეგრამ ნაკლს ოდნავ მაინც შევავსებ, თვით დღიურით შევავსებ. მეგრამ (პო, ისევე „მეგრამ...“) მთელ დღიურს ზომ ვერ ამოვიწერ, მოვიყვან მხოლოდ თბრობის კვანძისათვის საჭირო ადგილებს:

„მეშინიან ვთქვა ეს სიტყვა, მაძრწუნებს არა ოდენ შინაარსი, თვით ბერებცი:—უბედური!.. დიად, უბედური!.. რა საშინელია!.. დღეს მე უბედური ვარ!.. მაგიდაზე დევს ჩემი ძმის წერილი, იმავე თარიღით სამგლოვიარო დეპეშა: დაიღუპაო, გმირულად დაიღუპაო!..“

„ასე უცებ?..“

„ჰმ, რა საცოდავი ვარ, ვითომ დიდი დრო სჭირდებოდეს სიკვდილს, ომში სიკვდილს! თვალის დახამხამება და მორჩა, გათავდა, განქარდა!.. ასე იწერებოდა ჩემი ძმა. ოი, რა საშინელებაა.“

„ჩემი ძმა დაიღუპა?!“

„ვისაც სურდეს დაიჯეროს, მე არა მჯერა, არა მჯერა!.. არ შეიძლება მისი სიკვდილი, ვერ გავიმეტებ!..“

„დედას? სჯერა დედას?!“

„როგორ გარინდებულა, გაქვავებულა... დაწვებზე ორი ღარი ჩასდევს, ორი ზოლი ნიკამამდე, ოდნავ ბზინავს ზოლები... გჯერა, დედიკო?! ნუ, ნუ გაიმეტებ, ნუ დაიჯერებ, ტყუილი იქნება!.. ვითომ რა ჩემი მუღარა უნდა, რას გაიმეტებს, როგორ დაიჯერებს?! ორი ზოლი, ორი ძაფი ბზინავდა დედაჩემის დაწვებზე. მე ავქვითინდი და ჩავეკონე.“

„არ ვიცი რამდენხანს ვიყავი ასე. უცერად დედამ წამოიწია, ხელი განიწოდა, გრძელი, გამხმარი ხელი და მძაფრად ამოიძახა: „მკვლელი!“ ჰოი, დედაო, ჰოი გამჩენო, აცახცახებული ხელი, უცნაურად დაკლანძვილი თითე-

ბი ჩემი საწოლის თავთან ჩამოკიდებულ ბეჯანის სურათისკენ. მტრად დღიურს. დიდხანს იდგა და მტრად მტრად ხელგაწედილი, მხრები უძაგდავებდა, ბაგე ერხევიდა, თითქოს იგივეს იმეორებდა...“

„უბედური ვარ, უბედური!.. დედი!.. ძმაო!.. ბეჯან!.. არ ვიცი რა ვქნა, როგორ დავამშვიდო დედა, როგორ მივხედო ბეჯანს. რა ვუშველო ძმას?! უბედური ვარ!.. ოჰ, როგორ მძულს ეს სიტყვა, მეგრამ ვიმეორებ, ვიმეორებ და უფრო მძულდება!..“

„ის შემადრწუნებელი სიტყვა უდიდესი სულიერი დამძულულობის დროს აღმოხდა დედაჩემს, მჯერა, ბეჯანის სურათიდან მოშზირალ მიაპიტ თვალებს თრთოლვით დაჰხედავს და, თუ აშკარად ვერ იტყვის, გულში მაინც ჩაითქვამს მიტყეების სიტყვებს... დედა ჰგლოვობს, ჰგლოვობს ვაჟაკს, სასოებით გამოზრდილ შვილს, არა, არაფერი დაეძრახება!.. რა უყუოთ, რომ ბრალეული არ არის ბეჯანი, განა არჩევს გამწარებული დედა?!..“

„დღესაც მძულვარებით შეჰხედა ბეჯანის სურათს. ნუ, დედი, ნუ, უარესად ნუ მითუთქავ გულს, მეყოფა ურვა დაღუპული ძმისა, საქმროს სიძულვილს ნულარ მეგრძობინებ!.. გაივლის!.. გაივლის!.. მეგრამ თრთის დედა ბეჯანის დანახვისას, ხელის თითები ეხლიკნება, ჩამოვხსენი სურათი, შევიწინებ, ბალიშქვეშ შევიწინებ.“

„ალარ მოსთქვამს დედა, დადის სევდიანი, თალხმოსილი. თითქოს ალარც ბეჯანის მძულვარება ეტყობა. არ ვიცი, მე ასე მგონია!.. სრულიად არ ახსენებს?.. თუმცა ეს მე ვცდილობ არაფრით გაიხსენოს, მიმოვმალე ბეჯანის ნახელავი ყველაფერი: სანადირო თოფი, რომელიც ჩემს ძმას უძღვნა სწორედ ომის დაწყების წინა დღეებში, რუსთაველის პატარა ძეგლი და ჰაეკა“

ვაძის ტომეულები, ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად რომ მოიტანა... უარესიც ჩაეიდინე, სარკმელთან ავჯერი ვარდი, ბეჟანის დამყნობილი ვარდი. დედაჩემის თვალბში სიაშე შევნიშნე... ოი, დედაო, ჰხედავ ჩემს მსხვერპლს?! შენი გულისათვის, შენთვის... შენც უნდა დაჰგმო ბეჟანის მძულვარება ჩემთვის, ჩემი გულისათვის, შენთვის!..

„თვალი შემასწრო, ბეჟანის სურათს დაეყურებდი ნამალევად. მომიხლოვდა მკაცრი, რისხვიანი, ჩამომართვა სურათი, დაჰხედა, სახე აუფოროჯდა, აღმოხდა:

„ — როგორ ვევედრებოდი!.. სული ხელში ჩაეაბარე! იმედი მქონდა!..

გავბედე:

„ — ომია, გაუგონარი ომი!..

თვალები დამიბრიალა:

„ — ამან გაჰზავნა! ამან უბრძანა!..

„და როცა თავი დავლუნე, ავკანკალდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა, ხელი შემახო მხარზე. სურათიც მომაჩეჩა.

„ — შეინახე, — ამოიოხრა, — მე კი აღარ მაჩვენო, არ დამანახვო!.. არ შემძლიან, არ შემძლიან, არ დამანახვო!..

„ამას აღზნებით კი არა, ცივად ამბობდა დედაჩემი. ცხრება, ცხრება სიძულვილი!.. მართლა ასეა, თუ მეჩვენება? მეჩვენება ჩემი სურვილი!.. ასე იქნება, ასე იქნება!.. ყველაფერი მკრთალდება, სიძულვილიც მკრთალდება, დრო ამკრთალებს, აზრი იურევებს გრძნობას... ვარდს ისევ ამყრბს ჩემს სარკმელთან ბეჟანი, დედას ისევ ეამება.

„კვლავ ბეჟანის უკანასკნელი წერილი მიქირაეს ხელში, ვკითხულობ, ვკითხულობ ვინ იცის მერამდენჯერ, ცრემლებით ვაღბობ... „... ეს იყო საბედნიერო ღამე. ჩვენ ირგვლივ მალაილი მთები იყო, ზურგით — თეთრი

მწვერვალები თბილისიდან, საქართველოდან რომ ეგრე ლამაზდებოდა.

„დავკარგეთ კიდევ ენობა... ყველაზე ძვირფასი ადგილი გასამაგრებლად. დავკარგეთ და ღამეს შევეფარენით. გათენდება... დიღ, განთიადისას შეტევაზე გადმოვლენ, არც დასახევი გზა გვაქვს, არც გამკლავება შეგვიძლიან, ცოტანი ვართ, ბევრი გვიტევენ, გავწყდებით!.. ბრძანება გვაქვს შევაფარხოთ მტერს. ჩვენ კი დავკარგეთ ყველაზე შემაბრკოლებელი სიმაგრე, გზაასაქცევზე გაბატონებული სიმაღლე. გათენდება და გავწყდებით, მტერი გზას განაგრძობს. ოლონდ ზეალინდელ დღესაც შევბორკოთ, ყაზბეგის მალაღ მთიდან მეტეოროლოგიური სადგურის ცნობა გვაქვს, ზეგიდან იღარებს, თვითმფრინავები შესძლებენ მოქმედებას, თბილისიდან მოგვეშველებიან. ღამეა, უკუჩია... უნდა დავიბრუნოთ სიმაღლე, ამაღამვე უნდა დავიბრუნოთ უსააუოდ! ასე ვმსჯელობდი, ასე ვფიქრობდი იმ საბედისწერო ღამეს.

„უნდა გვემოქმედნა გათენებამდის.

„ვისთვის ჩამებარებინა მოწინავე მოიერაშე ჯგუფი? ყველაზე უკეთ ვის შეეძლო მოწინავეობა? და მე არც დედაშენის მუდარა მახსოვდა, აღარც შენ მახსოვდი (ნუ გამიწყურები, ასმით, ნუ გამიწყურები, ძვირფასო, ომში ხშირია წუთები, როცა აღარაფერი ახსოვს მეომარს მტრის შემუსვრის გარდა), აღარც ის გამეგებოდა რა იყო შერმაღინი ჩემი, მხოლოდ ეს ვიცოდი, რომ მასზე უფრო გაბედული და გონიერი მებრძოლი ძნელად გამოირჩეოდა, ვისზე... მოწინავედ გავგზავნე... ჰო, მტრის მოწერა აღარ შემძლიან... დანარჩენი გეცოდინება, იმ ღამის ბრძოლა გაზეთებში იყო მოთხრობილი.

„დედაშენი დიდხანს არ მაპატიებს.

„სხვანაირად არ შემეძლო, გჯეროდეს, ასმით, არ შემეძლო!

„წერილსაც ვეღარ მოგწერ. დედა-

შენს შეაშფოთებს ჩემი მონაწერი, შეაშფოთებს, როცა შერმაღინის წერილები აღარ მოგივათ. და, ჩემიც შეწყდეს, ეგებ სამუდამოდაც შეწყდეს!.. შენ ვერ გაიგებ, რას განვიცდი. გამოგებ?!.. ვერ წარმოიდგენ, რასა ვგავარ ბრძოლის ველზე!.. ეს ყველაფერი იმ ღამის შემდეგ...

„მშვიდობით!

უკან აღარ დაიხვევით!..“

„ვერ გამოგებო?! როგორ ვერ გაგიგებ, ბეჯანი?! მესმის, გამეგება ყველაფერი, ეს დედაჩემს ვერ გაუგია, ან კი რა ჰქნას, დედებს შვილის სიყვდილისას ბევრი აღარა გაეგებათ რა!..“

„ბეჯანი აღარაფერს მწერს, მხოლოდ ბრძანებულობებით, საინფორმაციო ბიუროს ცნობებით ვტყობილობ, რომ ცოცხალია, იბრძვის, ვაეცაცურად იბრძვის. მჯერა, ახლა უფრო აღზნებულია და თავდადებული, შურისგებითაა ანთებული (განა ცოტა სისხლია საძიებელი)... მიიწევს, წინ მიიწევს, ავთა ბუნაგს უწევს და იქ დაიკბრობს ბობოქრებას. მჯერა, ვიცო, ვიცი, ბეჯანი! ბარათი მაინც მოიწერე, მოიწერე!..“

„ნეტა როდემდის ვასტანს ასე?! მოიბრუნებს თუ არა დედაჩემი გულს? დაპგმობს თუ არა ამათ წყრომას?! ითვისებს თუ არა ბეჯანს?! დრო გადაიწნავს ყველაფერს... ისევ ამის იმედი მაქვს!.. მაგრამ! დრო მიდის, მიდის, ომი დასასრულს უახლოვდება, არ იცლება დედაჩემი. ვცდილობ შევჩვიო ბეჯანის სახელს, მაგრამ ყოველთვის გულბოროტად მაწყვეტინებს. რა ვქნა, რა წყალს მივცე?! დაბრუნდება ბეჯანი, კვლავ ასე რომ შეხვდეს, რა ვიღონო, რა ვქნა, რა?!“

„ბეჯანი დაბრუნდა... უკვე ხუთი თვეა ერთადა ვცხოვრობთ. დედა კვლავ პირქუში და მკაცრია ბეჯანისადმი. ბე-

ჯანსაც ყოველი წერილმანი აღიზიანებს, ვატყობ ყველაფერს მისი წერილებზე. თუმცა არაგის ამჩნევინებ; მაგრამ შერაღა გამომეპარება, მეტად მგრძნობიარე და ექვიანი გავბდი ბოლო დროს... უღელტეხილზე ვდგევარ, ბეწვის ხიდზე ვდგევარ!.. არ ვიცი სწორია თუ არა ეს შედარება, მაგრამ მინდა რაღაცას შევადარო ჩემი მდგომარეობა, რაღაც უკიდურესს, გადაწყვეტს, უკიდურეს ყოფაში არა ვარ?! უსაზღვროდ მიყვარს ბეჯანი, უსაზღვროდ მიყვარს დედა, რომელი დამეთმობა?! არცერთი!.. არცერთი!.. ო, არჩევანის უძნელესი პირობა!.. სიყვარულის თანაბარი სიძლიერე!.. მაგრამ დედისაკენ სძლევს, სიბრალული სძლევს რა ვქნა, რა წყალს მივცე, მიჩინეთ რამე!..“

„დედა ბუზღუნებს, იგესლება.“

„ბეჯანი ტუჩებს იყენებს...“

„საღდაც უნდა ვადიხსნას საგუბარი, და აი:

„ბეჯანი დღეს აღელვებული შემოვიდა, ჯოხი კუთხეში მიაგდო, აცურდა ჯოხი და იატაკზე დაეცა. რაღაც შემაშფოთად გაიხმაურა ჯოხმა. საყვარელია, ზოგჯერ უარეს ხმაურს არ მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ, თითქოს მეც შევძრწუნდი, დედა აიძრიზა: „ხეპრე!“ ჩაიგესლა დედაჩემმა. შიშით შევხედე ბეჯანს, აღმა აპკრა.“

„— სოფელ ნ...ში გამამწყსეს!.. — სთქვა ნაძალადევი სიმშვიდით.“

„— როდის გამგზავრები?— გკითხვდა და დედას გადავხედე ვედრებით, კვლავ არაფერი ეთქვა.“

„— ამ საღამოს!“

„— მეც უნდა წამოვიდე?“

„— შენ უკეთ უნდა იცოდე მეუღლის მოვალეობა!..“

„აღარაფერი მითქვამს, დაფაცურდი, უნდა მოვზადებულიყავ წასასვლელად...“ „შვილო!“ მომესმა ელდაცემული ხმა დედაჩემის. მოვიხედე... არა, მე ეგებ ვაზვიადებ, ეგებ გადაპარბე-

ბული მგრძობიარობის ბრალია ყველაფერი, მაგრამ იმ წუთს, დედის სახის დანახვისას, სხვა არა შემძლო რა, თუ არა გულში ჩავკონებოდი და ქვითინით მეთქვა: „არსად, არსად წაველა!.. არ მივატოვებ!..“

„ბეჟანი წავიდა.

„ერთი საათის შემდეგ გურამმა მომირბენინა ბარათი. ბეჟანი მემშვიდობებოდა, თუ არ დავტოვებდი დედას, სამუდამოდ მემშვიდობებოდა...“

„დღეს მოვიკეთე. მთელი თვეა ავად ვარ... ლოგინმა დამაგდო მშობიარობის შემდეგ... მეც დედა ვარ!.. მაგრამ სად არის ჩემი ბიჭიკო?! მომიყვანეთ, მაჩვენეთ, აი უძახიან ძუძუები! მეც დედა ვარ!.. დედა... დედა!.. დედა!..“

„დედაჩემი მარწმუნებს, რომ არ შეიძლება ჩემთან ბავშვის მოკარება, არც შეუძლიან უყუროს ბეჟანის შვილს (სახელს დედაჩემი არ ახსენებს, მე ვწერ)... ბავშვი ხანავშია... და მე ამოვიკითხე დედაჩემის ცივ, მკაცრ და ანემად აღლებულ თვალებში: როგორია, როგორია შვილის გულიდან მოგლეჯა!.. წამოვიწიე, ვიყვირე, რაღაც შემამფთოთად ვიყვირე... ეს იყო დილას... ახლა ღამეა... ახლა მოვედი გონს... დედაჩემი ცრემლიანი თვალებით შემომყურებს. რა ძალა აქვს ცრემლს, დედაჩემიც საოცარი სინაზისა და ამბითოლებელი განცდის ელფერს მოუცავს.“

„ჩემი ბიჭიკო ათი თვისაა... რამდენი საჩუქრები ვუყიდე... აი, ხანავში უნდა წავიდე... რამხელა გახდა ჩემი ვაჟაკი!.. ვენაცვალე!.. ერთ ხანს კიდევ იყოს იქ, მშვენიერადაა, კარგად უვლიან... დაე, მეც გავუჯიბრდები დედაჩემს: არ მოესურვება, არ მოენატრება შვილიშვილი?!“

„დედა მაღალ, ახოვან ვაჟაკს შემოუძღვა... ის გახლდათ ფირან ფავლე-

ნიშვილი... თავაზიანად მომესალმა... ლაპარაკობს დინჯად, შემოვლეთ... რაღაც სურს, მაგრამ მეტად უფრანგად გე მისი სურვილი... ჰმ, ვიცნობ ამ ქართლებს, ისინი პირდაპირ არასოდეს გეტყვიან, მივახვედრებენ... მივხვდი, ჩემი ბავშვის შვილად აყვანა სურს...“

საკმაოდ ვრცელ დღიურიდან მხოლოდ ამ პატარ-პატარა ნაწყვეტებს ვიწერ, ვიწერ თარიღების აღუნიშნაველ... თეონამ კი თავიდან გულმოდგინედ ჩაიკითხა ყოველი სტრიქონი, ყოველი ჩანამატი და შენიშვნა, მაგრამ როცა ამ ადგილამდის მიაწია, თავი აიღო, დაკეცა დღიური...

ასმათი არა სჩანდა.

თეონა რამდენიმე წუთს თითქოს იცინოდა, თითქოს მოქანცულივით სუნთქავდა, თითქოს უეცრად გამორკვეულიყო ამო შეკრთომის შემდეგ, როგორც სოფლიდან გაუსვლელ, გულბრყვილო გოგონებს სჩვევიათ.

ნიბლიები ისევ შექლურტულებდნენ სარკმელს.

ახლა, როცა განკრთა ტბილი, თითქოს გაურკვეველი ოცნება, შეეძლო გამოტეხილიყო, რომ უყვარდა ბეჟანი, რომ სიყვარული ამბითოლებდა. ეს ზაფხული, ყველა ზაფხულთა შორის ულამაზესად სიყვარულს ექმნა, ჰო, სიყვარულს!.. ცივ, გოგონი, ცივ, თეონა, აკი აქამდის ასე ამჯარად არ ესიტყვებოდი თავს, წითლდებოდი ყოველ გაფიქრებისას, ჰკრთოდი მეზობლების გადაკრულ სიტყვათა გაგონებისას?! რად არა ტყდები?! ოჰ, იოლად იტყვი, ვითომც ასე ადვილი იყოს სიყვარულის გამჟღავნება?! შენივ გულში მაინც ჩაგეთქვა, ამჯარად ჩაგეთქვა!.. შეიძლებოდა, ტოლ-სწორად რომ ყოფილიყო ბეჟანი, — ის დიდი!.. სიყვარულმა განდიდება იცის... კმარა, ესენით!.. აბა ვინ ჩაგცივბია, თეონი,

მხოლოდ ნიბლიები ქლურტულეზენ დიდგულაზე..

ერთომით მიმოატრიალა თვალეზი თეონამ... წამოდგა, დალილოზა იგრძნო... ის იყო აივანზე გავიდა, კიბეს ბეჯანი მოაწყდა ოფლმოჩეული, მოქანცული სახელურს მიეჭიდა და ბრაზიანად ამოიძახა:

— შინ არის?!

— არა!.. არა!..

— შენ რალა ჯიბრიან კილოზე მელაპარაკეზი?!

— ჯიბრიანიო? კჰ!.. გეჩვენება!.. ხომ არ გგონია მეც შენსავით ელეღავ?!

— განა ელეღავ? დალილოზის ბრალია!—ბეჯანი კიბეზე ჩამოჯდა: — არ არის და ნუ არის! ეგებ ასე სჯობდე!—თავი დაღუნა, მერე უტეზ აიხედა...—არა, მართლა ძალიან ელეღავ?!

— ვითომ მე საიდან უნდა ვიცოდე ძალიან ჰლეღავ, თუ ცოტათი? ეგებ ახლა ისიცა მკითხო, რაზე ჰლეღავ? კო, კო, კო... გინდა კია ვითხრა? იერ შემაცდენს!.. შენვე სთქვი ცოტათი ჰლეღავ, თუ ძალიან ჰლეღავ, შენვე გამოტყდი, რამ აგადელევა!.. ასმათი შინ არ არის!..—თეონაც კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.—მეც ასმათის ნახვა მიზნოდა, კარგ ხასიათზე ვიყავი ამ ნაავდრ დილით, შემოვირბინე ასმათთან, შინ არ დამხედა და ცუდ ხასიათზე დაედექა... შენც იმიტომ თუ აღელდი, ასმათ შინ რომ არ არის!..

— იმიტომ!..

— ჰე, როგორ ტყუიხარ!.. ჩემსავით სტყუი!.. ახლა მე არც კარგ ხასიათზე ვარ, არც ცუდ ხასიათზე... ისე ვარ... არცა ელეღავ, არც მშვიდადა ვარ!.. შენ რალა ჰლეღავ, ბეჯან?.. მითხარი რა? მითხარი და გიშველი... — იმ წუთს ხელი აიფარა ტუჩებზე...—ჰე, პაპაჩემი ტყუილად კი არ მიწყრება ხოლმე, ენა გისწრებსო!.. რანაირი თვალეზით მიყურებ, ცუდი რავთქვი?!.. თეონა წამოდგა.

იღვა ერთ ხანს, მერე მიწაზე ჩაბტა, ნიდაყზე წაავლო ხელეჭეჭეჭა...!

— აღე, ასმათთან წავედგე!.. მერე სანდაც არის, წავიდეო ერთად, მეც მინდა ასმათის ნახვა! აღექი რა!.. ო, როგორ ამოიხბრე, რა დაგემართა?! ან რა გოგნებული შემომცქერი? ნუ გიკვირს, რომ დღეს ასე თამამად გეცევი!! წავიდეო!! ასმათი ფირანთან ეჩენება... ბავშვია ავად!..

ბეჯანი წამოდგა.

— ბავშვი?! — ამოიძახა ბეჯანმა და შეტოკდა.

— ბავშვი, კო, ბავშვი!.. ასმათი ბავშვთან არის!.. წამო, შენც წამო! კარგი რა!.. აი, ძალათი წაგიყვანს!..

ზურგიდან მოუარა თეონამ, ხელი შეახო ბუქებზე.

როცა ფირანის სახლს მიუახლოვდნენ, ბეჯანს ფეხები აებლანდა. თეონამ მაჯაში ჩაავლო ხელი, გაუწყრა: „ეს ესაა ჩაფარივით მოიჭერი... ახლა რა გემართება!..“ და ჰიშვარი შეიღო, შევიდა და შეიყოლა.

ვარდის ბუჩქებთან იღვა ასმათი ბავშვით ხელში... ბავშვი ვარდებს შეჰხაროდა. წაატანდა ხელს, მყისვე უკან დაიწევედა რალაც ამოძახილით, ხელეზსაც მიმალავდა, აღმათ ეკაღმა თუ უჩხვლიტა, ეკალს თუ ემალეზოდა... მაგრამ ვარდი მაინც იზიდავდა ბავშვს, მიეტანეზოდა ისევე, დედა-შვილი ეკლავ დაიხვედნენ უკან... ვარდებს შესცივნოლდნენ, ერთმანეთს შეჰხაროდნენ... ასმათი შეკრთა ბეჯანის დანახვაზე. იქ არ ელოდა... ბავშვიც გაჩერდა ცოტა ხანს. მერე ისევე ვარდს მიეტანა, ისევე ჩაიქლურტულა და გაიკვირევა, რატომ აღარ აჰყვა ასმათი?! შეკრთომამ მალე გაიარა, ნათელი დაადგა ასმათის სახეს. მშვენიერი იყო ასმათი ბავშვით ხელში ვარდის ბუჩქთა შორის. კარგი იყო, ბეჯანიც კარგი იყო იმ დიდი ლეღვისა და ბოზოქროზის შემდეგ. თუმცა ის კითხვა, რამაც ქოხიდან გამოაგდო, ისევე ენაზე აღგა, მაგრამ კი-

ლო შეცვლილიყო, ისე გაბოროტებით არ იკითხავდა: „სად არის ჩემი შვილი?!“

ასმათმა ბავშვი მალლა ასწია.

— აი, შენი ვაჟაკი...—სთქვა და ბეჭანს გაუწოდა.

... ხოლო ოთახში რუსუდანი ცრემლებს აფრქვევდა. ფირანი ემუღარებოდა, ენუჯვოდა, ამშვიდებდა:

— მოიცა! მოიცა!.. ყველაფერი მყისვე კი არ უნდა მიიტანო ვულთან!.. ბოლო კეთილია!..

XII

იენისის შუა რიცხვებამდე დასრულდა პირველი რიგის არხი სტალინრიდან ყალქებულიამდე და ყალქებულიდან დირბამდე გვერდითი რუ... ისევ გვალვიანი დარები იდგა. ვერ იცმარა იმ ერთი ღამის წვიმამ. დღედღეზე მოუთმენლად ელოდნენ არხის გახსნას. ოცდაორი იენისის კვირადღეს ყველაფერი მზად იყო არხის საზეიმოდ გასახსნელად, მაგრამ ამ ავადმოსაგონარ დღეს ზეიმი არ ისურვა ხალხმა, მეორე კვირისთვის, ოცდაცხრა იენისისათვის, გადასდეს.

XIII

ოცდაცხრა იენისის მზიარულობით გაიღვიძა სოფელმა. დიდი, პატარა ყველა ერთობლივ დაფუსფუსებდა. სუფთად ჩაემულ-დაბურულნი გზა-ჯვარედინებზე იდგნენ, ლხინობდნენ და ავტომანქანებს ელოდებოდნენ. მიმოქროდნენ ავტომანქანები, ყვავილსაყდარაზე მოჰყავდათ ხალხი.

ფაცი-ფუციით არბი-ჩამორბოდნენ ვიბებზე, აჯახუნებდნენ კარებს, სულსწრაფად გადასძახოდნენ ერთიმეორეს... ესმოდა ყველაფერი, ესმოდა საჩუხეში მჯდომ თანდილას, მუხლებზე ელო თავისი ჯოხი და აქდევდა ოცდაცხრა იენისს, გამონაკლისს და საოცარ

დღეს, როცა ყვავისაყდარას, ამ დღის ხნის წინათ ამოვარდნილ, უწყვეტად მიდამოს ორი რაიონის ცხელმეურნენო შეჰხაროდნენ.

დღეს ლიახვი უნდა გადაეგდოთ არხში.

მოირწყვის საღთების ველი, ჰო, კარგია, გაიფიქრა თანდილამ... ახლახან კეხვის არხი გახსნეს, იქაც ლიახვი გადაუდგეს, რამდენიმე წლის წინათ ტირიფონას გაუყვეს ლიახვი, ახლა სხვა დიდრუები ჩამოთვალე: ფხვენიისის, შინდისის. ჰეპეი, საღ წავა, განა რამხელაა ლიახვი, დაწყდება, დაიწრიტება, მოიშლება ლიახვის საბრძანებელი... თანდილა წამოდგა, როდი იცოდა რად წამოდგა. დაჯდა ისევ... წინათ, მაჯა როცა ერჩოდა, თვალიც სალი ჰქონდა, მიწა არ ჰყოფნიდა, სინანულით შეჰყურებდა ლიახვის უშველებელ რიყეს, ცხინვალიდან გორამდე, მთელი ოცდაათი კილომეტრის მანძილზე, ასი-ორასი მეტრის სიგანით, ოხრადმივდებულ ქვა-ლორდიან ტაფობს, სადაც ხან აქეთ, ხან იქით მიჰყვებდა თავებუ ლიახვი, შეჰყურებდა სინანულით და ნატრობდა მტკიცე ჯებირებს ლიახვის ჩასაწყვედევად და დანარჩენი ნიადაგის დასამუშავებლად. ჰეიქრობდა, ოცნებობდა ხშირად საქირაოზე მიმავალი, ჰეიქრობდა შეუძლებელს... და მიჰყვებდა ლიახვი. მიკრიალებდა ურემი. ის გულაღმა იწვა ურემში, შეჰყურებდა მოქათქათა მთვარეს, ვარსკვლავებს და ადგენდა ზღაპარს მეფის მშვენიერ წალკატზე, რომელიც ლიახვს გადაელეკნა და რიყედ ექცია. დღესაც გაიგონებთ ამ ზღაპარს ლიახვის ორივე მხარეს, ლამაზ ზღაპარს მეფის მშვენიერ ასულზე და მებადე გლეხზე... ყველა მომყოლს ძველისძველი ჰგონია, როდი იციან, რომ თანდილამ შეითხა მიწის ნატურის დროს.

ზღაპარი?!

რაღაც მსგავსი ხდება.

ლიახვი მიმოიქაქსა, მწყურვალ ვე-

ლებზე აღინდა წყალი... ვინ იცის სტალინირიდან გორამდე ლიხვის ადგილას ერთი მობეტონებული არხთაგანი გაჩნდეს და ვეებერთელა რიყე მართლაც დაჰფაროს წალკოტმა!.. ჯერ არაფერს ამბობენ, თანდილას მსგავსი რამ არა სმენია, მაგრამ ჰკრძნობს ახდება ნაგულეები... ვინ იცის კიდევ რამდენ სიოცრებას გააკეთებენ!.. თანდილამ ჩაიყინა, კიდევ რაღაც დააქლია ჯოსს.

ლიახვი დაიწრიტება?!
 — თანდილა კიდევ წამოდგა და ახლა მიხვდა, რომ არც წელან წამომდგარა უმიზეზოდ. ეს რაღაც კართომა იყო, სეუცონბელი კართომა, რამ შეაკართო უსინათლო მოხუცი, დაწყებოდა და დაწყდეს, აკი თვითონვე სურდა?! გინა წალკოტს არა ნატრულობდა რიყის ნაცელად?! კარგია, დიდებულისა, მაგრამ არ ემეტება ლიახვი გასაწირად, არა სურს გადაეგოს სახსენებელი ამ მშვენიერი, ომახიანი მდინარისა, მოიშალოს ლიახვის რიყის თავისებური სილამაზე. ახსოვს, კანთიელად ახსოვს, აი, ჰხედავს, ჰხედავს—რა კარგია, რა დიდებულის მოჰქუხს ლიახვი, მოჰქუხს ლურჯი წყალი, ჩქედს, თითქოს ცოცხლობს და უნდა დაწყდეს, აღარ იყოს?! ო, არ სურს, არ უნდა თანდილას, ახლა ეს დიდებული მდინარე იქცეს ზღამ-რად!..

მიჰკრიან აეტოები.
 ისმის სიმღერა-ტკრიაცი.
 თეონამაც გამოიჩინა ოთახიდან.
 — სად მიხვალ, გოგო?!—შეგზიანა თანდილა.
 — ყვავისაყდარაზე!
 — ყვავისაყდარას ყოველთვის შესაშინებლად ახსენებდნენ, როდის გახდა ასე ნუგბარი?!
 — როცა იქ არხი გაიჭრა და ელსადგური დაიგეგმა!..
 — ჰი, ენაზე ჰალი კი არ მოგედება! ჩვენ დროს პაპებს ასე არ ელაპარაკებოდნენ!

— რას მიწყრებო, პაპაჩემო?! მკითხე და გიპასუხე!

— მიპასუხე! ვითომ მგზნა მგზნა, რას აკეთებენ ყვავისაყდარასთან?! — თანდილამ ჯოხი დაარტყა მიწას. — მე უნდა წამომყვე!..

— სადა, პაპაჩემო?!
 — ლიახზე!
 — რა გინდა ახლა ლიახზე! თუ წასვლა გინდა სადმე, ისევ ყვავისაყდარაზე წამოდი!

— მე ვიცი რაც მინდა!—გააწყვეტი-
 ნა თანდილამ.—გამიძეხი!..—ხელი გაიწოდა, მომეიდუო, ანიშნებდა.

— დიდი ახირებული გახლი ამ ბოლო დროს, ნეტა რა დაგრჩენია ლიახზე?!—გაწყრა თეონა, ოლონდ მყისვე მოლბა... — აქ იყავ, პაპაჩემო, აქ იყავ, მე მალე, სულ მალე მოვბრუნდები!.. — სთქვა და გაიქცა.

— მე მაინც წავალ!—ისე მიიძახა თანდილამ, რომ თეონა ეზოს კართან შედგა:—და თუ სადმე ჩაიჩინებ, რაღა პირით ეჩვენები სოფელქვეყანას?! რას იტყვიან!

— ახირებული იყო თანდილა გამგებელი და თავის ახირებას გადაჰყვავო, აი რას იტყვიან! ყოველთვის გუნება უნდა გამიფუტო, დამშვიდებულს არსად გამგზავნი! წახვალ და წადი! ჩაიჩეხები და ჩაიჩეხე!.. — თეონამ ეზოსკარი გაიჯახუნა.

ო, რა ცეცხლი წაეკიდა თანდილას, კინალამ დიდი ხმით აყვირდა, კინალამ უღვაშები დაიწიწკნა, მაგრამ ახლაც ეურჩა გული: რას ერჩი გოგონას, წაეიდეს, გაიხაროს! რა შენი ტოლია, რომ შენი სურვილები გაჩნდეს, ყოველთვის ნებას დაგყვეს!.. რამდენი წელია თქვენ შორის, რა დიდი ცვლილებებით სავსე წლები!.. წაეიდეს, იხაროს!.. საყვედურს ნუ ეტყვი!.. შენც წადი, ლიახზე წადი!.. დაე, ნურავინ გაგიძღვება, გზა კარგია, ხშირად გიგლია, არ შესცდები, იელი, იფრატუნებ, მიხვალ, უთუოდ მიხვალ!

ის იყო კარი გაიხურა თანდილამ და ვზას დაადგა, უშანგი შემოეყარა.

— მანდეთ ნუ, პაპა თანდილა, მანდეთ ნუ, აი, მე წაგიყვან... ოღონდ ჩქალა იალე! ავტო კანტოლასთან გაჩელდა.— უშანგიმ ხელი მოჰკიდა.

— საით, ეშმაკისფეხო, საით მეწევი?!

— ყვევისაყდალაზე ალ მოდიხალ?!

— არა, მე ლიახვზე მივდივარ!.. წამო, შენც ჩემთან წამოდი!

— სადა, ლიახვზე?! ლას ამბობ, პაპა თანდილა, ლიახვზე ლა მინდა?! იცი, ყვევისაყდალაზე ლა ამბაეია? წამო, წამო, აქეთ წამო, ჩქალა!

— დაცა, დაცა, უშანგი!.. ერთ კაი პირობას დაგიდებ, ყვევისაყდარისა და ყველა ამბავზე კარგ პირობას: შენ ლიახვზე წამომყე, მე ზღაპარს გეტყვი ბევრს, აქედან და იქიდან გზადსამყოფს... ეს ახლა იყოს, ზამთარში სხვა იქნება!

— აუ, ლამდენი ზღაპალი იქნება!

— მერე როგორი ზღაპრები, ჯერ არავისთვის მითქვამს!

თანდილამ ხელი მოჰკიდა.

უკუ დაიხია უშანგიმ.

— ალა, პაპა თანდილა, ახლა ალ წამოვალ ლიახვზე!

— მაშ, ზღაპრებს არ გეტყვი!

— ლად მინდა შენი ტყუილი ზღაპლები, ყვევისაყდალაზე ალა სჯობიან, მილეთვის ხალხი იქ ალი!..

— აღარასოდეს გეტყვი, აღარასოდეს!.. — ერთხელ კიდევ სცადა უშანგის დაოკება თანდილამ.

— ალ მინდა, ალ მინდა, სულ ალ მინდა, ალ მინდა!.. — მისძახოდა და კისრისტეხით გარბოდა უშანგი.

აქაც გაწბილდა.

თანდილა მაინც წავა ლიახვზე. არ შეუძლიან, ო, არ ძალუძს, რატომღაც ჩქოლავს გული, რაღაც შიში აჩქროლებს. რაღაც შიში? ვითომ არ იცის!.. ავი გამოტყდა, ახლა რაღად ცდილობს მძერუებას?! და მიდიოდა თანდილა,

აჩქარებდა, ეწეოდა გული, მიარაკუნებდა ჯოხს, მიაბიჯებდა უფროსი მარებით, ვიდრე დაბრმავებულნი შეძლებს სჩვევოდა, ოღონდ მაინც ნელი იყო, ვერ მისდევდა გულისხმას. მაგრამ ყველა გზა დაუღვია სიარულს. მიაწია ლიახვამდე თანდილამ და როცა იგივე ცივმა ქარმა შემოუბერა, იგივე ომახიანი ხმირება შემოესმა, ხელები მალლა ასწია, ჯოხი დაატრიალა და დაიძახა:

— ისევ ხმაურობს.

დაიძახა კიდევ რამდენჯერმე უფრო ხმაშალა, სურდა ვისმეს გაეგონა, სულიერი დაეგულეებინა და ეთქვა რაც ახარებდა: „დაე, გასკერიოთ არხები, გაიყვანეთ წყალი, დასდგით ელსადგურები, ოღონდ არც ეს ომახიანი ხმირება შეწყდეს“.

— ისევ ხმაურობს!..

ძიხბდა თანდილა, მაგრამ არავის ესმოდა; ირგვლივ არავენ იყო, მხოლოდ წყაწყარები დასდევდნენ ლიახვის ტალღებს.


XIV

ის იყო ცნობა მოვიდა სტალინურიდან, წყალი გადმოვახვევთო.

ელიან, ელიან.

საგუბარზე წითელი ლენტია გავიშული.

იქვე ტრიბუნა აღუმართავთ. ბელადთა პორტრეტები, დროშები, ყვავილთა წნულეები. ტრიბუნასთან: კედრი, ნაძვი, ფიჭვი, პატარ-პატარები, ახალდარგულნი (რა დღეს მოესწრო სალთვისის ველი?!). ტრიბუნაზე: სტუმრები, ცენტრალური კომიტეტიდან, მინისტრთა საბჭოდან, სამხრეთ ოსეთის პოლქო კომიტეტიდან, რაიკომის მდივნები, რაიკომსაკომის თავმჯდომარეები, დეპუტატები, მოწიხავე კოლმეურნენი, კორესპონდენტები. ტრიბუნის წინ, წრიულად ავტო-მანქანები, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა ფორმის, სხვადასხვა კოლმეურნეობის, სხვა-



დასხვა დაწესებულებების... ხალხი.. ხალხი!.. კოლმეურნენი, მუშა-მოსამსახურენი, სტუდენტები, მოწაფეები. ჯგუფჯგუფად თავთავიანთი დროებით წრეში — ისევ წრიულად (ტრიბუნის მარჯვენა მხრიდან საგუბარისაკენ). გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობები, გორის ეთნოგრაფიული გუნდი, გორის საკონსერვო ქარხნის სასულე ორკესტრი, დირბელი მეზურნეები, გორელი და ქარელელი მოჭიდავეები, სტალინირის სახელმწიფო თეატრის მსახიობები, სიმებიანი ორკესტრი... აქა-იქ ფოტოკორესპონდენტებო... და ყველგან, ყველგან... დაბალი, შავი, თმაგაჩეჩილი, ოფლმოკიდებული, მოლლილი ოპერატორი... ცხელა. ქოლგები. ქოლგები. საგუბრის მარჯვნივ ოციოდ ნაბიჯზე ყვავისაყდრის ნანგრევები.

ელიან, ელიან.

გუნდი მღერის. ცეკვავენ. უკრავს ორკესტრი, დირბელმა მეზურნეებმაც დაკრეს საარი... და უცებ სტუდენტების ძარაზე აიჭრა მსახიობი და სთქვა პოეტის ლექსი „არ გამაგონო“... მაგრამ მაინც მეზურნეებს დარჩათ ბურთი და მოედანი. წრეში მოჭიდავეები გადაცვივდნენ.

ქართული საჭიდაო!

აღბათ ქართველები სტვირით ასრულებდნენ ამ საჭიდაოს, ნამდვილად სალაშქრო, სისხლის ამაჩქეფებელ ჰიმნს!.. როდის გადაიტანეს ზურნაზე?!.. ვინ იცის რამდენი სილამაზე დააკლდა. დაუბრუნეთ, დაუბრუნეთ ეშხი!

ცხელა. აღმური ასდის სალთვისის ველს.

ელიან. ელიან.

გუნდთან, დიდი ქოლგის ქვეშ სხედან: რუსულანი ბავშვით, ასმათი, თეონა; დგანან: ფირანი, ბეჟანი, გურამი; რაღაცას ტყლოპინებს ბავშვი, ენას იდგამს: „დედ... დედ...“ შესძახის ასმათს. ეხვევა რუსულანს. უღვაშებზე

ისევას ხელს ფირანი. ბეჟანი იცინის, იცინის.

საიდანღაც უშანგიმ ^{გარკინული} ~~ფიქვლი~~ ^{ფიქვლი} ~~ფიქვლი~~

— ლა კალგია, ლა კალგია, ალა?!

— ძალიან მოგწონს?—იკითხა ბეჟანმა.

— ძალიან, ძალიან! პაპა თანდილა ლიახზე მეწეოდა, გინდა თუ ალა წამოდიო, ლა მინდოდა ლიახზე?! ზღამლებს გეტყვიო, ლად მინდოდა ზღამლები?..

— ლიახზე? ლიახზე მართლა წავიდა პაპა თანდილა?—შიშით იკითხა თეონამ და წამოიწია.

— წავიდა მა!.. კინადამ მეც წამოყვანა!

* — ლიახზე რა უნდოდა?!—გაიკვირვა ყველამ.

— რა ვიცი, აიხირა!—ლამის ცრემლები მორევოდა თეონას.

— მართო რად გაუშვი?!

— მაინც არ მეგონა თუ წავიდოდა!.. — ახლა კი მართლა მოადგა ცრემლები.—რაღა ვქნა?!

— ფირანი!—რუსულანმა შიშით შეხედა ფირანს.

— რატომ ძია ფირანი?! — დაატანა ასმათმა.—ბეჟანი, მიხედე!..

ბეჟანი ადგილიდან მოწყდა... ავტომანქანებს ვილისი გამოეყო. ველი უზოდ გადასერა ვილისმა.

და ის იყო: „წყალი!“ ერთად ამოიძახა ხალხმა. ლენტი გადასკრეს... დაითქრიალა, დაეშვა წყალი... სასულე ორკესტრი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნს ასრულებდა.

ორატორები. სიტყვები. მისალმებები დიდ ბელოდს, სოციალისტურ სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებს.

ვილისმა ისევ უზოდ გადმოსკრა ველი. შეჩერდა. ბეჟანი უსინათლო მოხუცს გადმოუძღვა... ორატორი იცვლებოდა. წამით რაღაც საოცარი დუმილი ჩამოწვა. მხოლოდ წყალი მოსჩქედდა, მიხაურობდა, მილუკლუკებდა. თანდილას საზე გაებადრა, მოესმა,

შეაფიოდ მოესმა ურწყაეებზე წყლის
მჩქეფარება, ქუდი მოიხადა, მკლავები
აღაპყრო და აღმოხდა:

— წყალი, პა, წყალი!.. სალთვისზე
ლიახვი ხმაურობს!

ეს იყო ყველაზე მოკლე, ყველაზე
მგრძობიარე, ყველაზე ამაღელვებე-
ლი სიტყვა.

XV

ბეჟანი და ასმათი ფირანთან და-
სახლდნენ. ერთად შეჰხარიან, ერთად
შესციცინებენ ბავშვს, რომელიც უკვე
არჩევს დედას და მამას, პაპას და დი-
დედას (ასე უძახის ფირანს და რუსუ-
ლანს). ფირანს არც დღე სძინავს, არც

ღამე... უხარიან, მხნეობა შეგუტები, ^{გულის} გულმოდგინედ დასტრეფენ ^{სიფხვლის} სიფხვლის.
მხარში უდგას ბეჟანი, თან სალთვისის
დიდი ბალის დაგვეგმვას ამთავრებს.
თანდილა აღარაფრად აგდებს გვალ-
ვებს, საჩეხში ზის და ჯოხს წინდაწინ
აქდევს, წელს მერამდენედ მიიღებს
ჯილდოს და მერამდენედ გახმაურდე-
ბა თეონას სახელი შექრის ქარხლის
მაღალი მოსავლის მიღწევისათვის.
უშანგი სულ იმ დღის ნატვრაშია, რო-
ცა რა ე-ს შეაფიოდ გამოსთქვამს.

ასმათის დედა?—დაიურვა გული. ახ-
ლახან ეწვია შეილს. შეურიგდა სიძეს.
შვილიშვილს დიდხანს იკრავდა გულ-
ში და ქვითინებდა...

გიორგი ჯიბლაძე

ლენინი და სვალინი ხელკონაპის შესახებ*

★

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების შეხედულებანი ყოველმხრივ განვითარებას პოულობენ ლენინისა და სტალინის შრომებში. ცნობილია ლენინის მითითება, რომ „მარქსისა და ენგელსის მოძღვრებამ მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წააწიონ წინ ყველა მიზართულებით, თუ მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას“. ლენინმა და სტალინმა შეჰქმნეს მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ახალი საფეხური. „ლენინი იყო და რჩება,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—მარქსისა და ენგელსის ყველაზე ერთგულ და თანმიმდევარ მოწაფედ, რომელიც შთლიანად და სავსებით ემყარებოდა მარქსიზმის პრინციპებს. მაგრამ ლენინი მარტო შემსრულებელი როდი იყო მარქს-ენგელსის მოძღვრებისა. ამასთან ერთად ის იყო მარქსისა და ენგელსის მოძღვრების გამგრძელებელიც. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ მან კიდევ უფრო განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება განვითარების ახალ პირობებთან შეფარდებით, კაპიტალიზმის ახალ ფაზასთან შეფარდებით, იმპერიალიზმთან შეფარდებით“¹.

ხელოვნებაზე მარქსის მოძღვრებასაც ლენინი ანვითარებს სწორედ ამ ახალ

პირობებთან შეფარდებით. ეს არის იმპერიალიზმის ეპოქა, დედამიწის ერთ შეექვედზე პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ეპოქა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ძველი ქვეყანა, შეფის, ბურჟუაზიისა და მემამულეების ქვეყანა, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შეჰქმნა სოციალისტური სამშობლო და გადაშალა სრულიად ახალი ფურცელი ადამიანის სულიერი ცხოვრების სამყაროში, იდეოლოგიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ლენინის მოძღვრება ხელოვნებაზე ეფუძნება კულტურის მატერიალისტურად გაგებას.

მთელ რიგ შრომებში ლენინი მიუთითებს, რომ აუცილებელია იდეების წარმოშობის გადაწყვეტის დროს პირველყოვლისა აღვხიშნოთ ამ იდეების მატერიალური წარმოშობა. ეს იყო მოთხოვნა იდეის წარმოშობის საკითხი დაკავშირებოდა მის მატერიალურ არსობას, იმას, რასაც უარყოფდნენ იდეალისტები, ემპირიოზონიზმის, ემპირიოსიმბოლიზმისა თუ ემპირიოკრიტიციზმის წარმომადგენლები, ბოგდანოვი, იუშევიჩი, ვალენტინოვი და მარქსიზმ-ლენინიზმის სხვა მტრები. ლენინის შეხედულებანი ხელოვნებაზე გამომდინარეობენ იმ მარქსისტული დებულებიდან, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებას წარმოადგენს, როგორც შეპირობებულს საზოგადოებრივი ყოფიერებით. ლენინი ყოველთვის იბრძოდა საზოგადოებრივი ყოფიერებისა და სა-

* წინიდან „ხელოვნება და სინამდვილე“.

¹ იხ. ი. სტალინი, „ლენინის შესახებ“, 1938 წ., გვ. 49.

ზოგადობრივი ცნობიერების გაიგივების წინააღმდეგ, ამტკიცებდა, რომ ამ შემთხვევაში იგივეობაზე ლაპარაკი უაზრობაა. საზოგადოებრივი ცნობიერება გამოხატავს საზოგადოებრივ ყოფიერებას, — წერს ლენინი, — აი რაში მდგომარეობს მარქსის მოძღვრება. გამოხატვა შეიძლება იყოს სწორი გამოხატულის ასლთან დაახლოებით, მაგრამ აქ მათ შორის იგივეობაზე ლაპარაკი უაზრობაა. ლენინმა არაერთხელ აღნიშნა არა მარტო იდეების წარმოშობის მატერიალურობა, არამედ მთელი კულტურის განვითარებაც მას ვერ წარმოედგინა მატერიალური წინამძღვრების გარეშე. იდეოლოგიის საკითხებს ლენინი განუყრელად უკავშირებდა კულტურის საკითხებს, ორივეს კი კლასობრივობას, გამოდიოდა რა მარქსის იმ ზიითებებიდან, რომ საზოგადოებაში გაბატონებული იდეები სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებული კლასის იდეები. ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებაში ლენინს ხელოვნება, მხატვარი მიიჩნდა ბაზრისათვის საქონლის შემქმნელად. მაშასადამე, ამ საზოგადოებაში ხელოვნებას საწარმოო ხასიათი აქვს, ისე როგორც მარქსმა მიუთითა ეს მომღერალი ქალის მაგალითზე¹. ლენინი ამბობდა: „საზოგადოებაში, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე, მხატვარი ჰქმნის საქონელს ბაზრისათვის, მას ესაჭიროება მყიდველი. ჩვენმა რევოლუციამ განათავისუფლა მხატვრები ამ უღარესად პროზაული პირობების უღლისაგან. მან საბჭოთა სახელმწიფო მათ დამცველად და შემკვეთლად გადააქცია“². ლენინი ანეითარებს მარქსის მოძღვრებას წარსულის შემკვიდრების კრიტიკულად ათვისებისა და გამო-

ყენების შესახებ, დიდი სიყვარულით ეპყრობა წარსულის პროგრესულ მოღვაწეებს, საერთოდ კულტურულ მოღვაწეებს. „უნდა ავიღოთ მთელი კულტურა, რომელიც დაგვიტოვა კაპიტალიზმმა, — ამბობს ლენინი, — და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, ტექნიკა, ყველა ცოდნა, ხელოვნება. უამისოდ ჩვენ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ“³. პროლეტარული კულტურა წარმოადგენს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერ განვითარებას, რაც კაცობრიობას შეუქმნია კაპიტალისტური საზოგადოების, ბუჟუაზიური საზოგადოების, ჩინოვნიკური საზოგადოების უღელქვეშ. მარქსმა იმით შესძლო თავისი მოძღვრება გაეხადა მილიონების საკუთრებად, რომ იგი ემყარებოდა კაპიტალიზმის დროს გამოქმულებული კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს, შეისწავლა საზოგადოებრივი განვითარების კანონები, აღმოაჩინა, რომ კაპიტალიზმის გარდუეველ განვითარებას კომუნისტურსავე მივყევართ; მაგრამ ამის დამტკიცება მან მხოლოდ იმით შესძლო, რომ უღარესი სიზუსტით, დეტალურად და ღრმად შეისწავლა კაპიტალისტური საზოგადოება, რისთვისაც გამოიყენა წინანდელი მეცნიერების ყველა მიღწევა. „ყველაფერი ის, რაც შექმნილი იყო აღამიანთა საზოგადოების მიერ, მან კრიტიკულად გადაამუშავა და არც ერთი პუნქტი არ დასტოვა უყურადღებოდ. ყველაფერი ის, რაც აღამიანის გონებით იყო შექმნილი, მან გადაამუშავა, კრიტიკის ცეცხლში გაატარა, შეამოწმა მუშათა მოძრაობით და გამოიყენა ის დასკვნები, რომლებიც არ შეეძლოთ გამოეყვანათ ბურჟუაზიული ჩარჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუა-

¹ К. Маркс, „Теория прибавочной стоимости“, т. I, стр. 268.

² Ленин, „О литературе“, 1941 г. стр. 274.

³ Ленин, „О культуре и искусстве“, 1938 г., стр. 163.

ზიული ცრურწმენით შებოჭილ ადამიანებს¹.

აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა: სოციალისტური კულტურა იქმნება კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის ცოდნით. რამდენიმე კონკრეტული მაგალითით ცხადყოფთ, თუ პრაქტიკულად როგორ ახორციელებდა ლენინი ამ დებულებას. გავიხსენოთ პერიოდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც კულტურულ ძეგლებს, მათ შორის ძველი ხელოვნების ძეგლებს, საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ზხრივ დიდი ზიანი მოელოდა. სწორედ ლენინის გენია შეიქნა საჭირო იმისათვის, რომ წარსულის მრავალი უშესანიშნავესი ძეგლი დაღუპვას გადაარჩინოდა. ავიღოთ თეატრი. რევოლუციის შემდეგ რუსეთში დარჩა რამდენიმე ძველი თეატრი. ისინი ძველი იყო კაძრებითაც და რეპერტუარითაც. მისი შემქმნელები, ზოგიერთი დიდი წარმომადგენლებიც რევოლუციას სრულიად მოუშზაღებელი შეხვდნენ. მაგალითად, ძველი თეატრის ისეთი სახელოვანი ადამიანები, როგორც არიან მოსკოვნი და ნემროვიჩი-დანჩენკო, გაურკვეველი იყვნენ რევოლუციის უდიდეს კულტურულ მიზნებში. მათ ეგონათ, თითქოს რევოლუცია განდევნიდა ყველა და ყოველგვარ თეატრს. 1918 წელს პროლეტკულტელები გამოცხადდნენ ლენინთან და მოითხოვეს ალექსანდრინის თეატრის დახურვა. ისინი ამტკიცებდნენ: ეს თეატრი „რეაქციული ხელოვნების ბუდე“ არისო. ლენინმა გაილაშქრა ამ მოთხოვნის წინააღმდეგ. იგი ღრმად იყო დაარწმუნებული, რომ ძველი თეატრები რევოლუციის შემდეგდროინდელ პირობებში ახალის ზეგავლენით აუცილებლად შეიცვლიდნენ მიმართულებას. ლენინარსკი მოგვითხ-

რობს: „მე ვუთხარი ვლადიმერ ილიჩს, რომ ვფიქრობ მივიღო ყველა ლენინისებება იმისათვის, რათა შევინარსო რუსეთის ყველა საუკეთესო თეატრი. ამას მე დავუმატე: „ჯერჯერობით, რასაკვირველია, მათი რეპერტუარი ძველია, მაგრამ ყოველგვარი ტალახისაგან ჩვენ მას ახლავე გავწმინდავთ. საზოგადოება, და ამასთან სწორედ პროლეტარული, იქ დადის ხალისით. როგორც ეს საზოგადოება, ისე თვით დრო კონსერვატიულ თეატრებსაც კი აიძულებენ თანდათან შეიცვალონ“... ვლადიმერ ილიჩმა ყურადღებით მომისმინა და მიპასუხა, რომ დამკავებინა სწორედ ეს ხაზი, მხოლოდ არ დამევიწყებინა, რომ მხარი დამეჭირა იმ ახლისთვისაც, რომელიც იბადება რევოლუციის გავლენით. დე იგი თავდაპირველად იყოს სუსტი, აქ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ესთეტიკური მსაჯელობანი“¹. ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა სიღრმით სწყებდა ლენინი საკითხს საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ლენინისათვის ნათელი იყო, რომ რევოლუცია გამოიწვევდა ცვლილებას იდეოლოგიის სფეროში, ახალი სინამდვილე წარმოშობდა ახალ თეატრსაც, მხოლოდ საჭირო იყო ამ ახალისათვის ხელისშეწყობა და დახმარება. რევოლუცია, რომელმაც მშრომელთა შილიონები გაანთავისუფლა ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან, აუცილებლად წარმოშობდა ახალ გენიოსებს კულტურული საქმიანობის ყველა დარგში. ჰართებულად შენიშნავს ლენინარსკი, რომ ლენინმა იცოდა რევოლუცია ბადებს ახალ გენიოსებს ხალხიდან, რომ ისინი შექმნიან ნამდვილად სახალხო ხელოვნებას. ახალ „საზოგადოებრივ წყობილებას... უნარი ექნება

¹ ლენინ, „О литературе“, стр. 212.

¹ Ленин, „О культуре и искусстве“, 1938 г., стр. XIII.

ზიის გარეშე წარმოუდგენელია, ცხადია, ხელოვნება, როგორც სინამდვილის მხატვრული სახეებით განზოგადება, მით უფრო წარმოუდგენელია უფანტაზიოდ. ლენინურ ფორმულირებაში — ტყუილად ფიქრობენ, თითქოს ფანტაზია მხოლოდ პოეტისათვის იყოს საჭიროო, — თავისთავად აღიარებულია ხელოვანისათვის ფანტაზიის უდიდესი როლი. ფანტაზია თითქმის იგივეა, რაც ოცნება, თუმცა იგი მეტს შეიცავს, ვიდრე ოცნება. ფანტაზია განსახიერებს ოცნებასაც და აერთიანებს, როგორც ზოგადი, ყველაფერს, რაც ოცნებას და მის არსობას თუ საზღვრებს განეკუთვნება. როცა ჩვენ ვამბობთ სიტყვას — „ფანტაზია“, პირველყოფილსა წარმოგვიდგება ზოგადი ცნება, რომელიც თვით ფანტაზიის არსს გამოხატავს. ვამბობთ სიტყვას — „ოცნება“ და ჩვენ უფრო კონკრეტულად წარმოვიდგენთ ფანტაზიას, ადამიანის შექმედებითი ნიჭის პროცესს. შეიძლება მხოლოდ ეს იყოს მათ შორის განსხვავება, თუ საერთოდ საჭიროა ამ ნიუანსობრივი განსხვავების აღნიშვნა. სხვა მხრივ მათ შორის არავითარი არსებითი, არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს.

მაგრამ პრინციპიალურ განსხვავებას ჩვენ ვხედავთ თვით ოცნების ხასიათში. არსებობს ორგვარი ოცნება, ორგვარი ფანტაზია. პირველი გამომდინარეობს სინამდვილისა და ცხოვრების რეალური მონაცემებიდან, განზოგადებს მათ, ხელს უწყობს პროგრესიულ ტენდენციებს, წინ უბიძგებს განვითარებას და მომავალს ემსახურება. ასეთი ოცნება პროგრესიულია, იგი ახასიათებს რევოლუციურ რომანტიზმს, მას სარგებლობა მოაქვს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მეორე, პირიქით, ხელს უშლის ჯანსაღ ტენდენციებს, ასაზრდოებს რეაქციულ მისწრაფებებს, ძველს ებღაუ-

ქება და უკან იცქირება. ასეთი ოცნება რეგრესიულია, იგი ახასიათებს რეაქციულ რომანტიზმს, მსკრამილურადაც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ლენინი მხარს უჭერდა პირველს, უარყოფდა მეორეს. სასარგებლო და აუცილებელი ოცნების საილუსტრაციოდ ლენინს თავის წიგნში — „რა ვაქეთოთ?“ მოჰყავს პისარევის შეხედულება. ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებული უთანხმოების აღნიშვნის შემდეგ პისარევი წერს: „ჩემს ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, ანდა შეუძლია გაინავარდოს სულ განზე, იქით, სადაც ვერასოდეს ვერ მიიღწევს მოვლენათა ვერავითარი ბუნებრივი მსვლელობა. პირველ შემთხვევაში ოცნებას არავითარი ენება არ მოაქვს; მას შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდევაც მშრომელი ადამიანის ენერჯია. ამგვარ ოცნებაში არაფერია ისეთი, რასაც შეეძლოს გაათახსიროს ან მოშალოს სამულშო ძალა. სრულიად პირიქითაც კი. ადამიანი რომ საცნებით მოკლებული იყოს ამგვარად ოცნებობის უნარს, მას რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაუსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათად სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ესაა ისახება მის ხელში, — მაშინ მე სრულებით ვერ წარმომიდგენია, თუ რა მამოძრავებელი მიზეზი აიძულებს ადამიანს დაიწყოს და ამათავროს დიდი მოქმანცველი მუშაობა ხელოვნების, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების დარგში... ოცნებასა და სინამდვილეს შორის უთანხმოებას არავითარი ენება არ მოაქვს, თუ კი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით აკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას აღარებს თავის ჰეროივან კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი

ფანტაზიის განსახორციელებლად. როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა¹.

სრულიად განსხვავებულია მეორე გვარის ოცნება. ლენინი „რეაქციულ რომანტიკოსებს“ უწოდებს რუს ნაროდნიკებს, რომლებიც ვერ ხედავდნენ თავის დროზე კაპიტალიზმის პროგრესიულ როლს და ოცნებობდნენ ისევ პატრიარქალურ თემურ წყობილებაზე. ზათი ოცნება მოწყვეტილი იყო სინამდვილის ჭეშმარიტ ისტორიულ განვითარებას, უკან იხედებოდა, ვერ ითვალისწინებდა პროგრესიულ ძალებს, რომლებსაც ნამდვილად შეეძლოთ მომავლის შექმნა.

ჭეშმარიტ ხელოვანს, ჭეშმარიტ მწერალს მოეთხოვება იყოს მეოცნებე, მაგრამ მისი ოცნება სინამდვილის პროგრესიულ ძალთა ლოგიკით უნდა ხელმძღვანელობდეს. ყოველი დიდი ხელოვანი ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას განასახიერებს თავის შემოქმედებაში და გვევლინება არა მარტო თავისი დროის, არამედ მომავლის მხატვრადაც. კლასობრივ საზოგადოებაში იდეოლოგიის კლასობრივი ხასიათი მას კი არ ზღუდავს, პირიქით, უფრო აჩენს, ვინაიდან თუ ის რეაქციულ კლასს ეკუთვნის სოციალურად, მაგრამ ამავე დროს შეუძლია სწორად გადმოგვეცეს თავისი დრო, ეპოქა, თუ მისი თვალსაზრისი კი არ უგულვებელყოფს, არამედ ხედავს და გამოხატავს თავისი თანამედროვეობის პროგრესიულ ძალებს და ტენდენციებს, მაშინ მწერალი თაობებს გაღასწვდება. სატყუარებს გაღწევდა ხოლს, უკვდავ სახელს დაიმკვიდრებს მსოფლიო ლიტერატურაში. ეს მომენტი შესანარჩუნებლად დაახასიათა ინგლისმა რენესანსის ეპოქის ზოგად მიმზილვაში. ის ეპოქა, რომელიც მე-15

საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და რომელსაც ჩვენ აღფრთხილებულნი ვეძახით, ფრანგები — ბუჩქნარები, ტალიელები — ჰინკეჩენტოს, გერმანელები რეფორმაციას უწოდებენ, გვამღვებს ერთ-ერთ საუკეთესო მასალას ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ. ეს მართლაც იყო იმ დრომდე კაცობრიობის მიერ განვლილ ისტორიაში უდიდესი პროგრესიული გადატრიალების ხანა. ეს იყო ეპოქა, რომელიც ტიტანებს საჭიროებდა და რომელმაც კიდევაც წარმოშვა აზრის, ენებების, ხასიათის ძლიერებით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით ტიტანი ადამიანები. ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამკვიდრებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მხოლოდ არ ყოფილან ბურჟუაზიულად შეზღუდული ადამიანები. პირიქით, ისინი ცოტად თუ ბევრად გამსჭვალული იყვნენ იმ დროისათვის დამახასიათებელი თავგადასავლების გაბედულ მაძიებელთა სულით². ამ დროს ლეონარდო და ვინჩი არამარტო დიდი მხატვარი იყო, არამედ დიდი ზათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც; დიურერი მხატვარი იყო, მაგრამ ფორტიფიკაციების სისტემაზე გამოიგონა; ნიკოლო მაკიაველი სახელმწიფო მოღვაწეობასთან ათავსებდა ისტორიკოსობასა და პოეტობას; ლიუტერიც მრავალმხრივი ადამიანი იყო. ამის შემდეგ ენგელსი მიუთითებს რენესანსის ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა განსაკუთრებულ ხასიათზე. რაც იმაში მდგომარეობს, რომ „ისინი თითქმის ყველანი თავიანთი დროის ინტერესთა შეთავსებაში ცხოვრობენ, ცხოველ მონაწილეობას იღებენ პრაქტიკულ ბრძოლაში, დგებიან ამა თუ იმ პარტიის მხარეზე და იბრძვიან ვინ სიტყვით და კალმით, ვინ მახვილით, ვინ კიდევ ორივეთი ერთად.

¹ Ф. Энгельс, из „Диалектики природы“, 1940 г., стр. 7—8.

² მოგვიან ლენინის მიხედვით.

აქედან წარმოსდგება ხასიათის ის სისრულე და ძალა, რაც მათ მთლიან ადანიანებად აქცევს. კაბინეტის მეცნიერები მაშინ გამოჩნდებიან იყო; ისინი იყვნენ მეორე ან მესამე რანგის ადამიანები, ან კეთილგონიერი ფილისტერები, რომლებსაც არ სურდათ თითები დაეწვათ¹. მაგრამ ხელოვნებისა და ლიტერატურის მთელი ისტორია განა იმას არ გვეუბნება, რომ ის, რაც რენესანსის ეპოქაში იყო, დამახასიათებელია საერთოდ იდეოლოგიისა და მისი თვითული ფორმისათვის ყველა დროსა და ყველა ეპოქაში? განა პოპროსის შემდეგ დღემდე ჩვენ იგივე კანონის მოქმედება არა გვაქვს? აიღეთ მე-19 საუკუნის რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურა. პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტოლსტოი, ტიუტჩევი, ნეკრასოვი, შხედრინი, გონჩაროვი, ალექსანდრე ჰვუჟაჟე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი — ყველა ისინი გარკვეულ კლასობრივ იდეოლოგიას გამოხატავენ, მაგრამ ამჟამად დროს გვიხატავენ ზოგადკაცობრიულსაც, არ არიან შეზღუდულნი მარტოოდენ თავიანთი კლასის ინტერესებით. გენიოსი სწორედ იმიტომ არის გენიოსი, რომ აწყვეთს ერთად მომავალს გამოხატავს, ნაციონალურთან ერთად ინტერნაციონალურს, კონკრეტულ-ადამიანურთან ერთად ზოგადკაცობრიულს.

ეს შეზღუდულება მთლიანად ეხება მხატვრულ სახეს, როგორც ხელოვნების ძირითადსა და არსებითს ნიშანს. ჩვენთვის დიდიხანია გამორკვეულია ის ელემენტარული ქეშმარიტება, რომ მხატვრული სახის თვითმიზნობრივი განხილვა მას აქცევდა ფორმალისტურ იპოსტასად, რაც საბოლოო ანგარიშში

აბუნდოვანებდა თვით ხელოვნების რაობისა და ფუნქციის ქეშმარიტ მეცნიერულ განსაზღვრას. მართალია, მხატვრული სახე სინამდვილის სპეციფიკური შემეცნების ფორმაა, მაგრამ როგორც იდეოლოგიური კატეგორია, მასში გამოხატულებას პოულობენ ხელოვნების პოლიტიკური, მორალური, იურიდიული, ესთეტიკური მისწრაფებანი. იდეურად არაერთგვაროვანი პრინციპიალური სხვაობა არ არსებობს ლოგიკურსა და ესთეტიკურ კატეგორიებს შორის, ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ გამოხატვის საშუალებით განსხვავდებიან. ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს მხატვრული სახე, როგორც ესთეტიკური კატეგორია, მივიჩნიოთ იდეოლოგიურ კატეგორიად. სხვანაირად არც შეიძლება მისი წარმოდგენა, რამდენადაც ყოველ მხატვრულ სახეში ხელოვანი თავის იდეას აქსოვს, ეს იდეა კი ხელოვნების იდეოლოგიიდან გამომდინარეობს. ბაზისისა და ზედნაშენების ურთიერთმიმართების მარქსისტულ-ლენინური თეორია საეცებით ნათლად განმარტავს ხელოვნების თეორიის ამ ერთ-ერთ ძირითად საკითხს.

მხატვრული სახე უნდა იყოს რეალისტურიც და რომანტიულიც. მასში რეალური სინამდვილე განზოგადოებულად უნდა წარმოსდგეს. ლენინის მოთხოვნა — რეალიზმი და რევოლუციური რომანტიზმი — განხორციელებულია საბჭოთა ლიტერატურაში, რომლის შემოქმედებითი მეთოდი, როგორც დიდმა სტალინმა განსაზღვრა, არის სოციალიტური რეალიზმი და რევოლუციური რომანტიზმი.

ლენინი უაწყოფითად ახასიათებდა იმპერიალიზმის ეპოქას დეკადენტურ ხელოვნებას. იგი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ და წერილობრუაზიულ ბურჟუაზიებს ხელოვნებაში გაუგებარს უწოდებდა. ეს ეხება ფუტურისმს, ექსპრესიონისმს, კუბისმს და

¹ Ф. Энгельс, из „Диалектики природы“, 1940 г., стр. 8.

სხვა ფორმალისტურ განშტოებებს. პროლეტარული რევოლუციის გენიოსი შემოქმედი ამ მიმდინარეობათა შესახებ კლარა ცეტკინას ეუბნებოდა: „მე მათ ვერ ვგებულვობ. მე მათგან ვერაფერთარ სიხარულს ვერ განვიცდიო“¹. ლუენაჩარსკიც მიუთითებს, რომ ლენინი „ფუტურისტს საერთოდ უარყოფითად ეპყრობოდა“². წინააღმდეგ ფუტურისტისა, ლენინი მოითხოვდა, რომ ხელოვნება გასაგებში ყოფილიყო მასებისათვის, ხალხისათვის. სწორედ ამიტომ არ მოსწონდა მას თავიდანვე მიაიკოვსკის ლექსები, თუმცა მათში ძალიან დააფასა ძველის ნარჩენების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა და პოლიტიკური სიმახვილე. როცა წაიკითხა მიაიკოვსკის ცნობილი ლექსი „სხდომებს გადაყოლილნი“, ლენინმა მიუთითა: „მე არ ვეკუთვნი მისი (ე. ი. მიაიკოვსკის — გ. ჯ.) პოეტური ნიჟის თაყვანისმცემლებს, თუმცა საეცებით ვაღიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ დარგში. მაგრამ დიდიხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული აზრით. თავის ლექსში ის მწვავედ დასცინის სხდომებს და ქირდავს კომუნისტებს, რომ ისინი სულ სხდომობენ და გადაყოლილნი არიან სხდომებს. არ ვიცი, როგორაა საქმე პოეზიის მხრივ, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკას, დანამდვილებით ვიტყვი, რომ ეს საეცებით სწორია“.

ახალი ხელოვნების შექმნის უდიდესი ისტორიული ამოცანა ლენინს ღრმად ჰქონდა შეგნებული. მთავე დროს, ახალი ხელოვნების შექმნას იგი უყურებდა არა როგორც ლაბორატორულ შრომას, არამედ ისტორიულ პროცესს, შეპირობებულს ეკონომიური და პოლიტიკური რიგის ზოგენებით. ამ თვალსაზრისით მიუღდა პროლეტულტსაც,

რომლის გარეგნულ პროლეტარულში მან შეამჩნია ანტირევოლუციური ხელი. პროლეტარული უმეტესობის წელს. მისმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი არიან ახალი კულტურის, ახალი ხელოვნების შემქმნელები. ბოგდანოვის მეთაურობით მათ წამოაყენეს პროლეტარული კულტურის შექმნის „თეორია“, რომლის ძირითადი პრინციპები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ა) პროლეტარული ხელოვნება და კულტურა უნდა შეიქმნას სტუდიებში, ლაბორატორიებში, პროლეტკულტის უჯრედებში; ბ) ვინაიდან ეს კულტურა და ხელოვნება არის პროლეტარული, ამდენად მისი მშენებელია მხოლოდ პროლეტარიატი; გლუხობა არ ასრულებს და არც შეიძლება ასრულებდეს რაიმე როლს მის შექმნაში; გ) აბსტრაქტულ-მეტაფიზიკურად გაგებული ხელოვნების შექმნა და თვით ხელოვნება მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ-ეკონომიურ სინამდვილეს; დ) ვინაიდან პროლეტარული კულტურა სრულიად ახალია, ამიტომ ის ვერ გამოიყენებს წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ეს უკანასკნელი უარყოფილ უნდა იქნას პროლეტარული კულტურის ინტერესებისათვის. ეს „თეორია“ არსებითად იყო კონტრევოლუციური და მტრული. გლუხობის როლის იგნორირება ნიშნავდა ნამდვილად სახალხო ხელოვნების უარყოფას, წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობის ნიდილისტური მოხსნა გზას უზომოდა ნამდვილად ახალი ხელოვნების შემოქმედებითს წინსვლას, ლაბორატორიებსა და სტუდიებში ხელოვნების შექმნა შეუძლებელი იყო, და თუ რაღაც სასწაულოთ ის მაინც შეიქმნებოდა, აუცილებლად საზოგადოებრივი ცხოვრების, სინამდვილისაგან მოწყვეტილი სახით.

1920 წელს მოიწვიეს პროლეტარულტების პირველი ყრილობა, რომე-

¹ Ленин, „О литературе“, стр. 275.

² Там-же, стр. 286.

ლიც 2-დან 12 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა. ამ ყრილობის რეზოლუციის პროექტში განვითარებულ იქნა ჩვენს მიერ დახასიათებული „თეორიის“ პრინციპები. როდესაც წინასწარ გასაცნობად ეს პროექტი მიუტანეს (რამდენადაც დადასტურებულია, ამ პროექტის შთამაგონებელი იყო კონტრრევოლუციონერი ტროცკი), ლენინმა იგი შეაფასა, როგორც ნამდვილად პროლეტარული ხელოვნების საზიანო დოკუმენტი. ლენინმა თვითონ შეადგინა ყრილობის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ხუთი პუნქტისაგან შედგება და ზოითხოვს ხელოვნება გამსჭვალული იყოს კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით. პროლეტარული ხელოვნების წარმომადგენლის მსოფლმხედველობა არ შეიძლება სხვა იყოს, თუ არა მარქსიზმი, ვინაიდან იგი წარმოადგენს რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესების, თვალსაზრისისა და კულტურის სწორ გამოხატულებას, როგორც ეს ბრწყინვალედ დადასტურა მთელი უახლოესი ისტორიის გამოცდილებამ. მარქსიზმმა, როგორც ახალმა მსოფლმხედველობამ, კი არ უკუაგდო ის, რაც ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარია, არამედ „შეითვისა და გადააშუშავა ყველაფერი, რაც ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ზანგრძლივ განვითარებაში. ნამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ შემდგომი მუშაობა ამ საფუძველზე და ამავე მიმართულებით...“¹ თეორიულად არასწორია და პრაქტიკულად მავნეა ყოველგვარი ცდა — გამოგონებულ იქნას განსაკუთრებული კულტურა, ხელოვნების ზეშაყები ჩაიკეტონ თავის განცალკევებულ ორგანიზაციებში, გამიჯნონ განათლების

საქმისა და პროლეტარული კულტურის სფეროები ან დაადგინონ პროლეტკულტის „ავტონომია“. ამგვარმა ნების ამოცანებმა ლენინმა მიიჩნია პროლეტარული დიქტატურის ამოცანების ნაწილად და დაჰკმო პროლეტკულტის მეტაფიზიკური გამოთიშვა პარტიის საერთო ხელმძღვანელობიდან. ამით ჩვენს ახალგაზრდა ხელოვნებას ლენინმა ააციდინა პროლეტკულტელების მიერ გამოკვდილი ბორკილი.

განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა ლენინი წარსულის ზონუმენტურ ძეგლებს. რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მან ენერგიული ზომები მიიღო წარსულის მხატვრულ ღირებულებათა გადასარჩენად. 1918 წლის 24 სექტემბერს ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი „მხატვრულ ღირებულებათა და წარსულის ძეგლების დაცვის შესახებ“, რომელიც გაფრთხილებას იძლეოდა, რომ რევოლუციური კანონიერების მთელი სისასტიკით დაისჯებოდა ყველა ის, ვინც მხატვრული ღირებულების მქონე და წარსულის ძეგლებს არ გაუფრთხილებოდა. ამ დეკრეტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო წარსულის ძეგლების გადასარჩენად სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, არამედ იმ მხრივაც, რომ მან რევოლუციის სასიცოცხლო ინტერესებისაგან შემოაბრუნა ძველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც წინად რევოლუციაში ექსპლოატაციაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევასთან ერთად კულტურის დანგრევასაც ხედავდა და დარწმუნებული არ იყო რევოლუციის უდიდეს კულტურულ ძალაში. იმავე 1918 წლის 2 აგვისტოს ლენინის ხელმოწერით ქვეყნდება დეკრეტი „სოციალიზმის, რევოლუციისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთათვის ძეგლების დაცვის შესახებ“. დეკრეტს თან ახლდა სია,

¹ Ленин. „О литературе“, стр. 205.

თუ ვის უნდა აგებოდა ძეგლები. სპარტაკის, მარქსის, ენგელსის, რობესპიერის, გარიბალდის, პეტელის, რილევის, გერცენის, პლუხანოვის, ელიაბოვის, ფუროეს გერდით მოხსენებული იყო მწერლები ტოლტოი, დოსტოევსკი, ლერმონტოვი, პუშკინი, გოგოლი, რადიშჩევი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, შევჩენკო, მეცნიერები ლომონოსოვი, მენდელეევი, სკოვოროდა, მნატერები რუბლევი, ივანოვი, კომპოზიტორები მუსორგსკი, სკრიაბინი, შოპენი, მსახიობები მოჩალოვი და კომისარევესკაია. ამ დეკრეტმაც დიდი როლი შეასრულა კულტურული მშენებლობის ფრონტზე, ერთხელ კიდევ ცხადყო რევოლუციის უდიდესი მზრუნველობა კულტურისა და ხელოვნებისადმი.

ლენინი ღრმად ერკვეოდა ხელოვნების სპეციფიკაში, თუმცა ხშირად ამბობდა — ამ დარგში კომპეტენტური არა ვარო. იგი კინოს სთვლიდა ყველა ხელოვნებათაგან უმნიშვნელოვანესად¹. ამავე დროს მაღალ შეფასებას აძლევდა ხელოვნების ისეთ დარგს, როგორცაა მუსიკა. ლენინს მუსიკისაგან მიღებულ შთაბეჭდილებაზე ძალიან მაღალი წარმოდგენა ჰქონდა. გორკი შენიშნავს: როცა ლენინმა ე. პ. პუშკოვას ბინაზე მოისმინა ბეთხოვენის სონატები, ისაია დობროვეინის შესრულებით, სთქვა: „მე არაფერი ვიცი „Apassionata“-ზე უკეთესი და მზად ვარ ყოველდღე მოვისმინო იგი. განმაცვიფრებელი, არაადამიანური მუსიკაა. მე ყოველთვის, შეიძლება გულუბრყვილოდ, მაგრამ სიამაყით ვფიქრობ: აი, რა სასწაულების შექმნა შეუძლიათ ადამიანებს!“² ლენინი იქვე დასძენდა, რომ „მუსიკის ხშირად მოსმენა არ შემიძლია, ნერვებ-

ზე მოქმედებს, გინდა საამო სისულელე ილაპარაკო და თავზე უხელო მხატვრული ადამიანებს, რომელთაც მსხვერპლად გამოხეობთ ყოფნის დროს შეუძლიათ ასეთი სილამაზე შექმნან. დღეს კი თავზე ხელს ვერაფერს მოუსვამ, — ხელს მოგვამენ, საჭიროა თავში ურტყა, შეუბრალებლად ურტყა, თუმცა ჩვენ იდეალში ადამიანზე ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვართ. კმ-კმ, — საშინლად ძნელი თანამდებობაა“. მუსიკისადმი ლენინის სიყვარულს ანალოგიური შტრიხებით გადმოგვცემს ლუნაჩარსკი: „ვლადიმერ ილიას-ქეს ძალიან უყვარდა მუსიკა, მაგრამ მუსიკა იღვლეებდა მას. ერთხანს ჩემს ბინაზე კარგი კონცერტები ეწყობოდა. მღეროდა ზოგჯერ შალიაპინი, უკრავდნენ მეიჩიკი, რომანოვსკი, სტრადივარიუსის კვარტეტი, კუსევიცი და ა. შ. ბევრჯერ მიმიწვევია ვლადიმერ ილიას-ქე, მაგრამ მუდამ გართული იყო საქმით. ერთხელ პირდაპირ მითხრა: „რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა მუსიკის მოსმენა, მაგრამ წარმოიდგინეთ, იგი ძალეულებს. ვას როგორღაც მიმიღ განვიციდო“³.

ურტყუარი მხატვრული აღლო ლენინს საშუალებას აძლევდა სწრაფად შეემჩნია შემოქმედებითი ტალანტი, როგორც, მაგალითად, მან სწრაფად გამოიცნო გორკის ნიჭი. როცა პლუხანოვი გორკის უსაყვედურებდა პუბლიცისტიკას მხატვრულ შემოქმედებაში, ლენინს სრულიად სხვანაირად წარმოუდგა „დედა“. 1907 წელს, პარტიის ლონდონის ყრილობაზე მან გორკის უთხრა ამ რომანის შესახებ: „საჭირო წიგნია, ბევრი მუშა მონაწილეობდა

¹ Ленин, „О литературе“, стр. 269.

² Ленин, „О культуре и искусстве“, 1938 г., стр. 130—131.

³ Ленин, „О культуре и искусстве“, 1938 г., стр. 135.

წერა-კითხვა და განიშკველა ღმერთისადმი ღრმა რწმენით. ზათე ხელავს, ქვეყნად გამეფებულია ბოროტება და ბიწიერება. ამ ბოროტებას დაერთო უბედურებაც — მათეს ცოლი ოღლა გარდაეცვალა. გაუბედურებული ქმარი მიმართავს მღვდელს და სთხოვს განუმარტოს ცხოვრების აზრი. მაგრამ უძლური აღმოჩნდა რელიგიის მსახურთა ცდა—განემარტათ ეს საკითხი. მხოლოდ მეძავემა ქალმა ტატიანამ აღმოუჩინა მას ადამიანური თანაგრძნობა. მათე განშორდა ამ საშინელებას, მიამშურა მონასტერს, მაგრამ იქაც მან ბოროტებისა და გახრწნილების მეტი ვერაფერი დაინახა. ზათე სტოვეებს მონასტრის კედლებს და მიამშურებს ქარხანას. და მხოლოდ იქ, ქარხანაში, მუშათა წრეში შეამჩნია მან ადამიანის მორალური სიმალღე და კეთილშობილება, იგრძნო, რომ ერთი იცავს მეორეს, ერთი თავს სწირავს მეორისათვის და ყოველივე ამაში მათემ დაინახა ცხოვრების ქეშმარიტი აზრი. იგი ხელავს, მუშები რალაცას აშენებენ და მათედაც რელიგიის ნაცვლად იქამა ეს საქმე.

„...И—по сем возвращаюсь туда, где люди освобождают души ближних своих из плена тьмы и суеверий. собирают народ воедино, освещают пред ним тайное лицо его, помогают ему осознать силу воли своей, указывают людям единый и верный путь к всеобщему слиянию ради великого дела—всемирного богостроительства ради!“¹ როგორც ვხედავთ, „აღსარების“ მოკლე შინაარსი „ღვთისმშენებლობის“ სრული პარალელია. და ლენინმა ბრწყინვალედ შენიშნა, რომ გორკის მიერ ღვთისმამიძიებლობის შეცვლა „ღვთის-

მშენებლობით“ „აღსარების“ ნარჩენს წარმოადგენდა.

ლენინი ასევე აკრიტიკებდა გორკის თვალსაზრისს იდეების წარმოშობის შესახებ და მიუთითებდა, რომ იდეების წარმოშობა მატერიალურია. „ღმერთი არის, — წერდა გორკი, — კომპლექსი იდეათა, რომლებიც ხალხმა, ერმა და კაცობრიობამ შეიმუშავა, რომლებიც აღვიძებენ და აყალიბებენ სოციალურ გრძნობებს: იმ მიზნით, რომ აზროვნება შეაკავშიროს საზოგადოებას და ალაგმონ ზოლოლოგიური ინდივიდუალიზმი“. მაშასადამე, გამოდის, ღმერთი იდეათა კომპლექსია, მის შექმნას წინ არ უსწრებს მატერიალური ბაზისი. გორკის ამ დებულების შესახებ ლენინმა მიუთითა, რომ „ეს თეორია აშკარად დაკავშირებულია ბოვდანოვისა და ლუნაჩარსკის თეორიებთან“, რომ „ეს თეორია აშკარად ყალბია და აშკარად რეაქციული“. ლენინმა ამავე დროს მიუთითა, რომ იდეალიზმი არ ნიშნავს თითქოს მას მხედველობაში ჰქონდეს მხოლოდ პიროვნების ინტერესები. „ფილოსოფიურ იდეალიზმს რომ ყოველთვის მხედველობაში აქვს მხოლოდ პიროვნების ინტერესები—ეს არ არის მართალი. ნუთუ დეკარტეს გასენდისთან შედარებით პიროვნების მეტი ინტერესები ჰქონდა მხედველობაში? ან ფიხტესა და ჰეგელს ფიქერბაზთან შედარებით?“

ასე მაკაცრად, ღრმად და პრინციპულად აკრიტიკებდა რა გორკის შეცდომებს, ლენინი „პუბლიცისტის შენიშვნებში“ აღნიშნავდა მის უდიდეს დამსახურებას პროლეტარული ხელოვნების წინაშე. „გორკი პროლეტარული ხელოვნების უთუოდ დიდი წარმომადგენელია, რომელმაც მისთვის ბევრამ გააკეთა და კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია... გორკი ავტორიტეტია პროლეტარული ხელოვნების საქმეში, ეს უდაოა... პროლეტარული ხელოვნების საქმეში გორკი არის უდიდესი

¹ М. Горький, „Собрание сочинений“, 1933 г., т. IX, стр. 148.

პლი უსი¹. როგორ ეპყრობოდა გორკი ამ კრიტიკას? გენიალური მწერალი თვითონვე აღიარებს: „ნამდვილ რევოლუციონერობას მე ვგრძნობდი სახელდობრ „ბოლშევიკებში“, ლენინის სტატიებში, სიტყვებსა და მუშაობაში ინტელიგენტებისა, რომლებიც მისი გზით მიდიოდნენ“. გორკი იყო და დარჩა ლენინის უახლოესი მეგობარი, კომუნისტების ერთგული. რა ღრმა გულისტკივილით, მხურვალე სიყვარულით და უთუო გამარჯვების რწმენით აღსაყვამისი სიტყვები: „ელადიმერ ლენინი მოკვდა. მისი გონებისა და ნებისყოფის ნემკვიდრებები ცოცხლობენ. ცოცხლობენ და მუშაობენ ისეთი წარმატებით, როგორც არავის, არასოდეს, მსოფლიოში არსად არ უმუშავია“².

როგორც გორკის მაგალითზე ვნახეთ, მხატვრული შემოქმედების ანალიზს ლენინი ყოველთვის მჭიდროდ უკავშირებდა ეპოქას, კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს. ამ თვალსაზრისით მიუდგა იგი ლევ ტოლსტოის და მოგვცა მისი რომანების ღრმა, ისტორიული დახასიათება. ლენინის წერილებში ტოლსტოის შემოქმედებაზე მეცნიერულად არის გარკვეული ხელოვნების თეორიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები. წერილში — „ლევ ტოლსტოი, როგორც საჩუქე რუსეთის რევოლუციისა“ გენიალური სიცხადითაა გაშუქებული ხელოვნება, როგორც სინამდვილის გაზოხატვის საშუალება.

ტოლსტოის მხატვრული შემოქმედება ლენინმა განიხილა რუსეთის რევოლუციასთან შეპირისპირებით და მეცნიერულად ცხადყო, რომ ტოლსტოის, უხდებოდა რა მოღვაწეობა რევოლუციის მომზადების პირობებში, ზოგიერთი რამ ამ რევოლუციისა აუცილებლად

უნდა გამოეხატა თავის შემოქმედებაში, მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოიმ ვერ გაიგო რევოლუცია და განსწავლავა მას. რაკი ხელოვნება სინამდვილის საჩუქეა, ხოლო ტოლსტოი დიდი მხატვარია, მის შემოქმედებაში აუცილებლად უნდა სჩანდეს ზოგიერთი რამ რევოლუციის არსებითი მხარეებიდან. მაშასადამე, ტოლსტოის მხატვრულ შემოქმედებაში რევოლუციის ყველა არსებითი მხარე არ არის გამოხატული, მაგრამ ის, რაც არის, ნამდვილად წარმოადგენს რევოლუციის საჩუქეს.

როგორი იყო სინამდვილე, რომელმაც რევოლუცია წარმოშვა? წინააღმდეგობრივი. სწორედ ამ წინააღმდეგობებმა გამოხატულება ჰპოვეს ტოლსტოის შემოქმედებაში. „წინააღმდეგობანი ტოლსტოის ნაწარმოებებსა, შეხედულებებსა, მოძღვრებებსა და სკოლაში — მართლაც ამჟარაა. ერთი მხრით, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების შეუდარებელი სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც. მეორე მხრით, — მემამულე, რომელიც მწვალებლობს ქრისტეს სახელით. ერთი მხრით — საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიტრუისა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრით, „ტოლსტოველი“, ე. ი. ვაკეეთილი, ისტერიული მოწუწუნე, რუს ინტელიგენტად წოდებული, რომელიც საჯაროდ ხელს იცემს მკერდზე და ამბობს: „მე ვარ საძაგელი, მე ვარ საზიზღარი, მაგრამ მე ვეწევი ზნეობრივ თვითგაუმჯობესებას; მე აღარა ვჰამ ზორცს და ეხლა ბრინჯის კოტლეტებით ვიკვებები“. ერთი მხრით, კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაუნდობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის ოინბაზობის მხილება, წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გა-

¹ Ленин, „О литературе“, стр. 111—112.
² М. Горький, Собр. соч. 1933 г., т. XXII, стр. 221.

დაშლა სიმდიდრის ზრდასა და ცივილიზაციის მონაპოვართა და მუშათა მასების სილატაქის, გაველურებისა და ტანჯვის ზრდას შორის; მეორე მხრით, — რეგენერული ქადაგება „ბოროტებისადმი წინააღმდეგობლობისა“ ძალადობით. ერთი მხრით, მეტად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა; მეორე მხრით, ყველაზე უსაძაგლესი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყანაზე, სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება სახაზინო სამსახურის ხუცების ნაცვლად ზნეობრივი რწმენის მქონე ხუცების დაყენებისა, ე. ი. ყველაზე მოქნილი და ამიტომაც განსაკუთრებით საზიზღარი ხუცობის გავრცელება¹. წარმოდგენილია ტოლსტოის აზროვნებისა და შემოქმედების ამაზე უფრო ნათელი, ღრმა, სწორი მეცნიერული დახასიათება. გაიხსენეთ მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემული გოეტეს შეფასება ლენინი ააშკარავებს წინააღმდეგობებს ტოლსტოის შემოქმედებასა და მოძღვრებაში, ამავე დროს გვიჩვენებს მათ სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ საფუძვლებს. ტოლსტოის შემოქმედებაში ლენინი ხედავს კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაუნდობელ კრიტიკას, მთავრობის ძალადობის, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის ოინბაზობის მხილვას, წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლას სიმდიდრის ზრდასა, ცივილიზაციის მონაპოვართა, მუშათა მასების სილატაქის, გაველურების, ტანჯვის ზრდას შორის; მეორე მხრით ტოლსტოის საოცრად პასიური მოძღვრება — „ბოროტების წინააღმდეგობლობა“. ერთი მხრით ტოლსტოის შემოქმედებაში ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა, მეორე მხრით კი მოძღვრებაში „მისწრაფება სახაზინო სამსახურის ხუ-

ცების ნაცვლად ზნეობრივი რწმენის მქონე ხუცების დაყენებისა და ლენინი შეხიშნავს, რომ ყველა მოძღვრება დეგობათა ვითარებაში ტოლსტოის აბსოლუტურად არ შეეძლო გავგო არც მუშათა მოძრაობა და არც მისი როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, არ შეეძლო გავგო თვით რუსეთის რევოლუცია. ეს წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში არ არის შემთხვევითი, ისინი გამოხატავენ თვით რუსეთის ცხოვრებას მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში. „პატრიარქალური სოფელი, — წერს ლენინი, — რომელიც მხოლოდ გუშინ განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, პირდაპირ წასალეკად და დასარბევად ჰქონდა მიცემული კაპიტალსა და ხაზინას. გლეხური მეურნეობისა და გლეხური ცხოვრების ძველი ბურჯები, რომლებიც მართლაც მთელი საუკუნეები იდგნენ, არაჩვეულებრივი სიჩქარით ინგრეოდნენ¹. ეს იყო ისტორიული პროცესი, პატრიარქალური სოფლის კაპიტალიზაციის პროცესი, და ლენინი შენიშნავს, რომ ტოლსტოის შეხედულებებში წინააღმდეგობანი საჭიროა შეფასდეს არა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა და თანამედროვე სოციალიზმის თვალსაზრისით, რაც აუცილებელია, მაგრამ საყმარისი არ არის, არამედ, კარსმომდგარი კაპიტალიზმის, მასების გალატაქებისა და გლეხების უშიწაწყლოდ დატოვების წინააღმდეგ პატრიარქალურ რუსულ სოფელში წარმოშობილი პროტესტის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით ტოლსტოის შეხედულებებში წინააღმდეგობანი მართლაც სარკეა იმ წინააღმდეგობებით, სახეს პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული საქმიანობა რუსეთის რევოლუციაში. ტოლსტოის პროტესტი კაპიტალიზმისა და ექსპლოატაციის

¹ Ленин, „О литературе“, стр. 69—

¹ Ленин, „О литературе“, стр.

წინააღმდეგ გამოხატველი იყო რუსეთის რევოლუციაში გლეხობის იმ უმცირესი ნაწილისა, რომელიც იბრძოდა ჩაგვრის წინააღმდეგ. „ჩვენს რევოლუციაში, — წერს ლენინი, — გლეხობის მცირე ნაწილი მართლაც იბრძოდა და ამ მიზნისათვის რამდენიმედ კიდევაც ირახებოდა, და სულ მცირე ნაწილი ჯანყდებოდა და იარაღს ჰკიდებდა ხელს თავისი მტრების შესამუსრავედ, მეფის მსახურთა და მემამულეთა დაშეცელების გასანადგურებლად“, ხოლო მეორე მხრით, ამავე რევოლუციაში, „გლეხობის უდიდესი ნაწილი ტიროდა და ლოცულობდა, რეზონერობდა და ოცნებობდა, თხოვნებს სწერდა და „შუამდგომლობებს“ აგზავნიდა, სწორედ ლეე ნიკოლოზის-ძე ტოლსტოისებურად!“¹ შემდეგ ლენინი მიუთითებს, რომ „ტოლსტოის იდეები — ეს სარკვეა ჩვენი გლეხური აჯანყების სისუსტისა და ნაკლოვანებებისა, ეს არის ანარქული პატრიარქალური სოფლის უხერხემლობისა და „ყაირათიანი გლეხის“ დახვედებული ლაჩრობისა“. წინააღმდეგობანი ტოლსტოის მხატვრულ შემოქმედებასა და აზროვნებაში ლენინმა ახსნა ტოლსტოის ეპოქით. სამწერლო ასპარეზზე ტოლსტოი გამოვიდა ბატონყმობის დროს. თავის გენიალურს თხზულებებში იგი გვიხატავდა „ძველ რევოლუციაშიდელ რუსეთს, რომელიც 1861 წლის შემდეგაც ნახევრად-ბატონყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სოფლურ რუსეთს, მემამულისა და გლეხის რუსეთს. გვიხატავდა რა რუსეთის ისტორიული ცხოვრების ამ ზოლს, ლ. ტოლსტოიმ შესძლო თავის ნაწარმოებში იმდენი დიდი საკითხების დაყენება, შესძლო ისეთ მხატვრულ ძლიერებაშიდე ახადლება, რომ მისმა ნაწარმოე-

ბებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მსგავსი მოხატვრულ ლიტერატურულ ტურაში. რევოლუციის მომზადების ეპოქა ერთერთს მებატონეების მიერ დაჩაგრულს ქვეყანაში, ტოლსტოის გენიალური გაშუქების წყალობით, წარმოგვიდგაროგორც წინ გადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში... მან შესძლო შესანიშნავი ძლიერებით გადმოეცა თანამედროვე წესწყობილებით დაჩაგრული ფართო მასების განწყობილებისა, მათი მდგომარეობის დახატვა, პროტესტისა და აღშფოთების მათი სტიქიური გრძნობის გამოხატვა.“² ეპოქა, რომელიც გამოხატულია ტოლსტოის შემოქმედებაში, ეს არის „ეპოქა 1861-დან ვიდრე 1905 წლამდე. მართალია, ტოლსტოის ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ადრე დაიწყო და უფრო გვიან დამთავრდა, ვიდრე დაიწყო და დამთავრდა ეს პერიოდი, მაგრამ ლ. ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, სავსებით ჩამოყალიბდა სწორედ ამ პერიოდში, რომლის გარდამავალმა ხასიათმა წარმოშვა ტოლსტოის ნაწარმოებთა და „ტოლსტოველების“ ყველა ნიშანდობლივი თვისება.“³ ამ დებულების საილუსტრაციოდ ლენინი მიმართავს ტოლსტოის „ანა კარენინას“, რომელშიაც სავსებით ნათლად გამოიხატა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე რუსეთის ინტორიის უღელტეხილი. ლენინს მოჰყავს „ანა კარენინას“ ერთერთი მთავარი მოქმედი პირის კონსტანტინე ლეეინის მსჯელობა მუშების დაქირავებაზე, მოსავალზე და განსაკუთრებით ჩერდება ერთ დებულებაზე, სადაც ლაბარაკია იმის შესახებ, რომ

¹ Ленин, „О литературе“, стр. 72—73.

² Ленин, „О литературе“, стр. 75 — 76. ხახი ჩვენია. — გ. 2.

³ Там-же.

თუ ყოველივე ეს მდაბალ რამედ ითვლება, ეხლა დიდმნიშვნელოვანია. „ახლა, როცა ყოველივე ეს გადატრიალდა და ეს-ესაა მყარდება, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოყალიბდება ეს პირობები, ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხია რუსეთში“. ლენინი შენიშნავს, რომ ძნელია წარმოიდგინო 1861—1905 წლების პერიოდის უფრო მოსწრებული დახასიათება, ვიდრე ლენინის სიტყვებია — „ჩვენ ში ახლა ყოველივე ეს გადატრიალდა და ეს-ესაა მყარდება“.

ლენინმა მეცნიერულად ცხადჰყო, რომ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შემოქმედებაში, აზროვნებაში, მოძღვრებასა და სკოლაში გამომხატველნია იმ წინააღმდეგობებისა, რომლებშიაც ჩაყენებული იყო მეფის რუსეთი 1861 წლიდან 1905 წლამდე — მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ყოველივე ამან სათავე მისცა ტოლსტოის მოძღვრების ორმხრივობას — ერთის მხრივ იგი უტოპიური და შინაარსით რეაქციულია, მეორეს მხრივ სოციალისტური და კრიტიკულია. ჰუმანიტად, „ტოლსტოის მოძღვრება უსათუოდ უტოპიურია და, თავისი შინაარსით, რეაქციულია ამ სიტყვის უაღრესად ზუსტი და უაღრესად ღრმა მნიშვნელობით, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამოდინარეობს არც ის, რომ ეს მოძღვრება არ იყოს სოციალისტური, და არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენ მოგვეცნოთ ძვირფასი მასალა მოწინავე კლასების გასანათლებლად“.

ტოლსტოის გარდა, ლენინის შრომებში მრავლად ვხვდებით აზრებს ბენინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, გლებ უსპენსკის შესახებ. ცნობილია, როგორ იყენებდა

ლენინი ტურგენევისა და სალტიკოვ-შჩედრინის მხატვრულ-საზოგადოებრივ ლენინმა გამოიყენა „შჩედრინის რეალურ-საკანონმდებლო“ სახე და გაიძვერა ტოლსტოის „იუდეუშკა-ტოლსტოის“ უწოდება. ტურგენევის ბაზაროვის რეპლიკა — „ო, ჩემო ძვირფასო არკადი ნიკოლოზისძე! ნუ ლაპარაკობთ ასე ლამაზად“ — ლენინმა მოხდენილად გამოიყენა პლენარის წინააღმდეგ.

ალექსანდრე გერცენის მოღვაწეობის დახასიათებას ლენინმა მიუძღვნა სპეციალური წერილი — „გერცენის ხსოვნას“. ვისაც ღრმად სურს გაიგოს გერცენის აზროვნების პლუსი და მინუსი, ვისაც სურს ჩასწვდეს 1848 წლის რევოლუციის შემდეგ გერცენის უკანდახევის მიზეზს და შეაფასოს მისი როლი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში, ის მეცნიერულ გასაღებს ჰპოვებს ამ წერილში. ლენინმა ალექსანდრე გერცენი დაახასიათა, როგორც წარსული საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურ, მემამულე რევოლუციონერთა თაობის წარმომადგენელი. „თავადაზნაურებმა რუსეთს მისცეს ბირონები და არაქივები, მრავლისაგან მრავალი ლოთი ოფიცრები, მოჩხუბრები, ბანქოს მოთამაშენი, ბაზრობათა გმირები, მეძალეები, შფოთისთაფნი, მწვეპლავეები, კარისკაცი“, და გულუკეთილი მანილოვები. „და ზათ შორის — წერდა გერცენი — განვითარდნენ 14 დეკემბრის აღმავანები, იმ გმირთა ფალანგა, რომელნიც, ვითარცა რომელი და რემი, გარეული ნადირის რძით გამოიყვებენ... ესენი იყვნენ რაღაც ბუმბერაზები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოქვიდილნი, მოლაშქრე-თანამოსანგრენი, რომელნიც შეგნებულად გამოვიდნენ აშკარად დასაილუბავად, რათა ახალი ცხოვრებისათვის გამოეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მლიჩველობის წრეში დაზადებული შვილები“.

¹ Ленин, „О литературе“, стр. 102 — 103.

ასეთ შეილთა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და „განწყინდა“ იგი. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შესძლო ასევე ისეთ სიმაღლეზე, რომ გაუთანასწორდა თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს. მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ის წარმოადგენდა „რევოლუციის ალგენრას“. ის ჰეგელზე უფრო შორს წავიდა, მატერიალიზმისაკენ, ფეიერბახის კვალდაკვალ... გერცენი პირდაპირ მიადგა დიალექტიკურ მატერიალიზმს და შეჩერდა ისტორიული მატერიალიზმის წინაშე¹. ამით მთელი გერცენია დახასიათებული, წარმოდგენილია მისი მსოფლმხედველობის გენიალური ანალიზი. ლენინი კლასიკურად განმარტავს, რომ სწორედ ამ „შეჩერებაში“ გამოიწვია გერცენის სულიერი კრაზი 1848 წლის რევოლუციის შემდეგ. „გერცენის სულიერი კრაზი, მისი ღრმა სეკტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ იყო ბუ რ ე უ ა ზ ი უ ლ ი ი ლ უ ზ ი ე ბ ი ს კ რ ა ზ ი სოციალიზმში. გერცენის სულიერი ღრამა შედეგი და ანარეკლი იყო იმ მსოფლიო-ისტორიული ეპოქისა, როდესაც ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უკვე კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული“². სწორედ ამიტომ გერცენმა ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ბუნება. იგი შეიქნა „რუსული“ სოციალიზმის, „ნაროდნიკობის“ ფუძემდებელი“³. ლენინმა ბრწყინვალედ შენიშნა, რომ გერცენის უბედურება იყო და არა დანაშაული. ის, რომ „მას არ შეეძლო დაენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში ორმოციან წლებში. როდესაც მან დაინახა იგი 60-იან

წ ლ ე ბ შ ი — ის უშიშრად დაღდა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ. იგი მუშაობდა ცარიზმზე ხალხის გამარჯვებისათვის და არა მემამულეთა მეფესთან ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის. მან რევოლუციის დროსა აღმართა“⁴. შემთხვევითი არ იყო „კოლოკოლის“ „ცოცხლებს ვეძახი“ არც ის დაუნდობელი კრიტიკა, რომლითაც გერცენი ამოთარახებდა ლიბერალებს, ყველა ამ ქონდრის კაცუნებს, უბადრუკ და ლოფორთქინა ადამიანებს. „გერცენმა შეჰქმნა თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ — ამაშია მისი დიდი დამსახურება“. ლენინს მოჰყავს „კოლოკოლიდან“ გერცენის ცნობილი სიტყვები: „ოჰ, ჩემს სიტყვებს რომ შეეძლოს შენამდგე მოღწევა, რუსეთის ძიწა-წყლის მაშვრალო და წამებულო!.. როგორ დაგასწავლიდი სიძულვილს შენს სულიერ მოძღვართადმი, რომელნიც შენთვის დაუყენებიათ თავზე პეტერბურგის სინოდს და გერმანელ მეფეს...“ ეს სიძულვილი გერცენმა მაინც კარგად შეასწავლა რუსეთის მიწა-წყლის მაშვრალსა და წამებულს თავისი მხატვრული პროზით⁵ და პუბლიცისტიკით. გერცენმა მართლაც „პირველმა აღმართა ბრძოლის დიდი დროსა თავის უფალი რუსული სიტყვით მასებისადმი მიმართვის საშუალებით“ იმ საზიზღარი ქვემძრომის წინააღმდეგ, რომელსაც მეფის მონარქია ეწოდებოდა.

ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი ჩერნიშევსკის. ჩვენ ამ საკითხს მაშინ განვიხილავთ, როცა ჩერნიშევსკის ესთეტიკას დავახასიათებთ.

1905 წელს ლენინმა დასწერა უშესანიშნავესი წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

¹ Ленин, „О литературе“, стр. 10—11.

² Там-же. ხსო ლენინისა. გ. 2.

³ Там-же.

⁴ Ленин, „О литературе“, стр. 18.
⁵ გ. კ. ბ. ლ. ა. კ. „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“, 1946 წ., გვ. 129 — 141.

რომელშიაც ნიდაბი ჩამოკლიჯა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ზელოვნების თავისუფლების ანარქისტულ ფრაზას, ანარქისტულს, რომელიც ლენინს გადაბრუნებულ ბურჟუაზიულობად ზიანდა. ათი წლით ადრე, 1895 წელს, ლენინმა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი წამოაყენა სტატიაში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“. ლენინმა გვიჩვენა მარქსიზმის ანარქული ბურჟუაზიულ ლიტერატურაში, კლასიკურად განასხვავა ერთმანეთისაგან ნამდვილად მარქსისტი მატერიალისტი და ობიექტივისტი. რა არის მათი დამახასიათებელი? პირველი ამჟამად ამხელს კლასობრივ წინააღმდეგობებს საზოგადოებაში, მეცნიერულად ცხადყოფს თავისი შეხედულების სისწორეს, გვიჩვენებს არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციით გამოწვეულ ანტაგონისტურ ურთიერთობებს; ხოლო მეორე კმაყოფილდება ამათვიმ ფაქტის ან ისტორიული პროცესის აუცილებლობის მტკიცებით. ნამდვილი მარქსისტი მატერიალისტი ობიექტივისტზე უფრო თანმიმდევარი, ღრმა და სრულია თავის აზროვნებაში. „მეორეს მხრივ, — წერდა ლენინი, — მატერიალიზმი თავისში შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, და გვევალდებულებს მოვლენების ყოველი შეფასების დროს პირდაპირ და ამჟამად დაედგეთ ვარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“. პარტიულობის ეს პრინციპი ლენინმა მტკიცედ დაკავშირა მთელ ლიტერატურულ საქმიანობას და წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ვაზეთის წარმართვაში იხილა არა როგორც წრფობრივი, არამო პარტიული საქმე. „მესამე ნაბიჯში უკან“ ლენინი ჰკმობს მენშევიკორ პრინციპს პარტია თავისთვის, ლი-

ტერატორები თავისთვის, და კატეგორიულად მოითხოვს, რომ მენშევიკულ ფრაზის პრინციპი პარტიული დანტრეჰტინგის უთუო პასუხისმგებლობისა პარტიის წინაშე. 1905 წელს ლენინმა ბროშურის — „მუშები პარტიული განხეთქილების შესახებ“ წინასიტყვაობაში დაუშვებლად მიიჩნია ისეთი პარტიული ლიტერატურა, რომელიც ორგანიზაციულად დაკავშირებული არ იქნებოდა პარტიასთან. ამ საკითხმა სრულყოფილი განვითარება კპოვა 1905 წლის 13 ნოემბერს ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჯიზნი“ დაბეჭდილი სტატიით — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ამ წერილს წინ უძღოდა რევოლუციური აღმავლობის დღეები, პეტერბურგის მუშათა 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომ მეფის ცენზურის გარეშე გამოეშვათ წიგნები და გაზეთები, სევატოპოლის მეზღვაურების აჯანყება მ ნოემბერს და ლეიტენანტ შმიდტის რევოლუციური ესკადრის ისტორიული გამოხვლის დასაწყისი. ლენინის წერილს პირველი გამოცემა ამახანავი სტალინი, პირველი იყო სტალინური „Кавказский рабочий листок“, რომელშიც პირველსავე ნომერში 20 ნოემბერს მიუთითა, რომ „ნოვაია ჯიზნის“ მეთორმეტე ნომერში მოთავსებული ნ. ლენინის წერილი ნახავს ახალ ამოცანას, რომელიც ცხოვრებამ პარტიის წინაშე წამოაყენა — ეს არის პარტიასთან მკიდროდ დაკავშირებული და მისი კონტროლით მომუშავე ლეგალური პარტიული პრესის შექმნა. პროლეტარიატმა „უ ნ და წ ა მ ო ა ყ ე ნ ო ს პ ა რ ტ ი უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი“, — წერდა სტალინური „Кавказский рабочий листок“ და ლენინის სიტყვების მოყვანის შემდეგ იქვე მიუთითებ-

¹ Ленин, Сочинения, т. I, стр. 380 — 381.

¹ გაზეთში მოთავსებულია ი. ბ. სტალინის მოწინავე წერილი. ი. ბ. სტალინი, თბილისი, ტ. I, 1947 წ., გვ. 184 — 186.

და, რომ იდეური ყმობის წყველ დროს პროლეტარიატმა ბოლო მოუღო.

თავის წერილში ლენინმა პირდაპირ დააყენა საკითხი: „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზენჩეულებებისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერისმისა და ინდივიდუალისმისა, „ბატონკაცური ანარქისმისა“ და მოგებისადმი გამოდევნებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და ცხოვრებაში გაატაროს იგი რაც შეიძლება უფრო სრული და მთლიანი ფორმით“¹. მაგრამ რაში ზღვომარეობს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი? იმაში, რომ ლიტერატურული საქმე არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური, პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი რამ. სწორედ ამიტომ ლენინი ილაშქრებს „უპარტიო ლიტერატორების“, „ზეკაცი ლიტერატორების“ წინააღმდეგ, მოითხოვს, რომ ლიტერატურული საქმე „გახდეს — პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბალი და ზრახნი“ ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს“². შესაძლოა ეს შედარება, თვითონვე შენიშნავს ლენინი, გერმანული ანდაზის არ იყოს, რომ „ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებს“, არ მოეწონათ ისტერიული ინტელიგენტებს, მიიჩნიონ როგორც მხატვრული შემოქმედებისა და მქანორი საქმის გაიგივება, მაგრამ ეს შედარება თავისში სწორედ გამორიცხავს მექანიციზმს. ლენინმა ავირ კიდევ ათეოლო წლების წინათ დაკგმო ვულ-

გარული სოციოლოგების მიერ შემდეგ განვითარებული მექანიციზმი მხატვრულ შემოქმედებაში, გენიალურად მხსნა და გვიჩვენა, რომ „ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებად ემორჩილება მექანიციურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას“¹. ლენინმა უდაო საქმეობად მიიჩნია ლიტერატურაში „მეტე-გასაქანი მიეცეს პირადინიციაციას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“². ლენინმა ბრწყინვალედ იცოდა, რომ „პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად გაიგივებულ იქნას პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან“. და ამავე დროს ლენინი დაუღალავად იბრძოდა იმისათვის, რომ ნიადაგი გამოცლოდა „ქველთაქველ, ნახევრად-ობლომონიკებურ, ნახევრად-ჩარჩულ რუსულ პრინციპს: მწერალი წერს, მკითხველიც კითხულობს“; ნიადაგი გამოცლოდა სქემატიზმს ამ დარგში, ყალბ ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტურ თეზისს ხელოვნებისა და ხელოვანის აბსოლუტური თავისუფლების შესახებ. ლენინმა სინამდვილის ღრმა ანალიზით ცხადჰყო, რომ „ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში. სადაც მშრომელთა მასები ლატაკობენ და ეროი მუქა მდიდრები მუქთახორობენ. შეუძლებელია იყოს „თავისუფლება“ რეალური და ნამდვილი. განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვინი ბურჟუაზიული გამოქცემლისაგან, ბატონო მწერალი? თქვინი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც

¹ Ленин, „О литературе“, стр. 3.

² Там же.

¹ Ленин, „О литературе“, стр. 4.

² Там же.

თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩობსა და სურათებში, პროსტიტუციას „წმინდა“ სასცენო ხელოვნებისადმი „დამატების“ სახით? ეს აბსოლუტური თავისუფლება ზომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრაზაა (ვიწინიდან, როგორც მსოფლმხედველობა, ანარქიზმი უკულმა გადმობრუნებული ბურჟუაზიულობაა). არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მწიგნობრივი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფაქტულურად ნიღბადარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან¹. სოციალისტები აზხელებენ ამ ფარისევლობას, გლეჯენ ყალბ აბრებს „არა იმისათვის, რომ ხელში შეგვრჩენს არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება (ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში), არამედ იმისათვის, რომ ფარისევლურად — თავისუფალ, საქმით კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დავუპირისპიროთ ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურა“². ჩვენ აშკარად და ყველას გასაგონად ვაცხადებთ ჩვენს კავშირს პროლეტარიატის ინტერესებთან, ცხადყოფთ მისი საქმისათვის თავდადებას, ვაღიარებთ ლიტერატურის კლასობრივობას, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, ვამტკიცებთ, რომ არცერთი ხელოვნება არ არსებობდა უტენდენციოდ — ეს ნამდვილად თავისუფლება! ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, პირიქით ამბობენ, რომ ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს — ნამდვილად კი მისგან ბურჟუაზიასთან კავშირს მოითხოვენ; ხელოვნებაში იდეა ან ტენდენცია არ

არისო, — სინამდვილეში კი ბურჟუაზიულ იდეებს ქადაგებენ აბსოლუტური ფორმით; განა ეს სიცრულე და კარისტელობა არ არის? სწორედ ამ ფარისევლობას ჩამოპვლიოჯენ ნიღაბი მარქსმა და ენგელსმა, ლენინმა და სტალინმა. სოციალისტური ლიტერატურა ნამდვილად თავისუფალი ლიტერატურა იქნება, ამბობდა ლენინი, იმიტომ რომ „არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების მოყირკებულ „გმირ-ქალს“, არა მოწყენილ და სიმსუქნისაგან დატანჯულ „ზედა ათეულ-ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის რჩეულთ, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტურ პროლეტარიატის გამოცდილებით და ცოცხალი მუშაობით, რომელიც შეჰქმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებასა (მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც დააგვირგინა სოციალიზმის განვითარება მისი პრიმიტიული, უტოპიური ფორმებიდან) და ახლანდელ გამოცდილებას შორის (ამხანაგ ზუშების ახლანდელი ბრძოლა)“³.

საბჭოთა ლიტერატურა სწორედ ასეთი, თავისუფალი ლიტერატურაა, რომელიც მხატვრულად განაზოგადებს სტალინური ეპოქის სინამდვილეს და ხელმძღვანელობს სოციალისტური რევოლუციის შემოქმედებითი მეთოდით. ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად შევეხებით, როცა დავახასიათებთ თანამედროვეობის ასახვას ხელოვნებაში.

¹ Ленин, „О литературе“, стр. 7.

² Там-же, стр. 7—8.

³ Ленин, „О литературе“, стр. 8.

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის ხელოვნება არ არის სინამდვილის პასიური მჭერეტელობა, რეალობის მარტოოდენ შემეცნება ან შეგრძნობა; იგი აქტიური კატეგორიაა, რომელიც ზეგაუღუნას ახდენს ცხოვრებაზე, და რაკორც ზედნაშენი, მის გარდამქმნელ ძალასაც წარმოადგენს. ამხანაგმა სტალინმა კლასიკურად განმარტა ხელოვნების არსობა, როცა „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ თავის ბრწყინვალე ნაშრომში ნათლად ჩამოაყალიბა ბუნების, ყოფიერების, მატერიალური საზოგადოების, ხოლო ცნობიერების, აზროვნების მეორადობის, წარმოებულობის საკითხი. პირველი ობიექტური რეალობაა, რომელიც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მეორე წარმოადგენს მის ასახვას, ანარეკლს. ამიტომ „საზოგადოების სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების წყაროს, საზოგადოებრივ იდეათა, საზოგადოებრივ თეორიათა, პოლიტიკურ შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა წარმოშობის წყაროს უნდა ვეძებდეთ არა თვით იდეებში, თეორიებში, შეხედულებებში, პოლიტიკურ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, საზოგადოებრივ ყოფიერებაში, რომლის ასახვასაც წარმოადგენენ ეს იდეები, თეორიები, შეხედულებები“¹. ნათქვამი მთლიანად ეხება ხელოვნებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი განეკუთვნება ცნობიერების, აზროვნების სფეროს, წარმოადგენს ობიექტური რეალობის, ყოფიერების ასახვას. და „რაგორცაა საზოგადოების ყოფიერება, როგორცაა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები,—წერს ამხანაგი სტალინი,—ისეთივეა მისი იდეები, თე-

ორიები, პოლიტიკური შეხედულებები, პოლიტიკური დაწესებულებები“. მარქსი მიუთითებდა, რომ მატერიალური ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას. „მაგრამ მარქსის სიტყვებიდან ის როდი გამოდის,—წერს ამხანაგი სტალინი,—თითქოს საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, პოლიტიკურ შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს ანიშვნელობა არ ჰქონდეთ საზოგადოების ცხოვრებაში, თითქოს ისინი პირველ არ ახდენდნენ შემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობათა განვითარებაზე“¹. მაგრამ არსებობენ ძველი და ახალი იდეები, ძველი და ახალი თეორიები, რომლებიც სხვადასხვანაირად მოქმედებენ სინამდვილეზე. ძველი, რომელმაც თავისი დრო მოსჭამა, რომელიც საზოგადოების ზომაკვდავი ძალების ინტერესებს ემსახურება, აფერხებს საზოგადოების განვითარებას, ხელს უშლის მის წინსვლას. ახალი, მოწინავე, რომელიც საზოგადოების მოწინავე ძალების ინტერესებს ემსახურება, აადვილებს საზოგადოების განვითარებას, ხელს უწყობს მის წინსვლას, და მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რაც უფრო ზუსტად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს. „ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სწორედ იმიტომ წარმოიშეებიან,—წერს ამხანაგი სტალინი,—რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მორგანიზებელი, დამრავლები და გარდამქმნელი მუშაობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების

¹ ს. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 677.
12. „მნათობა“, № 11.

¹ ს. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 679.

მომწიფებული ამოცანების გადაჭრა... აღმოცენდებიან რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების ბაზაზე, — შემდეგ თვითონ ახდენენ შემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზე, ჰქმნიან რა იმისათვის აუცილებელ პირობებს, რომ ბოლომდე მიყვანილ იქნას საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა და შესაძლებელი გახდეს მისი შემდგომი განვითარება.¹ ეს როლი რომ არ ჰქონდეს ხელოვნებასაც, მას რომ არ შეეძლოს მოახდინოს შემოქმედება საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, მაშინ ის იქნებოდა უსარგებლო საგანი, რომელიც ყურადღებასა და პატივითაც ვერ მოიპოვებდა. ხელოვნება აქტიურად მოქმედებს ადამიანზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ჩვენს ცხოვრებას წარმართავს გარკვეული მიმართულებით და გვაძლევს სტიმულსაც. ვანა ასეთი არ არის ხელოვნების დიდი ძეგლები? დაუღალავე მოქმედების გრძნობას და ბრძოლაში უშიშრობას არ უნერგავს ადამიანს გორკის მხატვრული შედეგები „სიძღერა შევარდენზე“ თუ „სიძღერა ქარიშხალაზე“? სტალინმა მალალი შეფასება მისცა გორკის შემოქმედების სწორედ ამ მხარეს, როცა ბრწყინვალე პარალელი გაავლო დიდი მწერლის ერთ მხატვრულ ნაწარმოებსა და გოეტეს „ფაუსტს“ შორის. ეს ნაწარმოები — „ქალიშვილი და სიკვდილი“ გორკიმ დასწერა 1892 წელს, მაგრამ გამოაქვეყნა მხოლოდ 1917 წლის „ნოვია იზნის“ ივლისის ნომერში. მთელი ამ ზღაპარ-ნაწარმოების შინაარსია ომიდან დაბრუნებული მეფის განჩისებება, მის მიერ ქალიშვილის განწირვა, ქალიშვილისა და სიკვდილის დიალოგი, ქალიშვილის უსაზღვრო სიყვარული ცხოვრე-

ბისადმი, თავისი სატრფისადმი, სიკვდილისათვის მიცემული უპირობო სიყვარული დაბრუნდება სასიკვდილოდ მცირე ხნით გაუშვას თავისი შეყვარებულთან. სიკვდილი ასრულებს მის თხოვნას, თუმცა ეუბნება, რომ ღამე გაატაროს შეყვარებულთან, დილით კი მოჰკლავს. ქალიშვილი დანიშნულ ვადაზე ვერ ბრუნდება არა იმიტომ, რომ ეშინია, — ეერ მოშორდა თავისი სატრფოს, სიკვდილი თავზე წაადგება: ქალიშვილი ამყვად ეტყვის სიკვდილს შეასრულოს თავისი საქმე, იგი მზად არის მიიღოს სიკვდილის ცელი. მაგრამ სიკვდილი აჩუქებს მას სიცოცხლეს, თან დასძენს, რომ მუდამ სიყვარულის ახლოს იქნება. „С той поры Любовь и Смерть, как сестры, ходят неразлучно до сего дня, за Любовью Смерть с кобою острой тащится повсюду: точно сводня“¹.

ამით სიკვდილი დამარცხდა. სიყვარულმა გაიმარჯვა. როცა გორკის ნაწარმოები სტალინმა წაიკითხა, 1931 წლის 11 ოქტომბერს წიგნის გვერდზე შემდეგი სიტყვები წააწერა: „ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეტეს „ფაუსტი“ (ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა მ ა რ ც ხ ე ბ ს ს ი კ ვ დ ი ლ ს)“. გოეტეს ფაუსტში სრულიად საწინააღმდეგო ზდება: პირველ ნაწილში მარგარიტა იღუპება, სიყვარულს ამარცხებს სიკვდილი; ხანგრძლივი ტანჯვითა და საკუთარ თავთან ბრძოლით დაღლილი ფაუსტი, ბოლოს, მეორე ნაწილში, მართალია პპოვებს ჭეშმარიტ მიზანს, მას სურს ამოაშროს ქაოზები და მის ადგილზე შეჰქმნას ადამიანთა ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ სწორედ ამ დროს სწვდება მას სიკვდილი თავისი კლანჭებით და ფაუსტი იღუპება. ცხოვრებისადმი ტრფივალს, ჭეშმარიტ მიზანს, სიყვარულს „ფაუსტში“ ამარცხებს სიკვდი-

¹ ი. ს. ტ ა ლ ე ნ ი, „ლენინის შესახებ“, გვ. 679 — 680.

¹ М. Горький, „Девушка и смерть“, 1938 г., стр. 46.

ლი. ასევე ილუბებიან შიღერის ლეიზა ავერაგობა და სიყვარულში¹, შექსპირის რომეთ და ჯულიეტა. შეიძლებოდა კიდევ ათეულობით დაგვესახელებინა დასავლეთეუროპული რომანები თუ დრამები, სადაც სიყვარულს ამარცხებს სიკვდილი. ამ მარადიულ თემას გორკიმ სრულიად ახალი გაშუქება მისცა, სრულიად ახალი ძალა შესძინა. გორკის ქალიშვილი იმარჯვებს ცხოვრებისადმი ტრფიალში, გამბედაობით ამარცხებს სიკვდილს და მოიპოვებს სიყვარულს. გორკი თამამად უმღერის სიყვარულის შეუბოროტავ ძალას და სიკვდილსაც კი ამარცხებს მის წინაშე. როგორც ვხედავთ, სტალინური ანალიზი ყოველმხრივ ღრმა არის და მეცნიერულად ზუსტია, ნამდვილად გამოხატავს გორკის ნაწარმოების დიდ ფილოსოფიურ და შემეცნებითს ღირებულებას.

ლიტერატურული ძეგლი უნდა შეფასდეს მისი ყველა თვისების გათვალისწინებით. არ შეიძლება რაიმე გამოაკლო, ან რაიმე მიუმატო. ამხანაგმა სტალინმა ლიტერატურულ კრიტიკას მისცა შესანიშნავი მაგალითი ყოველი კონკრეტული მხატვრული ნაწარმოები აღებულ ზქნას მისი ღირსებისა და ნაკლის ზუსტი შეცნობით. ის, რაც ლიტერატურულ ფაქტში დადებითია, შესაძლოა ამავე დროს უარყოფითს შეიცავდეს, და კრიტიკოსი, ამ დადებითის გამოყენებით თუ ანალიზით გართული, ვალდებულია ამჩნევდეს მის ჩრდილოვან მხარეებსაც. როცა სტალინი ახასიათებს მუშაობის ლენინურ სტილს და მას განსაზღვრავს, როგორც „რუსული რევოლუციური გაქანების“ შეეროებას ამერიკულ საქმიანობასთან², აღნიშნავს ილია ერენბურგის ერთ-ერთ მოთხრობას, როგორც ცარიელი „რევოლუციური“ მანილოვშჩინის ილუსტრაციას. რუსულ რევოლუციური გაქა-

ნება მაცოცხლებელი ძალაა, რომელიც აღვიძებს აზრს, წინ მოიყვას, ამტკიცებს წარსულს, იძლევა პერსპექტივას, მაგრამ, ამბობს სტალინი, არის ყველა შანსი პრაქტიკაში მივიღოთ ცარიელ „რევოლუციური“ მანილოვშჩინად გადაგვარება, თუ იგი არ იქნა შეერთებული ამერიკულ საქმიანობასთან. არის „რევოლუციური“ შემთხვევლობისა და „რევოლუციური გეგმათშემოქმედების“ სენი. ერთ-ერთმა რუსმა მწერალმა ი. ერენბურგმა, თავის მოთხრობაში „უსკომჩელ“ (სრულყოფილი კომუნისტური ადამიანი) გამოსახა ტიპი ამ სენით შეპყრობილი „ბოლშევიკისა“, რომელმაც მიზნად დაისახა იდეალურად სრულყოფილი ადამიანის სქემის შედგენა და... „ჩაიძირა“ ამ „მუშაობაში“. მოთხრობაში ბევრი რამ გადაამეტებელია, მაგრამ უეჭველია ის, რომ იქ სწორად არის გადმოცემული ეს სენი³. როგორც ვხედავთ, სტალინი ერთის მხრივ აღნიშნავს ერენბურგის მოთხრობის ღირსებას, რომ იგი სწორად გადმოსცემს მოვლენას, მეორეს მხრივ მიუთითებს ნაკლებზე—მასში ბევრი რამ გადამეტებულიაო. ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზში ეს თვალსაზრისი სრულყოფილად გვაცნობს მის შინაგან არსობას და გვეხმარება სწორად გავიგოთ დადებითის სრული ღირებულება.

ხელოვნების მთელი თეორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ამხანაგი სტალინი მხატვრულ ლიტერატურას განიხილავს, როგორც სინამდვილის სპეციფიკურ შექმენებას და ხშირად იყენებს მას თავის შრომებში, სიტყვებსა და გამოსვლებში. მაგალითად, როცა ახასიათებს და ჰკიცხავს ხელმძღვანელობას „ქალაქებზე ხელისმოწერით“, სტალინს მია-

¹ ი. ს. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მეთერთმეტე გამოცემა, გვ. 99.

² ი. ს. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მეთერთმეტე გამოცემა, გვ. 98. ხაზი ჩვენია. გ. 2.

გალითი მოჰყავს შჩედრინის შემოქმედებიდან. „ჩვენში ხშირად ფიქრობენ, — სწერს სტალინი, — რომ ხელმძღვანელობა ნიხნავს ქალაქებზე ხელისმომწერას. ეს სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია. ზოგჯერ უხებურად გაგონდება შჩედრინის პომპადურები. ხომ გახსოვთ, პომპადური ქალი როგორ ასწავლიდა პეკუს ახალგაზრდა პომპადურს: თავს ნუ იმტვრევ მეცნიერების შესწავლით, ნუ ჩაუტყვირდები საქმეს, დაე ეს სხვებმა აკეთონ, შენი საქმე არ არის ეს, — შენი საქმე ხელმძღვანელობაა, ქალაქზე ხელისმომწერა“¹. ეს ლიტერატურული პარალელი უაღრესი მკაფიოებით ააშკარავებს საკითხის დედაარსს და მკითხველს ერთბაშად წარმოუდგენს ფორმალური ხელმძღვანელობის ზოგად მანკიერებას. იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ საქმეს, არ ემარა მარტო ხელმძღვანელობა გამოცდილება, საჭიროა იგი შეივსოს პარტიული მასის, მუშათა კლასის, მშრომელთა გამოცდილებით, ეგრეთწოდებულ „პატარა ადამიანთა“ გამოცდილებით. მაგრამ როდის არის ეს შესაძლებელი? — აყენებს კითხვას აზნაფი სტალინი და იქვე დასძენს, რომ ეს შესაძლებელია მაშინ, თუ ხელმძღვანელები მკიდროდ დაუკავშირდებიან პარტიულ მასებს, მუშათა კლასს, გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას. ეს კავშირი უძლეველს ხდის ბოლშევიკებს, მაგრამ საკმარისია ისინი მოსწყდნენ მასებს, მოედოთ ბიუროკრატიული ფენი, რომ დაქარგონ ყოველგვარი ძალა, უფრო მეტიც — არაობად გადაიქცნენ. თავისი დებულების კიდევ უფრო გაძლიერებისათვის სტალინი მიმართავს ძველ ბერძნულ მითოლოგიას და ანთეოსის მაგალითით ცხადპყობს საკითხის მთელ დედაარსს. „ძველ ბერძნებს, — ამბობს სტალინი, —

თავიანთი მითოლოგიის სისტემაში ჰყავდათ ერთი სახელგანთქმული ღმერთი — ანთეოსი, რომელმაც მითოლოგია გადმოგვცემს, იყო პოსეიდონის — ზღვათა ღმერთისა და გეის — მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი შობა, გამოქცევა და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებინოს მას — ამ ანთეოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა მისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც შობა, გამოქცევა იგი, და ახალ ძალას ღებულობდა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი — ეს იყო მიწისაგან რამენაირად მოწყვეტის საშიშროება. მტრები ითვისებდნენ მის ამ სისუსტეს და უდარჯებდნენ მას. და აი გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო ჰერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვიტა იგი მიწას, აიყვანა ჰერში, დაუკრგა მას მიწის შეხებში საშუალება და ამრიგად დაახრჩო იგი ჰერში... ბოლშევიკები ზოგჯერ ეხებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთეოსს. ისინიც, იყვე, როგორც ანთეოსი, ძლეუნი არიან იმით, რომ კავშირი აქეთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოქცევეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქეთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქეთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ“¹. ანთეოსის ეს ძველი მითოლოგიური თქმულება სტალინი ძალიან შემეცნებითი ღირებულებით წარმოგვიდ-

¹ ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მეორე მუხტ გამოცემა, გვ. 409.

¹ ი. სტალინი, „პარტიული მუშაობის წესდებების შესახებ“, 1937 წ., გვ. 142 — 144.

ვინა. მანამდე მისთვის არავის შეუხედია ამ თვალთ, არავის შეუმჩნევია, რომ თქმულებაში მთავარი დედაძარღვია სწორედ ეს უმკიდროესი კავშირი და მის განზოგადებას შეუძლია უდიდესი მნიშვნელობის თეორიული ძალა მოიპოვოს. ან კიდევ გავიხსენოთ, როცა სტალინი ლაპარაკობს ძველი რუსეთის ჩამორჩენილობაზე, რისთვისაც მეფის რუსეთს სცემდნენ მოილოლელი ხანები, თურქი ბეგები, შვედი ფეოდალები, პოლონელ-ლიტველი პანები, ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები, იაპონელი ბარონები. ნეკრასოვის ლექსის სიტყვებით სტალინი შემდეგნაირად ახასიათებს ამ გარემოებას: „სცემდნენ იმიტომ, რომ ეს მათთვის სახიერო იყო და დაუსჯელად ჩაუვლიდათ ხოლმე. ხომ გახსოვთ რევოლუციის წინააღმდეგ პოეტის სიტყვები: «Ты и убогая, ты и обильная, ты и могучая, ты и бессильная матушка Русь». ძველი პოეტის ეს სიტყვები კარგად დაისწავლეს ამ ვაჟბატონებმა. ისინი სცემდნენ და თან დასძენდნენ: „შენ უხვი ხარ“—მამასადამე, შეიძლება შენს ხარჯზე გავმდიდრდეთ. ისინი სცემდნენ და თან დასძენდნენ: „შენ უბადრუკი და უძლური ხარ“—მამასადამე, შეიძლება შენი ცემა და ძარცვა დაუსჯელად. ასეთია ექსპლოატატორების კანონი— ჩამორჩენილებისა და სუსტების ცემა. კაპიტალიზმის მგლური კანონი. შენ ჩამორჩი, შენ სუსტი ხარ—მამასადამე, შენ მართალი არა ხარ, მამასადამე, შეიძლება შენი ცემა და დამონება. შენ ძლიერი ხარ—მამასადამე შენ მართალი ხარ, მამასადამე, შენ უნდა გერიდონ“¹. ნეკრასოვის სიტყვებს სტალინი და დიდი ისტორიული მნიშვნელობა მისცა და ორგანიულად დაუკავშირა ძველი რუსეთის ცხოვრებას, ამავე დროს განაზოგადა მათი ღირე-

ბულება სინამდვილის სწორი შეხედულებისათვის.

მხატვრულ ლიტერატურაში მნიშვნელობას დიდი მნიშვნელობა უნდა აქვას პოლიტიკურ ბრძოლაში. სტალინი ოსტატურად იყენებს ჭეშმარიტად მხატვრულ ნაწარმოებს სოციალიზმის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გაიხსენეთ როგორი დახასიათება მისცა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს, რომლებსაც არ სწამდათ ბოლშევიკური ტემპები, არ სცნობდნენ „ისეთ რაშეს, რაც სცილდება თანდათან განვითარების ფარგლებს, თვითღინების ფარგლებს. კიდევ მეტი, ჩვენი ბოლშევიკური ტემპები, ჩვენი განვითარების ახალი გზები“, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ „რეკონსტრუქციის პერიოდთან, კლასობრივი ბრძოლის გააწვავება და ამ გამწვავების შედეგები მათში ძრწოლას, დაბნეულობას და შიშს“² ბადებდა. სტალინი ეს ვაჟბატონები ჩეხოვის ცნობილ გმირს—ბელიკოვს შეადარა და მთელი მათი შინაგანი სილატაკე საოცარი ძალით გააშინშლა. „ისინი დაავადებულნი არიან იმავე ავადმყოფობით, — წერს ამხანაგი სტალინი, — რომლითაც იყო ავად ჩეხოვის ცნობილი გმირი ბელიკოვი, ბერძნული ენის მასწავლებელი, კაცი ფუტლიარში. გახსოვთ ჩეხოვის მოთხრობა — „კაცი ფუტლიარში“? ეს გმირი, როგორც ცნობილია, ყოველთვის, სიცხეში თუ სიცივეში, დადიოდა კოლოშებში, დაბამბულ პალტოში და ჭოლვით. „რათ გესაქიროება, გეთაყვა, კოლოშები და დაბამბული პალტო ივლისში, ასეთ პაპანაქებაში?“ ეკითხებოდნენ ბელიკოვს. „ყოველი შემთხვევისათვის, — უპასუხებდა ბელიკოვი, — რომ რაიმე არ მოხდეს: უცაბედად ყინვა დადგეს, რას ვიზამ მაშინ“. მას, როგორც შეგი ჰქირა, ამინებდა ყოველი ახალი, ყოველი ის, რაც გამოდის უფე-

¹ ი. სტალინი, „ლენინის სიტყვები“, მეორე მხრე გამოცემა, გვ. 412.

² ი. სტალინი, „ლენინის სიტყვები“, 1933 წ., გვ. 674.

რული, „ობივატელური“ ცხოვრების ჩვეულებრივი ფარგლებიდან. გახსნურ ახალი სასაფლაო, — ბელიკოვი უკვე ძრწის: „ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება კარგი იყოს სასაფლაოს გახსნა, მაგრამ დახეთ — ცუდი არა გამოვიდეს რა აქედან“. მოაწყვეს დრამატიული წრე, გახსნეს სამკითხველო, — ბელიკოვი კვლავ ძრწის: „დრამატიული წრე, ახალი სამკითხველო, — რა საჭიროა ეს? ფრთხილად, ცუდი არა გამოვიდეს რა“¹. შემდეგ სტალინი შენიშნავს, რომ ასევე უნდა ითქვას მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებზეო, და გაპყავს ზუსტი პარალელი: მათ „აზრებს“ აძლევს ბელიკოვის „შეხედულებათა“ ფორმას, რაც პირდაპირ მომაკვდინებლად ხატავს მოღალატეებს. ეს კრიტიკა ისე მძაფრი, შარბალი, ამავე დროს იმდენად ძლიერი იყო, რომ მტერი გამოსავალს ვერ პოულობდა.

როცა სტალინმა დაახასიათა გამოურკვეველი ტიპის ადამიანები, რომლებიც უფრო მოგვაგონებენ პოლიტიკურ ობივატელებს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეებს, მოიყვანა გოგოლის სიტყვები და სურათს ბლომდე დახვეწილი, სრული სახე მისცა. „ასეთ გამოურკვეველი, ჩამოუყალიბებელი ტიპის ადამიანებზე, — აღნიშნა აზნანაგმა სტალინმა, — საკმაოდ მოსწრებულად სთქვა დიდმა რუსმა მწერალმა გოგოლმა: „გამოურკვეველი ადამიანებიო, არც ეს არიან, არც ისო, ვერ გაიგებ რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანი სოფელშიო“².

ეს შეგალითები ცხადად გვიჩვენებენ ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდ შემეცნებითს ღირებულებას, სინამდვილის მხატვრული სიზუსტით გამოხატ-

ვის როლს, შემოქმედების სტალინური ანალიზის სიღრმეს და შეცნობის მხატვრულ ფუნქციას. სტალინი ორგანიზულად უკავშირებს სინამდვილეს და გასაოცარი ძალით ცხადყოფს მათ შორის უმკიდროეს კავშირს. აიღეთ თუნდაც ჩეხოვის „უნტერ-პრი პრიშობევი“. ერთი შეხედვით თითქოს წარმოდგენილია მას რაიმე ეკვივალენტი მოენახოს ჩვენს სინამდვილეში. პრიშობევი სახელმწიფოებრივი კანონის სახელით მოქმედებს ყოველთვის, მაგრამ ასევე ყოველთვის ავადმყოფურად, გაზვიადებულად, მექანიკურად. როცა სამკვლევიარო პროცესია დაინახა, განგაში ასტეხა: „რა სრული უფლებით შეიკრიბა იქ ხალხი?.. რისთვის? კანონში ზომ არ არის ნათქვამი, რომ ხალხი ჯოგად დადიოდეს?“ და ის ყვირის: „დაიშალენით!“ „სად სწერია კანონში, რომ ხალხს თავისუფლება მიეცეთ?“ ნაპირზე დაინახა დამხრჩვალნი. პრიშობევი ხმას უმაღლებს: „ეს რომელი საბუთით ავდია იგი აქ?“ „კანონთა კრებულის რომელი მუხლის ძალით“ აღნობეს ბოქაულს დამხრჩვალის შესახებ? კანონის სახელით მოქმედი პრიშობევი ისე შორს მიდის, რომ სიმღერებსაც კრძალავს. „აბა, რა სიყუთე ყრია სიმღერებში?.. ვარდა ამისა, მოდაში შემოიღეს, რომ საღამომობით სინათლესთან იჯდნენ. უნდა დასაძინებლად დაწვენენ, მათ კი ბაასი და სიცილი გაუჩაღებიათ, მე ეს ჩაწერილი მაქვს“. და რა აქვს ჩაწერილი? „ვინც სინათლესთან ზის“. ეს ძველი თეითმპყრობე-ლურ-ბიუროკრატიული ყოფის სურათია. ჩეხოვის სწორედ ამ უნტერ-ოფიცერ პრიშობევს შეადარა აზნანაგმა სტალინმა თავის პასუხში ივანოვისადმი კომკავშირის კურსკის საოლქო კომიტეტის ზოგიერთი მუშაკი, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავგასული ახალგაზრდა ჩინოვიცის ცალიერ ბაქიობამდე დაეშენენ, სწორ შეხედულებას

¹ ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, 1933 წ., გვ. 674.

² ი. სტალინი, „სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე“, 1937 წ., გვ. 13.

ბრძოლა გამოუცხადეს, თავიანთი უცოდინარობით კომკავშირელს ცილი დასწამეს. „თუ ადამიანები საჯ. ალკე ოლქკომიდან მართლაც მოისურვებენ დაემსგავსონ ჩეხოვის უნტერ-ოფიცერ პრეზიბევებს, — სწერდა სტალინი, — ეკვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ისინი წააგებენ ამით. ჩვენს ქვეყანაში არ უყვართ პრეზიბევები“¹. მათთვის არ არსებობს რეალური მონაცემები, მათ არავითარი საერთო არა აქვთ ახალ ადამიანებთან, საბჭოთა ადამიანებთან, რომლებიც მოწინავე იდეებით ხელმძღვანელობენ და აბსოლუტურად უარყოფენ პრეზიბევებს.

რუსული ლიტერატურის ისეთი უდიდესი წარმომადგენელი, როგორც სალტიკოვ-შჩედრინია, თავისი მხატვრული ნაწარმოებებით არაერთხელ მოიხსენია სტალინი და გამოიყენა მისი გმირების მეტად ორიგინალური მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. მოვგონოთ სტალინური კონსტიტუციის პროექტის „კრიტიკა“ იზდროინდელ ბურჟუაზიულ-ფაშისტურ პრესაში. ყველასათვის ცნობილია რა გამოროტება გამოიწვია ამ უდიდესი ისტორიული დოკუმენტის გამოქვეყნებამ. მეგობრები მსოფლიოს ყველა კუთხეში მას გულწრფელი სიხარულით და პატივისცემით გამოეხმაურენ. სხვა სურათი გადაიშალა მტრების ბანაკში. რეაქციული ფაშისტური პრესა ღვარჯლითა და გესლით შეხვდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს. ჯერ აირჩიეს დუმილის მეთოდი, თითქოს ეს პროექტი არ არსებობდა. სტალინი ნიღაბი ჩამოკვლიდა კრიტიკის ამ ფორმას და გვიჩვენა მისი სასაცილო, სულელური ხასიათი. „შეიძლება სთქვან, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — დუმილით შეხვედრა არ არის კრიტიკა. მაგრამ ეს არაა მართალი. დუმილით შეხვედ-

რის მეთოდიც, როგორც უმეღობელო-ყოფის განსაკუთრებული საშუალება არის აგრეთვე კრიტიკის საშუალება“². თალია, სულელური და სასაცილო, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმა“³. როცა კრიტიკის ამ ფორმით ვერაფერი გააწყეს, შემდეგ აღიარეს ფაქტი, რომ ასეთი პროექტი არსებობს და თურმე ძაუნე ზემოქმედებასაც კი ახდენს ადამიანებზე. გამოჩნდა კიდევ მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა, რომლებიც სცნობდნენ პროექტის არსებობის ფაქტს, მაგრამ მას აცხადებდნენ ფარატინა ქაღალდად, ცარიელ დაპირებად, „პოტიომკინის სოფლად“, ხალხის მოსატყუებელ ზანეერად. უკეთესი პროექტის მოცემა საბჭოთა კავშირს არც შეეძლო, დასძინდნენ ფაშისტური კრიტიკანები, ვინაიდან საბჭოთა კავშირი სახელმწიფო კი არ არის, მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნებაა. რა შეიძლება ითქვას ასეთ კრიტიკაზე? — შენიშნავს ამხანაგი სტალინი და საკითხის სრული დახასიათებისათვის მიმართავს მხატვრულ ლიტერატურას, კერძოდ, სალტიკოვ-შჩედრინის მოთხრობას. „ერთ-ერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში, — წერს სტალინი, — დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებანაღვნი, მაგრამ უაღრესად დაწმუნებულია თავის თავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ“ ოლქში „წესრიგი და სიწყყარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით ქალაქები გადასწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და პორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებადცნობილი ქვეყანა, სადაც თურმე, არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ, და სადაც სახელმწიფოს

¹ ამხ. ივანოვის წერილი და ამხ. სტალინის პასუხი, 1938 წ. გვ. 22.

² ი. სტალინი, „ლენინის შესახებ“, გვ. 645.

ახეა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატიკა ამერიკა შეინიშნა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? რა თქმა უნდა, იგი შემთხვევით აღმოჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს? და, სთქვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა“¹.

შჩედრინის მოთხოვნის დახასიათების შემდეგ სტალინი შენიშნავს, რომ ვაებატონი კრიტიკოსები გერმანული ფაშისტური ოფიციალიზიდან — „დეიტ-შე დიპლომატიმ“ — პოლიტიშე კორესპონდენტ“ ისე ჰგვანან სალტიკოვ-შჩედრინის ბიუროკრატს, როგორც ორი წვეთი წყალი. შეადარეთ ამ კრიტიკოსების ცდა საბჭოთა კავშირი დაიხატათ, როგორც მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება, დიდი ყოყმანის შემდეგ ეცნოთ ჩვენი კონსტიტუციის პროექტის მხოლოდ არსებობა; რა ზუსტია აგრეთვე პარალელი „წესრიგისა და სიწყნარის“ დამყარების შესახებ. პირდაპირ მომავლდინებელი კრიტიკა! მაგრამ ამხანაგი სტალინი აქ არ სვამს წერტილს, კიდევ უფრო აღრმავებს საკითხს და ბოლომდე ამხელს ფაშისტი კრიტიკოსების უბადრუკობას. დააკვირდით რა ოსტატური კრიტიკაა: „ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, — წერს ამხანაგი სტალინი, — შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, მაინც მონახა თავის-თავში რეალურის გავების ელემენტები, ჩაილაპარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ, მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებული“. მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჰუჟა ვაებატონებს გერმანული ოფიციალიზიდან მიხედნენ, რომ ამათუი

სახელმწიფოს „დახურვა“ კალაღღზე მათ, რასაკვირველია, შეუძლებელია; მაგრამ თუ სერიოზულად მივხედვით, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“...¹

კონსტიტუციის პროექტის ეგრეთ-წოდებული მეოთხე გვჯუფის კრიტიკოსებმა პოლონური პრესიდან, როგორც ცნობილია, ეს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტი მიიჩნიეს, როგორც „ძრა მარჯვნივ“, „ხელის აღება პროლეტარიატის დიქტატურაზე“, „პოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაცია“, „მარჯვნივ გადაქანება“. მაგრამ „თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განმტკიცებას, — წერს ამხანაგი სტალინი, — ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა სკანონმდებლო განმტკიცებას ისინი უწოდებენ „ძვრას მარჯვნივ“, მაშინ უფლება ჰქვამს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაებატონებმა — რითი განსხვავდება მარცხენა მარჯვენისაგან?... ეს ვაებატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აურთეს მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გავიხსენოთ შინაყმა „გოგო“ პელაგია — გოგოლის „შეკდარი სულებიდან“. მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ როგორღაც იცისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის შეეტლუ სელიფანისათვის, მაგრამ, რადგანაც ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უზერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური გაზეთებიდან, მთელი ზითი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ ვასცილებიან „შეკდარი სულების“ შინაყმა

¹ ი. სტალინი, „ლენინის საკითხები“, გვ. 646.

¹ ი. სტალინი, „ლენინის საკითხები“, გვ. 647.



„გოგო“ პელაგიას გაგების დონეს. თუ ვაინსენებო, შეეტლუ სელიფანმა საჭიროდ ჩასთვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურიო მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: „ეჰ, შე შეფეხავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. მე მგონია, მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი კულანოკლე კრიტიკოსები და გვეტქვა მათთვის: ეჰ, თქვე ვაი კრიტიკოსებო... არ იცით სად არის მარჯვენა და სად მარცხენა¹. ამ დასკვნას ბოლომდე მიჰყავს აზრი, იგი ბოლომდე ამხელს პოლონური ბურჟუაზიული პრესის უბერხემლო მკვლახუნ-

ლებს, რომლებსაც კლასობრივმა მტრობამ გზაკვალი აუბნეჟიქუნუაჟი. ხელოვნების ლენინისტურ-სტალინისტურ ანალიზი მხატვრული შემოქმედების თეორიაში რევოლუციური ნაბიჯია, რომელიც გზას გვინათებს მეცნიერული სისწორით გადაწყვეტოთ ესთეტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხები. რაც შეეხება კერძოდ ესთეტიკას, მარქსისტულ-ლენინურმა ხელოვნებათმეტყველებამ იგი ნამდვილად აიყვანა მეცნიერულ სიმაღლეზე, განყენებიდან, მეტაფიზიკური ხეტიალიდან, თეორიული ბურჟუიდან გადააქცია მეცნიერულ დისციპლინად და ისეთი ძალა მისცა, რომელიც არასოდეს არ ჰქონია კაცობრიობის მთელი აზროვნების ისტორიაში.

¹ ი. ს. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 650-651.

გაზეთი „საბჭოთა საქართველო“

ქართული საბჭოთა ხელოვნება

★

„ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც
გუშინ ვიყავით, და ხვალ ის აღარ
ვიქნებით, რაც დღესა ვართ“.


ა. ჭაბუკიძე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის შესრულებას გაზეთმა „პრაედიკა“ უძღვნა შესანიშნავი მოწინავე, სადაც სხვათაშორის სწერდა: „რუსეთის მუშათა კლასის დახმარებით საქართველოს მუშებმა და გლეხებმა დაამხეს მეფის სატრაპების, ქართველი მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, დაამხეს ხალხისადმი მტრული რეჟიმი, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და მით იხსნეს ქვეყანა უცხოელ იმპერიალისტთა მიერ დამონებისაგან, შევიდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, საბჭოთა კავშირისა, რომელიც დამყარებულია ერებისა და რასების ნამდვილი თანასწორუფლებიანობის, მათი ურთიერთბატონის, მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის პრინციპებზე.“

ამ დროიდან დაიწყო ახალი ეპოქა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ცხოვრებაში“ (1947 წ. 25/11). და მართლაც, 1921 წლის 25 თებერვალი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოანი ისტორიაში შევიდა, როგორც ახალი ეპოქის დამწყები თარიღი. ხელმძღვანელობდნენ რა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მითითებებით, ქართველმა კომუნისტებმა საბჭოთა

ხელისუფლების არსებობის პირველივე დღეებიდან ხელი მოჰკიდეს მურხანობის აღდგენას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. თავისი ბატონობის სამი წლის განმავლობაში ქართველმა მენშევიკებმა—გერმანია-ინგლისის იმპერიალიზმის ლაქიებმა და მსახურებმა,—ქვეყანა დანგრევამდე მიიყვანეს. ისედაც ღარიბი მრევლეობა მენშევიკების ბატონობის წლებში თითქმის მთლიანად დაეცა და კატასტროფამდე მივიდა. ქართველმა ხალხმა საუკუნეებზე გამოატარა თავისი ძველი მალაი კულტურა. ამ კულტურას სასტიკად სდევნიდა მეფის თვითმპყრობელობა, მაგრამ მას ყველაზე მეტად ამცირებდნენ მენშევიკი მმართველები თავისი ბატონობის დროს. თუ რამდენად ჭედს იხრიდნენ და მლიქვნლობდნენ მენშევიკები უცხოელი ინტერვენტების წინაშე, საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ადგილი საოპერო თეატრის მიერ ინგლისის მისიისადმი მიწერილი წერილიდან: „ჩვენი თეატრი ყოველთვის ცდილობდა რაც შეიძლება კარგად მომზადებულად და მხატვრულად დაედგა ოპერები, რათა ცოტაოდენი ესთეტიკური კმაყოფილება მაინც მიენიჭებინა ჩვენი ძვირფასი სტუმრებისათვის“.

პირისხლიან ჯალათებს სულაც არ აინტერესებდათ ქართული ნაციონალური კულტურის განვითარება, ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ როგორმე ესიაშენებინათ უცხოელი იმ-



პერიოდისტებისათვის, რომელთა ხელში საქართველო ფაქტიურად ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენად გადაიქცა. მეტისმეტად უნუგეშო და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართული ხელოვნება. ხელოვნების თითქმის ყველა დარგის მუშაკების ცხოვრება იმ დროს ნამდვილი მარტიროლოგი იყო. საკმარისია რამდენიმე მაგალითის დასახელება: ისეთი ორიგინალური და შესანიშნავი მხატვარი, როგორც იყო ნ. ფიროსმანიშვილი, 1918 წელს უპატრონოდ და ლატაკად კვდება სარდაფში; მაღალნიჭიერი კომპოზიტორი, ქართული ხალხური მუსიკის ნამდვილი მესაიდუმლე ნიკო სულხანიშვილი 1919 წელს კვდება გაჭირვებისა და შიმშილისაგან დაავადებული; ქართული სცენის ბუმბერაში, დიდი მსახიობი ლადო მესხიშვილი 1920 წელს ლატაკურ ქოხში გარდაიცვალა; იმავე წელს საშინელი გაჭირვების მსხვერპლი შეიქნა და ტრაგიკულად დაიღუპა შესანიშნავი დრამატიული მსახიობი გიორგი არაღელი-იშხნელი; ხაზებისა და ნახატის გასაკვირველი ოსტატი ვანო ხოჯაბეგოვი იძულებული შეიქნა 1918 წელს კარისკაცად დამდგარიყო კაფე „უნიონში“, რის შედეგადაც ფილტვების ანთებით დაავადდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. ეს რაც შეეხება ყველა-სათვის ცნობილ სახელებს, მაგრამ ვინ იცის კიდევ რამდენი ნიჭი დაიღუპა გაუფურჩქნელი!..

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო საქართველოს ნამდვილი გაფურჩქნა და აყვავება. წინათ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ბოლშევიკებმა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყანად აქციეს. საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება, რომელმაც მშრომელ გლეხობას შეძლებული და კულტურული ცხოვ-


რება მოუტანა. ქვეყნის სავრთო ბაზრ-ძინებამ უზრუნველყო ქართული ხელოვნების განვითარება. ეკონომიკური პარტია და ხელისუფლება განუწყვეტლივ ზრუნავენ ხელოვნების განვითარებისათვის, რათა იგი ჩვენს ქვეყანაში მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდის მძლავრ იარაღად იქცეს. არასოდეს ხელოვნებას არ ექცეოდა ისეთი ყურადღება, როგორც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. დამახასიათებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა დებულება მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ. გარდა ამისა, მთელ რიგ ძველ დამსახურებულ მოღვაწეებს მიენიჭათ სახალხო არტისტების საბაჟო სახელწოდება: ვასო აბაშიძეს (1922 წ.), ვანო სარაჯიშვილს (1923 წ.), ნიკო ვოციროძეს (1924 წ.), ზაქ. ფალიაშვილს (1925 წ.), მაკო საფაროვა-აბაშიძეს (1925 წ.) და სხვ.

ქართულმა თეატრმა მენშევიკების ბატონობისას დაკარგა ის საკმაოდ დიდი მხატვრული და სოციალური ღირებულება, რომელიც მას მანამდე ჰქონდა. იღუერი და მხატვრული გაკორტება თავის გამოხატულებას პოულობდა თეატრის უმწეო მდგომარეობაშიაც. ცხადია, ცალკე თეატრალური მუშაკები ცდილობდნენ ეპოვათ გამოსავალი და ეხსნათ ქართული თეატრი ამ უმწეო მდგომარეობიდან, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, რადგან გაბატონებულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფენებზე დამყარებული თეატრი განწირული იყო. მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებამ შეუქმნა ქართულ თეატრს შესაფერი პირობები გაჯანსაღებისა და გარდაქმნისათვის.

• საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-

ბის შემდეგ 1921 წლის 1 მარტს ქართულმა მსახიობებმა დადგეს დ. ერისთავის „სამშობლო“, შემდეგ რეჟისორმა ალ. წუწუნავამ, მხატვარ ვ. სიღამონ-ერისთავის ახალ დეკორაციებში დადგა ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“, სადაც ოთარბეგს დიდი ოსტატობით თამაშობდა ვალ. გუნია, ერაქლეს კი მიხ. ქიპრელი. რევ. კ. ანდრონიკაშვილმა დადგა ვ. ერისთავის „დავა“, რევ. აკ. ფალავამ—„ოტელი“ (ოტელი — ალ. იმედაშვილი, იავო—ი. ზარდალი-შვილი). სხვათა შორის ამ დადგმაში აკ. ვასაძე თამაშობდა მონტანოს, უშ. ჩხეიძე კი—გრაციანოს. დაიდგა აგრეთვე „ყაჩაღები“ შილერისა (ალ. იმედაშვილი—ქარლ მოორი, ვ. ანჯაფარიძე—ამალია), ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“ (ვ. ანჯაფარიძე—ფატი, აკ. ვასაძე — სიკო) და ოსკარ უაილდის „სალომეა“ (თ. ქავჭავაძე—სალომეა, აკ. ზორავა—იოჰანანანი, აკ. ვასაძე — იროდი). ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ ასე თუ ისე თვალსაჩინო დადგმები. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ საკვირველი საქმეა. როგორც იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები აღნიშნავენ: „თეატრში შეიღი კაცი იჯდა, ისიც კონტრამარკებიანიო“. რა იყო ამის მიზეზი? უთუოდ ის, რომ ახალ მაცურებელს არ აკმაყოფილებდა არც ის, თუ რა იდგმებოდა (რეპერტუარი), არც ის, თუ როგორ იდგმებოდა ეს ძველი რეპერტუარი. ქართული თეატრის საუკეთესო წარმომადგენლები უთუოდ გრძნობდნენ ამას და ამიტომ დაისვა კიდევაც საკითხი ღრობით თეატრის დახურვისა და სტუდიური მუშაობის წარმოებისა, რათა რამდენიმე ხნის შემდეგ მშრომელთა მსახურს მისცემოდა ახალი ქართული საბჭოთა თეატრი. 1922 წლის სექტემბერს განათლების კომისარიატში მოწვეული იყო სპეციალური თათბირი, რომელზედაც ქართული თეატრის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ამ თაფ-

ბირზე დასმულ იქნა საკითხი ქართული თეატრის მიმდინარე სტრუქტურისა და იმ რეპერტუარის შესახებ, რომელიც სეზონის დასაწყისში შემუშავებული იყო დასის ხელმძღვანელებს მიერ. თათბირს ესწრებოდა იმ ღროს თბილისში რუსეთიდან ჩამოსული ცნობილი რეჟისორი და თეატრალური მოღვაწე კ. მარჯანიშვილი. რომელმაც სწორედ ამ ღროს თბილისის რუსულ დრამაში რამდენიმე დადგმა განხორციელა („სალომეა“, „ყვითელი კერესი“ და „მიშხიდველი შუქი“). კ. მარჯანიშვილი წინ აღუდგა თეატრის დახურვის აზრს და გაბედულად განაცხადა: „თეატრის უბადროულობაში აქტიორები კი არ არიან დამნაშავენი, არამედ საქმეს აფუჭებს ძველი თეატრალური ფორმები და რეპერტუარი, რომელშიაც ისრჩობა აქტიორების ნაქიო“. თათბირმა გადაწყვიტა მიანდოს კ. მარჯანიშვილს ერთი დადგმის განხორციელება ქართულ თეატრში და რამდენიმე ხნის შემდეგ, 1922 წლის 25 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში დაიდგა ესპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას პიესა „ცხვრის წყარო“ („ფუნტე ოვებუნა“. „რუსეთის დიდმა რევოლუციამ და ახალმა სულმა, რომელმაც მოიცილა მთელი მსოფლიო, დაუბრუნეს თეატრს მისი ნამდვილი აგზნება“,—სწერდა რამდენიმე ხნის შემდეგ კ. მარჯანიშვილი, —„მისცეს მას დიდი შემეცნება თეატრალობისა, დაუბრუნეს მას ყოველივე ის, რაც მასში დათრგუნვილი იყო: მისი მოქმედება, მისი აქტივობა, მისი რიტმი, მისი ფანტასმაგორიულობა“ („ქართული თეატრის საკითხები“). და მართლაც „ცხვრის წყაროს“ დადგმით სრულიად ახალი, საბჭოთა ეტაბი დაიწყო ქართული თეატრის ისტორიამ. ამ პიესის არჩევანი შემთხვევითი არ იყო. ეს დადგმა კ. მარჯანიშვილს უკვე შემოწმებული ჰქონდა რევოლუციური მაცურებლების მიერ კიევიში



1919 წელს, როდესაც იგი თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მიმავალ წითელარმიელებს მხნობისა და სიმამაცის სულს უღვივებდა. „ხელოვნების მაზანი სულ უბრალო რამ არის—ვისცეს ადამიანს სიხარული, ჩაუნერგოს მას სიმხნევე“—კ. მარჯანიშვილიც ეს თეატრალური კრედიო, როგორც კიევში, ისე თავისი მშობლიურ საქართველოს დედა-ქალაქში, განუხრელად და დიდი სიძლიერით იყო განხორციელებული. „ცხვრის წყაროზე“ ბევრი დაიწერა, კიდევ უფრო ბევრი დაიწერება, აქ ჩვენ გვიონდა მხოლოდ აღვნიშნოთ ის, თუ რა მისცა ამ ისტორიულმა დადგამამ ქართულ საბჭოთა თეატრს? ხშირად ვაისმის ხოლმე ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კ. მარჯანიშვილს არავითარი სისტემა და მეთოდი უშვობისა არა ჰქონდაო, ზოგი კი პირიქით იმასაც გაიძახის, ვითომ მარჯანიშვილს რაღაც შემოქმედებითი სკოლა ჰქონოდაც. ორივე აზრი შემცდარად მიგვაჩნია. მართალია, მარჯანიშვილი თეორეტიკოსი არ იყო, თავისი ქუშვობის პროცესის შესახებ მას წიგნები არ დაუწერია, როგორც, მაგ. ლითაძე, კ. სტანისლავსკის, მაგრამ სასაცილო იქნებოდა აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, ვითომ კ. მარჯანიშვილი სათანადო სისტემისა და მეთოდის გარეშე მუშაობდაო. „ცხვრის წყარო“ და მისი შემდგომი საუკეთესო დადგმები ქართულ საბჭოთა თეატრში ნათლად მოწმობენ, რომ მარჯანიშვილს თუმცა თეორიულად არა ჰქონდა დაუშვებელი, მაგრამ თავის თეატრალურ შემოქმედებას შემდეგი პრინციპების განხორციელებით ანვითარებდა: პირველ ყოვლისა კ. მარჯანიშვილმა წინ წამოსწია რეჟისორის მნიშვნელობა თეატრში, როგორც თეატრის ორგანიზატორისა და შემოქმედის, თეატრალური ხელოვნების ნოვატორისა და რეფორმატორის. მეორე: მსახიობი, როგორც წამყვანი ძალა თეატრში, მაგ-

რამ არა ისე, როგორც ეს უწინ იყო, როდესაც სპექტაკლი ერთი მსახიობის გამოსახენად იდგმებოდა. მესამე: აქედან მესამე პრინციპი: ანსამბლის გრძნობა, რაც გამოიხატება როგორც თითოეული აქტიორის შემოქმედების, ისე მასობრივი სცენების ოსტატურად დამუშავებაში. მეოთხე: სინთეტიკურობის პრინციპი, თეატრში მუსიკის, ცეკვის, მხატვრობის, სიმღერის, რიტმის, პლასტიკის, როგორც მსახიობის შემოქმედებაში, ისე რეპერტუარის შერჩევის მხრივ, რაც შორს არის იმ ეკლექტიზმისაგან, რაშიც ხშირად დაუშვსახლებლად ბრალს სდებდნენ კ. მარჯანიშვილს. და რაც მთავარია, ნახუთე: ეს სოციალური ოპტიმიზმი, რომლითაც უნდა გაედენითილი ყოფილიყო მთელი სპექტაკლი, თუნდაც მას პიესის მიხედვით ტრაგიკული ფინალი ჰქონოდა. სპექტაკლი, რომელიც სიხარულს და სიმხნევეს ანიჭებს მაყურებელს, სპექტაკლი, როგორც დღესასწაული თვალისათვის, გულისათვის, გონებისათვის. სწორედ ამ პრინციპების მიხედვით იყო გაკეთებული მარჯანიშვილის პირველი სპექტაკლი და ამ პრინციპებს მან არ უღალატა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, როდესაც იგი მოსკოვის მცირე თეატრში „დონ-კარლოსზე“ მუშაობდა.

ჩვენ აქ არ შევეუდგებით „ცხვრის წყაროს“ დეტალურ გარჩევას, თუმცა ეს საინტერესო იქნებოდა. მხოლოდ აღვნიშნავთ მსახიობთა იმ შემადგენლობას, რომელმაც პირველ საისტორიო წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა: თ. ჭავჭავაძე—ლაურენსია, ალ. იმედაშვილი—ესტევანი, გ. დავითაშვილი — ფრონდოზო, აკ. ვასაძე—მენგო, ტასო აბაშიძე—პასკვალა, ელ. დონაური—ხასინტა, უშ. ჩხეიძე—მოსამართლე, შ. ლამბაშიძე — დონ როდრიგო, დ. ჩხეიძე—კოპანდორი, ნ. გოცირიძე—კორეზიდორი, შემდეგ დ. მავია, ს.

ეორეოლიანი, გ. სარჩიმელიძე, მ. ვარდოშვილი და სხვ.

კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის პირველი პერიოდი განისაზღვრება 1922—1926 წლებით. ეს იყო ოთხი ბრწყინვალე სეზონი რუსთაველის თეატრში. ამ ხნის განმავლობაში 20-მდე ახალი დადგმა განახორციელა მარჯანიშვილმა, ზოგი დამოუკიდებლად, ზოგი კი იმ ახალგაზრდა მომუშავეებთან ერთად, რომელნიც მან გაბედულად წამოსწია რეჟისორულ სამუშაოზე. ცხადია, ეს დადგმები ყველა როდი იყო ერთნაირ მხატვრულ და იდეურ სიმაღლეზე მდგარი; როგორც ყოველი ცოცხალი შემოქმედებითი ორგანიზმი, რუსთაველის თეატრიც ამ პერიოდში ხან თეატრალური ხელოვნების მწვერვალებს აღწევდა, ხან კი მისტიკურ-დეკადენტურ ბურჟუაზიულ ეშვებოდა. მაგრამ ზემოთდასახელებული ხუთი პრინციპის გატარება პრაქტიკულ თეატრალურ მუშაობაში უზრუნველყოფდა, ზოგიერთი გადახრის მიუხედავად, რევოლუციური რომანტიზმისა და რეალისტური თეზისის დომინანტას რუსთაველის თეატრში. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ამ დროის მარჯანიშვილის მოღვაწეობა ოთხი ხაზით მიმდინარეობდა. ცხადია, ეს არ იყო შეგნებულად, თეორეტიკულად დეკლარირებული, მაგრამ იმდროინდელი პრაქტიკა გვაძლევს ამის საბუთს. „ცხვირის წყარო“ (1922 წ.), და „პამლეტი“ (1925 წ.),— ეს ორი ბრწყინვალე საბჭოთა სპექტაკლები. თეატრალური ხელოვნების მწვერვალები, რომელნიც ქართული საბჭოთა თეატრის დიდ მიღწევებად ჩაითვლებიან, წარმოადგენენ იმ ხაზის განხორციელებას, რომელიც გამოიხატებოდა გმირულ-რომანტიკულ, გამომხსენებელ-ობტიმისტურ და ამავე დროს ესთეტიკურ-რეალისტური მიმართულების გატარებაში. მეორე ხაზი—ეს ოპერეტულ-კომედიური, რაც

მუდამ აინტერესებდა მარჯანიშვილს მთელი მისი თეატრალურ მოღვაწეობის დროს, დაწყებული „მომსახურების“ თავისუფალ თეატრში“ დაღმულ „მშვენიერი ელენეთი“ (1913 წ.), გათავებული „ლამურათი“ (1933 წ.), ამ მიმართულებას რუსთაველის თეატრში გამოხატავდნენ ისეთი შესანიშნავი დადგმები, როგორც „მასკოტა“, „ინტერესთა თამაში“ და „ვინაზორის ცეცხლ ქალები“. მესამე ხაზი—ყოფაცხოვრებითი რეალიზმის ხაზია. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ მარჯანიშვილს 1913 წელს განზეთილება მოუვიდა სამხატვრო თეატრთან, თავის შემდგომ თეატრალურ მოღვაწეობაში მარჯანიშვილი ხშირად იყენებდა სტანისლავსკის მოძღვრებას, ზოგჯერ ნატურალისტურ უკიდურესობამდეც კი მიჰყავდა იგი. მაგრამ აქაც მარჯანიშვილი თავისი ხუთი პრინციპის საფუძველზე იღბა მტკიცედ და ამიტომ არის, რომ მან შექმნა ისეთი ბრწყინვალე სპექტაკლი, როგორც „მზის დაბნელება საქართველოში“ (1923 წ.), „გაახანურებული მდაბიო“, „გმირი“. უფრო ნატურალისტური გამოვიდა „გაყრა“ და „დეზერტირება“. და მეოთხე ხაზი მარჯანიშვილის თეატრალური მოღვაწეობისა, რომელიც ახლა შეიძლება მხოლოდ უარყოფითად შეფასდეს—ეს ექსპრესიონისტული, ესთეტიკურ-მისტიკური მიმართულება. ამ ხაზის გამომხატველნი იყვნენ როგორც გერმანული ექსპრესიონისტების პიესები („გაზი“, „კაცი-მასა“, „შპიგელმენში“), ისე ქართული „გაექსპრესიონისტებული“ დრამატურგია („მათრახის პანაშვიდი“, „ლატაერა“ და სხვ.). ცხადია, ეს ოთხი ხაზი არ წარმოადგენდა ერთიმეორისაგან მკვეთრად გამოყოფილ და ერთიმეორის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ხაზებს. გარდა ექსპრესიონისტული ხაზისა, დანარჩენები ხშირად იკრებოდა-

ნენ ერთიმეორეში. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგანაც ისინი ერთი აღამიანის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენდნენ. მაგალ, „ჰამლეტში“ მოიძებნებოდა როგორც ესთეტიკური, ისე ნატურალისტური გადახრები, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მთლიან კონცეფციას არ არღვევდა. ანდა იმავე „გააზნაურებულ მღაბიოში“ მოიძებნებოდა ესთეტიზმით გატაცება, რაც მას ზოგიერთ მომენტში „ინტერესთა თამაშს“ უახლოვებდა. ცხადია, ეს დაყოფა დაახლოვებითია, მაგრამ იგი იძლევა საშუალებას მომავალში კვლევითი, ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებისათვის.

რუსთაველის თეატრის 1922—1926 წლების პერიოდის განხილვისას არ შეიძლება არ შევჩერდეთ ზოგიერთ მომენტზე. პირველ ხანებში მარჯაწიშვილს თავისი თეატრალური რეფორმის გატარებისათვის, ცხადია, ასაღაზრდა აქტიურულ ძალებზე დაყრდნობა მოუხდა. მართალია, ქართული საბჭოთა ორიგინალური დრამატურგიის უქონლობის გამო, განახლება მოხდა ექსპრესიონისტული რეპერტუარისა, მაგრამ, ცხადია, რომ ექსპრესიონიზმი დიდხანს ვერ დაჩნებოდა განახლების სტიმულად. ამიტომ მოხდა განხეთქილება თვითონ თეატრში, რამაც სათანადო გაფორმება მიიღო ორ მოწინააღმდეგე დაჯგუფებათა ჩამოყალიბებით: „დურუჯი“ და „მსახიობთა ამხანაგობა“. პირველ ხანებში ბევრს „დურუჯი“ რაღაც მემარცხენე და პროგრესიულ მოვლენად მიაჩნდათ, ისევე როგორც, მაგალითად, ვერმანული ექსპრესიონიზმი მაშინ ზოგს ყველაზე რევოლუციურ დრა-

მატურგიად მიაჩნდათ. როგორც ესთეტიკით, ბევრი მოხიბლული იყო „დურუჯის“ „მემარცხენე“ დრამატურგიული თეატრით, თვითონ მარჯაწიშვილიც პირველ ხანებში. მაგრამ ფაქტიურად იგი ანტირეალისტური და ანტიხალხური მოვლენა იყო. აი რასა სწერდა ეურ. „ხელოვნების დროსა“ 1924 წლის 1 ივნისის ნომერში: „დურუჯი უსათუოდ გაიმარჯვებს, თუ მისი წევრები მიჰბაძავენ უფროსი ძმის—ყაწელების მაგალითს“. მე მგონი კომენტარიები ზედმეტია. იმ დროს თეატრალურმა რეალიზმმა თავშესაფარი „მსახიობთა ამხანაგობაში“ ჰპოვა. ეს კოლექტივი ისეთ ცნობილ მსახიობებს აერთიანებდა, როგორც იყენენ ვასო აბაშიძე, ნინო ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე და ახალგაზრდებიდან მიხ. ჭიაურელი და მიხ. გელოვანი. მართალია, ამ კოლექტივმა დიდხანს ვერ იარსება, რადგანაც მას აკლდა სათანადო ორგანიზაცია, ახალი საბჭოთა რეპერტუარი და საკუთარი შენობა, მაგრამ მისი რეალისტური დანდებები ყოველთვის იზიდავდა მაყურებელს (სეზონი გაიხსნა 1924 წლის 1 დეკემბერს საოპერო თეატრში ალ. წუწუნაევას დადგმით „მსხვერპლი“). რუსთაველის თეატრში კი ანტირეალისტური ტენდენცია იმდენად ძლიერად იზრდებოდა, რომ 1926 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ თვით კ. მარჯაწიშვილიც კი იძულებული იყო მიეტოვებინა თეატრი და გადასულიყო სახკინმარეწეში სამუშაოდ.

ფორმალისტს 1926—1934 წლებში საგრძნობლად ჰჭონდა ფეხი მოყიდებული ჩვენს თეატრში. ამიტომ იყო რომ სავ. კ. პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის

1932 წლის 23 აპრილის ცნობილი დადგენილება პირდაპირ აღიარებდა „უცხო ელემენტების საგრძნობ ვაგლენას, რომლებიც განსაკუთრებით გამოცოცხლდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში“. ეს ითქმის აგრეთვე „თეთულდის“ (1931/32 წწ. სეზონი) შესახებ, რომელმაც იდეურ-პოლიტიკური მარცხი განიცადა. სპექტაკლში მოცემული იყო სევანეთის პატრიარქალური მხარის იდეალიზაცია, ამიტომ არგიშდის სახემ დიდი განზოგადოებული, ტრაგიზმამდე აყვანილი მნიშვნელობა მიიღო და დაჩრდილა პიესაში მკრთალად მოსაზრებული ბოლშევიკ-გელასხანის სახე. თეატრალური ფორმალიზმის ელემენტები საკმარისად მოიპოვებოდნენ აგრეთვე ისეთ მთლიანად რეალისტურ სპექტაკლში, როგორც იყო „ანზორ“, ნაწილობრივ „რღვევაშიაც“. მაგრამ ამ სპექტაკლებში სოციალური და რევოლუციური იმდენად ძლიერი იყო, რომ ფორმალისში შეუმჩნეველი ხდებოდა.

1930 წელს რუსთაველის თეატრი პირველად გავიდა თავის სამშობლოს გარეთ: იგი მიწვეული იყო მოსკოვში სათეატრო შემოქმედების პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად. თეატრმა უჩვენა საბჭოთა კავშირის დედაქალაქს თავისი საუკეთესო სპექტაკლები. საკმარისია აქ მოვიყვანოთ ან. ლუნაჩარსკის წერილიდან ერთი ადგილი: „რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი. მოსკოვის აზრით და ჩემის აზრითაც, რუსთაველის თეატრი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში წინაურდებოა“. 1933 წელს რუსთაველის თეატრმა მეორედ ზოაწყო გასტროლები მოსკოვსა და

ლენინგრადში. გაზ. „პრავდა“ აღნიშნავდა რა თეატრის „მრავალმხრივ რეპერტუარს“ და „სპექტაკლთა“ სასტიკ-სოვო კოლექტივს“, სხვათა შორის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რუსთაველის თეატრის ზოგ დადგმებში „გარეგნული ხერხი ზშირად ბატონობს შინაარსზე, ნაციონალური ფორმის პრობლემის ადგილს იჭერს ზშირად ნაციონალური ეგზოტიკა. რომანტიკული ნაკადი, რომელიც ძლიერია თეატრში, ზოგჯერ ხაზგასმულ ხაციონალური ეგზოტიკის ელფერს ატარებს“. სამწუხაროდ თეატრის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ არ გამოიტანა სათანადო დასკვნები ბოლშევიკური კრიტიკისაგან და თვით თეატრშიც წამყვანი მსახიობების რეალიზმისაკენ არსებულ მისწრაფებას არ გაუწია ანგარიში. მივიწყებულ იქნა კ. მარჯანაშვილის საუკეთესო თეატრალური ტრადიციები.

ცხადია, ანტირეალისტური ტენდენციის ზრდა ხდებოდა რუსთაველის თეატრის მსახიობთა უმრავლესობის შინაგანი, ჩუმი წინააღმდეგობის მიუხედავად. 1926—1934 წლების განმავლობაში რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ სცადა რამდენიმე სპექტაკლით ფორმალისტურ-კონსერვატიული ტენდენცია გაემატონებია. ცხრა სეზონის განმავლობაში თეატრის ფარგლებში მიმდინარეობდა ჩუმი ბრძოლა რეალისტურად მოაზროვნე წამყვანი მსახიობებისა ხელმძღვანელობასთან. ცალკეულ წარმოდგენებში ფეთქავდა კიდევაც აქტიორული რეალისტური მსოფლშეგრძნება და შემოქმედება. ასეთები იყვნენ, მაგალ., „რღვევა“, „ანზორ“, „ინტირანოს“, სადაც სრული აქ-

ტიორული სიძლიერით იფეთქა აკ. ხორავას (კაპიტანი ბერსენევი, ანზორი, კარლ მოორი) და აკ. ვასაძის (ბოკმანი, ახმა, ფრანც მოორი) რეალისტურმა ოსტატობამ. მაგრამ მაინც სკარბობდნენ ისეთი სპექტაკლები, როგორც „საქმის კაცი“, „თეთრულა“, „დღეშმანი“, „შლეგი“. ამ ორ უკანასკნელ სპექტაკლში იმდენად შესამჩნევი გახდა რეაქციული ტენდენცია, რომ საჭირო შეიქმნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევა და 1935 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა დამატებითი რუსთაველის თეატრის მუშაობის გარდაქმნის შესახებ. დამატებითა რეჟისორთა ახალი კოლეგია აკ. ვასაძის თავმჯდომარეობით და თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგედ დაინიშნა აკ. ვასაძე, რომელიც აი უკვე თორმეტი სეზონის განმავლობაში ენერგიულად და დიდის შრომისმოყვარეობით ხელმძღვანელობს რუსთაველის თეატრს.

მიმოხილვის ფარგლებში ძნელია რუსთაველის თეატრის მრავალი დიდი და საყურადღებო მსახიობის შემოქმედებას შევეხოთ. ამიტომ შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმე მსახიობზე.

1922—1923 წლები აკაკი ხორავასათვის ყოველმხრივ მნიშვნელოვანი წლები იყო. მის აქტიურ ბიოგრაფიაში უსათუოდ შევა ის ორი როლი, რომელიც მან ითამაშა მაშინ. საინტერესოა, რომ პირველად აკ. ხორავას გაცნობა მოხდა ისე, რომ მაყურებელს არც კი უნახავს იგი სცენაზე ფიზიკურად, სამაგიეროდ მისმა ძლიერმა ხვეწვარდოვანმა და ღრმა ხმამ მოხიბლა აუდიტორია. ეს იყო იოჰანანის როლი („სალამა“). იმდროინდელი პრე-13. „მნათობი“, № 11.

სა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ აკ. ხორავა „ახალი ძალაა და უნდა ითქვას, რომ საუკეთესო მსახიობი დარჩება, მისი იოჰანან ამის თავდებიანა“. ეს მოხდა 1922 წლის 30 იანვარს. 1923 წლის 8 თებერვალს აკ. ხორავამ ითამაშა სახალხო სახლში ხეციას როლი შალვა დადიანის „გვეგუქკორში“ დრამატურგის საიუბილეო სალამოზე. აქ ახალგაზრდა მსახიობი წარსდგა მაყურებლის წინაშე, როგორც არტისტი. აუდიტორია მოხიბლული დარჩა მისი მოყვანილი და მაღალი ტანადობით, არტისტული გარეგნობით და ისევ მშვენიერი ტემპრის ხვეწვარდოვანი ხმით. ასე დაიწყო აკ. ხორავას სცენიური მოღვაწეობა. მრავალი როლი განასახიერა მან მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ მისი პირველი ნამდვილი არტისტული მიღწევა, აქტიურული შემოქმედების პირველი მწვერვალი ეს უსათუოდ კაპიტან ბერსენევის როლის განსახიერება იყო ბ. ლავრენევის პიესაში — „რღვევა“ (1928 წ.). აკ. ხორავამ მრავალნაირი საღებავით დაგვიხატა რუსი ინტელიგენტის უაღრესად რეალისტური სახე, რომელიც, მიუხედავად ათასგვარი წინააღმდეგობისა, რომელიც ბერსენევის წინ ეღობებოდა, უყოყმანოდ დადგა საბჭოთა ხელისუფლების მეომართა მწყობრში. ამ როლის განსახიერების შემდეგ იწყება აკ. ხორავას აქტიურული შემოქმედების უფრო დიდი აღმავლობა, მისი ოსტატობის დავეყვაცება: ანზორი (1928 წ.) ს. შანშიაშვილის იმავე სახელწოდების პიესაში, კარლ მოორი (1932 წ.), შილერის „ეჰაილბში“ (ინტირანოს), პლატონ კრეჩეტ (1935 წ.) ა. კორნეიჩუკის იმა-

ვე სახელწოდების პიესაში. მაგრამ ავ. ხორავეს უდიდეს მიღწევად მაინც არსენას (1936 წ.) და ოტელოს (1937 წ.). როლების შესრულება ჩაითვლება. ამ როლების განხორციელებას ავ. ხორავეს შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ეტაპური მნიშვნელობა ენიჭება. მაღალი აქტიორული ოსტატობით აქვს ავ. ხორავეს შესრულებული გიორგი სააკაძის (წანშიაშვილის პიესაში) როლი, აგრეთვე გიორგი სააკაძის განსახიერება მიხ. ჭიაურელის ფილმში. უკანასკნელ წლებში ავ. ხორავეს მნიშვნელოვან მიღწევად ჩაითვლება იოანე მრისხანეს განსახიერება („დიდი ხელმწიფე“, 1945 წ.), რისთვისაც მას მიენიჭა სტალინური პრემიის პირველი ხარისხის ლაურეატობა, და გენერალი მურავიოვი (ჩირსკოვის „გამარჯვებულნი“). ამ უკანასკნელში მსახიობმა ბრძენი სტრატეგის და პოლიტიკოსის შესანიშნავი სახე დაგვიხატა, რომელიც მოქმედებს გამარჯვების სტალინური მეცნიერების საფუძველზე.

აკაკი ვასაძის მრავალნაირ აქტიორულ გალერეაში თითქმის ერთნაირის სიძლიერითა და ოსტატობით არის განსახიერებული სახასიათო, კომედიური და დრამატული როლები. მრავალი წლის მანძილზე ავ. ვასაძემ შექმნა მეტად საინტერესო პორტრეტული სახეები. ერთის მხრივ სიცოცხლით სავსე, მსუბუქი ავარიულური საღებავებით ვაკეთებული კომედიური სახეები: მენგო („ცხერის წყარო“), ჩეშმაკოვი („შის დაბნელება“), პიპო („მასკოტ“), კირილე („სამანიშვილის დედინაცვალი“), კომბალა („ამერიკელი ძია“), ბოცმანი („არღვევა“). ახმა („ანზორ“), დარისპანი („შეპოდაომის აზნაურები“), შვაგა („უდანაშაულოდ დამნაშავენი“), კოწია („გუშინდელი“). მეორეს მხრივ ტრაგიკული სახეები, მუქი საღებავებით შესრულებული, ისეთები, როგორც ფრანცი („ყაჩაღები“) და იავო („ოტელო“),

და არანაკლებ შესანიშნავი დრამატული სახეები იროდი ექსტრემული, კრისტი მეგონ („გმირი“), გესლერი („ვილქელმ ტელი“), ბერესტი („პლატონ კრეჩეტი“), შადიშანი („გიორგი სააკაძე“), ლეონიძე („სამშობლო“), შუისკი („დიდი ხელმწიფე“), პანტელეევი („გამარჯვებულნი“) და სხვები.

გიორგი დავითაშვილი—გმირული, პათეტიკის და ფსიქოლოგიური რეალიზმის მსახიობია. მრავალი დაუვიწყარი სახე აქვს მას შექმნილი რუსთაველის თეატრში. პირველი მისი ბრწყინვალე გამარჯვება მარჯანიშვილის „ცხერის წყაროში“ იყო, სადაც იგი ასრულებდა ფრონდოზოს მთავარ როლს. ამის შემდეგ კრისტი მეგონ („გმირი“), კლეონტ („გააზნაურებული მღაბიო“), ხოზე („კარმენსიტა“), ფონ შტაუბე („არღვევა“), ივანოვი („ანზორ“), ზაალ ბარათაშვილი („არსენა“), ნუნამოვი („უდანაშაულოდ დამნაშავენი“)—მისი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო როლი, ჩიბისოვი („თოფიანი კაცი“), მაზრის უფროსი რეინგოლდი („გუშინდელი“), ლევან ზიშშიაშვილი („სამშობლო“), გენ. ბრუსილოვი („ბრუსილოვი“), მომხიბლავი ონისე („ხევის ბერი გოჩა“) და, ბოლოს, გენ. ვინოგრადოვი („გამარჯვებულნი“).

უდავო დამსახურება მიუძღვის რუსთაველის თეატრის წინაშე მხატვარ ირაკლი გამრეკელს (1894—1943). მისი პირველი გამოსვლა სცენაზე იყო კ. მარჯანიშვილის მიერ თბილისის რუსულ თეატრში დადგმული „სალომეას“ დეკორატიული გაფორმება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ირ. გამრეკელი პირველი ნამდვილი თეატრალური მხატვარია საქართველოში ამ სიტყვის პროფესიონალური გაგებით. მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება მან რუსთაველის თეატრს დაუეკუშირა და დაწყებული 1922 წლიდან, გათავებუ-

ლი 1941/42 წწ. სეზონით ირ. გამრეკელმა ამ თეატრში დაახლოებით 50-მდე დადგმა გააფორმა. რუსთაველის თეატრთან ერთად მან განიცადა შემოქმედებითი ევოლუცია დეკორატიული კონსტრუქტივიზმიდან სოციალურ რეალიზმამდე. 20 წლის განმავლობაში ირ. გამრეკელმა არა ერთი და ორი ბრწყინვალე დადგმა განახორციელა. მათგან უთუოდ საბჭოთა ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების მიღწევად ჩიითვლება „პამლეტი“, „რდევვა“, „ანზორ“, „ინტირიანოს“, „არსენა“, „ოტელო“, „თოფიანი კაცი“, „გიორგი სააკაძე“, „ბოგდან ხმელნიცი“, „ლალატი“.

1935 წლიდან რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში ლაიწყო ახალი ხანა. ახალ ხელმძღვანელობას (ა.კ. ვასაძე) დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდა, რომ აღმოეთხვრა 1926—35 წლებიდან დარჩენილი ფორმალისტურ-ესთეტიკური, ეგზოტიკურ-ნაციონალისტური ნაშთები. ცხადია, ერთბაშად ამ მძიმე ოპერაციის ჩატარება შეუქლებელი იყო: მთავარი ამოცანა, რომელიც იდგა ახალი ხელმძღვანელობის წინაშე—ეს იყო შენარჩუნება მარჯვანიშვილის საუკეთესო თეატრალური ტრადიციებისა (სოციალური ოპტიმიზმი, მტკაცვე ანსამბლი, ოსტატურად შეკრული მასობრივი სცენები) და ს.კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ცნობილი დადგენილების განუხრებლად განხორციელება. რუსთაველის თეატრი დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას. უკვე პირველივე სპექტაკლში—„პლატონ კრეჩეტი“ იგრძნობოდა ახალი სიო. გარდა იმისა, რომ პიესა ახალი თანამედროვე საბჭოთა თემატიკის უაღრესად აქტუალურ საკითხებს იხებოდა, თვითონ სპექტაკლი სავესე იყო რუსთაველის თეატრისათვის მანამდე უჩვეულო ჰუმანიურობით და სითბოთი. მაგრამ ნამდვილი გარდატეხა მოხდა სანდრო შანშიაშვილის „არ-

სენას“ დადგმით. უნდა ხაზგასმით რთქვას, რომ კ. მარჯვანიშვილის დადგმითა შემდეგ „არსენა“ ქართული თეატრის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა როგორც დრამატურგიულის, ისე რეჟისორულ-აქტიორულის მხრივ. ამ სპექტაკლში (რეჟ.—ა.კ. ვასაძე, მხატვარი—ირ. გამრეკელი) შენარჩუნებული იყო ის, რაც ძვირფასი და კარგი იყო განსვენებულ კ. მარჯვანიშვილის შემოქმედებაში, და ამავე დროს ეს სპექტაკლი თეატრის უდავო წინსვლას წარმოადგენდა მარჯვანიშვილის პოზიციებიდან. ამიტომ, ავრძელებდა რა ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციებს, „არსენა“ ამავე დროს ახალი სიტყვა იყო, რადგან ამ სპექტაკლით ქართული თეატრი გაბედულად დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას.

„არსენას“ შემდეგ რუსთაველის თეატრის სცენაზე განხორციელებული პიესებიდან უდავო მიღწევას და ახალ სიტყვას წარმოადგენენ ს. კლდიაშვილის შესანიშნავი პიესა „გმირთა თობა“, რომელიც საბჭოთა პარტიოტიზმის და რევოლუციური სიფხიზლის იდეებით აღსავსე გვიჩვენებდა იმ დამბულ და გვირულ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა ხალხი კოლხეთის აყვავებულ ბაღარად გადაქცევისათვის. მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის ახლებურ ინტერპრეტაციას იძლევა უთუოდ „ოტელო“-ს (1937 წ.) დადგმა რუსთაველის თეატრში (ოტელო—ა.კ. ზორაძე, იავო—ა.კ. ვასაძე). ახალი სიტყვაა აგრეთვე რუსთაველის თეატრის ეტაპური სპექტაკლი—„დიდი ხელმწიფე“. ყველა ეს სპექტაკლი, კ. მარჯვანიშვილის მიერ დადგმულ ზოგიერთ სპექტაკლთან ერთად („ცხვრის წყარო“, „პამლეტი“, „ურიელ აკოსტა“, „ყვარყვარე თუთაბერი“) საბჭოთა ქართული თეატრის ოქროს ფონდში შედიან, როგორც ჩვეისორულ-აქტიორული მიღწევები.

1936 წელში რუსთაველის თეატრმა

მოაწყო მესამე გასტროლები მოსკოვში. ნაჩვენები იყო აკ. ვასაძის მიერ რესტავრირებული „ანზორ“, ქართული მუსიკალური კომედია დავ. კლდიაშვილის მოტივებზე „შემოდგომის აზნაურები“ (ავტორი ს. კლდიაშვილი) და „არსენა“. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წარმატება, როგორც 1936 წელს, რუსთაველის თეატრის არასდროს არ ხედომია გასტროლების დროს.

საკმარისია მოვიყვახოთ მხოლოდ ორი ამოხაწერი გაზ. „პრავედიდან“. პირველი: „რუსთაველის სახელობის დიდებული ქართული თეატრი გაუთანასწორდა ევროპის საუკეთესო თეატრებს. მიუხედავად ქართული ენის არცოდნისა, მომთხოვენი მოსკოველი მაყურებელი აღტაცებულია ქართველი აქტიორების ოსტატობით და დაძაბულის ყურადღებით თვალყურს ადევნებს სუჟეტის განვითარებას ქართველი დრამატურგის—შანშიაშვილის ახალ და მშვენიერ პიესაში. კეთილშობილი არსენა ახლობელი გახდა ყველა ეროვნების მაყურებლისათვის, რომლითაც სავსეა დარბაზი რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლებზე“ (1936 წლის 5 სექტემბრის მოწინავედიან, № 245). აი მეორე ამონაწერი: „შესძლეს ნამდვილი გმირული პიესის მოცემა ბრწყინვალე ისტორიულ მასალაზე... ზორავა—საუცხოო აქტიორული მონაცემების მსახიობია. მას აქვს მშვენიერი; მდიდარი ხმა, ძლიერი და მოქნილი ფიგურა, განსაკუთრებული ტემპერამენტი. არავის მასზე უკეთესად არ ეხერხება თავდაპირილი, წელი მოძრაობიდან და ჩუმი, მშვიდი, მაგრამ დაძაბული საუბრიდან გადასვლა უცაბედ ნახტომსა და სირბილზე, მძინვარე ან საზეიმო შეძახილზე, რაც მაყურებელს ადგილიდან წამოხტომას აიძულებს...“ აკ. ვასაძის შესახებ: „მაღალი ტრაგიკული ოსტატობის მსახიობია“ (ფრანკ მოორის შესრულების შესახებ), „იგივე შესანიშნავი კომიკური

მსახიობია“ (დარისპანი, ანმა). მთლიანად თეატრის შემოქმედებელი დამხმარისათებლად აღიარებულნი იქნა სკოლის რი მოძრაობა, ტემპერამენტი და მასობრივი სცენების ოსტატური დადგმა.

საერთოდ 1936 წელი რუსთაველის თეატრის ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს. ამ წლის სექტემბერში რუსთაველის თეატრი დაჯილდოვებულ იქნა ლენინის ორდენით, მსახიობებს—აკ. ზორავას და აკ. ვასაძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდებები, დაჯილდოვებულ იქნენ შრომის წითელი დროშის ორდენით მსახიობი გ. დავითაშვილი, დრამატურგი ს. შანშიაშვილი, მხატვარი ირ. გამრეკელი, კომპოზიტორი ი. ტუსკია და საპატიო ნიშნის ორდენით მსახიობები: ე. აფხაძე, დ. მკავია, ს. ჯაფარიძე, ნ. ჯავახიშვილი, გ. საღარაძე, მ. ჯაჯანაშვილი და თ. თუშიშვილი.

ასეთი არაჩვეულებრივი ტრიუმფის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებული რუსთაველის თეატრი დიდი აღფრთოვანებით შეუდგა მუშაობას. მრავალი დადგმის განხორციელება ზედა წილად აკ. ვასაძეს. მათგან რეჟისორული ოსტატობით ყველაზე უფრო აღსანიშნავია „ნაპერწყლიდან“, „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, „ბოგდან ხმელნიკი“, „სამშობლო“, „დიდი ხელმწიფე“ და „სადგურის უფროსი“. რამდენიმე დადგმა განხორციელა აგრეთვე აკ. ზორავამ, მაგ. „თოფიანი კაცი“, „ლაღატი“ და სხვ. 1935 წლიდან რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა ახალგაზრდა რეჟისორმა დ. ალექსიძემ. მის მრავალ დადგმათა შორის აღსანიშნავი არიან: „სასტუმროს დიასახლისი“, „ქიქა წყალი“, „სხვისთვის სულელი“, „საპატარძლო აფიშით“, „ორი ბატონის მსახური“, „მეზღვაურები“ და „ღრმა ფესვები“. რეჟისორ შოთა აღსაბაძის დადგმებიდან ყველაზე ბრწყინვალე თეატრალურ დადგმებად ჩაითვლებიან

„ყაჩაღები“ („ინტირანოს“) და „ოტელო“, როგორც ეტაპური მნიშვნელობის სპექტაკლები. ბოლო წლებში რეჟისორ ს. ჰელიძემ განახორციელა რუსთაველის თეატრში რამდენიმე დადგმა, მათგან ყველაზე შესანიშნავია „ხევის ბერი გოჩა“ და „გამარჯვებულნი“.

სამამულო ომის დროს რუსთაველის თეატრმა რამდენიმე პატრიოტული და სააგიტაციო სპექტაკლი შექმნა. თეატრმა აღადგინა ქართული რევოლუციური პიესები: „სამშობლო“ დავ. ერისთავისა და „ღალატი“ ალ. სუშბათაშვილისა, რომლებიც ახლებურად აელერდნენ საბჭოთა ქართული სცენიდან. დაიდგა აგრეთვე ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“, „ქრწანისის გმირები“ და „ხევის ბერი გოჩა“, საქართველოს გმირული ისტორიული წარსულის თემატიკაზე. სამამულო ომის დროს აგრეთვე დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდათ წარმოდგენებს „პროფესორი მამლოკი“, „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ბესთან“ და სხვ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 26 აგვისტოს ცნობილი დადგენილების საბასუხოდ რუსთაველის თეატრმა დროულად შესძლო საბჭოთა გმირული თემატიკისაკენ პირის მობრუნება („გამარჯვებულნი“, „მეზღვაურები“). რუსთაველის თეატრმა აგრეთვე თარგმნილ პიესების გარდა, პირველმა უჩვენა მაცურებელს ქართული ორიგინალური დრამატურგიის თანამედროვე ნიმუში — ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, რომლის შინაარსი აგებულია სამამულო ომის თემატიკაზე და ეჭება 1942 წლის კავკასიის გმირული დაცვის ამბებს.

საბჭოთა ხელისუფლების უდავო მიღწევას კულტურულ დარგში წარმოადგენს 1928 წელს მეორე ქართული სახელმწიფო თეატრის დაარსება. თეატრს სათავეში ჩაუდგა პირველი სა-

ხელმწიფო (რუსთაველის სახელობის) თეატრის დამაარსებელი კუტემა მარჯანიშვილი. პირველი ორგანიზირებული თეატრული მუშაობა ქუთაისში, საქართველოს რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში. ეს ორი სეზონი უნდა ჩაითვალოს კ. მარჯანიშვილის რეჟისორული ოსტატობისა და ქართული სამსახიობო კულტურის გამოჩენის ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდად. ამ ორი წლის განმავლობაში ბრწყინვალე დადგმები თითქმის ერთიმეორეს ცვლიდნენ. ასეთები იყო: „პოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“, „ურიელ აკოსტა“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „კაკალ გულში“, „როგორ“, „ბეატრიჩე“, „ხატიჯე“ და სხვ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია, რომ კ. მარჯანიშვილმა მთავარი ყურადღება მიჰქცია ქართულ ნაციონალურ ორიგინალურ საბჭოთა დრამატურგიას. პოლ. კაკაბაძე („ყვარყვარე თუთაბერი“), კარლო კალაძე („როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკერის პირას“), ალ. ქუთათელი („შუალამე გადაიარა“), დ. შენგულაია („თეთრები“), შალვა დადიანი („კაკალ გულში“), გ. ბუხნიკაშვილი („კი მაგარამ“) — ყველა ამ ახალგაზრდა და ზოგმა კი უკვე ცნობილმა დრამატურგმა, ნახა ამ პერიოდში თავიანთი ნაწარმოებები ქართულ საბჭოთა სცენაზე. ეს შესანიშნავი ტრადიცია კ. მარჯანიშვილისა შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა ქართულ საბჭოთა თეატრში. 1930 წლის შემდეგ რუსთაველის თეატრში დაიდგა ალ. მამაშვილის „განგაში“, ს. მთავრაძის „შლეგი“, მთავარეხილზე“, გ. შატბერაშვილის „დღეშანი“, ს. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, „გმირთა თაობა“, „გრაფის ქერივი“, „უკანასკნელი რაინდი“ და „ირმის ხევი“, ს. შანშიაშვილის „სამნი“, „არსენა“, „ფოლადაური“, „გიორგი სააკაძე“, „ქრწანისის გმირები“ და „ხევის ბერი გოჩა“, შ. დადიანის „თეთ-

ნულდ“ და „ნაპერწყლიდან“, გ. მდივნის „ილაზარ“, „ბრაჰა“, „სამშობლო“, „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ბქესთან“, კ. კალაძის „ერთი ღამის კომედია“, ვ. დარასელიის „იციკიტე“, გ. ბერძენიშვილის „ტირიაფის ქვეშ“ და ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“. მარჯანიშვილის სახელობის მეორე სახ. თეატრში კი 1933 წლის შემდეგ—შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“, „ჩატეხილი ხიდი“ და „ნაპერწყლიდან“, იონა ვაკელის „აპრაქსენე კიშკიმელი“, „შამილი“ და „მურჩი“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნას ქორწინება“, ვ. გაბესვირიას „მათი ამბავი“, ვ. აბაშიძის და ნ. მიქაეას „ბედნიერება“, ა. სამსონიას „ანრი სეარ“ და „ბაგრატიონი“, უშ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“, ბ. გამრეკელის „გრიგალი“, ვ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“, გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“ და კ. კალაძის „ლალი“. სულ 1930 წლიდან დღემდე 45 ქართული საბჭოთა ორიგინალური პიესა დაიდგა.

1928 — 1933 წლების სეზონებში კიდევ უფრო გაიფურჩქნა და დავაჟკაცდა ისეთი მსახიობების ოსტატობა, როგორც არიან უშანგი ჩხეიძე და ვერაკო ანჯაფარიძე. უშ. ჩხეიძე სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ დიდ აქტიორად. მისი აქტიორული ნიჭის განვითარება უშუალოდ კოტე მარჯანიშვილის დახელოვნებულ და გამოცდილ ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს, ისევე როგორც ჩვენს თეატრის სხვა დიდი მსახიობებს. უშ. ჩხეიძის არტისტულმა შემოქმედებამ თვალწარმატებულად შექმნილი იქნა თეატრის სცენაზე და ვისაც უნახავს მისი თამაში, მას უთუოდ დიდი ხნის განმავლობაში არ დაავიწყდება მისი პამლეტი, გოდუნა („არღვევა“), კარლ ტომას („პოპლა“), ბეგლარ („როგორ“), ყვარყვარე, გულბაათ („ხატყე“) და იაგო („ოტელო“). იგი ერთნაირს სი-

ძლიერით და ოსტატობით თამაშობდა როგორც დიდ ტრაგიკულ პანტომიმს (პამლეტი, ურიელი, ჩქმჩქ, მსგ.), ასევე იგი, შეიძლება თამაშად ითქვას, არ ჩამოუვარდებოდა თეატრის ისტორიაში ცნობილ დიდ ტრაგიკულ არტისტებს, აგრეთვე ქმნიდა განსაცვიფრებელ კომედიურ სახეებს (ყვარყვარე, კვექენაძე და სხვ.). ვერაკო ანჯაფარიძის პირველი გამოსვლა ქართულ სცენაზე თუმცა საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლები დაწყებამდე მოხდა, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ქართულ თეატრში გაიშალა მისი აქტიორული შესაძლებლობანი, და უკვე 25 წელზე მეტია, რაც ვ. ანჯაფარიძე ამშვენებს ქართულ სცენას. ამ ხნის განმავლობაში მან შეასრულა მრავალი როგორც პატარა, ისე დიდი როლი. მის მიერ შექმნილ აქტიორულ სახეთა გალერეაში ყველაზე თვალსაჩინოდ ჩაითვლებიან დეზდემონა („ოტელო“), ოფელია („პამლეტი“), ივდიტი („ურიელ აკოსტა“), მარგარიტა გოტიე, ლარისა („უშნიოვო“), გრაფინია („ფიგაროს ქორწინება“), ლუიზა („ვერაგობა და სიყვარული“), ქართული სახეებიდან გინატრე („ნინოშვილის გურია“), ცაბუ („ნაპერწყლიდან“), დარეჯანი („მათი ამბავი“), მშვეინარ („გიორგი სააკაძე“), ელენე („მეგლანუაშვილი“).

თამარ ქავქავაძის არტისტული ტრიუმფი დაწყებული ცნობილ „ცხერის წყაროდან“, სადაც მან შეუდარებელი ოსტატობით განსახიერა ესპანელი ქალის ლაურენსიას როლი. ამის შემდეგ თ. ქავქავაძემ მრავალი სეზონი ჩაატარა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით და შექმნა ისეთი სახეები, როგორც პეგინ („გმირი“), ტატიანა („არღვევა“), გულთამაშე („ყვარყვარე“), ბეატრიჩე, დარიკო („ნინოშვილის გურია“), ლედი მილფორდ („ვერაგობა და სიყვარული“), კესო („ჩატეხილი ხიდი“), მადამ სან-ენი, შემდეგ რუსთაველის თეატრში ქეთევან („სამშობლო“), ზეინაბი

(„ლალატი“) და კრუჩინინა („უდანაშაულოდ დამნაშავენი“).

ძნელია ერთ მიმოხილვაში აღნიშნო და სათანადო შეფასება მისცე ყველა იმ მსახიობს, რომელნიც აღიზარდნენ საბჭოთა პირობებში და გაითქვეს სახელი ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე, მაგრამ მაინც უნდა ჩამოეთვალოთ ზოგიერთი ნიჟიერნი, ახალი საბჭოთა თაობის მსახიობები, რომელნიც ეხლა ჩვენი სცენის სიამავეს წარმოადგენენ. ასეთები არიან რუსთაველის თეატრში: ემ. აფხაიძე, დ. მეჯვია, თ. ბაქრაძე, ა. თოიძე; თ. თუშიშვილი, რ. ბერიძე, მ. ჩიხლაძე, დ. ხუციშვილი, ს. მესხიშვილი, ა. აფხაიძე, ნ. ლაფანი, გ. საღარაძე, ს. ჯაფარიძე, ზ. მიახაბელი და სხვ., მარჯანიშვილის სახელობის თეატრში: შ. ღამბაშიძე, ვ. გოძიაშვილი, პ. კობახიძე, ც. თაყაიშვილი, ს. ზაქარიაძე, კ. კენახალიანი, ა. ომიიძე, გ. შავგულიძე, ი. გვინაძე, ა. გომელაური და სხვ., ძველი თაობის მსახიობებიდან: ნუცა ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ელ. დონაური, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. გოცირიძე, ს. ყორჯოლიანი და სხვ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მუშაობდნენ ისეთი დახელოვნებული და გამოცდილი რეჟისორები, როგორც ვასო ყუშიტაშვილი („ჩატეხილი ხიდი“, „ფიგაროს ქორწინება“, „მათი ამბავი“, „გიორგი სააკაძე“, „რუი ბლაზი“, „ბაგრატიონი“, „მასკარადი“, „კაცია-აფამიანი“, „რუსეთის საკითხი“), დოდო ანთაძე („წინოშვილის გურია“, „შამილი“), გ. ყურული („ვერა-გობა და სიყვარული“, „რაც გინახავს, ევლარ ნახე“, „ნაპერწყლიდან“), ს. ქე-ლიძე („შური“, „პირისპირ“), შ. ღამ-ბაშიძე („სამანიშვილის დედინაცვალი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „ჭირ-ვეული ცოლის მორჯულება“, „ეპითა-ბერის ანული“), ბ. გამრეკელი („მალამ სანეენ“, „გრიგალი“, „პარტიზანები“), ვ. ტაბლიაშვილი („მეჯღანთაშვილი“,

„ერემლის კურანტები“, „უშითო“) და სხვ.

ქართული საბჭოთა თეატრის მუშაობა დღეს შემოქმედებით მიღწევად უნდა ჩათვალოს ჩვენი დიდი ბელადების ლენინის და სტალინის სახეების სცენიური განხორციელება. 1937 წ. დეკემბერში რუსთაველის და მარჯანიშვილის სახ. თეატრებმა უდიდეს გამარჯვებას მიიღწიეს შალვა და დიანის ისტორიულ-რევოლუციური პიესის „ნაპერწყლიდან“ დადგმით. პიესა, რომელიც დაწერილი იყო უშუალოდ ამხანაგ ლაერენტი ბერიას ცნობილი ნაშრომის—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ მიხედვით, ასახავდა ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნაში ხალხთა ბელადის დიდი სტალინის იდეურ-ორგანიზაციულ როლს. შემდეგში უფრო ღრმად და დაკვირვებულად იყო ჩატარებული მუშაობა ჩვენი ბელადების ლენინისა და სტალინის სახეების სცენიური განსახიერებისათვის ნ. პოგოდინის პიესების დადგმით „თოფიანი კაცი“ (რუსთაველის თეატრში) და „ერემლის კურანტები“ (მარჯანიშვილის თეატრში). აკ. ვასაძემ, დ. მეჯვიამ, შაქრო გომელაურმა და პ. კობახიძემ შესძლეს ამხანაგ ლენინის დასამახსოვრებელი სახის შექმნა. მიხ. გელოვანის, ვ. გოძიაშვილის, ა. ომიიძის და ა. კობალაძის მიერ წარმატებით იყო განსახიერებული ამხანაგ სტალინის სახე.

არასდროს ქართულ ნაციონალურ ოპერას ისეთი განვითარება და წარმატება არ განუცდია, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა. 1921 წელსივე განახლებულ იქნა ოპერები: „აბესალომ და ეთერი“, „შოთა რუსთაველი“ და „ქეთო და კოტე“, რომელნიც ეკუთვნოდნენ ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორების უფ-

როს თაობას ზაქ. ფალიაშვილს, დ. არაყიშვილს და ვ. დოლიძეს. ამის შემდეგ დაიწყო ქართული ოპერის ნამდვილი აყვავება და გაფურჩქვნა. თითქმის ზედიზედ დაიდგა ახალი ოპერები, საბჭოთა ხელისუფლების დროს დაწერილი: „ლეილა“ ვიქ. დოლიძისა (1922 წ.), ზაქ. ფალიაშვილის შესანიშნავი ოპერა „დაისი“ (1923 წ., დადგმა კ. მარჯანიშვილისა, მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი, ვანო სარაჯიშვილი — მალხაზი), იმავე 1923 წ. კ. მარჯანიშვილმა განაზორციელა „შოთა რუსთაველის“ ახალი დადგმა (ვანო სარაჯიშვილი — შოთა) და 1924 წ. „აბესალომ და ეთერი“ (ვანო სარაჯიშვილი — აბესალომი). სამწუხაროდ იმავე 1924 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა ჩვენი საოპერო ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი მომწერალა ვანო სარაჯიშვილი. მაგრამ ბარაჯიშვილს მალხაზის როლის შესრულებაში ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა — ეს იყო ნიკო ქუმსიაშვილი, რომელმაც იმავე 1924 წ. ნოემბერში პირველად შეასრულა „დაისში“ მალხაზის როლი. 1925 წლის დეკემბერში იტალიიდან დაბრუნდა ბარიტონი სანდრო ინაშვილი, რომელიც პირველად გამოვიდა მურმანის როლში („აბესალომ და ეთერი“). 1926 წელს პირველად მთლიანად დაიდგა მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „დარჯან ცხიერი“ (რეჟ. ა. წუწუნავა), 1927 წ. დ. არაყიშვილის „სიცოცხლე — სიხარულია“ („დინარა“) და შ. თაქთაქიშვილის საბავშვო ოპერა „განთიადი“, 1928 წ. ზაქ. ფალიაშვილის ოპერა „ლატაერა“, 1930 წ. ვიქტორ დოლიძის ოპერა „ცისანა“, 1931 წ. კოტე მელდინეთ-უხუცესის „პარტიზანები“, 1935 წ. გრ. კილაძის „ბახტრიონი“. 1936 წ. განაზორციელდა „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმა (რეჟ. შ. აღსაბაძე, მხატვარი არ. გამრეკელი) და დაიდგა ა. ბალან-

ჩივაძის ბალეტი „მზე-ქაბუცი“ (ცხატანგ ქაბუციანის დადგმა და მონაწილეობით).
 ქართული საბჭოთა სამუსიკო და საოპერო კულტურის ბრწყინვალე დემონსტრაციას წარმოადგენდა ქართული ხელოვნების დეკადა 1937 წლის იანვარში მოსკოვში. ნაჩვენები იყო „აბესალომ და ეთერი“, „დარჯან ცხიერი“, „დაისი“, „ქეთო და კოტე“. დეკადის სექტაკლებს ესწრებოდა ხალხთა ბელადი დიდი სტალინი და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელო ამხანაგები. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით. ამის შემდეგ იწყება ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების ახალი აღმავლობა. დაიდგა ქართველი ახალგაზრდა კომპოზიტორების ახალი ოპერები და დაიწერა ბალეტები: შ. თაქთაქიშვილის ბალეტი „მალთაყვა“ (1938 წ.), მისი ოპერა „დებუტატი“ (1940 წ.), კ. ანდრიაშვილის ოპერა „კაცო ყაჩაღი“ (1940 წ.), ჩვენი საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები; ა. ბალანჩივაძის განახლებული ბალეტი „მთების გული“ (1940 წ.), ქართული ნაციონალური ბალეტის შექმნის ბრწყინვალე ნიმუში. 1941 წლის შემდეგ ზედიზედ დაიდგა ახალი ოპერები: ი. ტუსკიასი „სამშობლო“, გ. კოლაძის „ლადო კეცხოველი“, ვ. გოციელის „პატარა კახი“, ა. მაჭავარიანის „დედა და შვილი“, გ. კილაძის სანტერესო ბალეტი „სინათლე“ და ბოლოს საბჭოთა ქართული საოპერო ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებები ა. კერესელიძის ოპერა „მაშა-ანუკი“ და შ. მშველიძის ოპერა „აზავა ტარიელისა“, რომელმაც მიიღო სტალინური პრემია. სტალინური პრემიებით არის დაჯილდოებული აგრეთვე სიმფონიური პოემები: გრ. კილაძის „განდეგილი“, შ. მშველიძის „ზვიადური“ და ა. ბალანჩივაძის

პირველი სიმფონია და მეორე საფორტპიანო კონცერტი.

სამწუხაროდ ჩვენ აქ არ შეგვიძლია საფუძვლიანად შევეხოთ თბილისში არსებულ სხვა ისეთ საინტერესო თეატრებს, როგორც არის მოზარდ მყურებელთა ქართული თეატრი, რომელიც დაარსდა 1928 წელს. მას მრავალი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რეჟ. ალ. თაყაიშვილი. ამ თეატრმა საბავშვო თეატრების საკავშირო დათვლიერებაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა. ნაჩვენები იყო ორი დადგმა: ს. მთვარაძის „სურამის ციხე“ და გ. ნახუციანიშვილის „ნაცარქექია“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „სურამის ციხეს“. თეატრმა რამდენიმე წლის მანძილზე მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელა, რომელნიც სოციალისტური შრომისადმი სიყვარულს, კომუნისტურ მორალს, მეგობრობის, ოჯახისა და სკოლის სიყვარულს უნერგავდნენ მოზარდ მყურებლებს. 1934 წლიდან მუშაობს თოჯინების თეატრი, რომელმაც გრ. მიქელაძის ენერგიული მუშაობის შედეგად დიდ წარმატებას მიაღწია. 1937 წ. საკავშირო დეკლავზე თეატრმა საპატიო ადგილი დაიკავა და თოჯინების თეატრების მოწინავე რიგებში ჩადგა. მეტად საინტერესო თეატრია მუსიკალური კომედიის თეატრი, რომელიც განვითარდა და ჩამოყალიბდა მიხ. ჭიაურელის და დ. ძნელაძის ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად. დაიწყო რა თავისი არსებობა 1926 წ. თვითმოქმედი დრამწრიდან, მან სწრაფი ენარობრივი ევოლუცია განიცადა და რამდენიმე წლის მანძილზე გადაიქცა ქართული ოპერეტის თეატრად. 1935 წელს თეატრმა განახორციელა მოლიერის „სკაპინის ოინები“. ამ წლიდან იწყება თეატრის გაცხოველებული მუშაობა მუსიკალური კომედიის ენარში და აგრეთვე ქართული საბჭოთა ოპე-

რეტის შექმნის დარგში. ამ მხრივ აღსანიშნავია „ესპანელთა ქვეყნული“, „თივა და ავი ძალღობის წინაქმნა“, „მსახიობის სიყვარული“. უკანასკნელ დადგმებიდან: „ცუგარუმელა“, „მარია“ და „სამთა სიყვარული“. საინტერესო კულტურის თეატრი 1928 წლიდან არსებობს ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით. თეატრმა რამდენიმე საინტერესო დადგმა განახორციელა, მათ შორის „მოჩვენებანი“ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით, „პლატონ კრეჩეტი“, „ბრმა მუსიკოსი“ და სხვ.

საქართველოს რესპუბლიკაში არსებული თეატრებიდან უნდა აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო თეატრები, როგორც ქუთაისის თეატრი, რომელმაც ამხანაგ ლავრენტი ბერიას მხრუნველობით და ინიციატივით 1938 წლიდან ხელახლა დაიწყო მუშაობა—ამ დროიდან დღევანდლამდე ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობს ქართული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწე ამხ. დოდო ანთაძე; გორის თეატრი, რომლის ნამდვილი გაფურჩქენა დაიწყო 1939 წელს, როდესაც ახალი შენობა აიგო და თეატრის ხელმძღვანელად დაინიშნა ნიჭიერი შემოქმედი და გამოცდილი თეატრალური მოღვაწე პავლე ფრანგიშვილი. აქარის თეატრის ნამდვილი განვითარება დაიწყო 1937 წელს, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი. ფოთის თეატრს 1936 წლიდან ხელმძღვანელობდა ცნობილი რეჟისორი ნ. გომიაშვილი. აქ არ ჩამოვთავით სხვა თეატრებსაც, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ არასდროს საქართველოში იმდენი თეატრი არ ყოფილა, რამდენიც ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშაობს. ამ მხრივ საინტერესოა მოვიყვანოთ ცნობები საქართველოში თეატრების რაოდენობის ზრდის შესახებ: 1922 წელს—11

თეატრი, 1930 წ.—15, 1933 წ.—22, 1934 წ.—24, 1935 წ.—27, 1936 წ.—39, 1937 წ.—40, 1938 წ.—42, 1939 წ.—45 და 1946 წლის პირველ იანვრისათვის—44 თეატრი. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა საქართველოში არცერთი მნიშვნელოვანი რაიონული ცენტრი არ არსებობს, რომ თავისი თეატრი არ ჰქონდეს.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე ქართული სახვითი ხელოვნება, მიუხედავად იმისა, რომ მას ამშვენებდნენ ისეთი დიდი ოსტატები, როგორც გიგო გაბაშვილი და ალ. მრეველიშვილი, ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძე, იაკობ ნიკოლაძე და სხვ., მაინც მოკლებული იყო დიდ იდეურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას, იგი საზღვარგარეთელ იდეებით იკვებებოდა: უფრო და მხატვრები მატერიალურად საშინელ გაჭირვებას განიცდიდნენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი ნამდვილი შემოქმედებითი აღმავლობა, საბჭოთა სინამდვილემ გააჯანსაღა ჩვენი მხატვრების პალიტრა, მიანიჭა მათს შემოქმედებას დიდი მნიშვნელობა, იდეურად გაამდიდრა იგი.

1922 წელს თბილისში არსებული სამხატვრო სკოლა გადაკეთებულ იქნა სამხატვრო აკადემიად. ეს იყო დიდი კულტურული მნიშვნელობის ფაქტი. თავიდანვე ამ აკადემიაში შემოღებული იყო სწავლა რამდენიმე ფაკულტეტზე. ფერწერა მიენდო გ. გაბაშვილს, უ. ლანსერეს და მ. თათევისიანს, ქანდაკება—ი. ნიკოლაძეს, ხუროთმოძღვრება—კალგინს, ფანქრით ხატვა—ე. შარლემანს, ხელოვნების ისტორია—გ. ჩუბინაშვილს და ანატომია პროფ. ნათიშვილს. თავის 25 წლის მოღვაწეობის განმავლობაში სამხატვრო აკადემიამ მრავალი ახალგაზრდა და ნიჭიერი მხატვარი გამოუშვა, მათ შორის ისეთები, როგორც თ. აბაკელია, კ. სანაძე, რ. თავაძე,

უ. ჯაფარიძე, ს. კაკაბაძე, კ. გველიშვილი, კ. ნერაბიშვილი, ან. ჩხეიძე, მ. ლ. ქიქოძე, ლ. ლემონიკაძე, ს. ნადარეიშვილი, ა. ქუთაიაშვილი, შ. მყავაშვილი, ვ. ჯაფარიძე, დ. წერეთელი და სხვები.

საბჭოთა ქართული სახვითი ხელოვნება ისტორიულად შეიძლება სამ პერიოდად იქნეს დაყოფილი: პირველი—1921 წლიდან 1932 წლამდე, როდესაც გამოქვეყნდა 23 აპრილის ისტორიული დადგენილება, მეორე პერიოდი—პერიოდი გარდატეხისა და საბჭოთა თემატიკაზე გადასვლისა 1932 წლიდან 1936 წლამდე, როდესაც მოეწყო უაღრესად მნიშვნელოვანი გამოფენა, მიძღვნილი ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიისადმი, და მესამე პერიოდი 1936 წლიდან დღევანდლამდე, როდესაც ჩვენი სახვითი ხელოვნება დაადგა სოციალისტური რეალიზმის ფართო შემოქმედებით გზას.

სახვითი ხელოვნების პირველი პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ქართველ მხატვართა საზოგადოება, ხასიათდებოდა შემოქმედებითი ანარქიულობით, მრავალი „ისმეებით“ და სკოლებით. ამ დროს ხშირად ეწყობოდა გამოფენები როგორც ინდივიდუალური (მაგალ., 1927 წ. გიგო გაბაშვილის გამოფენა), ისე ჯგუფური. საკმარისია გადავთვალიეროთ ერთი ასეთი გამოფენა, რომ წარმოდგენა ვეჭონდეს იმდროინდელ სამხატვრო შემოქმედებაზე. მაგალ., 1924 წ. 29 ნოემბერს გაიხსნა ქართველ მხატვართა გამოფენა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღია 40-მდე მხატვარს, მათ შორის მოსე თოიძე („სამოვრის შელოლია“), ვალ. სიღამონ-ერისთავი („ბრძოლა“), დარეჯან ძნელიძე, ირ. გამრეკელი, ირ. ტოფაძე და სხვ. მონაწილეებიდან: ი. ნიკოლაძე, ნ. წე-

რეთელი, გ. სესიაშვილი, პატარიძე და სხვ. მალე ქართველ მხატვართა საზოგადოებაში უთანხმოებამ იჩინა თავი და ჩამოყალიბდა ორი მხატვრული დაჯგუფება: „სარმა“ და „რევმა-სი“. „სარმა“ იყო ახალგაზრდა მხატვრების ორგანიზაცია, მათ ამოცანად დაისახეს ცხოვრების არა მარტო უბრალო ფორტოგრაფიული ასახვა, არამედ შინაარსობრივი გახსნა და გამოსახვა. „რევმასი“ ეს დაახლოებით იგივე იყო, რაც რუსეთში „პერედვიჟნიკობა“. „სარმას“ პირველი გამოფენა მოეწყო 1930 წელს. საინტერესოა მათი დეკლარაცია. აი ამონაწერი მისგან: „თანამედროვე რევოლუციური მხატვარი ისეთი ოსტატი უნდა იყოს, რომელიც თავისი სპეციფიური მხატვრული იარაღით შესძლებს ოქტომბრის რევოლუციის იდეების ფართო პროპაგანდას, დაეხმარება მშრომელ მასას კულტურული დონის აწევაში, გაამახვილებს სოციალისმის მშენებელი პროლეტარიატის იდეოლოგიურ-კლასობრივ შეგნებას და ყოველ მხრივ ხელს შეუწყოს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას“. თქმა არ უნდა, შესანიშნავი დაპირებანია, მაგრამ მათი განადღება არც თუ ისე ადვილი გამოდგა. მართალია „სარმამ“ შემოიტანა სათანადო თემატიკური განახლება იმდროინდელ მხატვრობაში, რომელიც ძველებურად უშინაარსო ნატურმორტებით და პეიზაჟებით იყო გატაცებული. აი, მაგალი, 1930 წლის გამოფენის ტილოები: კ. სანაძის „ძველი და ახალი“, „მალაროს მუშები“, ვ. ლემონიძეას „1905 წელი“, ლ. გუდიაშვილის „კომკავშირელები“, „მუშეორის სიკედილი“, „უმწყო“, ა. ქუთათელაძის „დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში“ და სხვა ტილოები. მარტო სათაურებითავე რომ დაეკმაყოფილდეთ, უკვე გტყობა, რომ ამ გამოფენის მხატვრობს საკმარის უმუშევარი თემატიკური სურათის

შექმნაზე საბჭოთა სინამდვილედან, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „სარმა“ უგულვებელყოფდა მხატვრულ ფორმაზე მუშაობას და უარყოფდა ქართული ხელოვნების ძველ საუკეთესო ტრადიციებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ ცნობილ დადგენილების მიხედვით მოხდა „სარმას“ და „რევმასის“ ლიკვიდაცია და ყველა მხატვარი გავრთიანებულ იქნა ერთ მთლიან მხატვართა კავშირში. დადგენილება აღნიშნავდა, რომ „ადგილი ჰქონდა უცხო ელემენტების საგრძნობ გავლენას, რომლებიც განსაკუთრებით გამოცოცხლდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში“, და შემდეგ „ორგანიზაციათა ჩარჩოები უკვე ვიწრო ხდება და აფერხებს მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას“. ასეთი მდგომარეობა მანამდე არსებობდა არა მარტო ლიტერატურაში და მხატვრობაში, არამედ თეატრში და კინოშიც. დადგენილებამდე არსებული მხატვართა ორგანიზაციები, რომელნიც აფერხებდნენ ჩვენი მხატვრების იდეურ და ტექნიკურ ზრდას, ლიკვიდირებულ იქნენ და ქართველ მხატვრებს, ერთიან საბჭოთა პლატფორმაზე გავრთიანებულებს, შესაძლებლობა მიეცათ გაშლილი შემოქმედებითი მუშაობისა. ამ ღირსშესანიშნავმა დადგენილებამ გზა გაუხსნა ყველა ნამდვილ საბჭოთა შემოქმედს სოციალისტური რეალიზმისაკენ. მართალია, პირველი გამოფენა, რომელიც მოეწყო ამ დადგენილების საბასუხოდ „წითელი არმიის 15 წლისთავისათვის“ ჯერ კიდევ სუსტი იყო როგორც შინაარსის, ისე მხატვრულობის მხრივ, მაგრამ მეორე გამოფენა, მოწყობილი 1933 წელს—„პირველი ხუთწლელი მხატვრობაში“, უკვე ყოველმხრივ სა-

ინტერესო იყო. გამოფენილ 85 სურათით ქართველი მხატვრები შეეცადნენ სათანადო შემოქმედებითი პასუხი გაეცათ ისტორიული დაღვენილებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული გამოფენა უნდა ჩაითვალოს თვალსაჩინო მოვლენად ჩვენი მხატვრული ძალეების კონსოლიდაციის საქმეში, რადგან მანამდე არსებული მდგომარეობის გამო ზოგი მხატვარი სრულიად გაძევებული იყო საგამოფენო დარბაზებიდან, რითაც მათ ყოველგვარი საშუალება ეკარგებოდათ შემოქმედებითი ზრდისათვის. მაგალ., მხატვრობის ისეთი დიდი ოსტატი, როგორც ელ. ახვლედიანი, რომელსაც თავის დროზე დიდი ბრძოლების გადატანა უხდებოდა, რომ თავისი მხატვრული პროდუქცია გამოეფინა. იგივე ითქმის შალვა მამალაძის შესახებ, რომელიც რამოდენიმე წლით ფაქტიურად ჩამოშორებული იყო გამოფენებს და კინო-მრეწველობაში მუშაობდა, აგრეთვე განსვენებული შალვა ძნელაძე, რომლის მხატვრობის თემატიკა უმთავრესად გურიის რევოლუციური გლეხობის 1841 და 1905 წლების აჯანყებით იფარგლებოდა.

მრავალი საინტერესო სურათი იყო გამოფენილი 1933 წლის გამოფენაზე, მაგალ., თ. აბაკელიას „ბროწეულის კრეფა“, „ლიმონის კრეფა“, ირ. რომანიშვილის „სამუშაოდან დაბრუნება“, „ტრაქტორი მინდვრად“, კ. გველიშვილის „რამის პლანტაცია ნოსირში“, რომელიც გამოფენის ერთ-ერთ საუკეთესო სურათს წარმოადგენდა, დ. წერეთლის „ცეცხლის წაქიდება კოლმეურნეობაში“, კ. სანაძის „შეხვედრა ჩაის კოლმეურნეობაში“, „აქარელი მეთევზე“, ელ. ახვლედიანის „ბორჯომი“, ლ. გუდიაშვილის „ბაკურიანის ანდუზიტი“, მოსე თოიძის „სამუქედლო“ და ი. ნიკოლაძის ბარელიეფი

„ახალგაზრდა სტალინი“, შ. მიქიტაძის „კოლმეურნე ქალი“, ნ. კანტელაძის ქუმსიაშვილის ბიუსტი, გ. სენიშვილის რელიეფი („მოჯინის ამოგდება“) და სხვ.

დიდი და ვრცელი გამოფენა მოეწყო 1934 წ.—საქართველოს საბჭოთა მხატვრობის 13 წელი“. ეს გამოფენა განირჩეოდა მხატვრული პროდუქციის სიმრავლით და ნათლად მოწმობდა, რომ ქართულმა მხატვრობამ საქართველოში შემოქმედებითი ზრდას მიაღწია. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ სურათს: ელ. ახვლედიანის „ბაზრის ქუჩა“, კ. სანაძის „გულიკომიც ჩადრი მოიხსნა“, კ. გველიშვილის „ჭალადიდის ჭაობების დაშრობა“, ლ. გუდიაშვილის „ფერო-მარგანეცის ქარხანა“, დ. წერეთლის „კალობა ქართლში“, ი. მამალაძის „პიონერები სოფლად იმერეთში“, შ. მამალაძის „სახეინმრეწვის ეტიუდები“, მ. თოიძის „ამხანაგი სტალინი წყალტუბელ გლეხებთან“ და სხვ.

1937 წლის თავის შესანიშნავ წერილში „ხალხთა ერთიანი ოჯახი“ ამხანაგი ლაერენტი ბერიძე სხვათა შორის აღნიშნავდა: „სწრაფი ტემპებით ვითარდება საბჭოთა საქართველოს ქანდაკება და სახეითი ხელოვნება. აღიზარდნენ ყალმის და ფერადების პირველხარისხოვანი ოსტატები, რომელნიც ჰქმნიან დიდ მხატვრულ ტილოებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის, დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემებზე, ძლევაშოსილი სოციალისტური მშენებლობის, მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრების თემებზე“. და მართლაც 1937 წლის გამოფენა „ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც მოწყობილ იქნა პირადად ამხანაგ ბერიძის ინიციატივით, წარმოადგენს ღირს-

შესანიშნავი ეტაპს ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ისტორიაში. ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდები განსახიერებულ იქნა მხატვრულ ტილოებზე, მათგან გამოირჩევიან მ. თოძის „სტალინი ქართლის გლეხებს ესარჩლება 1895 წელს“, ბ. გიგოლაშვილის „არალეგალური კრება ამხანაგ სტალინის მეთაურობით 1898 წ.“, ს. მაისაშვილის „ამხანაგი სტალინი პირველ მაისობაზე 1900 წ.“, აბ. ქუთათელაძის „ბათუმის მუშების დემონსტრაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1902 წ.“, უჩა ჯაფარიძის „სტალინი, ლ. კეცხოველი და ა. წულუკიძე“, ს. ნადარეიშვილის „ამხანაგი სტალინი ქიათურის მუშების მიტინგზე 1905 წ.“, ი. ვეფხვაძის „ამხანაგ სტალინის შეხვედრა ლენინთან ტამერფორსში 1905 წ.“, ვ. სიღამონა-ერისთავის „ამხანაგი სტალინი ბაქოელი მუშების მიტინგზე 1908 წ.“, ი. თოძის „ამხანაგი სტალინი რიონპესზე 1931 წ.“, კ. ვტელიშვილის „ამხ. ბერია კოლხიდმშენზე“, თ. აბაკელიას „ბედნიერი ოჯახი“, ქ. მალალაშვილის ამხანაგ სტალინის 1905 წ. პორტრეტი, იაკობ ნიკოლაძის ღირსშესანიშნავი ქანდაკებანი: „ლენინის ბიუსტი“ და „ამხანაგი სტალინი“.

ამ ხაზის გაგრძელებას წარმოადგენდა 1939 წლის დეკემბერში მოწყობილი დიდი გამოფენა ამხანაგ სტალინის დაბადებიდან 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, სადაც ქართველმა მხატვრებმა მრავალი ახალი ტილოები წარმოადგინეს სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის თემაზე, მაგალ., ქეთო მალალაშვილის „სტალინი ბათუმის ციხეში“, ს. ნადარეიშვილის „სტალინის დაკითხვა ბათუმის ციხეში“, კ. კიკნაძის „სტალინის გადასახლება ქუთაისის ციხიდან 1903 წელს“, გ. ნიქარაძის „იარაღის არალეგალური საწყობი სოფ. პერევისაში“,

ა. ვეფხვაძის „სტალინის ვაშლისა და ღვინის ღვინობის წინააღმდეგ 1905 წელს“, გ. ჯორჯაძის „სტალინი ვაჭრებს გადასახლებიდან 1904 წელს“ და სხვ.

1941 წელს მოეწყო საიუბილეო გამოფენა—„საბჭოთა საქართველოს 20 წლის თავი“, სადაც მრავალ ტილოებს შორის დიდი მხატვრული ოსტატობით გამოირჩეოდნენ შემდეგი სურათები: ქ. მალალაშვილის „ვ. ანჯაფარიძის პორტრეტი“, უჩა ჯაფარიძის „ზაქ. ფალაშვილის პორტრეტი“, ს. ნადარეიშვილის „გმირის დაბრუნება“, ს. მაისაშვილის „გიორგი სააკაძე“, აბ. ქუთათელაძის „ს. ორჯონიკიძე პარტიზანებთან“, კ. სანაძის „ბედნიერი ოჯახი“, კ. კიკნაძის „ლ. ბერია მხატვრებს შორის“, ელ. ახალედიანის „კალიაევის დაღმართის მშენებლობა“, ლ. გუდიაშვილის „წითელი არმიის შესვლა თბილისში“, ქანდაკებიდან: ი. ნიკოლაძის „დიადი ქაბუჯი“, ს. კაკაბაძის „სტალინი ბავშვობაში“ და სხვ.

ჩვენ აქ აღენიშნეთ მხოლოდ თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავი გამოფენები, რომელიც მოეწყო საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ. გარდა ამისა მოეწყო დიდი რეალისტი მხატვრის გიგო ვაბაშვილის (1862—1936) გამოფენა, სადაც პირველად იყო წარმოდგენილი მის ნაწარმოებთა თითქმის სრული კრებული.

1932 წლიდან თხუთმეტი წლის განმავლობაში ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდ წარმატებას მიაღწია. და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ არასდროს ქართულ მხატვრობას არ მოსწრებია საქართველოში ისეთი გრანდიოზული აღმავლობა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს. ქართულმა მხატვრობამ და ქანდაკებამ ალღო აუღო საბჭოთა თანამედროვეობას და თავისი შემოქმედებითი თემატიკა სოციალისტური

მშენებლობის ამოცანებს დაუმორჩი-
ლა. საბჭოთა სახვით ხელოვნებას ჰყავს
ისეთი ოსტატები, როგორც ცნობი-
ლი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, ს. კა-
კაბაძე — აშხ. სტალინის შესანიშნავი
მონუმენტის ავტორი, კ. მერაბიშვი-
ლი — შოთა რუსთაველის ძეგლის ავ-
ტორი, ნ. კანდელაკი, ვ. თოფურიძე,
შ. მიქაბაძე, ახალგაზრდა მოქანდაკეე-
ბიდან — ი. ოქროპირიძე, ტ. სიხარუ-
ლიძე და სხვ., ისეთი ცნობილი და გა-
მოჩენილი მხატვრები, როგორც მო-
სე თოიძე, ლ. გუდიაშვილი, ელ. ახე-
ლელიანი, ქ. მალალაშვილი, ალ. ციმა-
კურიძე, დ. კაკაბაძე, ს. ნადარეიშვი-
ლი, შ. მამალაძე, აპ. ქუთათელაძე და
სხვ. ახალ თაობიდან: უჩა ჯაფარიძე,
კ. გძელიშვილი, კ. სანაძე, თ. აბაკე-
ლია, ი. თოიძე, კ. ხუციშვილი და სხვ.
ზოგი მათგანი წარმატებით მუშაობს
აგრეთვე გრაფიკაში და თეატრალურ
დეკორატიულ გაფორმებებზე. მათ
რიცხვს უნდა მივუმატოთ ისეთი შე-
სანიშნავი გრაფიკოსი და დეკორატო-
რი, როგორც ს. ქობულაძე, შემდეგ
დაე. ქუთათელაძე, ლ. გრიგოლია,
ვ. ჯაფარიძე, ს. გაბაშვილი, ს. კეცხო-
ველი, ბერიტაშვილი და სხვ.



შეიძლება თამამად ითქვას, რომ კი-
ნემატოგრაფია, ამ სიტყვის ნამდვილი
გაგებით, საქართველოში მხოლოდ
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
შემდეგ შეიქმნა. საბჭოთა ხელისუფ-
ლებამ თითქმის არაფერი არ მიიღო
კინემატოგრაფიის დარგში, თუ არ მი-
ვიღებთ მხედველობაში ერთს კინო-
სურათს „ქრისტიანეს“, რომელიც კერ-
ძო ინციპიტივით იყო გადაღებული
რეჟ. ა. წუწუნავას მიერ და იმ კუსტა-
როლ „კინო-ატელიეს“, რომელიც
შესდგებოდა ერთი პატარა ოთახისა და
რამდენიმე „იუპოტერისაგან“ ნაკლო-
ვანი ოპტიკით. ამრიგად განსახკომის

თეატრალურ განყოფილებასთან 1921
წლის ამრიღში ახლად უჩვეულებულ
კინო-სექციას თითქმის უმარცხველ
გილზე მოუხდა მუშაობის დაწყება.
არსებული „ლაბორატორია“, ცხადია,
ვერ დააკმაყოფილებდა ახალ მოთ-
ხოვნილებებს და ძველის გვერდით
აგებულ იქნა ახალი კინო-ლაბორატო-
რია. ახალი ტექნიკური ბაზის შექმნის
შემდეგ კინო-სექციის მუშაობა გაუ-
ხოველდა და მოწვეულმა რეჟ. ი. პე-
რესტინამ დაიწყო პირველი ფილმის
გადაღება „არსენ ჯორჯიაშვილი“
(სცენარი შალვა დადიანისა). სურა-
თის შინაარსი აგებული იყო 1905 წ.
რევოლუციის შემდეგ გამეცხებულ
რეაქციის დროს რევოლუციონერ არ-
სენ ჯორჯიაშვილის მიერ მეფის სატ-
რაპის, მუშების და გლეხების ჯალა-
თის, გენერალ გრიაზნოვის მოკვლის
მასალაზე. სურათს იღებდა ოპერატო-
რი ალ. დიღმელი. მთავარ როლებს
თამაშობდნენ მიხ. ჭიაურელი (არსენ
ჯორჯიაშვილი), კოტე მიქაბერიძე
(არსენას ამხანაგი) და შაქრო ბერი-
შვილი (რევოლუციონერი). კინო-სექ-
ციის მუშაების და დამდგმელი ჯგუ-
ფის შრომითი ენტუზიაზმის შედეგად
პირველი ქართული საბჭოთა ფილმის
დემონსტრაცია ეკრანზე მოხდა იმავე
1921 წლის ნოემბერში. ფაქტიურად
ეს იყო პირველი კინო-სურათი მთელ
საბჭოთა კავშირში, რომელიც აგებუ-
ლი იყო რევოლუციის მასალაზე და
ამ სურათმა საძირკველი ჩაუყარა საბ-
ჭოთა კინემატოგრაფიის განვითარე-
ბას საქართველოში.

1921—1928 წლები უნდა ჩაითვა-
ლოს საქართველოს კინემატოგრაფიის
პირველ ბრწყინვალე პერიოდად. ამ
ხნის განმავლობაში ქართული კინემა-
ტოგრაფია დაიბადა, განვითარდა და
ისეთ მწვერვალზე მიაღწია, რომ მთე-
ლი საბჭოთა კავშირი ალაპარაკა. რო-
გორც რეჟისორულად, ისე მხატვრუ-
ლად ქართულმა კინემატოგრაფიამ ამ

ზნის განმავლობაში დიდი წარმატება მოიპოვა. მთელ საბჭოთა კავშირში გაითქვეს სახელები, როგორც კინო-ხელოვნების კარგმა ოსტატებმა რეჟისორებმა ა. წუწუნაევამ, ე. მარჯანიშვილმა, ი. პერესტიანმა, ა. ბუენაზაროვამ, ვ. ბარსკიმ, მახიობებიდან: ნატა ვაჩნაძემ, კოტე მიქაბერიძემ, დ. ყოფიანმა, მიხ. გელოვანმა, მიხ. ჭიაურელმა, თ. ბოლქვაძემ, ე. ჯანმა, ზ. ბერიშვილმა და სხვ.

ამ დროის კინო-სურათები უმთავრესად წარმოადგენდნენ ცნობილ ლიტერატურულ ნ.წარმოებთა კინო-ინსცენირებას. სულ იყო ამ შეიდი წლის განმავლობაში ეკრანზე გადატანილი 12 ქართული, 4 რუსული და 5 უცხოეთის მწერალთა მოთხრობა. ქართულ თემ-ტიკაზე დაიდგა შემდეგი სურათები: „სურამის ციხე“ და „მოძღვარი“ (1921—22 წ.), „მამის მკვლელი“ და „სამი სიციცხლე“ (1923—24 წ.წ.), „ტარიელ მკლავაძე“ (1924—25 წ.წ.), „ეინ არის დამნაშავე“, „ხანუმა“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1925—26 წ.წ.), „ორი მონადირე“ და „ვიულო“ (1926—27 წ.წ.), „ჯანყი“ (1927—28 წ.წ.) და ბოლოს „ელისო“ (1928 წ.).

რეჟ. ი. პერესტიანის პირველი სურათი საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო „არსენ ჯორჯიაშვილი“. თავის დროზე დიდი წარმატებით სარგებლობდა აგრეთვე ი. პერესტიანის მიერ დადგმული ცნობილი ქართული მწერლის დ. ჭონჭაძის მოთხრობის მიხედვით გაკეთებული ფილმი „სურამის ციხე“ (1922 წ.) და „მოძღვარი“ (რეჟ. ვ. ბარსკი), ქართველი კლ სიკოსი მწერლის ალ. ყაზბეგის ცნობილი რომანის მიხედვით დადგმული.

1923 წელს ქართულმა კინემატოგრაფიამ შესძლო სამი დიდი კინო-სურათის გამოშვება, „არსენა ყაჩალი“ (რეჟ. ვ. ბარსკი, ოპერატორი ა. დილ-

მელი), გასული საუკუნის 30-იან წლების გლეხური აჯანყებების მხარეების რევოლუციონერ არსენა-ყაჩალის შესახებ, სადაც პირველად არსენა ოძელაშვილის როლი ითამაშა მსახობმა გრ. ჩეჩელაშვილმა, მეორე კინო-სურათი „მამის მკვლელი“ (რეჟ. ა. ბუენაზაროვი) ალ. ყაზბეგის იმავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ამ სურათში პირველად ეკრანზე გამოვიდა შემდეგში ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ხატა ვაჩნაძე. სურათი საინტერესოა აგრეთვე იმით, რომ მასში მონაწილეობა მიიღო გამოჩენილმა ქართველმა მომღერალმა ეანო სარაჯიშვილმა.

მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო მასშტაბით ზღვა წილად რეჟ. ი. პერესტიანის მიერ დადგმულ ორ სერიიან კინო-სურათს „წითელი ეშმაკუნები“ (ოპერ. დილმელი). ეს იყო პირველი სურათი, რომელიც ეზებოდა ახალ თემატიკას (სამოქალაქო ომი). „წითელი ეშმაკუნები“ ამრიგად პირველი საბჭოთა რევოლუციურ-თავგადასავლური ფილმი და თავის დროზე ამ სურათმა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში.


საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის ზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის შეუწყრებელი გაუმჯობესება და ხელოვნებისადმი ახალი გაზრდილი მოთხოვნილებების წამოყენება ბუნებრივად მოითხოვდა არსებული კინო-წარმოების ფარგლების შემდგომ გაფართოებას. ამიტომ საქართველოს კინო-მრეწველობა 1923 წელს გამოყოფილ იქნა ცალკეულ სამეურნეო შემოქმედებით ერთეულად და განსახკომის ყოფილი კინოსექციის ბაზაზე შეიქმნა სააკციო საზოგადოება „საქ-

სახკინმრეწვი“. ამ ხნიდან იწყება საქ. კინემატოგრაფიის შეუნელებელი შესაქმედებითი აღმავლობა, რომელიც გამოიხატა რამდენიმე შესანიშნავი ფილმის გამოშვებაში.

საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთმა უხუცესმა მუშაკმა ი. პერესტიანმა, რევოლუციამდელ მხატვრულ ტრადიციებზე აღზრდილმა, მთელი თავისი მდიდარი გამოცდილება მოანდომა საქართველოს ახალგაზრდა კინომრეწველობის ზანვითარებას. სსბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლიდან 1928 წლამდე რეჟ. ი. პერესტიანმა 12-მდე კინო-ფილმი შექმნა საქართველოში. ცხადია, ყველა ეს ფილმი არ იდგა ერთნაირ მხატვრულ და იდეურ დონეზე, მაგრამ დაახლოებით მისი ხუთი ფილმი სათანადო ადგილს იკავებს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში. ამათგან ორი ფილმი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რევოლუციის მასალაზე იყო აგებული („არსენ ჯორჯიაშვილი“ და „წითელი ეშმაკუნები“), დანარჩენი სამი ფილმი წარმოადგენს ქართული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა ეკრანიზაციას. „სურამის ციხის“ გარდა რეჟ. ი. პერესტიანმა გამოუშვა ორი შესანიშნავი ფილმი „სამი სიცოცხლე“ (გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით, 1924 წ.) და „ტარიელ მკლავაძე“ (1925 წ., ევ. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით), რომლებიც მთელ მის რეჟისორულ შემოქმედებაში განირჩევიან თავისებური კინო-ოსტატობით, რეჟისორული ნამუშევართა და ქართული რევოლუციამდელი ყოფა-ცხოვრების კარგი ცოდნით. ამ ორმა კინო-სურათმა გაიმარჯვა აგრეთვე მსახიობების ნატა ვანნაძის, მიხ. გელოვანის, ჯ. მიქაბერიძის და სხვ. შესანიშნავი თამაშით. აქ პირველად ქართულ კინემატოგრაფიაში აქტიორული, რეჟისო-

რული და ოპერატორული მუშაობა ერთნაირად მაღალ დონეზე იდგა. რაც შეეხება კინემატოგრაფიულ ივ. პერესტიანის მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ მან კიდევ ექვსი ფილმი დადგა, ვერც ერთმა მათგანმა ვეღარ მიაღწია იმ მხატვრულ-იდეურ დონეს, რომელზედაც შემოსხენებული ორი მისი სურათი იდგა. „წითელი ეშმაკუნების“ შემქმნელმა განიზრახა ამ სურათში დასახული რევოლუციურ-თავგადასავლური ხაზის გაგრძელება, მაგრამ მისმა 1926 წლის ფილმებმა „საეურ-საფლავი“, „ილან-დიდი“, „დანაშაული“ და „სასჯელი“, აგრეთვე 1927 წლის ფილმებმა „გაფლანგვა“ და „გრიგალი“ ვერ გაამართლეს თავისი დანიშნულება და უფრო ეგზოტიკურ ხასიათს ატარებდნენ.

რეჟ. ვ. ბარსკიმ საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაიწყო კინო-მუშაობა („თავმოკვეთილი გვამი“ და სხვ.). ათი კინო-სურათი, რომელიც რეჟ. ბარსკიმ დადგა „სახკინმრეწვი“ში, ცოტათი განირჩევიან მის მიერ რევოლუციამდე დადგმული სურათებისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ რევოლუციურ „სამოსელს“, რომელშიაც იყო გამოწყობილი ისეთი „საშინელი“ და „შემაძრწუნებელი“ ფილმები, როგორც „წარსულის საშინელებანი“, „შუქურას საიდუმლოება“, „ათასების ფასად“ და „მეცხრე ტალღა“ (1925—1926 წ.წ.). მაგრამ რეჟ. ვ. ბარსკი საბჭოთა კავშირში უფრო ცნობილია, როგორც დიდი რუსი მწერლის მიხ. ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის“ მიხედვით გაკეთებული სამი კინო-სურათის ავტორი: „თავადის ასული მერი“, „ბელა“ და „მაქსიმ მაქსიმინი“ (1927 წელი, ოპერატორი პოლიკევიჩი). ამ სურათებში სახელგაითქვეს მსახიობებმა თამარ ბოლქვაძემ (მერი) და თინა მაკავარიანი (ბე-



ლა). ლერმონტოვის ეს კინო-სერია, ისევე, როგორც ლ. ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით გაკეთებული „კაზაკები“ (1928 წ.), ვერ დაკმაყოფილებენ ახლა საბჭოთა მაცურებელს, რადგან ამ სურათებში მოცემულია სუჟეტის გარეგანი, ზედაპირული ინსცენირება, მათ აკლიათ მასალისადმი ახალი მიდგომა, ხასიათების და მდგომარეობის შინაგანი გახსნა. მაგრამ მაინც რეჟ. ვ. ბარსკის დადგმებიდან ყველაზე საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს კინო-სურათი „ბელა“, სადაც რეჟისორმა შედარებით შესძლო ეპოქის სტილის დაცვა, ტიპების შერჩევა და კავკასიის ბუნების თვალწარმატებელი შეხვედრის მოცემა.

ამავე პერიოდში ქართულ კინემატოგრაფიაში დაიწყო მუშაობა ამო ბეკ-ნაზაროვმა, რომელიც ახლა სომხეთის ერთ-ერთ თვალსაჩინო კინორეჟისორად ითვლება. პირველი ნაბიჯები ა. ბეკ-ნაზაროვმა საქართველოში გადადგა: 1923 წელს დადგა „მამის მკვლელი“, შემდეგ ორსერიიანი თავგადასავლური ფილმი „დაკარგული საუნჯენი“ (1924 წ.) და „ნათელა“ (1926 წ.). უკანასკნელი სურათი პირველი ცდა იყო ეკრანზე 1856 წლის სამეგრელოს აჯანყების ჩვენებისა. ამ სურათში აჯანყების მეთაურ უტუ მიქაევას როლს ასრულებდა რუსთაველის თეატრის მსახიობი აკაკი ხორავა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ცნობილი თეატრალური რეჟისორების ალ. წუწუნავას და კ. მარჯანიშვილის მუშაობა ქართულ კინემატოგრაფიაში. რეჟისორ ა. წუწუნავას სურათებიდან ყველაზე მეტად განირჩევა „ვინ არის დამნაშავე“ (1925 წ.), ნინო ნაკშიძის ცნობილი დრამის მიხედვით, რომელიც გეიხატავს გურიის რევოლუციამდელ სოფელში სავაჭრო კაპიტალის შექმნას. ფილმი „ვინ არის დამნაშავე“ რო-

გორც თავისი ღრმად ამალელებელი სუჟეტით, ისე კინო-კომპოზიციით და მსახიობთა თამაშით (ნ. ცხიტიანი, ვ. ჭაბერიძე, ა. ხინთიბიძე) მართლაც ქართული კინემატოგრაფიის პირველი პერიოდის ერთ-ერთ თვალსაჩინო და საინტერესო სურათად უნდა ჩაითვალოს; ალ. წუწუნავას შემდეგი კინონაწარმოებია „ხანუმა“ (1926 წ.) ცნობილ კომედოგრაფის ა. ცაგარელის პოპულარული კომედიის მიხედვით, რომელიც გეიხატავს ცარიზმის დროინდელ თბილისის მოქალაქეთა ყოფაცხოვრებას, ფსიქოლოგიური კინო-დრამა „ორი მონადირე“ (1927 წ.), მწერალი. ელფთერძის მოთხრობის მიხედვით და უკანასკნელი მისი ფილმი „ჯანყი“ (1929 წ.), გაკეთებული ეგ. ნინოშვილის ცნობილი მოთხრობის მიხედვით, რომლის თემაა გურიის გლეხების აჯანყება 1841 წელს მეფის სატრაპების და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ. „ჯანყი“ ა. წუწუნავას ერთ-ერთი საუკეთესო კინო-სურათია, სადაც მან შესძლო დიდი მასობრივი სცენების ოსტატურად ჩვენება.

დიდმა თეატრალურმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, რომელმაც 1922 წელს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყართი“ ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეპოქა შექმნა, კინოში მუშაობა დაიწყო 1924 წელს, როდესაც საქ. სოცულ-რევოლუციონის კომისარიატის შეკვეთით, შალვა დადიანის სცენარის მიხედვით დადგა რევოლუციონურ-გეოტიკური ფილმი „ქარიშხლის წინ“. 1925 წელს კ. მარჯანიშვილი დგამს დ. კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით კინო-კომედიას „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რეჟ. ზ. ბერიშვილთან ერთად), ხოლო 1926 წლიდან დამოუკიდებლად სდგამს თავისივე სცენარის მიხედვით რამდენიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს: „ამოქი“ (1926 წ.), მითითნ ცევივის ნოვე-

ლით, „ბორა“ (1927 წ.) ე. ვოინიჩის რომანით და „კომუნარის ჩიბუხი“ (1929 წ.) ი. ერენბურგის ნოველით.

უდავოა, რომ ქართული კინემატოგრაფიის პირველი პერიოდის წარმატების ერთ-ერთი თვალსაჩინო და ძლიერი ფაქტორი იყო—აქტიორული შემოქმედება, რომლის გაფურჩქვნას თავის მხრივ ხელს უწყობდა ის შესანიშნავი დრამატული მასალა, რომელსაც იძლეოდა კლასიკური ქართული ლიტერატურა: დ. ჰონჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ეგ. ნინიშვილი, ა. ცაგარელი, ნ. ნაკაშიძე—ყველა ეს პროგრესიულ-დემოკრატიული ავტორები თავის ნაწარმოებებში იძლევიან უდიდესი ემოციური ძალის მქონე სახეებს, რომელნიც კინოში გადატანილი მაყურებლებში იწვევდნენ ჰუმანიურობის ფაქიზ გრძნობებს და რწმენას, რომ „კეთილმა სძლია ბოროტსა“. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული კინემატოგრაფიის შესანიშნავი კინო-მსახიობი ნატა ვაჩნაძე, რომელმაც სურათებში: „სამი სიცოცხლე“ (ესმა), „ტარიელ მკლავაძე“ (დესპინე) და „ეინ არის დანაშაუნი“ (ფატი) მონაწილეობით მთელ საბჭოთა კავშირში გაითქვა სახელი. ნატა ვაჩნაძის აქტიორული გზა ეს იმავე ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებითი გზაა, თავისი მიღწევებითა და ჩაყარვებით, გამარჯვებებით და დამარცხებებით... თავისი აქტიორული შემოქმედების პირველ პერიოდში ნატა ვაჩნაძემ შექმნა მთელი გაღერეია ტანჯული და დამონებული ქართველი რევოლუციამდელი ქალის სახეებისა. ნ. ვაჩნაძემ 1923 წლიდან 1928 წლამდე სულ შვიდი სახე შექმნა: ნენე („მამის მკვლელი“), ნენო („არსენა ყაზალი“), ესმა („სამი სიცოცხლე“), ფატი („ეინ არის დანაშაუნი“), დესპინე („ტარიელ მკლავაძე“), ნათელა („ნათელა“) და გიული („გიული“). ძველი დროის ახალგაზრდა ქართველი ქალი, თვითნებობის და ძალმომრეობის

მსხვერპლი შესანიშნავი ემოციური ძალით იყო განსახიერებულა და სწორედ ის განსაზღვრავდა ჰუმანიზმში და სოციალური ოპტიმიზმში, რომელიც ნატა ვაჩნაძის და კოტე მიქაბერიძის (სიკო „ეინ არის დანაშაუნი“ და სპირიდონ მცირიშვილი „ტარიელ მკლავაძეში“) თამაშში გამოსკვივის, აღნიშნული სურათების ხალხში წარმატების უპირველესი მიზეზი იყო.

ამავე პერიოდში დიდ აქტიორულ წარმატებას მიაღწია მსახიობმა კოტე მიქაბერიძემ, რომელმაც კინემატოგრაფიაში დაიწყო მუშაობა 1921 წლიდან. რამდენიმე სურათში ეპიზოდური როლის შესრულების შემდეგ („არსენ ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“, „სამი სიცოცხლე“) კ. მიქაბერიძემ შექმნა დაუფიქარი შესანიშნავი სახეები რევოლუციამდელი ქართველი ხალხის ახალგაზრდა წარმომადგენლისა, სიკო „ეინ არის დანაშაუნი“, სპირიდონ მცირიშვილი „ტარიელ მკლავაძეში“, კოტე „ხანუმაში“ და მგელია „ორ მონადირეში“. ამ სახეებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი და ძლიერი, აქტიორული შემოქმედების მხრივ, იყო სიკოს და სპირიდონ მცირიშვილის სახეები.

მიხ. ჭიაურელმა თავისი მოღვაწეობა კინემატოგრაფიაში დაიწყო როგორც მსახიობმა და ამ პერიოდში მან ითამაშა დაახლოებით შვიდი როლი („არსენ ჯორჯიაშვილი“, „სურამის ციხე“, „წარსულის საშინელებანი“, „დაკარგული საუნჯენი“, „ათასების ფასით“, „ხანუმა“, „ნათელა“). მიხ. გელოვანმა აგრეთვე პირველად ამ დროს გაითქვა სახელი, როგორც მეტად საინტერესო კინო-მსახიობმა სახასიათო როლებში („სამი სიცოცხლე“, „ორი მონადირე“ და სხვ.). დიმიტრიანმა თავის დროზე კარგი სახე შექმნა სურათში „სამი სიცოცხლე“ (წარბა). ამავე დროს დაიწყო მუშაობა კინემატოგრაფიაში

როგორც კინო-მსახიობმა (1921 წლიდან) ზაქ. ბერიშვილმა, რომელმაც მრავალ სურათში მიიღო მონაწილეობა ხან ეპიზოდური ხან მთავარი როლის შესრულებით. ყველაზე საინტერესოა მის მიერ შექმნილი მამა („მამის მკვლელი“) და მეირა („სამი სიცოცხლე“). გარდა ნატა ვაზნაძისა მსახიობი ქალეზიდან აღსანიშნავია სამი კინო-მსახიობი, რომლებმაც მხოლოდ ამ პერიოდში მიიღეს მონაწილეობა კინოსურათების გადაღებაში: თამარ ბოლქვაძე („სამი სიცოცხლე“, „ხანუმა“, „თავადის ასული მერი“ და „ჯანყი“), თინა კალანდაძე („ორი მონადირე“) და კლეოპატრა ჯაში („რკინის კატორღა“, „შუქურას საიდუმლოება“).

1927 წლის 3 დეკემბერს მი-15 პარტიკრილობაზე ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში ამხანაგმა სტალინმა მიგვიითთა, რომ პარტიამ „კინო ხელში უნდა აიღოს“ და რამდენიმე თვის შემდეგ 1928 წლის 15-21 მარტის განმავლობაში ჩატარდა პირველი საკავშირო პარტიული თათბირი კინოს საკითხებზე, რომელსაც წინ უძღოდა ამიერ-კავკასიის პარტიული თათბირი კინოს საკითხებზე (იმავე წლის 1 მარტს).

სრულიად საკავშირო პარტიათბირის დადგენილებანი კინო-საკითხების შესახებ საფუძვლად დაედო სახკინმრეწვის მომავალ ზეშაობას. ამიტომ 1928—29 საწარმოო წელი უნდა ჩაითვალოს ახალი გარდატეხის წლად ქართული კინემატოგრაფიის მუშაობაში, როდესაც იგი ახალ გზას დაადგა პარტიის დირექტივების და საბჭოთა საზოგადოებრიობის გაზრდილ მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ამრიგად, 1928 წლიდან ფაქტიურად დაიწყო სახკინმრეწვის ახალი პერიოდი, რომელიც უმთავრესად ხასიათდება ახალ, საბჭოთა თემატიკაზე გადასვლით („საბა“, „ახალგაზრდობა იმარჯეებს“, „ჩქარი № 2“ და

სხვ.), კინო-ახალგაზრდობის საპასუხისმგებლო შემოქმედებით საბჭოთაზე დაწინაურებით და საბჭოთა სწავლებლებრიობასთან დაახლოებით („კინომეგობართა საზოგადოების“ დაარსება და სხვ.).

თემატიური რეკონსტრუქციის პირველი „მერცხალი“ იყო მიხ. ჭიაურელის მიერ კინო-სურათის დადგმა საბჭოთალო ომის მასალაზე „უკანასკნელ საათში“ (1927 წ.). ეს იყო მისი პირველი რეჟისორული ედა კინო-ნაწარმოების შექმნისა.

ეს ნაწარმოები თავის დროზე ფორმალური ნოვატორობის ხასიათს ატარებდა: მოქმედება სწარმოებდა ერთი საათის და 45 წუთის განმავლობაში მატარებლის ერთ ვაგონში და მონაწილეობდა მხოლოდ სამი მოქმედი პირი. სხვათა შორის ამ სურათში პირველად ქართულ კინემატოგრაფიაში გამოვიდა მთავარი როლის შესრულებით კინო-მსახიობი ა. თოიძე, რომელიც მანამდე მონაწილეობდა „მეგრამომის“ სურათში „ძინა ძაძუ“ (1925—26 წ. დადგმული სევანეთის ცხოვრების მასალაზე).

მაგრამ პირველი სურათი, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა ახალი ხაზი საქართველოს კინოხელოვნებაში, იყო „ელისო“ რეჟ. ნიკოლოზ შენგელაისი. ამ სურათს თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთაც. სურათმა მიიღო პირველი კატეგორია მხატვრულ ფილმებს შორის და ამ სურათით სახკინმრეწვი პირველ რიგში გამოვიდა საბჭოთა კინემატოგრაფიაში. რით იხსნება ამ სურათის ასეთი დიდი წარმატება? პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ეს პირველი სურათია, რომელიც საქართველოს წარსულს სრულიად ახალის თვალსაზრისით მოგვაწოდებს. სცენარი არ მისდევს ბრმად ა. ყაზბეგის ცნობილ მოთხრობას, პირიქით, იგი იძ-

ლევა ყაზბეგის ლიტერატურული ნაწარმოების პარალელურ, ახალ კინო-ნაწარმოებს, გაკეთებულს კინო-ხელოვნების სპეციფიკის მიხედვით. გარდა მთის ხალხის გადასახლების ფონზე მოცემულ ვაჟიას და ელისოს რომანტიკული ამბისა, სცენარი გამდიდრებულია დოკუმენტალური მასალით, რომელიც იმ დროს ისტორიულ არქივებში მოიპოვებოდა, მაგრამ დოკუმენტალური ფაქტები ემოციონალურად ძლიერად არიან დამუშავებული. ამისათვის რეჟისორი მიმართავს სუვერული ატრაქციონების ხერხს, რაც გამოყენებულია სურათის თითქმის ყოველ ნაწილში. ეს არის ემოციონალური ეფექტის მომცემი სუვერული ხაზის მაქსიმალური მწვერვლები, როგორც, მაგალითად, მუხლმოდრეკილ ხალხზე კაზაკების ცხენების მისევა, ხალხის მასის მწუხარებიდან ლხინზე გადასვლა და სხვ. ამრიგად კინოსურათში პირველ ადგილზე წამოსწია ხალხის სოციალური ტრაგედია, ხალხისა, რომელიც რუსული ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის მსხვერპლად არის წარმოდგენილი. ნ. შენგელაიამ (1903—1943) დაიწყო მუშაობა კინოში 1925 წელს, როგორც კ. მარჯანიშვილის თანაშემწემ, სურათში „ქარიშხლის წინ“, შემდეგ სურათ „ძინა ძაძუში“ რეჟ. ევლიაბუქსისთან. ამ სურათში მუშაობამ დიდი გამოცდილება მისცა მას და ნ. შენგელაიამ 1927 წელს სდგამს სურათს „გოული“ შიო არაგვისპირელის მოთხრობის მიხედვით. სურათს ჰქონდა წარმატება (მთავარ როლს თამაშობდა ნ. ვაჩნაძე) ტრაგიკული სუვეტის რეალისტურად განხორციელებით და ამ მხრივ იგი პირველი გაბედული ცდა იყო ბარსკის ეგზოტიკურ კავკასიასთან დაპირისპირებისა. ამ სურათის წარმატება საბოლოოდ სწვევტს შენგელაიას ბედს და იგი სდგამს „ელისოს“.

„ელისო“ (1928 წ., ოპერატორი ა. კე-

რესელიძე, ვაჟია—კობტა ყარალაშვილი), საბჭოთა კინემატოგრაფიულ ეროტი უშესანიშნავესი ფილმი. ყოველი ცდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური ფილმის შექმნისა. რეჟ. ნ. შენგელაიას ნიჭის თავისებურება და ბრწყინვალეობა უმთავრესად ამ ფილმში გამოიხატა. შენგელაიამ შექმნა მაღალმატერული და თვალსაჩინო ფილმი საბჭოთა კინემატოგრაფიაში. „ელისომ“ დიდი ხნით განსაზღვრა საბჭოთა ქართული ფილმის განვითარება და საკმაო გავლენა მოახდინა აგრეთვე ქართული თეატრის მუშაობაზე („ანზორ“ და სხვ.). ამრიგად „ელისო“ უდავოდ უნდა ჩაითვალოს საქართველოს კინემატოგრაფიის დიდ მიღწევად. გარდა ამისა ამ სურათში დამტკიცდა, რომ სახკინმრეწვის კინო-ახალგაზრდობის დაწინაურება რეჟისორულ დარგში სწორი და მიზანშეწონილი იყო. ამის შემდეგ მთელმა რიგმა ახალგაზრდა მუშაკმა გამოუშვა თვალსაჩინო სურათები: რეჟ. მიხ. ჭიაურელის სურათში „საბამ“ მიიღო მეორე კატეგორია, ისევე, როგორც ახალგაზრდა რეჟისორ ლეო ესაკიას სურათში „ამერიკანკამ“. გარდა ამ სურათებისა საქართველოს კინემატოგრაფიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე „ახალგაზრდობა იმარჯეებს“ რეჟ. მიხ. გელოვანისა.

პირველი სურათი, რომელიც მთლიანად და სავსებით ქალაქურ მასალაზეა აგებული, არის რეჟ. მ. ჭიაურელის სურათი „საბა“ (1929, სცენარი შ. ალხაიშვილისა, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი). ქალაქი და განსაკუთრებით თბილისი სახკინმრეწვის მიერ მანამდე სრულიად დავიწყებული იყო თავის პროდუქციაში. თანამედროვე საბჭოთა ქალაქი პირველად ამ სურათში წარმოგვიდგა თვალწინ. „საბა“ წარმოადგენს ალკოპოლიზმთან ბრძოლის პრობლე-

მის გადაჭრის ცდას ქალაქის მუშის ცხოვრების კონკრეტულ მასალაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხ. ჭიაურელი პირველად ამ სურათში მიმართავს სატირის ზერებებს (მაგალ., სამიკიტნოს სცენები), რაც შემდეგში ფართო გამოყენებას პოულობს მის დადგმებში „ხაბარდა“ და „უკანასკნელ მასკარადში“. მსახიობ ს. ჯალიაშვილის გულწრფელი და დამაჯერებელი თამაში საბას მთავარ როლში უნდა ჩაითვალოს მის პირველ წარმატებად კინოში. ვერიკო ანჯაფარიძემ ამ სურათში შექმნა საბჭოთა ქართველი დედის ამბლეგებელი სახე. მართალია სურათში ალკოპოლიზმის თემა ოჯახური მელოდრამის ეპიზოდის ფორმებშია განვითარებული, მაგრამ მუშის ოჯახის დრამა ბუნებრივად გადაიზარდა აქ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დრამად. სწორედ ამ უკანასკნელმა ფაქტორმა მოუპოვა სურათს დიდი რეზონანსი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. სურათ „საბას“ წყალობით მიხ. ჭიაურელი ერთბაშად ჩადგა საბჭოთა კინემატოგრაფიის საუკეთესო და მოწინავე ოსტატების რიგში.

„ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1929 წ., სცენარი გ. მდივანისა, ოპერატორი ა. დიღმელი), რეჟისორ მიხ. გელოვანის პირველი სურათი, წარმოადგენს სულ სხვა სახის კინო-ნაწარმოებს. ეს არის სახეივანე პირველი ცდა ახალი კომედიის შექმნისა იმ მასალაზე, რომელსაც იძლეოდა იმდროინდელი აჭარა ახალის და ძველის შეჯახების კოლიზიებში. წინათაც სდგამდა სახეივანე კომედიებს, მაგალითისათვის ავიღოთ „ხანუმა“, მაგრამ ეს კომედია აგებული იყო დრამატულ ნაწარმოებებზე, რომელიც კინოაპარატის მიერ იყო გადაღებული. „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, როგორც კინოკომედია, აგებულია მკვეთრ და პაროდულ სუბტილ სიტუაციებზე. კულტურული რევოლუციის ერთ-

ერთი ამოცანა, — სისხლის აღების საშინელი ადამიანის წინააღმდეგე პიროვნება და ჩადრის მოხსნა — გადაჭრულია პაროდულ-სუბტილ ხაზებში.

საკომედიურეო მასალაზე შექმნილ ფილმებში უნდა აღინიშნოს რეჟ. ესაკიას პირველი სურათი „ხოლტზე“, რომელიც შეგნებულად არის აშენებული ფელეტონურ სტილზე; შემდეგ რეჟ. შ. ბერიშვილის სურათი „ღრუბლების საბინაოზე“ (1929 წ., ოპერ. ა. პოლოცევიჩი), რომლის თემად აღებულია სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ზემო-თუშეთის მეცხვარეობის ფრონტზე და „უგუბზიარა“ (1930 წ., ოპერ. კერესელიძე), პირველი მხატვრული ფილმი რეჟ. დ. რონდელისა აფხაზეთის ცხოვრებიდან (სცენარი გ. მდივანისა).

რეჟ. დ. რონდელი კინოში მოსელამდე მოღვაწეობდა, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი. „უგუბზიარამდე“ იგი კინოში პრაქტიკულად მუშაობდა როგორც ასისტენტი, სურათებზე „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ და „განწირულნი“. „უგუბზიარა“ რეჟ. დ. რონდელის პირველი წარმატება იყო.

არა ნაკლები ყურადღება ამ პერიოდში მიექცა საბჭოთა ქალაქის მასალას, რომელიც გამოყენებული იყო ისეთ ფილმებში, როგორც რეჟ. გ. მაკაროვის „ჩქარი № 2“ (1929) და „გაყრა“ (1930), აგრეთვე რეჟ. მიხ. გელოვანის კომედიაში „ნამდვილი კავკასიელი“ (1933). რეჟ. გ. მაკაროვის პირველი დამოუკიდებელი კინო-სურათი იყო „ქალი ბაზრობიდან“ (1927), ამერიკელი ფერმერების ცხოვრების მასალაზე, ცნობილ დრამატურგ ონეილის პიესის მიხედვით, „ჩქარი № 2“ ქალის წარმოებაში დაწინაურების, „გაყრა“ — ახალ საბჭოთა ოჯახის აქტუალურ თემებს ეხებოდა.

ქართულ კინემატოგრაფიას თავის დასაბამიდან მთის თემატით გატაცება ახასიათებდა. ეს იყო ერთდამიჯე

დროს მისი ძლიერი და უარყოფითი თვისებატ. ჩვენი რეჟისორები და გადაძლები ჯგუფები თითქმის ყოველ ზაფხულობით მთებში დაიარებოდნენ. აღნიშნულ პერიოდშიაც გადაიღო რეჟ. მ. კალატოზიშვილმა სევანეთის მასალაზე ნახევრად მხატვრული სურათი „ჯიმ-შუანტე“ (1930), რეჟ. რონდელმა „არ-შაულა“, რეჟ. ს. დოლიძემ „ყარაჩაი“ და რეჟ. შ. ხუსკივაძემ „ხევსურეთი“. 1905 წლის რევოლუციური აზებების მასალაზე აგებულ იქნა ფილმები „ამერიკანკა“ (1930, რეჟ. ლ. ესაიკა, სცენარი გ. სტურუასი) და „საკანი № 79“ (1930, რეჟ. ზ. ბერიშვილი). უკანასკნელ ფილმში დიდი ტრაგიკული სახე შექმნა მსახიობმა ნუცა ჩხეიძემ. ფილმები „კორნეტი სტრეშნიოვი“ (1928, რეჟ. მიხ. ჭიაურელი), „ომის ღმერთი“ (1929) და „განწირულნი“ (1930) განოხატავდნენ პირველი იმპერიალისტური ომის ცალკეულ მომენტებს.

1930—32 წლები საბჭოთა კინემატოგრაფიის ტექნიკური რეკონსტრუქციის წლებია. სახკინმრეწვეში მიმდინარეობს გამალებული აღმშენებლობითი მუშაობა. ჯერ კიდევ 1927 წელს დაწყებულ იქნა დიდი კინო-ატელიეს აშენება სივრცით 1400 კვ. მეტრი. ტექნიკური მოწყობილობით და სიდიდით სახკინმრეწვის კინო-ატელიე ერთ-ერთ საუკეთესო კინო-ატელიედ ითვლება ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში. ამრიგად 1932 წლისათვის ტექნიკურად საქართველოს კინემატოგრაფია საბჭოთა კავშირის საუკეთესო კინოორგანიზაციათა რიგში ჩადგა.

მხატვრულის მხრივ ეს იყო პერიოდი ეგრეთწოდებულ აგიტპროპაგანდებისა (1930—32 წ.), რაც ხასიათდებოდა სქემატიზმის და გაუბრალოების დანერგვაში, პუბლიცისტიკით გადაპარბებულ გატაცებაში და იმ გარემოების დავიწყებაში, რომ კინო-ფილმი პირველყოფ-

ლისა მხატვრული ნაწარმოებია, ამ პერიოდს ეკუთვნის მიხ. ჭიაურელის „ხაბარდა“ (1931), სიმონიძის კინო-პამფლეტის აგებისა, „შაქირი“ (რეჟ. ესაიკა, 1932), პირველი ხმოვანი მოლაპარაკე ფილმი, რომელიც გახმოვანებული იყო ლენინგრადში, და „მითი შეხვედრა“ (1933, რეჟ. სანიშვილი). ამ პერიოდში მრავალი დოკუმენტალური კინო-ფილმი იყო გადაღებული, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი ფილმი გამოირჩეოდა: რეჟ. შ. ხუსკივაძის მიერ გაკეთებული „შირაქი“ (1931) და „საქართველოს ფლორა“ (1932).

1932 წლის 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებასთან დაკავშირებით დაიწყო საბჭოთა კინემატოგრაფიაშიც ახალი შემოქმედებითი აღმავლობა. ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ ახალი შემოქმედებითი აღმავლობის დროს 1934 წელს გამოუშვა მთელი რიგი საინტერესო ფილმები: მიხ. ჭიაურელის „უკანასკნელი მასკარადი“, ს. დოლიძის „უკანასკნელი ჯვაროსნები“, ს. ფალავანდიშვილის „ქუეყენას მზითევი“ და გ. მაკაროვის „ნახვამდის“.

რეჟ. მიხ. ჭიაურელის კინო-სურათმა „უკანასკნელი მასკარადი“, ხელახლა ააღაპარაკა მთელი საბჭოთა კავშირის პრესა სახკინმრეწვის შესახებ; მიხ. ჭიაურელი მთავარი გმირის მიტოს (მსახიობი ს. ჯალიაშვილი) საშუალებით გვიჩვენებს სამ ეპოქას: ცარიზმის უკანასკნელი წლები, დაახლოებით პირველი იმპერიალისტური ომის წინ, მსოფლიო ომის და მენშევიზმის პერიოდები და ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში. მიტოს ბიოგრაფია მოცემულია იმდროინდელი ისტორიული ცხოვრების ფართო ტილოებზე. „უკანასკნელი მასკარადი“, როგორც დიდი სოციალურ-ისტორიული ტილო, საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ

დიდ მიღწევას წარმოადგენს. გაზ. „პრავდა“ წერდა ამ ფილმის შესახებ (1936 წ. 7/111): «Это обличительный документ против меньшевистских злодеяний, вместе с тем это увлекательнейшая повесть о скромных людях большевистского подполья-воспитанных Сталиным на конкретных делах революционной работы о людях, которые в самых трудных условиях неустанно ковали победу пролетарской революции.» «это победа национальной кинематографии, пользующейся заслуженным успехом у советского зрителя». გარდა ამისა „უკანასკნელი მასკარადი“ მთლიანად საქართველოში, საკუთარ ტექნიკურ ბაზაზე, ნაციონალური კადრების ძალებით გაკეთებული პირველი ხმოვანი ფილმი იყო, რის შემდეგაც ქართულ კინოს გზა გაეხსნა ხმოვანი ფილმების გამოშვებისაკენ.

რეჟ. სიკო დოლიძის ფილმი „უკანასკნელი ჯვაროსნები“ ქართული ნაციონალური ფილმის შექმნის ერთ-ერთი საინტერესო ცდა იყო. ამავე დროს ეს სურათი უდავოდ მოწმობდას. დოლიძის, როგორც კინო-რეჟისორის, შემოქმედებით ზრდას, რაც უფრო მეტი სიძლიერით დაეტყო მის მიერ დადგმულ შემდეგ სურათს—„დარიკოს“ (1936) ე. ნინოშვილის მოთხრობების მოტივების მიხედვით, სადაც გამოხატულია გურიის რევოლუციური გლეხობის ბრძოლა ცარიზმის და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ. „დარიკო“ ერთ-ერთ საუკეთესო რევოლუციურ ფილმად ჩაითვლება საბჭოთა კავშირში. დიდი აქტიურული წარმატება ხვდა ამ ფილმში მსახიობთ. ციციშვილს დარიკოს როლის შესანიშნავი განსახიერებისათვის... კომედიურმა ქანრმა დიდი წარმატება განიცადა ისეთ ფილმებში, როგორც

„ქუქუნას შვითევი“, რომელიც პირველი ფილმი იყო 1934 წელს უდავოდ დაღუპულ ნიჭიერი რეჟისორის ნიკო მსახიობის სიკო ფალაგანდიშვილისა, და „ნახევამის“ (რეჟ. გ. მაკაროვი), საქართველოს რევ.-ისტორიულ ძასალაზე გაკეთებული კინო-კომედია. საინტერესო ცდა იყო კინო-ხელოვნების საშუალებებით შოთა რუსთაველის გენიალური ნაწარმოების „ვეფხისტყაოსანის“ ერთ-ერთი ეპიზოდის ეკრანიზაცია „ქაჯეთი“ (1936) რეჟ. კობე მიქაბერიძის მიერ.

რეჟისორ ნიკ. შენგელიამ „ელისოს“ შემდეგ ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიას ზისცა რამდენიმე შესანიშნავი ფილმი. „ნარინჯის ველში“ (1937) ნ. შენგელია შეეცადა საქართველოს საკოლმეურნეო მასალაზე მოეცა ამაღლებული ფილმი. შემდეგი მისი სურათი „სამშობლო“ (1939), გ. მღვიმის პიესის მიხედვით, შეტად საინტერესო კინონაწარმოებია საბჭოთა პატრიოტიზმის და პოლიტიკური სიფხიზლის თემატიკაზე. სამამულო ომის დროს ნ. შენგელიამ გააკეთა ორი მოკლემეტრაჟიანი პატრიოტული კინოსურათი: „შავ მთებში“ და „ის კიდევ დაბრუნდება“. სამწუხაროდ მოულოდნელმა სიკვდილმა (1943) არ დააცალა საბჭოთა ქართული კინემატოგრაფიის ამ დიდ ოსტატს ფართოდ გადაეშალა თავისი მხატვრული შესაძლებლობანი.

რეჟ. სიკო დოლიძის შემოქმედებით და იდეური ზრდა „დარიკოს“ შემდეგ მკვლავდება ისეთი ფილმის დადგმით, როგორც იყო „მეგობრობა“ (1940). რეჟ. დ. რონდელის „დაკარგული სამოთხე“ (1938) თვალსაჩინო მიღწევად ჩაითვლება ნაციონალური კინო-კომედიის შექმნის საქმეში. საინტერესო იყო აგრეთვე მისი სურათი „კოლხიდა“ (1941), რომელიც ეხებოდა კოლხეთის ქაობიან ადგილ-

ბის აყვავებულ ციტრუსოვან ბაღად გადაქცევის მეტად აქტუალურ საკითხებს. სამამულო ომის დროს ს. დოლიძემ და დ. რონდელმა გააკეთეს საქ. კინემატოგრაფიის ერთ-ერთი საყურადღებო ფილმი „ჯურღალის ფარი“ (1944), რითაც, ქართული კინო-კონცერტის მასალაზე, დიდი პატრიოტული ჟღერის ნაწარმოები შეიქმნა. ამავე პერიოდს ეკუთვნის რეჟ. ლ. ესაკიას მიერ გაკეთებული „ფრთოსანი მღებავი“ (1937), „სადარაჯოზე“ (1940) საბჭოთა მესაზღვრეთა ცხოვრებიდან, რეჟ. ბერიშვილის „მცენის ხეობის საუნჯენი“ (1941), რეჟ. კ. მიქაბერიძის თვალსაჩინო კინო-კომედია „დაკვიანებული სასიძო“ (1939) და რეჟ. დიომიდე ანთაძის „ქალი ხიდობანიდან“ (1940), კინო-კომედია პოლ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინების“ მიხედვით. ახალგაზრდა რეჟისორ ნ. პიპინაშვილის პირველი კინო-სურათი „ქაჯანა“ (1941) ნ. ლომოურის მოთხრობის ეკრანიზაციის კარგ ნიმუშს წარმოადგენს. სამამულო ომის დროს მან დადგა სამხედრო ფილმი „ზიდი“ (1942) და თავგადასავლური ფილმი „ოქროს ბილიკით“ (1945).

კინო-კომედიის შექმნის საინტერესო ცდას წარმოადგენს რეჟ. შოთა მანაგაძის სურათი „ქირვეული მეზობლები“ (1945). ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის უდავო მიღწევას წარმოადგენს ისტორიული ფილმი „დავით გურამიშვილი“ (რეჟ. სანიშვილი და თუმანიშვილი), რომელიც ფართო შესტაბილ და მხატვრული სიძლიერით გადმოგვცემს დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებას იმპროვიზირებული ისტორიული ამბების ფონზე.

ჩვენ შეგნებულად ამ მიმოხილვის ბოლოში მოვაქციეთ მიხ. ჭიაურელის ფილმების განხილვა, რადგან დღეს უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ მიხ. ჭიაურელი არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიის

დიდი კინო-ოსტატი და მისი შემოქმედების მნიშვნელობა „ფიცი“ და დამოთს ცილდებზე ნაციონალურ ფილმებზეა კი.

რეჟ. მიხ. ჭიაურელის სწრაფი შემოქმედებითი ზრდა აშკარად მოსჩინებს ისეთ თვალსაჩინო ფილმებში, როგორც „არსენა“ (1937) და „დიადი განთიადი“ (1938). ეს ორი ფილმი მდიდარი შენაძენია არა მარტო ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის. ამ ფილმებით მიხ. ჭიაურელი გაბედულად დაადგა სოციალისტური რეალიზმის ფართო გზას. არსენა მსახიობ ს. ბალაშვილის თვალსაჩინო მიღწევას, მის განსახიერებაში არსენა დიდ განზოგადებულ ხასიათად იქცა—ეს არის ნამდვილი ხალხური გმირის ცოცხალი, კონკრეტული სახე, რომელიც აღლევებს მაყურებელს. მიხ. ჭიაურელს შესანიშნავად აქვს გამოყენებული „არსენაში“ ქართული ფოლკლორი, გმირული რომანტიზმის ტრადიციები და ისტორიული გარემოების რეალური ასახვის მეთოდები. „დიადი განთიადი“ ძლიერი რეალისტური ნაწარმოებია და ნაციონალურ ფორმაში ინტერნაციონალური შინაარსის ჩვენების დიდებული ნიმუში. ამ ფილმით მიხ. ჭიაურელი გვევლინება, როგორც ერთ-ერთი საოკეთესო და ნიჭიერი კინო-ოსტატი საბჭოთა კინემატოგრაფიაში. „უკანასკნელი მასკარადის“ შემდგომ „დიადი განთიადი“ ახალი ეტაპია მის შემოქმედებითს განვითარებაში. მიხ. ჭიაურელი ისეთი მხატვარია, რომელიც დიდი და გაბედული სახეებით აზროვნობს, ღას იზიდავენ გიგანტური, ისტორიული მასშტაბის ამბები, იგი ცდილობს ესა თუ ის ეპოქა დახატოს მთელ მის მრავალნაირობაში და დინამიურ მოძრაობაში, წინსვლაში. მისი ფილმები „უკანასკნელი მასკარადი“, „დიადი განთიადი“ და ბოლოს, „ფიცი“—დიდი კინო-ხელოვნების მწვერვალებზე ასვლის შესანიშნავი

საფეხურებია. მიხ. ჭიაურელთან ერთად აღიზარდნენ და საბჭოთა კინო-ხელოვნების დიდი ოსტატები გახდნენ მიხ. გელოვანი, რომლის უდავო მიღწევად ჩითვლება ამხანაგი სტალინის სახის განსაზიერება. ზოგჯერ საბჭოთა კავშირში ისე არც ერთ მსახიობს არ ეხერხება დიდი ბელადის სახის გადმოცემა, როგორც მიხ. გელოვანს. გარდა გარეგანი მიმსგავსებისა, იგი ოსტატურად გადმოგვცემს დამახასიათებელ შიშობას, ექსტებს და ხმის ინტონაციებს („ღიაღია განთიადი“ და „ფიცი“). არსენას რომლის შესრულების შემდეგ, ლეღუშაური („ღიაღია განთიადი“) ს. ბალაშვილის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა. ამ როლის შესრულებით ს. ბალაშვილი გვევლინება, როგორც ნამდვილი კინომსახიობი. „გიორგი სააკაძის“ ორი სერიი, რომელიც მიხ. ჭიაურელმა სამამულო ომის მძიმე პირობებში განახორციელა ჩვენს კინო-ფაბრიკაში, დიდ ისტორიულ კინო-ტილოს წარმოადგენს, სადაც აღბეჭდილია საქართველოს ისტორიის შეტყობილ ტრაგიკული ამბები გიორგი სააკაძის უთანასწორო ბრძოლისა უცხოელ დამპყრობლებთან და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ. ამ მხრივ ფილმი თემატურად შესანიშნავად ეხმაურებოდა სამამულო ომის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ხასიათს და საბჭოთა მკურნალებში უდიდესი პატრიოტიზმის წმინდა გრძნობას აღვივებდა. ფილმის უდავო წარმატებას ხელს უწყობდა აკ. ხორავას (გიორგი სააკაძე), ვ. ანჯაფარიძის (რუსუდანი) და ს. ზაქარიძის (შაღიშან ბარათაშვილის) ოსტატური თამაში. გახ. „იზევსტიას“ თქმით „ფილმი წარმოადგენს ჩვენი კინემატოგრაფიის უდავო წარმატებას და ეკუთვნის ხელოვნების იმ ნაწარმოებებს, რომელნიც მრავალი წლების განმავლობაში შეინარჩუნებენ თავის მხატვრულ და ისტორიულ იმეშენელობას“. მოსკოვის

გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ აღიარებს, რომ ფელქეურთაგედის შესანიშნავი ნიმუშია, რომელიც ასე იშვიათია ჩვენს კინემატოგრაფიაში... „გიორგი სააკაძე“—ღრმა ნაციონალური ნაწარმოებია“. მაგრამ მიხ. ჭიაურელის, როგორც რეჟისორის შემოქმედების უდიდეს მწვერვალს წარმოადგენს მისი უკანასკნელი ფილმი „ფიცი“. ამ ფილმით მიხ. ჭიაურელი ჩაღვა მსოფლიო კინემატოგრაფიის თვალსაჩინო შემოქმედთა რიგში. „ფიცი“—ნამდვილად ხალხური ფილმია, ფილმი დიდი ბელადის და საბჭოთა ხალხის შესახებ, მონუმენტური ხელოვნების დიდი და მართალი ნაწარმოები.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მუდმივი მზრუნველობის და ყურადღების შედეგად საქართველო ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად გადაიქცა საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით აღინიშნება პერიოდი საბჭოთა საქართველოს ისტორიისა, როდესაც 1931 წლიდან ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის საბაჟო და ღირსეული შვილი ამხ. ლავრენტი ბერიი.

დღეს საბჭოთა საქართველო კვლავ ბრწყინვალე წინსვლის გზაზეა. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 30 წლის თავს ორდენოსანი რესპუბლიკა უდიდესი გამარჯვებებით ხვდება, რაც შედეგია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებისა.

საბჭოთა ხელოვნება—დიდი იდეების და დიდი გრძნობების ხელოვნებაა, უმაგალითო ოსტატობის და პროგრესიულ-დემოკრატიული აზროვნებისა, ამიტომ მის წინ იშლება დიდი პერსპექტივები.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებას ჯერ კიდევ მთლიანად არ გაუშლია ყველა თავისი შესაძლებლობა. მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური

სახელმწიფო ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მას მხოლოდ 30 წელი შეუსრულდა, დიადი მომავალი ელის ჩვენს ხელოვნებას, ჩვენს კულტურას.

საბჭოთა ქვეყანაში ხელოვანს ამოძრავებს კეთილშობილური შისწრაფება ემსახუროს თავის ხალხს, სამშობლოს. თეატრი, მხატვრობა, კინემატოგრაფია ჩვენს ქვეყანაში განიცდიან მძლავრ წინსვლას, პროგრესიულ განვითარებას და აღმავლობით ზრდას.

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი ამბობდა, რომ საქართველო—ეს მსოფლიოს ერთ-ერთი უბედნიერესი კუთხეა, უხეად დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრეებით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგი მდიდარია ისეთი ადამიანებით, რომელთა ნიჭიც ბრწყინავს

საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირში.

ქართველმა ხალხმა ბევრი რამე შეიტანა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს. „საქმარისია ითქვას, რომ საქართველომ ჩვენ მოგვცა ამხანაგი სტალინი“—სიტყვა ამხ. ვ. მოლოტოვისა. და განა იქნება იმაზე უდიდესი ბედნიერება, ვინეც იცხოვრო და შემოქმედებას ეწეოდეს საბჭოთა კავშირში, იმ ქვეყანაში, რომელიც მთელ პროგრესიულ კაცობრიობას წინ უძღვის, იმ ქვეყანაში, რომელიც მიდის წინ კომუნისმისაკენ, ჩვენი მამის, მასწავლებლის და ბელადის—დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა უ შ ი ა



შ ი ო ა რ გ ვ ი ს კ ი რ ა ე ლ ი — თ ხ ზ უ ლ ბ ა თ ა ს რ უ ლ ი კ რ ა ე ზ უ ლ ი,
ტ ო მ ი I, II.

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა შიო არაგვისპირელის თხზულებათა სრული კრებულის პირველი და მეორე ტომი. ეს არის შიო არაგვისპირელის ნაწარმოებთა დღემდე არსებულ გამოცემათა შორის ყველაზე სრული და აკადემიური გამოცემა.

არაგვისპირელის ნაწარმოებნი ცალკე ტომებდ რევილირდამდე გამოიცა ერთხელ, ერთხელაც 1919 წელს, ზოლო. უკანასკნელად თხზულებათა ერთტომეულ 1927 წელს გამოვიდა.

ეს გამოცემანი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და დღევანდელი მკითხველის მადგლას აკლდა ქართული პროზის ისეთი გამოჩენილი ოსტატის წიგნები, როგორც შიო არაგვისპირელია. ამიტომ „თხზულებათა სრული კრებულის“ ორ ტომად გამოცემა სრულიად დროულია და მისასალმებელი.

შიო არაგვისპირელმა თავისი მოთხრობები, ეტიუდებითა და ნოველებით სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება და დიდი ილიას, აკაკისა და სანა წულუკიძის ღირსი შეფასებაც მიიღო. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „იურია“ მაღალ შეფასებას აძლევს არაგვისპირელის შემოქმედებას და სწერს: „არაგვისპირელის ნაწერების თავისებურ თვისებას შეადგენს ის, რომ მისი მოთხრობის სიგანი მუდამ ცხოვრების რაიმე ღრმა საკითხის დასურათობაა და არა თვით ცხოვრების აქტიურ მოქმედებათა, ე. ი. აღმანათა ტიპებისა... მას აინტერესებს უფრო პრობლემა, ვიდრე სიუჟეტის ხლარით“.

ეს სიუჟეტით სამართლიანი შენიშვნაა. შიო არაგვისპირელი არა „სიუჟეტური ხლართით“ იტყუებდა მკითხველთა ყურადღებას, არამედ იგი თავის ნაწარმოებში აყენებდა გარკვეულ, სა-

ზოგადობრივად აქტიურ პრობლემებს, მაღალმატერად ანსხეულებდა მას და ამიტომ აჯღაღოებდა იგი თავის მკითხველებს. შიო არაგვისპირელი რევილირდამდე სიუჟეტთა ცხოვრების ყველა მხარეს, აღმანათა ყველა ფენის ყოფას თავისი მახვილი კალმით ძლიერად და გაბედულად ხატავს.

შიო არაგვისპირელი 90-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ეს ჩვენი ცხოვრების სრულად ახალი პერიოდი იყო. დადგა სამწერველო კაპიტალიზმის აღმავლობის ხანა, დაიწყო პროლეტარიატის ზრდა, არაგვისპირელმა სწორედ ამ პერიოდის ქალაქისა და სოფლის ცხოვრება, მშენისა და გლეხის სულისკვეთება გააშუქა თავის თხზულებებში. სწორედ ამ ხასიათის მწერლობას, რომელიც „დაბალი ფენების“ ბრძოლასა და ცხოვრებას ასახავდა, თავს დაესხნენ თავიდანაურთულბურჟუაზიული კრიტიკოსები. ისინი უყიენებდნენ ქართულ მწერლობას „დაცემა-დაკინებაა“. ბურჟუაზიული კრიტიკოსების ეს იერიში რთლი გამოეპარა დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს სანა წულუკიძეს. მან ხმა აღიშალა დ. კლდიაშვილის, ე. ნანოშვილის, დიშ. ერისთავისა და შიო არაგვისპირელის დასაცავად.

„ამ ზოლო ღრის ზშირად გაისმის სამდურავი ჩვენს მწერლობაზე.—სწერს სანა წულუკიძე.—მას დაწვრილმანებას, დაკინებას, უშინაარსობას სწამებენ...“

გაკვირთ ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ბრადება სიპარილეს მოკლებულია, მან არავითარი ფაქტური დამტკიცება თან არ სდევს, იგი მხოლოდ საგნის უყოღნარობის მიზეზითა და არა შეცნიერული კრიტიკის დასკვნა; იგი მხოლოდ თავისებური სიმპატიითა და ანტაპატიით ზელმძღვანელობს და არა ცხოვრების და მწერ-

ლობის წინაარსით, შთი შედარებით და აწონდაწონით. ამა გადაფურცლოთ ჩვენი ერთნაღვაზებები, თუ დიხუკ, შიდღგომელ, ცნობიერ კრიტიკას ბოვიო. უველგან და ყოველთვის საზოგადო ფრანგებს ამოკითხავთ: ჩვენი მწერლობა დაცეა, ის აზრდილიც აღარ არის თავის წინაარსით და სხვა. ვანა ეს ასეა? მოვიგონოთ უკანასკნელი წლების მოთხრობები: ე. ნინოშვილის, მეღანიასი, დ. ერისთავისა, დ. კლდიაშვილისა, შ. არაგვისპირელისა და სხვა, ვავისენოთ რა სინამდვილით და ზოგი ზელოწნურადეა ხატავს ცხოვრების სურათებს, რა სიმარტევით და ნათლად აღნიშნავს დიდმნიშვნელოვან ფაქტს. ხშირად, თუ რომელმე მოთხრობის დაფასება გვიჭირს, ამის მიზეზი თვით ჩვენ შიერ ცხოვრების უცოდინარობაა.*

შთი არაგვისპირელის ნაწარმოებებს აქვთ შიადრი პოლიტიკური სიმახვილე. იგი შთელრიგ შინაატრეებსა და ნოველებში აქლევკლასობრივი ბრძოლის სურათებს. ეტიუდში „სამარტევიო ბოქოან“ (დაიბეჭდა 1908 წელს ვაზეთ „მუზენი“) მწერალი გვაქლევს არსებულ წყობილების წინააღმდეგ თავდაღებულ მებრძოლის, რვეოლეციონერის სულეარ განწყობილებას, შის შეუღრეველ ზსიასის, თეთიონ ავტორს ეს მოთხრობა ვაზეთიდან ამოტყრია და ზედ წაუწერია: „ეს დაწერილია ჯორჯიაშილის დაზვრეტის დროს; ამის გამო ვაზეთი დაზვრეს“.

ქართული ლიტერატურის დიად ტრადიციას— პატრიოტიზმს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს შთი არაგვისპირელი ღრმად ავითარებს თავის მოთხრობებსა და ნოველებში. შთი არაგვისპირელი თავისი სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი. შან ბუის, რომ სამშობლოს სიყვარული—ეს წმიდათაწმიდა ვრძნობაა. შისი მრავალი ნაწარმოები სწორედ ამ შოტივზეა აგებულ. შთი არაგვისპირელის ვმირები ვაბედულად მბრძვიან სამშობლოს კეთილდღეობისათვის, შისი მომავლისათვის.

„შიწა“—არაგვისპირელის ბრწყინვალე მოთხრობაა, რომელშიც იგი გულწრფელად გადმოგვცემს სამშობლო შიწის უსაზღვრო სიყვარულს. ამ მოთხრობის ვმირი ბერია ქართველი აკიის დაუვიწყარი სახეა. ერთ-ერთ წერტილში

ჯერ კიდევ ვარშავის საბეთლო ინსტიტუტის სტუდენტი — არაგვისპირელი სწუქსან კოსტოპოლოს სიყვარული ვარშავაში სრულდება. ვარშავიდა“-ო. სწორედ ამ სამშობლოს სიყვარულმა ჩუნერგა შის ნაწარმოებებს ის მაღალმატერული და იდეური ცხოველყოფილობა, რომლითაც იგი ჩვენ ასე გვაღვრთოვანებს.

ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკას შთი არაგვისპირელის ცხოვრება და შემოქმედება საუფველიანად დღევანდ არ ვაუშუქებია. მართალია არსებობს რაქდენიმე წერილი (პროფ. შ. რადიანი, დოც. ს. ჭილაია), მაგრამ ამით არ უნდა ამოიწეროს ამ შეტად საინტერესო მწერლის შემოქმედების განხილვა.

შთი არაგვისპირელი ღირსია იმისა, რომ ჩვენმა თანამედროვე კრიტიკამ შისი შიდიარი შემოქმედება უფრო ღრმად და საუფველიანად ვააცოს სოციალისტური საზოგადოების მშენებელ თაბას. მწერლის შემოქმედება დღევანდლობისათვის იმითაც არის საინტერესო, რომ არაგვისპირელი არის მოთხრობის, ნოველისა და შინაატრის ბრწყინვალე ოსტატი. სამწუხაროდ ამ ვანარს დღეს აგაროვანი ყურადღება არ ექცევა. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს მბატერული ოსტატობის მხრივაც ბევრი რამ შეუძლიათ ისწავლონ არაგვისპირელისაგან.

საარეცენიო ტომებში შთათვისებული ნაწარმოებები შთი რედაქტორის აშხ. ს. ჭილაიას შიერ ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დლაგებული.

შირველი ტომი იხსნება აშხ. ს. ჭილაიას ურცული წერილით „შთი არაგვისპირელი“. იგი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალ საკითხს აშუქებს და შკითხველს სწორ ორიენტაციას აქლევს.

გამოსემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ქართულ შკითხველს საყვარელი მწერლის შთი არაგვისპირელის დაბადების 80 წლისთავზე, რომელიც შიდიდნარე წლის 4 დეკემბერს სრულდება, თბულებათა კრებულის ორი ტომის გამოცემით დირხველი სამტქარი მიუძღვნა.

კლიმენტი გოზიავა.

ალექსანდრე საჯაია — „ლექსები“ — გამომცემლობა „საბჭოთა მწიბრალი“



ალექსანდრე საჯაია ვეუთენოდა იმ აბალ-გაზრდა მწერალთა რიცხვს, რომელთა პოეტურმა ხმამ ჯერ კიდევ სამაშულო თმის დაწყებამდე მიიქცია საზოგადოებრივობის ყურადღება.

ალექსანდრე საჯაიამ, მიუხედავად ხანმოკლე შემოქმედებითი მუშაობისა, საგრძნობი წილილი შეიტანა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მას ამავე დროს კარგი მთარგმნელის სახელიც ჰქონდა შოპოვებელი. მის მიერ შეტანილი ინგლისური ლექსების ქართული თარგმანები უსათუოდ ყურადღების ღირსნი არიან.

ეს აბალგაზრდა ავტორი რა თემსაც უნდა შეხებოდა, უსათუოდ ამჟღავნებდა მასალის დრამა ცოდნას და იძლეოდა ისეთ კოლორიტულ ფერებს, რომლებიც სასიციკლო თვისებას ანიჭებდნენ მის ნაწარმოებებს.

ა. საჯაიას რჩეული ლექსების წიგნი, რომელიც ამ აბალბანში „სახელოთა მწერალთა“ გამოსცა სიმონ ჩიჭოვანის რედაქტორობით, იხსნება პატარა ლირიკული ლექსით „წყარო“. გაიხსნეთო რამდენიმე სტროფი აღნიშნული ლექსიდან:

„შეედივართ მწვანით დაბინძურ ტყეში,
წყარო კისკისებს, ტყე კი წყნარია...
კრიალა წყალით ავივსე პეშვი
და ვთქვი: ესეც ხომ ჩვენი წყალია!

ჩვენი! შეერღზე ვადაშასტრეთ,
რომ უფედავების ვიგრძნო გენია.
ჩემოფის ენაქელვს, ჭერა ასულვს,
ბილიკზე მწვანე ვაუფენიათ.

დავებუვე თვალებს: ტრფობით დამთერალი,
მე ჩემს სამშობლოს მივიტყავ გულთან...

მშებო, გული მაქვს ცამდე მართალი
და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა!..“

ამ ლექსში გაშლილია ავტორის შინაგანი ბუნება და იგი უზადო პატრიოტიზმის შექცობა გაბრწყინებული.

ა. საჯაია იყო ნაზი ლირიკული ხმის პოეტი, მაგრამ ამ სინაზესთან ერთად მას გააჩნდა აგრეთვე თავშეკავებული ვაჟაკური ხმაც. ამ ორი ელემენტის პარმონიული შეერთებით ავტორს შეიძლება შეაყავდა ღრმა პოეტური მგრძობილობის სფეროში. თვით ბრძოლების სურათებსაც ავტორი ისეთი ლირიკული და ამაღლებული ფერებით მხატვრულად ამაღლებული შეტრფილია შეიძლება წარმოდგენილი შთაბეჭდილების გარეშე დარჩეს. პოეტი ლექსში „სამშობლო ჩვენი“, ასე მიმართავს ბრძოლაში დაეძულ კაპიტანს:

„დაეცი, შენი ცა დაგნათს...
ნამიე ხომ იარებს ვისეველებს.
სისხლიან მუჯუზე საათო
ჩურჩულვებს, ჩურჩულვებს ისევე...“

აქ საათის ჩურჩული ოსტატურადაა გამოყენებული, შემდეგ განავრცობს იგი:

„დაღამდა, ძნელია ატანა,
იტბრო — ვარსკელები ვისმენენ.
დაღამდა, ისარი პატარა
ჩურჩულვებს, ჩურჩულვებს ისევე...
რა იყო, დღეს წამშა თითოშა
იფეთქა და ხანძარს ვინ მოსოვლს...
დღეს იგრძნო პატარა ლითონმა
გენია სამშობლოს სიციკლს —
რომ ემი ვმირობის ღღისთანა
არ არის სხვა ენით სათქმელი.
რომ ბევრი წუთები ითვალა

და არსად ასეთი წუთები,
რომ მარად, დღეა თუ ღამეა,
წამი წამს გაბმული არ იცდის,
რომ ერთი ძვარვასი წამია
სიკვდილი სამშობლო მხარისთვის*.

პოეტი გვიჩვენებს და პატრიოტულ გრძნობებს ვადმოგვცემს არა მყვირალა მხატვრული ფრაზებით, — იგი ცდილობს უფრო რთული გზით იაროს, გაურბის გარეგნულ ეფექტიანობას და უოველგვარი გაზუიადების გარეშე ახერხებს სათანადო მხატვრულ სიმძლავრეზე აიყვანოს თავისი პოეტური ჩანაფიქრი. ეს არის ის წმინდა და ნამდვილი აღამიანური გრძნობა, რომელიც მხოლოდ თავშეაყვებელ მავრამ სულეზარად მღელვარე პოეტებს ახასიათებთ.

ა. საჯაიას ლექსებში განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებენ ქ. გორისადმი მიძღვნილი ლექსები. ავტორი, ივანეს ჩა დიდი ბელადის ბეჭეობას, ამბობს:

„აქ დაბადა, აქ ამოვიდა,
აქ არის ჩვენი აღმოსავლეთი“.

პოეტი დღიარება გორის მიდამოებში. იგი სიბაიის განცდით არის გამსჭვალული და გრძნობს, რომ გორში ატმების რტოებზედაც კი „ქართლის ველების ჯანი და ფერი“ ფეთქავს. ა. საჯაია ასე აბოლოვეებს ამ ლექსს:

„ვინ თქვას ლექსებით გორის დიდება,
ქება ამ მზის და ქება ამ მიწის,
აქ ფესვაგარი მტბა იზრდება
და უქვრივესი ფოლადი იცის“.

ასეთივე ჯანსაღი და ძლიერი ფერტებით არის შესრულებული ლექსი „ნაწარმი“ ა. როშელაც ავტორმა საქართველოში „ქართული“ ჟურნალზეს კეთებეს — კახეთის შინძღვნა: „აღმშრულ ნაწარმოებში ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებს:

„ღამე არ ტირის ქარი თბოლი,
ბაქურციხეში ღამე არ იცოა,
გვიან დაბებრს და... დიდი გომბორი
ღაიგვევენებს: „ბერძიკაი ვარ“...

ამ სტრიქონების შიხედვით, კახეთის ბუნების განსაკუთრებული სიდიადეს შეიხვეული უმკველად მხედავს.

ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ აგრეთვე სომხეთზე დაწერილი ლექსები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ორი მდინარე“. ია რა დიდი სიამაყითა და მხატვრული დამაჯერებლობით გაიხმის ახალგაზრდა პოეტის შემდეგი სიტყვები:

„რა წარმტაცია: ზეცა მშზინარე,
წყალი თუ ხალხთა გულებას ფეთქეა,
ორი სამშობლო, ორი მდინარე,
სასპარეზოდ წასული ერთად!“

რაც შეეხება სამაშლო ომის თემაზე დაწერილ ლექსებს, ავტორი ამ ნაწარმოებებშიაც გვევლინება, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სიტყვის ოსტატი.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე რამდენიმე ორიგინალური ზღაპარი. უნდა ითქვას, რომ ამ ჟანრშიც საკმარისად აგრძნობა ავტორის ნიჭი.

ზალვა ამისულაშვილი.

შინაარსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტურა რევოლუციის XXX წლისთავი—მ. მ. მოლოტოვის მთხვენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1947 წლის 6 ნოემბერს	83- 3
—	
ბ. ლხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს — ქართული მწერლების მემართვა, მიღ- ბული საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმზე 1947 წლის, 5 ნოემბერს	22
—	
ივანე ფულშაიძე — რესპუბლიკის სიმაყუე, წარკევეი	32
კოლაშ ნადირაძე — ჩემი სამშობლო, სიძღერა პირველი	102
ზალმა აფხანიძე — სამი ლექსი	110
ოთარ ჩხეიძე — ურწყეყო, მოთხრობა	114
—	
გიორგი ჯიბლაძე — ლენინი და სტალინი ხელოვნების შესახებ, წერილი	157
ზალმა ალხაჯიშვილი — ქართული საბჭოთა ხელოვნება, წერილი	186
—	
კლიმენტ ბობიაშვილი — „მ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I და II“, ბიბლიოგრაფია	219
ზალმა ამისულაშვილი — „ალექსანდრე საჯაია, ლექსები“, ბიბლიოგრაფია	221

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიასვილი (პასუხისმგებელი მდიანი), იოსებ ბრიშავილი, პავლე ინგოროვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაგაზინი), ზესარიონ ჟღენტი, ბალატიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დავნა შენგელაია.

ბელმოწერილი დასაბეჭდად 11/XII-47წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 14 ფ. შმ 12826.
შეკ. № 1733. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ მინისტროს საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და ვამოცემლობის საქმეთა
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომისიატი. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მწიბლის ქ. № 13. ტელეფ. № 3-04-64.